

119
1964 / 9.

ბგე თთბ ბბ



— 1964 —

6

გნეოტოპი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე

№ 6

ენისი, 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მხარეების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|-----|
| ვიორჯი ლეონიძე — ლექსები | 3 |
| სერგო კლდიაშვილი — ასესორ შტუბეს ვნებანი. მოთხრობა | 5 |
| სანდრო შანშიაშვილი — ლექსები | 20 |
| გრიგოლ ჩიქოვანი — შტრისგება. ოდიშური მოთხრობებიდან | 22 |
| ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები | 48 |
| დავით ჭავჭავაძე — მოთხრობები | 50 |
| ალექსანდრე ტვარდოვსკი — შორეთს იქითა შორეთი. თავები პოემიდან. თარგმანი ოთარ ჭელიძისა | 60 |
| გურამ ვეველიძე — უსახელო მწვერვალი. მოთხრობა | 91 |
| არჩილ ჩაჩიბაია — „ციის დედოფალი“. მოთხრობა | 102 |
| კრიჩან ჩანდარი — „კორიწილი“. მოთხრობა, თარგმანი აკაკი კობერიძისა | 113 |

პუბლიცისტიკა

| | |
|---|-----|
| გ. პაბაძე — რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის ისტორიული მნიშვნელობა | 120 |
| ირაკლი შიქელაძე — ჭიმიური მრეწველობა — პირველ პლანზე | 126 |

კ რ ი ტ ი კ ა

| | |
|---|-----|
| ვიორჯი მერკვილაძე — იოსებ გრიშაშვილი | 134 |
| ვიორჯი კალანდაძე — თბილისის განთავლება | 144 |
| რუთა ბერძენი — ლეო ქიჩიელი და რუსეთის პირველი რევოლუცია | 150 |
| ირაკლი კენჭოშვილი — ჭეშინვეუის ნოველა | 156 |

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

| | |
|--------------------------------------|-----|
| ელგუჯა ბერძენიშვილი — თამარ აბაქელია | 168 |
|--------------------------------------|-----|

წიგნების მიმოხილვა

| | |
|---|-----|
| ვლადიმერ ჭიბუტა — პოეტის ახალი ლექსები | 176 |
| ალ. სანადირაძე — მოთხრობები წარსულსა და აწმყოზე | 178 |

(იხ. მეორე გვ.)

| | |
|---|-----|
| ლადო სულაბერიძე — პოეტის გული | 181 |
| გრ. იმნაიშვილი — ახალი მონოგრაფია ძველი ქართული ენის სინტაქსის ძირითად საკითხებზე | 182 |
| ავთანდილ ცოტნაიშვილი — ღაღათ ჭიოყეის რომანი — „უძლეველი ძალა“ | 183 |
| გ. აფრიდონიძე — ნაწროში სოციალიზმის დიადი იდეების შესახებ | 184 |
| ნოდარ ნათაძე — ახალგაზრდა მწერლის პირველი კრებულა | 189 |
| ახალი წიგნები | 192 |

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 62. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VI-64 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილების ზომა 7 1/4×12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უც 04373. ტირაჟი 6 100. შეკვეთა № 1182.

საქ კვ ც-ს გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Полиграфкомбинат Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

გიორგი ლაონიკა

შთაგონება

აღმურში ვღგვევარ და ვიწვი,
ვერ გამაგრილებს ნამჭერიც,
და რა დაეწერო, არ ვიცი,—
წუხანდელ ღამის ნამღერი?
პირველ სხივების რამ თუ ვთქვა,
სარკეზე შემომტვრეულის?
ან გაღვიძებულ ყრმის სუნთქვა?
და იცდის ჩემი რვეული!

უსმენელ სიტყვის მსმენელი,
ვარ უცნობ ძღერის მნატვრელი...
მოსკდება შეუსვენებლივ
გამარჯვებული ნათელი...
რალა ითქმება მისგვარი?
რა ხელთუფალი მაკურთხებს...
და საქართველოს ცისკარი
ჩემს რვეულს დაისაკუთრებს...

წვიმა მთაში

ბორიაყია...

ნისლის ბავრაყი

მოიზღაზნება შავს ხეობაში...
მთები დამთვრალან ფშაურ არაყით,
ლაშარის ხატის დიდს დღეობაში.
მოდის ღრუბელი, როგორც ხევსური,
ზოზინით მოდის ნაკარხავსური...
...უცბად, ქისტვიით შეჰკვივლა ქარმა,
დასცა ყიფინა. გამოჰკრა სარმა!
თითქოს გავიდნენ ორნივ ხმალდახმალ,
ელვები სჩებენ ერთუროთის აბჯარს...
აბა, რომელის სიცოცხლე გახმა,
ხმლის ნაპერწკალში სინჯავენ მაჯას...

ჰაერში სისხლი გაღიშხეფება,
ხან თითქოს ლომი დაიყუფება...



ენახოთ. რომელი დამარცხებულის
მარჯვენა კოშკზე დაეკიდება,
წამოვა წვიმა აღმასცხვებული,
ზურმუხტი ფირუსს გაეკიდება...

წამოვა წვიმა, ვით შერიგებულ
საძმო სუფრაზე ტკბილი ფანდური,
მღერის... ღრეობენ და შეირგებენ...
ყრია ფირუსი გადაფანტული...
და მთები, მთები ქედ-ნაზოვარი,
სვამენ ალავერდს აზარფეშებით...
როგორც ბავშვები ძუძუმწოვარი,
საღლაც ჟღივიან ფსკერში ფესვები...

სამტეხვარი

დაქარვებული ტყეები...
და ოქროვანი ბაღები...
ლურჯგამკვირვალე დღეები..
სულ მცირე რაღაც ნაღველი...

ნაზი ხმით ვილაც მეძახის,
თუა გომბორის
ამბორი?

გზაზე ფოთოლი გაწვება,—
მინაბვით, ატმის ლაწვება...



საგო ქლიაშვილი

ასესორ შტუბეს ვნებანი

მოთხრობა

I

კოლეგიის ასესორი გერმან შტუბე ცუდ გუნებაზე დადგა: პარაკლისის მრავალი ესწრებოდა, ტაძარში ცხელოდა, შეხუთულ ჰაერს საკმევლის სუნიც ამძიმებდა, წასვლა კი შეუძლებელი იყო, — იმერეთის ახლად დანიშნული მმართველი, მაღალი რანგის ჩინოსნები, თავადაზნაურთა მარშალი და საპატიო გვარისკაცი წირვას უსმენდნენ და ადგილიდან არ იძროდნენ. სხვა გზა არ იყო, გარემოება აიძულებდა დარჩენილიყო.

გერმან შტუბეს ღლიდა მგალობლების გუგუნე, აბრაზებდა დაუსრულებელი მღვდელმსახურება და ეჩვენებოდა, თითქოს ებისკოპოსი განზრახ აჭიანურებდა წირვა-ლოცვას, რომ თავი გამოეჩინა წარჩინებული მრევლის წინაშე.

სული ეხუთებოდა და ოფლი სდიოდა. მისი წარმოდგენით, ოფლი მხოლოდ დაბალი წოდების ადამიანთა თვისება იყო და არ სიამოვნებდა, რომ თვითონაც სველი ჰქონდა კისერი. კიდევ კარგი, ვერაინ ხედავდა, რომ ოფლი ზურგზედაც ჩამოსდიოდა და საღლაც ქვემოდ წურწურით მიედინებოდა.

როგორც იქნა, დამთავრდა პარაკლისი. გარედან ზარების რეკა და ზარბაზნების ბათქი მოისმა. მერე ისიც ჩაჩუმდა, მაგრამ ებისკოპოსი ქადაგებას შე-

უდგა, ხელისუფალთ გამარჯვება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ღვთისა და იმპერატორის შეწყვენით, ახლანან დამორჩილებულ სვანეთის სამთავროში, და ამით მთელ იმერეთში, ამიერიდან მშვიდობიანობა დაწყდებოდა.

გრძელ სიტყვასაც აგერ როდისღაც ბოლო მოელო, დაშლა იწყეს და ასესორმა შევებით ამოისუნთქა.

ტაძრიდან გამოსვლისას შტუბემ თვალი მოჰკრა მთიორ ბელოუსოვის მეუღლეს, ენევიევისას, რომელსაც მისი წლებისათვის და „რაც მთავარია, საზეიმო ოფიციალური დღისათვის შეუფერებელი ჭრელი კაბა ჩაეცვა. ამის დანახვა ეხამუშა, მაგრამ უშალვე გადაავიწყდა, როგორც კი დარწმუნდა, რომ ის, ჩვეულების წინააღმდეგ, ქალაქში მარტო გამოსულიყო და თან არ ახლდა შვილობილი.

ამ ამბავმა ერთგვარი აზრები და იმედები აღუძრა შტუბეს... ქალიშვილი, ცხადია, შინ დარჩა... დედობილთან თუ არა, ფეხს ვერსად ვაადგამს. ახლა ის, ალბათ, თავისი სახლის უკან ბაღში ჩრდილქვეშ ზის და მოწყენილობის გასაქარებლად რაიმე ხელსაქმით არის გართული... როგორც ჩანს, თვით განგება ხელს უწყობს და უნიშნებს ისარგებლოს ამ შემთხვევით, რომ მოელაპარაკოს და გაუზიაროს თავისი სულტერი მღვდლვარება, რომელსაც მთელი წელი-

წადი მწვავედ განიცდის... ახ, რამდენი ხანია ნატრობს მასთან მარტოდ შეხვედრას!

პარაკლისის შემდეგ სამხედრო პარადი იწყებოდა. აჩქარებული ნაბიჯით ჩაუარა შტუბებში მოედანზე ჩამწკრივებულ ჯარის ნაწილს, მათ საცქერლად თავმოყრილი ხალხის წრე გააჩვენა და თავის ბინას მიაშურა. შინისკენ მიმავალს, ერთხანს ესმოდა იმპერატორის სადიდებლად ვაშას ძახილი, სასულე ორკესტრის გუგუნე და, განსაკუთრებით, ბარაბნის ბრაგუნე.

კოლეგიის ასესორმა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ იცოდა, — „დღედათან სწორიაო“, საკუთარი ხელისმომწერით დაადასტურა დაწესებულებებში დასაგზავნი ცირკულარი, — რომ დღეს ქალაქი საზეიმოდ მორთული იქნებოდა. ბრძანება შესრულებული იყო: სახლებზე აღუმები ფრიალებდა, რიკლებიან აივნებიდან ნოხები გადმოფენიანთ, მთავარ ქუჩაზე ცხენებს დააჯირითებდნენ სოფლებიდან გამოწვეული ახალგაზრდა აზნაურები და ბალახვის ბორანთან უკრავდა გახალისებული ბავშვებით გარშემორტყმული მეარდნეების დასტა... ჰო, განკარგულება თითქოს შესრულებულია, საყვედურის საბაბს ვერ გამოძებნი, მაგრამ... მაგრამ მაინც აკლია რაღაც... ისეთი სადღესასწაულო ელფერი არ ადევს ქალაქს, როგორც უნდა ჰქონოდა... ალბათ, გულიდან არ მომდინარეობს და ხრიკობენ აზიელები, ან და იმიტომ გამოიყურება უოველივე ფერმკრთალად, რომ აქაურთათვის უჩვეულოა საზეიმო დღეების იმგვარი პომპეზობით აღნიშვნა, როგორც ეს წესად არის შემოღებული ჩრდილოეთის საგუბერნიო ქალაქებში... ძნელია, რა თქმა უნდა. ცხოვრება ამ მიყრუებულ უცხო ქვეყანაში. ეს, მძიმე მისია იკისრა, მაგრამ რას იზამ, კარიერის გასაკეთებლად ჩამოვიდა აქ და მსხვერპლი უნდა

გაიღოს მომავალი დიდებულებას; რამდენიმე წელიწადი როგორმე უნდა გაძლოს ამ მხარეში, რომ მერე პეტერბურგში ღირსეულთა შორის ღირსეული აღვილი დაიკავოს.

სიცხე დასწოლოდა გარემოს. არღნების ქიჟყინი ისე ეჩვენებოდა შტუბებს, თითქოს თვითონ მზის მხურვალეობას ჰქონდა ასეთი უსიამო ხმა. ცოტაოდნად ესაღავათა, როცა ბორანით მდინარეზე გადადიოდა. რთონი ბულრაობდა, ამოშვებრილი თეთრ ლოდებს შეხფებს აყრიდა და, შფოთიანი, ტალღას ტალღაზე მოაგორებდა.

— აქ ყველაფერს ველურობის დალი ადევს... — გაიფიქრა უსიამოდ, როცა რიყის ქვევით მოფენილ მეორე ნაპირზე ფეხი დადგა. შორიდანვე დაინახა ალვის ხე, რომელიც მისი სახლის წინ ხარობდა და იქით აიღო მიმართულება.

სახლი, სადაც შტუბე ცხოვრობდა, ვიწრო ჩიხის დასაწყისში იდგა, რომლის დასავლეთი მხარის მთელ სიგრძეზე განლაგებული იყო ბაციყვითელი ფერით შეღებილი ყაზარმები. ამგვარადვე შეღებილი იყო აღმოსავლეთის მხრით ჩაყოლებული ქვიტიკრის ერთ და ორსართულიანი ოდები, რომლებიც ოფიცრებს და იმერეთის მმართველის კანცელარიის ჩინოსნებს ეკავათ. უმრავლესობა ამათ შორის უცოლო იყო, უხალისო ცხოვრების მქონენი კომფორტზე არ ფიქრობდნენ და ფანჯრის შუშებზე გაკრული ჰქონდათ გაზეთის გაზუნებული ფურცლები. ოჯახიანები კი მცირე ნაწილს შეადგენდნენ და მათი ბინები გარედანვე იმით გამოირჩეოდა, რომ მოქარგული ფარდებით დაემშვენებიათ ფანჯრები, ხოლო რაფაზე ფოთოთი და ქათმისკუჭა ჩამწკრივებიათ.

გერმან შტუბე მარტოხელა იყო, მაგრამ სხვა უცოლოებისაგან განსხვავებით, კარებთან გარეთ მიჭედნილ ფიცარზე დადგმული ჰქონდა მაიორის ცოლისაგან მიძღვნილი ფოთოთიანი ქოთანის,

რომელსაც ყოველ საღამოს წყალს ას-
ხამდა და მიწას უჩხრეკდა, რომ მცენა-
რეს უკეთესად გაზრდის საშუალება მი-
სცემოდა. ვარეგნულად პირქუში კო-
ლეგის ასესორი მგრძობიარე გულის
პატრონი იყო, და ამასთანავე ფოთოთი
აგონებდა შორეულ სამშობლოში მი-
ტოვებულ საკუთარ სახლკარს, სადაც
დედამისს რამდენიმე ასეთი ყვავილიანი
ქოთანი ედგა რაფაზე.

თავის ბინას გვერდი ჩაუარა შტუბემ
და გულდაგულ გასწია ჩიხის ბოლოში
მდებარე მათორის სახლისკენ. გზაში
უკვე მოფიქრებული ჰქონდა, როგორ
დაეჭირა თავი და რა ეთქვა, ქალიშვილი-
სთვის... დღეს უნდა გამორკვეულიყო
მისი ბედი და, იმედი ჰქონდა, კეთილა-
დაც გადაწყდებოდა... ქალიშვილი, უეჭ-
ველია, მიმხვდარია, თუ რა ძლიერად
ეტრფის და, მგონი, კიდევაც თანაუგრ-
ძობს. მაშ სხვაგვარად როგორ უნდა
აიხსნას ის ამბავი, რომ შეხვედრისას
ყოველთვის ნაზად შეხედავს და ზოგ-
ჯერ სევდიანად და მღუმარედ მიაშტერ-
დება... ახალგაზრდა ქალი, თუ ის კარ-
გად არის აღზრდილი, მაღალი ზნეობი-
საა, პატიოსანი და სათნოა, პირველი
ვერ გაამხელს სიყვარულს და დიდხანს
საიდუმლოდ ინახავს გულში. შტუბეს
კი, როგორც მამაკაცს, შეეფერებოდა
გაზედულება და დროც იყო გაემქლავ-
ნებია თავისი გრძობა, მაგრამ თუ მა-
ინც ვერ შეძლო აქამდე, ეს მხოლოდ
იმიტომ, რომ ვერ იქნა და ვერსად დაი-
მარტოხელა მიჯნური... აი ახლა კი, მად-
ლობა ღმერთს, საშუალება ეძლევა და
უნდა ისარგებლოს იმ ბედნიერი შემთხ-
ვევით, რომ დედობილს შეუგვიანდება
პარადიდან დაბრუნება...

II

ვიდრე შტუბე ეენევიევას სახლთან
მივიდოდეს, იმდენი დრო კიდევ რჩება,
რომ მოკლედ მაინც გავეცნოთ მისთვის
საოცნებო ქალიშვილს. რა ერქვა, რო-
გორი ვარეგნობა და ხასიათი ჰქონდა იმ
არსებას, რომელმაც ასე ძლიერად მიი-
ტაცა მისი გული?

ამასთანავე რამდენიმე სიტყვა უნდა
ითქვას დედობილზედაც, ვინაიდან მისი
და შვილობილის ცხოვრება... მკიდრულ
არის დაკავშირებული, და კიდევ თუნ-
დაც იმიტომ, რომ არც ისე უმნიშვნელო
პიროვნებაა თვითონ ეენევიევა, რომ
ყრუდ ჩაუარონ მისი სახელის ხსენებას.

ქალიშვილს ეძახდნენ გლაშას, თუმცა
ნათლობის სახელი სხვა ჰქონდა. გლაშა
კი დაარქვა დედობილმა, რომელსაც არ
ებრჩებოდა მისი ნამდვილი სახელის
გამოთქმა. ასე უწოდა კიდევ იმიტომ,
რომ ფიქრობდა, ამით უფრო მალე დაა-
ვიწყებდა წარსულს და ყოველივეს,
რაც მას ბავშვობის წლებთან აკავში-
რებდა.

გლაშას ნამდვილი სახელი იყო: გვა-
შაყანი. ეს სვანური სახელი იმიტომ
ჰქონდა, რომ წარმოშობით სვანი იყო.
მისი თავგადასავალი ერთგვარად რომა-
ნტიულია და ღირს იმათ, რომ მოკლედ
მაინც ითქვას ამაზე.

ხუთი წლის წინათ ეენევიევას ქმარმა
მაიორმა სერგეი ბელოუსოვმა სვანეთის
ერთ სოფელში თვალი მოჰკრა პატარა
ბავშვს. გულკეთილმა მაიორმა აიყვანა
გოგონა, უპატრონა, მერე ქალაქში
ცოლთან გაგზავნა და თან წერილი გაა-
ყოლა:

— „უძვირფასესო მეუღლეე ჩვენო,
ეენევიევა! — წერდა ის თავის მოკლე
ბარათში. — იმ მოწყენილ დღეებში,
რომელიც, დარწმუნებული ვარ, შენც
გაქვს იმის გამო, რომ ჩვენ ერთმანეთს
ხშირად დაშორებული ვართ, ამ ბავშვ-
ზე ზრუნვა მარტობის სიმძიმეს შე-
ვიმსუბუქებს. შეიფარე, გაზარდე და
თუ შემდეგ დაინახავ, რომ მან ყოველ-
გვარად გაამართლა შენი იმედი და ამა-
გი დაგიფასა, კიდევაც იშვილე. ღმერთ-
მა ჩვენ შვილი არ მოგვცა და იქნებ ეს
ბავშვი მოგვივილინა იმისათვის, რომ
ჩვენთვის ნუგეში ეცა. აღზარდე, დედად
იგულე შენი თავი და ამით იზამ ზეცი-
ური მამის მიერ მოსაწონჯ საქმეს, ხოლო
ჩვენ, ეამსა მოხუცებულობისასა, იმე-
დად გვეყოლება...“

ქმრის მოქმედება ეენევიევამ, ჯერ სი-

გიჟედ ჩათვალა, ბავშვის მოშორებასაც აპირებდა, მაგრამ გოგონა ისეთი კარგი შესახედავი იყო, ისეთი სათნო და მიმზიდველი ხასიათის აღმოჩნდა, ისეთი გონებაგამჭრიახი გამოდგა, რომ მალე შეუყვარდა, ველარც წარმოედგინა უმისოდ ცხოვრება და, ბოლოს, კიდევაც იშვილა. ენევიევას წამდა, რომ ამ საქმეში ნამდვილად უფლის ხელი ერია.

ათი წლის იყო გვაშაყანი, როცა მთიდან ჩამოიყვანეს. გულსა და მეხსიერებაში ცხოვლად ჰქონდა შენახული განვილილი წლები. დედ-მამას დანატრებული, შშობლიურ გარემოს მოწყვეტილი და სულ სხვა ცხოვრებას ჩვეული, დიდხანს დანადვლიანებული იყო. მთელი დღეები იჯდა ფანჯარასთან, მიშტერებოდა უქიმიერიონს, ბავრატის ტაძრის ნანგრევებს, ხოლო ოცნებით თავს ევლებოდა სმაურიან ჩქერალებს, ბუმბერაზ მთათა მწვერვალებს და ფერდობზე ამართულ კოშკებს. გრძნობდა ამას დედობილი და ყოველნაირად ცდილობდა გაეთანტა მისი სევდა-ელოლიანებაოდა, თავს ევლებოდა, ანებოვრებდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ალერსით და ზრუნვით ბავშვის გულს მოინადირებდა და წარსულს თანდათან დაავიწყებდა.

დიდი მოთმინება, მრავალი დაბრკოლების დაძლევა დასჭირდა მაიორის მეუღლეს და შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: გოგონა თანდათანობით დაჰყვა დედობილის ნებას და რაც დრო ვადიოდა, უფრო და უფრო ეთვისებოდა ახალ ცხოვრებას.

ახალგაზრდობაში ენევიევას უხალისო, თითქმის სუსხიანი ცხოვრება ჰქონდა. ქალიშვილობის დროინდელი ოცნებები აუბდენელი დაურჩა და ახლა, სიბერის ზღურბლზე მდგარი, წარსულიდან გამოყოლილ ეინს იმით იკლავდა, რომ ყოველგვარად ცდილობდა შვილობილს მაინც რგებოდა სიცოცხლის ის სიტყვო, რაც თვითონ დააკლდა.

გოგონას ცალკე ოთახი მიუჩინა, ავეჯით, მოურთო, გაულამაზა სურათებით და ზამთარ-ზაფხულში გახარებული ყვავილებით. ხშირად მოჰქონდა საჩუქ-

რებიც, — ბრჭყვიალა მძივები, სხვადასხვა ფერის ბაფთები, თოჯინები, პანოლაზე დაკრანც დააწყებები, ღმირი მძივები, როცა ერთხელ ყური მოჰკრა მის ლიონის და იგრძნო, რომ ბავშვს სმენა ჰქონდა. განსაკუთრებულად ზრუნავდა მის ჩაცმულობაზე, რისთვისაც საგანგებოდ მოჰყავდა ხოლმე ქალაქში განთქმული მკერავი გლაფირა ნიკანოროვნა, შუახანს ვადაცილებული, თორმეტი წლის წინათ ციებ-ციხელებისგან გარდაცვლილი ერთი დაბალი ჩინოსანის ქვრივი. გლაფირას ერთმანეთს ტაცებდნენ მოღაზე ჩაცმის მოყვარული ბანოვანები და გასათხოვარი ასაკის ქალიშვილები. მისი ხელში ჩაგდება ბევრისათვის მიუწვდომელ ნატვრად იყო ქცეული. ქვრივს ყველას წინაშე საკუთარი ღირსების გრძნობით, თითქმის ქედმაღლურად ეჭირა თავი, დამქირავებელთან მუდამ იმას ამბობდა, რომ სამარცხვინოდ მიანჩია თუ ნემსი უჭირავს ხელში და, ბოლოს, აუცილებლად დაუმატებდა: ბედის დაცინვად ვთვლი აქ რომ ჩავრჩი, მალე უნდა დაებრუნდე ჩრდილოეთში და ახლად დავიწყო ჩემთვის შესაფერი კეთილშობილური ცხოვრებაო.

მაგრამ წლები წლებს მისდევდნენ, გლაფირა არსად მიდიოდა და ნიდაგ იმის ცდაში იყო, რომ მეტი და მეტი თანხა დაეგროვებინა. ზელმოჰქერილი, ძუნწი დედაკაცი თავის თავზე არაფერს ხარჯავდა, სასმელ-საჭმელი ყოველთვის ეგულებოდა კლიენტის ოჯახში, მხოლოდ თმის საღებავ ინის საყიდლად თუ გაიძეტებდა ორიოდე გროშს და ამიტომ, რასაც შოულობდა უკლებლივ ენახებოდა მასზე ამბობდნენ ფულის ხარბი არისო. ხანდახან კვირა-უქმესაც არ ვააცდენდა და თოხარიკით გასწევდა საქირაოზე, რომ ერთი დღეც არ გაეცდინა გასამრჩელოს აულებლად, მაგრამ როგორც კი იხმობდა ენევიევა, რომელსაც სულის სწორს ეძახდა, მამინვე ყველას თავს დაანებებდა და მასთან გასწევდა. მეგობრისათვის რომ ესიამოვნებია, გლაფირა მის შვილობილსაც დიდი ყურადღებით ექცეოდა და ყოველთვის, როცა ახალ კაბას უჭერავდა,

ცდილობდა მთელი თავისი ოსტატობა და მეკრლური თანტაზია გამოეველინა.

ხელოსანი ქალის ამგვარ განწყობილებას მარჯვედ იყენებდა მაიორის ცოლი. ზოგჯერ ისინი ერთად გამოიგონებდნენ ხოლმე კაბის რაიმე დეტალს, აცხადებდნენ მას უკანასკნელ მოდად და უცბადვე აიყოლიებდნენ წამხედურა ქალქელ მანდილოსნებსაც. თავისი გონებაშაზვილობით ვახარებულ ქენევიევასაც მეტი არა უნდოდა რა.

— თქვენ შეუდარებელი გემოვნება და ნიჭი გაქვთ, ჩემო სულის სწორო, — ქება-დიდებას ასხამდა ვლადიკრა. — თქვენ რომ პარიზში ცხოვრობდეთ, ცხადია, მოდების კანონმდებელი იქნებოდით!

პარიზი აქ ხსენებული იყო არა შემთხვევით. ქენევიევას აღმზრდელი იყო ბოროდინის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი და შემდეგ რუსეთში საცხოვრებლად დაარჩენილი ნაპოლეონის არმიის სერჟანტი, რომელმაც მალე სახელი მოიხვეჭა ერთ პატარა პროვინციულ ქალაქში, სადაც ბავშვებს ფრანგულ ენას ასწავლიდა. მუსიო ბროდე, როგორც მას ეძახდნენ, ჯერ უფროსი ქალიშვილის გუვერნიორად დაიჭირა ქენევიევას მამამ, ომის დროს ჯარისათვის ფურცონების დამზადებაზე გამდიდრებულმა მოიჯარადრემ, და მალე მთელი ოჯახის ისეთი პატრიარქება დაიშაზხრა, რომ კიდევაც დაინათესავეს მირონით, უმცროსი გოგო მონათვლიეს და სახელიც მას შეარჩიევეს. მუსიო ბროდე განსაკუთრებული გულმოდგინებით ამეცადინებდა ნათლულს და, როგორც თვითონ ფიქრობდა, უნერგავდა ყოველივეს ფრანგულს. ხშირად და ბევრს უამბობდა თავის შორეულ ქვეყანაზე, — რა ჩვეულებები ჰქონდათ იქ, როგორ იცვამდნენ, რა სიტყვა-პასუხი იყო მიღებული საზოგადოებაში, როგორ ერთობოდნენ და ისე წარმტაცად უსახავდა ყოველივეს, რომ თავბრუდახვეულ გოგონას ოცნებად გადაექცა ყველაფრით დამსგავსებოდა ფრანგ ქალს და საცხოვრებლად პარიზში წასულიყო.

მაგრამ სიყვარულმა, რომელიც აღ-

რიანად ჩაესახა გულში ერთ ახალგაზრდა კაცისადმი, სხვაგვარად გადაწყვეტის ბედი. ახ, ეს სიყვარული, რომელიც ნის ოცნება თავის ნებაზე შეუბრალებლად ჩაშალა, აწეწა და არიედარია, თითქოს ადამიანის ცხოვრების დღეები რაღაც კარტის დასტა ყოფილიყოს და სხვა არაფერი!

ნაადრევად ატეხილ გოგოსაც სხვა გარემოში იქნებ სულაც არ მიექცია ყურადღება. იმ ვაჟისთვის, მაგრამ პატარა ქალაქში ისეთი მოწყენილობა იყო, ხოლო გულს უკვე ისე წყუროდა სიყვარული, რომ ადვილად გაეხვია ეშმაკეულის ბაღში: ერთხელ იმ პატარა ქალაქში საჭველმოქმედო მიზნით რაღაც საღამო-მასკარადი გაიმართა ცეკვებით და სერჟანტინით. ცეკვებს მუსიო ბროდე დირიჟორობდა და თავის ნათლულს მანვე შეუჩინა კავალერი, — ქერათმიანი, ლოყაწითელი ოფიცერი. ყმაწვილმა მრავალი ჰბთინაური მიუძღვნა ქალიშვილს და თავისი უაღრესი თავაზიანობით ისე მონუსხა, რომ ქენევიევამ რაინდად წარმოიდგინა ის და იმავე საღამოს შეუყვარდა.

ის ახალგაზრდა ოფიცერი სერგეი ბელოუსოვი იყო. მშობლები წინააღმდეგი იყვნენ სიძელ მიეღოთ არაფრის მქონე პრაპორშჩიკი ქვეთი ჯარისა. ტუქსავდნენ გოგოს, დაწყევლიათ ემუქრებოდნენ, მაგრამ დაუდგრომელმა ქალიშვილმა მინც თავისი ჰქნა, — გაიქცა სახლიდან და სხვა ქალაქში გაჰყვა შეყვარებულს. გააფთრებულმა მოიჯარადრემ შვილის სამრახის ქცევაში მუსიო დაადანაშაულა, ცემა-ტყეპით გააგდო და ჯავრზე სმას მიჰყო ხელი.

ორიოდე წლის შემდეგ ქენევიევას სანანებლად გაუხდა ურჩობა, დაინახა რა გასაჭირში ჩაიგდო თავი, შინ დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ჯერ მშობლებმა არ მიიღეს, მერე წლებიც მოერიო, თანდათან დამორჩილდა ბედს და ამის შემდეგ გულს იმით-ღა იოხებდა, რომ აბუჩად აგდებულ ქმარს ანგარიშს აღარ უწევდა და თავის ნებაზე ცხოვრობდა.

რაც ხანი ემატებოდა, ქენევიევა მით

უფრო ჭიუტად ებრძოდა წლებს და ათასნაირ ხერხს მიმართავდა, რომ ქალური ეშხი შეენარჩუნებინა. ამასთანავე ცდილობდა, არავის შეემჩნია, რა ჯაფა სჭირდებოდა ამისათვის. შეილობილისაგანაც კი გულმოდგინედ მალავდა. დილით, სანამ კოსმეტკით იყო გართული და თავს ილამაზებდა, არ უშვებდა ოთახში, ხოლო ძილის წინ კარებს კიდევაც კეტავდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობით ანთებულმა ქალიშვილმა ბოლოს მაინც შესძლო საიდუმლოს გაგება. ერთხელ ღამით წინასწარ შეიპარა დედობილთან და ამოეფარა კუთხეში ჩამოკიდებულ ფარდაგს. ენევეიევამ, რომელსაც შორეული ეჭვიც არ ქონია, რომ ვინმე უთვალთვალებდა, წაიძრო ბეჭდები, მერე მიუჯდა სარკეს და ლოყებიდან ბამბით ჩამოიხრცა ფერუმარული... ამაში არაფერი იყო უჩვეულო და გვაშაყანს არაფერი გაკვირვებია. მაგრამ რისი მოწმეც მალე გახდა, ამის მსგავსი არც გაგვინა: დედობილმა ჯერ სათითაოდ გამოიწიწინა წამწამები, პატარა მუთაქის მაგვარი რაღაც ლილვაკი გამოაძვრინა თმავარცხნილიდან, რის შემდეგ უცბადვე ჩაიჩუტა აქამდე ფუშფუშა თავი და, ბოლოს, პირიდან გამოიღო ის მიჯრით მიწყობილი კბილები, გაღიმებისას რომ ყოველთვის ღამაზად მოუჩანდა. ახლა ეს კბილები ღამბაჭუე ეწყო და სწორედ ისევე საზარლად იკრიბებოდნენ, როგორც ღობის სარზე ჩამოცმულ მკვდარი პირუტყვის უხორცო, ტიტველ თავისქალაზე. დედობილის ნაცვლად ახლა ოთახში იყო ვიღაც უცხო, მიცვალებულის მსგავსი დედაბერი, რომელიც ამოძრავებდა ხელებს და ყველაფრისგან იძარცვავდა სახეს... შეშფოთებულ გვაშაყანს უნებურად აღმოხდა შეშინებულის შეძახილი და ამით თავისი თავი გასცა. ენევეიევამ მკაცრად დატუქსა ის, ფიცი დაადებინა არსად გამხელდა და მერე ამოოხვრით უთხრა:

—რას იზამ, უნდა შეებრძოლო ბუნებას, თუკი აღარ გზოგავს... მოვა დრო და შენთვისაც საჭირო გახდება, ამგვარ ხრიკებს მიმართო...

მაიორის მეუღლე ყოველთვის მზად იყო ვინმესთან ინტრიგა გაება. უაშისოდ სიცოცხლე არაფრად მიაჩნდა, მაგრამ სხვათა წინაშე თავისი ნამუსის მოსაწმენდათ, მაინც ქმარს თვლიდა დამნაშავედ: ის მუდამ ლაშქრობაშია და არ ფიქრობს იმაზე, რომ ტემპერამენტიანი ქალი თვეობით მიტოვებული ჰყავს.

ენევეიევას ასესორზედაც მიჰქონდა იერიშები. ხშირად პატაყობდა შინ, ართობდა მარჩიელობით, ტუბილეულით უმასპინძლებოდა და ქალაქის ბაღში სასეირნოდ დაჰყავდა, ოღონდ შეილობილსაც თან იახლებდა ხოლმე, რომ ჭორიკანებს ზედმეტი სალაყბო მასალა არ მისცემოდათ.

შტუბე ჯერ ყურადღებას არ აქცევდა გოგონას, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ მოულოდნელად ყველაფერი შეტრიალდა. ერთ კვირა დღეს, როცა სამივენი ჩვეულებრივად ბაღში სეირნობდნენ, შტუბემ სულ სხვა თვლით შეხედა გლაშას. აქამდე ბავშვი, საოცრად ღამაზ ქალიშვილად დაინახა უეცრად. ის თითქოს ერთ ღამეში გაფურჩქვნილიყო და გაშლილიყო ყვავილის მსგავსად.

იმ დღეს შტუბე პირველად დაფიქრდა გლაშაზე. ფიქრობდა მეორე დღესაც და, როცა მისი სახე მოუშორებელ ოცნებად გადაეჭყა, მიხვდა რა ჭირი შეყროდა.

გლაშასადმი სიყვარულს სითბო შეჰქონდა გულში, მაგრამ დამტანჯველიც აღმოჩნდა. ზოგჯერ კიდევაც ებრძოდა თავს და ცდილობდა დავიწყებას მიეცა ყოველივე. ებრძოდა იმიტომ, რომ კეთილგონიერება ეუბნებოდა: უნდა დავგმო და უკუეგდო ეს სიყვარული. ასესორს კარგად ესმოდა, რომ ამგვარი გატაცება ზიანს მოუტანდა ცხოვრებაში, მისი კარიერის შემფერხებელი იქნებოდა. ცოლად გაყავდეს ველური ქვეყნის გოგო? ეს გარემოება მხოლოდ დაცინვას გამოიწვევს სატახტო ქალაქის ჩინოსნების წრეში და ყველას საბაბს მისცემს თქვან, რომ ის ობროდი... ასე იტყვიან და, უქმად ჩაივლის იმპერიის ამ ყრუ კუთხეში წლობით ცხოვრება და წამება, რაც მსხვერპლად იყო მიტა-



ნილი მომავალი დიდების მოსაპოვებლად...

მრავალჯერ საგონებელში ჩავარდნილა ამის გამო და ახლაც, ამ წუთში, როცა მიიჩქაროდა გლაშასთან პირისპირ მოსალაპარაკებლად, რამდენიმე სხვა სერიოზული არგუმენტიც მოიაზრა თავისი გადაწყვეტილების დასაგმობად და უარსაყოფად. მაგრამ უკვე გვიან იყო, — სწორედ მაშინ მიადგინა ენევეციკას სახლთან და ყველა არგუმენტიც უმაღვე ჰაერში გაიბნა.

შტუბემ ჩამოხსნა კარებზე ჩამოკიდებული ხის პატარა ჩაქუჩი და დააკაკუნა. შეიკადა ერთხანს და, როცა არავინ გაუღო, უფრო ღონივრად დაკრა კარზე. მესამედაც რომ არავინ გამოჩნდა, მღელვარებამ შეიპყრო. ნუთუ გლაშა შინ არ იყო? ძლივს შემთხვევა მიეცა პირისპირ შეხვედროდა და ახლაც უმტყუნა ბეღმა! ნაღვლიანად თვალი შეავლო ფანჯრებს, რაფაზე ჩამწკრივებულ ყვავილიან ქოთნებს, ის იყო წასვლა დააპირა, ფარდა შეიჩხა და თავი გამოყო გლაფირამ.

— ვინ არის? რა გინდათ? — რატომღაც გულმოსულად გაისმა მისი ხმა, არც ჩამოხედა, პასუხსაც არ დაუცადა და შეიშალა.

შტუბე იძულებული გახდა ისევ აემოქმედებია ჩაქუჩი.

მეორედ შეიჩხა ფარდა და ისევ გამოჩნდა გლაფირა, რომელსაც ახლა კაბა ეკირა ხელში და ლამაზადა.

— ავი გითხარით, შინ არ არის! — უკვე მკვებედ გადმოსძახა და ფანჯარას წვდა დასაკეტად.

შტუბემ მოასწრო ხმა მიეწვდინა:

— დაიცადეთ, გთხოვთ! მოწყალეო ხელმწიფავ, გაგებდავ და შეგაწუხებთ... იქნებ გლაშა იმყოფება შინ და...

გლაფირამ ბოლომდე თქმა არ აცადა:

— ეზოშია! კიშკარიდან შედით! — სწრაფად მოუჭრა სიტყვა და გაუჩინარდა.

მკერავი ქალის თავხედობა შტუბეს, ალბათ, დიდად ვააბრაზებდა სხვა დროს, მაგრამ ახლა ამის თავი არ ჰქონდა, შე-

მოუარა სახლს და ეზოს კიშკარი შეა-

ლო. შორიდანვე თვალი მოკრა ტოტემდახრილ ლეღვის ჩრდილში მდგარ გლაშას, მაგრამ გაიარა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, უნებურად შეჩერდა. — იქვე დაინახა ვიღაც ჩოხიანი, შეხნიერებული კაცი, რომელსაც სოკოს მსგავსი ქუდი ეხურა. მამაკაცი ეტყობოდა, ძალიან ჩქარობდა და თანაც ფრთხილობდა. ლაპარაკობდა გაცხარებულ, ოღონდ ჩუმიად, თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს ანდობდა.

ასესორმა გუმანი იღო, რომ კაცი ქალიშვილის თვისტომი უნდა ყოფილიყო.

— „ერთი იმათგანია, უეჭველად! — გაიფიქრა და გულში სინანულით ჩილაპარაკა: — როგორც ჩანს, გლაშას ჯერ კიდევ საესებით არ დაეიწყინა თავისი ძველი ენა და კუთხე“...

უეცრად ქალიშვილი მოეხვია ჩოხიანს, მის მკერდზე ჩამალა სახე, მერე ასწია თავი, თანხმობის ნიშნად დაუქინა და რაღაც უთხრა. მამაკაცმა მაშინვე პირჯვარი გადასახა, შემოტრიალდა და კიშკრისკენ გაეშურა. და, აი, იმ წუთში განაპირა ხეს მოფარებული შტუბეც გამოჩნდა. ჩოხიანმა შეავლო თვალი, წამიერად დაიბნა კიდევაც, მაგრამ გვაშაყანმა უმაღვე ხმა დააწია და, მამაკაცი გაქრა.

ასესორი გაუბედავად მიუახლოვდა ქალიშვილს და მორიდებულად მიესალმა.

— არა, აქ აჯობებს, — ნაძალადევი ღიმილი გამოესახა შტუბეს, როცა მასპინძელმა შინ მიიპატიჟა. — აქ აჯობებს, ჩრდილში უფრო გრილია...

იქვე მერხი იყო და დასხდნენ.

— მეგონა პარაკლისს დაესწრებოდით, მაგრამ... — სიჩუმე დაარღვია ასესორმა. — სიცხემ შეგაშინათ?

ქალიშვილს არაფერი უთქვამს. დაფიქრებული, მიწას დაყურებდა.

შტუბეს ენიშნა, რომ გლაშა აუროია-

ქებული იყო და ეს ამბავი თავის სასარგებლოდ ახსნა:

— „პირველი შემთხვევაა, როცა განმარტობულად ვართ და არ იცის, როგორ დიჭიროს თავი“... — კმაყოფილებით გაიფიქრა და მერე, ანგარიშმიუცემლად ხმამალა დაუმატა: — ჭალარაა, მაგრამ ჰაბუკური მკვირცხლი მოძრაობა აქვს. პირდაპირ საკვირველია იმ ხნის აღამიანისათვის... ხშირად დადის თქვენთან?

გვაშაყანი მიხვდა ვიზე ეუბნებოდა და თავშეკავებული წყრომით შეავლო თვალი:

— ის მამიჩემის მეგობარია... მურზაყანი მომაკითხავს ხოლმე, როცა საშუალება ეძლევა... დიახ...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— „რა ეშმაკი შემიჩნდა, რა საჭირო იყო ვილაღ მთიელის ხსენება!“ — გულში თავის თავს უსაყვედურა შტუბემ.

დაყოვნების დრო აღარ იყო, საცაა ენევიევა დაბრუნდებოდა და როგორმე უნდა მოესწრო ეთქვა რაც უნდოდა.

— მოვედი თქვენთან... მოვედი და... — დაიწყო, მაგრამ მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა.

ქალიშვილი თავდაბრილი უსმენდა.

— და, აი, ვთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ... — როგორც იქნა, ძალა მოიკრიფა შტუბემ. — თქვენ იცით ჩემი ამბავი... მე თქვენ მეგობრად მიმაჩნიახართ... უფრო მეტიც... დიახ, უფრო მეტიც...

საბედისწერო სიტყვა ენის წვერზე უტრიალებდა, რაღაც წამი და ისიც უნდა თქმულიყო.

— გლაშენკა! — მოისმა ნაცნობი ხმა. შუშაბანილიდან ენევიევა გადმოხრილიყო და ხელს უქნევდა. — ახ, შტუბე, თქვენც აქ ხართ? პირდაპირ ნანატრად გამომეცხადეთ! სწორედ ეს წუთია ვაპირებდი თქვენთან გამომეგზავნა ვინმე! ჩამოვიდა ეზოში და ხალისით სავსე მივიდა მათთან.

— საუცხოო კაბა გამოდის. შეუდარებელი! ამ საღამოს შენ ყველას ყურადღებას მიიქცევ! მიდი, გლაფირა გელოდება. ერთხელ კიდევ მოიზომე! —

მკერავთან შეგზავნა შეელობილი. — თქვენთან კი, ჩემო რაინდო, თხოვნა მაქვს, — მინაზებულად შეხედა შტუბეს. — თქვენ უნდა გამოგვეყვითრაუტზე... წესი მოითხოვს, მანდილოსნებს ვინმე ახლდეს... ახლა კი წადით, დაისვენეთ და მზე ჩავა თუ არა, აქ მოხვალთ... კარგად იცით, როგორ მსიამოვნებს თქვენთან ყოფნა, მაგრამ იმდენი სადადედარაბო საქმე მაქვს, რომ... გლაშენკასთვის კაბა დროით უნდა დავამთავროთ და ჩემს თავსაც უნდა მივხედო... მაშ ასე, არ დაიგვიანოთ...

— მხად ვარ გემსახუროთ! — წაიბურტყუნა ნირწამხდარმა ასესორმა და მეტი რომ არაფერი დარჩენოდა, თავის სახლისკენ გაბრუნდა.

III

შინ რომ მივიდა, მაშინვე გაიხსადა დალოგინზე გაიშოტა. დახუთულ ტაძარში დიდხანს ყოფნისა, მცხუნვარე მზის ქვეშ სიარულისა და, ბოლოს, გლაშასთან შეხვედრის შემდეგ იმედგაცრუებული, მოთენთილად გრძნობდა თავს. ოთახში გრილოდა, მაგრამ ნესტის სუნდიდგა. ფანჯარა მაინც არ გააღო იმის შიშით, რომ ბული შემოვიდოდა. შორიდან ისმოდა მდინარის დუღუნი, მაგრამ ეს ხმა შემაწუხებელი არ იყო და ბინაში გამეფებულ მყუდროებას არ არღვევდა.

სიჩუმე კეთილად მოქმედებდა გერმან შტუბეზე და ახლა, დილიდან ამდენი წვალებისა და მღელვარების შემდეგ იქნებ მოსვენებულადაც ეგრძნო თავი, კოლო რომ არ შემოჩენოდა. აბეზარი მწერი საღდაც ყურთან უტრიალებდა, დაბზუოდა და კბენას უპირებდა. შტუბეს მრავალჯერ ჰქონდა გამოცდილი მისი შხამიანი ხორბუმის სიმწარე და, დამფრთხალი, რომ ნაკბენზე ქავილი არასტებოდა, ჯერ ხელების ქნევით იგერიებდა. ამითიც რომ ვერ მოიშორა, იტულებული გახდა ადგარიყო და პირსახოცით შეიარაღებული დადევნებოდა მოსაკლავად. დიდხანს დასდევდა, მაგრამ ვერსად იგდო ხელში და, ოთახში ტრიალისგან ვასავათებული, ისევ საწოლს.

დაუბრუნდა. მისთვის ახლა ისე საჭირო იყო მოსვენება, როგორც არასდროს: იმერეთის მმართველთან დარბაზობაზე გლამას შეხედებოდა და გამოლენჩებული სახით ზომ ვერ ეჩვენებოდა ერთხელ კიდევ შეეცადა დაძინებოდა, მაგრამ თვალი მილულა თუ არა, კოლო ეძგერა და შუბლზე თავისი გესლიანი ნისკარტი ჩაასო. ამის შემდეგ კი ძილი საბოლოოდ გაუქრა, აღარ ამდგარა, იწვა და გაბოროტებული შეკყურებდა ჭერსა და კედლებს... რაღაც უღიბლო, ნავსიანი დღე იყო, ჭეშმარიტად შეჩვენებული...

ის ერთი ოთახი, სადაც შტუბე ცხოვრობდა, უბრალოდ იყო მოწყობილი — ზის საწოლი, პატარა კარადა, რამდენიმე ტაბურეტი და ქაღალდით გადაფარებული მაგიდა, რომელსაც კოჭლი ფეხის ქვეშ შედგმული ჰქონდა ნაფოტი. კუთხეში მიდგმული იყო ძველი სავარძელი, რომლის ზემოთ სარკე ეკიდა. დროთა მსვლელობაში სარკე მიმჭრალბულიყო, სახეს ბინდად აჩვენებდა, მაგრამ შინც ვარგოდა იმისათვის, რომ სამსახური გაეწია თმის დავარცხნისას და იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ჰქონდა ბაფთი შენასკველი...

ოთახის ერთადერთ სამკაულს წარმოადგენდა კედელზე ჩამოკიდებული შტუბეს პორტრეტი, ზეთით დახატული მისი ხელქვეითი რეგისტრატორის მიერ. ის იყო ხანშიშესული კაცი, პირველი იმათგანი, ვინც ამ შორეულ ქვეყანაში ჩამოჰყოლოდა იმერეთის წინანდელ მმართველს. დაბალი რანგის ეს ჩინოსანი უკვე აღარც ოცნებობდა სამსახურში დაწინაურებაზე. მისთვის სულერთი იყო სად ეცხოვრა და ემსახურნა. დიდი ხანია თავის თავზე ხელი ჩაქნული ჰქონდა და მის მთავარ საზრუნავს ახლა მხოლოდ ის შეადგენდა, რომ ყოველ დღეს რამდენიმე ყლუპი არაყი ეგემნა. შეშუბებულ ქუთუთოებში ღრმად ჩავარდნილი მისი სხივჩამჭრალი თვალები ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ. შეუძლებელი იყო ადამიანს ყურადღება არ მიექცია მისი სახისთვის და, განსაკუთრებით, ღმილის-

თვის. ვინ უნდა ყოფილიყო, რომ მის დანახვაზე გული არ აჩუქებოდა. ასე-ოცარი სევდა, მორჩილები უფროსებზე ტყვებელი შერიგება ბედთან და, ამასთანავე, გულკეთილობაც ჩანდა ამ გაღიმებაში. რეგისტრატორი დუმოილს და მარტოობას რჩებოდა. ის მაშინაც მარტო გრძნობდა თავს, როცა ზალხში იყო ვარეული. კანცელარიაში განმარტობულად იჯდა და მთელი დღის განმავლობაში რაღაცას წერდა. არავინ დაინტერესებულა რას წერდა ამდენს, რადგან თანამოსამსახურენი კიდევაც გაურპოდნენ მასთან საუბარს. არ ეკარებოდნენ უფრო იმიტომ, რომ რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზედაც აკმევდა რახისა და ხახვის სუნს. ამ უსიამო და მძაფრ სუნს გამოსცემდა მთელი მისი სხეული — პირი, ხელები, ტანსაცმელი, გამოხედვაც კი.

რეგისტრატორს ხატვა ეხერხებოდა და, მცირე ჯამაგირის მქონე, ამით ცოტაოდენ გროშს შოულობდა. შეკვეთას სწრაფად ასრულებდა და საკმაოდ სინდისიერად. შტუბეს პორტრეტიც თავისი კოლეგების, კანცელარიის მოხელეთა დაკვეთით ჰქონდა შესრულებული. სურათი და მისალოცი ადრესი თანამოსამსახურეებმა მიართვეს კოლეგის ასესორს, როცა ის ოცდაათი წლის გახდა. ფრიად ნასიამოვნები განყოფილების უფროსი, მიუხედავად იმისა, რომ ხელმოჭერილი იყო, იძულებული გახდა პატარა ნაღიმი გაემართა ვიწრო წრეში და, სხვათაშორის, მხატვარიც არ დაივიწყა, — შინ გაუგზავნა არაყი და მცირეოდენი საუზმეც. მცირეოდენი კი იმიტომ, რომ მისი ამბავი იცოდა, — ძალიან ცოტას ჰკამდა.

შტუბეს მოწონდა თავისი ხელქვეითის ოსტატობა.

— „აი შე ცულღუტო, შენა მითვალთვალბდი, განა კანცელარიაში!“ — კმაყოფილებით გაიფიქრებდა ხოლმე, როცა თავის პორტრეტს თვალს შეავლებდა.

შტუბე დახატული იყო მარჯვენა პროფილში. ნაძვისფერი თმით მოსილი მსხლის მოყვანილობის თავისქალა, მო-

გაძო, ოდნავ გამხდარი სახე, ბაკენ-ბარდები, ბრტყლად მოჭრილი ნიკაპი, — ყველაფერი ძალიან მისმგავსებული იყო. ცისფერი თვალი კი თითქოს შორ სივრცეს მიშტერებოდა. ხოლო რა ჩანდა სივრცეში, ეს უკვე შტუბეს ფანტაზიამ დაუმატა: რა თქმა უნდა, მისი ბრწყინვალე მომავალი!

მხატვარს შემთხვევით არ მოსვლია, რომ თავისი უფროსი პროფილით წარმოადგინა. მარცხენა თვალით შტუბე ბრმა იყო და შუშა ჰქონდა ჩასმული. ხელოვნური თვალიც ცისფერი და ბუნებრივთან მისმგავსებული იყო, ოღონდ ერთი ნაკლი ჰქონდა, — არ ეხუჭებოდა და ძილის დროსაც ღიად რჩებოდა.

შტუბეს ჩვეულებად ჰქონდა: ყოველთვის, როცა რაიმეზე ღრმად ჩაფიქრდებოდა, საღ მარჯვენა თვალს ხუჭავდა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ველარაფერს ზედავდა. მაგრამ ეს გარემოება ერთგვარად ხელს უწყობდა იმაში, რომ უფრო ღრმად ჩაძირულიყო თავის ფიქრებში. იმ ღიად დარჩენილი მკვდარი გუგათი მიჩერებოდა მაშინ ქვეყანას და, როგორც ეჩვენებოდა, უფრო მკაფიოდ ერკვეოდა ცხოვრების უღრან ტევრში.

ოთახის ერთ კედელზე მიჭედელ თაროებზე შტუბეს დაწყობილი ჰქონდა თავისი ხელით გამოძერწილი ადამიანის ოცამდე თვისქალა. ამ თვისქალებზე ბევრს მუშაობდა მეოცნებე ასესორი და ეს ამბავი უბრალო თავშესაქცევი არ ყოფილა მისთვის. შტუბეს, როგორც გონებაგამჭირახ ჩინოსანს, თავისი ურყევი შეხედულება ჰქონდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის გაუმჯობესებაზე და განმტკიცებაზე. იმგვარი პარაკლისები და პარადები, როგორც დღეს გაიმართა, უმნიშვნელო ღონისძიებად მიაჩნდა. ეს მხოლოდ ერთი უბრალო რიგითი პარაგრაფი იყო იმ დიდი პროექტისა, რომლის განხორციელებისათვის მოწოდებული იყო მისი სიცოცხლე და ტალანტი. ამ პროექტზე ის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ფიქრობდა. ათასგვარ წვრილმანს ითვალისწინებდა, ამუშავებდა მეცნიერულად და ყოველივე ეს არა მხოლოდ

სიტყვიერად ჰქონდა რეეულბში ფიქსირებული, არამედ პრაქტიკულად დაზუსტებული და შემოწმებული ხელოვნება იმ თიხის თავისქალების მეშვეობით.

კოლეგიის ასესორი გერმან შტუბე რამდენიმე წელიწადია ამუშავებდა ასეთ პროექტს: იმპერიის სათავეში — ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს ხომ ღვთით არის დადგენილი — დგას მირონცხებული იმპერატორი, შემდეგ ეშვება იერარქიული კიბე მრავალი საფეხურით. ამ საფეხურებზე ჩანან სხვადასხვა ადამიანები, რომლებიც ერთიმეორეზე ქვევით ჩამწკრივებულან იმის მიხედვით, თუ ვინ რა წოდებას ეკუთვნის და ვის რა თანამდებობა უჭირავს: კიბის უმაღლეს საფეხურზეა სამეფო საგვარეულო, ქვემოთ პატრიარქი, მერე მინისტრები, მაღალი რანგის ჩინოსნები, გენერლები, თავად-აზნაურობა, ბოლოს პირველი ვილდის ვაჟრები... თავისი მდგომარეობით კმაყოფილი პრივილეგიური ნაწილი, ცხადია, მუდამ კმაყოფილი იქნება ხელისუფლებისა და ფიქრადაც არ მოუვა არსებულ სახელმწიფო წყობილების შეცვლა. უპირატესობის მქონე წოდებასაიბედლო და იმპერიის დასაყრდენ ძალას წარმოადგენს. მაგრამ სულ სხვაა დანარჩენი ნაწილი ქვეშევრდომებისა, რომელიც კიბის არც ერთ საფეხურზე არ ჩანს და ვერც ოდესმე შედგამს ფეხს... რა იწვევს უწესრიგობას და ბუნტებს? სად არის მისი წყარო და სათავე? საიდან მომდინარეობს ურჩობა, წინააღმდეგობა, ერთხელე უზენაესის მიერ დადგენილის და დაკანონებულის უარყოფა? რა არის ამის მიზეზი? რაო და; მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა სახის იდეები! დიახ, სწორედ აქ არის სათავე ყოველგვარი ბოროტებისა!

ერთგულ ქვეშევრდომს და შორსმკვრეტელ ჩინოსანს ცალკე ალბომიც ჰქონდა, სადაც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტებს ინახავდა. ამ სურათებს ის ყოველთვის დიდი დაკვირვებით ათვალეობდა და, — ბედნიერი შემთხვევა იყოს ეს, გონების გამჭრიახობა ან იქნებ თვით ზეშთავო-

ნება, — ისე ენიშნა, რომ თითქმის ყველას მსხლის მოყვანილობის თავისქალა ჰქონდა... ზუსტად ისეთი, როგორც თვითონ.

ასესორმა მრავალჯერ შეამოწმა ეს უცარი აღმოჩენა და, ბოლოს, სავსებით დარწმუნდა თავისი დაკვირვების სიმართლეში... დიახ, ეკვმიუტანელი სიმართლე ვახლდათ!

და, აი, ამის შემდეგ მტკიცედ ირწმუნა, რომ ყველა, ვინც წესიერად აზროვნებდა, მსხლის მოყვანილობის თავისქალას მქონე იყო. აქედან კი თავისთავად გამომდინარეობდა ის ლოგიური, დედუქტიური დანასკევი, რომ აზროვნების პროცესი სავსებით დამოკიდებული იყო ადამიანის თავისქალას მოყვანილობაზე.

თავისი მოსაზრების სისწორე რომ ერთხელდასამუდამოდ დაედგინა, შეაგროვა აგრეთვე დაბალი წრიდან გამოსულ სხვაგვარად მოაზროვნეთა და საფრანგეთის რევოლუციის შეთაურთა პორტრეტები და ცხადჰყო, რომ თითქმის ყველას რგვალი მოყვანილობის თავი ჰქონდა. ამ ბეჭითი ანალიზის ჩატარების შემდეგ კი საბოლოოდ განუმტკიცდა რწმენა, რომ მისი აღმოჩენა ურღვევ, მტკიცე, მეცნიერულ ნიდაგზე იყო დაფუძნებული.

ამ საქმეში შტუბე იმდენად გაიწაფა, რომ საკმარისი იყო ერთხელ შეეხედნა ადამიანისთვის, უმალვე გამოარკვევდა, თუ რა პოლიტიკური მრწამსის კაცი იდგა მის წინაშე. აი, თუნდაც ერთი ასეთი უბრალო შემთხვევა: ამასწინათ, როცა მწვანეყვავილას ბაზარზე ხილს ყიდულობდა, დაინახა ვიღაც უცხოელი ახალგაზრდა, რომელიც ევროპაში შემოღებულ მოსასხამს ატარებდა. თვალი შეავლო თუ არა თავისქალაზე, უცბადვე ენიშნა, რომ ის საეჭვო პიროვნება უნდა ყოფილიყო.

— გაგებდავ და გკითხავთ, სადაური და ვინ ბრანდებით? — თავაზიანად შევკითხა შტუბე.

უცნობმა თავზაიანადვე უპასუხა, რომ ტომით პოლონელია და ვარშავიდან გადმოსახლებულია.

— ამბობებაში მონაწილეობისათვის ხომ არა?

პოლონელმა დაუდასტურა.

— მეც აგრე ვიფიქრე, — ღიმილით ჩაიქიჩილა თავისი მიხვედრილობით კმაყოფილმა შტუბემ და, ვიდრე გაკვირებული უცნობი რაიმეს ეტყოდა, გაშორდა.

ასე და ამგვარად მრავალი დაკვირვებისა და შემოწმების შედეგად მიგნებული იყო ბოროტი აზრების წყარო და სათავე. მაგრამ ეს არ შველოდა საქმეს. ამის შემდეგ ბუნებრივად წამოიჭრა მეორე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: უნდა გამოიძებნოს ბოროტი იდეების შესამაწინააღმდეგო ისეთი უებარი საშუალება, რომ ისინი ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრან. ამისათვის, უბირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ყველამ ერთნაირად იაზროვნოს... ჰო, ერთადერთი უტყუარი და ანმდვილად მკურნავი საშუალებაა... ოღონდ რა გზით, როგორ მიადწიოს ამას? ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, ძნელ საქმეს წარმოადგენს... მოსაზრება თავისთავად კარგია, მაგრამ მის განხორციელებას მრავალი დაბრკოლება ელოდება, და უმთავრესად ის, რომ ბუნებას ვერ უბრძანებ, როგორი აღნაგობის ადამიანი გაჩინოს და დაბადებითვე ყველას მსხლის მოყვანილობის თავისქალა დააყოლოს... უებარი საშუალება იქნებოდა, რა თქმა უნდა, მრგვალოთავიანების მოსპობა, მაგრამ ეს მეტისმეტად უწყალო ღონისძიებას წარმოადგენს, შესაძლოა ჯანყიც გამოიწვიოს და, გარდა ამისა, უბრალო ხალხის ყოლა საქირო და აუცილებელიც არის, — თუ ისინი არ იქნენ, ვიღაზე იმეფებ და სად შეაგროვებ ჯარს? რას იზამ, უნდა იარსებონ, ოღონდ საჭიროა მდაბიოთა თავისქალის აღნაგობის შეცვლა, რის შემდეგ მათი ტვინის ახალი განლაგება მოხდება და აზროვნების ცენტრიც სწორი მიმართულებით ამუშავდება...

ჰო, ჩინებული აზრია, ყოველივე ასეა, მაგრამ როგორ შეიძლება ამის განხორციელება? ამაზე ბევრს ფიქრობდა შტუბე, არაერთი უძილო ღამე დაათენ-

და ამ თავსატეხი ამოცანის გადაწყვეტაში, ბევრჯერ უიმედოდ ჩაუქნევია ხელი, და ბოლოს მაინც მიაგნო: უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო შეექმნა ყალიბი, რომელშიაც უნდა მოეთავსებოდა ახლად დაბადებული ბავშვის თავი... ამის მიხედვით უნდა გაზრდოდა და განევეითარებოდა ყრმას თავის ქალა... ამგვარი ღონისძიება არც თუ ძნელად ხორცს შეისხამდა იმის შემდეგ, როცა სამედიცინო ექსპერტიზის დახმარებით დადგინდებოდა ყალიბის უნიფორმა და მშობიარე დედებს დაურიდებოდათ როგორც სხვალდებულო მონხმარების იარაღი...

ნიქიერ კოლეგის ასესორს სხვა პროექტებზე უტრიალებდა თავში, მაგრამ მათ წერილმანად, მეორეხარისხოვნად თვლიდა.

წარმოშობით შტუბე გერმანელი იყო. მართალია, მისი წინაპრები სარწმუნეობით ლუთერანები იყვნენ, მაგრამ თვითონ, ჩადგა თუ არა სახელმწიფო სამსახურში, ხელმეორედ მონათლა მართლმადიდებელ ეკლესიაში და, როგორც, საერთოდ, პროზელიტებს ჩვევიათ, უერთგულესი დამცველი შეიქნა ტახტისა და უწმინდესი სინოდისა. იმპერიის სასარგებლოდ მოღვაწეობა თავისი სიცოცხლის გამართლებად მიაჩნდა და ამიტომ იყო, დიდი პედანტობით მუშაობდა პროექტებზე და ტრაქტატებზე.

შტუბე ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მისი იდეები გაიმარჯვებდნენ... მხოლოდ გულდასმით შრომა და მოთმინებაა საჭირო, და ნანატრი ყალიბის საილუმოც მიგნებული იქნება... ღმერთო, რა თვალუწვდენი პერსპექტივა გაიშლება ამის შემდეგ! რა უცბადვე აისერის ბედი იმ იერარქიული კიბის უმაღლეს საფეხურზე!.. იქნებ სიცოცხლეშივე ძეგლიც დაუდგან სატახტო ქალაქის მთავარ მოედანზე, თვითონ კი ჩაუვლის

ხოლმე გვერდს და ზოგჯერ ღიმილითაც ახედავს მარმარილოში რტამოცქვსილ თავის ორიულს: — „რტგორა... ხსსს... მხოვბილო? ქულს იხდიან თუ არა გამვლელები შენს წინაშე?..“ ქალაქის მოსახლენი, რომელნიც ნევის პროსპექტზე მიმავალს შეხვდებიან, ვაკვირვებით გააყოლებენ თვალს და იფიქრებენ, რომ კვარცხლბეკიდან ჩამოსულა ვაცოცხლებული ქანდაკება და ქვეითად გასეირნება უნებებიაო... სასახლესთან კი თვითონ მონარქი შემოეგებება ასაბიით, ხელს გაუწვდის და მეგობრულად ეტყვის: — „შენ ყველაზე ერთგული ქვეშევრდომი ხარ ჩემი! დამეწვიე ფიჯან ყავაზე და ვისაუბროთ სახელმწიფო საქმეებზე! მირჩიე, კიდევ რა გავაკეთო იმპერიის საკეთილდღეოდ!“ — „ოჰ, არა, არ ღირს ვარ ასეთ ყურადღებას და წყალობას, მე მხოლოდ ფეხთა მტვერი ვარ შენი და ჩემს სამღვთო მოვალეობას ვასრულებ შენს წინაშე!“... ასე მოკრძალებულად და თავმდაბლად უპასუხებს, ხოლო გულში კი გაიელვებს: მართლაც უძლური იქნებოდა იმპერია, თავისი პროექტებით რომ არ მიშველებოდა... მერმე კი, მერმე... არა, საჭირო არაა ამ წუთში ამაზე ფიქრი! ამის წარმოდგენა მხოლოდ რეტს დაასხამს, თავბრუს დაახვევს ახლა!... განვედ, ო განვედ ჩემგან, მაცდუნებელო!.. ტკბილ ოცნებაში გახვეულს, უეცრად ისევ კოლოს ბზუილი მოესმა. სადღაც სულ ახლო უტრიალებდა და, ცხადია, ხორთუმს უმიზნებდა. ბრაზმორეულმა შტუბემ თავი აღარ დაზოგა, რაც ძალა ჰქონდა მოიქნია ხელი, იტყია ყურში, მაგრამ მერე შევებით ამოისუნთქა: ამჯერად ბედმა გაუღიმა და აბეზარი მწერი ზედ ბიბილოზე მიასრისა... ახია იმ წყეულზე! მიიზლო ჯეროვანი! „როგორც იქნა, მოსვენების საშუალება მიეცა. უშიშრად გაიშხლართა და გაინაბა. იწვა გასუდრული და დიად დარ-

ჩენილი შუშის თვალით მიშტერებოდა კედლის იმ ადგილს, სადაც სურათი ეკიდა. კიდევაც ჩათვლიმა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოერკვა და წამოღდა, — უკვე დრო იყო დარბაზობაზე წასასვლელად.

საზეიმო მუნდირი ჩაიცვა და მაიორის ცოლთან გასწია.

IV

დარბაზობა სამხედრო შტაბში იმართებოდა. მოწვეულთ უკვე თავი მოეყარათ, როცა შტუბემ ნაქირავეები ეტლი მოედანზე გააჩერა და თანამგზავრები გადმოსხა. პატარა მოედანი სავსე იყო ერთმანეთში არეული ლინეიკებით და დაუნაგრებული ცხენებით. ისმოდა მეჯინბეთა ყაყანი და გინება.

შტუბემ გაჭირვებით გაუკაფა გზა თავის მანდილოსნებს და შენობაში შეუძნდა. შიგნით სასულე ორკესტრი ავუგუნებდა მარშს და დამაყრუებლად ბრაზხუნობდა ბარბანდი. ორ მოზრდილ დარბაზში სტუმრები ძლივს ეტივნენ. უმეტესად ჩანდნენ ოფიცრები და ჩინოსნები თავისი მეუღლეებით. მათ შორის აქა-იქ ერივნენ თეთრჩოხიანი ახალგაზრდა იმერელი თავადები და აზნაურები. ყურთმაჯებიანი დარბაისელები და ჩისტეკობიანი ქალები, რომლებსაც მასპინძლის ენაზე ლაბარაკი არ ეხერხებოდათ, ცალკე ისხდნენ და, მოწყენილობა რომ არ დამჩნეოდათ, ერთმანეთს დინჯი საუბრით ართობდნენ.

ცხელოდა. ისედაც შეხუთულ ჰაერს ქონის სანთლების და მურის სუნი შეერეოდა. სანთლები ბოლავდა, მალე იწვოდა და კედლებზე მიშედილი შანდლებთან საგანგებოდ დაყენებული სალდათები იძულებული ხდებოდნენ ხშირ-ხშირად შეეცვალათ ისინი. მესამე ოთახში ბუტერბროდებით და სასმელებით გაწყობილი გრძელი სუფრა იდგა. აქ უმეტესად სხვებთან შედარებით წვრილფეხა ოფიცრები და ჩინოსნები გროვდებოდნენ, ფეხზე ილუქებოდნენ და არაყს ეტანებოდნენ.

ქენევიევა უმაღლვე გაერია ხალხში და

2. „მნათობი“, № 6.

შეეცადა ყველასთვის დაენახებინა, რომ ისიც ესწრებოდა საზეიმო შეკრებილობას. ჩამოუარა ნაცნობებს, ბევრს შეეხალისა და ყველგან თავისი ღიმილი დააფრქვია. თან დაჰყავდა შვილობილიც და აცნობდა მათ, ვისაც ჯერ არ ენახა. ქალიშვილი საერთო ყურადღებას იქცევდა. კრინოლინის ყაიდაზე შეკერილი კაბა ეცვა, მაგრამ ეს ფარფაშა ტანსაცმელიც ვერ ფარავდა მის უნაკლო ტანადობას. თვალბეჭე ჩვეულებრივზე სხივიანი და გაბრწყინებული ჰქონდა ახლა, რასაც დედობილი იმას აწერდა, რომ ის გახარებული იყო ამ მაღალ საზოგადოებაში ყოფნით.

— ვხედავ, თვით ღმერთს ჩაუდენია ცოდვა, რომ ჩვენს საცდუნებლად ასეთი მომხიბლავი გაუჩენიხართ! — მაღალფარდოვანი ქათინაურით მიუალერსა მაიორის შვილობილს ერთმა ვაჟაკური შესახედობის გენერალმა, — ახ, რომ უფლებაც აღარ მექვს უფრო გაბედულად გამოვხატო ჩემი აღტაცება! ჩემს ჭაღარას რა ვუთხრა, თორემ..

მაშინვე ჩაჰკიდა ხელი და თვით იმერეთის მმართველთან მიიყვანა:

— თქვენო აღმატებულებავ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ მაიორ ბელოუსოვის შვილი...

იმერეთის მმართველმა ჯერ თავაზიანად ჩამოართვა ხელი ქალიშვილს, ხოლო შემდეგ კიდევაც შეიჩერა.

— ჩინებულია, საუცხოოა! — კმაყოფილებაზე მეტი რაღაც აღებეჭდა სახეზე და ის ფეხი შეუტოკდა, ახალგაზრდობაში რომ კანტუზიამ ოდნავ დაუზინა. — ჭეშმარიტად ბედნიერი მამა გყოლიათ! — ერთხელ კიდევ ღიმილით შეავლო თვალი და მერე გენერალს ხალისიანად მიმართა: — შეიტანეთ ბელოუსოვი სიაში. თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი შვილი გაუჩენია, ჯილდოს ღირსია მაიორი!

ასეთი ყურადღება რომ მიიპყრო გლამამ, არც თუ სიამოვნებდა შტუბეს. ისე ეჩვენებოდა, რომ ამით როგორღაც მდაბლდებოდა მის თვალში და რაღაც ზღვარი ჩნდებოდა მათ შორის. უნებურად გაუელვა თავში, რომ უკეთესი აქ-

ნებოდა გლამა სულაც არ მოეწვიათ და არავის ენახა ამ საღამოს.

ერთადერთი, რაც გულს უმაგრებდა, ის იყო მხოლოდ, რომ ქალიშვილს არ ემჩნეოდა სიხარული იმ ქათინაურების გამო, რომელიც ყველასაგან ესმოდა. პირიქით, თითქოს არც სიამოვნებდა. ამ ახმაურებულ დარბაზში მორჩილად დაყვებოდა დედობილს და ისე გულგრილად, უხალისოდ მიმოიხედავდა ხოლმე, თითქოს გარშემო სიცარიელე ყოფილიყო.

ჯერ კიდევ გზაში ენიშნა შტუბეს, რომ მდუმარე გლამა თითქოს თავის გულს ელაპარაკებოდა, რაღაც ფარულ ზრახვას შეეპყრო და აფორიაქებულიც იყო. რის გამო? რატომ? რით შეიძლებაოდა ამის ახსნა? ამ დილით ეზოში მათი პირისპირ შეხვედრისა და დაწყებული საუბრის შემდეგ ხომ არა? შტუბეს ძალიან უნდოდა, რომ მშენი ეს ყოფილიყო, ამის გაგებას იჩქაროდა და ახლა მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე დრო ეხელთა და გაენაპირებია.

ორკესტრმა საცეკვაო დაუკრა და წყვილები დატრიალდნენ. ასესორმა მანინვე გლამას მიაშურა, მაგრამ ქალიშვილთან უეცრად ვიღაც ახალგაზრდა ოფიცერი მიიჭრა და შუა დარბაზში გვიყვანა. სახტად დარჩენილ შტუბეს მაიორის ცოლი შერჩა ხელში და იშულებული შეიქნა ის მიუხატიყებინა. ენევეიევა ფრიად კმაყოფილი დარჩა მისი თავაზიანობით, ღიმილით დაასაჩუქრა და ისიც აღუთქვა, რომ ყოველგვარად ეცდებოდა დაუფასოს ყურადღება.

მეორედ უვლიდნენ წრეს, როცა შტუბემ თვალი მოკრა გლამას, — კედელთან მდგარს, რამდენიმე ახალგაზრდა ეხვია. ამის დანახვაზე მაიორის ცოლთან ტრიალი წამებათ ექცა და ფეხებიც აერია. ენევეიევამ, რომელსაც პირველი შემოსვლისთანავე ქოშინი აუვარდა, მიზეზი იშოვა და დასვენება შესთავაზა.

— მგონი დაგლალეთ, — მინახებულად გადახედა და სკამზე მიუთითა შექარსლებულ კავალერს. — თქვენც აქვე, ჩემთან ახლოს... უფლებას არ გაძ-

ლევთ ჩემს შემდეგ სხვა ვინმე მიიპატიოთ. თუ მაინცდამაინც, ტუქტი გოგონა, მეტი არავინ... *სიხარულით*

შტუბემ მანინვე მოცილდა, გლამასთან მივიდა და მის გვერდით აიტუზა. ახალგაზრდები საცეკვაოდ იწვევდნენ ქალიშვილს, მაგრამ ის სიცხეს მიზეზობდა და უარს ამბობდა.

— იქნებ ჯობდეს პაერზე გავიდეთ? — გაუბედავად, ძალიან ფრთხილად შესთავაზა შტუბემ.

გვაშეყანი უცბადვე დათანხმდა. მკლავში ხელიც კი გაუყარა და გასასვლელისაკენ ააჩქარა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა დიდად გააზიზივდა შტუბემ. გარეთ, შტაბის ბაღში, სხვებიც აღმოჩნდნენ და მათ რომ ხელი არ შეეშალათ, განმარტოებულ ადგილის ძებნა დაიწყო. ერთ ბნელ კუთხეში დაბლა დახრილი ძეწნის ტოტებქვეშ მერბი შეამჩნია და იქ დასხდნენ. შტაბიდან სინათლე მოჩანდა და ორკესტრის გუგუნი მოისმოდა.

შტუბემ ლაპარაკი სცადა, მაგრამ ქალიშვილმა მოუბოდიშა და თხოვა გაჩუმებულიყო. თვითონაც მდუმარედ იჯდა, თითქოს რაღაც ხმას მიყურადებულყო და მიდარაჯებულიყო.

დრო კი გადიოდა. თვითუფილი წუთის დაკარგვა საბედისწეროდ მიანდა მოუთმენელი ლოდინისაგან განერვიულებულ ასესორს და გადაწყვიტა ახლავე, ყოველგვარი შესავალს გარეშე ეთქვა, რაც საჭირო იყო.

— მოგესხენებათ, მე თქვენ ამ დილით ვესტუმრეთ და... მინდა განვავარძო მაშინ დაწყებული საუბარი... ხომ გახსოვთ?

ქალიშვილს არ უპასუხებია.

გულისნადების ერთბაშად მიხლა მაინც ვერ გაბედა შტუბემ და ისევ ის არჩია, რომ მოკლე შესავალი წამებდებოდა. ჯერ ახსენა ღვთაებრივი ძლიერი გრძნობა, რომელიც დაეუფლება ხოლმე ადამიანს, მერე დახატა თავისი მომავლის თვალწარმტაცი სურათი, თანდათან ეშში შევიდა და თქვა, რომ ბედნიერი იქნება ის არსება, ვინც სიცოცხლის დღეებს მასთან დააკავშირებს: მე-

ულეს ფუფუნებაში ამყოფებს, ის მიღებული იქნება უმადლეს საზოგადოების წრეში და სატახტო ქალაქის დიდ ცხოვრებას ეზიარება...

გვაშაყანი გასულრული იყო. შტუბეს სასიკეთოთ ენიშნა მისი სიჩუმე და იმედი მიეცა, რომ ნატიფი მჭერმეტყველებით სასურველი ზეგავლენა მოახდინა გამგონებზე და მიახვედრა კიდევაც ყოველივეს, მაგრამ თუ ის გარინდებული იქნა, ეს, ალბათ, იმიტომ, რომ დედობილის დაუკითხავად ვერ გაებედნა თანხმობის გამხელა.

სიჩუმე გახანგრძლივდა.

— ნება მიბოძეთ გავიგო, რა არის საგანი თქვენი ესოდენ ღრმად ჩაფიქრებისა? — მეტი ლოდინის თავი აღარ ჰქონდა შტუბეს. — მითხარით, ღვთის გულისათვის მითხარით ყოველივე, დაუფარავად!

უეცრად გვაშაყანი წამოდგა და შემფოთებით შეეკითხა:

— რა იყო ეს? ბუკი იყო? მომეჩვენა, თუ თქვენც გაიგონეთ?

ერთხანს ისევ მიყურადებულ იყო და მერე მძიმედ დაეშვა მერსზე.

შტუბეს ხმა ჩაუწყდა. რა მოხდა, რამ შეაერთო გლაშა? ან რატომ უნდა შეშინებოდა ბუკის ხმაზე, რომელიც, ალბათ, ყოველთვის ესმოდა ღამით, როცა ჯარისკაცების ძილის დრო დადგებოდა?! გარკვეულ პასუხს ელოდა მისგან და ამის ნაცვლად მხოლოდ უხეირო სიტყვა „ბუკი“ გაიგონა. ამაში კი არც თანხმობა იყო და არც უარი... ან იქნებ სხვა მნიშვნელობით იყო ნახსენები ბუკი და რაიმე ქარაგმას წარმოადგენდა? ერთხელ, რომელიღაც წიგნში, ამოკითხული ჰქონდა, რომ სამხრეთის ხალხს იგავით, ნართაულით თქმა უყვარსო და ხშირად ისეთ იღუმალ სამოსელში გაახვევს სიტყვას, რომ თავისტება გვეკირდება მისი ნამდვილი შინაარსის გასაგებადო... ალბათ, აქაც რაღაც იგავი იმალებოდა, თორემ რა აზრი ჰქონდა ბუკის ხსენებას..

ის იყო დააპირა უქარაგმო, პირდაპირი პასუხი მოეთხოვა მისგან, როცა ქარაგმების მხრიდან მართლაც მოესმა ბუკის გამკვივანი ხმა. ამის გაგონებაზე წამოიჭრა გვაშაყანი, მიატრია მერსი, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ უმაღლე შემოტრიალდა:

— აქ დამიცადეთ, ახლაც მოვალ... დედას ვნახე და დავბრუნდები... იცოდეთ ფეხი არ მოიცვალათ ამ აღგილიდან! — თქვა და გაქანდა.

შტუბემ თვალი გააყოლა, სანამ ის შტაბის შენობაში შევიდოდა და, დაიმედებულმა, რომ მალე ისევ ნახავდა, ტბილ ოცნებას მიეცა ძეწნის ძირში ჩამომჯდარი.

გვაშაყანმა შეირბინა დარბაზში, მოქებნა დედობილი, მოეხვია, გადაკონა, სწრაფადვე გარედ გაიჭრა და ალაყაფის კარი გაიარა.

მოედანზე სიჩუმე იყო, სადღაც ცხენი ფლოტკებით მიწას ფხოკნოდა.

მარჯვედ გაძვრა ეტლებს შორის, რომლებზედაც მეჭინიბები ხვრინავდნენ და ქუჩის კუთხეს გაუსწორდა თუ არა, მურზაყანიც დაინახა. მასთან ერთად უცნობი ახალგაზრდა სვანიც იყო, რომელსაც სამი ცხენი სადავით ეჭირა.

— არა, ოდით ალარ. იმ გზაზე შესაძლოა სალდათებს შევეფეთოთ. ასე ვარჩიეთ, ლატფარით გადასვლა აჯობებს. — გვაშაყანს უნაგირზე დასაჯდომად და უზანგებში ფეხების გაყრას ეხმარებოდა მურზაყანი. ბოლოს ნაბადიც შემოახურა. — ცისკარზე ორბელში ვიქნებით, ერთ დღეს იქ შევიცდით და მერე ცხენისწყლის ხეობას ავუყვებით...

პირჯვარი გადიწერა და ორთავეს გადასძახა:

— აბა, დროა! — მოახტა უნაგირს და წინ წავიდა.

ნელა გაიარეს ქალაქის ქუჩები და როგორც კი გასცდნენ უქიმერიონის ფერდობს, ცხენებს ქუსლი ჰქრეს და სადავე მიუშვეს.

სანდრო მანიაშვილი

ღ ა მ ი ს მ თ ე ვ ე ლ ი

იყავ ამქვეყნად ღამისმთეველი,
რამდენი დამრჩა დაუძლეველი,
მხოლოდ დაეღეწე ტახის ეშვები
და ახლა მთიდან დაბლა ვეშვები!

თუ გსურს შენც იყო ღამისმთეველი,
ტვირთი ასწიო დაუძლეველი, —
რჩევა მიიღე ამხანაგური,
ხალხს გამოსთხოვე შენთვის
ჩანგური!

შალვა ღაღინის ხსოვნას

აედარში შეგხვდები, ძვირფასო შალვა!
ღამის გვიმსხვერპლა ყინვამ და
გვალვამ!
მაგრამ შენ იყავ მხნე და მგზნებარე,
მტკიცე ნებისა, გრძნობით
მღელვარე.
ცხოვრების ტალღებს არ უკრთებოდი,

ბნელში შენ ღამპრად აინთებოდი.
და იმ ღამეში, იმ ჩვენს არეში,
სად არ ცხრებოდა მტერთა თარეში, —
შენ იყავ. მარად ჩვენი ძმობილი,
უამთა სიავით გამოწრთობილი.
ერთგულს ურჩენდი გულში იარებს
და დაგვძახოდი: „სულ წინ იარეთ!“


მე წავალ, მაგრამ

მე წავალ მაგრამ ვინც აქ დარჩება,
ისიც ოდესმე თან გამოიყვება;
ნათელ მზეს არვინ შეაბურღება...
მაშ რად ბობოქრობს
წითელ-ლოყება?

კარგი რამ დარგე, ნაყოფს ისხამდეს,
კიჭაში მოძმე ნექტარს ისხამდეს;
ხარობდეს. ვიდრე თან გამოიყვება
ის გულზვიადი წითელ-ლოყება

საზეიმოდ მოდი ჩემთან

საზეიმოდ მოდი ჩემთან,
ჩირალდანი ავანთოთ.
ღამაშებთან ტაში დავეკრათ,
ერთმანეთი გავართოთ.
შენც იმღერე, მეც მამღერე,
ცეკვით გავინავაროთ.
ვეძახი და ველი მოძმეს
გულის ნატვრა გამიგოს;
სიხარულის და სიამის



ბროლის კოშკი ამიგოს;
 გაზაფხულის ფერადები
 უხვად ფეხ-ქვეშ გამიგოს.
 ცბიერმა და მოლაღატემ
 მახე ველარ დამიგოს.
 სასურველი, სანატრელი
 ასრულდება — ახდება!
 უქმური და საძაგელი
 ვერ იგვარებს, წახდება!
 ვინც არა ჩანს — გამოჩნდება,
 საამაყო გახდება!
 მითხრეს: ხალხი სუფრას გაშლის
 ყველგან, მთა და ბარათო.
 მოდით ჩემთან, ლხინს დავესწროთ
 ჩირალდანი ავანთოთ,
 ლამაზებთან ტაში დავკრათ,
 ცეკვით გავინავარდოთ!
 ჩემს აბრეშუმს ამოვკეცავ
 ნახე, როგორ დავართო;
 მიჯნურს სევდას მოვაშორებ,
 ნახე, როგორ გავართო!
 ჩემს მდინარეს ამოვწმენდავ,
 ნახე, ნაფი წავმართო!
 საზეიმოდ მოდი ჩემთან,
 ჩირალდანი ავანთოთ.
 ლამაზებთან ტაში დავკრათ,
 ცეკვით გავინავარდოთ!



გრიგორ ჩიქოვანი

მშრისგება

ოდიშური მოთბობებიდან

I

მთების ვიწროებში ფლოქვების თქრიალი გაისმა. უმალ ახალ გაყვანილ შარაზე იანიჩრები გამოიჭრნენ, ბულში გაეხვივნენ და უკან მტვრის გრძელი კუდი მოიტოვეს.

— გზა, გზა, ჰეი, გზა!

დაუსრულებელ სივრცეზე გაჰიმული, ტყით დაბურული მთაგრეხილები ცას სწედებოდა. გზა მთებს გასდევდა, მარცხნივ მაღალი, პიტალო კედელი მიჰყვებოდა, მარჯვნივ — უფსკრული.

— ისქანდერ ალი!

— ისქანდერ ალი მოდის!

აწრიალდნენ გზის მშენებლები. ხელი უშვეს ბარსა და წერაქვს, აქეთ კედელს გაეკრნენ, იქით ბუჩქებს წაატანეს ხელი, რომ უფსკრულში არ გადაცენილიყვნენ.

— გზა, გზა, ჰეი, გზა, ძაღლებო!

ერთიმეორის წაბმით მიჰქროდნენ მხედრები. მტვერში რიალებდა და ელავდა იანიჩართა წითელი ქუდები, ისმოდა ფლოქვების თქრიალ-თქარუნი, გზის მშენებელთა შრომით განაწამებ ცხვირ-პირზე და შიშველ ზურგზე მათრახების ზუზუნ-ტაკიანი...

მდინარესთან გლეხებს გრძელი ხიდი შეუყრავთ, მაგრამ ბრჯენები ჩადგმული არ ჰქონდათ, მხარზე გადებული შეჰქონდათ წყალში. აჩქარებდა მოხუცი ოსტატი, თან გზას გაჰყურებდა. აჩქარებდნენ იანიჩრები. მათაც გზისკენ ეჭირათ თვალი. სახეზე ხვითქი გადასდიოდათ, ძლივს აკავებდნენ გაქაფულ ცხენებს,

მწვერებივით ერთმანეთზე გაკრული ფერდები გამალებით რომ აულ-ჩაული-ოდათ.

— მოკიდე ხელი!

— გასწი!

ფრთხილად აბიჯებდნენ გლეხები მდინარეში. ნელა მიიწვედა მეორე ნაპირისკენ ხიდი.

ავარდა მტვერი მოსახვევში. გამოჩნდნენ ცხენოსნები. წინ თურქთა სარდალი ისქანდერ ალი მოჰქროდა. ამაყი და ძლიერი ოქროსფერ ულაცს მოაგლეგებდა. ქედზე შემოხვეულ თეთრი დოღბანდის მოკლე ტოტს ქარი უფრიალებდა და მის ზანგივით შავ სახეს, სისხლივით წითელ ქუთუთოებს, კეხიან ცხვირს უფრო გოროზ იერს აძლევდა.

მის გვერდით მოჰქროდა მასავით კუშტი, ოდიშის დედოფლის კესარია და დიანის სახლთუხუცესი ბეშქენ ფალა. ჩია ტანი გამართულად ეჭირა უნაგირზე, სშირი წარბების ჩრდილში მკაცრად უელავდნენ მსხვილი, გადმოქაჩული მწვანე თვალები. მაღალი ბოხობი კიდევ უფრო პატარას აჩენდა მის მუშტის ოდენა სახეს. ძლივს აოკებდა ცხენს, რომ ისქანდერ ალისთვის არ გაეხსწრო.

უკან მდიდრულად ჩაცმული, თორაბჯარში ჩასილალებული თურქთა და ოდიშელთა ამაღა მოსდევდა ისქანდერ ალის და ბეშქენ ფალას.

შეადგეს ხილზე ცხენები. მკერდამდე წყალში იდგნენ გლეხები. თქრიალებდა მათ თავზე ფლოქვები. ვერ უძლებდნენ საშინელ სიმძიმეს, წელმოწყვეტილთ

ნაფოტებივით იტაცებდა ტალღები. ირწეოდა, დაბლა იწევდა ხიდი.

შუბლი შეიკრა ისქანდერ-ალიმ. დიანახა ეს სახლთუხუცესმა, ხელი აიქნია. ამალის ბოლოს მყოფმა მხედარმა მსწრაფლ იშიშვლა ხმალი და ხიდთან მდგარი გზის ოსტატის თავი მიწაზე გაგორდა.

— მოუშნადებელი ხედები ბატონიშვილს, თავადო, — უთხრა სარდალმა ბეშქენ ფალას, — შენთან ერთად დღეს მეც ვარ მისი მასპინძელი.

2

ცხენისწყალზე ვადმოსულმა ცხენოსანთა მცირე ჯგუფმა ოდიშის მიწას დაადგა ფეხი. თეთრდართიანმა კაბუკმა, რომელიც მღელვარებას ვერ ფარავდა, ერთბაშად მიუშვა ლაგამი. სხვები ჯერ მდინარიდან არ გამოსულიყვნენ, რომ მისი ფაშატი შურდულის ქვასავით გაიჭრა ჰალაზე. უზანგებზე წამომდგარი წინ გადახრილიყო და ხარბად აცქერდებოდა თითქოს მის შესაგებებლად დაძრულ დანგრეულ და გადამწვარ ნასახლარებს, მორღვეულ ღობეებს, აჩეხილ ვენახებს, ჩაქცეულ ჭებებს, მიტოვებულ ყანებს. თვალი აუჭრებდა. ქანდაკებასავით იდგა უზანგებზე და არაფერს გრძნობდა გარდა ტყვილისა, რომელსაც დიდი ხნის უნახავი და აობრებული სამშობლო განაცდევინებს ადამიანს. ფაშატი ყურებდაწყურული მიჰქროდა, სწრაფი სრბოლით გრძელი ფაფარი ცეცხლის ალივით ბრიალებდა მხედრის წინ. არ ცდილობდა ცხენის დაოკებას, უნდოდა სწრაფად გაეელო გზა, ეხილა დიდი ხნის უნახავი მიწა, ცა, წყალი.

— ანდამატივით იზიდავს თავისი მიწა-წყალი ადამიანს.

უთხრა ესეიკა წერეთელმა გვერდით მომყოლ ცალთვალა თავადს პოკინა აბაშიძეს, რომელიც ზვინივით იჯდა ცხენზე, იმდენად ბრგე და მალალი იყო, ფეხებით თითქმის მიწას სწვდებოდა. ტუჩის კუთხეში გარკობილ გრძელტარჩან თიბის ყალიონს წრუპავდა, აბრეშუმის

ახალოსის საყელოს ღილილოებზე შეხსნილი ჰქონდა და ბანჯგვლიანი მკერდი ნიავისთვის მიეშვირა. თვალმოკმტბულე გაჰყურებდა წინ გაჭრილ ნათლულს.

— აიწყვიტა ბატონიშვილმა, — პირიდან ყალიონი გამოიღო, — ხოხო, რას მიფრინავს! მოკლავს ცხენს, — ღიმილის შუქმა გაუნათა მთელემაჩე თვალი, გამოფხიზლდა, — წელიწადი ჯაჭვით მყავდა დაბმული... არ გაედევნო, ბიჭო! — მიუბრუნდა უცებ თეთრდართიანის ძიძაშვილს, ცხრაშეტი წლის უტა ესართიას, რომელმაც ის იყო ცხენს ქუსლი ჰკრა, რათა ბატონიშვილს გასდევნებოდა. — განმარტოვდეს. ასე ჯობია. ძნელი მოსანელებელია სამშობლოს სევდა.

— ხიფათს რასმე არ გადაეყაროს, ბატონო, — მორიდებით მიუგო თავადს უტამ.

— მაშ, შორიახლო გაყევი.

უტამ გზიდან გადაუხვია და მინდორზე გააგდო ცხენი, რომ მოკლედ მოეჭრა.

— ვერც ჯაჭვით გავაჩერებდი ბატონიშვილს, ვერც რჩევა-დარიგებით და ვერც კესარიას მუდარით სავსე წერილებით, ეს ლაწირაკი რომ არა, — თვალი გადადევნა აბაშიძემ უტა ესართიას, — ძიძაშვილი მინახავს, მაგრამ ასეთი არა, — გადააპურჯყა და ყალიონი ისევ ჩაიღო პირში, თვალი კვლავ მილულა და ბურანში გაეხვია. — ისე არიან ერთმანეთში, ვერ გაიგებ, რომელია ბატონიშვილი და რომელი ძიძაშვილი.

— ნათესაობაში განსხვავება არ იციან ოდიშელებმა, — უთხრა ესეიკა წერეთელმა, — ამ ქვეყანაში ბატონი და ყმა ერთ ტაბაკს უსხედან.

— ვერც ქონებით გაარჩევ ამ ხალხს ერთმანეთისგან. ნიფხავი არც თავადს აცვია და არც გლეხს, — აბაშიძემ ისევ გადააპურჯყა და განაგრძო: — შეხედე. თურქს მთლად გაუსწორებია მიწასთან. ისედაც დაქცეული სამთავრო!

— ჩვენც ეგ დღე მოგველის, ბატონო პოკინა, — უთხრა წერეთელმა აბაშიძეს, — რავე გგონია, ისქანდერ ალის ბატონიშვილი მოენატრა და იმიტომ უგ-

ზავნიდა მოციქულებს, დაბრუნდი, მოუარე შენს სამთავროსო! მეტი არაა შენი მტერი, ის ვამეყს კარგი საქმისთვის არ იწვევდეს. ბეშქენ ფალას და ისქანდერ აღის, თურმე კული კულზე აქვთ გადაბმული.

— გატეხს ვითომ სიტყვას ის ურჯულო? — ყალიონი გამოიღო და ისევ გადააპურჭყა აბაშიძემ.

— რატომ? პასუხს მოსთხოვს ვინმე თუ? — გაიცინა ესიკა წერეთელმა.

— კარგი ვაყაყიაო, ამბობენ.

— რომ არ გატეხოს, სულთანს თავს გაუტეხს.

აბაშიძემ თვითონაც იცოდა, კარგი საქმისთვის არ იზარებდა ისქანდერ აღი ბატონიშვილს, იცოდა, რომ უსათუოდ გატეხდა პირობას, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა, ვითომ ეჭვი ეპარებოდა იმაში, რაც მისთვის დღესავით ნათელი იყო და უსათუოდ იკითხავდა, ვითომ ასე იქნებო? თან დამცინავ ღიმილს ვერ ფარავდა ამ დროს. ახლაც ასე იყო. წერეთელი ძმასავით შეზრდილი იყო პოჭინასთან და კარგად იცოდა მისი ჩვეულება. ყურადღება არ მიაქცია მის დამცინავ ღიმილს და ეჭვიან კილოს.

— მაინც რა აზრი გაქვს, რისთვის იზარებს ისქანდერ აღი, ბატონიშვილს? — ჰკითხა აბაშიძეს.

— საეჭვო ბევრია... შეეცდი, ჯერ არ უნდა ამეხსნა ის ჭაჭვი, ბატონიშვილისთვის.

— ბევრჯერ გავყიდულვართ ოქროში, — თქვა ესიკა წერეთელმა, — ამან გავგვტეხა წელში.

— გამყიდველებს სამაგიეროც მიზღვიათ, — გადააპურჭყა აბაშიძემ და ტუნი მკლავით მოიწმინდა. მისმა ცალმა თვალმა ორი თვალის მრისხანებით გაივლია.

— ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა და. შევუნდოთ ცოდვილთ, — პირჯვარი გადაისახა ესიკა წერეთელმა.

— ძალი მიაკვდა მათ სულს, — თქვა აბაშიძემ, ყალიონი ხელისგულზე ლაიბერტყა და ახლად გაწყობას შეუდგა, მაგრამ გადაიფიქრა და ჯიბეში ჩაი-

ღო. — ესიკა, რალაც არ მომწონს საზღვარზე რომ არავინ დაგვხვდა. სულ მიატოვა ვითომ თურქმა საყარაულთუბი?! — ცხენს ჭუსლი ჰკრა, — რალაც საწყენს მეუბნება მხარი. რაიმე ხიფათი არ შეამთხვიოს ფალამ ბატონიშვილს...

დადიანი ერთი წლის გარდაცვლილი იყო, დედოფალს რომ ამბავი მიუტანეს, თურქი ოდიშზე თავდასასხმელად ემზადებო. კესარიამ მაშინვე კაცი აფრინა პოჭინა აბაშიძესთან, რომ მას თავისი ნათლული, რომელიც გელათში სწავლობდა, არ გამოეშვა. ჩვიდმეტი წლის ბატონიშვილს ლაშქრის სარდლობას ვერ ანდობდა, ერთადერთ მემკვიდრეს ხიფათში ვერ ჩაავდებდა.

კესარიამ მთავარსარდლობა თავის ძმას — ბეშქენ ფალას დაავალა. მხოლოდ მას ენდობოდა დედოფალი, რადგან მთავრის სიკვდილის შემდეგ ბევრ დიდგვაროვან თავადს უღიტიწებდა გამთავრების ჭია. კესარიამ არ იცოდა, რომ ვამეყის ყველაზე უფრო საშიში მოშურნე, თვითონ ბიძამისი, ბეშქენ ფალა იყო და ამიტომ ებრძოდა თავგამოდებით მოქიშპეებს. კესარიას კი ეგონა, მისი ძმა ვამეყისთვის ზრუნავდა.

დედოფალმა არც ის იცოდა, რომ ხალხში დაბეჭოთებით ამბობდნენ, მთავარს ფალამ ჩაუსხა ღვინოში საწამლავი და უკურნებელი სენმა შეყარაო. მთავრის სიკვდილის შემდეგ ბატონიშვილი უნდა მოეშორებინა თავიდან, მაგრამ ვამეყი გელათში იყო, იქ პოჭინა აბაშიძემ პატრონობდა. ამ თავადს როგორც ძალს კატა, ისე ეჯავრებოდა ფალა და მის გამოგზავნილ კაცებს სათოფეზე არ აკარებდა ნათლულს. პოჭინას შიშით ძირს ჭიანჭველა ვერ გაივლიდა და მაღლა ფრინველი. ბეშქენი კარგად იცნობდა აბაშიძეს, შერიგებული იყო იმ აზრს, რომ ქუთაისში ბატონიშვილთან ხელი ვერ მიუწვდებოდა და მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა სხვა გზით მოუვლიდა ამ საქმეს.

ლოდინი დიდხანს არ დაჰჩირდა. როგორც კი გაიგო, თურქი ოდიშის დასალაშქრად მოდისო, გადაწყვიტა ისქან-

დერ აღის მეშვეობით გამოთვრებულიყო. ოსმალთა სარდალს აცნობა, მე მოჩვენებით ბრძოლას ვაგვიმართავ და მალე დაგნებდები, თუ მთავრობას ჩამაბარებო.

ისქანდერ ალიმ დასტური არ დაუყოვნა. ფალამ ჭარის ნახევარზე მეტი შეაკლა მტერს და დანებდა. ყველასათვის ნათელი გახდა ასეთი დიდი მსხვერპლის და უცნაური დამარცხების მიზეზი, მაგრამ აშკარად თქმას ვერაფერს ვეძიებო. იცოდნენ დაუნდობელი სახლთუხუცესი არავის აპატიებდა. მერე ისქანდერ ალიმ ფალა თავის მარჯვენა ხელად რომ გაიხადა, მხოლოდ ვინმე თავზეხელაღებული თუ გაიხსენებდა ამ საშინელ ღალატს.

ცოდვა მოსვენებას არ აძლევდა ფალას. ღამით სიზმარში ომში მოკლულები თითო-თითოდ და ჭგუფ-ჭგუფად მიდიოდნენ მასთან და მუნჯურად ეკითხებოდნენ: „რატომ?“ მუნჯურად ეკითხებოდნენ, რადგან მისი ხელით იყვნენ მკვდარი და ლაპარაკი არ შეეძლოთ. დღისით შავებში ჩაცმულ ჭირისუფლებს რომ დანიახავდა, მათ თვალში იმასვე კითხულობდა: „რატომ?“ მკვდრებს კიდევ უსწორებდა მზერას, ისინი მოჩვენებები იყვნენ. ჭირისუფლების დანიახვაზე კი, თავს ზრიდა, მაგრამ ურებს ვერაფერს უხერხებდა. ჭირისუფლები მოჩვენებები არ იყვნენ. ხმა ჰქონდათ, ლაპარაკი შეეძლოთ. რა ეპასუხა ამ ხმებისათვის:

„რატომ?.. რატომ?.. რატომ?.. ეკითხებოდნენ კედლები, ხეები, ბალახი, მიწა, ცა ყველა — სულიერი და უსულო. „რატომ?“ ეკითხებოდა ის თავის თავს. განუდგა ცოლ-შვილი, ჭირისდღესავით შეიძულეს ახლობელ-ნათესავებმა. ისქანდერ ალი არა მარტო პირობას არ უსრულებდა, ზიზლითაც ექცეოდა. დარჩა მარტო. ასე ეგონა სულიც განუდგა. გაავდა, უფრო გამორტდა, უფრო გაელესა წადილის განხორციელების უინი.

სანამ ბატონიშვილი ცოცხალია, შენი გამოთვრება საბიფათოა, — ამჟღავნებდა სახლთუხუცესს ისქანდერ ალი. დამაცადე, შემოვიტყუებ ვამეყს, მერე ტატიც

შენი იქნება და მტერ-მოშურნენიც შენს ხელში ჩაეარდებიანო. ფალა ცრემლობდა, რომ თურქი ორივეს ატყუებდა. ბატონიშვილსაც და მასაც. ვამეყის შემოტყუება იმიტომ უნდოდა, რომ იმერეთის დალაშქვრაში მოხმარებოდა. მერე კი მასაც მოიშორებდა თავიდან და ფალასაც. მაგრამ ბეშქენს გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი ვამეყი ცხენისწყალს გადმოვიდოდა, სასახლეში მისვლამდე მოეკვლევიანებია. ამით ორ კურდღელს დაიჭერდა. ვამეყის მოკვლას ისქანდერ ალის დააბრალებდა, განუდგებოდა მას, ეს ხალხს, რომელსაც შერისხული ჰყავდა, მისკენ მოაბრუნებდა, მოიგებდა პოჭინა აბაშიძის და ესოკა წერეთლის გულსაც, იმერთა დახმარებით თურქს განდევნიდა და აშკარა მოცილე აღარავინ ეყოლებოდა. კესარია თვითონ შესთავაზებდა მთავრობას თავის ძმას, რომელსაც აღმერთებდა, უწმინდესს, უერთგულესს კაცად მიიჩნდა.

3

ოსმალურად მორთულ დარბაზში ღია სარკმელთან იდგა წელს ზევით ტიტველი სარდალი. ხელში ოჯალეშით სავსე ვერცხლის თასი ეჭირა. სიციხით და ღვინით თვალამღვრელი გაჰყურებდა გზის გადაღმა მდგარ გალაყანაშემოვლებულ სასახლეს, რომლის ეზოში, სამზადში, საბაბაზოში, მარნებში და სამოინალოებში დიდი ფუსფუსი და ფაცა-ფუცი იყო ბატონიშვილის მოლოდინში. ისქანდერ ალის სახეზე დამცინავი ღიმილი თამაშებდა. გადაპარსულ თავზე, სახეზე და ტანზე ოფლის მსხვილი წინწყლები ასხდა. ბაღდადით იშვრალებდა წარამარა.

მის უკან გალაბული ძაღლივით იდგა ბეშქენ ფალა.

სარდალი მოტრიალდა. ახალა გაასცენდა, რომ სახლთუხუცესი ჰყავდა სტუმრად.

— ტყუილად შიშობ, თავადო, — უთხრა ისქანდერ ალიმ ფალას.

— შენ არწივი შემოაფრინე თავის მი-

წაზე, სარდალო, — ვერ დაფარა საყვედური სახლთუხუცესმა.

— მერე რა შეუძლია არწივს ლომის ბრჭყალებში!

— სანამ მემკვიდრე ცოცხალია...

— ვინ ვითხრა უარი მთავრობაზე? — შეაწყვეტინა თურქმა ბეშქენს, ცარიელი თასი გაუწოდა: — დამისხი!

სახლთუხუცესს შეურაცხყოფისგან სისხლი მოაწვა სახეზე. წამით ყოყმანობდა, მერე ტაბაკთან მივიდა, სურა აიღო და დაუსხა.

სარდალი კვლავ სასახლისკენ მიტრიალდა და დედოფლის საძინებელი ოთახის სარკმელს მიაშტერა თვალი.

— იმერეთის მეფეს გაგებული აქვს, რომ სულთანმა იცის რუს ხელშეწყობის მისი მოლაპარაკება. იმერლებმა ისიც იციან, თუ რატომ ვაგვიანებ მათ დალაშქვრას, — ღვინო მოსვა, ენა გააწყლაუნა. დედოფლის ოთახის სარკმელს თვალს არ აშორებდა. — ძლივს მივალწიე საწაფელს. ის „არწივი“ იმიტომ შემოვიტყუე, რომ თავისი ლაშქრით დაეხმარო, — დაცალა თასი, ბეშქენისკენ მობრუნდა, — გულუბრყვილო ხალხი ხართ, ვიპურები. თქვენ გგონიათ, რუსი თქვენი სიყვარულით მოისწრაფის აქეთ! მას მხოლოდ შავ ზღვაში გასაგალი უნდა. იცის, რომ სამხრეთში ჯვარის მსახურთა ერთ-ერთი მოწინავე ციხე გურჯისტანია და მისი დახმარებით უნდა ოსმალეთის ლომი კავკასიას მოგლიჯოს და წინა აზია გამოაცალოს ხელიდან. უღიმღამოა რუსის ზრახვა. გურჯისტანში თურქი თვით ალაჰმა მოავლინა.

ოსმალეთი იმერეთის დაპყრობის შემდეგ ქართლს უპირებდა დალაშქვრას, ქართლის შემდეგ კახეთს დაეცემოდა, საქართველოს ხელთ ჩაიგდებდა და სამხრეთის საქრისტიანოს დასახმარებლად დაძრულ რუსეთს გზას გადაუჭრიდა.

დერეფნიდან აჩქარებული ნაბიჯის ხმა მოისმა. ბეშქენ ფაღა დაყურადდა. სარდალმა კარს მიაპყრო თვალი, გაიღო იგი და თურქი ასისთავი შემოვიდა.

— იმერეთის საზღვრიდან მსტოვარი გეახლა, სარდალო...

ასისთავს სიტყვა არ დაემაჯვარებინა, რომ დარბაზში მსტოვარი შემოიჭრა. გამტვერიანებული, ოფლიანი, დაქანცული სულს ვერ იბრუნებდა, სახე გაშტიალებული ჰქონდა, მუხლებზე დაეცა სარდალის წინ.

ბეშქენ ფაღას მკვდრის ფერი დაედო, გულმა ტეხა დაუწყო.

— დიდო სარდალო, — ამოიხრიალა მსტოვარმა და მაშინვე გაჩუმდა, სახლთუხუცესს შეხედა.

ბეშქენ ფაღამ დარბაზი გადაჭრა და გავიდა.

— სარდალო, ჭიკვე ჯიხას! ჭალაზე თხუთმეტი შეიარაღებული გაიურია დაესხა ბატონიშვილს.

— მერე? — უცებ გამოფხიზლდა ისქანდერ ალი.

— ალაჰის მადლით, იმერელი თავადი, ნათლიამისი პოჭინა აბაშიძე აფთარა...

— თქვი, ცოცხალია თუ არა ბატონიშვილი?

— ბატონიშვილი გადარჩა. აბაშიძემ შენი ჭირი წაიღო. ესიკა წერეთელი თავში დაიჭრა, სხვები...

— სხვების ამბავი არ მინდა, — ხელის აქნევით შეაწყვეტინა მსტოვარს სარდალმა, შვებით ამოისუნთქა, მერე სახე საავდრო ღრუბელივით გაუშავდა: — ვინ არიან თავდამსხმელები?

— სახლთუხუცესის ბეშქენ ფაღას კაცები.

სარდალი დიდი ხანი დუმდა, თვითონ დაისხა ღვინო, მოსვა და ასისთავს შეხედა.

— ფაღამ არ უნდა შეიტყოს ეს ამბავი. მგლის მუხლი გამოიბას და ახლავე გაეშუროს ბატონიშვილის შესახვედრად, — მსტოვარს ბაღდადის აქნევით ანიშნა, გადიო.

თურქი წამოდგა და ღღინგაცილი, დაბორცილივით წავიდა კარისკენ.

ისქანდერ ალიმ თითით ახლო იხმო ასისთავი.

— უჩა! ხიდზე, სახლთუხუცესის ცხენს ზევიდან მომავალი მხედარი დაეტაკება. სჯობია მხედარი ვიჯური იყოს, — მიტრიალდა და თვალი ისევ დედოფლის სარკმელს მიაშტერა. — კარგი დროა მაგ ბებერი ტურის თავიდან მოსაშორებლად, — უთხრა ასისთავს, — გასწი, ნულარ აყოვნებ! — ღვინომოკიდებულს ლიბრი ჰქონდა გადაკრული გონების თვალზე და მანაც საღად აზროვნებდა. წინ აღესახა დედოფალი, რომელიც ძილში თუ ღვიძილში სულ თვალწინ ედგა. — დედოფალი, გამთავრების წადილით დაბრმავებული შენიძმა, შენი შვილის სისხლსაც არ დაერიდა, — ლიფრად გაიქილიყა, მაგრამ შეეშინდა დედოფლის, რომელსაც აღმერთებდა. შუბლი შეიკრა, თვალეები უფრო აემღვრა და დაუწვრილდა. — ქალსა და კაცში მხოლოდ შენ ერთმა მოთრგუნე ისქანდერ ალი. დაიკუპროს ის დღე, შენ რომ გიხილეს! — ვნებით ატრუებული ხლიჩინ-ხლიჩინით ლაპარაკობდა. — ვეყმე შენს წყეულ, ქაჯურ სილამაზეს. შენი ჩრდილისაც მერიდება, დედოფალი, — ღვინო მოსვა, ერთბაშად დასცალა თასი. — ვნახოთ შენი ნაშიერი რა რკინისაგანაა ნაჭედი!..

4

საძინებელ ოთახში კესარია დადიანი სარკის წინ იჯდა. მისი თვალი, მისი გული სარკის ზევით კედელზე დაკიდულ ვამეყის სურათისკენ იყო მიქცეული. გელათში ერთ იტალიელ მისიონერს დაეხატა ვამეყი. თექვსმეტი წლის ბატონიშვილი სიცოცხლით სავსე, გამჭრიახი, ლეგა თვალეებით უღიმოდა დედას. პორტრეტი იმდენად ცხოვლად იყო დახატული, გეგონებოდა ეს ესაა დაელაპარაკება დედასო. ახალუხის ამარა იყო, ღილილოები შესხნილი ჰქონდა და მაღალი, მოღერებელი კისერი მოუჩანდა, ქუდი არ ეხურა, თავგადა-

პარსული იყო, საულვაშოზე ღიწლი ეყარა. დედოფალი თბილად დაელოდა შესქცეროდა შვილს.

— ჩემო ვამეყ, ჩემო საყვარელო ბიჭო!.. წელიწადი ხდება, რაც საბრალო დედაშენს არ უნახიხარ, — კესარია მხოლოდ ვამეყის სურათს უყურებდა, ვამეყზე ფიქრობდა, არ ამჩნევდა მის გარშემო მოფუსფუსე მოინალე ქალებს, რომლებიც ბატონიშვილის შესახვედრად ამზადებდნენ.

დედოფალმა შვილის მოლოდინში თეთრად გაათენა. თვალეები წამოსიებული ჰქონდა, დაქანცული და გაფთხრებული იყო. მაგრამ უძილობას, სიფითრესა და მღელვარებას უფრო დამშვენებია მისი სახე. პერანგის ამარა, გამართული იჯდა. ნახევრად მოშიშვლებულ, ქალწულებრივ მკერდს, ვიწრო წელს და სავსე თქოებს თვალს ვერ ამორებდნენ მოინალე ქალები, რომლებსაც არა ერთხელ უნახავთ დედოფალი შიშველი, არა ერთხელ ჩაუცმევიათ და მოურთავთ.

იქვე, სავარძელში შავი კაბა, შავი პერანგი, შავი წინდები და თავსაფარი იდო. არ უნდოდა შვილს მგლოვიარე დახვედროდა, თორემ ჯერ არ გაიხდიდა შავს.

ერთი ფარეში წინდას აცმევდა, მეორე თმას უვარცხნიდა, მესამემ კაბეები შემოუტანა და ლოგინზე დააწყო.

— ცისფერი კაბა მიბრძანე, დედოფალი, — აიღო ერთ-ერთი კაბა ფარეშმა.

— არა, ცაგუ, გადავიფიქრე, — მიბრუნდა ფარეშისკენ, — შინდისფერს ჩავიცვამ.

ცაგუმ სწრაფად მიაწოდა სამოსი. დედოფალმა მკერდზე მიიდო კაბა და მხოლოდ ახლა ჩაიხედა სარკეში. სვედიანად გაუნათდა თვალეები, სახე შეუფერიანდა. ეს საკაბე პოჭინა აბაშიძემ მოართვა დაზადების დღეს. ძვირფასი ფრანგული ქსოვილი იყო. ვამეყს იგი ისე მოეწონა, რომ თვითონ დაუხატა დედას, თუ როგორ შეეცერა. არც ერთი კაბა ასე არ შეენოდა. ამ კაბას რომ ჩაიცვამდა, მთავარი ხელში აიტაცებდა და

მისი სიმშვენიერით აღტაცებული სასახლის ყველა ოთახს შემოირბენდა.

— შეხედეთ, როგორ უხდება, რატურფაა, რა ლამაზია ჩემი ცოლი! — უჩვენებდა სტუმარს თუ შინაურს.

ამიტომ შეუფერხიანდა სახე კესარიას, ამიტომ ჩაუდგა თბილი სევდა თვალში. მასაც ასევე გატაცებით, ასევე ძლიერ უყვარდა ქმარი. მიუხედავად იმისა, რომ მთავარს კესარიას ძმის, ბეშქენ ფაღას ლალატის მრავალი მამხილებელი საბუთი ჰქონდა, ცოლის ხატით და პატივისცემით მაინც არ ითხოვდა სასახლიდან ამ ენამოწამლულ კაცს. დაუძინებელი მტერი შინ ჰყავდა და ცოლის სიყვარულით ითმენდა.

დედოფალიც დიდად პატივცემული იყო მეუღლის. არაფერში ეურჩებოდა. ვამეყი რომ დაიბადა და მთავარმა მისი გაძიძება გადაწყვიტა, რათა კესარიას ძუძუს წოვებით მშვენიერი მკერდი არ გაფუჭებოდა, წინ არ აღუდგა მეუღლის ნებას, მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი შვილი გასაძიძავებლად არ ემეტებოდა. ახლა ვამეყის სურათს რომ უყურებდა, ფიქრობდა, ან კი როგორ გავიმეტო.

ბატონიშვილი მსხვილი ტუჩებით, სახის ნაკვთებით და მაღალი კისრით, ძლიერ ჰგავდა მამას. მშვიდი და ჭიტი შუბლი, მტკიცე ნებისყოფის გამომხატველი თვალეები ერთი შეხედვით დაგანახებდა მის წმინდა სულს. ამავე დროს მის იერში იგრძნობოდა დაუღებარი სიფიცხე. მაგრამ შეეძლო თავის დაჭერაც და ვნების დაოკებაც. მამა კი თავშეუკავებელი, აფთარივით შმაგი, თან გულკეთილი და მიმნდობი იყო. იცოდა მთავარი ასეთი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმისთვის კი არ ცხოვრობდა, რომ ემთავრა, თავისი სიამოვნებისათვის ცხოვრობდა. ადრე მიიცვალა და ცხოვრებიდან მაინც ბევრი წაიღო. ისე რომ სხვა მთავრებთან შედარებით მაინცდამაინც არავისთვის უწნია, გარდა ლამაზი ცოლების ქმრებისა და იმ დედ-მამებისა, რომლებსაც ლამაზი ქალიშვილები ჰყავდათ.

ქალის გიჟი იყო. მისთვის არაფერს დაიშურებდა, სიცოცხლესაც ასწირავდა. არავის ერთგული არ რჩებოდა. ვერც ასწრებდა ერთისაგან მიეღო ქალის ყველა სიკეთე, რომ მისი სული და ხორცი სხვისკენ ილტვოდა. ის სხვა ელოდა თრთოლვით, შეუკავებელი ნდომითა და ეინით.

რომელ თავადის, ან აზნაურის მეუღლესაც გაუმიჯნურდებოდა, ფალა ამას თუ იმ ღამეს არა, მეორე დღეს მაინც შეიტყობდა და თავის დამქაშების მეშვეობით გააგებინებდა ქმარს. ასე მოამდურა და გადაკიდა დადიანს თავდაზნაურთა დიდი ნაწილი. მათ ისე შეიძულეს მთავარი, რომ არც ერთ ბრძოლაში არ გამოყავდათ ლაშქარი. არც ერთ წვეულებაში და დღეობაში არ მიდიოდნენ მასთან, არ ახლდნენ არც მგზავრობაში, არც ნადირობაში. ისე დალია სული, სნეულიც არ ინახულეს.

აქეთ ქალების მეუღლეებსა და მშობლებს რომ ატყობინებდა ფალა დადიანის სამიჯნურო თავგადასავალს, იქით თავის დას, კესარიას, მისი მიჩნეული მანდილოსნები წვრილად უკაკლავდნენ რათა შეეძლებინათ ქმარი, მაგრამ დედოფალი მთავარს არაფერს აგრძნობინებდა. შეურაცხყოფას და ტკივილს გულში იკლავდა.

5

მთავარმა ბავშვი მარტო იმიტომ კი არ გააძიძავა, დედოფალს მკერდი არ გაფუჭებოდა, უნდოდა შვილი ისე აღეზარდა, რომ თავიდანვე ეწვინია გაქირვება, ენახა, განეცადა, გაეკეთებია ის, რასაც გლეხის ბავშვები აკეთებდნენ და განიცდიდნენ. ერბინა ფეხშიშველს, ემწყემსა, ენადირა, ეშინშილა, ღამე მეჭოვის ნაბადზე გაეთია, გაწვრთნილიყო ხმალში, გაეგო ხალხის ტკივილი და სიხარული, რომ შემდეგ დრო ისე უქმად და უდარდელად არ ეტარებინა, როგორც თვითონ ატარებდა.

აღსაზრდელად ისეთ კაცს მისცა, რომელიც ჭირშიაც ნაცადი ჰყავდა და ლბინშიაც. ის იყო ლაშქრობისას მისი

გზა და ხიდი, მისი ფარ-ხმალი. სულს ანდობდა მას. თუ მურზაყან ესართია გვერდით ჰყავდა, ეგონა ვერც მიწიერი ავნებდა და ვერც ზეციერი. ეს ათას ხიფათს გამოვლილი კაცი მტრისთვის კაცთაგარეგანი იყო, მოყვრისთვის ხსნა და წამალი. ქვეყანას უყვარდა, სასახლის კარზე კი სძულდათ. სძულდათ იმიტომ, რომ მთავარი თავს უყადრებდა, რომ მოურიდებელი, პირში მოქმედი და დაუნდობელი იყო. დადიანს გათამამებულნი ჰყავდა, მაგრამ მურზაყანმა თავისი ადგილი იცოდა. საქციელი არ შეეშლებოდა. ამით მტერსაც ხიბლავდა და მოყვარესაც.

ყველა ამასთან საუკეთესოდ იცოდა ცხენის ვახენდა და ყოველგვარი ნადირის მცნობი და გამგები იყო. ამის გამო მეტსახელად ტყაშმაფას¹ ეძახდნენ. მთავარმა თავის ცხოვრების ნახევარი ნადირობას შეაღია. ამ საქმის სეფეკაცად მურზაყანი ჰყავდა დანიშნული. რომ ეტყოდა, ხვალ ამა და ამ მხეცზე მინდა ნადირობაო, მერე არც მთავარს და არც აშალას არაფერი ეკითხებოდა: ნადირი და ფრთოსანი თვითონ მოდიოდა მურზაყანის ზერხითა და თილისმით.

დადიანს ისე უყვარდა ვამეყი, ქვეყანას ერჩია, მზე და მთვარე ამ ერთადერთ შვილზე ამოსდიოდა, მაგრამ არ აგრძნობინებდა, არ უჩვენებდა. ბუნებით სათუთი გულის კაცს, შვილთან თავი ცივად ეკირა. მორღუსას იშვიათად მიაკითხავდა და როცა მივიდოდა, თავს ისე მოაჩვენებდა ვამეყს, თითქოს გზად იყო ამ მხარეს და შემთხვევით შემოიარა.

ვამეყს ისე ეცვა და ეხურა, როგორც გლეხის ბავშვებს — ფეხშიშველი, თმაგაბურქნული, მზემოკიდებული. არაფრით გამოირჩეოდა სხვა ბიჭებისაგან. ბევრჯერ ვერც უცვნია მთავარს სოფლის ვოგო-ბიჭებში გარეული. ამიტომ დაინახავდა თუ არა შორიდან ვამეყი, თვითონ გაქეპანებოდა მამისკენ. ბავშვს

ხან ცხენის ოფლის სუნი ასდიოდა, ხან ახალი თევზის. არაფერი ისე არ უყვარდა ქვეყანაზე, როგორც ცხენი და მღერნარე.

მისი ძუძუმტე სულ რაღაც სამი-ოთხი თვით იყო უფროსი. უფრო ჩაფსკენილი, ძვალმსხვილი. ტოღვერააო, რომ იტყვიან, სწორედ უტაზე იყო ნათქვამი ზედგამოჭრილი მურზაყანი იყო.

ვამეყი უტასავით ჯიუტი, მოუსვენარი და მოჭიშპე იყო. ჯერ კიდევ ჩვილები ბოკვერებივით სტაცებდნენ პირიდან ერთმანეთს ძუძუს, შემდეგ ქიშპობის ზნე უფრო გაუფიცხდათ. ცდილობდნენ ერთმანეთს არაფერში ჩამორჩენოდნენ. ეს აქეზებდათ, ხალისს. სიმკვირცხლეს და გამბედაობას მატებდათ.

მურზაყანს ერთად დაჰყავდა ჯოგში, სანადიროდ, სათევზაოდ, ახედნიებდა ცხენებს, ღამე მთაში საქონელთან ტოვებდა, ტოვებდა ყანაში, ათოხნიებდა, აბარეიებდა. მდინარეში ფონს არ მოაძებნიებდა, იქ შეაგდებინებდა ცხენს, სადაც ეშმაკი ვერ გავიდოდა. ვანგებ აგდებდა ყოველგვარ კვიმატსა და ხუფათში. აჩვევდა სიმშოლს, წყურვილს, გასაჭირს.

შვილსა და ვამეყს ერთმანეთში არ არჩევდა. ვამეყს ნებას არ აძლევდა ბატონიშვილობით ესარგებლა. თუმცა მას არასოდეს უგრძნობინებია უტასთვის, რომ თვითონ მთავრის შვილი იყო, ის კი გლეხის. დანაშაულისათვის ორივეს ერთი სამართლით სჯიდა. რაიმეს რომ მოუწონებდა, ერთნაირი ძუნწი ღიმილით ავილდოებდა.

სანამ ვამეყს სწავლას დააწყებინებდნენ, მეტ დროს მორღუსას ატარებდა. მორღუ ქვეყანას ერჩია. „მთავრად მამაჩემი კი არა, მურზაყანი უნდა იყოს... მეც მორღუსთანა ვიქნები. ისე მოვეუფლი სამთავროს, როგორც მორღუ უგლის თავის ოჯახს. ხალხს ვეყვარები. მამა არ უყვართ, ეშინიათ მისი და იმიტომ ეფერებიან“.

მართლაც არ უყვარდათ მთავარი, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცით მაინც

¹ ტყის მფე.

ზრუნავდა ხალხზე. თურქეთიდან და ირანიდან ქსოვილი და ტყავი შემოჰქონდა, კითხულობდა ლათინურ სააქიმო წიგნებს, თავისი ხელით ამზადებდა წამლებს და სხეულთ ურიგებდა. ამას უფრო სახელისთვის და თავის შესაქცევად აკეთებდა. „მე კი იმიტომ ვავაკეთებ, რომ შიშველ-ტიტველს ეცვას და ეხუროს, მშვიერს ლუკმა ჰქონდეს და სხეულს წამალი“, ასე უნდოდა ბავშვის კეთილ გულს და ასე ფიქრობდა.

ერთ რამეში შინც ჰვავდა ვამეყუ მამას. რვა წლისას თვალი უკვე გოგონებისკენ გაურბოდა. გული შეუქანდებოდა, ბარტყების ჩამოსაყვანად ხეზე აცოცებულ გოგოს ბარძაყებს რომ ჰკიდებდა თვალს, ან ბანაობისას აკოკრილ მკერდს. მაგრამ თავს იჭერდა, გოგოებს არაფერს შეამჩნევინებდა.

მხოლოდ მის ძიძაშვილთან ცხრა წლის ცაგუსთან ვერ ახერხებდა აღტაცების დაფარვას. ცაგუ არაფრით გამოირჩეოდა სოფლის სხვა გოგოებისაგან. არც სილამაზით, არც თამაშით, არც ცხენზე ჯირითით, არც მდინარეში ხტომით, მაგრამ ისეთი ეშში და ლაზათი ჰქონდა, შეანათებდა თუ არა იგი თავის შავ, ბრღღვილა თვალებს, შემოფოთებოდა ვამეყი.

ცაგუ დამცინავად უღიშოდა ამ დროს გაბრუებულ, შემკრთალ ბატონიშვილს, როგორც ველური პატარა დედოფალი.

ვამეყმა არ იცოდა ამ ღიმილით მართლა დასცინოდა, თუ ამხნევებდა გოგო და წითლდებოდა და ფითრდებოდა. თავს იმით შველოდა, რომ უშალ გაცულებოდა და შემდეგ მთელი დღე ერიდებოდა, სანამ ცაგუ თვითონ არ მოძებნიდა. ცაგუმ არ იცოდა, რატომ დაეძებდა, რატომ უნდოდა მასთან ყოფნა, რატომ უხაროდა მისი შეკრთომა. გოგოს მეტი სითამამე ჰქონდა ასაფრენი ჩიტივით იცქირებოდა ამ დროს, ბიჭს არ უნდოდა პირველს მას მიეტოვებია. ის კი არ იცოდა, რომ ცაგუს სულ მასთან უნდოდა ყოფნა. ეგონა თუ გვერდით არ ეყოლებოდა ცაგუ, რალაც დაე-

მართებოდა, დაიკარგებოდა, მოიტაცებდნენ და ვინ მოსთვლის, რამდენად სხეულთი უცნაური აზრი და შემსაგებებოდა.

ვამეყის აზრით, სხვა მისი ტოლი სოფლის ბიჭებიც ასე ფიქრობდნენ ცაგუზე, მათაც არ შეეძლოთ ცაგუს გარეშე ყოფნა, მათაც იგივე შიში ეჭდათ გულში და ამით მის თვალში კიდევ უფრო მდლდებოდა ცაგუ, უფრო მიმზიდველი და გამოუცნობი იყო მისი ღიმილი. ზაფხულის ერთ პაპანება დღეს მურხაყანის უზარმაზარ ჰადრის ქვეშ ორ ჯგუფად გაყოფილი ბავშვები ომობანას თამაშობდნენ. უცებ ოფლში გაღვარულმა ცაგუმ თამაში მიატოვა და გულამომჭდარი საქანელაზე კი არ დაჯდა, დაეხეთქა.

— უჰ, როგორა ცხელა! ცეცხლი მიკილია ტანზე... მოდი, ვამეყ, ცოტა გამაქანე! — დაუძახა ვამეყს.

ვამეყი შეეყოყმანდა. მის წინ მდგარ „მტერს“, ნახშირით სახე გამურულ „თურქს“ შეხედა.

— მოდით, რა!.. არ დაილაღეთ! — დაუძახა ცაგუმ სხვა ბავშვებს და თან ვამეყს უყურებდა.

ვამეყმა, იმის შიშით, სხვამ არ დამასწროსო, ფარ-ხმალი დააგდო და ცაგუსთან მიიბრინა.

— აბა, ტოტებადღე თუ ააგდებ, ვამეყ!

შესძახეს ბავშვებმა და თამაში შეწყვიტეს. ყველა ცაგუს და ვამეყს შეატყერდა.

— ვერ ამაგდებს, — თქვა ცაგუმ და შიშით ახედა ტოტებს, — იმ სიმძალეზე ბაბაც ვერ ამაგდებს.

ვამეყმა საქანელას საჯლომ ფიცარს ჩასკიდა ხელები, საქანელიანად სწრაფად დაიწია უკან, მერე წინ გაქანდა და მთელი ძალით გასტყორცნა საქანელა. მაგრამ ისე მალა ვერ ააგდო, რომ ცაგუს ფეხები ტოტებს მიწვდომოდა.

— ავი, ვთქვი, ტოტებადღე ვერ ამაგდებს-მეთქი! — შესძახა კიდევ უფრო შეშინებულმა ცაგუმ.

— ავაგდებს!

- უფრო მაღლა ავაგდებს!
 - მიდი, ვამეყ!
 - შენებურად!
 - ცაში აავდე, ვამეყ!
- ამხნევებდნენ ვამეყს ბავშვები.
- კი, როგორ არა, ცაში!

დასძახოდა ზევიდან ცაგუ თმისა და კაბის ფრიალით. თან სულითა და გულით უნდოდა რაც შეიძლება მაღლა აეგლო ვამეყს.

ვამეყი თანდათან უფრო ზევით ავდებდა. ცაგუს ფეხები საცაა მისწვდებოდნენ ჰადრის ტოტებს. ეშში შესული გოგო თვითონაც აქეზებდა ბიჭს:

- ცაში!.. ცაში, ვამეყ!
- ქიოდნენ, ხიოდნენ ბავშვებიც:
- არიჭა, ვამეყ!
- მიდი!
- კიდევ ცოტაც, ვამეყ!
- ცაში!

ვამეყი თავდავიწყებით ისროდა საქანელას, მაგრამ საქანელას კი არ უყურებდა, მისი ანთებული თვალები ქროლისგან გამიშვლებულ ცაგუს ბარძაყებს, უკან გადაწეულ სახეს და აფრიალებულ თმის მეტს ვერაფერს ხედავდა.

ქიოდნენ, ხიოდნენ ბავშვები. მხოლოდ უტა იდგა ჩუმად. მოწონებით შეჰყურებდა, რა მაღლა ისროდა მისი ძუძუმტე საქანელას, რა უშიშრად გაჰკიოდა ცაგუ, ცაში, ცაშიო. იმას კი ვერ ხედავდა, რომ ვამეყი საქანელას ფიცარს კი არ ჰკრავდა ხელს, არამედ ცაგუს პატარა, მრგვალ თეძოებს და აი, უცებ, მისდამოულოდნელად წელს ქვევით სტაცა ხელები და საქანელას მოწყვიტა. ერთი წამით მკერდზე მიკრული ეპირა თავისი საქციელით გაოგნებულს. მერე ცაგუ კალმახივით დაუსხლტა და აკეცილი კაბა ხელის კვრით ჩამოიწია.

— მაინც ვერ ამავდე ცაში, — უთხრა ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყო, თან იგრძნო ამ მოჩვენებითს სიმშვიდეს ვერ შეინარჩუნებდა, გაიქცა და ეზოს უკან ლომის ყანაში შევარდა...

მას შემდეგ, რაც ვამეყს სასახლეში სწავლა დააწყებინეს, იშვიათად მიდიოდა მორდუსთან, მაგრამ ცაგუ ყოველ-

თვის ახსოვდა. ვერ დააეციყა სასახლეში მიღებულმა მრავალმა ახალმა შთაბეჭდილებამ. ვერც იმერეთისა და გურჯისტანის აფხაზეთში გატარებულმა დღეებმა. ვერც ელჩებისა და უცხოელი ვაჭრების ხშირმა სტუმრობამ და ნადიმებმა, რომელიც სასახლეში იმართებოდა და ძვირე ტვირთად აწვა ხალხს. რა საქმითაც არ უნდა ყოფილიყო გართული, ცაგუზე ფიჭვი არასოდეს ტოვებდა.

უტა მუდამ გვერდით ჰყავდა. ერთ ოთახში არ იძინებდნენ, თორემ სულ ერთად იყვნენ შინ და გარეთ. უტა ძლიერ ჰკავდა დას: ხმა, ღიმილი, თვალები, ყოველი მისი მოძრაობა და შემოხედვა ცაგუს აგონებდა. ამიტომ უფრო უყვარდა ძუძუმტე.

ერთხელ, მორდუ და ძიძა ვამეყის სანახავად რომ მოვიდნენ სასახლეში, ცაგუს მოიყვანეს. მთელი წელიწადი არ ენახა იგი ვამეყს. გამოცვლილიყო ცაგუწინათ ხანში განსხვავება არასოდეს უგრძნია ვამეყს. ახლა კი ცაგუ ბევრად დიდი მოეჩვენა. მოჩიტულიყო, გულმკერდი დამრგვალებოდა. შეხედვისთანავე ვამეყს თვალწინ დაუდგა საქანელა, მოესმა ცაგუს ხმა: „ცაში, ცაში, ვამეყ!“ ხედავდა მის წამონთებულ თვალებს. შეეშინდა ისევ არ ეტაცა ხელი თეძოებზე, რომლებიც უფრო გავსებოდა, დამკვრივებოდა.

ცაგუმ შეატყო ეს შიში. გაუღიმა და ვამეყმა ახლაც ვერ გაიგო ამ ღიმილის აზრი. ქალი თვითონ მივიდა მასთან და შუბლზე აკოცა, როგორც უფროსი აკოცებს უმცროსს.

ვამეყს შერცხვა. უნდოდა რაღაც უკმეზი ეთქვა, მაგრამ თვალს ვერ ამორებდა მის ტანს, რომელმაც თან მოიტანა მიწის, ბალახის, მდინარის და შვიფე ნაყოფის სურნელი. გაიგონა კაბის აფრიალებული კალთის და თმის ჩუმი შრიალი, ისევ შეესმა ცაგუს ხმა: „ცაში!.. ცაში, ვამეყ!“

დარბაზში მარტონი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ცაგუ პირველად ხედავდა მთავრის სასტუმრო დარბაზს, პირველად ხედავდა ბატონიშვილს ძვირფას

სამოსში და წარმოიდგინა თავისი გამკვარტლული ფაცხა, ნახევრად შიშველტიტველი სოფლის ბავშვები. მასაც იმ ბავშვებით ეცვა. გაწითლდა, თვალი მოარიდა ვამეყს, დარბაზის კედლებს, საიდანაც დაცინევით დაპყურებდნენ ვამეყივით მდიდრულად ჩაცმული ვილაც დიდი ბატონები და ქალბატონები. თავდახრილი, შეშინებული დასცქეროდა ძვირფას სპარსულ ხალიჩას, თავის დახეულ, გამტვერილ წილებს.

ვამეყი ხედავდა, გრძნობდა, რას განიცდიდა ცაგუ. ნიშნის მოგებით უყურებდა. „აჰა, ესეც შენ!“ გაიფიქრა ბავშვის გულუბრყვილო თავმოყვარეობითა და ამპარტავნობით.

— გინდა ჩვენთან დარჩი, ცაგუ!

— შე ჩემი სახლი მაქვს.

— განა სასახლე არ სჯობია შენს სახლს?

— შე, ბაბას სახლი მირჩევნია.

— მაშამ რომ უთხრას, მორდუს, ცაგუ აქ დატოვებო?

— არ დავრჩები.

— მორდუ და ძიძაც ჩვენთან რომ დარჩნენ? — არ ეშვებოდა ვამეყი.

— ბაბასაც და დედასაც თავისი სახლი ურჩევნიათ.

— მეც მირჩევნია თქვენი სახლი, — წამოიძახა ცაგუს პასუხით ალტაცებულმა ვამეყმა.

იგრძნო, როგორ შეიცვალა გოგო უცებ, და წამის წინ შემკრთალი და შეშინებული, ახლა თვითონ უყურებდა ნიშნის მოგებით.

— არა, შენ არ გირჩევნია ჩვენი სახლი.

— მირჩევნია, უთხრა ვამეყმა, — ისეთი დიდი ჰადარი არსად არა დგას, ისეთი კარგი საქანელა არავის არ აქვს. გახსოვს, მაშინ!

— ცაში მაინც ვერ ამავდე! — შესძახა ისეთივე ალტაცებით ცაგუმ, როგორც მაშინ საქანელაზე. — მართლაც ისეთი დიდი ჰადარი არსად არა დგას, ისეთი კარგი საქანელა არავის არ აქვს... დიახ, ცაში მაინც ვერ ამავდე. — უთხრა გამომ-

წვევად, შეტრიალდა და დარბაზიდან გავარდა.

„ცაში მაინც ვერ ამავდე! — შესძახა ველები, ის ჰადარი და საქანელა მთელი სიცოცხლე არ დავიწყებია ვამეყს.“

საში წლის შემდეგ ბატონიშვილი გელათს გაგზავნა მამამ. შარშან ამბავი მოუვიდა, მორდუს თხოვნით, ცაგუ დედოფალმა ფარეშად აიყვანაო. „რატომ თხოვა, მორდუმ?.. იქნებ ცაგუმ ათხოვია!.. აკი თქვა, ბაბას სახლი მირჩევნიაო! ეს ისე თქვა, მე კი ხელად დავიჭერე. ჰო, ცაგუმ ათხოვია მორდუს. ბაბას სახლს ჩემთან ყოფნა ერჩია და იმიტომ ათხოვია“. მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდის ნახავდა ცაგუს.

გოგოც ასეთივე მოლოდინში იყო. ვერაფრით ეპატიებია თავისთვის, როგორ წამოცდა და უთხრა, ბაბას სახლი მირჩევნიაო. „რამ მათქმევინა ეს სიგიჟე მე უტვინოს? რანაირად მერჩია, ბაბას სახლი, ვამეყთან ყოფნას?! ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი მაშინ. ნეტა რას მეტყვის ამ დაწუნებულ სასახლეში რომ დავუხვდები! იქნებ არც ვახსოვარ!“ — ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. „ნეტა რას მეტყვის?“ — ფიქრობდა ახლაც. დედოფლის უკან იდგა კაბით ხელში, თვალს არ აშორებდა მის წელს, გატიყნილ თემოებს და მის ტანს თავის ტანს ადარებდა. თავის წვივებიდან თვალი ბარძაყებზე ააცურა, შემდეგ თემოებზე და უცებ ვამეყის სურათს შეავლო თვალში. შეკრთა. იმ წამსვე ეხოდან ცხენების ფლოჭვების თქარუნი შეესმა.

„ვამეყია!“

— ვამეყია! — მოტრიალდა სავარძელზე კესარია. განაბული იჭდა თავაწიულო, როგორც დაცეცებული ფურირემი, იგი ელოდა არა მარტო შვილს, სამშობლოს მხსნელს. წელიწადზე მეტი ელოდა თავისი სამთავრო, თავისი ხალხი და აი, მისი ნაბიჯის ხმაც.

მას აქეთ, რაც ვამეყი ოდიშის საზღვარზე გადმოვიდა, კესარიას თითქოს ესმოდა შვილის აჩქარებული ნაბიჯის ხმა, თითქოს ხედავდა, როგორ მოისწ-

რაფოდა იგი სასახლისკენ, როგორ უსწრებდა გული.

— კაბა მომეცი, ცაგუ!—წამოდგა დედოფალი.

შედგნენ სასახლის წინ ცხენოსნები.

— ჩემო საყვარელო ბიჭო, ჩემო ვამეყ,—გადაიცვია კაბა. ფეხი ვერ გადადგა, მოეშვა, დაკარგა ღონე. იღგა და იცდიდა პირით კარისკენ მიქცეული.

აჭრილდა აივნის იატაკი მძიმე ნაბიჯის ქვეშ.

— მისი ფეხის ხმა, — ჩურჩულებდა დაქანცული ხმით, — მამამისივით მაგრად ადგამს ფეხს.

— დედა!

— ხმაც მამისა აქვს. შემოგვევლოს დედა.

მიაწყდა კედელს დარბაზის კარის ორივე ნაწილი.

— დედა!

ფარეშები გავიდნენ ოთახიდან. მხოლოდ ცაგუ დარჩა კესარიასთან. მის უკან იღგა შემკრთალი, მოლოდინით განაზბული, შეჰყურებდა კარს, რომელსაც სწრაფად უახლოვდებოდა ვამეყი.

გაიღო კარი და შემოვარდა ბატონიშვილი. დაღლილი გულამოქდარი. დაჭრილი მარცხენა ხელი შავი ნაჭრით კისერზე ჰქონდა ჩამოკიდული.

— დედა, — მოეხვია მისკენ ხელეგაწვდილ კესარიას და გულში ჩაიკრა.

— ჩემო ვამეყ, ჩემო შვილო, — ჩურჩულებდა კესარია. მღელვარებითა და სიხარულით მოშლილს თავი ვამეყის მკერდზე ედო, ხელები მხრებზე ჰქონდა მოხვეული. ესმოდა მისი სუნთქვა, გულისცემა — ძლიერი, ურჩი და უნდოდა ასე გაგრძელებულიყო დიდხანს. იმდენად გახარებული და აღელვებული იყო, ვერ ამჩნევდა შვილის დაჭრილ მკლავს.

ვამეყმა შემოსვლისთანავე დაინახა ცაგუ. მისი გაბრწყინებული სახე, შიშითა და აღტაცებით ანთებული თვალები, მაკდურად აპრიალეული ტუჩები. მის წინ იღგა არა ის ვოგო, საქაწელას მოგონებით დამფრთხალი დარბაზიდან რომ გაფრთხილდა. მის წინ იღგა სიმ-

წიფეში შესული ქალი, ვნებით, ეშხით და სილამაზით სავსე.

„ვამეყ!“

ვამეყმა ვერ გაიგონა. მისი ხმა ნიავის მსუბუქ შერხევაზე უფრო ჩუმი იყო, მისი ტუჩების მოძრაობა ათას ხმაზე მეტყველი. შეჰყურებდნენ ერთმანეთს ერთი სურვილით, ერთი წადილით და ნდომით შეპყრობილნი.

6

სასახლის დარბაზში ისქანდერ ალი და ბატონიშვილი იდგნენ. სარდლის უკან კი ფოთის ფაშა ისპაყი და ანაკლიის ფაშა მახმუდი. ღია სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივი ანათებდა ისქანდერ ალის უკმაყოფილო სახეს, სხივი დასთამაშებდა წარბებზე, უძებროდა უწამწამო, დაწითლებულ ქუთუთოებში ღრმად ჩამქდარ თვალებში, ულაპლაპებდა სუფთად გაპარულ, ყოველთვის ოფლიან თავსა და მოკლე კისერს. არ უყურებდა ვამეყს, მათ შორის დაძაბული საუბარი იყო. მისი გაგრძელება ორთავეს უმძიმდა, ამიტომ ისქანდერ ალი სარკმლიდან გალავანს იქით მდგარ თავის სამყოფელს გასცქეროდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ დაემთავრებია ვამეყთან ლაპარაკი, რომელიც მთელი კვირა გაუგრძელდა.

გალავანის იქით, გაჩანაგებულ ბაღში, ნავენახარზე და მინდორზე მიმოფანტული იყო თურქთა ბანაკი: კარგები, საბაბაზოები, ქართები, სასაქლო, ჭგუფ-ჭგუფად იდგნენ შეკაზმული ცხენები, ენთო ცეცხლი, იხარშებოდა და იწვოდა ლაშქრის კერძი.

გულეებს, რომლებსაც იანიჩრები მოერეკებოდნენ, მოჰქონდათ ფქვილი, მოჰყავდათ საკლავი. ისმოდა საქონლის ბლავილი და ფრინველის კრიახი, ქიხინი, თქარუნნი, შეძახილები მეგრულ და თურქულ ენაზე, გინება, წყევლა. დარბაზამდე ყრუდ აღწევდა ყველა ეს ხმა და ვერ არღვევდა იქ გამეფებულ მღუმარებას. დარბაზში მხოლოდ კედლის უზარმაზარი იტალიური საათის ტიკტიკი ისმოდა. უცებ საათი ახრიალ-

და. ზრქიალით, ზრიალით, თითქოს ბებრის ზრინწიანი ხმა დაირხაო, ცხრაჯერ დაპკრა და ძაგძაგით დადუმდა.

თავი ასწია ისქანდერ ალიმ, ვამეყისკენ მიბრუნდა. ნილაბივით განუჭკვრეტელ, უმოძრაო სახეზე აღარ ეცემოდა სხივი და უფრო პირქელში ჩანდა. საფეთქლის ძარღვები დაპბეროდა.

მიბრუნდნენ ბატონიშვილისკენ ისპაყ ფაშა და მახმუდ ფაშა.

— რა გაეწყობა, — უთხრა უკმაყოფილო, გაღიზიანებული ხმით სარდალმა ვამეყს, — ჩანს, საერთო ენას ვერ გამოვინახავთ. შენ ისევ ის თომა ხარ, ისევ ის ტყავი გაცეცია.

ვამეყი არ უსმენდა თურქს. მისი გულისუფრი დედის ოთახისკენ იყო მიპყრობილი. იცოდა, რომ კესარია კარს უკან იდგა და მათ საუბარს უსმენდა.

— იტყვიან, დიდი ფუნჯი დიდ იეროგლიფებს სწერსო, — ესმოდა დედოფალს დარბაზიდან სარდლის ხმა, — დიდი აღამიანი დიდ საქმეებს აკეთებს. შეგეძლო შენი ხალხისთვის კარგი საქმე გაგეკეთებია და სულთანის გულიც მოგვგო. ისევ გაგახსენებ ჩემს პირობას: თუ იმერეთის დალაშქვრაში მომეხმარები, ჩემს ერთ ჯარისკაცსაც არ დაეტოვებ ოდიშის მიწაზე. სულთანი ხარკისგანაც გაგანთავისუფლებს.

მღელვარებით სისომიხდილი დედოფალი გვერდით მდგარ ცაგუს მიყრდნობოდა. გაფაციცებით უსმენდა.

— ამ პირობაზე ორჯერ ვიბასუხებ, სარდალო. შენ მართალი თქვი. მე ისევ ის თომა ვარ და ასეთად დავრჩები.

დედოფალმა შევებით ამოისუნთქა.

— ჩემო ვამეყ.

— ზეგ მზის ჩასვლამდე გადროვებ, — მუქარა გაისმა სარდლის ხმაში. — დაფიქრდი, კიდევ ასწონ-დასწონე. თუ სასურველ პასუხს არ მომცემ, მაზეგ დედამენი მზის ამოსვლას ვედარ იხილავს.

ვამეყი არ შეცბა. თავაწეული იდგა ისქანდერ ალის წინ.

ფოთის ფაშა ისპაყი და ანაკლის ფა-

შა მახმუდი გაოცებითა და მოლოდინით შეპყურებდნენ ბატონიშვილს. სულგანაბული ელოდა მათგან რაიმეს უსუს.

თავზარდაცემული იდგა ცაგუ.

— თუ არ ვცდები, თქვენში ასეთი იგავიც არის, — დაიწყო კარგა ხნის დუმილის შემდეგ ბატონიშვილმა: — ერთხელ თურმე თხა სახურავზე ავიდა და იქიდან მგელს უშვერი სიტყვებით დაუწყო ლანძღვა. მგელმა ერთ ხანს უსმინა ენაწაგდებული თხის თათხვას და ბოლოს ასე მოუგო: თხოო, შენ კი არ ამბობ ამ უტიფარ სიტყვებს, არამედ ის აღვილი, სადაც დგახარო.

დედოფალს სახე გაუნათლდა.

ისქანდერ ალის, თითქოს სილა გააწნესო. კიდევ უფრო დაებერა საფეთქლებზე ძარღვები, ხელი ხმლის ვადისკენ წაუვიდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი, ვითომ ვერ მიხვდა იგავის აზრს.

— მაშ, ზეგამდე, ბატონიშვილო. ალაპი იყოს შენი შემწე, — უთხრა ვამეყს და კარისკენ გაემართა.

ისპაყ ფაშამ და მახმუდ ფაშამ ერთმანეთს გადახედეს, როგორ შეარჩინაო, ამ ლაწირაკს, ჩვენმა სარდალმა ესოდენ დიდი კადნიერება და უკან გაყვნენ...

...ბინდდებოდა. ვამეყი ისევ იქ იდგა დარბაზში. ახლა მის-წინ სამთავროს დიდებულნი და ვეზირნი ისხდნენ. იქ იყო იროსტომ ლიპარტიანი, ტარიელ ჩიქვანი, ნიკო ჭიანი, ქაიხოსრო ჭილაძე, ბეგლარ ჩიჩუა, ტელემაკ გუგუნვა, გვანჯი აფაქია და ესიკა წერეთელი. დაპირილი წერეთელი თავშეხვეული იჯდა. დიდებულთა და ვეზირთა შორის იმყოფებოდა ოდიშის, იმერეთის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის კათალიკოსი, ისეთი აზოვანი, რომ ორი კაცი გამოიჭრებოდა მასში. კათალიკოსის უკან მარტვილის ეპისკოპოსი ჭყონდიდელი და ცაიშის ეპისკოპოსი ცაიშელი ისხდნენ.

— რატომ დუმხართ? — ეკითხებოდა მათ უძინარი, გატანჯული და გატეხილი ბატონიშვილი. — ასწიეთ თავი, შემომხედეთ, თვალს ნუ მარიდებთ, მე-

თხარით, მიჩინეთ რამე! — დანახა, რომ ყველას თვალი სარკმლისაკენ ეჭირა. მიტრიალდა იქით.

ტყის გადაღმა მზე სწრაფად ეშვებოდა. თეთრი ღრუბლებით მოჯოგრილ ცაზე მღვრიე-წითლად ლივლივებდა მისი ნახევარი დისკო. ტყე სისხლის ზღვასავით ირწეოდა. ვამეყმა თვალი მოაშორა ტყეს, კათალიკოსისკენ მიბრუნდა, შეხედა, როგორც ყველაზე ახლობელ ადამიანს. ის მისი მკვიდრი ბიძა იყო, მისი მოძღვარი.

— დედოფალი ვეღარ იხილავს ზვალინდელ მზეს, მეუფეო.

ჩამოწვა მძიმე, უხერხული ღუმილი. მზე კი საოცარი სისწრაფით ეშვებოდა. ვამეყი თვალს არ აშორებდა კათალიკოსს.

— მზე არ იცდის, — წაიჩურჩულა სასოწარკვეთით, მაგრამ მისი ხმა მკვეთრად გაისმა დარბაზში.

— ასეთია ნება ღვთისა, — შეირბინენ კათალიკოსის ტუჩები. ეს მოსასვით კაცი, რომელსაც ცხენიანი კაცის აწევა შეეძლო და გულჩვილიაო არ ეთქმოდა, ახლა უმწეო და უსასაოო შეპყურებდა ძმისშვილს.

— „ნება ღვთისა,“ — გაიმეორა ვამეყმა. — არა, არა! — თავი გაიქნია, — „ნება ღვთისა!“ — გაიმეორა ისევ. რიგრიგობით აცქერდებოდა დარბაზის წევრთა შეშფოთებულ სახეებს. მათი ტუჩები უხმოდ და თან კათალიკოსის ხმაზე უფრო გასაგონად იმეორებდნენ: „ნება ღვთისა!.. ნება ღვთისა!“.

გაიჭრიალა, თითქოს დაიკვნესაო დარბაზის კარმა. ყველამ იქით მიიხედა. დარბაზში მესტუმრეთ-უხუცესი შემოვიდა. კაფანდარა მოხუცს თეთრი წვერი მკერდამდე სცემდა, ურვისგან სახე დაღრეჯოდა. მდაბლად დახარა თავი ბატონიშვილის წინ.

— ისქანდერ ალი გეახლათ, ბატონიშვილო...

ვერ მოასწრო მესტუმრეთ-უხუცესმა სიტყვის დამთავრება, რომ ფართოდ გაიღო კარი და ისქანდერ ალი შემოვიდა ისპაყ ფაშას და მახმუდ ფაშას

თანხლებით. სარკმლის პირდაპირ შედგა სარდალი, რათა კარგად დაენახა ჩამავალი მზე და ბატონიშვილს გაეჩინებოდა თვალი.

არავინ წამოუდგა თურქს, არ შეხედეს, არც მიესალმნენ.

დიდებულთა და ვეზირთა წინაშე შეშფოთებით მღვარი ვამეყი უცებ შეიცვალა, ისევ ისეთი შემართული და მიუწევდომელი იდგა სარდლის წინ.

შეშურდა ისქანდერ ალის მისი სიმშვიდე. კი არ გაბრაზდა, მოეწონა. არც დარბაზის წევრებზე მოუვიდა გული, რომ არ მიესალმნენ, ფეხზე არ წამოუდგნენ. თავს აჯერებდა, რომ არ ბრაზობდა, თორემ სული ყელში ეჭდა. გაახსენდა გუშინდელი იგავიც და ცეცხლი შემოენთო. იმის შიშით უარესი რამ არ ეთქვა კიდევ ვამეყს, გადაწყვიტა უხმოდ, მუნჯურად ელაპარაკა. ვახედა ტყეს. მზის წვერილა მოსჩანდა ტყის იქით. სარდალი მანამ უყურებდა, სანამ ის წვერიც არ ჩაესვენა. მერე ბატონიშვილისკენ მიტრიალდა. მზე ჩაესვენა დედასათვის და არა ოღიშისთვის. თითქოს ეს აზრი ეხატა ვამეყის სახეზე. შეცბუნდა ისქანდერ ალი. „თხოო, შენ კი არ ამბობ მაგ სიტყვებს, არამედ ის ადგილი, სადაც დგახარ!“ ვამეყი მღუმაკრედ იდგა, თურქს კი ეჩვენებოდა, რომ ის იმეორებდა ამ სიტყვებს.

მზის ჩასვლისთანავე ბინდმა დაისადგურა დარბაზში. დიდხანს ღუმდა ვამეყი. არ უყურებდა სიბნელეში გორიზად დაყუდებულ სარდალს, არ ხედავდა დიდებულთ და ვეზირთ. უტყვნი იყვნენ მათი ზაგენი.

7

ბატონიშვილი რომ დიდებულებთან და ვეზირებთან ბჭობდა, ამ დროს ძაძით მოსილი დედოფალი სასახლის საყდარში ლოცვად იდგა ღვთისმშობლის ხატის წინ. ახლა შავი თავის ძმაზე ბეშქენ ფალაზე ეცვა. ვიწრო სარკმილიდან მზის მქრალი შუქი ეფინებოდა სვედიან სახეზე. მალე მზე სულ ჩაქრებოდა და ვერასოდეს ვეღარ ნახავდა. უკანასკ

ნელ მზეს, უკანასკნელ შუქს ეთხოვე-
ბოდა კესარია, მაგრამ ამის გამო კი არ
უბრწყინავდა დაწვებზე ცრემლი, ამის
ვამო კი არ უკენესოდა გული და
უძრწოდა სული. ვამეყმა ერთადერთი
სწორი გზა აირჩია, ერთადერთი მიუ-
ცილებელი გადაწყვეტილება მიიღო და
ვერაფერი შეცვლიდა. ვერც დიდებუ-
ლთა და ვეზირთა რჩევა, ვერც წმიდა-
თაწმიდა ხატი, ვერც მაღალი, ყოვლის
შემძლე ღმერთი. დიდებულთა და ვე-
ზირთ იმიტომ უხმო ვამეყმა, რომ ნუ-
გეში მიეღო მათგან ამ საშინელი
დრტვინვისა და გვემის ქამს.

კესარიას სიცოცხლესთან გამოთხო-
ვება იმდენად არ უმძიმდა, რამდენადაც
ვამეყისთვის მძიმე იყო დედის გაწირვა.
ებრალებოდა შვილი, რომელსაც მთე-
ლი სიცოცხლე უნდა ეგლოვა. შვილი,
რომელიც მართო რჩებოდა, არავინ
ჰყავდა ნუგეშის მცემელი, ახლობელი.
კესარია თავის სულს კი არ ავედრებდა
ღვთისმშობელს, შვილს — თავის ვა-
მეყს. მისმა გადაწყვეტილებამ გული კი
არ ატყინა, კიდევ უფრო შეაყვარა, უფ-
რო აღამაღლა იგი.

— ღვთისმშობელო მარიამ, — შეს-
თხოვდა დედოფალი დედაღვთისას, —
ჩემი ხალხის სინდის-ნაშუსი, მისი ხვა-
ლინდელი დღე, მისი სახელი და დიდე-
ბა ამიერიდან ჩემი ვამეყის ხელთ რჩე-
ბა...

ცაგუ დედოფლის უკან ჩაჩოქილიყო.
მწუხარებით კრიკაშეკრული, ურვით
უსმენდა კესარიას, რომლის სახეზე
ნელ-ნელა ქრებოდა მზის შუქი. ასევე
ნელა ქრებოდა მისი სიცოცხლის ქამიც
და დედოფალი ჩქარობდა მოესწრო ვე-
დრება.

— ღვთისმშობელო მარიამ, ვამეყმა
თავისი არჩევანით უკვე დაიწყო ბრძო-
ლა სამთავროსთვის, სარწმუნოებისა-
თვის. წარუძებ მას ამ წმიდა საქმეში,
მიეც ძალი მის ძმათა, მიეც სიმტკიცე
მათ თორ-აბჯარს, მიეც მხნეობა მათ
გულს, ჩაუნერგე გამარჯვების რწმენა...

მზის შუქი კიდევ უფრო შესუსტდა
და დედოფალს მხრებზე დაეფინა. კე-

სარია ისე იყო გატაცებული ღრცით,
რომ არ გრძნობდა, რა სწრაფედ უღლე-
ოდა მისი სიცოცხლის ხანა: *სწრაფედ უღლეოდა*

— ღვთისმშობელო მარიამ, — განა-
გრძობდა დედოფალი. — მძიმე გზა
უღვეთ წინ ჩვენს შვილებს. ამ გზაზე
მათ იოლი წარმატება არ უწერიათ.
ძლიერი და ცბიერიც მტერი, მაგრამ
შენი შემწეობით აღრე თუ გვიან აღიგ-
ვება პირისაგან მიწისა. შენ შვილთათ-
ვის არც დღე იქნება, არც ღამე, სანამ
თუნდ ერთი თურქი ივლის მათს მიწა-
ზე. ხვალ მთელი ოდიში აღდგება სამ-
კედრო-სასიცოცხლო ბრძოლად. ბევრი
მათგანი ველარ დაუბრუნდება თავის
სახლ-კარს. მიიღე მათი ნათელი სული
შენს სასუფეველში. მათ შვილებს, მათ
ცოლებს, დედებსა და მამებს, დებსა
და ძმებს მიეც ნუგეში, შეუნელე
დარდ-ვარამი, განუმტკიცე სული... —
ხელნი აღაპყო, — ღვთისმშობელო
მარიამ, შენ გაბარებ ჩემს ვამეყს, მძიმე
ხვედრი არგუნა მას ბედმა — ან ხალხის
სისხლი, ან დედის. შენ შთააგონე მას
სწორი არჩევანი, შენ შთააგონე მაღა-
ლი აზრი, შენ დააყენე მართალ გზაზე
და ბოლომდე წარუძებ მას!

შესუსტდა, წარიშალა მზის შუქი დე-
დოფლის ტანზე, ფეხი აიკრიფა და სარ-
ემელში გაძვრა.


საყდრის კართან მდგარ გუშაგებს
ცვლა მოუვიდათ.

— ღვთისმშობელო მარიამ, ყოველი
დღე, ყოველი ღამე მწუხარებით საეცე
იქნება ვამეყისათვის. ნუ მიატოვებ,
ქვეყანაზე არავინ ჰყავს შენს მტერი. მი-
ეც ძალი, რომ არ დაეცეს სულით. მი-
ეც სიმტკიცე მის ჩვილ გულს, მის კე-
თილ გულს...

კენესა აღმოხდა ცაგუს, ტუჩები უთრ-
თოდა, ძლივს იოკებდა ქვითინს.

— ღვთისმშობელო მარიამ, მიეც
რწმენა ჩემს შვილს, რომ სხვა არჩევანი
არა ჰქონდა, რომ ეს იყო ერთადერთი.

კარს უკან ჩოჩქოლი ატყდა, გაისმა
იარაღის ჩხარუნის, გინება, დაცემის ხმა,
ჩახანუხი, კენესა, შეჭანჭლარდა კარი,
გაიღო და საყდარში ვამეყი შემოვიდა,



გაფითრებული, აღელვებული, ტანისა-
მოსაწეწილი.

— დედა!

წამოდგა დედოფალი.

წამოიჭრა ცაგუ.

— დედა! — გაეშურა ვამეყი დედი-
სკენ.

— ჩემო შვილო.

— არა, დედა!.. ტყუილად ვიტყუებ-
დი თავს... ეგ არ მოხდება... არ გაუთენ-
დება ის დღე ისქანდერ ალის!

მივიდა დედოფალი და დაჭრილი ხე-
ლი გულზე ჩამოუყიდა.

— დამშვიდდი, შვილო, იყუნე ჩემო
საყვარელო ბიჭო!.. შეხედე, წმიდა მა-
რიამს, ყური მიაპყარ მის ხმას.

„ასეთია ნება ღვთისა!“ შეირხა
ღვთისმშობლის ბაგე. „ასეთია ნება
ღვთისა!“ — გაიმართა კათალიკოსის
ხმამ. „ასეთია ნება ღვთისა!“ გუგუნებ-
და საყდარი.

გაოგნებული იდგა ვამეყი.

— არა! — დაიყვირა და უკან დაიხია,
თვალს არ აშორებდა დედას, — არა,
დედაჩემო!.. შემობრალე, დედა, შემო-
ცოდე, დედა!.. მაპატიე, დედა!.. ახლავე
ვეტყვი გაგანთავისუფლონ.

— არა ვამეყ...

— დედა!

— ვამეყ, შვილო, ნეტავ იცოდე, რა
ტკბილია ხალხისათვის სიკვდილი...

— არა, დედა.

დედოფალი მუხლზე დაეშვა.

— შვილო ჩემო, მუხლმოდრეკილი
გვედრება დედა.

— აღეჭი, დედა!

— შენი ხალხი ააყენე, ვამეყ! შენი
დახოქილი სამშობლო. შენ გეძახიან გა-
ყიდული ბავშვები, ნამუსახილი დე-
დები, შენ გეძახის სისხლით მორწყული
მიწა. წადი, შვილო, წარუძებ შენს
ხალხს!

— არა, არა, დედა.

— მე გიბრძანებ, ვამეყ!

— ნუ მიბრძანებ, დედა, — უკან-
უკან წავიდა კარისკენ, — ნუ მიბრძა-
ნებ, დედაჩემო... ან მე, ან ის! — გაიჭ-
რა გარეთ.

დედოფალი ერთ ხანს თავშარდაცე-
მული იდგა. მერე მიმოიხედა და ხმამა-
ღივად უთხრა:

— გაიჭე, ცაგუ, კათალიკოსს შეატ-
ყობინე!

8

უტა არც დღე ტოვებდა ბატონი-
შვილს და არც ღამე. სადაც წავიდოდა,
ორეულივით თან დაჰყვებოდა. იცოდა,
ყოველ ნაბიჯზე გარეშე, თუ შინაურ
მტერს ზაფანგი ჰქონდა დაგებული. ჭა-
მდა თუ სვამდა, ეძინა თუ ეღვიძა. ვა-
მეყს დარაჯობდა, მისი ფიქრის, მისი
აზრის მოწმე იყო. არ გამოეპარებოდა
მტერი და მოყვარე რას გაიფიქრებდა
ვამეყზე. ქვეყნად ისე კარგად არავინ
იცოდა მისი ზნე და ხასიათი, როგორც
უტამ. არც დედამ, არც ნათლია პოქი-
ნა ამაშიდემ, არც ესიკა წერეთელმა.

უტა გრძნობდა, რომ ვამეყის გული
ბოლომდე ვერ აიტანდა, ვერ გასწირავ-
და დედას, თავს შეაკლავდა ისქანდერ
ალის. ყოველ წამს მზად იყო დაეცვა,
დაეფარა ძუძუმტე.

ესიკა წერეთელმა სასახლეში მისე-
ლამდე, გზაშივე გაიგო, ვინ მოაწყო
ბატონიშვილზე თავდასხმა და ვინ ჰყავ-
და ბეშქენ ფალას ამ ბინძურ საქმეში
თანამონაწილე. ვამეყს არ გაუშვილა
ბიძის საშინელი ღალატი. არ უნდოდა
გული მოეკლა მისთვის. ვერც სხვას გა-
ანდო. სასახლეში ყველას ეძვის თვა-
ლით უყურებდა, არავის ენდობოდა.
ერთადერთი კაცი, რომელსაც გულს
უხსნიდა, ვამეყის მორღე შურსაყან
ესართია იყო. ერთმანეთთან შეთქმულ-
ნი იყვნენ. ზოგ რამეში კათალიკოსსაც
იზიარებდნენ, მაღე სულ მიენდნენ და
ალარაფერს უმაღავდნენ.

კათალიკოსი, თეთონაც დაჰჰეებული
იყო, სასახლეს არ ტოვებდა. მამასავით
თავს ევლებოდა ვამეყს. ისქანდერ ალის
დამუქრების დამესვე დაგზავნა
მღვდლები ებისკოპოსებთან: ცაიში —
ცაიშელთან, ბელიაში — ბედიელთან,
დრანდას — დრანდელთან, მოქეში —
მოქეელთან. მარტვილის ებისკოპოსი
ჰყონდიდელი და წალენჯიხის წალენ-

არღვევდა. იგი ისმოდა სადღაც შორს, გზის გადაღმა და ძლივს აღწევდა დარბაზამდე.

სი სოულ, ბატა მა დომბიტალენქო!
 კოფილ ვორტე, თოკილ ვორტე,
 ვაგომიტალენქო?!

ფიქრში წასული ვამეყი შუა დარბაზში იდგა. „რამდენ თხოვნის წერილს მიგზავნიდა, დედა. არ ჩამოხვიდე, შევილო, არ ენდო თურქის სიტყვას, არ წამოეგო ისქანდერ ალის ანკესზე“. მივიდა კედელთან, რომელზედაც კესარიის სურათი ეკიდა. „დადგება დრო, თვითონ დაგიძახებს შენი ხალხი“. გაიგონა დედის ხმა, მისი კილო ისეთი იყო, თითქოს ქუთაისში სასწავლებლად მიმავალ თორმეტი წლის ვამეყს არაგებსო. „გამართლდა შენი ეპვი. რატომ არ დაგიჯერე, დედა! რა ვიცოდი, რომ აქ მტრად მარტო თურქი არ დამხედებოდა. ყველაზე ბინძური მტერი ბიძაჩემი ბეშქენი ყოფილა. შენ კი ბეშქენზე ერთგული არავინ გეგონა ქვეყნად. ან კი როგორ შეგეძლო ძმას არ მინდობოდი! შენს ფიქრსა და აზრს არ უმხელდი შენს ყველაზე ერთგულ, სამთავროს ყველაზე ერთგულ კათალიკოსს და მთელი სულით მინდობილი იყავი ძმაზე, რომელმაც მოგიკლა ქმარი, იმისთვის, რომ სამთავრო წაერთმია, გიკლავდა შეილს და მერე, ალბათ, შენც მოგიშორებდა თავიდან. რა იცოდი, დედა, რომ ასეთი მაცდურია ადამიანი! აბა, როგორ შეეძლო ეგრძნო შენს გულს!..“

გურს ვენია მონტბულს
 ვაშემბრალენქო!..2

კი არ მღეროდა, კენესოდა, ტიროდა, მოსთქვამდა მამაკაცი და ვამეყის ფიქრს, მწუხარებას, თითქოს ბანს აძლევდა.

„მე შენზე უფრო გულუბრყვილო აღმოვიჩნდი, დედა, — ძლივს იკავებდა ცრემლს. ტირილი უნდოდა და უკვირ-

და, რატომ არ ტიროდა, — მე არც პოქინას დავუჯერე. მეუბნებოდა, ისქანდერ ალი ცბიერი ტურკი... შეგიტყუებს ოღოშში, გიგდებს ხელთ და რაც უნდა იმის გაკეთებას გაიძულესო. გამიმართლდა ნათლიას სიტყვებიც, რათა ვარ ასეთი უგნური, დედა! მითხარი, რათა ვარ ასეთი ბრიყვი!.. თურქზე უფრო დიდი მტერი, ბიძაშენიაო, მარწმუნებდა საბრალო პოქინა. არც ეს დავუჯერე და იმის ნაცვლად, რომ გამწყრომოდა, მკერდი მიუშვია ჩემს მოსაკლავად მოქნეულ ხმალს. მე დამიფარა, უღირსი, ცეტი, უპქუო...“

ვეილი კოს, ზალილ კოს,
 ვაგომიტალენქო!!

ჩუფრენივით გაისმა ისევე.

„სიკვდილის წინ საყვედურით სავესე თვალთ შემომხედა: მაღლობა ღმერთს, დაქირავებული, მოღალატის ხმლით მე ვკვდები და არა შენო. რით მოვირეცხ, დედა, ამ ცოდვას! — ხმა შეუთრთოლდა, საფეთქლებზე, თითქოს ჩაქუნს ურტყამდნენ, სისხლი სცემდა თავში. ათასი ფიქრი და აზრი ერთმანეთში ერეოდა, თავს ვერ ართმევდა. — მე მოვეკალი პოქინა. ახლა შენი რიგია, დედა. შენ გაგამზადე სასიკვდილოდ. რატომ, დედა? ნუთუ ხუთ წელიწადში ვერაფერი ვისწავლე გელათში და ისევ ის ყრუ ბავშვი ვარ! ჩვიდმეტი წლის მეფეები უზარმაზარ ქვეყნებს განაგებენ. მე კი ხებრე ვარ, დედა. ყველა საფრთხე, რასაც ანგარიში არ გავუწიე, არაფრად ჩავაგდე, წინ დამხვდა, ძვირად დამიჯდა. ისე ძვირად, ასე წელი რომ ვიცოცხლო, ვერ გამოვისყიდი... ვერ გამოვისყიდი, ვერ გამოვისყიდი, — უცებ გაახსენდა რა განზრახვით გამოვიდა წელან საყდრიდან, გულს ეფონა, დამშვიდდა, — გამოვისყიდი, დედა. ისქანდერ ალის სისხლით გამოვისყიდი. ან მე, ან ის!“ — თვალს არ აშორებდა დედის მწუხარებით და თანაგრძნობით მოპყრობილ თვალებს.

1 სად მიღიხარ, ბატა, მე მტოვებს დაჯეროლი ვარ, გათოკილი ვარ, არ გამანთავისუფლებ?

2 გულზე ცეცხლ მოღებულს, არ შემობრალე?

1 დამწვარ კაცს, დათუქულ კაცს, არ გამანთავისუფლებ!

კესარია პატეებისა და სინანულის ღიმილით უყურებდა. ასე უყურებენ დედები ბავშვს, რომელიც რაღაცას დააშავებს უნებლიეთ. ვამეყს ეჩვენებოდა რომ ასე უყურებდა ახლა დედა და არა ისე, როგორც კაცს, რომელიც მოტყუებდა, შეცდა და ამ საბედისწერო შეცდომის გამო დედა სასიკვდილოდ გასწირა. „მე მოგვალა, დედა და მე უნდა ვაგო პასუხი ღვთის წინაშე“, — მიტრიალდა მეორე კედელზე დაკიდულ ღვთისმშობლის სურათისკენ. ეს სურათი კათალიკოსმა ჩამოუტანა კესარიას იერუსალიმიდან. სურათი ვაზის ჩარჩოში იჯდა. კარგა მოზრდილი იყო. ლეონარდო და ვინჩის ორიგინალიდან ისე ოსტატურად გადმოეტანა მხატვარს რომ ცოცხლებს ჰგავდნენ ღვთისმშობელი და ჩვილი, ტიტველი იესო. ვამეყს მოეჩვენა, იესოსკენ თავდახრილმა ღვთისმშობელმა მისკენ მიიხედა, იესომაც, რომელიც ძუძუს სწოვდა ცალი თვლით შეხედა. ღვთისმშობელს ღიმილი გაუკრთა და საყვედური გამოეხატა სახეზე.

ვამეყმა თვალზე ხელი მოისვა. ღვთისმშობლის სახე სულ უფრო მკაცრი, გამციცხავი ეჩვენებოდა. ოფლის წინწყლები დაეყარა შუბლზე, მუხლზე დაეშვა და ის იყო, უნდა შევედრებოდა ღვთისმშობელს, ეთხოვა შეწყნარება, ეთქვა, რომ მოკლავდა ურჯულო სარდალს, რომ იესომ ძუძუს წოვა მიატოვა და ისევე იმ ცალი თვლით გამამხინვეებლად და თანაგრძნობით გაუღიმა, მაშინვე ღვთისმშობელმაც ისე შეხედა თავისი დიდი, ნაზი თვალებით, როგორც პირშშოს უღიმოდა.

ვამეყი წამოდგა.

— წმიდაო მარიამ, — მიმართა ღვთისმშობელს, — მამაჩემისთვის ამ ხმაღს არასოდეს არ უმტყუნია, — მისწვდა და ჩამოხსნა კედლიდან ოქროთი მოვარაყებელი ხმალი, წელზე შემოირტყა, — მას არც მამაბაბისთვის უღალატნია. ბევრჯერ შესერილა მტრის სისხლით, — თხოვნით შეხედა წმიდანს,

დამლოცე ღვთისმშობელო მარიამ, ისქანდერ ალისთან მიედივარო...“

დარბაზში ცაგუ შემოვიდა, კარი ჩუმად მიხურა, ზურგით მიეყრდნო სიბილით დაქანცული. საყდრიდან გამოსვლის შემდეგ მამასა და მშას ეძებდა, მთელი სასახლე შეძრა და ვერ იპოვა. აღელვებულმა და შეშინებულმა, ვამეყი რომ დაინახა, შევებით ამოისუნთქა.

„იყავ ჩემი ხალხის შემწე, იყავ დედაჩემის შემწე, ღვთისმშობელო მარიამ. გამიხსენი გზა, მიიყვანე იმ ურჯულოსთან. დე, ჩვენმა ხმლებმა გადაწყვიტოს ამაღამ დედაჩემის, ჩემი ხალხის ბედი. ამაღინე გზიდან ყველა დაბრკოლება. ასი გუშავი და მცველი დარაჯობს ისქანდერ ალის კარს, მოუდუნე მათ სიფხიზლე, შეიწყნარე, შეივრდომე ჩემი ხალხი და დედაჩემი!“

თავი დაუქნია ღვთისმშობელმა. „შუაზე გაყოფილ თმიდან რამდენიმე ღერი ჩამოუცურდა და ვარდისფერ დაკრულ ლოყახე დაეცა.

გურს გენია მონტებულს

ვამეყბრალენქო!

ჰვილი კოს, ხალი კოს,

ვამეყბრალენქო!

შეესმა ვამეყს სიმღერა. ერთ ხანს სულგანაბული უსმენდა. ეგონა მამაკაცი კი არა, მიწა მოთქვამდა, მიწა ტოროდა, მიწა ითხოვდა განათავისუფლებას. კარისკენ მიტრიალდა, მაგრამ ფეხი არ გადაუდგამს.

ზურგით კარზე მიყრდნობილ ცაგუს თავი უკან ჰქონდა გადაწეული, ხშირი სუნთქვით მკერდი სწრაფად აუღ-ჩაუდიოდა. ლამაზად მოღერებული ყელის სიშიშველე ძუძუებამდე ჩასდევდა. თვალები მაცდურად უბრწყინავდა. „სად არიან, მამა და უტა! ღმერთო ჩემო, სად არიან მამა და უტა! რა მეშველება! სად არიან მამა და უტა! როგორ შევაჩერო, როგორ დავაყოვნო, სანამ ისინი მოვლენ!“ — ფიქრობდა ძრწოლვით. თავი კი ისე ეკირა, თითქოს აქ იმიტომ კი არ იყო მოსული, კარს იმიტომ კი არ იყო აკრული, რომ ვამეყი შეეჩერებინა. მთელი თავისი სულით და ხორ-

ციტ აღგზნებულ, მთრთოლვარე მოლოდინით შეჰყურებდა ვამეყს.

შეცბუნდა ბატონიშვილი. ერთბაშად მოეშვა, მოდუნდა. უნდოდა მისულიყო, მოეშორებია კარიდან და გასულიყო, გასცლოდა.

„იქნებ მომისწრონ ბაბამ და უტამ!“ ფიქრობდა ცაგუ. ოდნავ გაპობილი, წითლად მოხასხასე მრგვალი ტუჩები, კიდევ უფრო გაეხსნა და თეთრი კბილების სწორი მწკრივი უნათებდა სახეს. თვალზე ბურუსი გადაეკრა, მიიზინიდა. ოდნავ შესამჩნევად, ენიიანად ერხეოდა ტანი, კაბაშემოტყეცილი თეძოები. „იქნებ მომისწრონ ბაბამ და უტამ!“

რამდენი წელია ამ წუთს ელოდა ვამეყი. რაღა ახლა, ამ საშინელ ქაშს მოვიდა ეს ბედნიერება! რა ახლოს იყო იგი და თან რა შორს. საკმარისი იყო რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა ცაგუსკენ და ქალი თვით მოექცეოდა მას მკლავებში.

შერცხვა ვამეყს. დედა და ლვთისმშობელი დასცქეროდნენ კედლებიდან. ცაგუ კი ჭიუტად უხმობდა თავისკენ და ვამეყი გაემართა წინ, მხოლოდ არ იცოდა კარისკენ მიდიოდა, თუ ქალისკენ.

ცაგუ იდგა და უცდიდა. არაფრით ამქლავებდა შიშს, ოღონდ დრო მოეგო, მოესწროთ მურზაყანსა და უტას, გადაერჩინა საყვარელი აღამიანი და ყველაფრისთვის მზად იყო. თვითონაც უნდოდა გადაედგა ნაბიჯი, მიგებებოდა, მაგრამ ისე დაუშვიმდა ტანი, რომ ფეხი ვერ დაძრა. რა ნელა უახლოვდებოდა ვამეყი. ისე გაგრძელდა მანძილი იმ ადგილიდან, სადაც ბატონიშვილი იდგა, რომ ცაგუს ეგონა მის გავლას აღარ ეშველებოდა. ეჩვენებოდა თითქოს გრძნობდა თეძოებზე ვამეყის ხელს, უფრო ძლიერს, ვინემ საქანელაზე, იკრავდა მკერდზე, სახეზე აფენდა ცხელ სუნთქვას, ბაგეზე ეკვროდა მისი ტუჩები, ისეთი მსურვალე, ისეთი მნდომი, რომ ცაგუს თავბრუ ესხმოდა და მინდობილი მის მკლავებს, თვითონაც ეხვეოდა.

ამ დროს მოპირდაპირე კარიდან დარბაზში ფეხის წვერებზე ესიკა წერეთელი, მურზაყანი და უტა შემოვიდნენ. მურზაყანს დაჰმუქუნული ყაბალახი ეჭირა, უტას ნაბადი. არ დააყოვნეს — ნიავის უმსუბუქესად, ქარის უსწრაფესად მიეჭრნენ უკანიდან ვამეყს და ის იყო ცაგუს მიუახლოვდა იგი, რომ მურზაყანმა პირში ყაბალახი ჩასჩარა, უტამ ნაბადი შემოახვია და ესიკა წერეთელმა თოკი. სწრაფად შეპკრეს, მხარზე გაიდეს და დარბაზიდან გალალეს.

ცაგუ კარს მიყრდნობილი დარჩა. შემოეცალა ვამეყის ხელები, მოშორდა მისი სუნთქვა, მისი ტუჩები. ამ დროს ვამეყი კი სარდაფში ჩაჰყავდათ, რათა შუალამისას, როცა თურქთა ბანაკი ძილს მიეცემოდა, მოდუნდებოდა გუშავთა და ჯაშუსთა სიფხიზლე, სასახლიდან გავარებიათ და მგლის მინდორში მიეყვანათ.

9

აღმოსავლეთით ცას ვარდისფერმა დაჰკრა. აციავდა საყდრის ვიწრო, მაღალ სარკმელზე მკრთალი ნათელი და შიგ კიდევ უფრო მქრქალი კონები ჩაუშვა. იისფერი შუქი მოეფინა წმიდანებით მოხატულ კედლებს, დაეცა ტრაპეზს, სააღსარებოს, საკურთხეველს, შეანელა, შეაკრთო სანთლების შუქი, აალივლივა სანთელჩამოდევნილი, დალაქავებული და გამოხუნებული საბაზემები. გააღვიძა საყდარი. თვალი გაახილეს წმიდანებმა.

აჭიკვიდნენ სარკმლებთან მერცხლები, აღუდუნდნენ, იწყეს კუჭკუჭი და ფრთების ტყაპან-ფართქალი მტრედებმა, გაიჭახტაბა შაშვმა და უცებ მიწყდა მისი ხმა. იყივლა მამალმა. აჭივიდნენ ცხენები თურქთა ბანაკში, აკივიდნენ თხები, მორათეს ზმული-ყმუყუნი და საკლავად მოდენილმა ძროხებმა და ცხვრებმა და ამ ხმებში გარკვევით გაისმა ცულუბისა და ჩაქურების ხათქა-ხუთქი.

თურქები ფიცარანგასა და სკამ-მერხებს აგებდნენ ეზოში.

თავი ასწია კესარიამ.

— ახლოვდება სამუდამო განშორების ქამი, წმიდაო მარიამ, — შეხედა ხატს. წუხანდელზე უფრო მხნედ იყო დედოფალი, მაგრამ უფრო დაქანცული ჩანდა. ცაგუმ ვამეყის გატაცების ამბავი რომ მოუტანა, მას შემდეგ დამშვიდდა, ცოტა წათვლიმა. — მშვიდად ველი სიკვდილს, რადგან ჩემი ვამეყის მფარველად შენ მეგულები, ყველა შვილის მფარველო დედავ, ყველა სიკეთის და წყალობის წმიდაო ქალწულო!

დედოფალს ესმოდა, როგორ ქვითინებდა ცაგუ. საყდარში სხვა არავინ იყო. არავის დართო ნება მასთან ყოფნისა. არ უნდოდა ტანჯვის, გვემისა და ცრემლის მოწმე ჰყოლოდა ვინმე. არ უნდოდა იმიტომაც, რომ მისი ფიქრი, ყურადღება, მისი გული და სული ერთი წამითაც მოშორებოდა ვამეყს. მხოლოდ კათალიკოსი მოვიდოდა აღსარების მისაღებად და აი, შემოვიდა კიდევ.

კესარია წამოვდა, მიეგება. გადაწყვეტილი ჰქონდა გული არ გაეკეთებია მისთვის, თითქოს სიკვდილს გულცივად ეგებება. კარგად იცოდა, რაგინდ ღრმად დაეფარა თავისი შიში, კათალიკოსი ერთი შეხედვით ამოიკითხავდა მის სახეზე.

დედოფალი ისე შედგა მის წინ, როგორც ღვთისმშობლის წინ იდგა. არც კათალიკოსი ცდილა დედოფლის დამშვიდებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ევალებოდა, როგორც ღვთის მსახურს. იმდენად მძიმე იყო მისი მწუხარება, რომ არ ძალუძდა ამის გაკეთება.

ორივე დუმდა, ორივეს უმძიმდა სიტყვის თქმა.

ცაგუ პირზეხელაფარებული შეჰყურებდა მათ, რომ ქვითინი არ წასკდომოდა.

— დედოფალო, — დაარღვია ბოლოს სიჩუმე კათალიკოსმა. — ფეხზე დგას შენი ხალხი. ლოცვაში გაატარა მან ორი საშინელი დღე-ღამე. ახლა კი იარაღსხმული ელის საშინელ ქამს.

— უკანასკნელი ჩემი ფიქრი ჩემ ხალხთანაა, მეუფეო! რაც მალე დადგე-

ბა შურისგების ქამი, მით უფრო შემინელდება ტანჯვა, — მიუფო დედოფალმა...

სასახლის ეზოში აღმართულია ფიცარნავი. ირგვლივ მოწყობილია გრძელი მერხები. ისქანდერ ალი ფეხმორთხმული იჯდა სამთავროს ტახტზე. მის უკან, ფეხზე იდგნენ ფაშები, თურქი დიდებულნი, ასისტავები, მოხელეები, დიდი ვაჭრები და სარდლის ამალის მრავალი სპა. ისქანდერ ალი უკმაყოფილო იყო: ფიცარნავის გარშემო გამართულ მერხებზე თითქმის არავინ იჯდა.

იანიჩრებს ძალად მოჰყავდათ სასახლის მსახურნი, ვეზირთა და დიდებულთა ცოლები, ბავშვები, მოხუცები. არც ერთი დიდებული და ვეზირი არ ჩანდა. ისინი გუშინდამ გაიპარნენ სასახლიდან და თავის სახლებიდან, რომ თავიანთ ლაშქარს გაძლოლოდნენ. ოდიშის ყოველი კიდიდან წამოსული მათი ჯარი ტარიელ ჩიქვანის ჯართან ერთად, ერთბაშად შეიყრიდა თავს მგლის მინდორში.

როგორც ღვთის მსახურნი, ისე დიდებულები და ვეზირნი, ერთსულოვნად აღსდგნენ სალაშქროდ. ბატონიშვილის გადაწყვეტილებამ — დედის გაწირვამ, ყველაზე ერთნაირად გაჭრა. იმერეთში როგორც კი გაიგეს, რომ მათთვის გაიღო ბატონიშვილმა ეგზომ დიდი მსხვერპლი, მეფის ბრძანებას არ დაელოდნენ: წერეთლებმა, აბაშიძეებმა, აგიაშვილებმა და წულუკიძეებმა თვითონ დაიწყეს ლაშქრის შეყრა და გუნდგუნდად თავის სამფლობელოდან პირდაპირ ოდიშისკენ გაეშურნენ.

დაიძრნენ აფხაზეთიდან, გურიიდან, ლეჩხუმიდან, სვანეთიდან.

ქვეყანა ფეხზე დგებოდა. ისქანდერ ალი და მისი ჯაშუშ-მაცნენი კი ბაიბურში არ იყვნენ. სარდალს ეგონა, დიდებულნი და ვეზირნი იმიტომ არ მოვიდნენ, იმიტომ დაიმაღლნენ, რომ არ ეხილად როგორ წაჰკვეთენ თავს მათ დედოფალს, არ ეყურებიათ თავისი უმწეობის საშინელ, დამამკირებელ სურათისთვის. და როცა დარწმუნდა, რომ ვე-

ლარ იზეიმებდა მათი შერცხვენივით, თავზე ცეცხლი წაიკიდა. თანაც იმაზეც გამძვინვარდა, რომ ბატონიშვილი იმერეთს გაქცეული ეგონა და მისთვის მეთვალყურედ მიჩენილ დოყლაპია ასისთავებს და ჯაშუშებს თვალსა და ხელს შუა დაუძვრა.

აქამდე თუ მოუთმენლად ელოდა დედოფლის დასჯას და ყველაფერი გააკეთა, რომ ამას თურქთათვის ზეიმური სახე ჰქონოდა, ხოლო სასახლის კარისთვის რაც შეიძლებოდა დამამცირებელი, ახლა გაწვილებულმა და გაბოროტებულმა ყველაფრის ინტერესი დაკარგა. რალა საჭირო იყო ეს ფიცარნაგი, ეს სკამ-მერხები, მიხრწნილი მოხუცები და სეფე ქალები, ბავშვები. რისთვის იხმო ოდიშის სხვადასხვა კუთხიდან ასისთავები და თურქი მოხელეები. ბოლმა უღუღლა სარდალს. ყველაფერი აღიზიანებდა: მის უკან მდგარი ფაშები და დიდი მხედრები, ძალად მორეკილი ხალხი, მოყაყანე ლაშქარი, ფიცარნაგი და წელსზევით შიშველი, მორიგით ტლანქი, ბანჯგვლიანი, შავი ჯალათი, რომელიც ფიცარნაგზე უშნოდ დააბიჯებდა წინ და უკან.

აღიზიანებდა ფრინველთა კიკიკი-გალობა, გამკვირვალე დილა, სუფთა და წმინდა ვით ბროლი, მთაზე გადმომდგარი მზე. უნდოდა ამდგარიყო და ვასცლოდა იქაურობას, რომ ამ დროს საყდრის კარი გაიღო და დედოფალი გამოჩნდა.

ყველა მისკენ მიბრუნდა.

შედგა ჯალათი.

გამეფდა სიჩუმე.

ნელი ნაბიჯით მოდიოდა ფიცარნაგისკენ დედოფალი. არავინ მოჰყვებოდა. არც თავისიანი, არც თურქი. ასე ისურვა თვითონ. მოდიოდა მარტო, მშვიდად, აუღელვებლად.

თითქოს მის გამოსვლისას მზემ მალა აიწია. ოქროსფრად დაფერა თავით ფეხამდე, ოქროს ხალიჩად დაეგო ფერხით. შავი აღარ ეცვა. არ უნდოდა მგლოვიარე ენახა მტერს. ვამეყის საყ-

ვარელი კაბა ემოსა. ოქრომკედით დაწინწკლული. კაბა ციმციმებდა მრწყინავდა და დედოფლის გახეხილულ კაბას ხეს თითქოს შიგნიდან ანათებდა. დაინახა ჯალათი და არ შეკრთა. არ მოაქცია მის ვეება ხმაღს ყურადღება, პირქუშად რომ ელავედა დათვის თათის ოღენა ხელში. არც ისქანდერ ალის შეხედა.

სარდალი შედიდურად იჭდა ტახტზე. კესარიამ მაინც იგრძნო, თურქი უფრო ღელავდა, ვინემ თვითონ.

ისქანდერ ალი სამი დღე ადგილს ვერ პოულობდა. ცდილობდა არ ეფიქრა დედოფალზე, ეშინოდა არ შეეცვალა გადაწყვეტილება, გაუთავებლად სვამდა, ჰარამხანიდან არ გამოდიოდა, დღეში რამდენიმე ქალს იცვლიდა, ძილშიაც ქალთან იყო, ვერ ძღებოდა, ვერ იკლავდა ეიფს. გაიღვიძებდა თუ არა, სხვა ქალს უხმობდა, მასთან ტკებოდა. დედოფალი მაინც ვერ ამოიღო გულიდან. ამოოდ სვამდა, ამოოდ ალევდა ვნებას მამაკაცმოწყურებულ ქალებს. უყვარდა დედოფალი და იგი ახლაც, სიკვდილის ქამსაც მიუწვდომელი რჩებოდა.

გარეგნულად ჩანდა მშვიდი კესარია, თორემ სიკვდილთან ყველა მომაცვდავით მიდიოდა. მუხლი ეკვეთებოდა, ეშინოდა არ ჩაეცილიყო, ნაბიჯს აუჩქარა, რომ სწრაფად გაევიღო საშინელი გზა, რომელიც ასე გაუთავებელი ეჩვენებოდა. „მომეხმარე, ვამეყ!.. მომეც ძალა, მომეც სიმსხვე, შვილო! ამომიდექი მხარში!.. არ მაქამო სირცხვილი!.. საცაა გამიჩერდება გული!“

დედოფალი მოდიოდა საყდრიდან ფიცარნაგამდე ჩამწკრივებულ თურქ სპათა ორ კედელშუა. ჯარისკაცები გახევებული უყურებდნენ. ჯალათი, როგორც გალიაში გამოწყვდელი ნადირი, წრიალებდა და დაინახა თუ არა მისკენ თამამად მომავალი დედოფალი, შედრკა და ეს კლდესავით ამართული ახმახი უმწეო და უსასო ვახდა. აუთრთოლდა ხმალი და რომ არ შეენიშნათ, იატაკს დააკირა წვერით. მას არა ერთი და ორი თავი წარეკვთა, მაჭრამ ისინი იყვნენ გმირთა ან ჯაშუშთა თავები, მო-

ლალატეთა და დაუმორჩილებელთა თავები, ისინი იყვნენ მამაკაცთა, თავზებულალებულთა, უშიშართა თავები და მაინც ყველანი წამხდარან სიკვდილის წინ, დავრდომილან, დაბეჩავებულან. დედოფალი კი ისე მოდიოდა ჭალათისკენ, თითქოს ტახტზე ასვლას ეშურებო.

ისქანდერ აღი თვალმოუშორებლად უყურებდა. თურქი გაბოროტებულიც იყო და აღტაცებულიც.

„შეუძლებელია დაიმონო ერი, რომელსაც ასეთი ქალები ჰყავს. ჭაჭებოვით იბრძვიანო ჭართველები, ვუსაყვედურებთ ჩვენ. ვის არ შეშურდება ასეთი საყვედური.. მთელი აზია ფეხქვეშ განვირთხე, ვიყმე, ჭართველებს კი ვერ მოვახრევიანე ქელი. — ტყუილად არ უთქვამს თემურ ლენგს.“

ამ ფიქრში იყო სარდალი, თავი რომ ასწია. დედოფალი ფიცარნაგზე იდგა, პირით მისკენ, ზევიდან დაჰყურებდა მშვიდად, სუსტი ღიმილით. თურქი შეკრთა, წამოდგომა უნდოდა, მაგრამ წელი ვერ აიბრია.

„ჩვენ, ოსმალონი ვიქმთ იმას, — უნდოდა ეთქვა და ვერც ხმა ამოიღო, იმდენად მომხიბლავი და ბრძანებლური იერი ჰქონდა დედოფალს, ამიტომ გულში განაგრძო სათქმელი: — რაც დიდმა თემურ ლენგმა, უძლეველმა ჩინგის ხანმა და თვით ალექსანდრე მაკედონელმა ვერ გიყოთ ჭართველებს. ჩვენ, თურქები, ვიბატონებთ თქვენს მიწაზე. სისხლიანი გზა, რომლითაც გურჯების მიწაზე არაერთხელ გაგვივლია, წავა უფრო შორს, — გრძნობდა მის ბაქიობას მიხვედრილი დედოფალი დაცინვით დაჰყურებდა. იგრძნო იმიტომ, რომ თვალს ვერ უსწორებდა. ჭალათს გადახედა, რას უცდიო.“

10

შუალამე გადასული იყო. მთაში მეჯოგეები ცეცხლს უსხდნენ. ახალი მოსული იყვნენ მთის თავზე განლაგებულ ქართებიდან. ჭართებში ჯოგი ეყენათ.

თხები ცალკე, ცხვრები ცალკე, მსხვილფეხი და ხბორები ცალკე. მორჩილებით დარაჯობდნენ ჭართებს, ჩადირო მუსკუნებას არ აძლევდათ. მთას თავისი ნადირი ეყოფოდა. ახლა ბარიდანაც ამოვიდა მგელი და ტურა, დათვი და ფოცხვერი. საქონელს ამოჰყვნენ. ბარში აღარ დარჩა თხა და ცხვარი, ძროხა-კამეჩი. რაც თურქებს გადაურჩათ, აქ გამოხიზნეს თავისი თუ სხვისი განთქმულმა მეჯოგეებმა: კვარაცხელიებმა, მაქაარებმა, ჭაჭრენაიებმა, ხვინგიებმა, კაკულიებმა და მამალეებმა. აქ ვერ ამოვიდოდა თურქი. გზები გადაკეტილი იყო. ნადირს კი ვერ შეუტრავდნენ გზას. მთელი ღამე ფხიზლობდნენ მეჯოგეები. ვინც იხვეწებდა, იმასაც იარაღში ეძინა, ვინც ჭართებს დარაჯობდა, ერთი წამით არ შორდებოდა საქონელს. ნაგაზების იმედით ვერ ტოვებდნენ. აღარ ენდობოდნენ მათ.

აი, რა ხერხი მოიგონეს შიმშილით გამწარებულმა მგლებმა: მინდვრის გარშემო გორაკებზე გადმოდგებოდნენ ძუ მგლები და ქინის აღმქვრელი ყმუილით უხმობდნენ ხვად ნაგაზებს. ისინი ვერ უძლებდნენ ცთუნებას და მიუხედავად საქონლის დიდი ერთგულებისა და პატრონის სიყვარულისა და რიდისა, მაშინვე მიატოვებდნენ ჭართებს და მგლებისკენ გაეშურებოდნენ. მიუახლოვდებოდნენ თუ არა, მგლები უკანალს მოუშვერდნენ, გამაღიზიანებლად გაუქგამოუქნევდნენ და ნელ-ნელა შორს იტყუებდნენ. ამ დროს ხვადი მგლები თავს ესხმოდნენ ჭართებს. საქონელთან დარჩენილი ძუ ნაგაზები ყოველთვის მარცხდებოდნენ უთანასწორო ბრძოლაში. ამიტომ ვერ ტოვებდნენ მეჯოგეები ძალღების ამარა საქონელს.

ცეცხლის პირას მსხდარი მეჯოგეები ვახშობდნენ და თან ყური ჭართებისაკენ ექირათ. არც ის ნაგაზები იყვნენ მშვიდად, რომლებიც მათ მოყვნენ და თავის ვახშმას ელოდნენ. სხვა დროს ჭამისას ხელში რომ შეჰყურებდნენ, ახლა დაცეცხლებული იყვნენ, ცმუტავდნენ. უცებ ლავლაჳით მოწყდნენ ადგილიდან

და გზაზე გაიქრნენ. წამოცვიდნენ მე-
ჯოგეები, მაგრამ სანამ ძაღლების კვალს
გაპყვებოდნენ, ცეცხლმა ერთბაშად გა-
მოჰკლიჯა სიბნელეს ქარივით მოვარ-
დნილი მხედარი. მაშინვე ორი ხელი მი-
სწვდა აქეთ-იქიდან ლაგამს. დაფრთხა
გაქაფული ულასი, ყალუზე შედგა.

— ბატონიშვილი ვამეყი, გიხმობთ! —
— ამოიხრიალა ქანცგავარდნილმა მხე-
დარმა და ცხენიდან გადმოვარდა...

.. მთვარე მალლა იდგა მოსარეულ
ცაზე. სოფელს ეძინა.

— ბატონიშვილი ვამეყი გიხმობთ!
— უთხრა უნაგირიდან გადახრილმა
მხედარმა ჭიშკართან მღვარ მამა-შვილს.
ფაცხაში ცეცხლის შუქზე გლესმა ია-
რალი აისხა. ცოლმა ტყავის აბგავში
ყველი და მკაღი ჩაუდო. მოესმათ რო-
გორ მოადგა ფაცხას ცხენოსანი, კარზე
მათრახის ტარით დააკაჟნა.

— ჰეი, გოჩა, ბატონიშვილი გვიხ-
მობს!

გზისპირა იაშში ნამგზავრი, გამტვე-
რილი იანიჩრები ვახშობდნენ. მათ
იმერეთის საზღვრიდან ისქანდერ აღის-
თან ამბავი მიჰქონდათ, რომ იმერთ სპა-
თა რამდენიმე გუნდი ოდიშში შემოიპა-
რა, მიუვალი გზებით, ტყეებითა და მთე-
ბით სამთავროს შუაგულისკენ მიეშუ-
რებიანო. თურქები მოურიდებლად ლა-
პარაკობდნენ ერთმანეთში, დარწმუნე-
ბულნი, რომ მზარეულმა, რომელიც მათ
ემსახურებოდა თურქული არ იცოდა.

გარეთ იანიჩრების გაოფლიანებულ
ცხენებს გლეხი წინ და უკან დაატარებ-
და. „ბატონიშვილი ვამეყი, გიხმობთ!“
მოესმა გლეხს სიბნელიდან მამაკაცის
ხმა.

მზარეულმა შეზარხოშებულ იანიჩ-
რებს მოხარული ხორცი და ღოჭით
ღვინო დაუღა. თურქები გამგვლებუ-
ლნი ილტყებოდნენ. თას-თასზე ცლიდ-
ნენ.

მზარეული დაყურადდა. „ბატონიშვი-
ლ ვამეყი, გიხმობთ!“ მოესმა გარედან
ხმა. შეხედა იანიჩრებს და მერე შეუმ-
ჩნველად გავიდა გარეთ. მიეგება ცხენე-

ბის მომსახურე გლეხი. შეთქმულბრვით
შეხედეს ერთმანეთს. ერთი წინა კარფან
მივიდა, მეორე უკანასთან, ხელმად გაუ-
ყარეს ურდული, იქვე ცხენებისთვის
დაყრილი თივა მიაფინეს კარებს და
კვეს გაპკრეს. ავარდა ცეცხლის ალი.
გაიქცნენ ცხენებისაყენ მზარეული და
გლეხი...

მთვარე გადახრილი იყო. ფერდობზე
გლეხები ბალახს თიბავდნენ. გარემო
იანიჩრები ედგნენ.

„ბატონიშვილი ვამეყი, გვიხმობს!“

თავი ასწიეს მთიბავეებმა, მოიქნიეს
ცელი. ზღართანი მოადინეს მიწაზე თავ-
მოქრილმა თურქებმა. უმალ ბალახი მი-
აყარეს მთიბავეებმა..

„ბატონიშვილი ვამეყი, გვიხმობს!“

ბერები იარალს ისხამდნენ მონასტრის
ეზოში. მონაზვნები საგზლით სავეს აბ-
გებს ჰკიდებდნენ მხარზე.

ასე უხმობდნენ ერისა და ღვთის მსა-
ხურნი ქალსა და კაცს, ასე დგებოდა
ფეხზე ოდიში. გაძარცულ, გალტაკე-
ბულ ხალხს არაფერი ჰქონდა სულისა
და ხორცის მეტი. თურქებმა პირწმინ-
დად ამოხავეს მათი ქვევრები, მოწმინ-
დეს ბელლები, გალაღეს მსხვილფეხი
და წვრილფეხი, არ დასტოვეს ჯამ-ჭურ-
ჭელი, გლეხს ისიც გახადეს, რაც ზედ
ეცვა. იტაცებდნენ ქალსა და ბავშვს. ნა-
ძარცვ-ნადავლს ფოთისა და ანაკლიის
ნავსაყუდლებში აგროვებდნენ და აქე-
დან თურქეთს ისტუმრებდნენ. ვინც
ოდიშში დარჩა, იმის სულში დაგროვი-
ლი ბოღმა და ჯაერი გზას იხსნიდა, იზრ-
დებოდა, დიდდებოდა, არ ჰქონდა კი-
დე-განი. რისხვით გაბოროტებული ხალ-
ხი დიდი ხანი ელოდა ამ დღეს, ამ დაძა-
ხილს და იგი გაისმა მონასტრებიდან და
საყდრებიდან, დოხოროვებიდან, სასახ-
ლიდან, ფაცხებიდან, ყანებიდან და მინ-
დვრებიდან.

ორ დღე-ღამეში ამხედრებული ხალხი
გვიან ღამით დაესხა თურქთა საგუშაგო-
ებს, ბანაკებს. გადაეკეტეს გზები, ჩაშა-
ლეს ხიდები, გარეკეს მათი ცხენები, გა-
იტაცეს ადალი, ცეცხლს მისცეს ბანაკე-
ბი და ერთდროულად გაეშურნენ ლაშქ-
რის შესაყარი ადგილებისაკენ.

დედოფალი ფიცარნაზე რომ აღიო-
და, იმ დროს მთავი გავარდნილ ბილიკ-
ზე მგლის მინდორისაკენ მიაგულვებდნენ
ცხენებს ესიკა წერეთელი, მურზაყან და
უტა ესართიები.

უტას ყორანივით შავ არაბიაზე ნა-
ბადში გახვეული და თოკით შეკრული
ბატონიშვილი ედო წინ. ცხენს ტყლიბი
ჰქონდა გავარდნილი ორი კაცის სიმძი-
მით. აქამდე შენაცვლებით მიჰყავდათ
ვამეყი ხან ესიკა წერეთელს, ხან მურზა-
ყანს და ხან უტას. მაგრამ ახლა საცაა
დარეკავდნენ ზარები და ჩქარობდნენ,
ვერ დაკარგავდნენ დროს იმისთვის,
რომ უტას ესიკა წერეთლისთვის ან მა-
მისთვის გადაეცა ბატონიშვილი.

— არიქა, არაბია, გაფრინდი, შენი ჰი-
რიმე! — ჩურჩულით ეხვეწებოდა ცხენს
უტა, რომ ვამეყს არ გაეგონა მისი ხმა.
ბატონიშვილმა არ იცოდა, ვინ მოი-
ტაცა და ამას იგი თვით ღმერთსაც არ
აპატიებდა.

თითქოს ცხენიც მიმხვდარი იყო, რა
მნიშვნელობა ჰქონდა მგლის მინდორზე
დროულად მისვლას, შეუწელებელი ჩო-
რთით არბოდა აღმართს. აი, გამოჩნდა
მაღალი ქარაფებით ნამგალივით შემო-
კალული მგლის მინდორი, ბანაკი, ლაშ-
ქარი.

გუშაგებმა, რომლებსაც ბანაკში შე-
სასვლელი ერთადერთი გზა ჩაეკეტნათ,
მაშინვე იცნეს ცხენოსნები და გზა უტი-
ეს.

დაინახა ლაშქარმა მხედრები. სამ მხე-
დარში ბატონიშვილი რომ ვერ შეიცნეს,
გაუკვირდათ. ვინ იფიქრებდა, რომ ვა-
მეყი გახვეულ-გაბაწრული მოჰყავდათ.

დაეშვა მინდორზე არაბია. ლაშქარი
ორად გაიყო და მინდორის შუაგულში
მდგარ ტარიელ ჩიქვანსა და მის მხედ-
რებისკენ გზა გაუჭრეს. სამივე ცხენო-
სანმა ერთდროულად შეაყენა ბედაური
სარდლის წინ. გადმოხტა მურზაყანი და
ფრთხილად ჩამოართვა შვილს ტვირთი.
გადმოხტდნენ ესიკა წერეთელი და უტა.
სანამ ტარიელ ჩიქვანი იკითხავდა, რა
იყო გახვეული ნაბადში, იძრო სატევა-
რი მურზაყანმა და სამგან გაკვეთა თო-
კი.

არწივის ფრთებივით მოიქნია მძვ. გა-
ხვეულმა ნაბდის კალთები, წამოიჭრა.
მოიგლიჯა პირიდან ყაბალანძრ
განცვიფრებულმა ლაშქარმა უკან და-
იხია.

— ბატონიშვილი!

— დიდება შენდა, უფალო!

აღმობდა ბანაკს.

გაგულული ბატონიშვილი სულს ვერ
იბრუნებდა. მიხვდა მორღუ იყო მისი
გამტაცებელი და თავზარდაცემული შე-
ჰყურებდა მის წინ მორჩილად მდგარ
საყვარელ გამზრდელს. გონება აერია,
ხელი ხმლის ვადისკენ წაუვიდა და შუა-
ზე გაჩეხდა, რომ ამ დროს საღდაც
შორს, ძალიან შორს ყრუდ, ოდნავ გა-
საგონად დაიკვნესა მონასტრის უზარმა-
ზარმა ზარმა.

ნელა ასწია ხელი მურზაყანმა და ქუ-
დი მოიხადა. ქუდი მოიხადა მის უკან
მდგარმა ესიკა წერეთელმა და უტა ეს-
ართიამ.

უფრო მწარედ, უფრო ყრუდ დაიგმი-
ნა ზარმა.

ქუდი მოიხადა ტარიელ ჩიქვანმა და
მუხლზე დაეშვა.

უფრო ახლო დაიკვნესა სხვა ზარმა.

მუხლზე დაეშვა ლაშქარი.

მარტო ვამეყი იდგა ფეხზე. დაბნეუ-
ლი თვალებით დასცქეროდა ჩამუხ-
ლულ, თავშიშველ ლაშქარს. ალიონის
შუქით შეფაკლული ცისკიდურის იის-
ფერი მკრთალად ანათებდა სპათა შეურ-
ვებულ სახეებს და უფრო გაფითრე-
ბულს აჩენდა.

ჩამოჰკრეს ზარს მესამეგან. ჩამოჰკ-
რეს კიდევ, ისევ და ისევ.

— დედა, — შეირბა ვამეყის გახვეე-
ბული ტუჩები.

პირქულად, მძიმედ რეკდნენ კილით
დიდი და პატარა ზარები.

„წარუძებ შენს ხალხს!“

ჩაესმა ვამეყს ზარების რეკვაში დე-
დის ხმა.

დიდხანს იდგა მუხლზე ლაშქარი.
მთის იქით ამოიწვერა მზე. წამოდგა
ტარიელ ჩიქვანი.

წამოდგა ბანაკი.

„წარუძებ შენს ხალხს!“

ასწია თავი ლაშქარმა. გაბრწყინდა მზეზე გაფითრებული, შურისგების რისხვით შეკრული სახეები.

„წარუძებ შენს ხალხს!“

შეხედა ტარიელ ჩიჭვანიმა ბატონი-შვილს.

— დედაშენი გვეძახის, ვამეყ. წაგვიძებ, შვილო! ამიერიდან შენა ხარ ჩვენი მთავარი.

მღუმარედ და მოლოდინით იდგა ლაშქარი მთავრის გარშემო. გატანჯული, გაძარცული, მშვიერი, შიშველი, მოსული ცხენით, ფეხით, იარაღით, უიარაღოდ. ვისაც ხმალ-სატყვარი, შუბი და ისარი არ ჰქონდა, ცული და წალდი წამოედო, ხელთ ეპყრათ კეტი და ფიწალი.

— დედოფალი მოგვიკლეს!

— დედა მოგვიკლეს!

გუგუნებდა ლაშქარი, ბობოქრობდა ლაშქარი. იგი ჰგავდა უეცრად მოვარდნილ მდინარეს, რომელმაც გზადაგზა მრავალი ლანქერი, ჩქერი, დელე და ნაკადი შეითვისა; გაივსო, აზვირთდა, წამოვიდა ზათქითა და ზარით, შეასკდა ჯებირს, შედგა, შეიცადა, რომ მომძლავრდეს, დაეწიოს უკან მომავალი, მეტი ღონე ჩაიდგას მუხლში, უფრო აზავთდეს, უფრო გაავდეს. ლაშქრის შეძახილები ზვირთების ზრიალსა ჰგავდა, ლაშქრის ყიყინი ჯებირის ტყაცანს. ატყდა ცხენთა ჭიხვინი, ფლოჭვების თქარათქერი, იარაღის ეღრიალი.

გასკდა ჯებირი, შეირყა, გაიზნიქა, იმატა ხუილმა და ზათქმა, ყალყზე შემდგარმა მდინარემ შესვენების, სულის-მოთქმის შემდეგ გზა გაიხსნა.

„წარუძებ შენს ხალხს!“

ვამეყის გარშემო იდგნენ ის დავადებიც — ის მამები, ქმრები, ძმები, რომლებიც დადიანს მომღურებული ჰყავდა. დაიფიწყეს მტრობა, მოვიდნენ და გასაქირის ეამს მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა მთავარს.

გული აღჩვილდა ვამეყს. შეატყო ეს უტამ, რომელიც შეუხედავად გრძნობდა რა ზღებოდა მის სულში. სწრაფად დაუყენა წინ არაბია და მარჯვენა უხანგი დახიდა.

ვამეყი მოაფრინდა ცხენს. მაღლიერების თვლით გადმოხედა ძუძუმტეს, მორდუს, რომელიც გამამხნეველად უღიმოდა, ისე როგორც ბავშვობისას არაერთხელ გაუღიმიო, წაუქეზებია, წაუთამამებია. მერე მორდუს სახე მტვრის ბუღმა დაფარა და თვალწინ დედა დაუდგა.

„წარუძებ შენს ხალხს!“

ვამეყი ხედავდა მისი ტუჩების მოძრაობას, ეგრე ნაცნობს, თბილს, მშობლიურს, რომელსაც აწ ველარასოდეს იბილავდა.

„წარუძებ შენს ხალხს!“

ამხედრდა ლაშქარი.

ტარიელ ჩიჭვანი და ესიკა წერეთელი აქეთ-იქით ამოუდგნენ მთავარს.

„წარუძებ შენს ხალხს!“

დაწინაურდნენ მედროშენი.

უცებ დაიძრა ლაშქარი. იმატა ფლოჭვების დგრიალ-თქრიალმა.

„წარუძებ შენს ხალხს!“


გუგუნებდა ოდიშის დიდი და პატარა ზარები.

ნიკოლოზ ჩიჩავა
ესროდნენ ცას...

ესროდნენ ცას,
თვითმფრინავებს ესროდნენ ღამით
და ვარსკვლავები
იჭვის თვალით უცქერდნენ მიწას.
თითქოს ცხოვრება
ყუჩდებოდა, წყდებოდა წამით,
მაგრამ სიცოცხლე
განაბული დგებოდა იმ წამს.
დუმდნენ ქუჩები
და სიჩუმე იცავდა ქალაქს,
დილიდან მაინც
ზოისმოდა ელურტული მერცხლის,
მძლეობა-მძლე ხალხის
დაუშრეტელ იღუმალ ძალას,
ვერას აკლებდა
ყუმბარების ზათქი და ცეცხლი.
პროექტორები
გაშმაგებით დაძრწოდნენ ცაზე,
თითქოს ჩამქრალი
ვარსკვლავების მოძებნა სურდათ,
ისე ჰქრებოდნენ
გარიტრაჟზე, დღე-ღამის ცვლაზე,
რომ დილას ეგრძნო
სულ მცირედი მშვიდობა თუნდაც.
ესროდნენ ისევ,
ცას ყუმბარებს ესროდნენ ღამით
და ვარსკვლავები
იჭვის თვალით უცქერდნენ მიწას,
თითქოს ცხოვრება
ყუჩდებოდა, წყდებოდა წამით,
მაგრამ სიცოცხლე
განაბული დგებოდა იმ წამს.

შენ ხარ ვენახი...

ნაზამთრალ ვაზებს გლეხკაცი გასხლავს,
თვალლია მიწას შემოხვევს ას მკლავს,
ყოველ ვაზს მარჯვედ დაუსვამს ჭიგოს,
ნაყოფი ზიდოს და გამძლე იყოს.
ყოველ ძირს უცბად გაუგებს ტკივილს.



აბა რა სტკივა: მკლავი, თუ წვივი?
 როს ნაბავს ფოთოლს ცვარი რომ აზის,
 გაახალისებს ციმციმი ვაზის...
 რთველში ამაყად დაუელის ვენახს,
 მტევანი გლუხკაცს აუბამს ენას—
 და მხიარული მოყვება ღიღინს,
 მადლიერია მიწაც და იგიც.
 ყოველ მარცვალში ქვეყანას ხედავს.
 ქართველი კაცის სიხარულს ხედავს.
 ოჯახის სითბოს, ოჯახის დედას.

სამადლობელი

ცოცხალი რომ ვარ
 და კაცი მქვია,
 ქვეყანას ვუმზერ
 დიდსა და მზიანს—
 და საოცარი
 ოცნება ჩემი
 წინ რომ მიილტვის,
 წინ რომ მიზიდავს.
 მისი სულისთქმაც
 და განაჩენიც,
 რომ მახალისებს
 ღამით, დღისითაც —
 ახლა ნამდვილად
 კაცი რომ მქვია,
 სიცოცხლე მართლაც
 რომ შემიტყვია—
 მადლობელი ვარ
 თქვენი ყველასი:
 მიწის, მზისა და
 ცისარტყელასი.

ირველივ კეკლავია

ფრთათვარფათა პეპლებო,
 მომაფრინდეთ ეგების,
 წვეტიანო ეკლებო,
 ფეხქვეშ რატომ მეგებით?
 მწუანე კორდი ბიბინა,
 მინდა გადავირბინო.
 გაშიშვლებულ ფეხებზე,
 ევაფი რომ შემებება—
 მომაგონებს ანცობას
 ჩემი გულის კუნთები,
 ჩემო ყმაწვილკაცობავ,
 იქნებ დამიბრუნდები!

დავით ჯაპინიძის

შვილები

(წაწვევები ზაფხულის დღეებში)

5 ივლისი.

დღეს მეოთხე დღეა, რაც მანგლისში ვართ: ჩვენი ბიჭი საბავშვო ბაღს გამოვავოლეთ და... თან წამოვყვეით. შევბულბუბა ერთდროულად ავიღეთ ნანამ და მე, მაგრამ დასასვენებლად არა გვცალია: მე მომავალი ექსპედიციისთვის ვემზადები — ლიტერატურულ მასალებს ვეცნობი; ნანას გამოცდები აქვს ჩასაბარებელი სექტემბერში, — უცხო ენების ინსტიტუტში სწავლობს, დაუსწრებელზე. — ფრანგული და ინგლისური ენის სახელმძღვანელოებით გადაუტვირთნია პატარა თარო. სასადილო კარალის ნახევარიც ჩვენს წიგნებს უჭირავს, ისე რომ დასასვენებლად ნამდვილად არ გვცალია.

ჩვენი ოთახი პატარაა და გრილი; ერთადერთი სარკმელი აღმოსავლეთს შეპყურებს — მზე მხოლოდ დილაობით შემოდის შიგ. ისედაც სივრილეა მანგლისში და თბილად ჩაცმულები ვუზივართ ჩვენ-ჩვენ სამუშაოს.

საბავშვო ბაღს სკოლის შენობა უჭირავს, ჩვენგან ახლოს, გზის გადაღმა. სკოლის ეზო დიდი და ბალახიანი. მთელი დღე ბავშვების ყრიაშული ისმის იქიდან. ჩვენც მუდმივად იქით მივვიწვივს გული, პატარა კახას სანახავად; გამგემ ზრდილობიანად ავეიკრძალა ხშირად სიარული, რაიმე ინფექციის თავიდან ასაცილებლად. ვცდილობთ დავემორჩილოთ: შორიდან ვუყურებთ როგორ ცელჭობს სხვებთან ერთად ჩვენი პატარაც; (ენახოთ რამდენ ხანს გაეძლებთ ასე). ხანდახან თვალს მოგვკრავენ ხოლმე ბავშვები და იწყებენ ყვირილს:

— კახას მამა! კახას მამა!
ან:

— კახას დედა! კახას დედა!
ჩვენ დამნაშავეებსავეთ ვიმალებით-
ლობის უკან.

8 ივლისი

— დათო! ხომ არაფერს ითამაშებდი? — ეს შეკითხვა მესმის ყოველდღე, სადილის შემდეგ; ჩვენი სახლის პატრონი მეკითხება, „ძია ნიკო“. ის სკოლის მასწავლებელია, ჩაფსკენილი, დაბალი ტანის კაცი. ორმოცდაათამდე წლისა ყოფილა, მაგრამ ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, — პაპიროსს არ სწევს, ღვინოსაც არ ეძალება. მას და თამარს, ჩვენს დიასახლისს, ძალიან ტკბილი ცოლქმრობა აქვთ. მართონი არიან აქ. ორი შვილი ყავთ, მაგრამ ორივე თბილისშია: ბიჭი სწავლობს, გოგო მუშაობს. ნიკო თავისუფალია — მის მოწაფეებს საზაფხულო არდადეგები აქვთ, — მაგრამ მაინც ყოველ დღით სადღაც მიდის, მერე, ასე ხუთი საათისათვის, ბრუნდება სახლში და სადილის შემდეგ შემომძახებს ხოლმე გარედან; დღესაც შემომესმა:

— დათო! ხომ არაფერს ითამაშებდი?
იგულესხმება ჭადრაკი ან ნარდი. მე არცერთი არ მიყვარს მაინცდამაინც, თან არც მცალია ვასართობად, მაგრამ უარს ვერასდროს ვეუბნები; ჯერ — ერთი იმიტომ, რომ მეტად კეთილი და სასიამოვნო აღამიანია, და მეორეც: თვით ეს სიტყვები განსაკუთრებით ნაღვლიანი ხმითაა ნათქვამი. აივანზე დგას ხოლმე,

ველ დღე. მეორე ოთახიდან ისევ საყვარელი მანქანის ხმა ისმის.

დრო ჩვეულებრივად გადის, საკმაოდ ერთფეროვნად.

სადილის შემდეგ ისევ წვიმს, ცივა და მაინც აივანზე ვჯდებით ნიკო და მე, ერთმანეთის პირდაპირ.

— დღეს ჭადრაკის დღეა! — ხუმრობს ნიკო.

შუა თამაშში ვართ, როცა ეზოდან გვესმის:

— მამა!

— ბიჭოს! თამარ! — ყვირის ნიკო.

— ოთარი ჩამოვიდა!

კიბეზე კოხტა ტანის ბიჭი ამოდის და ნიკოს ეხვევა, მერე ოთახიდან გამოვარდნილ თამარსაც.

— ნათელ! შენცა? — აღტაცებული ნიკო ახლა თავის გოგონას კოცნის, რომელიც პირველად არავის შეგვიმჩნევია. მერე ნიკო ორივეს თავმომწონედ მაცნობს, დაუფარავი სიამაყით... ჭადრაკის პარტია დაუმთავრებელი გვრჩება, ნიკო ბოდიშს მიხდის და ფიგურებს სწრაფად ალაგებს ყუთში. ოთხივენი ხმაურით შედიან თავიანთ ოთახში.

18 ივლისი.

აგერ უკვე მეხუთე დღეა, რაც საყვარელი მანქანის ხმა არ გაგვივია. მხოლოდ მხიარული საუბარი, ალერსიანი სიცილი ისმის მეორე ოთახიდან. ნიკო აღარსად დადის დილაობით, მთელი დღე შინაა. ნანასაც აღარ აწუხებს საღამოობით ნარდის ქეების უსიამოვნო კაჟუნი კაკლის ხის დაფაზე...

ვზოს ნახევარი ბოსტანს უჭირავს. დღისით უფრო ხშირად ამ ბოსტანში ვხვდები ნიკოს და ოთარს, მხარდამხარ მუშაობენ. ნათელა დედას ეხმარება ყველაფერში. სადილის დროს ისევ ოთახში იკრიბებიან და დალაშქრებულად ათას მხიარულ ამბავს იგონებენ, რიგრიგობით ლაპარაკობენ, ერთად იცინიან... მონატრებული თავშეყრით ნებიერობს ტკბილი ოჯახი. (ჩვენ ხან უნებურად გვესმის ეს ყველაფერი, კედლის წყალობით, ხან კი შეგვიპატიყ-

ბენ ხოლმე სხვადასხვა მიზეზით: ან ხაკაპურები დაუცხვიათ და ეჭიბრებ, ერთმანეთს დედა-შვილი ან ნატურ-მორტს კიდებენ კედელზე და დაობენ — რა ადგილას აჯობებს. ნახატი ოთარისაა, ზეთის საღებავებით, საკმაოდ უნიკო, მაგრამ რას იზამ? შვილისაა და მაინც ძალიან მოსწონს ნიკოს, თამარსაც. მხოლოდ ნათელა იღიშება და დარცხვენილივით, ქებისგან თავს იკავებს...).

ვატყობ, რომ უცნაური დღიური გამომდის: უფრო მეტს ნიკოზე და მის ოჯახზე ვწერ, მაგრამ ეს შემთხვევით არ არის — გულწრფელად მომწონს ეს ხალხი... თან ჩვენი დღეები, ნანასი და ჩემი, ერთი მეორესა ჰგავს, ჩასაწერიც არაფერია.

20 ივლისი.

დილას ცოტა წავეკინკლავდით ნანა და მე; (არცაა გასაკვირი: ერთი კვირაა უკვე, რაც არ გადაუღია წვიმას, საზიზღარი, ნერვებისმომშლელი ამინდებია). რაღაც წვრილმანზე დავიწყეთ კინკლაობა, მალე კი უკვე ხუმრობის გარეშე „ვულტრენდით“ ერთმანეთს, მაგრამ ხმა არცერთს არ აგვიმაღლებია, თუმცა ეს ისევ თბელი კედლის გამო: უხერხულია!

თორმეტი საათი იქნებოდა, როცა საბავშვო ბაღის ექიმი მოვიდა ჩვენთან, სიცხის საზომი გვთხოვა.

—...კოლოფი, რომელშიც ათიოდე თერმომეტრი მედო, ბავშვებმა გადმომიგდეს მაგიდიდან, უცაბედად — ცხადია! და წარმოიდგინეთ, ყველა დაიმტვრა! — მერე, ვითომ სხვათაშორის, დაუმტა:

— თქვენ კახასაც მგონია ისევ სიცხე აქვს, უნდა გავუზომო.

შეწუხებულები გავეყვით ექიმს.

კახა მართლაც უცნაური, ალექსილი სახით დაგვიხვდა. სიცხე გაუზომეს და არ აღმოაჩნდა; (კიდევ კარგი, თორემ ნანას უკვე ცრემლები მოადგა თვალებზე; მეც ვდელავდი: ასე მალ-მალე სიტხე — ხუმრობა არ არის!). უცბათ დაე-

მშვიდლით და გახარებულები დავბრუნდით უკან.

ვახშმის დროსლა მოგვაგონდა, რომ ნახუბრები ვიყავით, მაგრამ მიზეზი ველარც კი გავიხსენეთ და... გულიანად გაგვეცინა ერთმანეთზე.

21 ივლისი.

დღეს ჩვეულებრივ დროს გაგვეღვიძა: ცხრა საათიც არ იქნებოდა. უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო ლოგინშივე: თითქოს რაღაც შეიცვალა ჩვენს გარშემო, მაგრამ რა? ვერ მივხვდი. მერე ნანას გავუხიარე ჩემი ეს შთაბეჭდილება. ნანა უცბათ მიხვდა: მეორე ოთახიდან ისევ მხოლოდ საკერავი მანქანის ხმა ისმოდა, მხიარული საუბრისა და ალერსიანი სიცილის ნაცვლად.

როცა ავდექით:

— ბავშვები თბილისში დაბრუნდნენ. პირველ ავტობუსს გაყვნენ. ნიკომ გააცილა. — აგვისხნა თამარმა. — ახლა ვიდრე ჩვენ არ ვინახულებთ, თითონ ველარ მოიცილიან აქ ამოსასვლელად და... ეჰ! ვინ იცის ჩვენ კი როდის მოვახერხებთ სახლის მიტოვებას, ათასი საქმეა.

მოწყენილი იყო თამარი და საკერა-

ვი მანქანაც თითქოს დარდინიანდ ხრიალებდა.

საუზმის შემდეგ ჩვენ-ჩვენ საქმეს ჩაუუჭყით; არც გამიგია, ისე მოახლოვდა სადილის დროც.

როცა სადილი მოვათავეთ, ისევ მუშაობა დავაპირე, მაგრამ...

გარედან ნიკოს ხმა მომესმა მოულოდნელად:

— დათო! ხომ არაფერს ითამაშებდი?

გამიკვირდა: ნიკოს დაბრუნება შემჩნეველი დამრჩენოდა. უკვე ესაღილათ კიდეც, მე კი არცერთის ხმა არ გამიგია მათი ოთახიდან.

— სიამოვნებით, ძია ნიკო! რა ვითამაშოთ?

— დღეს რისი დღეა? აღარ მახსოვს.

— აღარც მე მახსოვს.

— მაშ ისევ ჭადრაკი აჯობებს, პა, რას იტყვი?

— ნება თქვენია!

ნიკო ოთახში შედის, ჭადრაკის დაფა გამოაქვს, შტერის სქელი ფენით დაფარული; ჯერ უბერავს, მერე რაღაც მჩვრით აუჩქარებლად სწმენდავს და თან სევედიანი თვალებით გაჰყურებს ტალახიან გზას.

ნ ა ტ ვ რ ა

ვეფხვმა მედიდურად, ზანტად გაიზმორა.

ატლასივით ბზინავდა მზეზე მისი უზარმაზარი, ზოლებიანი სხეული.

გაიზმორა.

ბორცვებად დააჭდა კუნთები კისერზე, ქედზე ბეჭებზე...

გაიზმორა და თავისი დიდრონი, მომწვანო თვალებით ხალხს ამოხედა.

ბევრი ხალხი იდგა მოაჯირთან, ვალების ზემოთ. ამაოდ ცდილობდნენ ზოგიერთნი ჭუნგლების რისხვის მოთმინებიდან გამოყვანას: იღრინებოდნენ, ხელებს იქნევდნენ...

არავინ აქცევდა ყურადღებას აბრას

წარწერით: „ცხოველებს ნუ გააბრაზებთ!“

არც ვეფხვი აქცევდა ყურადღებას აბეზარ ადამიანებს: დიდი ხანია მოტეხილი იყო მისი ქედმალლობა. მხოლოდ ერთხელ გამოაჩინა შიშისმომგვრელი, თეთრი კბილები და წითელი ხახა. მერე ისევ უიმედობა მოერიო, მზეზე გაიზმლართა და ძილი განაგრძო.

— დაიძინა... — სინანულით სთქვა პატარა ბიჭუნამ.

ოთხი-ხუთი წლის იქნებოდა. მოაჯირზე იჯდა. უკან მამა ედგა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი. ორივე ხელი შვილისთვის მაგრა ჩაეჭიდნა. და შიშნარევი პატივისცემით დასცქეროდა მძინა-

რე ნადირს. დადლილობაც ეტყობოდა სახეზე.

— ჰო, დაიძინა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ძილის დრო არის. ახლა ყველამ უნდა დაიძინოს. ჩვენც უნდა დავიძინოთ. წავიდეთ, შვილო.— და ბიჭუნა ძირს ჩამოსვა.

ის უკვე სატირლად გამზადებულიყო.

— არ მინდა დაძინება... აბუზღუნდა,

— ახლა სპილო ვნახოთ.

— სპილო ხომ ვნახეთ?!

— კიდეც მინდა.

— არა, შვილო, სპილო შორს არის. მოდი ცოტა ხანს კიდეც ვუყუროთ ვეფხეს, კარგი?

— კარგი, — ხალისიანად დასთანხმდა ბიჭუნა.

მამამ ასწია და ისევ მოაჭირზე შემოსვა ბავშვი. მერე წელის მწვავე, დაგვიანებული ტყვილი იგრძნო. ბიჭი უკვე კარგა მძიმე იყო, ექიმმა კი სიმძიმეების აწევა აუკრძალა.

— ეებს! — ამოიოხრა მამამ.

— კიდეც სძინავს... გაიღვიძოს... — ბუზღუნებდა ბიჭუნა.

ვეფხვი ისევ უძრავად იწვა და მაინც იგრძნობოდა მისი უზომო ძალა.

„აი ვინ არის ჯანმრთელი!“ — გაიფიქრა მამამ, — „მაგის ნახევარი ჯანი მომცა, მეტი არაფერი მინდა“.

მერე ისევ ამოიოხრა და მწარედ ჩაეცინა:

„ჩემი ძველი ჯანი მომცა და... მაგისი რად მინდა?!“

— წავიდეთ, ბიჭო! ხო ვნახეთ ვეფხვი?! — ალერსიანი ხმით უთხრა ბავშვს და ძირს ჩამოსვა.

ბიჭუნა კალთებზე დაებლაუჭა და ისევ აბუზღუნდა:

— სპილოსთან წავიდეთ—რა, მამიკო.

— არა, ჩემო კარგო, ახლა სპილოსაც სძინავს. ჩვენც დავიძინოთ და როცა გაიღვიძებთ, ისევ აქ წამოვიდეთ, კარგი?

— არ მეძინება, აქ მინდა ვიყო...

მამას სახე მოელუშა. უკვე მოთმინებას კარგავდა, მაგრამ ვერ შეტანდა აზრმა გაუელვა, სახე გამზანაღდა.

— იცი რა?! წავიდეთ და ახალ ტრამვაიში ჩავვდეთ, გინდა?

დაბლვერილი ბიჭუნა ერთხანს უნდობლად უყუარებდა მამას. მერე სახეზე ღიმილმა გადაჰკრა და საქმიანად უბასუხა:

— მინდა, წავიდეთ.

მამამ შევებით ამოისუნთქა—

ხელიხელჩაიკიდებულნი გამოვიდნენ ბაღიდან. აუჩქარებლად შემოუარეს გმირთა მოედანს და ტრამვაის ვაჩერებასთან მივიდნენ.

— აი ცირკი, — სთქვა ბიჭუნამ.

— ჰო, ჩემო კარგო. ახლა ხიდზე გადავალთ და... აბა, რა ქვია მდინარეს, ვახსოვს?

— მტკვარი! — დაუფიქრებლად უბასუხა ბიჭუნამ.

— ყოჩაღ! — შეაქო მამამ.

ტრამვაი იგვიანებდა.

ხალხი მატულობდა ვაჩერებაზე.

— რატომ არ მოდის ახალი ტრამვაი, მამა?

— მოვა, მალე მოვა... — გაუბედავალ სთქვა მამამ და... ისევ მოელუშა სახე.

„არაფერიც არ მოვა“, — გაიფიქრა უიმედოდ, — „მთელ ქალაქში ერთადერთი ტრამვაი დადის ასეთი და ვინ იცის როდის გამოვივლის. რა სისულელე მომივიდა, ბავშვს რომ დავებრდი! არ მინდოდა და ტყუილი კი გამომივიდა“...

— მამა, რატომ არ მოდის ახალი ტრამვაი?

„რამეთი უნდა გავართო და დაავიწყდება“ — გაიფიქრა მამამ.

— ნახე, რა ბანჯგვლიანი ძაგუნა მორბის, ხედავ? — უთხრა ბავშვს.

ბიჭუნამ ძალღს თვალი გააყოლა. მერე ისევ მოუბრუნდა მამას:

— მამიკო, ვეფხვთან წავიდეთ.

— ბიჭო, ვეფხეს ხომ სძინავს?! დავავიწყდა?

— მაშინ ახალ ტრამვაიში ჩაეჭდეთ, კარგი?

თანხმობის ნიშნად მამამ თავი დაიჭინა და ისევ გაიფიქრა: „ვინ იცის როდის გამოივლის. ან გამოივლის კი საერთოდ? სხვა ვერაფერი მოვიფიქრე ეს ახალი ტრამვაი რომ არ მესხენებინა?! ახლა?...“

— რატომ არ მოდის, მამა, ახალი ტრამვაი?

ტრამვაი იგვიანებდა. არც ახალი ჩანდა და არც ძველი.

„ხომ შეიძლება, რომ შემთხვევით მართლაც ახალმა ტრამვაიმ ჩამოიაროს!“ — გაუელვა მამას, — „რა კარგი იქნებოდა!“

— მამა, მამა, რატომ არ მოდის ახალი ტრამვაი?

მამა დამნაშავედ სდუმდა და უიმედოდ იყურებოდა ფიქრის გორისკენ, აღარ იცოდა რა ეპასუხნა.

„ხომ შეიძლება, რომ შემთხვევით... ეჰ! ნეტა ჩამოიაროს და არაფერი არ შინდა სხვა! მართლა არაფერი!“...

ბიჭუნა მოუსვენრად ცქცუტავდა გარშემო უვლიდა ჩაფიქრებულ მამას.

— მამიკო...

— ახლავე მოვა, ჩემო კარგო... ფიქრებიდან გამოერკვა.

— საიდან მოვა, მამა?

მამა ბავშვის წინ ჩაცუცქდა, ლოყა ლოყავზე მიადო და მიუთითა:

— აი იქიდან, ხედავ, დაღმართი რომ არის?

მიუთითა და... თვალებს არ დაუჯერა: დაღმართზე ყვეთელი ფერის ტრამვაი მოგრიალებდა, სწორედ „ის“, ახალი ტრამვაი.

ბიჭუნამ ტაში შემოჰკრა, აღტაცებით საგან თვალები გაუდიდდა და გაუბრწყინდა:

— მოდის, მამიკო, მოდის!

— ჰო, შვილო, აკი ვითხარი მოვამეთქი? აი, მოვიდა!

მამას ბედნიერმა ღიმილმა გაუხსნა შუბლი. ბიჭუნა ხელში აიტაცა და ტრამვაისკენ გაემართა. წელის ტკივილი აღარ უგრძენია.

ბახმაროს აღმართები

(შთაბეჭდილება)

მეორედ მიხდებოდა წელს ასვლა ბახმაროზე, ველარ გავუძელი იქ სააგარაკოდ მყოფი ჩემი ბიჭის უნახაობას.

ღამე იწვიმა მახარაძეში. ცა მოღრუბლული იყო დილიდან, შუადღისას ისევ წამოყინელა, შავრამ მალე გამოიღარა, მზემ გამოანათა და გამშვირვავად გახდა ჰაერი, როგორც იცის ხოლმე წვიმის შემდეგ; ცისარტყელა აქრელდა ცაზე; ძალიან შორსაც კი მკაფიოდ გამოირჩა აგურისფერი მიწის ფონზე მწვანე ჯარისკაცებივით დალაგებული ჩაის მწკრივები; თვალისმომჭრელად გათეთრდნენ მუქ მწვანეზე პეპლებივით შესეული, მაგნოლის დიდრონი ყვავილები; ნიაგმა შეარზია პალმების მარაოები, ბანანების უზარმაზარი, დაფლეთილი ფოთლები. დასავლეთისკენ სულ მოიწმინდა ცა, თანდა-

თანობით ბაცდებოდა ზურმუხტისფერი და შეუქმნევლად ერეოდა ფირუზს. თითქოს გაუყვები ამ სწორ ქუჩას, ქათქათა სახლებსშუა გაჭიმულს, მერე გაუხვევ მარცხნივ და... მიადგები დაწყნარებული ზღვის ნაპირს! — ეს მცდარი გრძნობა ჩამოსვლისთანავე მეუფლება ყოველთვის ამ პატარა ქალაქში და მუდმივად თან მსდევს.

ბრეზენტით გადახურული მანქანა ნელნელა ივსებოდა ხალხით. მე სულ უკანა ადგილის ბილეთი მქონდა და არ ვჩქარობდი ასვლას. დოინჯშემოყრილი იდგა კუბატივთ ჩასუქებული შოფერი, დროდადრო რიხიანი ხმით აჩქარებდა მგზავრებს:

— აა, ჰე, დოუჩქარეთ! დოუჩქარეთ! შევაკაბიანი მოხუცი ქალი ოციოდე წლის ყმაწვილს აცილებდა, შეწუხებუ-

ლი სახით არიგებდა ქკუს და როცა ის თავის ადგილზე დაჯდა, შოფერს მოუბრუნდა:

— კალისტო — ნენა! შენ გაბარებ ბაღანას. დეიდა ჭე დაუხვდება იქინე, მარა გზაში აფერი მეიწიოს, ნენა!

— აჰ! რავე გეკადრება, ბებია?! პირველად მივა ბახმაროს თუ? — დაინტერესდა კალისტო.

— ჰო, ნენა, ჰო! გამოუცდელია, ბაღანაა ჭერი.

— არ წახვალ დღეს სახლში, ბებია? — გამოყო თავი და თვალები დააბრიალა „ბაღანამ“.

— კი, შვილო, კი! შენ იყავი კარქათ, — უპასუხა ბებია და ფუსფუსით შეერია ხალხს.

— ჰე, წვედიღო! გამოაცხადა შოფერმა და კარი ღონიერად მიიჭახუნა. მეც ჩემი ადგილი დაეკავე.

მანქანა დაიძრა.

გამოტოვებულენ ლოდინით დაღლილი მგზავრები.

წინა ასვლაზეც ამავე მანქანით ვიმგზავრე. კალისტო გამოცდილი ჩანდა თავის საქმეში, ხალხშიც პატივისცემით სარგებლობდა ამიტომ. ცოტა ზედმეტი სისწრაფე უყვარდა ოღონდ. ახლაც ქალაქიდან გასვლისთანავე უცბათ უმატა სიჩქარეს და ქარივით ვააკრა მანქანა ფართო გზატკეცილს, თან უმიზეზოდ, გაბმულად დააყვირა.

— დეიწყო კალისტომ მისთანები! — ისე თავმოწონედ სთქვა თეთრკიტელიანმა კაცმა, თითქოს ეს მისი დამსახურება ყოფილიყო.

— არ გადაგყაროს სადმე, ის ურჩენია, — ცხვირი აბზიკა ახალგაზრდა, სათვალეებიანმა ქალმა.

— აჰ, ბატონო! თქვენ კალისტო არ გცნობიათ, თვარა... — ისევ თეთრკიტელიანი გამოექომაგა შოფერს.

— არა, ისე, ნასტავლი არაა, თვარა მისი საქმე კი ეხერხება, — ღვარძლიანად ჩაიხიბხითა ჩემს გვერდზე მჯდომმა მოხუცმა და ორივე ხელი დიდ უღვაშებზე გადაისვა; კმაყოფილმა გადმოშხვდა; მერე ყაბალახი გაისწორა.

სათვალეებიანმა ქალმა ხაზგასმული დემილით უპასუხა მათ.

ცოტახნით სიჩუმე ჩამოვარდა ისევ; უცნობები დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ათვალეებდნენ ერთმანეთს. და თითქმის ყველას თვითმყოფილი, დამცინავი გამომეტყველება ჰქონდა სახეზე.

მე გზას გავხედე უკან და თავბრუ დამეხვა.

გზა ჭერ სწორი იყო, გაჭიმული. სწრაფად გარბოდნენ უკან გზისპირა სახლები, ხეები, ვიწროვდებოდა გზა და პორიზონტზე იკარგებოდა; მერე მიხვევ-მოხვევა დაიწყო და სივრცეც შემცირდა მოსახვევიდან მოსახვევამდე.

ნაცნობ ადგილებს დაეუწყე ძებნა, მაგრამ ამაოდ.

ნაცნობი იყო მხოლოდ საერთო პეიზაჟი: ლურჯი ცა, ძალიან ლურჯი; ათასნაირ მწვანეში ჩაფლული წითელი მიწა; თეთრადდაკლავნილი გზატკეცილი და ბორცვებზე შეფენილი სოფლები, ჩაის პლანტაციები აქეთ-იქით. ნაცნობი იყო ნაწვიმარი ჰაერისა და სველი მიწის სუნიც...

მერე ბახმაროს გადასახვევი ვიცანი. ასფალტი გათავდა და ოღროზოღრო გზაზე აჯაყაყადა მანქანა. ძალაუნებურად ფიქრებიდან გამოვერკვიე.

მგზავრებს უკვე მოესწროთ ერთმანეთის გაცნობა და ახლა ყველა ცდილობდა ხმამალა ეთქვა რამე სასაცილო, მოსწრებული. სათვალეებიანი ქალიც კი ჩაეთრიათ. საერთო საუბარში და გულიანად იცინოდა რაღაცაზე.

მე, უნებურად, განზე დავჩრი.

წინ, ვიდაცის მუხლებზე დადებულ ჩემოდანზე, ყოველგვარი სიძნელების მიუხედავად, ქალადის თამაში გაეჩაღებინათ.

— ვის ატყუებ, შე ცინგლიანო! წყნტას ჩამოი! — ნახევრად ხუმრობით შეჰყვირა თეთრკიტელიანმა ოცი წლის „ბაღანას“, რომელიც საქციელწამხდარი ილიმებოდა.

— შევეციდი, თვარა სამაგისო რა მკირს, ღმერთივით კარტი მაქვს!

— მერე? ჩამოი! რაღას უყურებ?!

.....

— კილო დიდხანს გვალოდებ, ამბროსო? შახმატი ხო არაა, შე კაცო?! ღროზე ქენი რაცხას შობი!

.....

სხვები დიდის გულისყურით ადევნებდნენ თამაშს თვალს და ყველაფერზე გულიანად იცინოდნენ.

მეც რატომღაც გავმხიარულდი. ალბათ, სახეზეც დამეტყო ეს: გვერდით მჯდომმა ყაბალახიანმა სწრაფად გამოიყენა გამოლაპარაკების შესაძლებლობა და ირონიული ზრდილობით მომპართა:

— თქვენ რაცხა აქოური არ უნდა ბრძანდებოდეთ!

— დიხ, ბატონო, თბილისიდან ვახლავართ.

— მართლა თუ?! რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ იქინე?

მგონია, ესეც ირონია იყო, ან იქნებ ნამდვილად შეეპარა ეჭვი ჩემს სიმართლეში და მამოწმებდა? ყოველ შემთხვევისათვის მეც გავურიე დაცინვა ჩემს პასუხს:

— რუსთაველის პროსპექტზე, ბატონო, თუ გავიგიათ.

მიზანს მოვარტყი:

— რავა არ გამიგია, შე კაცო!? — გაბრაზებულმა შეჰკვილა და ცხვირის წინ ხელიც კი ამიქნია. — ოპერა რომაა, იქინე ოლიმპიადაზე ლექსი არ წივიკითხე საკუთარი თუ? ცხრაას ორმოცდაათში. არ ვახსოვარ?

მივხვდი, რომ ვადავამლაშე და დამნაშავესავით ვუპასუხე:

— არა... იმ დროს თბილისში არ ვიყავი და...

— ჰოო... — და მცირე დუმისის შემდეგ:

— ბახმაროზე არ ყოფილხარ ჯერე?

— არა, პირველად მივდივარ, — ვიცრუე, რომ მისთვის მესიამოვნებინა.

— უჰ! რას მელუპარაკები? — მართლა გაუკვირდა. მერე ნიშნის მოგებით ჩაიცინა:

— მასეთი ადგილი მორე არაა დენიაზე!

ველარ მოითმინეს და ჩვენს საუბარში, სხვებიც ჩაერინენ. ჩემს პირდაპირ ჩექმებიანი კაცი იჭდა, ველვეტის შარვალ-ხალათში გამოწყობილი, უზარმაზარ კეპიანი ტყავის ქუდით, წელწვრილი და ბეჭებში საოცრად განიერი (გვერდულად ჯდომა უხდებოდა ამიტომ), არც იმისფართე ქამარი მინახავს ოდესმე...

— მაი სტორია! მასეთი ადგილი? — აჰ! ტყუილია! მე ფამფალეთელი კაცი ვარ, მარა ცოლშვილი დამყავს საპაეროდ, კურორტია!

— მაი არ თქვა! მართლა თუ? — ვამასხრა მის გვერდით მჯდომმა ვალსტუკიანმა ყმაწვილმა, რომელსაც ნათლად ეტყობოდა როგორ უფრთხილდებოდა კარგად დაუთოებულ ვიწრო შარვალს.

ტყავისქუდიანი ვერ მიუხვდა დაცინვას:

— მართლა, აჰა ტყუილა? მთის და ზღვის პაერი ორივე ერთადაა იქინე. ბაღნები რო ნახოთ, ვადერიგვით! თლა ქამად არიან ქეცულნი. სამნი მყავს! — თავმომწონედ გადახედა ხალხს.

— კი მარა, რას აჭმევ, შე კაცო?! — ვანაგრძო ხუმრობა ვალსტუკიანმა.

ახლა კი გაწიწმატდა ტყავისქუდიანი:

— ვადირიე, კაძახო!? საჰმელი ვის მიკლებია ჩვენს ქვეყანაში, მე რომ მიმაკლდეს?! შე კოლმეურნე კაცი ვარ, ბიძიკო, ვშრომობ. ვშრომობ, აჰა! რას ვაჭმევ? რას ვაჭმევ და ყოლიფერ კას ვაჭმევ! აჰა შენსავით კი არ ვარ: ჩამოგიპორწიალებია მაი ვალსტუხია თუ რაცხა და თავი მოგწონს! მასე აფერი გამოგივა, ბიძიკო!

— გუშლამ წვევიკითხე ვაზეთში, — ვითომ სხვა თემაზე ვადიიტანა ლაპარაკი ვალსტუკიანმა, — წყალი მოდიდებულაო და ფამფალეთის ხიდი წოუღიაო. მართალი თუა ნეტა!

— აჰა, ხელათ! — ისევე წამოგეო ანკესზე ტყავისქუდიანი, — შენისთანა სტილნიაგებია თუ რაცხა ჯანდაბაა, იმა-

თი ამენებელი კი არ ყოფილა. აჰ! ში ტყვილია!

ამაზე კი ყველამ სიცილი დააყარა ფამფალეთელს და ისიც საბოლოოდ გაეცხლდა. როგორც იქნა, დააწყნარეს თითქმის საჩხუბრად გაწეული ვაჟაკი...

და ისევ ბახმაროს შეეხო საუბარი.

— წროულს მაგარი ზამთარი ყოფილა თურმე ბახმაროში, — თქვა ვიღაცამ, — ექვსი მეტრა თოვლი დოუღია!

— ში რა! — სთქვა იმან, ამბროსის რომ ეძახდნენ, — ამის წინებებზე ოცდაექვსი მეტრა დადო, აჰა!

მგზავრებში სიცილმა იფეთქა.

— აი რა სთქვი, ამბროსი? რავე შეიძლება ამხელა თოვლი, შეკაცო! კაი და, ვთქვათ დოუღია, მარა ვინ გაზომა, მითხარი თუ კაცი ხარ?

ამბროსის, როგორც ჩანს, უცაბედად წამოსცდა ასეთი ტყუილი, შერცხვა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და თავისმართლება სცადა:

— არა!... ისე, მეტრებში არ მახსოვს თლა კარგად, რამდენი იყო, მარა, აი ის მთა როა, გადაღმა, ფაფარას რომ ეძახიან, და ეს როა, აქეთა გადმოღმა, — ხო იცი, რომელს გელაპარაკები? — თოვლს გოუსწორებია თურმე.

— დიიიიღუ! — იკივლა ყაბალახიანმა, — ში არ გეთქვა — არ ჯობდა? — და აქამდე თავშეკავებული სიცილი ისტერიულმა ხარხარმა შეცვალა. მგზავრები ერთმანეთს ასკდებოდნენ და მუცლები ხელით ეკირათ. შემოსწრებული კაცი ვერც კი გაარჩევდა, — იცინოდა თუ ტიროდა ხალხი.

— ვაიიიიმე... ვაიიიიმე... აღარ... შემოძლია... — იგუდებოდა გალსტუქიანი, თან ფეხებს აბაკუნებდა.

— მიშველეთ... — გაჰკიოდა თეთრკიტელიანი.

— დიიიღუ!.. — კვლავ იჭიფებოდა ყაბალახიანი.

ამბროსი წყალში ამოვლებულ თავგს დაემსგავსა და აღარ იცოდა, სად შემძვრალიყო; მაინც რაღაცას ამტკიცებდა ხელების ქნევით, თუმცა იმ აურზაურში არავის არაფერი ესმოდა.

მანქანა სწრაფად შეჩერდა. კალისტო, გულგახეთქილი, თითქმის გადმოვარდა კაბინიდან:

— რა იყო?! რა მოხდა?! — შერეგზას გახედა უკან და დამშვიდდა, — კაცი გადამივარდა-თქვა, ვიფიქრე!

— აფერი... ისეთი... კალისტო... — ძლივს ამოილულულა თეთრკიტელიანმა, — რაცხა ვიხტუნჯეთ... და იმიზა იყო...

ნელნელა მიწყნარდა სიცილი.

კალისტოც დაწყნარდა.

— მთავე წყლებზე მალე მივალთ? — უქმყოფილო ხმით იკითხა ფლეგმატურმა შეეტანაცემლიანმა კაცმა, რომელსაც, მგონია, არც კი გალიმებია.

— კი! — უპასუხა ბუჩქებიდან გამომძვრალმა კალისტომ, რომელიც ჭერკიდევ შარვალს იყრავდა, და შერე საქეს მიუჭდა.

რამდენიმე მოსახვევის შემდეგ, ნაბეღლაიცი გამოჩნდა. მანქანა სასადილოს წინ გაჩერდა.

— აან-ტრაქტ! — სთქვა კალისტომ და გასადების ტრიალით სასადილოსკენ გაემართა.

მგზავრები ჩამოვიდნენ მანქანიდან. ზოგი დამტვერილ ტანსაცმელს იბერტყავდა, ზოგი სასადილოსკენ მიიჩქაროდა, ზოგიც მზეზე იდგა და იხმორებოდა.

მე ვიგრძენი, რომ უკვე დავლილვარ: მესიამოვნა ფეხების გაშლა, მომიინდა გახმორება.

— დეილალე, ბიძიყო? — შემეკითხა ყაბალახიანი, რომელსაც გრძელტარიანი ჩიბუხი გაებოლებინა.

— ღიას!

— ეჰ, ში რაა! აწი იწყება — რაც იწყება!

მეც ვიცი, რომ „აწი იწყება — რაც იწყება“, აქედან იწყება აღმართები, ნაძვარი, ნისლი... გზა იმდენადვე საშიში ხდება, რამდენადაც ლამაზი; ნელნელა, ჯიუტად იღებს ის სიმაღლეს; უფრო და უფრო ხშირია ვიწრო ადგილები; უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ნისლის ნაფლეთები, თანდა-

თან ერთდებიან ისინი და ბოლოს მთლიან ბურუსში მიცურავს მანქანა. სივრილე, სიჩუმე მეფდება ირგვლივ, მარტო მოტორის ხმა ისმის, ისიც ძალიან ყრულ, თითქოს საიდანღაც შორიდან... სივრილე სიცივედ იქცევა — თბილებს იღებენ ჩემოდნებიდან, იბუზებიან მგზავრები. სიცივე ნესტიანია და მაინც სასიამოვნო. ღრმად ისუნთქავ სველ ჰაერს და გრძნობ, როგორ ჭანსაღდები ყოველი ჩასუნთქვით, ღრმეც ვემატება, ხალისიც.

ირგვლივ ტყეა, ნაძვნარი. ნაძვები ისეთი მალღებია, რომ მათი კენწეროები ბურუსში იკარგებიან. ბალახი სველია და მარგალიტით ბრწყინავს აქა-იქ ცვარი. ფერდები ციცაბოა. ქვევით არაფერი ჩანს, გარდა რძისფერი ბურუსისა; გზაზეც რძისფერია ბურუსი, წინაც, უკანაც საითაც გაიხედავ — ყველგან. მანქანა თითქოს ჰაერში კიდია, მიფრინავს თითქოს, მერე ჩერდება: აღმართი მისთვისაც დამალავია, თან გზაც არა ჩანს. მგზავრები გადმოდნიან, იფანტებიან და ბურუსში უჩინარდებიან. მერე ჩნდებიან ისევ: ჯერ ლანდებს გვანან, გამჭვირვალე ლანდებს; მერე ისევ ნაცნობ სახეებს იღებენ, თავთავის ადგილებს იკავენბენ და ვზას გავენაგრძობთ.

— ეს რა სიცივე სცოდნია! — წამოსცდება ვიღაც „გამოუცდელს“ და ყველაფერი იწყება თავიდან:

— რავე, პირველად მიხვალთ ბახმაროს თუ? — და მეორდება ქება-დიდებ-

ბა ამ მართლაც-და შეუღარებელი ვღვილისა.

გზა უბოლოოდ გრძელდება; მოსახვევს მოსახვევი მოსდევს, მოსახვევს — მოსახვევი.

უკვე გენატრება სითბო და მზე, თუნდაც სიცხე! ესაა სწორედ უპირველესი ღირსება ბახმაროსი.

უცბათ თავდება ტყე, სადღაც ქვევით რჩება და ალპურ ზონაში ებრძვის უკვე აღმართს მანქანა; ბურუსიც უეცრად იფანტება, ისევ დარია, ისევ იხდი თბილებს, თუმც... მაინც გრილა!


რჩება უკანასკნელი აღმართი: იმის იქით ლურჯი ცა არის. მანქანა უკვე პატარა უღელტეხილზეა და საოცარი სილამაზე იტაცებს ბურუსში დაღლილ თვალს: უსაზღვრო სივრცე; მაღალი მთები ჯერ კიდევ თოვლიანი კალთებით; ტყე — სადღაც ქვევით, აქა-იქ — ზევეითაც; უწესრიგოდ გაბნეული პატარა სასლები, სკებივით შეფენილი ციცაბო ფერდებზე; ბახვის-წყლის ვიწრო, ლაპლაპა ზოლი — შორს, ქვევით.

მანქანა დაღმართზე მიგორავს უკვე და ისევ გამოცოცხლებაა მგზავრებში.

მოსახვევიდან მოულოდნელად ჩნდება პირველი სახლი, ფართე ფიცრებით აშენებული; ხის მაღალ ფეხებზე; დიდი, განიერი აივნით. აივანზე — ბავშვები, ქალები... თბილად ჩაცმულნი და მაინც გალურჯებულნი სიცივისაგან.

გათავდა ბახმაროს აღმართები.

დაიწყო ბახმარო.



აღქსანდა ვაჟროვსკი

შოკათს იძითა შოკათი*

დროა დარეკა გამგზავრებისა
ვოგზალმა შექით ვადანატბორმა
და, თითქოს დღიდან დაბადებისა,
ცხოვრება ზღვარის ვალმა დატოვა.

მსოფლიო ლამის მოველე ნახევრად,
ჩქარ საუკუნის ქროლვას მივდევდი,
მაგრამ ამ უცნობ გზაზე მოხვედრის
წლიდან წლობამდე მქონდა იმედი,

ჩემად ჩავთვალე, მასთან ვიყავი,
გზა საკუთარი თუმცა ვადავდე,
დამრჩა წიგნივით წაუკითხავი,
რომლის წაკითხვა მსურდა ვადამდე.

ყველას ხსოვნაში ცოცხლობს საბაბი,
ხელს რაც მიშლიდა დაუსრულებლად
და არც სიმშვიდის მქონდა მარაგი,
რომ ვავეყოლოდი მას უზრუნველად.

მაგრამ იმ დროს ვშლი წიგნის თავფურცელს,
როცა დრო მიხმობს ვასახსენებლად,
როცა კვლავ ხალხის პირით გვაუწყებს
სიმშვიდე წასვლას ვანსასენებლად...

მივალ, პატარა სახლი თან მახლავს,
რომელიც ყველას მიაქვს სამგზავროდ.
და ღვართქაფივით, კედელს ვადაღმა
უზარმაზარი ბრდღვინავს სამყარო...

საწოლის თავზე მღერის ვაბმულად,
ხორხოშელათი სარკმლებს აწყდება,
ხან ქარბუქივით ველეებს ვაღმუის,
ხან სტვენს დროდადრო ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ვანვაშით არის იგი აღსავსე,
ჭერი მოელის ახლოს ავბედით,
მისი ხმა ჭერაც ისმის ამ გზაზე,
რომ ვაშხლართულა აღმოსავლეთით...

* თავები პოემიდან



ვანგაშით არის იგი აღსავეს,
 ჯერი მოვლის ახლოს ავბედით,
 მისი ხმა ჯერაც ისმის ამ გზაზე,
 რომ გაშხლართულა აღმოსავლეთით...

ვმგზავრობ, ჯანს ძილი შემომმატებდა,
 მაგრამ არ მინდა ჯერ წაძინება,
 ღამე მოსკოვის შემოგარენთა
 შექვით ჯერ ისევ თეთრად ბრწყინდება.

ჯერ რათ ვიჩქარო ჩემს საწოლამდე,
 ჯერ დრო მოსკოვის ვერ მთმობს დროებით,
 ჯერ კიდევ შორი გზაა ვოლგამდე,
 სადაც იწყება ერთობ შორეთი —

ვეებერთელა მუყალის საზღვრიდან.
 მიეშურება კიბე შპალების,
 ურალს გადმოღმა, ვოლგის გადმიდან
 მიდის დამრეცად აღმოსავლეთით,
 გადადის, ურალს, რომლის ბრალია
 ჩვენ ქვეშ რომ რვალის მაგისტრალია.

ვმგზავრობ და ურალს იქით ერთიან
 სულ სხვა სივრცეა,
 სხვა შორეთია.

იმ შორეთს იქით ბაიკალია:
 უნდა უარო საღამო ერთი
 და უფრო მეტი —
 ვრცელი რკალია, —
 შორს პირიქითა ბაიკალია
 და იქით კიდევ სულ სხვა შორეთი,

რომელიც უცნობ მხარედ იქცევა
 და იმ ჯერ კიდევ შეუცნობელის,
 უფრო მკაცრსა და დიად სივრცესთან
 შეხვედრა სარკმლის კადრად მომელის.

ამასობაში, ზუსტად წამიწამ,
 დროის და სივრცის ამ მონაკვეთში,
 ექსპრესი თავის განრიგს დაიცავს,
 შევა შორეულ აღმოსავლეთში.

მივა იქ, სადაც ბოლო სადგურთან
 დგას აღმართული სვეტი სასაზღვრო,
 სადაც მეზობელ მხრიდან გაბმულად
 და ყრულ ჩამესმის ზალბი საავდრო.

მაგრამ ჯერ ისევ ვმგზავრობ მოსკოვთან
 ჯერ ისევ დროის ისრით ვსწორდებით,
 ვით შინ, ძილისპირ ისევ მომწყურდა
 უკანასკნელი მისი ცნობები.



მეც მომაწვდინა მან ხმა თავისი,
 შორეულ გზაზე მეც დამიძახა.
 სადღაც ზღვის გაღმა მკრთალი აისი,
 როგორც მწუხარე დღე ჩაისახა.

და დღე ომისა, დღე უღმობელი
 გორგზად მთებს და ველებს ეახლა,
 სად ქალაქების, დამწვარ სოფლების
 ნანგრევებს კვამლი ასდის ხელახლა.

ისევ და ისევ ტეხვა ლამეთა
 კორეის დამცველთ ხარკად ემატა,
 ზღვის სანაპიროს ყეფა არყევედა
 დილიდან დაღლილ ბატარეთა.

ბრძოლა გაგრძელდა, მიწა აენთო,
 განახლდა ძველი, მკაცრი გამოცდა,
 იგი ამ ველებს, მთებს გადაედო,
 როცა ევროპის კედლებს გამოსცდა.

და თქვენ, გამოღმა გამოშხიდველნო
 თქვენი მიწიდან ომის, ავბედის,
 დაშორებულნო აღორძინებულ
 ზღვისპირეთს მთელი ოკეანეთი...

სახე სხვაფერად რომ შეიღებოთ,
 შეუცნობლობის ნუ გაქვთ იმედი:
 თქვენ ხომ მოსკოვის ახლოს გზვდებოდით
 და ბერლინამდის მიგაცილებდით.

ხალხი — გმირი და გამრჯე მარადეამს —
 აღსდგა ტყვისსწილ ტყვის მხარჯველი,
 ომის ამტეხი ომით დასაჯა,
 მკვლელს დააღალა სიკვდილ-სასჯელი.

სასტიკ ბრძოლაში ძალთა მატებით
 მან დასაველეთი, აღმოსავლეთი
 გამოაღვიძა, შესძრა განგაშით,
 მტერს დაანანა ცეცხლთან თამაში
 და აი ახლა მთელი პლანეტის
 ნახვეარია ჩვენთან ბანაკში.

რა? გაკვეთილი არ დაიხსომეს?
 და ახლაც, მხოლოდ დროშით ახალით,
 კვლავ ემუქრება ომი სიცოცხლეს,
 ნაცნობ ნაბიჯით მოდის მსახერალი?

იგი ხმა, უცხო სიცოცხლისათვის,
 ლამის ცნობებსაც ძალით ეჭრება,
 კაცობრიობის ყურში სიცხადედ,
 აუვის მაცნე ხმად იღბეკდება.



ვერ გუობ, თავს გრძნობ მასთან ვარამში,
ძილს ვიფრთხობს, ვივირს მასთან გაძლება.
და, როგორც მიწა ნაყუმბარალში
ცოცხლად ჩამარხულთ შვერდზე გვაწვება.

შენ ჩემო გზაო, გზაო უვრცესო,
უსაზღვრო მიწის ოკეანენო,
ტრიალ ტრამაღლო დედა რუსეთის,
ღამეში მშვიდად მოკიაფენო,

თქვენ უკეთ გახსოვთ, თავით ბოლომდე,
წლები, როდესაც სწრაფად, გრიალით,
ბნელში უშუქოდ მიჩბი-მორბოდნენ
მატარებლები ამ მავისტრალით.

როცა ღრმა ზურგში ამ გზის თანხლებით
შორს მიიწევენ ტალღად დაძრული
ომის ლტოლვილი — ჩვენი ქარხნები
და ხალხი — საზღვარგადახანძრული;

როცა ლულები საზენიტოებს
„მწვეან გზად“ ეპყრათ მალლა ზეცისკენ,
შეუჩერებლად, ამ გზით ვიდოდნენ
ეშელონები დასავლეთისკენ.

მზერას სტაცებდა — დამწველს გულისას,
უტყვი წუხილით, ღრმა სიბრალულით,
მებრძოლს სამარშო ასეულისას
წამით შემხვედური სანიტარული.

ხსოვნა იმ წლების — ტანჯვის მომგვრელის,
ხალხში თელემს, თითქოს ქრება ჰა და ჰა
უეცრად, მსგავსად ნაჭრილობების,
უემურ ამინდში კენესის ხანდახან...

მაგრამ, ჩვენ გეწყალობს ბედი საკმაოდ,
ბედნიერება რომ გეწამს უდრეკად,
რომ მარად ცოცხლად, ხელქმნილ სამყაროდ
სახლს ვაგებთ გამძლე თ საუკუნეთა.

ის არის ხალხთა რწმენის სათავე,
შობილი ყველას გულის გამთბობად,
სიკვდილს არ უღრის მისი დათმობა?...
მაცხოვრის კოშკით რეკს შუალამე.

II თ ა ვ ი

გზაში

ძნელზე ძნელია გზის დასაწყისი,
ჯერ მოძახილის თქმა გემძიმება,
მერე გახედავ: თითქოს თავისით
მოსდევს პწკარი პწკარს და ეწყვილება.



მიიწევს ლექსი — გზაა გაშლილი,
ოღონდ, აჩუქე სული ერთიან, —
გაჩვენებს შენი სანდო მაშველი.
შორეთის იქით რა შორეთია.

ჩქარობს ქალაღზე წვერი კალმისა.
იღწვის და ეგზომ ხარ მხიარული:
ცეცხლი ჩაღდება, წვევით, ხალისით,
შილში მუსიკად არბის აღმური.

ნაღდი ნიშნები ჩნდება სიკეთის:
ქრყოლვა და თრთოლვით ფეტქვა საგულის,
შუბლი გამთბარი ტყბილი სხივებით,
ცახცახი ხელის — საქმე ნატრულის...

სჩვევია ჩრდილში მოცდა ვადამდე
პოეტს უჩინარს, სახელგაუთქმელს,
ვიდრე საგმირო საქმეს ამთავრებს
იღუმალ ზრახვას სხვას ვერ გაუმხელს:

როცა ხალხისთვის ნობათს ამზადებს,
იგი იქნება იყოს ხნიერი,
იქნებ სნეული იდგეს ამ გზაზე,
დაღლილი, მაგრამ სვებედნიერი.


თუნდ შეეფეთოს გზაზე ავბედად
უზრო განსჯა, ბუობა საწყენი,
თუნდაც დაუწყონ მკაცრი ძაგება,
გაუძლებს პირველ წიგნის დამწერი.

ესმის გინება, თანაც არ ესმის,
ახალი საქმე მის ფიქრს განაგებს.
იმ ეამს პოეტი არის და ლექსის
გუგუნით იღებს იგი ქალაქებს.

მუდამ თანახლავს კეთილ საათში
მისი ვარშავა, მისი ბერლინი,
დიდებაც, ჭერ რომ უცდის მარაგში,
მარტოდ არ არის იგი შთენილი.

დე, კრიტიკოსებს მის სამყაროში
ცოლიც შემოჰყვეს შუბლმორბეულელი,
უხსენოს გაკვრით და სხვათამორის
სადილობისას პური, ბურღული, —
თმენა ჭირს მრავალ ასეთ წვრილმანის,
მაგრამ საშიში ეამი წინ არის.

ის მოვა მაშინ, როცა პოეტმა
დასძლია ერთი გადასასვლელი,
როცა დგას მთაზე განმარტოებით
და ყველა მხრიდან ხდება სამზერი,
როცა ულოცავს ხალხი მიღწევებს,
თვით ფადევეი ქებით იხსენებს,



ბურღულიც ბლომად აქვს და ისვენებს,
 უსმენს ერთგულებს და ფარისევლებს,
 თითქმის უკვდავად ახარისხებენ
 და კმარა წერა — ქრება საწერი.

ყველა ნიშნით, და ყველა ცდუნებით
 შენი მწარე დღე თვალწინ გიდგება.
 ყველაფრით — პურით, ხმით და სურნელით.
 ვერ მოგაწონეს თავი სიტყვებმა.

საეჭვო ხდება აზრის სიწრფელე, —
 ასწონდასწონი, მაგრამ სულ სხვაა...
 გარშემო მკედრული სიციარიელე
 და ცარიელი გულის სუსხვაა.
 თუნდაც ჯვარს ეცვი — ალა არ გყოფნის,
 საშინელია ამ დროს ნამდვილად,
 თუ ხარ დაღლილი ან ავადმყოფი,
 ამ დროს მოვარდნა ახალგაზრდობის,
 ცხოვნებასავეთ, ჰო, რა მადლია!

რომ არ დახარო ქედი მორჩილად,
 წარსულის რომ არ დაგრჩეს ნისია,
 რომ არ თქვა: ერთდროს ღონე მერჩოდა,
 და ახლა მეტი არ შემიძლია.

მაგრამ რა დასთმობს ძველ სითამამეს,
 როცა სიუხვე ტალღად გაცხრება.
 და რაც აკეთე დღემდე, აქამდე,
 იხსენებ მხოლოდ შავად ნაწერად;

როცა არ გაკრთობს ხელის გაბორკვა,
 ჯერ ხარ უნაღვლო და გაბედული,
 არც გიფიქრია შენც თუ რატომღაც
 და სადღაც ზღვარი გაქვს გავლებული.

ჯერ როცა გჯერა შენი სიმართლის —
 არაყს სვამ მხოლოდ სახელისათვის,
 განა ძალიან გეპიტნავენა,
 ჯერ განებვიერებს ბედი თავნება
 და ცრუმბ კიდევ განგებ, ყასიდად,
 თითქოს ურთულეს გზას ეჭიდები,
 ახალგაზრდობავე, ჰო რა სასტიკად
 მწყურისხარ ამ დროს, როგორ მჭირდები!

კარზე მომადგა... თითქოს ვერავის
 ველარ გავანდე ჩემი შავბედი,
 დრო კი იჩქარის, მიჰქრის მღელვარე,
 დროს ვერ მიმართავ: — ჰეი, გაჩერდი!

დროო სასტიკო, რად არ მოიცდი?
 მიმოვიხედო — სად რა გზებია.
 წამოვეწიო ყველას... ხომ იცი,
 მარტო რა ძნელი გასაძლებია.



პოეტო, გზაზე როცა შედგები,
 ის მებრძოლი ხარ, ვანა მარშალი,
 პოლკს რომ ჩამორჩა გზაზე შემთხვევით
 და მიღის ბოლმით ხახავამშრალი.

მიეხეტება გზისპირ ეული,
 არ იცის, სად და რა გზას ადგია,
 დროს ანგარიშობს შეშფოთებულ
 იმ საათებით, რაც დაჰქარგვია.

მებრძოლი — მარტო რის მაქნისია...
 პოლკს გაეკიდა და მიალწია.
 თქვა: — დავაშავე, დასჯის ღირსი ვარ,
 რალა დასაჯონ — ჯარისკაცია,

ჭკუანასწავლი მწყობრში ჩადგება,
 რა მოხდა, ერთხელ გზა აერია,
 რაც შემდეგ უცდის, რაც გადახდება,
 ამ ქვეყნად მისთვის არაფერია...

მწარე წუხილით როცა ვეწამე,
 როცა ბოლომდე ვცან განსაცდელი,
 ამ გზისკენ მაშინ გამოვექანე,
 მწამდა — ეს იყო ჩემი დამხსნელი.

იქნება მე არ მფლეთდა, მათრევედა
 ის ოთხწლიანი ომი ტიალი,
 ყველანაირი დარი მარყევდა,
 ყველანაირი გზით ხეტიალი.


და იმ რეჟიმმა ვანა დამჩაგრა,
 რადგან ვიყოფდით ერთ ჭირს, ძმობილო,
 მოდი წავიდეთ, მარტო ფანჯარამ
 როგორ გვაჩვენოს მთელი მსოფლიო.

ჩქარა დავტოვით ვიწრო საკანი!..
 მაგრამ სურვილი რჩება სურვილად,—
 თავმოტყუების ძველი ამბავი
 კვლავ მეორდება დაუსრულებლად.

მაშ ყურად ვიღოთ გამოცდილება,
 რომ გზა ცხოვრებას ლამპრად აშუქებს,
 გვანჯღრევს, თან გვკურნავს აუცილებლად,
 გვაბერიკაცებს, თან გვაჭაბუქებს.

თუ გაეგება კეთილ მეზობელს —
 ძირს მოყუჩებულს ჩემთან კუპეში,
 „მივალ, მივდივარ“, რომ ვიმეორებ,
 რა რიგად მატკობს სიტყვის ნუგეში.

რამდენ საღგურსაც ვხვდები გზადაგზა,
 გული მათკენ მწევს და მექაჩება,
 ბარგი-ბარხანით მინდა გადასვლა,
 განუსაზღვრელი ვადით დარჩენა.



ყველა ადგილი მიყვარს მამულის,
მსგავსად მოსკოველ ახალმოსახლის,
ვისთვისაც არის დღესასწაული
ღვთისგან წყალობა ერთი ოთახის.

არ მწამს შორეულ გზაზე მოწყენის
და მხარეს, სადაც მე არ გახლავართ,
შევიჯრძნობ როგორც ერთ დღეს მოწყვეტილს
წუთისოფლიდან ჩემს უნახავად.

მზად ვარ ეს გული ქვეყნად გაეფანტო,
ერთბამად მინდა ვნახო სამხრეთი
და ჩრდილოეთთან ერთად ჩაეხატო
დასავლეთი და აღმოსავლეთი:
ტყე და ტრამალო, ზღვა და ღვართქაფი,
კლდეთა ჩანჩქერი, ბარის მდინარე,
და შორეული ჩემი ქალაქი
და ის, საითაც ვერ გავიარე.

და ის გზა, სადაც მალე ვიქნები,
და ის მრავალი მხარე სხვადასხვა,
რომელთა კვალზე ხსოვნა მიმდენის
და ძლიერ მინდა მათი დანახვა.

ქვეყნად ორგვარი მოგზაურია:
ერთი — შორს წასვლას უცბად გაბედავს,
მეორეს წყნარად ყოფნა სწყურია,
ზის და უკუღმა ფურცლავს კალენდარს.

ამჯერად აზრთა სხვადასხვაობა
ჩემით გამხდარა კვლავ ერთიანი,
ორივე სახის მიყვარს მგზავრობა
და გზა მიქვს ორგზის სარგებლიანი.
მახარებს თავთან განმარტოება
და ქვეყანასთან, სხვა რომ არ იყოს,
მინდა ჩაფიქრდე — ჩემმა ცხოვრებამ
რა გამახსენოს, რა დამავიწყოს:

მკითხველო, ამ წიგნს წამოწოლილი
ვწერდი და ვიყავ ჩვეულ ლხენაში,
დრო მქონდა საგზლად წამოყოლილი
სამსახურიდან შეებულღებაში.

იღარ ვიდექი უფროსთ წინაშე.
და თუ სიკეთის რამე გავაჩნდეს,
ჩემს წინააღმდეგ ნუ გაილაშქრებ,
ნუ გამომიტან სასტიკ განაჩენს.

ნუ ემსგავსები უემურ კრიტიკოსს,
ნუ ანჩხლობ, ნუღარ იღწვი ამაოდ,
ნუ ეძებ ჩემში, ნუ ჩაჰკირკიტებ
მას, რაც უჩემოდ იცი საკმაოდ.



ჩუ დააჩქარებ მიზეზთ გამხელას,
 ნურც მედიდური სახე გექნება,
 ჯერ გაეცანი წიგნის ნახევარს,
 მერე ბოლომდეც ჩაჰყვე ეგება.

III თავი

შვიდი ათასი შინაარსი

ჯერ ისევ ძილში, ზედა კორთაზე
 მომესმა ერთად თვლების ძგარუნთან,
 პირველი სიტყვა დედა ვოლგაზე
 ვილაცამ ჩუმად როგორ წარმოთქვა.

ვდგები — ვაგონი უკვე ზეზეა,
 ყველა დერეფნისპირას გროვდება,
 ცისკრიდან ფანჯრებს ხალხი ესევა,
 რადგან ის უკვე გვიახლოვდება.

მგზავრები ერთუროს ღელვამ, ცახცახმა
 დაახლოვა გასაკვირველად,
 როგორც სასაზღვრო თაღის დანახვამ,
 ანდა მოსკოვის ნახვამ პირველად...

ვდგავარ მხარდამხარ იმ მაიორთან,
 ვინც ჩვენს კუბეში ღამით იძინა,
 ვეყრდნობით ფანჯრის მინას ორთავე,
 ჯერ ერთმანეთი არ გაგვიცვნია.

ვდგავართ და თუთუნს ვწევთ გატაცებით,
 ორივე სიკეთის მადლით აღსავსე,
 თითქოს დიდხნის ვართ მშაკაცები,
 ან სისხამდლით შევხვდით არაყზე.

ერთმანეთს ვუთმობთ კუთხეს ფანჯრისას,
 სადაც უკეთ კრთის შუქი ცისკარის,
 უცებ შემახო ხელი მაჯაზე,
 და მას აღმოხდა თითქოს: — ის არის!

— ის არის! — თქვა მან ჩუმი სიცილით.
 თითქოსდა ვოლგას დილით დამპირდა,
 თან ფიტრდებოდა თითქოს სირცხვილით,
 რომ ვერ ებოვნა იგი ნაპირთან.

— ის არის! — ჩვენგან მარჯვნივ გაშლილი,
 ხიდი ჯერ ახლოს არ ეგებება,
 და ფართო მუხლით ველი გაჭრილი
 ზღაპრულ ბიბინით გზაზე ეგება.

ჩვენი ექსპრესი, წუთით გვეგონა,
 ბორბლებს შასების მსგავსად აკრფედა,
 და შეშინებულ მგზავრებს ზემოდან
 მდინარის გაღმა გადაგვაფრენდა.



მაგრამ სისწრაფეს უკლო იმ წამში,
წინ მას ჯიხური დახვდა პაწაწა,
ფრთხილად შევიდა ცხურ გვირაბში
და ხიდზე მთელი სიგრძით გადაწვა.

დაგპრუხუნებდა ვოლგას ზემოდან,
სანამ ასობით შპალი ფოლადის,
მისი ბორბლების ქვეშ რომ წვებოდა,
არ გადათვალა თავით ბოლომდის.

ვერც კი შეეხედე კარგად საოცარს,
გაპჭრა უეცრად, როგორც კომეტა,
დედა მდინარე უკან ჩამოგვრჩა,
ისე, რომ მგზავრებს არ გვატოვებდა.

არ გვანებებდა ნებაყოფლობით
არც ჩაფიქრებას და არც საუბარს,
არც სილამაზეს ახლო სოფლების,
და აღარც ვისმეს ხსოვნას სანუკვარს.

არც ტრამალების სიგრძე-სიგანეს
გარდაქმნილს ხალხის მუყაითობით,
ციმბირის არცერთ ზვიად მდინარეს,
თუ მათ შესახებ ვმუსაიფობდით.

არც უცხოეთის ქვეყნებს შორეულს,
არც ძეგლებს წარსულ დროში აგებულს,
არც ჩვენი ხელით, დღეს აშენებულ
ქალაქებს, როგორც ომში აღებულს.

არც მეცნიერთა აბალ განზრახვებს,
არც მოგონებებს შენს ნასათუთარს,
თავი რომ დიდხანს შემოგინახეს,
ბევრ მზარეს, საქმეს, დღეებს საკუთარს.

როგორც ჩანს, ამ დიდ მიზიდულობის
ძალას იცნობდა ხალხი ოდითგან,
იხიბლებოდნენ მისით გულები,
ყველას თავისკენ მოუწოდებდა.

უსმენს ოდებს და ქება-დიდებას,
უხერხულობას სულაც არა გრძნობს,
კვლავ დიდებულად მოედინება,
ვოლგა ამაყად ძველ გზას განაგრძობს.

შვიდი ათასი სახის მდინარე,
ზოგი მყინვართა ჯიქი ლამაზი,
ზოგი ტრამალთა ლომი მძვინვარე,
და ყველა ერთად შვიდი ათასი
მან მიიზიდა ყველა ნაკადი,
დიდი და მცირე ერთად შეყარა,
ვალდაის მხრიდან ძველ ურალამდის
რომ დაუღარავთ მთელი ქვეყანა.



გადახვევიან ერთურთ შვიდასი
წვერი ოჯახის და ნათესაეი,
დანლაგებულან დეღამიწაზე,
ტოტებდაზლართულ შალალ ხესავით;

დე, მათი წყალი მის წყნარ დინებას
იყოს შერწყმული განუსხვავებლად,
ვოლგა უთვალავ მხარეს ირეკლავს
და მიაქვს მშვიდად, დაუზარებლად.

ნახევარ რუსეთს ნახავ სარკეში,
ველებს, მთავორებს, ტყეებს, ჩანჩქერებს,
ბაღებს, ქალაქებს, ჩამჭდარს პარკებში,
და რაც ლაზათით ხმელეთს ამშვენებს —
კრემლის კედლების ღერბულ საფარცხელს,
ჯვრებს და გუმბათებს, ვარსკვლავს ლალისას,
ძეწნებს ძველისძველ სოფლის სამარხზე,
ხიდებს ვეებას მრავალ შალიანს,
ჭაბურღილების კოშკებს, ფაბრიკებს,
გარეუბნების ნარევს სოფლებთან,
სკოლას — პირველად სადაც გავიგე:
ვოლგაა დედა ჩვენთა ყოველთა...

და ამის შემდეგ როგორ არ მწამდეს,
როცა შევხარი ტალღებს დაუღლეულს,
ვოლგა დასაეღეთს და აღმოსაეღეთს,
როგორც ნაპირთან ნაპირს აუღლებს.
აერთებს ორივე მხარეს სრულიად
მისი დინება მშვიდი, ლამაზი,
ორივე მხარე შეერთებულა
მის მკერდზე, როგორც წყვილი აღმასი,
ვოლგა სამშობლოს შუაგულია,
მოაქვს მდინარე შვიდი ათასი.

ტრამალზე, ზუსტად დათქმულ ვადაზე
დასთმო თავისი ძველი დინება,
წავიდა იგი დონის გზა-კვალზე
უკიდევანო ზღვები ინება.

მის სწრაფვას ქედი — წყალგასაყრელი
წინ ვერ აღუდგა შეფეთებისას,
იქცა სიცხადედ, რაც სანატრელი
იყო ჯერ კიდევ პეტრე მეფისა.

თაობებისთვის მკრთალ მონახაზად,
დასტოვა, გულით ვერ შეელია,
სიძნელის უამსაც გეგმად დასაბა
ეს ძნელი საქმე დიდმა ლენინმა.

ოკეანეთა, ზღვათა შეკრებას
დე შეერიონ მისი ტალღებიც.
იგრძნეს სამშობლოს ანარეკლებმაც
ძალა დიდ ზღვებში მათი წამლების.



დე იყოს ქვეყნად ბევრა მდინარე,
რომელიც დიდ ზღვას მისით შერთვია,
დიდი სახელი მათი ბედია,
ვოლგას არავინ ჰყავს მოზიარე,
მიწაზე დედა ვოლგა, ერთია.

დედის სახელი საუკუნეთა,
სრბოლამ სამშობლოს დროშად მოქსოვა
და დაიმკვიდრეს მისი უფლება
დედა ვოლგამ და დედა რუსეთმა
და მათთან ერთად დედა მოსკოვმა.

...თითქოს აგველოს გადასასვლელი,
ვზივარ კუბეში იმ მაიორთან,
ვინც ვოლგოგრადათან იდგა, იბრძოდა,
იცოდა, — ვოლგა ჰყავდა სახსნელი.

IV თ ა ვ ი

ორი სამხედლო

სადღაც, ხუტორულ, ყრუ საკომლოში
ტოტებშებოლილ არყისხეებთან,
ჩრდილქვეშ სამქედლო იდგა ზაგორში.
ბავშვობა მისით გამახსენდება.

ქურის აღმურის შუქი ნიადაგ
გამქვართლულ ქერქვეშ შეკედლებული,
სიგრილე მიწის იატაკისა,
კვამლის სუნს კუბრი შეერთებული —

შემთვისებია, მგონი, იმ დღიდან,
როცა ვეკავეთ შე და კალათა,
ხელში სადილით როცა ვიდოდა
მაშინ ოცი წლის დედა მამასთან.

ჩვენი გრდემლისხმა ტყის სიჩუმეში
მახსოვს, წუხილად, სევდად ისმოდა,
სალამობით სულ უნუგეშოდ,
შესაბრალისად ეღერდა თითქოსდა
იუწყებოდა ხვედრის სიშძიმეს,
მჭედელი კაცის ყოფას ღარიბულს,
ხმა ჩაესმოდა მწირს და ხალხმცირე
მშობელ გარემოს — ობლად გარიყულს.

სად ქაობებში, ტყეში თბილნარში
იკარგებოდნენ გზები ტილად,
სად ეტეოდა გლეხს ილღიაში,
რაც რკინეული ჰქონდა მთლიანად.



სადაც შემკვეთი ერთხელ ითხოვდა
ათ წელიწადში შეეღას მკედლისას,
თითქოს ეჭიმთან შემოდინოდა
უკიდურესი გაჭირვებისას.

და რეკვა გრდემლის, ქშენა საბერელის
ცეცხლის ხმაური უსაყვარლესი,
არ გაპყოლია დღეებს გაფრენილს,
დღემდე წუხილად ყურში ჩამესმის.

არ ქრება ხსოვნა მძიმე ცხოვრების,
შეურაცხყოფის, სიმწრის, თარეშის.
ყრუ და დატაკი ყოფის, რომელიც
მამაჩემს ჩაჰყვა ცივ სამარეში.

იმ დღის ხსენება რაღას მიჭევია,
მაგრამ მასთან ვარ დაბადებული,
მაინც კეთილად, როგორც იტყვიან,
უნდა ვახსენო, ვარ ვალდებული.

ბავშვობის ყველა შთაბეჭდილება
მან შემიკრიბა უგასამჩელოდ,
შებოლილ არყის ხეთა ჩრდილებთან
მან შემინახა ჩვენი სამკედლო,

რომელიც ქვეყნის მცირე ნაკვეთზე
ვის არ უყრიდა თავს გამთენია,
ის იყო მაშინ კლუბიც, გაზეთიც,
მეცნიერების აკადემიაც.

ხურო — ნაჯახით პირგალეულით,
ძველი მხედარი ომის მედლებით
და მონადირე გაწვალებული
დაშლილ, დანჯღრეულ თოფის კეთებით,
მიწის მზომელი, ის დიაკვანი,
ის ბეითალი ცხენის გარსაკრით,
ის მეძველმანე იცკა საწყალი,
იქ იყო ყველა, ვის არ ნახავდით,
იქ იყო ბუდე ფიცხი მსჯელობის,
ახლო წარსულზე, ძველ თავადებზე,
მათ ღვინოებზე და საკმელების
თავეებზე და სხვა ათას რამეზე;

ბკობდნენ რუსეთზე, საზღვარგარეთზე,
პურის ყანათა ზღაპრულ მხარეზე,
ღმერთზე, უწმინდურ, ნაძრახ ძალებზე.
მეფეზე, ცნობილ მთავარსარდლებზე.



თემური წყობის დაძველებაზე,
მზისა და მთვარის დაბნელებაზე,
გრაფ ლევ ტოლსტოის დარიგებაზე,
გადასახადთა გადიდებაზე.

ადამიანის ბუნებისათვის
იმ — ხალხში ყოფნა იყო ცხოვრება,
რომ დაგვეწყა სახლში მისვლამდის,
რა რიგ მწარეა ქვეყნად ცხოვრება.

ზიხარ, მუსაიფს უსმენ გრილოდან,
თან ოხვრით სხვისას ქაჩავ მახორკას,
გაკვენესებს განა მოწყენილობა,
არა, ხათრს უწევ ამხანაგობას.

და თითქოს ყველა იქცა ბატონად,
არ მიიჩქარის სახლში არცერთი,
იმ დღეებს ჩემი დიდი მადლობა,
ადრე რომ ვნახე ხალხი ასეთი,

და შევიცანი ბაღში მაშინვე
რომ შემქმნელია საოცრებათა
ლითონისა და ცეცხლის კავშირი
შეთანხმებული მჭედლის ნებასთან.

ცხადად მინახავს საკვირველება,
ჩაქუჩის დარტყმით როგორ იქმნება
ყველა ის, რითაც სახლი შენდება,
ტყე იძირკვება, ყანა იმკება.

და ვამაყობდი ასეთ საუნჯით,
უკვე ვიცოდი დაუმკვებლად,
როგორ შეეძლო მამას ჩაქუჩით
მსგავსი ჩაქუჩი გამოეჭედა.

ვიცოდი, განა სხვათა ნათქვამით,
ხალხი მის საქმეს თვლიდა ძვირფასად.
რომ არა რკინის წვრილი მახათი,
ლაფნის ქალამნებს ვინ აისხამდა.

იმ დღიდან მესმის და მეჩვენება
საბერვლის ქშენა, ლალი დგანდგარი,
შემკრთალი შუქით რკინა გამდნარი,
ორთქლის ავარდნა, დარტყმის შედეგად.

და მძიმედ ცემა გრდემლზე უროსი,
მედიდურობის მსგავსი ნაღველი
ისმოდა, როგორც შუა ხუტორში
ქარხნის დიდების გამოძახილი.



განვლელ ცხოვრების გზის ნახევარი
და ცოტა მეტიც, ბოლოს მედირსა
ურალს მენახა ურო მთავარი
მისი საბრძოლო შემართებისას.

როდესაც ალის ტალღა ჩახჩახა
შორიახლოდან მზერას მტაცებდა,
ჩემს ფეხქვეშ მიწა შეაცახცახა
ათასტონიან უროს დაცემამ.

ყოველ დარტყმისას თითქოს მუხლებთან
მივარდებოდა კენესით ხმელეთი,
თითქოს ზედიზედ მისმა ქუხილმა
შეურყიაო ძირს ქვესკნელეთი.

თუმცა მსოფლიო გრუხუნისაგან
გაბრუებული ვიყავ კარგახნით,
მე მაინც ჩვენი ძველი უროსხმა
მომესმა, ალბათ, გულის კარნახით.

და ნაცნობ სურნელს ცეცხლის ხენჯისას
ვეწაფებოდი, როგორც მწყურვალი,
იმ სამკედლოში ფეხის შედგმისას
გავშინაურდი შვილი მკედლისა,
თუმც ჩემს წინაშე იყო ურალი.

ურალი! ყველა დროის ანდერძი —
მეკვლე მომავალ საუკუნეთა,
ჩვენს სულში შედის ლექსის ნაპერწკლით,
ძლიერი ბანის საგუგუნებლად.


ურალი არის ბურჯი ქვეყნისა,
მისი მკედელი, მძლე ამაგდარი,
ძველი დიდების მოწმე ერთხნისა,
დღეის დიდების ძეგლად დამდგარი.

როცა დასავლეთს ეშელონები
ცეცხლში გახვეულ ბოლო მიზნამდე
ქვემეხებს, მტკიცე ჯავშანმოვლებულ
ტანკებს უშალთოდ გადაზიდავდნენ,

ჰაშინ სანგრებში დაირხეოდა
ორი გულთბილი სიტყვა მხურვალე,
ხმას მთელი ფრონტი ბანით ჰყვებოდა,
შვილებს ალერსით აღმოხდებოდათ
გულის ძახილი:

— ჩვენი ურალი!

მატარებელი როცა ჩაგვივლის,
პირამდე სავსე მისი დოვლათით,



თითქოს გვირაბში შედის ბლავილით,
 მოახვევინებს რკალი ფოლადის,
 მერე სწორხაზად სივრცეს გააპოზს
 და ეს მიაოცებს, რომ ჩემს ვაგონშიც
 მიაგდებს ყველა საქმეს, გასართობს,
 რაღაც ამბავი მგზავრებს წამოშლის.
 თითქოს და წამით ქუდსაც იხდიან,
 ვერ წამოუთქვამთ აზრი უბრალო,
 გარინდებულნი გულში იტყვიან
 მხოლოდ ორ სიტყვას:
 — ჩვენო ურალი!

ურალი! ახლა გვერდზე ჩაგივლი
 და გული მკერდში ისე ფანცქალეზს,
 თითქოს მშობელი კუთხე-ადგილი
 უკან მრჩებოდეს, მას ვენაცვალე!

ვერ დამავიწყებს შენს თავს შორი გზა —
 ჩემთვის უცნობი, ჩემგან უვალი,
 მე დაწოლისას და ადგომისას,
 მსგავსად გულწრფელი სამადლობლისა,
 ვიტყვი ორ სიტყვას:
 — ჩემი ურალი!

ურალი! სევდა მძრავს იდუმალი,
 ჩემსუნებლიედ გემშვიდობები,
 ურალს გაღმა ჩანს
 გაღმა ურალი
 და იქით სულ სხვა, ვრცელი შორეთი.

V თ ა ვ ი
 ორი შოკოთი

სულ სხვა სივრცეა, სულ სხვა სარტყელი,
 გზას არ მიკვებებით მკვირვ გრანიტისას,
 ფხვიერ ნიადაგს ვუშხერ სარკმელით
 გულჩაშავებულ ტრიალ მინდვრისას.

ველის სიბრტყეზე, ზოგან კრებულად,
 ზოგან ცალ-ცალკე სივრცეს შეზრდილნი
 არყის ხეები დგანან ბებრულად
 და კრთიან თეთრად, შიშველ ძვლებივით.

ჯეჯილი თხელი, გვალვანანახი,
 კოორიზონტს მწვანედ გასდევს ბოლომდის,
 ნაცრისფერ-ყვითლად მკვანარი ბალახი
 ქარში იქარავებს ცეცხლის მოლოდინს.

სულ ფართოვდება მხარე მხარგაშლით,
 ჩანს ფანჯარაში, გვჯობნის სირბილში,



მეორე დღეა ვართ ქვეყანაში
სადაც ამბობენ:

— ჩვენთან ციმბირში...

ჩემს ბურუსიან და გრძელ სავალზე
ციმბირი განა სადღაც შორს არი,
არ არის მიწის კადე-საზღვარი,
შუამხარეა მადლით აღსავსე.

როგორც ურალი, ვოლგისპირეთი,
მოსკოვის ოლქი და სხვა, რომელიც
დავტოვე, რადგან გამყუა იმედი
სხვა სიახლისა დაუცხრომელის.

და ხარბ ოცნებას, როგორც ყოველთვის,
ვერ გაექცევი გზაზე ველარსად:
ეს და ის — ერთად ორი შორეთი
აქეთ და იქით გაგწევს ერთბაშად.

ჩანს თივის ზვინი თმაგაწეწილი,
ქასთან ჯიხური და უსაშველო
გზის ორი ბოლო, ერთად შეზრდილი
მიდის, ეხვევა მიწას გარშემო.

ერთურთს ემთხვევა ორი შორეთი,
ერთად მომაწყდნენ დაუმცხრალეები
და სული საესე მაქვს ორივეთი:
აღფრთოვანებით და მწუხარებით.

რიყრაყი ისევ ჩადგა სარკმელში,
აღმოსავლეთით გზა უმციოდება,
ის ზვინი ახლა, შორს დასავლეთში
თმაგაწეწილი დგას უწინდელად.

თითქოს ერთი წლის წინათ დაგვცილდნენ
ურალის ძველი მთები გორიზი,
შურო-ჭრილებით ცისკენ აწვდილი
ქანის ფენები, როგორც ტორსი.

ის ადგილები დაგვრჩნენ შორგზაზე,
მკერდით რომ გვდედდნენ. ჩანდნენ სარკმელით,
ვოლგა მრავალი ხიდით ვოლგაზე
და გზა უამრავ გადასარბენით.

შუქი, რომელმაც გამოგვამგზავრა,
გარეუბანი დედაქალაქის.
ყველა ის, ჩრდილში რაც დგას ამჟამად,
ანდა დაისი მკრთალად დანათის.

შორს მოჩანს ქვეყნის გაღმა, სადღაც
ჩემი მშობელი მხარე სმოლენსკის
და იმ ჩემს პირველ სოფელურ ქალაქსაც
ტბილად ვიხსენებ გზაზე ყოველთვის.



მისი დიდება ქუხდა ოდესღაც,
მაგრამ სახელი ძველი ალაგის
არც კი ვიცოდი მე ბალღობისას,
ჩემთვის უბრალოდ ერქვა ქალაქი.

ვიყავ პატარა და უზრუნველი,
მაგრამ ის ხსოვნა კი არ გაფრინდა,
ის ეამი, როცა მამას სურნელი
მოსდევდა ქოხში იმ ქალაქიდან.

მძიმე ჭრაჭუნი ჩვენი ღერეფნის
ისმოდა უემურ ცისქვეშ, თითქოს და
მარხილზე ნაფენ თივის ღერებით
სოფლად ქალაქი შემოდიოდა.

თრთოლვის მომგვრელი, უცხო, მოცხარო,
ზეიმისებრი და სასურველი,
აუხდენელი და საოცარი
ცხოვრების ფეთქვას ჰგავდა სურნელი.

დაკრავდა იგი ნივთებს ნაჩუქარს,
ძველ ნაყიდ-ნაყაჭრს და სხვა დანარჩენს,
იმ უსაპირო ნახმარ ტყაპუქსაც,
რაც კი ქალაქით მოჰყვა მამაჩემს.

ნათელი ხდება ჩემთვის სულერთად
ბალღური თრთოლეა, გულის ფანქაწლიც,
როცა პირველი წიგნის სურნელთან
გამახსენდება გემო ფანქარის,

მიწაში, რითაც მიღვას ფესვები,
რამაც ყოველწუთს სუნთქვა მადირსა,
ყველა სიკეთე დანასესხები
იმ წიგნისაა და იმ ფანქარისა.

მათ ბალღურ კრთოლვით და მოწიწებით
ძლივს ვუბედავდი ხელის შეველებას,
წერას და კითხვას როცა ვიწყებდი —
პირველ ქალაქურ მეცნიერებას.

დროთა სრბოლაში, მერე რა მოხდა,
თუ ყურადღების ღირსად ჩამთვალე,
ჩემი ცხოვრების, ცოდნის წყაროთა
ყველა სათავის წმინდა სათავე!

ბედნიერი ვარ, რომ იმ მამულის,
იმ ზამთრის და იმ ქოხის შვილი ვარ,
ბედნიერი ვარ, რომ სასწაულად,
რჩეულ ზეკაცად არ გავჩენილვარ.

მეც ისე, როგორც ყველა უკლებლად,
მიწის შვილი ვარ და ჩვენს გვარ-ტომსაც
არ ვიცნობთ პაპის, იქით, რატომღაც
ძველთაგან დაგვრჩა წესჩვეულებად...



ცხოვრების ხეზე არ უკენსიათ,
მეც ფიქრით თავი რად გავიცხელო,
თუმც ჩემი გვარი უძველესია
ისევე, როგორც შენი, მკითხველო!

ამ ქვეყანაზე შენ მიჩვენებხარ
ყველა მიგობარს, ყველა თანამგზავს,
ჩემიანებშიც შემირჩევიხარ,
მარჯვედ მიჰყვები ლექსის შარა-გზას.
გულმართალი ხარ, მშვენიერი ხარ,
მოუღრუბველი რჩები მარადეამს.

(მაგრამ მინახავს ბევრი მსმენელი,
ზოგი ძილისპირ თვალებს დაწკურავს,
ზოგი სტვენს უკვე, სიზმრად დაცურავს,
ზოგი კი ცდილობს მოუთმენელი
ეძგეროს სტრიქონს არდასაწუნარს.

შენც შეიძლება ჩემგან წახვედი,
ფრთხილად მოკეცე კუთხე ფურცელის,
მთქნარებით, ჩვეულ წესის დარღვევით,
თვლემას დანებდი, ვერ გაუძელი.

ჩემს წიგნზე როცა ჩაგეძინება,
კი ვერ გავიგებ, მაგრამ ერთი რამ
უნდა იცოდე, არ მეწყინება,
მკითხველო, რადგან მეც ეგეთი ვარ.

ვერც შენ და ვერც სხვა გადამაჯერებს,
რაც აქ სწერია, თითქოს ბევრია,
ანდა ზედმეტი არის ამჯერად
ეს მასლაათი, ეს მატერია,

შეძახილებით და წიადსვლებით
დამატებებით, ყველა მასალით,
გადაჭარბებულ ხარკის ვალებით
წიგნი მიძიდება ძველ აღთქმასავით?

გაგიმეორებ, ძმაო, სულგრძელად,
ნუ წვალობ, როგორც ლექსის რჯულმდები,
იკითხე, სანამ არ მოგძულდება,
მერე — მიაგდე,
მეც გავჩუმდები,

თავს დავხრი, უმალ ცივად დაგტოვებ,
წავალ, დაეწყებ ჩემთვის ბოდიალს,
შენ არ გეგონოს, თითქოს ვნატრობდე
მკითხველს საოცარ ნებისყოფიანს, —
ვინც არ გაურბის ნაბეჭდ ტალახსაც,
ბოლო ფურცლამდე ჭაპანს მიათრევს,
თვით დისციპლინის ძალით ჩაყლაპავს
ვინმე მოწყალე, რასაც მიაჩნთებს.
არა, მე უფრო უნებნისყოფი



მიყვარს მკითხველი მღრთხალი, შერყევი,
 აზრს თუ ჩასწვდება, ესაც მეყოფა, —
 გამარჯვებაა მრავლისმეტყველი!

აღელვებული ვეტყვი: — ო, კარგო!
 მაგრამ დამივლის ტანში სიცივე;
 უეცრად ესაც რომ დამეკარგოს,
 მაშინ რაღა ვქნა, აღარ ვიცი მე.

ეს ვიცი მხოლოდ, თავს არ შეგაწყენთ,
 ჩემი ვარამით ჩემთვის ვეგდები;
 ანდა სხვებსავეთ — მტკიცე ხელფასით
 მწერალთა კავშირს შეგვედღებო...

სჯობია, ისევ წავისაუბროთ,
 იცოდე, მხოლოდ შენთვის გაეწიე
 წლების მანძილზე სამოგზაუროდ,
 გზებზე გაეწირე მე სიყმაწვილე.
 და მივლინებაც ისევ ერთი მაქვს, —
 ჩემთვის ყოველგვარ განძზე მეტია...

რისთვის გავჩერდით ახლა? რის გამო?
 — რა სადგურია?
 — რა?.. ტაიგაო?

შედგა ექსპრესი, დარჩა კუდსიქით
 გადმორბენილი სტეპი ტრიალი,
 და ქვეშ გაუდის კენესა წუხილით
 დაქანცულ, დაღლილ ლითონს წკრიალი.

გარეთ ყაყანი, ქრიაშულია,
 ბაქანზე შუქი დღისფრად ღაღანებს,
 კიდეც ხუთასი ვერსი გვივლია
 ვაგონის კედლებშიღმა ამ დამეს.

გზად გაიელვებს, განვლეს ხიდეგმა,
 მდინარეებმა, ღამის ველებმა,
 ალბათ, არასდროს არ მეღირსება
 მათდამი ერთხელ თვალის შევლებმა.
 და ვერც გავიგებ, რა მიწებია,
 გზაზე თელებქვეშ რომ დამვიწყებია,
 ეს გაზაფხულიც ველარ ვიცანი —
 უკულმა ბრუნავს დროის ისარი?

თითქოს სარტყელი დაგვხვდა ზამთარის,
 სადგურ ტაიგას როცა გავშორდით,
 ექსპრესი ველთა სუნთქვით გამთბარი,
 თითქოს დაიძრა სულ სხვა მარშრუტით.

სხვა არის ჰავა და არეშარე,
 გამეფდა თეთრი ფერი გარშემო,
 მშრალი ქარბუქის კვამლი მთელემარე
 თოვლს აყრის შიშველ ტყეს უსაშველოდ.



მაგრამ ფოლადის რელსებს დაჭიმვით
რვალის თვლებს უფრო მტკიცედ დაანდობს
და ორთქლშავალი ტყეში გაქრილი
ახალ შორეულ სივრცეს გააპოვბს...

ვახლენს შუაზე მთლიან სამყაროს,
რომელიც ორმხრივ აკრავს სამგზვაროს,
ფანჯრების ნიღმა — ორ დიდ ნახევრად,
ერთს ჩრდილოეთად, და ერთს სამხრეთად.

ახალი მხარე ძლივსლა გამოჩნდა
ატეხილ ბუქით დანაბურალი
სადაც პირუცუ, შორეთს ჩამოგვრჩა
ჩვენი მოსკოვი, ვოლგა, ურალი,

სმოლენსკი, ხიდნი ლზარნაზარი
დნებრის, დვინისა და ბერეზინის,
შორს დასავლეთით. ქვეყნის საზღვრამდის
დღეები — ომის ხსოვნას შეზრდილი...

ძელმიწურები ჩაშავებული,
ამბრაზურები ჩაქანგებული
არა, ხსოვნაში არ დაინაცრა,
აქ ვარ ვაგონში, მაგრამ იქაც ვარ —

იმ დაუვიწყარ გზაზე ყოველთვის,
იქ სადაც გმირი ჩემი პოემის
მთელ ფრონტთან ერთად მამულს იცავდა.

თუმცა ის ეამი დღე დღე გვშორდება,
დღედღე იზრდება წლებად მანძილი,
თუმცა სხვაგან ვარ, — ნანატრ შორეთად
სარკმლიდან მოჩანს ძველად განცდილი...

თარგმანი ოთარ ხელიძისა

გაბამ გაბაშიძე

უსახელო მწვერვალი

მოთხრობა

იენისი დადგა. რამდენიმე დღეში ჩვენი ექსპედიცია გაემართება მთებისაკენ. ალბათ, ამის გამო უფრო და უფრო აუტანელი მეჩვენება ქალაქში ყოფნა. ყოველ საღამოს ჩვენ სავარჯიშოდ ვიკრიბებით ნარიყალას ციხესთან. მე ვზივარ ხოლმე კლდის შევრილზე და ნალვლიანად გავცქერი თაბორის მთის ტიტველ კალთებს, ბოტანიკურ ბაღს. რაღაც გაუცნობიერებელი სევდა მაწუხებს. თითქოს მგონია, რომ რაღაც ცუდი უნდა მოხდეს. ქვემოდან მესმის ჩემი ამხანაგების ხმა. ისინი განუწყვეტლივ კამათობენ. ჩვენ აქ კლდეებზე ცოცვაში ვვარჯიშობთ. ბოტანიკური ბაღიდან ცოცვით მოვკვებით ტიტველ კლდეებს. მთელ ტრასაზე თოკებია დაჰქიმული რკინის რგოლით, რომელსაც კარაბინი ჰქვია: თოკზე ვებმებით და მერე ზევით მივცოცავთ. ასეთი ვარჯიში აუცილებელია, მაგრამ მე მაინც არ მომწონს, რადგან საფრთხედ არ ღირს მიზანი. თანაც სერიოზული საფრთხე არც არის, თუ მოწყდი კედელს — თოკი დაგიკერს. ყოველივე ეს ხმელეთზე ცურაობის სწავლას მაგონებს და ამიტომ არ მსიამოვნებს ასეთი უნაყოფო ცოცვა. ამას, რასაც ვფიქრობ, ვეუბნები მურთაზს, რომელიც ჩემს შემდეგ ყველაზე პირველი ამოდის ქვემოდან, ისნისი კარაბინს და თოკს აწედის ომარს, რომელიც მის ამოსვლას უთვალთვალავდა. მე სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ სანამ მე აქ ვიჯექი, ომარი მარშრუტის დასასრულთან დაჰქიმულ თოკებთან იდგა, და იქედან რაღაცას უყვიროდა ქვემოთ დარჩენილებს, მაგრამ ფიქრებში ვიყავი გართული და

არაფერი გამიგონია. ახლა ის თოკს ართმევს მურთაზს და ისევ ყვირის, მურთაზი კი მოდის ჩემთან, გვერდზე ჯდება და პაპიროსს აბოლებს. ის სულ არ არი დაღლილი, ოდნავ არ აჩქარებია სუნთქვა. ეს იმიტომ, რომ მთელი ზამთარი ბაკურიანში გაატარა და თხილამურებზე სრიალმა კარგ სპორტულ ფორმაში ჩააყენა. მასაც არ უყვარს ქალაქი და თუკი საშუალებას პოულობს, ყოველთვის ცდილობს ქალაქიდან გასვლას. ამას ახერხებს კიდეცაც, ის პროფესიით მხატვარია, არცერთ დაწესებულებაში არ მუშაობს. მურთაზი ძალიან ძლიერი მთასვლეელია, მაგრამ განსაკუთრებით ყოჩაღია კლდეზე ცოცვაში. ახლა ის ჩემს გვერდით ზის და პაპიროსს აბოლებს. მე ვეუბნები, რომ მომბეზრდა, ასეთ ვარჯიშს არა აქვს აზრი. მურთაზი, შეიძლება, არ მეთანხმება, მაგრამ ხათრიანია და ამიტომ არც შეკამათება. უბრალოდ მეუბნება, ეს ანდრომ გამოიგონაო.

ანდრო ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელია. მე ძალიან მიყვარს ანდრო და მიმაჩნია, რომ ერთერთი ყველაზე უფრო მტკიცე ხასიათის კაცია ჩვენ შორის. მასაც ძალიან უყვარს მთები, თითქმის ფანატიზმამდე. ეს სულ არ ნიშნავს, რომ დანარჩენებს არ უყვართ მთები, მაგრამ ამით იმის თქმა მინდა, რომ ანდროს აინტერესებს ყოველი, სულ უმნიშვნელო მწვერვალი, ისეთებიცაა, რომლებზედაც ასვლა სულ არ სჭირდება თავისი სპორტული კლასიფიკაციის ასამაღლებლად. მას უყვარს თითონ პროცესი მწვერვალის დაპყრობისა და ამიტომ თითქმის არასოდეს,

არცერთ იერიშზე არ ამბობს უარს. სხვათაშორის, ასეთია მურთაზიც. ამის გამო, ექსპედიციებში ისინი ყველაზე მეტს მუშაობენ ხოლმე. მე მომწონს მათი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი მწვერვალისადმი, ვატყობა თვითონ საქმის არსით და არა კარგი შედეგიდან გამომდინარე სახელით. ანდრო საკმაოდ ენამწარე და პირდაპირი კაცია, შეუძლია დაუსრულებლივ იკამათოს, რაც ხშირად ქიჟყინშიც კი გადადის. მაგრამ ეს სულ არ უშლის ხელს მტკიცე ხასიათისა იყოს. ყოველივე ამასთან ერთად, ანდრო დიდი ოპტიმისტია. აი, ახლა, ის ამოდის კლდის თავზე საკმაოდ კარგი ტემპით და ომარის გვერდით ჩერდება. ისინი უყურებენ, როგორ იწყებს ზემოთ ამოსვლას როსტომი.

როსტომი ჩვენს შორის ყველაზე ჯანიანია. ისიც ძალიან ძლიერი მთასვლელია. მან იცის ეს და მოსწონს, ეამაყება, რომ ასეთია. ანდროსა და მურთაზისაგან განსხვავებით, რომლებსაც ვერასოდეს ვერ შეამჩნევ, რომ თავი მოჰქონდეთ მთასვლელობით, ვერც ლაპარაკში, ვერც ისე, როსტომი აფასებს თავის სახელს. ალბათ, ამის გამოა, რომ დიდი მიდრეკილება აქვს ხელმძღვანელობისაკენ. თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ სრულიად დამსახურებულად. რა თქმა უნდა, ის ერთერთი პირველთაგანია, მაგრამ რატომღაც მაინც უსვამს ამას ხაზს და, როდესაც თქვენ ელაპარაკებით როსტომს, გრძნობთ, როგორ გამოსვივის ამის შეგრძნება მისი ყოველი სიტყვიდან. იოლ მწვერვალზე, რომელიც არაფერს არ მოუტანს მის მთასვლელურ ღირსებას, როსტომი არასოდეს არ წავა. მისთვის საჭიროა მხოლოდ ტექნიკურად რთული, ძნელად ასავლელი სახელგანთქმული მწვერვალები. რა თქმა უნდა, როსტომს ძალიან უყვარს მთა, მაგრამ მე მგონი, მთასვლელობაში ის სადღაც თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებასაც ხედავს. მიუხედავად ამისა, როსტომი კარგი მთასვლელია და საიმედო მეგობარია.

მე და მურთაზი ჩუმაღ-ვსხედვართ და ვუყურებთ, როგორ იწყებს ამოსვლას გოგი. ჩვენ უკვე კარგად ჩანდა ჩუმაღ ვსხედვართ. მურთაზი ისეთი კაცია, რომ არასოდეს პირველი არ იწყებს საუბარს. თუ ხმას არ ვასცემ, შეუძლია მთელი დღე ჩუმაღ იყოს. დანარჩენები ცოტა მოშორებით დგანან თოჯთან, გოგი-კი ნელ-ნელა იწყებს ამოსვლას. გოგიც ძლიერი მთასვლელია. მაგრამ ის ძლიერია არა იმდენად ჯან-ლონით, რამდენადაც ნებისყოფით. მას ვერასოდეს ვერ შეამჩნევ, რომ უჭირს რამე, სრულიად მშობე მდგომარეობაშიც-კი გულგრილად არის და ცდილობს მხნედ მოგვაჩვენოს თავი. ამავე დროს, არასოდეს არ ჰკარგავს იუმორის გრძნობას. მას უყვარს ხუმრობა და პოზა. პოზა იმდენად შესისხლხორცებული აქვს, რომ ზოგჯერ, ძალიან ხშირად, პოზა მის საქციელში, ხასიათიდან გამომდინარე თვისებად მიგაჩნია და სრულებით ვეღარ ამჩნევ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ პოზაა. აი, ახლაც, როცა ის მოცოცავს კლდეზე, ზემოდან ჩამოშვებული თოკი წვეტიან ქვას ეღება, ქვა წყდება ადგილს, ეცემა გოგის ხელზე, უჭრის და ქრილობიდან ახლა სისხლი მოსჩქეფს.

— ფრთხილად — უყვირიან გოგის ზემოდან ომარი და როსტომი შეშფოთებით, რადგან ასეთ დროს მათ უყვართ შეშფოთების გამოხატვა. არ ვიცი, ისინი მართლა ასე შეშინდნენ, თუ ეს ერთგვარი ზრუნვის გამოხატულებაა, მაგრამ ის-კი ვიცი, რომ ანდროს ასეთი რამ უმნიშვნელო წვრილმანად ეჩვენება, სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს გოგის ტრავმას, შეიძლება იმის გამოც, რომ ბუნებით ოპტიმისტია და ყოველთვის, ყოველგვარი მდგომარეობიდან უკეთეს გამოსავალს მოელის. ახლა ის ხმას არ იღებს. ომარი ცოტა პანიკორობია, მაგრამ ისეთი ერთგული ბიჭია. რომ, როგორც იტყვიან, შენი გულისთვის კლდეზე ვადავარდება.

— რა იყო, რა მოხდა? — ყვირის ქვემოდან გაკვირებული გოგი, მაგრამ

მე ვიცი, მისი გაკვირვება ნაძალადევი, პოხაა და მე მეცინება.

გოგი, რაც შეიძლება, უმატებს ტემპს და ამოდის ზემოთ. იხსნის კარაბინს და ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯებით გამოდის გვერდზე.

— მაჩვენე ხელი! — ეუბნება ომარი.

— რა ხელი? — კვლავ გაკვირვებით კითხულობს გოგი.

ომარი გასიხლიანებულ ხელზე წაავლებს ხელს. გოგი განზრახ შებღმეკმუნხული, ვითომ გაკვირვებულია, დასკვების თაღის ხელს, თითქოს ახლა შეამჩნია პირველად, რომ ხელი იტყინა და ამბობს:

— აა? ეს რა არის?

მე ისევ მეცინება. გოგი ცხვირსახოციტ იხვევს ხელს, შემდეგ მოდის და ჩემს გვერდით ჯდება. პაპიროსს აბოლებს.

ახლა ქვემოთ მარტო თინა დარჩა, — ერთადერთი ქალი ჩვენს ექსპედიციაში. თინა ლამაზი გოგოა და მე ხშირად მიფიქრია, თუ საიდან აქვს ასეთ ნაზ, ასეთ ქალურ არსებას, იმდენი ძალა, რომ მთაში იაროს. მე არა მწამს ქალების ალპინიზმი. მთასვლელი ქალების უმრავლესობა უხეშებია და მე იშვიათად შემხედვრია სასიამოვნო მთასვლელი ქალი. თინა გამონაკლისია. ჩვენ დიდი ხანი არ არის, ერთმანეთს ვიცნობთ. თინაც მხატვარია.

— ბედნიერი კაცი ხარ, მურთაზ!

— რა იყო? — მეკითხება მურთაზი და ეღიმიება.

მე თვალს ვუკრავ და ვეუბნები:

— კარგი გოგოა თინა.

მურთაზს ისევ ეღიმიება:

— მე რა შეაში ვარ?..

ახლა მეც მელიმება და თავს ვაქნევ:

— ვიცი, ვიცი...

— შენ რამე არ გეგონოს, არაფერი არ არის...

მურთაზს უნდა ეს სერიოზულად მიიხრას, მაგრამ თვალები მაინც უცინის. მერე დგება და დანარჩენებთან მიდის, რომ იქიდან დაინახოს, როგორ ამოდის თინა. მე მივყარს მურთაზი. მშვენიერი

ბიჭია. როგორი ლამაზი და მოქნილი ტანი აქვს. ახლა ტეხასური, ზოლებიანი შარვალი აცვია, ალპურ ტყეებში მელელები, მეზღვაურის ზოლებიანი შარსურა და ფართო ფარფლებიანი შლაპა ახურავს. თინასაც ასეთივე მაისურა აცვია, ჩემის აზრით, ეს მურთაზის გავლენაა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ მათ ერთმანეთი უყვართ, ან მოსწონთ. თუ ეს ასე არ არის, რატომ იდელდა მურთაზი, რატომ წამოდგა, როცა თინამ დაიწყო ამოსვლა, მაშინ, როდესაც არც მე წამომდგარვარ, არც გოგი?! მათ უეშველად მოსწონთ ერთმანეთი. ამაში ყველანი დარწმუნებულები არიან გარდა როსტომისა. ანდრო ამბობს, როსტომს იმიტომ არ სჯერა ეს ამბავი, რომ თითონაც მოსწონს თინაო. მე ეს არ შემიჩნევია. მე პირველმა შევამჩნიე, რომ თინას და მურთაზს მოსწონთ ერთმანეთი, ან უყვართ (ამას არა აქვს მნიშვნელობა). ეს შევამჩნიე ერთი თვის წინ, როდესაც პირველად დავიწყეთ ვარჯიში. მე ახალი ჩამოსული ვიყავი მოსკოვიდან, ამიტომ იმ საღამოს გოგიმ გამომიარა და ერთად წავედით საზაფხულო აუზზე საცურაოდ. იქ იყვნენ ყველანი მურთაზის გარდა. მურთაზი მთაში იყო წასული ერთი კვირით. მე იმ დღეს პირველად მოვედი ვარჯიშზე და პირველად ვნახე თინა, მანამდე მას არ ვიცნობდი. თინას მეტად ლამაზი საბანაო კოსტუმი ეცვა, მოხდენილად ხტებოდა წყალში და მშვენიერად ცურავდა. მე ის ძალიან მომეწონა.

— ვინ არის ეს გოგო? — შევეკითხე გოგის.

— თინაა, თუმცა შენ არ იცნობ... მთასვლელია, კარგი გოგოა...

— კარგი ტანი აქვს.

მერე მე ჩავხტი წყალში და დავიწყე ცურვა. ჩემს ირგვლივ სხვებიც ცურავდნენ. ყველაზე ცუდად გოგი ცურავდა და ამიტომ ის მალე ავიდა ნაპირზე.

— ჩამოდი, იცურავე, — დავუძახე მე.

— ცივია წყალი, — ზქვა გოგომ, თითქოს ეს იყო მიზეზი რომ ცურვა შეწყ...

ყვიტა და არა ის, რომ ცურვა არ იყო-
და.

— სად არის ცივი, ჩამოდი.

— შენ რუსეთიდან ჩამოსული კაცი ხარ და, ალბათ, სიცივეს ვეღარა გრძნობ, — თქვა გოგამ.

თინამ გაიცინა და შემომხედა. ცოტა ხნის მერე ამოვიდა წყლიდან, გაიმშრალა ტანი, მოიხურა ხალათი და დაჯდა სკამზე გოგის გვერდით. მე ცურვა განვაგრძე. ომარი და როსტომი გულმოდგინედ აყურყუმალავებდნენ ერთმანეთს. ორივენი ცუდი მოცურავეები იყვნენ და ამით ირთობდნენ თავს. ანდროკი სრული სერიოზულობით ეკიდებოდა ამ საქმეს, ის საერთოდ ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა ვარჯიშს და ახლაც თანაბარი რიტმით მიცურავდა აუზის ერთი კედლიდან მეორემდე. მე ამოვედი წყლიდან და ასფალტზე დავიწყე ხტუნაობა გოგისა და თინას წინ. წყლის წვეთები წურწურით ჩამომდიოდა ტანზე.

— გაციელები, — დამიძახა თინამ და თავისი პირსახოცი მესროლა.

მე დავიჭირე პირსახოცი, დავიწყე ტანის გამშრალება და ამავე დროს ვგრძნობდი, რომ მომწონს ეს გოგო. მერე პირსახოცი დავებრუნე თინას და მადლობა გადავუხადე, იმან კი მოხურული ხალათი გაშალა, ცოტა ჩაიწია და ხალათზე დაჯდომა შემომთავაზა. მე დავჯექი თინას გვერდით და როცა ჩემი მხარი შემთხვევით იმის მხარს შეეხო, გავიფიქრე, რომ შეიძლება ამ გოგოსაც მოვწონვარ, თორემ ამდენ ყურადღებას რატომ მომაქცევდა-მეთქი?

სწორედ ამიტომ, იმ საღამოს, ვარჯიშის შემდეგ, გადავწყვიტე სახლამდე გამეცილებინა თინა. ჩვენ ერთად წამოვედით და მხატვრობაზე ვლაპარაკობდით. თინამ თქვა, რომ ძალიან უყვარს ნიკო ფიროსმანიშვილი, მოდილიანი, ვან-გოგი. მე ვუთხარი თინას, რომ უბეში და მამაკაცური ალბინისტი ქალების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ძალიან ნაზი, ქალური ხარ-მეთქი. მე ვგრძნობდი ყოველივე ეს თინას ძალიან

ესიამოვნა. როცა ჩვენ მივედით თინას სახლთან, ვთხოვე კიდევ გაგველო. ის უყუძნოდ დამთანხმდა და მე თითქმის დავრწმუნდი, რომ ამ გოგოს ნამდვილად მოვწონვარ. ჩვენ გავყევით ვიწრო ქუჩებს და თინამ მითხრა, რომ დიდხანია მიცნობს, იცის, რომ სარეჟისოროზე ვსწავლობდი მოსკოვში და ახლან ჩამოვედი, ასე რომ, როცა მოვედი ვარჯიშზე, თინამ უკვე იცოდა, ვინა ვარ მე. საიდან? მურთაზისაგან! მურთაზი თურმე ხშირად ელაპარაკებოდა ჩემზე. შემდეგ თინამ დამიწყო ლაპარაკი მურთაზის შესახებ. ის მიყვებოდა, როგორია მურთაზი მთაში, რომ სწორედ მურთაზმა შეაყვარა მთავლელობა, მურთაზს არ უყვარს ქალაქი, ის ისეთი სითბოთი მესაუბრებოდა მურთაზზე, რომ მე უცბად ვიგრძენი, ეს გოგო გულგრილი არ უნდა იყოს მურთაზისადმი და ახლა მოწყენილია იმის გამო, რომ ის არ არის აქ. მან იცოდა, რომ მე და მურთაზი კარგი მეგობრები ვართ და ალბათ, სწორედ ამიტომ სიამოვნებდა ჩემთან სიარული. აი, ასე აღმოვაჩინე მე ეს ამბავი და შემდეგ დღეებში უფრო დავრწმუნდი ჩემი ვართულის სისწორეში.

ახლა მე და თინა კარგი მეგობრები ვართ და მე სიამოვნებით ვუყურებ, როგორ კონტად მოცოცავს ის კლდეზე.

მაგრამ ყოველთვის, როდესაც ჩვენ აქ ვვარჯიშობთ, მე გული მწყდება, როცა ვუყურებ შურის ციხის ჩამონგრეულ გალავნებს, ხავსმოკიდებულ კედლებს. მე გული მწყდება იმ ხალხზე, რომლებიც აქ, ზუსტად ამ ადგილებში, ჩვენგან სრულიად განსხვავებული, სავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, იტანჯებოდნენ, უყვარდათ და თავს წირავდნენ. ვინ იცის, რამდენი ცდილობდა ამ კედლებზე ამოძრომას, მაგრამ არა თოკებით, არა სპორტული ქინით, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ვნებით შეპყრობილი... გონების თვალთ მე ახლაც ვხედავ მათ, ჯაჭვის პერანგებსა და მუხარადებს და გული მწყდება, რომ ჩემთვის შორეულია მათი სულისკვეთე-

ბა, რისთვის იბრძოდნენ ისინი, ღირდა მათი ცლა ყველაფრის წარმოცავი სიკვდილის წინაშე? აღარ არიან ისინი, ჯერ ისევ დგას შურის ციხე, სადაც რამდენჯერ დაჯახებიან ერთმანეთს სიკვდილი და სიცოცხლე, აქ ამ კედლებზე, სადაც ახლა თოკები გვაქვს დაქიმული და ვეარჩიშობთ. აქ ახლა სიჩუმეა. ქალაქის შორეული, დაგუბებული გუგუნის მაინც აღწევს ყურამდე და გული მწყდება, რომ აღარ გაისმის ორთაჭალიდან წამოსული ტკბილი, ნაზი, სიყვარულით და წუხილით საესე ხმა დუდუკებისა, გული მწყდება, რომ ის, რაც მე ასე მიყვარს, არ მინახავს და ჩემს აზრს ვეუბნები გოგის, რომელიც გვერდით მიზის და პატარა პორტატულ რადიომიმღებს ატრიალებს.

— ეს შეიძლება იმიტომ ხდება, — მეუბნება გოგი — რომ ის, რაც შენ არ გინახავს, ვაცილებით უფრო მშვენივრად და მიწილდევლად გაქვს წარმოდგენილი და სულ სხვაგვარად განცდილი, ვიდრე ის შესაძლებელია სინამდვილეში ყოფილიყო. ჩვენი ოცნების საგანი ყოველთვის განსხვავდება სინამდვილისაგან. სწორედ ამიტომ ხდება წარსულის გაიდევლება. წარსულის განცდა უმტიკინეულოა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს შემდეგ მომავალი თაობა გააიდევლებს იმ ცხოვრებას, რომლითაც ახლა მე და შენ ვცხოვრობთ, ჩვენ-კი ახლა ჩვეულებრივად ვცხოვრობთ და არაფერი არ გვეჩვენება მაინცადამაინც განსაკუთრებულად, კოსმოსში გაფრენაც-კი, თითქოს ყველაფერი ასე უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, გოგი სწორია, მაგრამ ვარჯიშის შემდეგ, როცა ყველანი ერთად ვიკრიბებით, ბიჭებს ვეუბნები:

— ბიჭებო, მოდი ერთი მთაში წასვლის წინ, დუდუკებით ვიქეიფოთ მტკვრის პირას, ძველებურად...

— ვიქეიფოთ, — ამბობს მურთაზი, დანარჩენები კი სიცილით კვდებიან.

— ეგ ძალიან კარგი აზრია, მაგრამ შენ ეს მითხარი, კინტოების ტანსაცმელი ვის შევაკერინოთ, — იძახის ომარი.

— რა დროს ქეიფია, მთაში წასვლის წინ — ამბობს ანდრო. *ერეკნული* მე ვჩუმიდები. მართლაც, *მტკვრის* ქეიფია, ან ვინ ქეიფობს ახლა დუდუკებით მტკვრის პირას?

მიუხედავად ამისა, ანდრომ და მისმა ცოლმა დაგვაპირეს სახლში ყველანი. გოგი თავისი ცოლით მოვიდა. გოგის ახალი შერთული ჰყავს ცოლი. ძალიან სასიამოვნო იყო ანდროსთან ყოფნა. ჩვენ გემრიელად ვისადილეთ, ცოტა დავლიეთ, ვიმღერეთ. მერე აივანზე დავსხედით და ვუყურებდით, როგორ ბნელდებოდა ქალაქში. თინამ მხარზე დაადო თავი მურთაზს. მერე ანდროს ცოლმა გვთხოვა, რომ მთაში ერთმანეთს გაეფრთხილებოდით.

ყოველ დღით ჩვენ ვიკრიბებით ალპიურ კლუბში და საქურველს ვარჩევთ. ათასი წვრილმანია გასათვალისწინებელი. ბოლოს წასვლის დროც დგება. როსტომი და ომარი პირველები მიდიან თბილისიდან. ისინი გეოლოგები არიან და მათი პარტია ჩვენი ექსპედიციის რაიონის მახლობლად მუშაობს. ისინი ყველაზე ადრე ჩავლენ, მოაგვარებენ თავიანთ საქმეებს და ადგილზე დახვებიან ექსპედიციას... მათ იქ შეუერთდებით მურმანი, რომელსაც მე არ ვიცნობ, თუმცა ისიც ექსპედიციის წევრია. მურმანის მამა ცნობილი პროფესორია. მურმანთან ერთად მხოლოდ როსტომია ნაწყოფი მთაში და მისი რჩევით შეიყვანა ანდრომ ის ექსპედიციის შემადგენლობაში. მურმანის მამა იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელია, სადაც როსტომი მუშაობს.

რამდენიმე დღის შემდეგ მურთაზი და თინაც ტოვებენ ქალაქს. ექსპედიციის ბარგის უდიდესი ნაწილი ვაგზავნილია. დარჩენილი ბარგიც იგზავნება. მას თან მიყვება ექსპედიციის უფროსი — ანდრო. ანდრო ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკია.

ქალაქში მხოლოდ მე და გზგი ვრჩებით. გოგის ჯერ კიდევ არ მოურჩა ხელი, რომელიც ვარჯიშის დროს იტყინა.

მე ძალიან მომენატრა თბილისი. რამოდენიმე წელი მოსკოვში ვსწავლობდი სარეჟისოროზე. ახლა კინორეჟისორი ვარ. სულ ცოტა ხანია, რაც ჩამოვედი და ძალიან მომენატრა საყვარელი ქალაქი. მე ყოველდღე დავსეირნობ თბილისის ქუჩებში, დავსეირნობ ჩუღურთში, აქედან გავდივარ რიყეში, სადაც წინათ განთქმული მედუდუტეები ცხოვრობდნენ, მეტეხზე ასული დიდხანს გადავყურებ ხოლმე ორთაქალას. მინდა ვადავილო კინოსურათი „ძველი თბილისი“. გოგი მეუბნება, რომ არ გამოვივა.

— რატომ? — ვეკითხები მე.

— იმიტომ, რომ ძველი თბილისი და ძველი თბილისელები აღარ არსებობენ. ძნელია გამოგივიდეს მართალი და გულწრფელი სურათი იმის შესახებ, რაც შენ არ გინახავს და არ იცი.

— მაშ რა უნდა ვქნა?

— უნდა გააკეთო ის, რასაც ხედავ, რაც უკეთესად იცი...

მე მგონია, რომ ვიცი და გულწრფელად მიყვარს ძველი თბილისი, მაგრამ ის, რაც მე დღეს ვგზობიკად მეჩვენება, მაშინ ვგზობიკა სრულებითაც არ იყო. მე ხომ სხვა კუთხიდან ვუყურებ იმ ცხოვრებას. იქნებ ამისათვის ღირდეს ცდა?! მაგრამ იქნებ სწორია გოგი და ჯობია ის გადავიღო, რაც ჩემს ირგვლივ ხდება. ყველაფერს თავისი ვგზობიკა აქვს, თუკი ეცდები შემჩნევას. ბოლოს და ბოლოს, მარტო ვგზობიკაში ხომ არ არის საქმე?! გოგი ისტორიკოსია, ის ლექციებს უკითხავს უნივერსიტეტის სტუდენტებს. ძალიან მოსიყვარულე ბიჭია, თუმცა ერთი შეხედვით, უცხო, შეიძლება, ცივი და ოფიციალური ვგონოს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, ეს მისი პოზია — მედიდური და აუღელვებელი კაცი, რომელიც ისე აქვს შესისხლხორციებული, რომ ზოგჯერ ფარავს მის უშუალოებას. მეგობრობაში ის ერთგულია, სიყვარულში ამაღლებული, შეიძლება სენტიმენტალურიც, მას შეუძლია საათობით ილაპარაკოს თავის ცოლზე, რაც მე არ

მომწონს, მთავლელობაში ის მტკიცე და გაბედულია. მიუხედავად ამისა, გოგისგან ასეთ რამესაც უნდა მოვლოდეთ: ერთხელ, სწორედ ჩვენი გამგზავრების წინა დღეს, როცა გოგის ჯერ კიდევ შეხვეული ჰქონდა ხელი, რადგან მთლიანად მორჩენილი არ იყო, ჩვენ, მე, გოგი და მისი ცოლი მოვსეირნობდით კიროვის პარკში. უცებ საიდანღაც ღრიალით გამოცვივდნენ ვიღაც მოვრალი ახალგაზრდები და იმდენად უხეშად დაეჯახნენ გოგის ცოლს, რომ კინალამ წააქციეს.

— წესიერად გაიარეთ, ბიჭებო, არა გრცხვენიათ?! — უთხრა მათ გოგომ.

— ამას უყურე, — თქვა ერთმა და ცხვირზე წაუთათუნა გოგის ხელი.

მე ვეღარ მოვიტყინე და იმ წამსვე ვთხლიშე. შემდეგ დანარჩენებიც დამეხვივნენ. ისინი მოვრალეები იყვნენ და კარგად ვერ ჩხუბობდნენ, უფრო მეტს ხმაურობდნენ. ამასობაში საიდანღაც მილიცია გაჩნდა და ყველანი დაიჭირეს. ისინი ისევ იმუქრებოდნენ და ჩემსკენ იწევდნენ, თუმცა საკმაოდ კარგად იყვნენ ნაცემები. მე თვითონ ცალი თვალი დასიებული მქონდა და პერანგი ჩამოხეული. მთელი ამ გაწამაწიის დროს გოგი გვერდზე იდგა, როგორც სრულეებით შემთხვევითი პირი და აზრადაც არ მოსვლია, რომ მომხმარებოდა. მაგრამ მე ეს არ მწყენია. მე ვიცოდი, რომ გოგის არ უყვარს ჩხუბი. მას უბრალოდ, არ შეეძლო ჩხუბი. ჩხუბის ცოდნა, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ მარტო ეს, ვაქცაცობის დამამტკიცებელი თვისება არ არის, როგორც, სამწუხაროდ, ბევრს ჰგონია. ზოგჯერ ჩხუბისაგან თავის შეკავება უფრო მეტი ვაქცაცობაა, თუმცა ამ შემთხვევაში ეს ასე არ იყო, მაგრამ ამით არაფერი არ იცვლება. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ბოლო დროს, ჩხუბის ატეხვას და ვაქცაცობას ერთმანეთში აიგივებს ხოლმე ზოგიერთი.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, როცა მე და გოგი თბილისიდან გავმგზავრეთ მთებში, გოგის ხელი ჰქონდა შეხვეული, მე კი თვალი და ჩვენ ძალიან ნაკ-

ლებად ვგაედით ალპინისტებს: აეროდრომზე, ჩვენს გასაცელებლად მოსული ნაცნობები და ახლობლები დაგვეცინოდნენ, მერე პატარა თვითმფრინავი აფრინდა და ზემოდან გამოჩნდა სხვადასხვა ფერად აჭრელებული მიწა, მდინარეების თეთრი, ვიწრო ზოლები-ერთმანეთში გადახლართული გზები და ბილიკები, მთის ტყიანი კალთები ტიტვლა ფერდობებში შეცვალა, აი, გამოჩნდა ის ადგილები, სადაც იღებენ მდინარეები სათავეს, მოჩანს ალაგ-ალაგ დარჩენილი თოვლი, ყინვარები, ბრტყვიალა, თეთრი ქედები, ირევა ნისლი, ჩვენ ზემოდან მოვექეციით იმას, რასაც ხვალ თუ ზეგ, მიწიდან უნდა შევეუბოთ. უცებ მებადება კითხვა: ყოველივე ამის შემდეგ, როცა ასეთი სიმაღლიდან ხედავ ყველაფერს. რაღა აზრი აქვს მთებთან ჰიდრის? მე ვიცი, ვგრძნობ, რომ მთებთან ჰიდრის უდიდესი აზრი აქვს, მაგრამ მაინც ვეკითხები გოგის, თუ რას ფიქრობს ამის შესახებ და ისიც მპასუხობს:

— რა თქმა უნდა, უდიდესი აზრი აქვს, ეს სულ სხვაა. ბუნებასთან და საკუთარ თავთან ბრძოლაში პოულობს და შეიცნობს ადამიანი თავის თავს და უფრო დიდი ხდება, ვიდრე ეს შეიძლება გეგანოს.

— სწორია!

მე ვეთანხმები გოგის. ჩვენ დაუსრულებლივ შეგვიძლია ვეკამათოთ ერთმანეთს ათასგვარი საკითხის ირგვლივ, მაგრამ ამაში ყოველთვის ერთი აზრისა ვართ.

მართლაც, რამდენჯერ ხდება, როცა სიცივიტ, შიმშილიტ, ქარით და უამინდობით დაღლილ სხეულს უნდა მოსვენება, შენი ინსტინქტები უარს ამბობენ ბრძოლაზე, მოითხოვენ უკან დახევას, მაგრამ შენ მაინც აგრძელებ იერიშს, არ ემორჩილები სხეულის მოთხოვნილებას, არ იხევ უკან, შენ არც შეგიძლია დაიხიო უკან, იმიტომ რომ შენ ხარ ამაყი, ვაქვს სიმტკიცე. იმიტომ რომ შენ გიტაცებს განსაცდელი

და თუ ის, რაც ერთი შეხედვით დაუძლეველი გვეჩვენება — დაძლიე, შენ პატივს ცემ შენს არსებობას. შეგნებულად შეგიყვარდება სიცოცხლე და იცი მისი ფასი. სწორედ ეს არის გააზრებულის გამარჯვება ინსტინქტურზე და ამის შეგრძნება ძალიან დიდ სიამოვნებას გგვრის.

თვითმფრინავი დაჯდა პატარა აეროდრომზე. ახლა ჩვენ მთებში ვართ. ჩვენს ირგვლივ დიდებული სანახაობა იშლება. მოჩანს მწვერვალების ყინულოვანი თავები, ნისლიანი ქედები, მზეა, სიცოცხლე და ხალისი იგრძნობა ირგვლივ. ჩვენ ვუყურებთ ცაში აზიდულ მწვერვალებს და უკვე გვიპყრობს მათი დაძლევის ყინი. აღფრთოვანებული ვიყურებით მალა და პირველივე შეკითხვა, რომელსაც ვიძლევიტ ამინდს ეხება.

— როგორი ამინდებია?

— ამინდი არ არის მაინცდამაინც კარგი... ხშირად იცვლება, — გვპასუხობს აეროდრომის ერთერთი თანამშრომელი.

ჩვენ ეს არ გვისიამოვნებს. მერე, ზურგჩანთებიანად გავდივართ გზაზე და ვუცდით მანქანას, რომელიც ძირითად ბანაკამდე მიგვიყვანს.

სალამო ხანს ჩამოვდივართ მანქანიდან და ფეხით მივყვებით ბილიკს. შორიდან კარებს ვხედავთ და გვიხარია. ანთია ცეცხლი. ბოლი ცაში აღის. ვილაკები ფუაფუსებენ ცეცხლთან. გახარებულები ვუმატებთ ნაბიჯს და ვევირით. ვილაც მოდის ჩვენს შესახვედრად. ეს ომარია. სულ მალე ვხვდებით ერთმანეთს და ვკოცნით. რატომღაც ომარს სერიოზული სახე აქვს.

— ახლა ჩამოხვედით? — გვეკითხება ის.

— ჰო!

— შენ რა მოგივიდა თვალზე?

— არაფერი.

— ბიჭები სად არიან? — კითხულობს გოგი.

— ყველანი მთაში გავიდნენ საშვე-

ლად. იქ მოსკოველების ჯგუფს მარცხი შეემთხვა, ერთი კაცი დაეღუპათ.

ძალიან არასასიამოვნოა ასეთი რამის გაგონება მთაში ჩამოსვლის პირველსავე დღეს. მე ვგრძნობ, როგორ ქრება ჩემი სიხარული, ქრება ამაღლებულის, რომანტიკულის, განსაკუთრებულის შეგრძნება. ახლა ყველაფერი უბრალოდ მეჩვენება. ჩემს ირგვლივ ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრებაა, ერთდროულად სიხარულისა და ტანჯვის შემცველი.

— ზევეში მოყვენენ, — ამბობს ომარი, — ზეალ დილით მეც მივდივარ მალა.

— ჩვენც წამოვალთ, — ამბობს გოგი.

— ეე, თქვენ ჯერ ვერ ივლით, გაგვიჩივდებათ, ფორმაში არ ხართ...

— ნუ გეშინია.

მერე ერთად ვსადილობთ. ბანაკში თითქოს სიციარილეა. ყველანი ზემოთ არიან. შეუშინებლად ლამდება. სიბნელეში ისმის მდინარის გუგუნე, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი სიმშვიდეა. გოგი და ომარი პაპიროსს ეწევიან. მე კი ჩაფიქრებული ვზივარ კარვის წინ და სიბნელეში ვიყურები.

მეორე დილით მზე აცხუნებს. ჩვენ შეუპოვრად მივყვებით აღმართს და სანამ ყინულოვან პლატოზე ავიდოდეთ, მე და გოგი სასტიკად ვიღლებით. ჩვენ ძლივს ვსუნთქავთ და მთლიანად ოფლში ვართ გაწურულები. მზე აცხუნებს და სასტიკად ცხელა. ჩვენ ვიხდით ტანსაცმელს, ომარი ჩემს ზურგჩანთას იკიდებს, რომ მე ოდნავი დასვენების საშუალება მომცეს და წინ მიდის. ახლა მას ზურგზე ორი ჩანთა ჰკიდია, და მე უზურგჩანთოდაც მიჰქირს სიარული. გოგი მთლად ოფლშია გაწურული და გატანჯული სახე აქვს. ყოველთვის ძალიან ძნელია პირველად გასვლა მთაში, სანამ შეეჩვეოდე. ჩვენ დიღხანს მივდივართ შეუჩერებლივ. მე შევცქერე წინ მიმავალს ფეხებში და მესმის საკუთარი გულის ცემა. ისევ

ირევა ნისლი. ჩვენ ვიცვამთ ტანსაცმელს. მე ვართმევ ზურგჩანთას ომარს, უკვე დავისვენე. ომარს ეტყობა, რომ კარგა მაგრა დაიღალა. მაგრამ მაინც სთავაზობს დახმარებას გოგის.

— მომეცი, ბიჭო, პლატომდე ამოგიტან და მერე აღმართი აღარ არი.

მაგრამ გოგი უარზეა.

შუადღისას პლატოზე ავდივართ. შორს კარავი მოჩანს. იქედან გამოდიან თინა და ვილაც ბიჭი.

— ეს მურმანია, — გვეუბნება ომარი.

მერე ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს, ვესალმებით. მე და გოგი იმწამსვე ვხვდებით თოვლში ზურგჩანთებიანად. ლაპარაკის თავი არა გვაქვს. ომარი ელაპარაკება მურმანს. აღმოჩნდა, რომ ესენი აქ დაუტოვებიათ, რათა დურბინდით ადევნონ თვალი ზემოდან მომავლებს და ქვემოდან ამოსულებს შეატყობინონ მათი ადგილმდებარეობა. მე ვუყურებ მურმანს და მაინცდამაინც არ მომწონს ეს ბიჭი. ის საკმაოდ ლამაზია, ძალიან მოდურად აცვია და სავანგებოდ მოუშვია წვერი, ალბათ იცის. რომ უხდება. მაგრამ ყველაზე უფრო ის მაღიზიანებს, რომ კარგ ხასიათზეა, მაშინ როდესაც ჩვენ ასე დაღლილები ვართ და წინ კიდევ ძნელი გზა გველის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ისევ ვაგრძელებთ სიარულს. ახლა თოვლიან ფერდობს მივყვებით მალა. როცა აღმართს ვათავებთ, ვხვდებით ზემოდან მომავალ ჯგუფს.

როსტომი, ანდრო და მურთაზი ერთად ისხდნენ და ჭამდნენ. დანარჩენები უცნობები იყვნენ. ზევეში მოხვედრილები, გატანჯული, გაოგნებული სახეებით, ბელფეგშებგეულები იწვნენ თოვლზე გაშლილ საძილე ტომარებზე. ყველანი ჭამდნენ. როცა ჩვენ ამოვედით, ყველამ შემოგვხედა და მერე ჭამა განაგრძეს. ის, ვინც დაიღუპა, საძილე ტომარაში იწვა და ზემოდან თო-

ვლი და ყინული ეყარა, რომ მზეს არ გაეფუჭებინა.

მე, ომარიმ და გოგიმ მოვიკიდეთ ჩვენი ამხანაგების ზურგჩანთები და დავიშვიტე ქვემოთ. იმათ ავადმყოფები მოჰყავდათ. საშინელი სიფრთხილით მოვეყვებოდით ყინულიან ფერდობს და დროდადრო საფეხურებს ვჭრიდით. ბოლოს პლატოზე ჩამოვედით. მაგარი ქარი ქროდა. თინამ და მურმანმა სასწრაფოდ მოხსნეს კარავი და შემოგვიერთდნენ. ყინვარის ბოლოს საბოლოოდ დაგვალამდა. აქედან ნაპრალები იწყებოდა. დალილობისაგან ფეხზე დგომის თავი აღარა გვქონდა. დროდადრო ისმოდა ავადმყოფების კვნესა, მაგრამ მე სრულებით ვერ განვიცდიდი მათ მდგომარეობას, ძალაუუნებურად მებუქებოდა თვალები და მივდიოდი ტყვილ ბურანში. გოგი ჩემს გვერდით იჯდა და მგონი, უკვე ეძინა. როსტომი და ანდრო რაციით დაუკავშირდნენ ბანაკიდან გამოსულ დამხმარე ჯგუფს. აღმოჩნდა, რომ ისინი ხვალ დილით ამოვიდოდნენ აქ. ასეთ სიბნელეში საშიში იყო გზის გაგრძელება. მაგრამ სანამ ჩემი ამხანაგები თათბირობდნენ, მე არაფერზე არ ვფიქრობდი და ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. მერე ანდრომ იკითხა, ხომ არავის ჰქონდა ფანარი. ვილაცას ჰქონდა.

— უნდა გავაგრძელოთ გზა, — თქვა ანდრომ, — არაფრით არ შეიძლება ავადმყოფების აქ დატოვება მთელი ღამით.

ზოგიერთებმა, რომლებიც ძალიან დაღლილები იყვნენ, კამათი დაიწყეს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს გადაწყდა რომ ქვემოთ წავსულიყავით.

გოგიმ თვალები გაახილა, წამოდგა და ზურგჩანთა მოიკიდა. მე კი მეგონა, რომ ეძინა. ცოტა ხნის მერე, მეც წამოვდექი. ჩვენ გავშალეთ კარავი, შევასვენეთ შიგ დაღუპული ალბინისტი და დავიწყეთ დაშვება. ამ შუალაშისას აზრი არ ჰქონდა მიცვალბულის ტარებას საშიშ ადგილებზე. ხვალ დილით

ამოვიდოდა ჯგუფი და წაასვენებდა ქვემოთ. პირველ რიგში ჩვენი უცხოელი კაციბათვის გააკეთეს უარგისსაქმე. მკვდარი ყოველთვის მოიცდის.

და აი, ჩვენ დავპიშეთ თოვები და დავიწყეთ დაშვება. წინ ომარი და მურმანი მიდიოდნენ, დანარჩენებს ავადმყოფები მოგვეყავდა ზურგით და დროდადრო ერთმანეთს ვენაცვლებოდით.

— რა გქვია, მეგობარო? — მკითხა მან, რომელიც ზურგზე მეჯდა.

მე ვუთხარი ჩემი სახელი.

— მე ვალოდია მქვია. არასოდეს არ დაგივიწყებ. არცერთს არ დაგივიწყებთ.

მერე ნაპრალებს ჩამოვედით და მორჩენებზე გამოვედით. ახლა ქვების ჭახანი ისმოდა ფეხქვეშ.

გათენებისას, მდინარის პირას შევხვდით დამხმარე ჯგუფს. ჩვენ დავსვით ავადმყოფები მიწაზე. ახლა უკვე დანარჩენილები იყვნენ ისინი. და აი, დილის ჯერ კიდევ მკრთალ, ნაცრისფერ ბინდ-ბუნდში, მთელი ღამის წვლების შემდეგ, პირველად შევხვდეთ ერთმანეთს და შეგვეცოდა ერთმანეთი. თვალები დაწითლებული, ცხვირები დაღუპრებული, ლოყებიჩავარდნილები ძლივს ვდგავართ ფეხზე. ანდრო ჯდება და კამფეტს წუწუნის.

— წყალი ხომ არ გინდა, ანდრო? — ეკითხება ომარი.

ანდრო თავს აქნევს.

ომარი ლასლასით მიდის მდინარესთან და მოაქვს წყალი. ანდრო სვამს, ნახევარს მე მიტოვებს. მეც ვსვამ და კათხას ვუბრუნებ ომარს. ომარი შაქრის ნატეხს მანუდის და ისეთი თანაგრძნობით მიყურებს, რომ მე თვითონ მეცოდება ჩემი თავი.

დამხმარე ჯგუფში დაახლოებით ოცამდე მთასეულია. ისინი ორად იყოფიან, სასწრაფოდ გვეშვიდობებიან და ერთი ჯგუფი, რომელსაც ავადმყოფები მიჰყავს, გმეება ქვემოთ, მეორე ჯგუფი კი ზემოთ მიდის.

გრჩებით მარტო. ჩვენ ჩვენი საქმე უკვე გავაკეთეთ. ახლა შეგვიძლია

დიდხანს დავისვენოთ. ამოდის მზე. მთები ნათდება. დილის ნაშუა ბრწყინავენ ყვავილები. სადღაც, კლდეში ჩასერილი ჩანჩქერი სამართებელივით ელავს. ქვემოთ, ნისლში ცურავენ ტყეები. ნისლის პატარ-პატარა ქულები გაფანტულა მთელ ქედზე. ყველაფერი, რაც მზის ამოსვლამდე ასე პირქუში და მიუკარებელი გვეჩვენებოდა, ახლა ისევ სიცოცხლით სავსე და ახლობელი ხდება. ჩვენ ვწევართ მზეზე და ვთბებით.

— ეჰ, კარგი საქმეა მზე, — ვამბობ მე.

— სიცოცხლეა, — მოკლედ მეთანხმება მურთაზი.

მურმანი ყვავილებს კრეფს და მოზრდილ თაგულს უწვდის თინას. ის ყველაზე ნაკლებად დაიღალა ჩვენ შორის. თინას უხარია, რომ ყვავილები უჭირავს ხელში. ყველანი გამოცოცხლდნენ, ამოკრავდნენ, ახმაურდნენ, ომარი დგება და თოკებს ახვევს.

— ნამეტანი ცუდად დავიწყეთ ექსპედიცია—ამბობს ის.

— ყველაფერი კარგად იქნება, — უთბნება ანდრო.

— იმ უბედურისათვის ყველაფერი მორჩა—ამბობს როსტომი.

— იმისათვის მორჩა, მაგრამ ჩვენთვის გრძელდება, — ამბობს ანდრო, — სანამ ცოცხალი ხარ, სიცოცხლე კარგია.

მერე როსტომი დგება. იკიდებს ზურგჩანთას და გვეუბნება, რომ წასვლის დროა. ზღაზვნით დგება გოგი. მურთაზი უკვე მზად არი. ყველანი მიდიან. მე და ანდრო ვრჩებით.

— წამოდი! — გვეძახის ომარი — რას უცდით?

— წამოვალთ!

ყველანი მიდიან. მე და ანდრო ვწევართ და ვტყებებით ბუნების სილამაზით და მზის სითბოთი. მერე ჩვენც ვდგებით. მივყვებით ყვავილებით მოფენილ ფერდობს. კაშკაშებს მზე. შემოვდივართ ტყეში. მზის სხივები ირიბად ატანენ ხეებს შორის. გრილა. ის-

მის ჩიტების სტენა. ასწლოვანი ჩაქები, ნეკერჩხლები, წიფლები, ყაყაღი, ნოდ გაჩინდებულან. ჩვენი მოვრბივართ დაღმართზე, ანდრო წინ, მე უკან. მერე პატარა მინდორზე გამოვდივართ და აქედან მოჩანს ქვემოთ, მდინარის პირას გაშლილი ჩვენი ბანაკი. კარვების ზემოთ ტიტველი ფერდობია, მერე თეთრი ღრუბელი, მერე მოჩანს მოპირდაპირე ქედი. ყვავილებზე ლამაზი პეპლები დაფრინავენ. ჩვენ ვჩერდებით უხარმარაზარ მორთან და წინ ვიყურებით. ჩვენ გვხარებს. სიცოცხლე.

— რა სილამაზეა? — ამბობს ანდრო.

— ეჰ... ადამიანი მხოლოდ მაშინ უნდა მოკვდეს, როცა სიამოვნების განცდის უნარს დაკარგავს, — ვეუბნები მე ანდროს — ცხოვრება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ადამიანმა ყველაფერი გამოცადოს, თანმიმდევრულად გამოიფიტოს და როცა აღარ ექნება უნარი ტკბობა განიცადოს სილამაზის ჰერეტისაგან, უტანჯველად დაკარგოს ცხოვრების ხალისი.

— მოკლედ, კაცი მაშინ უნდა მოკვდეს, როცა ფიზიკურად აღარ შეეძლება დატკბეს ბუნების სილამაზით, ან კიდევ სხვა რამით, თორემ სურვილი ყოველთვის რჩება.

— აღარც სურვილი უნდა იყოს, მაშინ კანონიერი იქნებოდა სიკვდილი. კაცს აღარ უნდა სიცოცხლე და კვება.

— მაგაშია მთელი ტრაგედია, რომ პირიქით ხდება. არ გინდა სიცოცხლე, მაგრამ იბადები, აღარ გინდა სიკვდილი, მაგრამ კვლები. საშინელებაა სიკვდილი.

— არ არი საშინელება, თუ ცალკეულ ადამიანს მივიჩნევთ, როგორც მთელი კაცობრიობის ერთ შემადგენელ, მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ დროის მონაკვეთზე საჭირო ნაწილს, მაშინ ყველაფერი ნორმალურია, რადგან კაცობრიობა არასოდეს არ კვდება, აგრძელებს თავის რალაციისთვის საჭირო ცხოვრებას, მას არც არაფერი აკლდე-

ბა, არც არაფერი ემატება, მხოლოდ ოდნავ იცვლის სახეს და ამ მთლიანი კაცობრიობის ცხოვრებაში ცალკეული ადამიანი ასრულებს ისეთსავე საჭირო როლს, როგორსაც პატარა უჯრედი, ან ატომი ასრულებს თვითონ ადამიანის ორგანიზმში, მაგრამ ასე რომ მიუდგე საკუთარ თავს, თითქმის შეუძლებელია.

— და მაინც სხვანაირი მიდგომა არ არსებობს, ასეთია ჩვენი ზვედრი, — ამბობს ანდრო, მეოცნების სახით იყურება ისევ წინ, დათოვლილი მთებისაკენ და ცოტა ხნის მერე უმატებს: — ცხოვრება მაინც მშვენიერია.

მერე ქვემოთ გარბის და გზადავზა წერაყენს უქნევს ყვავილებს.

მე მიხარია, რომ ის ასეთი ოპტიმისტია, ამდენი ძალა აქვს და ასე უყვარს სიცოცხლე.

რამდენიმე დღე ჩვენ ვისვენებდით ბანაკში. დავდიოდით მდინარეზე და ვბანაობდით. მე მოშირიჩა თვალი და ასახვევს აღარ ვატარებდი. გოგისაც მოურჩა ზელი. მურთაზი არაფერს არ ხატავდა თუმცა აპირებდა აქ მუშაობას.

— რატომ არ ხატავ? — შევეკითხე ერთხელ.

— რა ვიცი...

მან მართლაც არ იცოდა. მე ვატყობდი, რომ ვერ იყო ხასიათზე; ლაპარაკის ხალისი სრულებით აღარ ჰქონდა. ის არასოდეს არ იყო დიდი მოსაუბრე, მაგრამ ხმას აღარ იღებდა. მურმანი და თინა თითქმის სულ ერთად იყვნენ. ისინი, რაღაც ისე მოულოდნელად დაახლოვდნენ, რომ ვერც-კი შევამჩნიე, როდის დაიწყო ეს პირველად. ერთად დასეირნობდნენ, ჩადიოდნენ სოფელში, მერე ნელა, საუბრით გართულები ამოდდიოდნენ იქედან. განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ. რა ჰქონდა მურმანს ამდენი სალაპარაკო თინასთან, ვერაფრით ვერ გამეგო. მურთაზი არასოდეს არ ელაპარაკებოდა თინას ამდენს. ერთხელ მე და მურთაზი მდინარის პირას, ლოდიანზე ვიჯექით. ჩამოიარეს მურმანმა და თინამ და თინამ დაიძახა:

— წამოდი, მურთაზ, მეავე წაიღებ!

— არ მინდა...

ისინი წავიდნენ. როცა ჩადიებდა დიოდნენ, მურმანმა მკლავზე წაავლო ზელი თინას.

— რატომ არ წაყევი? — შევეკითხე მე მურთაზს.

— არ მინდა...

— რატომ, რა მოხდა?

— რა უნდა მომხდარიყო? არც არაფერი ყოფილა, არც არაფერი მომხდარა.

მეორე დღეს მურთაზი, როსტომი, გოგი და ომარი წავიდნენ სადაზვერკო იერიშზე. ამით დაიწყო სერიოზული მზადება ნამდვილი იერიშისათვის იმ უსახელო მწვერვალზე, რომლის აღებასაც ჩვენ ვაპირებდით. ეს ძნელი მწვერვალი ჯერ კიდევ აუღებელი იყო და ჩვენ გვინდოდა პირველები აესულიყავით მასზე. სანამ უშუალოდ უსახელო მწვერვალის შტურმს დაიწყებდით, საჭირო იყო წინასწარ დაგვედგინა სავარაუდო გზები. და აი, დილაადრიან მე და ანდრო ვაცილებთ ბიჭებს. ჩვენ ვუყურებთ, როგორ მიდიან ისინი მძიმე ზურგჩანთებით დატვირთულები აღმართზე. მიდიან ნელა, თანაბარი რიტმით, ჯერ კიდევ ისმის მათი ფეხსაცმელების ქაბანი ქვებზე, მერე ისინი ფერდობის ბოლოში არიან და სულ მალე აღარ ჩანან. მე და ანდრო ცარიელ ზურგჩანთებს ვიღებთ და სოფელში მივდივართ, სადაც ცოტა სურსათი გვინდა ვიყიდოთ.

— მოდი გავიქცეთ, — მეუბნება ანდრო — ეს ვარჯიშისათვის კარგია.

ჩვენ გავრბივართ. სოფლამდე ათი კილომეტრია. ჩვენ სირბილით მივყვებით შარავზას. მოღრუბლული დღეა. ჩვენ დადხანს მივრბივართ ერთმანეთის გვერდით მთლიანად ოფლში გაწურულები. მე ვერძნობ, რომ საცაა დავეცე-მი, მეტს ველარ შევძლებ, დიდი-დიდი, კიდევ ორმოცდაათი ნაბიჯი, და ვუყურებ ანდროს, რომელიც იმავე ტემპში აგრძელებს სირბილს და აი, ამ წინასწარ ჩათქმული ორმოცდაათი ნაბიჯის შემდეგ, მე აღარ შემიძლია მეტი, ვუკლებ

ტემსს, თანდათან ვრჩები ანდროს მაგრამ ინერციით ისევ ვაგრძელებ მოძრაობას და, ჩემდა გასაკვირად, არ ვეცემი, ისევ მივგრბივარ, ვეწევი ანდროს და მინდა ვიცოდე, რას ფიქრობს ის, ნეტა იმასაც ჩემსავით უჭირს, თუ არა. მე ისევ მივგრბივარ, ანდრო კოტათი უკან მრჩება, იქნებ დაიღალა, მაგრამ მე ხმას არ ვიღებ და არც უკან ვიხედები, თუ მეტი არ შეუძლია, დამიძახოს და გაეჩერდები, მაგრამ არა, მესმის ფეხის ხმა, ის ისევ მეწევა, ახლა ერთად გავგრბივართ და ბოლოს სოფელიც გამოჩნდა.

— გვეყოფა, — ამბობს ანდრო.

ჩვენ ვჩერდებით, მძიმედ ვსუნთქავთ და ნაბიჯით ვაგრძელებთ გზას.

იმ დღეს, რაც გვინდოდა, ყველაფერი ვიყიდეთ სოფელში. ვიყიდეთ ახალი ხორცი. სასაკლავო მდინარის გვერდით იყო. მე და ანდრო ვიდევით და ვუყუარებდით, როგორ ექაჩებოდნენ ყასბები დასაკლავად განწირულ მოზვერს. მოზვერი წინა ფეხებით ებჯინებოდა მიწას და არაფრით არ უნდოდა შენობაში შესვლა.

— გრძნობს, რომ უნდა დაკლან, — ვთქვი მე.

ანდრო ჩუმად იყო.

— ვინ იცის, რას განიცდის, როგორ იტანჯება.

— არ იტანჯება. მაგას ინსტინქტი ამოძრავებს, რაც ელის არა აქვს გააზრებული, — თქვა ანდრომ.

— ვინ იცის? იქნებ ინსტინქტი მის ცნობიერებასთან არის დაკავშირებული და ახლა ყველაფერი ნათლად აქვს წარმოდგენილი.

მერე ჩვენ წამოვედით. აღარ ვუყუარეთ მშვენიერი ცხოველის დასასრულს. ჩვენ გადავედით ნაძვის მორებისაგან გაკეთებულ ხიდზე და გზას გავყევით.

გზა აფორიაქებულ მთის მდინარეს მისდევდა სათავისაკენ. ჩვენ მავდიოდით ჩუმად, ხმისამოუღებლად. დამამდა. თეთრი მწვერვალების თავზე ამოვიდა სავსე მთვარე და ნაზი, საიდუმლო შექით გაანათა გარინდებული მიდამო. ზღაპრული ღამე იყო. მთვარე

ანათებდა შორეულ მთებს, მდინარეს, ტყიან ფერდობებს მდინარის ნაპირს. ისრებივით მალა ავრჩილ, წვეტიან ნაძვები გაუნძრევლად იდგნენ. მე მომავონდა, რომ ყოველივე ეს არ იქნება მულამ, რომ მე აღარ ვიქნები და აღარ მექნება კავშირი ყოველივე ამასთან, რასაც ვხედავ, რაც ასე ძალიან მიყვარს. მერე გზა ზემოთ ავიდა და მდინარის შესული შეწყდა. ჩამოვარდა სიჩუმე.

— კარგი ღამეა, — თქვა ანდრომ.

— ასეთი ღამეები იქნება, ყველაფერი იქნება, ჩვენ-კი აღარ ვიქნებით, — ვთქვი მე.

ანდრომ ხმა არ გამოცა.

— არ გეშინია სიკვდილის? — შევეკითხე მე.

— არა, — თქვა ანდრომ.

— მე გეშინია...

— სისულელეა. რა არის სიკვდილი? აღარა ხარ, როგორც არ იყავი დაბადებამდე და ეს სრულებით არ გაწუხებს, როგორც არ გაწუხებდა სანამ დაბადებოდი. მე მხოლოდ ტანჯვის, ტკივილის გეშინია.

— ნეტა რისთვის არსებობს ტანჯვა, ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ არსებობდეს სიხარული და ბედნიერება?

— შეიძლება მაგისათვისაც...

მეორე დღეს მე, ანდრო და მურმანი გავედით უსახელო მწვერვალის მეზობელ პატარა მწვერვალზე. ეს იყო სავარჯიშო ასვლა. გარდა ამისა, აქედან უნდა დაგვენახა ჩვენი მომავალი მარშრუტი. თინა არ წამოვიდა, რადგან ვერ გრძნობდა კარგად თავს, სანამ მე და ანდრო ზურგჩანთებს ვტენიდი, თინა მურმანს ეხმარებოდა ბარგის ჩალაგებაში. ისინი თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, მაგრამ მე მაინც მოვკარი ყური მათი საუბრის ნაწილს.

— ხვალ საღამოს აქ ვიქნები, — ეუბნებოდა მურმანი თინას.

— როგორ? ვერ მოასწრებ... — მორცხვად იღიმებოდა თინა.

— შენ რა გინდა? მე პირობას გაძ-

ლევ, რომ ხვალ საღამოს ჩამოვალ, მელოდე.

— კარგი, ხილთან დაგიციდი.

მერე ჩვენ წავედით. მთელი დღე ხმის-ამოუღებლად ვიარეთ საკმაოდ სწრაფი ტემპით და მზის ჩასვლამდე მივალწვიეთ მყინვარს.

ასე სწრაფად ჩვენ არასოდეს არ დავდიოდით ხოლმე და მე გამივივრდა, რა მოუვიდა ანდროს, მაგრამ მერე მივხვდი რომ მას მურმანის გამოცდა უნდოდა. მურმანმა გამოცდა მშვენივრად ჩააბარა. ძალიან ყოჩაღად იარა, რაც მე რატომღაც არ გამიხარდა. საღამოს, როცა ჩვენ გავშალეთ კარავი და ვახშმის მომზადებას შევეუდექით, მურმანს არ ეტყობოდა დაღლილობა. წავიდა, მოიტანა წყალი და ცეცხლთან ყველაზე მეტს ფუსფუსებდა. თქმა არ უნდა, ის ყოჩაღი ბიჭი იყო და იმედი გამიცრუვდა, რომ ვერ გამოვიპირე სისუსტეში. მერე ჩვენ დავიძინეთ და დილით ძალიან ადრე ავდექით. ზურგჩანთები კარავში დაეტოვეთ. ჯიბეებში ჩავიწყეთ ორცხობილა, კამფეტები და რამდენიმე კონსერვი, ანდრომ გადაიკიდა თოფი. ავიღეთ წერაყინები და შევეუდექით გზას. ძალიან ციოდა, მაგრამ სიარულში გავთბით. თოვლი სასიამოვნოდ ჰრავუნობდა ფეხქვეშ. წინ ანდრო მიდიოდა. მერე მე, ყველაზე ბოლოს კი მურმანი. ჩვენ სწრაფად გავიარეთ ყინვარი და როცა ვათენდა, ვიწრო კულუარს შევეუდექით. ალაგ-ალაგ ანდრო წერაყინით ჰრდიდა საფეხურებს, მერე კი ღრმა თოვლში ვადევდით და საფეხურების ჰრა აღარ იყო საპირო. ჩვენ აჭკრით კულუარი და კონტრაფორსზე გავედით. უცბად მურმანი დაიშანჭა და დაჯდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ანდრომ.

— ფეხი დამეკიმა.

ჩვენ გავხადეთ მას ფეხსაცმელი და დავეწყეთ ფეხის დაზღვევა, მაგრამ არაფერმა არ უშველა. მაინც ტკიოდა. მაშინ გადავწყვიტეთ უკან დაბრუნება.

— მარტო წავალ, არა მიშავს — თქვა მურმანმა.

ჩვენ ძალიან გული გეწუღებოდა, რომ ამოდენა სიმაღლე უნდა დაგვეკარგა. მაგრამ მართლა მარტო ხომ არ გავუშვებდით. ჩავებით თოკში. პირველი მე დავეშვი. მერე მურმანი, მერე ანდრო. მზე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა ყინვარამდე ჩავალწვიეთ. აქედან მოჩანდა ჩვენი კარავი.

— ახლა მარტო წადი, არა გიშავს, — უთხრა ანდრომ.

მურმანი კოჭლობით წავიდა კარვისაკენ. იმის გამო, რომ ამდენი დრო დავკარგეთ. საქმე გართულდა. მწვერვალზე ასვლას, რა თქმა უნდა, მოვასწრებდით, მაგრამ ჩამოსვლის საქმე იყო საეჭვო. მე სულ მიწოდოდა საძილე ტომრის გარეშე გამეთია ღამე, სადმე კლდეზე. ჩემი ეჭვები ანდროს გავუხიარე. იქნებ ჯობდა, მეორე დღისთვის გადავგედო იერაში? იქნებ მურმანსაც მოუტრჩეს ფეხი და წამოვიდეს?

— ნუ გეშინია, მოვასწრებთ, — თქვა ანდრომ.

ანდრო უდიდესი ოპტიმისტი იყო და ყოველთვის ნათელ ფერებში ეხატებოდა მომავალი. მე არ მიწოდოდა მას დაცინვით შემოეხედა ჩემთვის და ეფიქრა, რომ ვყოყმანობ.

— კარგი, წავიდეთ, — დავთანხმდი მე.

ის გზა, რომელიც დილით გავიარეთ, არ გაგვირგებია, რადგან უკვე გაკვალული იყო. ამინდი კარგი იყო და ამიტომ არც მერე გაგვირგებია სიარული. როცა მთაში ვარ ათას რაღაცაზე ვფიქრობ ხოლმე. ვფიქრობ იმათზე, ვინც მიყვარს, ჩმაზე, რაც მიყვარს. ახლაც ტკბილი ოცნებებით ვიყავი გართული და თითქმის ვერც კი შევამჩნიე როდის ავედით მწვერვალზე.

— მოვედით, — თქვა ანდრომ.

მე რატომღაც მეგონა, რომ მწვერვალი უფრო შორს იყო. ახლაც რომელიღაც ქედის ზემოთ იდგა და დიდებული სანახაობა იშლებოდა ჩვენს

თვალწინ. ეს იყო სულ სხვა სამყარო, ჩუმი, გარინდებული და საიდუმლო. რამდენჯერ დამინახია ყოველივე ეს, მაგრამ ახლაც მედიდურობა და სიმძლავრე მთებისა ისევე მძაფრად განვიცადე, როგორც პირველად და მაინც ის მთა, რომელიც ახლა დავიბყარით, იყო ჩვეულებრივი და უბრალო რაღაც. მხოლოდ ქვების გროვა ეყარა ჩვენს ფეხქვეშ. შორს კი მოჩანდა უსახელო მწვერვალი, მიწხიდიველი, უცნობი და მიუკარებელი. იქ ჯერ არავის დაუდგამს ფეხი. ჩვენ დიდხანს ვიდექით და ვუყურებდით მთებს. მერე ქარმა დაუბერა და მხოლოდ ამან გვაგრძნობინა, რომ რაღაც დრო გავიდა.

— წავიდეთ, — თქვა ანდრომ.

ვიგრძენი, როგორ გამოვეყავი სინუშეს, რომლის ნაწილი ვიყავი ამდენხანს. ჩვენ სწრაფად დავიწყეთ დაშვება. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მოვრბოდით, ან მოვსრიალებდით თოვლზე, მაინც მოულოდნელად დაგვალამდა.

— თუ გინდა აქ გავთიოთ. — თქვა ანდრომ, მაგრამ მე ისე მინდოდა სითბო, ისე მინდოდა გემრიელად მოსვენება, რომ მზად ვიყავი კიდევ მომეთმინა ეს წვალუბა. შუალამისას ძლივს ჩამოვალწიეთ მყინვარზე და დავიწყეთ ყვირილი:

— მურმან, მურმან!

მაგრამ ხმას არავინ გვემღა და როგორც კი წყდებოდა ჩვენი ხმა, საოცარი სიმატროვე ისადგურებდა ირგვლივ. როგორც იქნა, ვიპოვეთ კარავი. შიგ არავინ იყო.

— ბიჭოს? სად წავიდა? — გაუკვირდა ანდროს.

მე ექვმა გამკრა გულში, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი მუხარებოდა. საშინლად მშოიდა... გაყინული ხელებით ავანთეთ პრიმუსი. ქვაბში წვნიანი აღმოჩნდა. რომელიც ალბათ მურმანმა მოაშხადა ჩვენთვის. ჩვენ სასწრაფოდ მიუჯექით ცეცხლს და თითქმის მთლიანად ამოვხვრიბეთ ერთი ქვაბი, მერე

კომპოტი დავაყოლეთ და ცოტათი შრვედით ხასიათზე. ანდრო კარავში შეძვრა და საძილე ტომრებზე გაშლას შეუდგა. მერე ისევ გამოძვრა და ქალაქის ნაგლეჯი გამოიტანა, რომელიც პრიმუსის შუქზე წავიკითხეთ. ეს მურმანის წერილი იყო. სადაც ეწერა, რომ საქმელი მოგვიმზადა და შუადღეზე დაეშვა ქვემოთ. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და ხმა არ ამოგვიღია. ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ შეიძლება მთაში წასულ ამხანაგებს არ დაუცადო. მერე ჩვენ დავექით და დავიძინეთ.

მეორე დღეს მე და ანდრო დავბრუნდით ბანაკში. ჩვენი ბიჭები ბანაკში დავგვხდნენ. ისინი ახალი ჩამოსულები იყვნენ მთიდან, დალილები და გაოფლილები. ჩვენ სიხარულით გადავხვებით და გადავკოცნეთ ერთმანეთი. თითქოს დიდი ხანია არ გვენახა. მურთაზი უხალისოდ იყო და კარავში იწვა. „მგონი, გაცივდა“ — თქვა როსტომმა.

— რა მოგივიდა? — შევეკითხეთ მურთაზს და გვერდით მივუწექი.

— არაფერი, მგონი, გაცივდი...

— როგორ იარეთ?

— კარგად. თქვენ?

— კარგად.

— იმ მურმანმა ფეხი იტყინა?

მურმანი ისევ კოჭლობით დადის, მაგრამ მე და ანდრო მას ჯერ არაფერს ვეუბნებით. მე ვერიდები მასთან ლაპარაკს. ვგრძნობ, რომ სხვებიც ამრეხილები არიან. ბიჭები მდინარეზე ბანაობენ, წვერს იპარსავენ და ტანსაცმელს იცვლიან. ეს, რა სასიამოვნოა ზოგჯერ სუფთა ტანსაცმელის ჩაცმა, რამდენს ნიშნავს ეს პატარა წვრილმანი, როგორ გიცვლის განწყობილებას, ბანაობისა და ვაპარსვის შემდეგ. კმაყოფილი და ბედნიერი ვწვეარ ბაღში და განუზომლად მიხარია, რომ მთებში ვარ ჩემს მეგობრებთან ერთად და არა სადმე სხვა ადგილას, მიხარია,

რომ მზადდება სადილი. სადილს მურ-
მანი და თინა ამზადებენ.

სალამოს ყველანი ერთად ვიკრიბე-
ბით და ვლაპარაკობთ მომავალ იერიშ-
ზე, ვირჩევთ გზებს, პირველად როს-
ტომი იღებს სიტყვას. ის ამბობს:

— ჩემმა ჭგუფმა ძალიან კარგად
იარა. შუადღის პირველ საათზე ავი-
ღეთ მწვერვალი და ექვსზე უკვე ბა-
ნაკში ვიყავით. მოკლედ, ძმაო, ყვე-
ლანი კარგ ფორმაში არიან. მურთაზმა
ძალიან კარგად იარა. მაგრამ უხალი-
სოდ იყო, ეტყობა, გაცივდა...

— გაცივდა, — ამბობს ომარი.

— ხო, — აგრძელებს როსტომი, —
უსახელო მწვერვალი კარგად ჩანდა.
მოკლედ, ძმაო, ჩემი აზრი ასეთია. რო-
გორც კი მურთაზი მორჩება, ეგ შეძ-
ლებს სიარულს. იერიში უნდა დავი-
წყოთ მარჯვენა კონტრფორსიდან, რო-
მელიც ყინვიდან იწყება. უნდა ავჭ-
რათ ყინულის კედელი და გავიღეთ
ქედზე, მერე დავიწყოთ ტრავერსი პირ-
დაპირ მწვერვალამდე.

— უშუალოდ, მწვერვალთან ორი
მეტად ძნელი ქანდარმი ჩანს, რომლებ-
საც გვერდი უნდა აუუაროთ, თორემ
ბევრ დროს წაგვართმევს. მე მგონი,
არის ვასასვლელი... — ამბობს გოგი.

— კი, არის, — აგრძელებს როსტო-
მი — მოკლედ, ძმაო, ჩვენი საქმე ასეა
თქვენი არ ვიცი...

— ჩვენი საქმე შემდგენაირად არი,
— იწყებს ლაპარაკს ანდრო, — ჭგუფ-
ში ფაქტიურად ორი კაცი დავრჩით.
თინამ ვერ შეძლო წამოსვლა: მურმანმა
ფეხი იტყინა. გარდა ამისა, მან ველარ
გასძლო ჩვენს დაბრუნებამდე და უკი-
თხავად დაბრუნდა ქვემოთ, ასე რომ
საკითხი გადაწყვეტილია, ჩვენ ორნი
კარგ ფორმაში ვართ. ეს ორნი კი არ
წამოვლენ იერიშზე.

— როგორ, მე არ წამიყვანთ? —
წამოხტა უცებ მურმანი.

— რა თქმა უნდა, არა, — მშვიდად
უბასუხა ანდრომ.

— რატომ?

— ფეხი?

— ფეხი მომირჩება.

— მე ვერ ვენდობი კაცს, რომელ-
საც შეუძლია ამხანაგებზე ფერტუფის და
ყოველგვარი საჭიროების ვარჯიშე ქვე-
მოთ გაიქცეს.

— როსტომ, თქვი რამე! — მიუბ-
რუნდა მას მურმანი.

— რა ვთქვა, სწორს გეუბნება...

ყველამ ერთმანეთს გადავხედეთ.
მურმანმა ხელი ჩაიჭინა.

— კარგი, თუ მე საჭირო არა ვარ,
დაეტოვებ ექსპედიციას. სეზონი ჯერ
კიდევ არ დამთავრებულა და აღმოჩნ-
დება ჭგუფი, რომელიც სიამოვნებით
ამიყვანს...

— ძალიან კარგი იქნება. ამით ჩვენ
ძალიან გავგახარებ, — თქვა გოგიმ
და ჩვენ სუყველას წაგვსკდა სიცილი.
მურმანმა დაცინვით შემოგვხედა და
წავიდა.

მეორე დღით მან და თინამ და-
ტოვეს ექსპედიცია. ეს მე დილაადრიან
გოგიმ მითხრა, როცა კარვიდან გამოვ-
ძვარი და ვარჯიში დავიწყე.

— ვერ გაამტყუნებ, ძმაო, — თქვა
გოგიმ — თუკი მათ მოეწონათ და შე-
უყვარდათ ერთმანეთი, არავის ბრალი
არ არი, რას იზამ?

— ხო, მაგრამ...

მურთაზი ისევ კარავში იწვა. ის იწ-
ვა ისევ საძილე ტომარაში გახვეული,
არც წვერი გაუბარსავს, არც კუჭუყიანი
ტანსაცმელი გამოუცვლია. ტანსაცმი-
ანად იწვა საძილე ტომარაში.

— ახლა როგორა ხარ? — შევეკითხე
მე.

— არა უშავს.

მერე ჩვენ ცოტა ხანს ამინდზე ვი-
ლაპარაკეთ.

— ხო, წამოხვალ უსახელო მწვერ-
ვალზე?

— აბა, რა, — გაიცინა მურთაზმა —
კი არ ვკვდები.

მერე მე ისევ ვეკითხები:

— რატომ არ ხატავ?

— რა ვიცი, ზალაც ვერ ჩავმყუდ-
როვდი...

— კარგია, როცა რაღაცას ქმნი. მაგაზე კარგი არაფერი არ არი.

— ნამდვილად...

— ნეტა როგორ ცხოვრობს ის ხალხი, ვისაც შემოქმედებითი შრომა არა აქვს?

— თუ კაცი კაცად ვარგა, იმის შრომა ყოველთვის შემოქმედებაა.

— ხატე, მურთაზ... ასე აჯობებს.

მურთაზი თავს მიქნევს ღიმილით. მე მესმის მისი მდგომარეობა და გულწრფელად მინდა ხატოს, რომ ამას გადააყოლოს გული. იმ საღამოს ომარი ძალიან სასაცილოდ ყვებოდა თავისი ძველი სიყვარულის ამბავს, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენ, ყველანი ვიცინოდით. ორი დღის შემდეგ მურთაზი კარგად გახდა.

დადგა იერიშზე გასვლის დღე. დილაადრიან ცხენებს ავიდეთ მთელი ბარგი და გავუშვიტ წინ. ჩვენ მსუბუქად ჩაცმულები გავყევით აღმართს, მდინარის სათავესკენ. ხელში მხოლოდ წერაყინები გვეჭირა. ანათებდა კაშკაშა მზე და თვალისმომკრელად ბრწყინავდა მწვერვალები. მერე ტყე გათავდა და ფერდობზე გავედით. შორს, ხეობის ბოლოს, დანისილული ქედი მოჩანდა. მერე ბილიკი სადღაც დაიკარგა და მორენები დაიწყო. ქვემოთ, თეთრ, ვიწრო ზოლად მოჩანდა მდინარე და აღარ ისმოდა მისი ყურისწამლები ხმაური. სუყველანი ხალისით და სიხარულით ვიყავით აღსავსენი. ცხენებს მოვხსენით ტვირთი და თავის პატრონებიანად გავუშვიტ ქვემოთ. ცოტა ხანს კიდევ გვესმოდა ცხენების ფეხის ხმა, მერე კი სულ მარტონი დავრჩით. აქედან უნდა შევდგომოდით აღმართს. ჩვენ ზემოთ მოჩანდა უზარმაზარი, უცნობი მწვერვალი. მოვწიეთ უკანასკნელი პაპიროსები, მოვიკიდეთ მძიმე ზურგჩანთები და დაიწყო გრძელი, მომქანცველი გზა.

ჩვენ გადავსერეთ ნაპრალებით დასერილი პლატო და შუადღისას კე-

დელს მივადექით. იმ დღეს იქ დავრჩით, კედლის ძირას გავათიეთ ღამე. მეორე დღით, ყველაზე ადრე მეგამოძვერი კარვიდან. კედელი მომწვანაწო, მოყავისფროდ ჩანდა. იყო სიჩუმე. მერე სადღაც მოწყდა ზვავი და გაისმა მისი ბათქი. მე შესმოდა ჩემი ამხანაგების ხმა, რომლებიც იცვამდნენ, ეკიციინებოდნენ ერთმანეთს, მერე კი, ერთიმეორის მიყოლებით, ყველანი გამოვიდნენ გარეთ. მზე ჯერ არ ამოსულიყო და ციოდა. ჩვენ სწრაფად ვისაუზმეთ, ავკეცეთ კარვები, მოვიკიდეთ ზურგჩანთები და გავუდექით გზას... ახლა თოკებში ვიყავით ჩაბმულნი, ორ ჯგუფად გაყოფილნი. წინ როსტომი, ომარი და გოგი მიდიოდნენ. მეორე თოკში ანდრო, მურთაზი და მე. ჩვენ გვერდი ავუარეთ ყინულის სერაკებს და კლდეზე გავედით. ცაზე თხელი ღრუბლები, ცირუსები იყო გაშლილი, რაც ცუდი ამინდის მომასწავებელია. ერთი საათის განმავლობაში ჩვენ საკმაოდ სწრაფად გავიარეთ დიდი მონაკვეთი და შემდეგ თითქმის ვერტიკალურ კედელს მივადექით. სწორედ ამ დროს თოვა დაიწყო. პირველი, როსტომის ჯგუფი გავიდა. ისინი ნელა მიცოცავდნენ ზემოთ. წინ როსტომი მიძვრებოდა. დროდადრო მესმოდა ჩაქუჩის ხმა, როცა ის პალის ასობდა კლდეში, მერე ჩვენ მივყვებოდით ზოლზე მათ უკან. არავინ არ იღებდა ხმას. შუადღისას ყველანი გავედით პატარა ბაქანზე, საღაც თავისუფლად შეიძლებოდა დაჭდომა. მე ვიჭექე კლდეზე, ფეხები სიცილიერეში მქონდა გაშვერილი, ქვემოთ მოჩანდა ერთმანეთში არეული ღრუბლების ზღვა და არც კი მჯეროდა, რომ იმ ღრუბლების ქვემოთ იყო სითბო და სიმწვანე, უზრუნველი და მშვიდი ცხოვრება.

ამის შემდეგ წინ ჩვენ გავედით. პირველი, მურთაზი გავუშვიტ, რადგან ის ჩვენ შორის ყველაზე კარგად მუშაობდა კლდეზე. მე ვუყურებდი, როგორ სწრაფად მიცოცავდა მურთაზი

მალა, ისე მსუბუქად, თითქოს თოკით ეწეოდნენ ზემოდან. ის უზურგჩანთოდ მიდიოდა, რომ უფრო თავისუფლად ყოფილიყო. მისი ზურგჩანთა ხან ანდროს მიჰქონდა, ხან მე. ჩვენ თოკის დახმარებით მივეცოცავდით, რომელსაც მალა გასული მურთაზი პალოში უყრიდა და მერე ქვემოთ უშვებდა. ჩვენ გზას დანარჩენები მოყვებოდნენ. მურთაზი ხელით სინჯავდა ყოველ საბჭენს, ყოველ ლოდს, რომ შეემოწმებინა მათი საიმედობა, მერე კატასავით მოქნილად მიძვრებოდა, იკლანებოდა იქამდე, სანამ თოკი უშვებდა, რომლითაც ანდროსთან იყო გადაბმული, მერე ჩაქუჩით ასობდა პალოს კლდის ბზარში და ყვიროდა:

— მზად არი, წამოდი!

ანდრო ნელა მიძვრებოდა, რადგან ორი ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული, ჩერდებოდა იქ, სადაც მურთაზი იდგა და ხელს აქნევდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ უკვე შეიძლებოდა ასვლა. მთელი დღის განმავლობაში ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ჩვენ შეუპოვრად მივიწევდით წინ. უკვე ბნელდებოდა და ჭერ არსად ჩანდა კარვის დასადგმელი ადგილი.

— როგორმე კონტრაფორსის თავზე უნდა გავიდეთ! — გადაწყვიტა ანდროსი.

უქანასკნელი მონაკვეთი ძალიან ძნელი იყო. მურთაზმა რამდენიმეჯერ სცადა გასულიყო იმ ქიმთან, საიდანაც მერე ადვილი უნდა ყოფილიყო კლდის ბოლოში გასვლა. მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა. ის ორჯერ დაცურდა და ხელები გადაიტყავა. მერე, რიგრიგობით, მე და ანდროსაც ვცადეთ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მივწვდით ქიმს.

— თქვენ გვერდზე ვადით, ახლა ჩვენ ვცდით, — დაგვიძახა ქვემოდან როსტომმა.

ცოტა ხნის მერე იმათ შეუტიეს კლდეს. როსტომმა თავისი ზურგჩანთა ომარს დაუტოვა და მიადგა კლდეს.

მან ცალი ხელი ბზარს ჩაავლო, ბიწია ცალ ხელზე, ფეხები მოპირდაპირე კედელს მიაბჯინა, ზურგით აცოცდა კლდეზე, მეორე ხელით მისწვდა ქიმს და ჩამოეკიდა, ახლა მისი ფეხები სიცარიელეში ქანაობდნენ, მერე თავისუფალი ხელით ჭიბიდან პალო ამოიღო და ჩაასო ნაბზარში, იმავე ხელით დაუწყო პალოს გამაგრება კისერზე წვრილი თოკით ჩამოკიდებული ჩაქუჩით, ახლა საჭირო იყო მთავარი თოკის გაყრა პალოში, მაგრამ სწორედ ამ დროს ველარ გაუძლო, ხელი გაუშვა და მოწყდა. ომარი თოკით იჭერდა მას და ამიტომ დროზე შეამაგრა. როსტომმა ხელები გადაიტყავა და შეიგინა.

— არა ღირს, სხვა გზა ვეძიოთ, — თქვა ომარმა.

— ეს ერთადერთი გზაა, — თქვა როსტომმა და ხელშეორედ დაიწყო ყველაფრის გაკეთება თავიდან. მეორე ცდაზე მას გაუმართლდა და ქიმზე ავიდა. მე აღფრთოვანებით ვუყურებდი როსტომს, როცა ის იდგა კლდის თავზე ძლიერი, მხნე და ენერგიული და თოკით იცავდა გოგის, რომელიც ქვემოდან მოდიოდა. მერე ომარი გავიდა. მას ორი ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული. უქანასკნელ წუთს ფეხი დაუსრიალდა, ზურგჩანთამ გადასცადა, თავი ველარ შეიმაგრა და გაფრინდა ქვემოთ. თოკმა ხუთი მეტრის მერე დაიჭირა, ის ძლიერად შეეჯახა კლდეს და პაერში აყირავდა. ახლა აყირავებული ეკიდა კლდეზე. ჩვენ სწრაფად გავედით წინ რა ნელ-ნელა ამოვათრიეთ ომარი ზემოთ. ომარი ფერწასული იყო და იმანუებოდა.

— რამე ხომ არ იტყინე?

— ხელი.

ჩვენ მოვხსენით მას ზურგჩანთები და მკლავი თოვლით დაუზილეთ. მხარი ამოგდებული ჰქონდა და ძალიან ტკიოდა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან არასასიამოვნო იყო.

იმ დამეს, როცა ჩვენ, როგორც იქნა, გავიარეთ ეს კონტრაფორსი და ეან-

დარმის ძირში, მოფარებულ ადგილას გავშალეთ კარავი, ანდრომ გადაწყვიტა, რომ ომარი მეორე დღეს ძირს დაშვებულყო. სწორედ ამ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიჯექით, გრძელი კულუარი ჩადიოდა ყინვარისკენ. აქედან შეიძლებოდა შედარებით უხიფათო დაშვება, მერე კი, როცა ქედზე გავიდოდით, ეს შეუძლებელი იქნებოდა.

— ვინ წაყვება? — იკითხა ანდრომ.

— მე წაყვები, — თქვა როსტომმა დაუყოვნებლივ.

მე არაფრით არ მეგონა, თუ როსტომი თავისი ნებით იტყოდა უარს იერიშის გაგრძელებაზე. ასეთი ძნელი მარშრუტები მას ძალიან უყვარს. ეს მისი სტილია, მე უკვე წარმოდგენილი მქონდა, როცა მწვერვალიდან გამარჯვებულები დავბრუნდებოდით, როგორი მშვიდი, აგდებული ტონით დაიწყებდა იგი იმ სიძნელების მოგონებას, რომელიც აქ განვიცადეთ, მაგრამ — ფაქტი ფაქტია.

მეორე დღით ომარი და როსტომი ძირს დაემშენნ. ისინი თოკში ჩაებნენ და წინ ომარი წავიდა; უკან კი როსტომი. როსტომი თოვლში ჩასობილი წერაყინით, რომელზედაც თოკი შემოაბნია, იცავდა მეგობარს მოსალოდნელი დაცურებისაგან. ომარს მარჯვენა ხელი სტიოდა და ამიტომ წერაყინი მარცხენა ხელში ეჭირა. ჩვენ არ დაგვიწყია სიარული, სანამ ისინი თვალს არ მიეფარნენ. რადგან გვეშინოდა ქვები არ დაგვეგორებინა და არ მოგვეხვედრებინა მათთვის. მერე ორ თოკში ჩაგვებით და კლდოვანი ნაწილი სწრაფად გავიარეთ. წრიაპები გავიკეთეთ და ყინულის კედელს შევუდექით.

მზე ისევ არა ჩანს. ამა, როგორც იქნა, მოვათავეთ კედელი და წრიაპები ისევ მოვიხსენით. ახლა ჩვენ ვიწრო, სამართებელივით ალესილ ქედს მივყვებით, რომლის ორივე მხარეს თვალწუვდნელი უფსკრულები მოჩანს. წინ ანდრო და მურთაზი მი-

დიან ერთ თოკში ჩაბმულნი, უკან მე და გოგი. ჩვენ ზოგჯერ ოთხით გვიხდება მოძრაობა, ზოგან კი ქედზე გადამჯდარი მივცოცავთ. ამინდი კი სულ უფრო ფუჭდება. მეორე დღეს კარვიდან ველარ გამოვდივართ. გარეთ საშინელი ქარია. მთელი დღე ვზივართ კარავში ერთმანეთს მიკრულები და ვიგონებთ თერთმეტი მელოტი კაცის სახელს, გაყინული ხელებით ვწერთ ქალაღზე და ქალაღს ვწვავთ. იქნებ ამით შეიცვალოს ამინდი. მართლაც, დილაადრიან ნისლი იფანტება და მოჩანს მთელი ის გზა, რომელიც უნდა გავიაროთ მწვერვალამდე. გახარებული გამოვდივართ გარეთ, სასწრაფოდ გვეცავთ კარავს და ვიწყებთ სვლას.

— ძალიან დაგვეხმარენ მელოტები, — ამბობს გოგი, მაგრამ სულ მალე ისევ თოვას იწყებს, ირევა ნისლი, წინ აღარაფერი ჩანს და ჩვენ იძულებული ვართ უკან დავბრუნდეთ და ისევ იქ დავდგათ კარავი, სადაც გვედგა. მთელი დღე უბერავს ძლიერი ქარი და ჩვენ წარამარა გვეშინია არ აგვიგლიჯოს კარავი, რადგან თუ ეს ასე მოხდა, მაშინ დაღუბვა არ აგვედგება. მიუხედავად ჩვენი შიშისა, მაინც დარწმუნებული ვართ, რომ კარავი გაუძლებს. ხელები და ფეხები გვეყინება უმოძრაობისაგან და განუწყვეტლივ ვიხელთ. ახლა ვხედები, თუ რამდენ წვრილმანს არ ვაფასებდი ცხოვრებაში, რამდენი რამ ზდება ჩემთვის ახლა უაღრესად მნიშვნელოვანი, რაც ქვემოთ არაფრად არ მიმაჩნდა, რამდენი რამით ვყოფილვარ უკმაყოფილო, აღელვებული ისეთი რაღაცეებით, რაც ახლა საცხებით უაზრო მეჩვენება. ახლა მართლა უკეთესად ვეცნობი საკუთარ თავს და დარწმუნებული ვარ, რომ მესმის ცხოვრების აზრი. მერე ვფიქრობ იმაზე, ფიზიკური ტანჯვა უფრო ძნელი ასატანია, თუ სულიერი და უყოყმანოდ ვასკენი, რომ — ფიზიკური. რადგან ეს ასეა, გამოდის, რომ სხეული და სული ერთ-

თი განუყოფელი ნაწილია და სულის მოთხოვნები მთლიანად დამოკიდებულია სხეულისაზე. ხომ არ შეიძლება ტკივილისაგან იტანჯებოდე და ამავე დროს რამე გახარებდეს, გარდა ტკივილის შემსუბუქებისა? ხომ არ შეიძლება საშინლად გტკიოდეს კბილი და ამავე დროს გატკობდეს დიდებული მუსიკის მოსმენა? მე ახლა სულ არ მინდა ძველ თბილისზე სურათის გადაღება, მე ახლა არაფერი არ მინდა, გარდა სითბოსი... მხოლოდ სითბო მინდა და გემრიელი სადილი. გამოდის, რომ მთელი ის სულიერი ტკივილები, რომელიც ბარში მაწუხებს, მეორესხარისხოვანია და არა მთავარი, როგორც მეგონა. არაფერი არ შეედრება სხეულის ტანჯვას. ადამიანის სული სხეულზეა დამოკიდებული და მასთან ერთად კვდება. ამიტომ უნაყოფოა ტანჯვა სულისა, როცა სხეული ჯანსაღია, უაზრობაა თავის მტრევა იმაზე, რაც ჯერ არ დამდგარა, არასოდეს არ უნდა იფიქრო მომავალ სიკვდილზე, სანამ ეს წუთი თავისთავად არ მოსულა... სიკვდილის შემდეგკი აღარაფერი არ არსებობს, აღარც შენი სული, აღარც ოცნება უკვდავებაზე. მაშინ რაღა უკვდავება? მე მაგონდება ის ხალხი, რომლებიც აღარ არი, რომლებიც მე არასოდეს არ მინახავს, რომლებიც ცხოვრობდნენ სხვა დროში, სხვა ქვეყანაში, მაგრამ ისევე ახლობლებია, როგორც ჩემთვის ყველაზე საყვარელი ცოცხალი ადამიანები. ისინი უკვდავი არიან. ისინი უკვდავი არიან თავიანთი დიდი საქმეებით, დიდი სიყვარულით და შეუცნობელი სიღრმით. მათი სული არსებობს. მათი სული თავს დასტრიალებს დედამიწას განუწყვეტლივ. მაგრამ ეს ხდება მათგან დამოუკიდებლივ და იმ ტანჯვას, რომლითაც ოდესღაც იტანჯებოდნენ ისინი, არაფერი არ აკლდება. მათი სული აგრძელებს არსებობას ქვეყანაზე არა ორგანულად. უკვდავება — არაორგანული სიცოცხლეა. მე კი მინდა ნამდვილი სიცოცხლე. მე

მინდა სითბო, მე არ მინდა ყინვისა და შიმშილისაგან ვიტანჯებოდე დიდხანს, დიდხანს და მერე, ჩემი სულიერების დაუქმყოფილებლად, მოკვდებ. მე მინდა როგორმე ჩავალწიო აქედან ქვემოთ და გავთბე, გავძლე. მაგრამ მე არ მინდა მწვერვალის აულეზლად წავიდე ქვემოთ. მე მინდა მაშინ, როცა გავთბები, როცა გავძლები, თან იმის შეგნებაც მატკობდეს, რომ ჩემი საქმე მაინც გავაკეთე და სწორედ ამის შემდეგ მივალწიე ამ სითბოს და სიამოვნებას. ამისათვის მზადა ვარ კიდევ მოვითმინო წვალება.

— გინდ გამოიღაროს, გინდ არა, ხვალ მაინც დავიწყოთ იერიში, — ვამბობ მე.

— გამოიღარებს, — ამბობს ანდრო. მე შესმის, ეს მისი იმედია, რომელიც არავითარ საფუძველზე არ არის დაყარებული.

— ერთი რამ ცხადია. აქ არავინ არ გვიშველის, ისევ ჩვენ თვითონ უნდა ვუშველოთ თავს, — ამბობს გოგი.

— წავიდეთ და თუ გადარჩენა გვიწერია, გადავრჩებით, ყველაფერი ბედი, — ამბობს მურთაზი.

— არავითარი ბედი, ბედი აბსურდია, ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ ბედი, — ამბობს ანდრო.

— აბსურდია თუ რაღაც, მაინც ასეა, — ამბობს მურთაზი.

და აი, როგორც კი თენდება, ისევ გაგვივართ იერიში. ახლა ოთხივენი ერთ თოკში ვართ ჩაბმულნი. თუ გადავრჩებით, ერთად გადავრჩებით, თუ დავიღუპებით... ამაზე არ ვფიქრობთ, მე არ ვფიქრობ ამაზე. რა კარგი რამეა მოქმედება, ბრძოლა. აი დავიწყეთ მოძრაობა, და ისევ აკიაფდა იმედი. მე აღარ ვფიქრობ ზიფათზე და ვეღარ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ოთხ კაცს, ოთხ ძლიერ ნებისყოფის პიროვნებას, ერთი ვნებითა და სულისკვეთებით გაერთიანებულ, მთლიან კოლექტივს, ზიფათი შეემთხვეს. ქარი ისევ მთელი სიძლიერით უბერავს და

თოვლი მოდის. ჩვენ კი დაუსრულებლივ მივდივართ წინ, ავდივართ ერთი ქარაფიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე, მივდივართ დიდხანს, ნელ-ნელა, მოთმინებით, ველარც-კი ვამჩნევთ, როგორ შეწყდა თოვლი, გაიფანტა ნისლი, უსახელო მწვერვალი სულ ახლოს გამოჩნდა, ახლა იგი სულ არ არის ისეთი, როგორც ქვემოდან მქონდა მიჩვეული თვალი, მერე ჩვენ კიდევ მივდივართ და კლდოვანი მონაკვეთი ქედისა თავდება, ახლა ღრმა თოვლში მივაბიჯებთ უსახელო მწვერვალის კალთაზე. ანდრო ჩერდება. ყველანი ვჯდებით თოვლში და ვჭამთ ორცობილასა და უკანასკნელ თევზის კონსერვს. მერე წრიაბებს ვიკეთებთ და წასასვლელად ვემზადებით; წასვლის წინ ანდრო ამბობს:

— ამ მწვერვალს სახელი უნდა დავარქვათ!

— ხო.

— მე მაქვს კარგი სახელი მოფიქრებული, მაგრამ ახლა არ გეტყვით!

— რატომ?

— ქვემოთ გეტყვით, როცა ყველანი ერთად ვიქნებით. როსტომს და ომარსაც უნდა ვკითხოთ, ეგენიც ხომ მონაწილეობენ იერისში. როსტომი რომ იმ ქიმზე არ ასულიყო, ჩვენ ახლა აქ არ ვიქნებოდით.

— კარგი, იმათაც ვკითხოთ და მერე ერთად გადავწყვიტოთ.

ჩვენ ისევ ვაგრძელებთ გზას. თოვლი ღრმაა, თითქმის წელამდე გვწვდება. რიგრიგობით გავდივართ წინ ხან ერთი, ხან მეორე, და ვკვალავთ გზას. ახლა წინ გოგი მდის, მერე ანდრო, მერე მურთაზი, ყველაზე ბოლოს მე ვარ. მე მხოლოდ ჩემს წინ მიმავალის ნაფეხურებს დავცქერა. თავდალუნული მივდივარ. რამდენიმე ხნის მერე მალლა ვიხედები. ყინულიანი ფერდობის ბოლოს გოგი ჩერდება და ხელებს წევს მალლა, მერე მასთან მდის ანდრო, მურთაზი ნაბიჯს უჩქარებს, თოკი იჭიმება, გრანგილი, რომელიც ხელში მიჭი-

რა, გასწორდა, უკანასკნელი ხელის ამოთქმით მივიწევ წინ და მესმის ჩემი ამხანაგების ხმა:

— მწვერვალია, მოვედით!


ჩვენ ვეხვევით ერთმანეთს და ვიღიმებით. მე აქეთ-იქით ვიხედები, თითქოს ვინმეს ველოდები აქ, ამ უსახელო მწვერვალზე, სადაც ჩვენამდე არავინ არ ყოფილა. აი, ამ თოვლში პირველად იდგმება ადამიანის ფეხი და მე მიკვირს, რომ თოვლი აქაც, ისეთივე ჩვეულებრივი თოვლია, როგორც ყველგან.

როგორც ჩანს, ბედი მაინც არ გვწყალობდა. დაბრუნებისას მურთაზი თოვლით დაფარულ ნაპრაღში ჩავარდა და ფეხი გაიხლიჩა. ჩვენ ის წვალებით ამოვათრიეთ იქედან და ანდრომ ზურგზე შეისვა, რადგან სიარული არ შეეძლო. თოვლიანი ფერდობი დავტოვეთ, ზევისა გვეშინოდა და ისევ კლდეზე გავედით. სულ ახლოს იყო ყინვარი, მაგრამ ძალიან ნელა, მეტისმეტად ნელა მოვდიოდით. სწორედ ამიტომ მალე დაგვადამდა. გულის დასაწყვეტი იყო, რომ გამარჯვებულები ვბრუნდებოდით და ტანჯვა ისევ გრძელდებოდა. საჭირო იყო კარვის დადგმა. ქვემოთ მოხერხებული ადგილი ჩანდა კარვისათვის... სიბნელეში ჩვენ სწრაფად ჩავუშვით თოკი და მოვემზადეთ დასაშვებად. ანდრომ ხელთათმანები დაკარგა და ხელები ეყინებოდა. მეორე წყვილი ზურგჩანთაში ედო, მაგრამ სიბნელეში არცერთს არ გვქონდა ხელთათმანების ძებნის თავი. პირველად გოგი დაეშვა. მერე — მე და მურთაზი, რომელიც ზურგით მიმყავდა. ქვემოდან გოგი მასწავლიდა, სად დამედგა ფეხი და მეხმარებოდა. მერე არ ვიცი როგორ მოხდა ეს, არ ვიცი, გაყინული ხელებით თოკი ვერ დაამაგრა კარგად, თუ პალო ამოვარდა, მაგრამ როცა მურთაზი დავსვი და წელში გავიმართე, გავიგონე გოგის სასოწარკვეთილი, არაადამიანური ყვირილი და

თვალი მოკვარი, როგორ გადაიქროლა ჩემს თავს ზემოთ ანდრომ, დაეცა ყინულიან ფერდობზე, დასრიალდა და თვალუწვდენელ, ბნელ უფსკრულში გადაეშვა. მერე სიჩუშე ჩამოვარდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა ანდრო ვიპოვეთ და ქვემოთ გავაგზავნეთ, ჩვენ ავიყარენით და მანქანით წავედით აეროდრომისკენ. ცა იყო ღუპრჯი, კრიალა. ცის სილურჯეში თვალისმომკრელი სითეთრით კაშკაშებდნენ მწვერვალები. მათ შორის მოჩანდა უსახელო მწვერვალი. მანქანა ჯანჯლარით მიდიოდა და მე ვიყურებოდი ირგვლივ. დიდებული ტყეები, აფორი-აქებული მთის მდინარეები, ცხელი მზე, ნაზი, გამკვირვალე ღრუბლები ფერდობებზე, ყველაფერი ეს სევდას მგვრიდა, მაგრამ არ მძულდა, პირიქით, მიყვარდა. მე ვგრძნობდი, რომ მაინც მიყვარდა მთები, მათი ბრალი არ იყო ანდროს სიკვდილი. ის, რომ ანდრო დაიღუპა, იყო არა მთების ბრალი, არამედ თვითონ სიკვდილის ბრალი, რომელიც ასე მოულოდნელად მოვიდა მისთვის მთებში.

მერე მე ვუყურებდი აეროდრომის მწვეანე, ხასხასა მინდორს, რომელზედაც პატარა თვითმფრინველი დაჯდებოდა იქედან ვიღაც მხიარული, ხალისიანი ალპინისტები გადმოვიდნენ, ისევე, როგორც ჩვენ თავის დროზე. მე არ ვიცოდი რა ელოდა მათ წინ, არც თვითონ იცოდნენ ეს, მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა თავისი გზით, ყველაფერი ისევე ისე იყო, ისევე ისე ხდებოდა, არაფერი არ იყო შეცვლილი ამ უზარმაზარ ქვეყანაზე და, როდესაც მე ჩავჯექი თვითმფრინავში და თვითმფრინავი მოწყდა მიწას და ზემოდან გადაევლო მთებს, სადაც ამდენი რამ გადაშნა, მე ვიგრძენი, რომ ერთი აღამიანის სიკვდილით არ ირღვევა ჰარმონია, რომელიც სუფევს ქვეყანაზე მოვლენებსა და საგნებს შორის, ისევე როგორც რთულ მუსიკალურ ნაწარმოებში ერთი ბგერის გამოკლებით ან მომატებით მთლიანობა მაინც რჩება და თავისი გზით მიდის მელოდია, თუმცა იგი შეიძლება სევდიანათაც ქლერდეს. მე ვგრძნობდი, რომ მესმოდა ძღვევამოსილი ბუნების ეს სიმღერა, მესმოდა მისი აზრი.



აკრილ ჩაჩიბაია

„ცის ღმერთი“

მოთხრობა

დიდხანია მზე არ გამოჩენილა.

მორღობილი ცა ყორნისფრად ჩამოწოლილიყო მთებზე, გადაუღებლად წვიმდა.

ზაფხულის ცხელ დღეებში დასასვენებლად და გასართობად ჩამოსულნი, გარეთ ვერ გამოვდიოდით. ორივენი ვწუხდით ამის გამო.

სახლი, რომლის მეორე სართულზე ერთი პატარა ოთახი დავიკავეთ, ზღვის სანაპიროზე იდგა. აქედან ზღვა ხელისგულივით ჩანდა; პორიზონტზე მიღებული გემის თეთრი სილუეტი, დასალიერში კენტად დარჩენილი სეინერი, თუ ზოგჯერ ტალღებს შეთამაშებული პატარა თოლია წამიერად რომ გამოჩენილიყო, ამ ოთახიდან თვალს არ გამოეპარებოდა. ამან მოგვხიბლა და მიტომ გადავწყვიტეთ ამ სახლში გვეცხოვრა.

არც ერთს ფიქრად არ მოგვსვლია, რომ ამ სახლში ცხოვრება ჩემთვის მოუსვენრობის დასაწყისი შეიქნებოდა.

სახლი ერთ ჭკრივ ქალს ეკუთვნოდა. მას მელანო ერქვა. მეტად სათნო და კეთილი გულის ადამიანი ჩანდა. საშუალო ტანის, შეჭადრაგებული, სახეგაცრეცილი და დანადგლიანებული ჭკრივი, დილა ადრიან ფეხზე იდგა. განუწყვეტლივ ფუსფუსებდა. ხშირად მოგვაკითხავდა, ხომ არაფერი გჭირდებათო.

ხან ეზოში წითლად მოხასხასე ვარდებს დაკრეფდა და ბროლის ლარნაკში ჩაღებულს, ოთახში შემოგვიტანდა, რადიომიმღები, რომელიც ოთახში ედგა და მისთვის ერთადერთ თავშესაქცევს წარმოადგენდა, ჩვენ გამოგვიტა-

ნა — მოუსმინეთ, გეერთეთ, ახალგაზრდები ხართ და თქვენთვის უფრო საჭიროაო. შემდეგ ჭადრაკი, ნარდი და კარტიც კი შემოგვიტანა — ესეც გაგართობთ, გამოიყენეთო.

რა გვეთქმოდა მადლობის მეტი, მაგრამ მე სხვა მინდოდა: ზღვა, მზის აბაზანები, ცურვა...

შენც ამას ნატრობდი, მაგრამ უკვე მეცხრე დღე გადიოდა, რაც წვიმდა და წვიმდა.

ნატვრა და ოცნება ნესტიანი დღეების მოწყენილობაში ილეოდა.

სახლი ცინკით იყო გადახურული. კედლები, ოიენები გარედანაც თუნუქის თეთრი ფურცლებით იყო აქედილი — ხის სახლი განუწყვეტელმა წვიმამ და ზღვაურმა არ დააღბოსო. წვიმის შეფეხებს თუნუქის ფურცლებზე ტაკატაკუი გაჰქონდათ.

სადღაც, ხის კენწეროზე კენტად შემორჩენილი ყვავი დროდარდო გულისდასაწყალეზლად ჩხაოდა.

— ჰაუ, ჰაუ, — გასძახოდა მელანო. — ცეცხლი შენს პირს, ცეცხლი და ნაცარი, შე სატიალევე, შენა!

ღრუბლებით შეშავებული ცა მძიმედ დასწოლოდა მთებს.

დროდარდო ჭექა-ქუხილი მთებიდან მთებში ცის მსხვრევის ხმებად გადაიგუჭუნებდა და იყარგებოდა. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდებოდა, მინელდებოდა, მაგრამ არ წყნარდებოდა ზღვის ქშენა, არ წყდებოდა წვიმა, თითქოს სადაცაა ცაც ჩამოიქცეოდა.

— არა, ძმაო, არა! მე აქ გამჩერებელი არ ვარ, მეტის მოთმენა აღარ შე-

მიძლია... ასე შევებულეების დღეების გატარება აღარ მინდა... წავიდეთ, ძმაო, წავიდეთ აქედან! — მტკიცედ გადავწყვიტე მე. შენც დამეთანხმე და წასასვლელად მოვემზადეთ.

ამ მოწყენილობაში ჩემი ყურადღება თვითრმა „ვოლგამ“ მიიპყრო, რომელიც ყოველ ნაშუადღევს ერთსადიამავე დროს სახლის წინ ჩერდებოდა. ალბათ, ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა იყო, უსაქმურობით გამოწყვეული, სხვა არაფერი.

და აი, სახლის შემოსასვლელთან გავჩერდი. „ვოლგა“ თავის დროზე მოსრიდა. საუეს მშვენიერი ქალიშვილი უჯდა, თვალს ერთბაშად რომ მოგტაცებს, გულს რომ შეგიფართქალებს და შეგატორტმანებს. ახლაც მარტო იყო.

მან სასწრაფოდ მოიხურა ყავისფერი საწვიმარი პლაშში, ხელში რაღაც ლურჯ ქალაღში გახვეული აიღო და სახლის შემოსასვლელისაკენ სირბილით წამოვიდა.

შეცქეროდი დამაბულად. მიახლოვდებოდა, როგორც სიხალისის შემომტანი, ამ მოწყენილობის ქმს ახალი განწყობილების შექმნის მალეყებელი.

კიბის საფეხურები სწრაფად ამოირბინა. კარი ფართოდ გავუღე. ისე შემოშხედა, ვიგრძენი შემოსასვლელში არავის ელოდა. ოდნავ შემკრთალს თვალეები გავუსწორე. მადლობის ნიშნად ნაზად გამიღიმა. მეც გავუღიმე. პლაშჩის ლბილი შრიალით გამშორდა. მელანოს ოთახში შევიდა.

ადგილი არ მომიცვლია. ვუცდიდი მის გამობრუნებას, ვუცდიდი იმიტომ, რომ მინდოდა დავლაპარაკებოდი, გამოცენაურებოდი, მისი სილამაზის ცქერით ერთხელ კიდევ დავმტკბარიყავი.

ვუცდიდი დიდხანს, გულისფანცქალით, იმაზედაც ვფიქრობდი, უხეშად არაფერი გამომსვლოდა. მისთვის წყენა არ მიმეყენებინა.

მოლოდინი დიდხანს გაგრძელდა. გადავწყვიტე, საწვიმარი პლაშჩე ჩამოშე-

ტანა, გარეთ, ეზოში გავსულიყავ და იქ დავხვედროდი.

მეორე სართულზე როგორც კი შევიღდი, მელანოს ოთახის კარი ჭრიალით გაიღო. მზიარული სიცილი მომესმა. ალბათ, ის იცინოდა, იცინოდა თავშეუკავებლად, გულიანად...

პლაშჩს ხელი დავსტაცე, კიბეზე დავეშვი, რომ მისთვის მიმესწრო, მაგრამ ამაოდ. მანქანაში ჩაჯდა. მანქანა გასრიდა. სინანულმა სევდა შემომაყარა.

ეს იყო პირველი სევდა, რომელმაც გული დამიმიძია, ხოლო უცნობი ქალიშვილიც კი პირველი იყო, რომელმაც ასე გამიტაცა.

— ყმაწვილო!, ისე ჩანს, ამ ქალიშვილმა შეიძლება აქედან წასვლაზე ხელიც ავალეზინოს. ხომ მართალი ვარ? — მითხარი შენ სიცილითა და თვალის მოჭუტვით. — იქნებ ასეც მოხდეს, ვნახოთ! — წავილაპარაკე და ფიქრებში ჩავბრუდი.

...

მეცხრე დღე იწურებოდა. ჩვენ ისევ ოთახში ვიყავით გამოკეტილნი. წვიმა, მომაბერებლად. ქალაქში არავის ვიცნობდით. ამის გამო შენც წუხდი და მეც. „ვოლგაც“ არ ჩანდა. უცნობი ქალიშვილის ნახვა ოცნებად მექცა.

— არა, ჩემო ძმაო, არა, აქედან უნდა წავიდეთ! — ასე ამბობდი დაქინებით, მაგრამ მე ვდუმდი.

დუმილმა მიგახვედრა, წასვლა არ მწადდა. შენც დადუმდი. თანაგრძნობამ გამახარა.

ლამე ქარი მომძლავრდა.

ტყე გულზე იმტვრევა ხეთა ტოტებს.

ჩამოქმნილ ღრუბლებში თავშებურვილი მთები სუნთქვამეკრულივით შფოთავდნენ. ზღვა ქშუოდა და ქოთქოთებდა.

თავსმა წვიმა სახლის სახურავზე, აედლებზე კვლავ საოცრად ხმაურობდა. სახლი თითქოს ირწეოდა, ჭრაჭუნობდა. ისეთი გრძნობა გვეუფლებოდა, თით-

ქოს შენობა კედლიან-სახურავიანად შიშისმომგვრელ თრთოლვას აუტანიაო.

უცებ ჩვენი ოთახის გვერდით მუსიკის ხმა გაისმა. ორივენი გავვოცდით.

ცხრა დღეა, რაც აქ ვცხოვრობთ და იმ ოთახში ძე ხორციელი არ შესულა და არც გამოსულა, ახლა კი იქიდან მუსიკის ჰანგები მოისმოდა — ნაწყვეტი რომელიღაც ქართული მელოდიიდან.

უცნაური ის იყო, რომ მელოდია მცირე პაუზის შემდეგ განუწყვეტლივ მეორდებოდა, მეორდებოდა ნელა, სიამოვნების მომგვრელად.

ვერცერთმა ვერ ავხსენით, რა ხდებოდა.

ვცადეთ კარის გაღება, ვერ გავადეთ. მივაკაკუნეთ. გვეგონა, ვინმე ხმას გავვცემდა, მაგრამ ოთახში სრული დუმილი სუფევდა, მხოლოდ ხანგამოშვებით მელოდიის უნაზესი და უტკბილესი ჰანგები თუ არღვევდა სიჩუმეს.

ამ დროს ოთახში მელანო შემოვიდა. საოცრად შეცვლილი ჩანდა. ახლა მას სახე გაბადროდა, ილიმებოდა, ხალისიანი ჩანდა.

— გესმით მუსიკა? — გვითხრა მან, — გესმით, არა? ეს იმას ნიშნავს, რომ გამოიდარებს!

შენც გაოცდი და მეც.

ვერც შენ მიხვდი, ამ მელოდიის ხმებს რა კავშირი ჰქონდა გამოდარებასთან და ვერც მე.

— ჰო, გამოიდარებს... წვიმა შეწყდება... ჰო, ჰო, დამიჯერეთ! — ამბობდა მელანო.

ორივენი დავდუმდით.

...

მელანომ კარი გააღო. ოთახში შევედით. მუსიკა კვლავ სასიამოვნოდ ელერდა.

ვხედავთ — ოთახის წინა კედელი და ფართო კარები, რომელიც ზღვას ვაპყურებდა, მინისა იყო.

კართან ახლოს ვიწრო და გრძელი კაკლის სარკიანი მაგიდა იყო დადგმული.

მაგიდაზე ეწყო მინიატურულა მონიკელებული ხისტარიანი ქაქუჩებზე. კახ-რახნები, წვრილი ხერხები, ცაქლ მხატვრულ მუსის ხელსაკიდებით, პატარა და ნაზი ჯაგრისები, ზოგი თეთრი, ზოგიც შავი.

მაგიდის კიდეზე იდო მინის გამკვირვალე დაბალი ქილები, საჭრეთელები, სახეხები, გამადიდებელი შუშები, სპირტის პატარა ჭურჭლები, ნათურები მომწვარი პატრუქებით.

მაგიდის შუაში ორი თუ სამი მინის ხუფში ელაგა საათის მექანიზმი, დაშლილ-დანაწილაკებული. ფაიფურის ოთხკუთხედში ეყარა მინანქრის ციფერბლატები, წამების და წუთების მაჩვენებელი ისრები, ზოგი ოქროსფერი, ზოგიც მუქლურჯად მშინავი. იქვე, ვერცხლისფერ რკინის ყუთში, ჩაყრილი იყო ლალისფერი ქვები, წვრილი მრგვალი და ზოგიც ბრტყელი.

მაგიდის მარჯვენა კუთხეზე დამაგრებული იყო ცერისოდენა გრდემლი, რომლის წინაწვეტი წვრილად და მსხვილად იყო ჩახვრეტილი. გვერდით იდო ვერცხლისა და ოქროს წვრილი ძაფები, ოქროსფერი ფირფიტების ნაჭრები, სადაფის ნატეხები, ნაფშხვენები.

ოთახში კვლავ გაისმა მელოდიის ტბილი ხმები.

კედელზე ეკიდა ბარომეტრი, რომლის გვერდით წითელი ხის პატარა ყუთი სარკეზე იყო მიმაგრებული. ბარომეტრს იგი თეთრი ზონარით უკავშირდებოდა, ხოლო მეორე მხარეზე ელექტროდენთან იყო ჩართული.

— ეს ჩემი მეუღლის გამოგონებაა, — აგვიხსნა მელანომ — ბარომეტრის ისარი კარგი ამინდისაკენ რომ გადაიხრება, ხის ყუთში მოთავსებული მუსიკალური ჩანაწერის ლენტი ელექტროდენით ჩაირთვება და მუსიკის ხმებს გამოსცემს. ამით გვამცნობს გამოდარებას. ამან ვინ არ გააოცა. ეჰ, ვინ არ მოდიოდა მის სანახავად!

მელანოს მეუღლე ლევანი, მესაათე ყოფილა. ყოველ მნიშვნელოვან სახალ-

ხო მოვლენის აღსანიშნავად უსათუოდ ორიგინალურ საათს გააკეთებდა, და ამით გამოხატავდა თავის აღტაცებას. ეს ახალისებდა, მის სიცოცხლეს აზრს მატებდა. ამიტომ სახალხო მესაათეს ეძახდნენ. რა სახის, რა დროის საათს არ ნახავდით მის ოთახში. მაგრამ მესაათეობა შემოსავლის წყაროდ არ გაუხდია.

„მესაათეობა ზომ პატარა საქმეა, მაგრამ ყოველ პატარა საქმეს თუ სიყვარულით მოეკიდა ადამიანი, შეიძლება დიდი მნიშვნელობის საქმედ აქციოს. ჰოდა, ჩემი პატარა ხელობით მინდა ხალხს ვემსახურო და ჩემმა შვილმაც ხალხის წარმატებას, მის სიხარულს, ისევე უპასუხოს, როგორც მე, მამამისი ვუპასუხებ“, — ზშირად იტყოდა ლევანი.

— აჰ, ეს ის ლევან ცისკარიძეა, თბილისის ათასხუთასი წლისთავისადმი მიძღვნილი ორიგინალური საათი რომ გააკეთა, არა? — თქვი შენ.

გამახსენდა: ეს ამბავი მეც წაკითხული მქონდა ვაზეთში.

— დიახ, ვაზეთში... აი, ეს ვაზეთიც — გვითხრა მელანომ და უჭრიდან ოთხად დაკეცილი ვაზეთი ამოიღო.

— ჰო, მაგრამ მერე რა? — განაგრძობდა მელანო. — მოკვდა ლევანი და მისი საქმეც მოკვდა... მისი საქმის გამგრძელებელი არავინ ჩანს. განა მამის კარგი საქმე შვილმა უკეთესად არ უნდა გააგრძელოს? საწყალ ლევანსაც ამისი იმედი ჰქონდა. ჩვენს ერთადერთ შვილს, ბაღუს, გვერდით მოისვამდა, ასწავლიდა თავის ხელობას, ასწავლიდა და არიგებდა — შვილო, გამიგონე... ყოველი პატარა საქმე შეიძლება დიდად გახადო... პატარა საქმე არ უნდა ითაკილო.

— ბაღუმ იუკადრისა მესაათეობა? — მორიდებით ვკითხე მე.

— მამის საქმეს ზურგი აქცია? — შენც დაინტერესდი.

— რა ვიცი, შვილებო, რა ვიცი.. ბაღუს ჯერ არაფერი გაუკეთებია ისეთი,

რომ მამის სახელი გააცოცხლოს... ისე კი ამბობს, აი, ნახე რა გავაკეთე... მარლაც ერთხანს ჩაუჯდა საქმეს... კეთებდა რაღაცას, აკეთებდა და მერე თბილისში წავიდა, მითხრა, გაგახარებო, მაგრამ რომ არაფერი ჩანს?

ჩვენ რა გვეთქმოდა, ბაღუს არ ვიცნობდით.

...
მეორე დღეს მართლაც იკლო წვიმამ.

დღის შუქმა სივრცე თეთრად გადახსნა. მზე გამოჩნდა. ამან ორივე გაგვახარა.

„ვოლგაც“ გამოჩნდა. ეზოში გავედი. მინდოდა უცნობ ქალიშვილს პირისპირ შევხვედროდი.

მას ახლა საწვიმარი არ ეცვა.

ის არ არის ტანწერწეტი, გედივით ყელმოღერებული. არც მყვალვით შავი თვალები აქვს, არც ყორნისფერი წარბ-წამწამები და არც მოლივლივე კულულები.

საშუალოზე ცოტა მაღალია, სახემციონარი, თამამი, ზღვისფერთვალება. თმები ბიჭურად აქვს შეკრეჭილი, აცვია მომწვანო შარვალი და ამავე ფერის მოკლე სახელოიანი შკერდგადახსნილი კოფთა. მომიახლოვდა. ერთმანეთს გაუღღღმეთ.

ვარდის ბუჩქს გადასწვდა, მოწყვიტა, დაყნოსა. წაიძლერა და კიბე სწრაფად აირბინა. კართან შედგა, შემომხედა, ისევე გამოიღმა და გაქრა.

შემომხედა-მეთქი, რომ ვამბობ, იქნებ მომეჩვენა?

გამიღმა-მეთქი, თავს რომ ვარწმუნებ, იქნებ სულაც არ გაუღიმიო?

იქნებ, იმ წუთებში მე მინდოდა ასე ყოფილიყო, ჰო, მხოლოდ მე მინდოდა, მხოლოდ ჩემი სურვილი თუ ნატვრა იყო და მეტი არაფერი, მაგრამ ზომ შეიძლება ნამდვილადაც ასე ყოფილიყო?

ამ ფიქრებით ვტკბებოდი, მაინც გულს ასე ვაჭერებდი.

ამის გამო ფეხი არზად მომიცლია. ვუცდიდი და გული რაღაც შეუცნობელ

ტკბილ თრთოლვას აეტანა.

მალე უკანვე გამობრუნდა, ილიმებო-
და, ჰო, ნამდვილად ილიმებოდა. ახლა
კი დაბეჯითებით შემეძლო მეტყვა, რომ
ეს ზმანება არ იყო. ილიმებოდა თვალე-
ბითაც, ბაგეებითაც, და თვითონაც
ტკბილ ღიმილს გავდა უდარდელსა და
უსევდოს, სულის მამებელს და ხალი-
ნის მომცემს.

— სადმე წასვლა ხომ არ გინდათ...
წაგიყვანთ! — მოულოდნელად შემომ-
თავაზა.

არ ვიცე, როგორი გამომეტყველება
შქონდა, რა ამოიკითხა ჩემს სახეზე,
კვლავ ტკბილად მითხრა, წამობრძან-
დით, წაგიყვანთ... ეს ჩემთვის სულაც
არ არის საძნელო.

იმავ წუთს სიხარულით გავყევი. უკა-
ნა სავარძელში ჩასაჯდომად მანქანის
კარი როგორც კი გავაღე, მითხრა, —
აქ, ჩემს გვერდით განა უკეთესი არ
არისო.

მის გვერდით მოვთავსდი თუ არა,
მოტორი ჩართო.

— თქვენს ამხანაგს არ დაუძახებთ? —
სასიამოვნო ხმით შემეკითხა — შელა-
ნომ მითხრა, თქვენ პირველად ხართ
ჩვენს ქალაქში, ნაცნობებიც არავინ
გყოლიათ, წვიმამ ოთახში ჩაგკეტათ...
მე დრო მაქვს და ქალაქს დაგათვალიე-
რებინებთ... გაგასეირნებთ... გინდათ?

ეს კი ჩემთვის სრულიად მოულოდ-
ნელი რამ იყო. მე ხომ მასთან მარტო
ყოფნა მინდოდა და ამიტომ შენზე
ვუთხარი სძინავს, თანაც შეუძლოდ
არის და ვერ წამოვა-მეთქი. მიმიხვდე-
ბი, ალბათ, ეს მასთან ახლოს ყოფნის
დიდი სურვილის შედეგი იყო. გამამტ-
ყუნებ?

წავსადგური...

სანაპირო...

ქალაქის გარეუბნები...

ხალისით შემომატარა მწვანე გუმ-
ბათზე (ასე ეძახდნენ ქალაქს ვადმომყუ-
რე მთის ქედს) ახლად გაყვანილი ლამ-
პიონებით დამშვენებული ფართო გზა,

მოედნები, ახალი საცხოვრებელი უბნე-
ბი.

— ჩვენს ქალაქზე და მის ადამიანებზე
შე მხოლოდ კარგი შთაბეჭდილება მინ-
და გქონდეთ! — მითხრა მან.

— ამისათვის მარტო თქვენ გაცნო-
ბაც საკმარისია.

— ნუთუ?

— გეფიცებით ყველაფერს!

გავჩუმდით.

ქუჩები ქუჩებს ცვლის.

— ძნელია იქ ყოფნა, სადაც ნაცნობ-
მეგობარი არა გყავს?

— ნამდვილად!..

— ხალხში იყო და მეგობარი არ გყავ-
დეს, ამაზე საშინელი არაფერია!

— მე ეს პირველად აქ ვიგრძენი.

— მეგობარი რომ გყავდეს, უპირვე-
ლეს ყოვლისა, შენ თვითონ უნდა იყო
სხვისი კარგი მეგობარი.

— მე მგონია, ამ ქალაქში პირველი
მეგობარი უკვე ვიპოვე!

— მაინც ვინ?

— თქვენ!

გაიღიმა. გაიღიმა ისე, რომ ჩემთვის
არც კი შემოუხედავს. იქნებ ასე იმი-
ტომ მოიქცა, რომ საჭეს მართავდა, მაგ-
რამ იქნებ არც სურდა ჩემდამი თა-
ნაგრძნობის გამოხატვა?

კვლავ სანაპიროზე მივჭროდით.

უცებ მანქანის მოტორი ჩაქრა. შეც-
ბუნდა. სცადა მოტორის ამუშავება,
მაგრამ ამაოდ. ძირს ჩავიდა. მოტორი
დაკვირვებით გასინჯა, კვლავ საჭეს
მიუჭდა. კვლავაც სცადა ამუშავება.
მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოუვიდა.
სახე აელეწა. ეტყობოდა, ვერაფერს
მიხვდა.

ახლა მე გავსინჯე მოტორი. ის ვაო-
ცებით შემომამჩერდა. ალბათ, არ ეგონა
მოტორისა თუ რამე ვიცოდე. ყველა-
ფერს რომ მოვრჩი, ვუთხარი მოტორი
ჩაერთო. მანქანა აგუგუნდა. მან ღიმი-
ლით შემომხედა.

— არ ვიცე, ღმერთმანი, მაღლობა
რით გადაგიხადოთ! — მითხრა კმაყო-
ფილმა.

— მაშინ მე რაღა მეტქმის, ჩემთვის ასე რომ გაისარჯეთ?

— მე მინდოდა პატივი მეცა სტუმრისათვის...

— მეც მინდა პატივი გცეთ თქვენ... თქვენ სილამაზეს!

ამ სიტყვებზე მან გადაიკისკისა. ვიგრძენი რომ ჩემი სიტყვები გულუბრყვილობად ჩამომართვა, ან კიდევ მიიღო ისეთ სიტყვებად, რომელსაც არც თუ იშვიათად ეტყვიან პირველად შეზვედრილ ლამაზ ქალიშვილს, რათა მისი გულსუფური მიიპყრონ. მეწყინა. ზღვა ნელა ქშუოდა და თხელი ტალღები ნაპირზე ქათის ვაცრეცილ ფოფინებს მსუბუქად ფანტავდა.

— თქვენ ცურვა იცით? — მოულოდნელად შემეკითხა.

— არა — წამომცდა უცებ და არც ვიცო, რატომ ვთქვი ასე.

— გინდათ გასწავლოთ?

ამ სიტყვებზე ჯერ განუცდელი სიამოვნება მომანიჭა; უკვე მასთან ახლოს, სულ ახლოს ყოფნის სურვილი და ოცნება მისრულდებოდა.

— არ გეხუმრებით. მართლა გასწავლით!

შენ ამაზე გაგეცინა. მე კი ოცნებით ვეტრფოდი მოახლოებულ სანეტარო წუთებს.

...
და აი, დანიშნულ დროს, ჩვენ ზღვის სანაპიროზე შევხვდით ერთმანეთს.

ასე მხარული, ღიმილიანი და მომხიბვლელი მე ის ჯერ არ მენახა.

ან კიდევ ასეთი იყო ყოველთვის და ვერ ვამჩნევდი.

სწრაფად გაიხადა ტანსაცმელი. დადგა ჩემს წინ, როგორც ცოცხალი ქანდაკება. მზერად ვიქეცი.

— აბა, ჩქარა, მოემზადე! — მითხრა. შემომხედდა. მისმა თვალებმა თითქოს სახეზე ფართოდ შემომამაშუქა. გაიღიმა. ღიმილი საოცრად შევინოდა. იქნებ, ამის გამო იღიმებოდა ხშირად, მაგრამ თავს ვაჭერებდი, ასე მხოლოდ მე მიღიმის-მეთქი.

ზღვაში შესასვლელად მოვემზადე.

— გეტყობა, გეშინიას ჩქარად ცურვა მითხრა. — მში... შა... რა...

ის ახლა ჩანდა მეტად ლამაზად ტანჩამოსხმული, საოცრად მოჭინილი. ხელი მაჯაში ჩამავლო და ტალღებში შემეყვანა.

— აბა, იცურავე, იცურავე! — კისკისებდა, პეშვით ზღვის წყალს პირდაპირ სახეზე მასხამდა. მეც შევეთამაშე.

— აბა, იცურავე, რას უყურებ! — მეძახდა.

ტალღები წელამდე მწვედებოდა. ფეხზე დაედექი.

— მშიშარა, მშიშარა! — კისკისებდა და კისკისებდა.

უცებ ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. მან ფეხი გამომკრა. ფსკერზე მოვექეცი, მაგრამ ერთბაშად წამოვხტი.

— უი, რა მშიშარა ყოფილხარო! — კისკისებდა იგი, და მე მინდოდა ეს კისკისი დიდხანს გაგრძელებულიყო. მინდოდა ის ყოფილიყო კმაყოფილი, ეკისკისა გულიანად, ამისი მიზეზი კი მე ვყოფილიყავი და სხვა არაფერი.

— მში... შა... რა! — წამოიძახებდა, შეცურდებოდა ზღვაში და თანაც მეტყობდა, — თუ ვაქცავი ხარ დამიჭირე, თორემ გაგექცევით.

დავედევნებოდი. ყელამდე ტალღარომ მომწვედებოდა, შევჩერდებოდი. ის კი ამ დროს შორიახლო ტალღაზე პირალმა გაწვებოდა და ხან იცინოდა ხმამაღლა, ხან მეძახდა — დამიჭირე, თორემ გაგექცევით.

ერთხანს გადავწყვიტე შევეცურავ და დავედევნებდი, ნახოს ვიცი თუ არა ცურვა, ნახოს თუ გამექცევა-მეთქი, მაგრამ ჯერჯერობით არ მინდოდა სიცრუის გამელაგნება, მაინტერესებდა, როგორ მასწავლიდა ცურვას. დიდხანს მაწვალა; ხან ყელამდე შემავდებდა ტალღებში, ხან ჩამაყურყურმელაგნებდა, მაშინ ჩავეჭიდებოდი მის შიშველ სხეულს სუნთქვაშეკრული, მაგრამ უცებ კლამახივით გამისხლტებოდა. მე ფსკერზე აღმოვჩნდებოდი, ის გვერდზე გამდგარი სიცილით კვდებოდა.

— მეგონა, თავს იკატუნებდი, — მი-
თხრა ბოლოს. — შენ, მართლაც, არ
გცოდნია ცურვა...

— აკი ვითხარი!

— ცურვა ყოველმა ვაჟაკმა უნდა
იცოდეს!

— ჰო, უნდა იცოდეს!

— შენც უნდა იცოდე!

— ჰო, მეც უნდა ვიცოდე.

— შენ კი სულ არ გცოდნია ცურვა!

— ჰო, სულ არ ვიცი, არ ვიცი,...

— მერე სირცხვილი არ არის?

— ჰო, სირცხვილია, თავის მოჭრა!

— მაშ, შენ ვაჟაკი არ ყოფილხარ!
ამ სიტყვებზე შეეკრთი, მაგრამ მისი
ნათქვამი მაინც არ მწყენია.

— ჰო, ვაჟაკი არა ყოფილხარ,
არა! — ეკლავ გაიმეორა გამაღიზიანებ-
ლად.

— ცურვაში, ჰო, მხოლოდ ცურვაში!

— თავს არ უტყდები, არა? — გადა-
იყისკისა და ხელი მაგრად ჩამავლო.

— აი, ახლა კი გასწავლი ცურვას,
აბა, მომეცე! — მითხრა და, როდესაც
ზღვაში წელამდე შემოყვანა, სერიოზუ-
ლი გამომეტყველება მიიღო, დაიწყო
ახსნა, თუ რა უნდა გამეყეთებინა.

ცოტა ხნის შემდეგ მიბრძანა, ჰაერი
ღრმად ჩამესუნთქა. მის მკლავებზე გა-
წოლილი ვფარფატები ტალღების ნე-
ბანება, ხოლო ცალი გვერდით მის
სველსა და შიშველ სხეულს ვეკვროდი.
მესმოდა მისი ნელი სუნთქვა. მესმოდა
მისი დარიგება, თუ როგორ უნდა მემო-
ძრავებინა ხელფეხი, მაგრამ მე გატრუ-
ნული ვიყავი. მერჩია დიდხანს, ძლიერ
დიდხანს ვყოფილიყავი მის მკლავებში
მოქცეული, მერე კი ვუჩვენებდი ვიცო-
დი თუ არა ცურვა, მაგრამ...

— მაცაცო! — გაისმა ნაპირიდან.

— ჰო, ბადუ, გენაცვალე, ჩამოხვე-
დი? — მიამახა.

ნაპირზე იდგა ახალგაზრდა ვაჟი, მა-
ცაცომ იმავე წუთს მიშვა ხელი, სწრა-
ფად გავიდა ნაპირზე, ტანთ ჩაიცვა, მო-

მამახა — იქით ნუ წახვალ, თორემ და-
იხრჩობიო და... წავიდა.

წავიდა და ტბილი ზღვის ცივ ტალღებში ჩაიყინა.

...

ამ ამბავმა შენ სიცილი მოგგვარა.
ჩემს თავზე მეც გამეცინა, მაგრამ ამავე
ღროს გულში მძიმედ ჩაწვა რაღაც ტყი-
ვილის მაგვარი.

— მიულწეველი სიყვარულის სევ-
დაა! — დაიწყე შენ, მაგრამ იმ წუთებ-
ში შენი სიტყვისათვის ყურადღება არ
მიმიქცევია; ყურში ისევ მესმოდა მა-
ცაცოს კისკისი და მისი სიტყვები, გა-
გამქცევი, ჰო, გაგამქცევი...

და აი, ის გამექცა; იმ დღიდან არც
კი მომკარებია. ვერაფრით ვერ ამეხსნა
მისი საქციელი.

ახლაც ყოველდღე მოასრიალებს იგი
„ვოლგას“. მინდა ეზოში დავხედე, გა-
მოველაბარაკო, მაგრამ ყოველთვის მე-
ლანო დამასწრებს, შეხვდება და ჩვენს
გვერდით ოთახში შეჰყავს. ეს ის ოთა-
ხია, რომელიც ბადუს მამას სახელოს-
ნოდ ჰქონდა გადაქცეული. ახლა იქ ბა-
დუ მუშაობდა, მაცაცოც მთელი დღე
მასთან იყო. იქიდან მესმოდა გაურკვე-
ველი ჩხაკუნი, ხეხვა, ტყაცუნი, და ში-
შინი, ზოგჯერ რაღაც წრიბინი, თუ უც-
ნაური შრიალ-წივილის წყვეტილ-წყვე-
ტილი ხმები, ჩაქუნების ლბილი კაქუ-
ნი.

— ვენაცვალე, ჩემს ბადუს, ვენაც-
ვალე! — კმაყოფილებით ამბობდა მე-
ლანო — ბედნიერი ვარ, მამის საქმეს
სასახელოდ რომ აგრძელებს... მაცაცოც
ენაცვალოს ყველა. გვერდში უდგას
უდგას ბადუს და ეხმარება... კაცმა რომ
თქვას, რაღაც ფარცავს კი აკეთებენ
და თუ გამახარეს, იქნებ ერთი-ორი
დღის სიცოცხლეც მომემატოს!

მაგრამ არცერთმა არ ვიცოდით, რას
აკეთებდნენ.

მშვენიერი, მზით საცხე დღეები დად-
გა... ხალხი ზღვას და ბაღებს შესეოდა.
შენც იქით გაისწრაფე, მაგრამ მე გული

ოთახიდან გარეთ არ მიმიწევდა, მაკაცოს ცალკე ნახვა მწყურვალა. ამ მიზნით დილიდანვე ჩემს ოთახში ვიციდიდა, ორივე კარი ღიად მქონდა დატოვებული. მაკაცო მეზობელ ოთახიდან როგორც კი გამოვა, დერეფანში გზას გადავუჭრი-მეთქი, მაგრამ რამდენჯერაც ვცადე ეს, ჩანადიქრი იმდენჯერ ჩამეშალა; ყოველთვის ბაღუსთან ერთად მოდიოდა და ყოველთვის მხოლოდ ღიმილიანი შემოხედვით მაფორიაქებდა.

„არა, ასე მეტს არ გავაგრძელებ... მე ვიცი... მე ვიცი, რასაც ვიზამ!“ — მტკიცედ გადავწყვიტე, მაგრამ ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, ერთ დღეს, მელანომ მორიდებულად, მობოდიშებით წინადადება მოგვცა ოთახი გავვეთვისოფლებინა—აუცილებელი საქმის გამო მჭირდება, თორემ არ შეგაწუხებდითო.

დავტოვეთ მელანოს სახლი, ჩემი გულიც იქ დარჩა.

ახლა სულ სხვა გარემოში გვიხდებოდა ყოფნა: სპორტული შეჯიბრებანი, ცეკვა-თამაში, ღია ესტრადებზე სიმღერები, სანაპირო პარკში რკინის უზარმაზარ კონსტრუქციებზე დაკიდული გიდელების ტრიალი, თუ თვითმფრინავის წრიული ფრენა, მზიარული სიცოცხლის ერთ დიდ სიმფონიად ისმოდა.

ყოველივე ეს მუდამ ჩვენს თვალწინ. ჩვენი ახალი საცხოვრებელი სახლია წინ ხდებოდა.

უკვე არა ერთი და ორი მეგობარი გავიჩინეთ — ბიჭებიც, გოგონებიც, სვერდლოვსკელი, მოსკოველი, ზოგი სახალისელი და ზოგიც მურმანსკიდან ჩამოსული. ჩვენებურებს ხომ ვერ დაითვლილი, იმდენი იყვნენ. სილადეს მზიარულება მოქმონდა, ერთიმეორეს გვაახლოვებდა, ერთიმეორეს გვაყვარებდა.

— ცხოვრება სიყვარულის გარეშე არ არსებობს! — ამბობდი შენ. — შეხედე, რამდენი შესანიშნავი ქალიშვილია,

ყველანი ერთიმეორეზე უკეთესნი. გინა შეიძლება არ შეიყვარო! სიცოცხლეს მხოლოდ სიყვარულის თვალსაზრისით უყურებდე, რომ მუდამ კეთილი იყო. შეხედე ამ ახალგაზრდებს, რა ცეცხლი ანთია თითოეულ მათგანში. მიუღწევადი სიყვარულის სევდა მხოლოდ ამ გაიფანტება!

ასე მარწმუნებდი, მაგრამ ჩემი გული მაინც მაკაცოს უხშობდა და მსუსხავი ფიქრები არ მასვენებდა:

— ნუთუ, შენ მართალი ხარ? ნუთუ, ჩემი პირველი გატაცება მიუღწევად სიყვარულად ჯარჩება?

...
შვებულების დღეები იწურებოდა. გადავწყვიტე, მაკაცო მენახა. მელანოს სახლისაკენ წავედი — იქნებ შემთხვევით ვნახო, ან გავიგო სად ცხოვრობს-მეთქი. გული მეურჩებოდა.

მთვარიანი ღამე იყო. ზეთა ჩრდილებს გავყევი. მივდიოდი მარტო და ფიქრებში გართული ისე მივუახლოვდი მელანოს სახლს, რომ მანძილის სიშორე არც კი მიგრძენია. ვხედავ სახლი და ეზო ელნათურებით გაბრდღვიალებულია. სახლის ყველა ფანჯარა ყურთამდეა გაღებული. ყველა ოთახში სუფრაა გაშლილი და ყრიაშული და სიმღერა არ წყდება.

უკან გამოვბრუნდი. შინისაკენ მომავალს მაკაცოს სახე მომელანდა.

— გაგეპყევი, ჰო, გაგეპყევი! — კისკისებდა მაკაცო, კისკისებდა ცივად, ნაძალადევად და ამ კისკისში თანდათან უფრო გარკვევით ჩამესმოდა გონების ამაფორიაქებელი სიტყვები — გაგეპყევი, ღმერთმანი, გაგეპყევი... რად არ დამიჭირე, რად?

უხალისოდ შევალე ოთახის კარი.

„მაკაცო დავკარგე... ჰო, დავკარგე... ის არასოდეს არ იქნება ჩემი! — შენ რალაც ჯიუტად, სულ სხვაგვარად, დაეკვებით შემომამჩრდი.

არ ვიცი, რა ამოიკითხე ჩემს სახეზე,

ჩაიციენ, პაპიროსი გააბოლეს და ხმამაღლა თქვი — სისულელეა, ნამდვილად სისულელეა!

— რა არის სისულელე?

— ცალმხრივი სიყვარული!

— სიყვარული არასდროს არ არის სისულელე!

— მე ცალმხრივ სიყვარულზე გეუბნები!

— რა არის ცალმხრივი სიყვარული?

— რაა? აი, მიუღწეველი სიყვარული, მე მიმანია ცალმხრივ სიყვარულად... აბა, განსაჯე, არ არის სისულელე?

— დიდი სიყვარულის დასაწყისი, მე მგონია, ყოველთვის ცალმხრივია.

...

მეორე დღე კვირა იყო. საღამოვდებოდა. სანაპიროსაკენ გავემართეთ.

ახლად გაცნობილთა და დამეგობრებულთა ჯგუფი შემოგვხვდა. მათ სახეზე კვლავ ღიმილი, სიმხნევე და სილაღე იხატებოდა.

ისინი ამ დროს ყოველთვის ზღვისკენ მიდიოდნენ, ან საცეკვაო მოედანს მიამუშრებდნენ. ახლა ქალაქისკენ ექნათ პირი.

შემოგვეკალნენ.

— თქვენ რა არაფერი გავივიათ?

— ცის დედოფალი არ გინდათ ნახოთ? — მოგეყარეს კითხვები.

— როგორ თუ ცის დედოფალი?

— იცით რა ამბავია? მთელი ქალაქი იქ არის! წამოდიოთ ჩვენთან!

ერთიმეორეს არ აცლიდნენ. ყოველი მათგანი ცდილობდა პირველს ეთქვა ჩვენთვის ახალი ამბავი, რომელმაც ეს ზღვისპირა ქალაქი დღეს ასე საოცრად შეატორტმანა, და ვინ იცის, ხვალ და ზეგ როგორ გაიჭრება, როგორ დაიქუხებს ეს სახელი ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში.

— რაღაც გასაოცარი რამ არის!

— ხალხის ნიჭისა და სიყვარულის ტრიუმფია!

— ეს ისეთი რამ ყოფილა, ნახეთ თუ მალე არ ალაპარაკდეს კრეცელს რადიო, ტელევიზია!

— წამოდი წამოდი, ვნახოთ! — იმეორებდნენ ისინი.

ვიღაცამ მსოფლიოში პირველი მფრინავი ქალის, ვალენტინა ტერეშკოვას სახელიც კი ახსენა, მაგრამ ახალგაზრდების მხარულ სიცილში კარგად ვერ გავერკვიე, რატომ ახსენეს იგი.

— ცის დედოფალი!

— ცის დედოფალი... ცის დედოფალი... — იმეორებდი შენც.

...

ქალაქის შუაგულში, დიდი ბაღის ზემონაწილში გამოგონებულთა და რაციონალიზატორთა სახლი იდგა, ერთ-სართულიანი, ფართო ფანჯრებითა და დიდი აივნით დამშვენებული. შესასვლელთან, მარცხნივ და მარჯვნივ, წითლად შედებილი, შემინული საპატიო დაფები იყო აღმართული. ერთ დაფაზე ქალაქისა და რაიონის მოწინავე ადამიანების — გამოგონებულთა და რაციონალიზატორთა, ხოლო მეორეზე — სამშობლოში სახელგანთქმული ნოვატორების, გვირების ფოტო-სურათები ეკიდა.

დღეს აქ დიდი გამოცოცხლება იყო. სახლში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შედიოდა და გამოდიოდა.

მნახველთა ჯგუფს ჩვენც შევეყიეთ.

ფართო დარბაზი გრძელმილებიანი დღის ელნათურებით თეთრად გალავლებულ იყო. სტენდებზე ქალაქისა და რაიონის წარმოებებში უკვე დაწერგილი მრავალი სახის მოდელი ელაგა. რა არ იყო აქ გამოფენილი — ჭაობის ამოსაშრობი ახალი მანქანები, სახარატო დაზგების ახალი კონსტრუქციები, გაუმჯობესებულნი ძრავები, სხვადასხვა ხელსაწყოები, დგუშები, საშუებები, ჩაის მკრეფავი მანქანები, ავტომატორი სათიბები.

დარბაზის ცენტრალურ ნაწილში ეკი-
და დედამიწის დიდი მკაცეტი, რომელიც
პროექტორების შუქით იყო განათე-
ბული. მის ირგვლივ ფოლადის წვრი-
ლი ძაფების წრეებზე ავტომატურად
განუწყვეტილვ მოძრაობდნენ საბჭოთა
თანამგზავრების მკაცტები და წითელი,
მოლურჯო და მოიისფრო სინათლეს
ასხივებდნენ. სიღრმეში დაფნის ჩარჩო-
ებში ჩასმული იყო საბჭოთა კოსმონავ-
ტების პორტრეტები, მაგრამ რაც მნა-
ხველეს იზიდავდა და აოცებდა, ეს იყო
მეტრნახვევარი სიმაღლის წითელი ხის-
გან გაკეთებული, ჩარჩოში ჩასმული
საათი.

წითელი ხის ჩარჩო ფართო ქვედა
წელიდან ზემოთ თანდათან ვიწროვდე-
ბოდა და თავწაწვეტილი, გარეგნულად
რაკეტას გავდა.

ხეზე იშვიათი სიფაქიზითა და სიყვა-
რულით იყო ამოჭრილი ქალის ფიგურა,
რომელიც თითქოს ლალად მიფრი-
ნავდა ცის სიღრმეში და გაწვდილი ხე-
ლებით სადაცაა ვარსკვლავებს უნდა
მისწვდენოდა. მის ზემოთ კი ვერცხლის
წვრილი ძაფების ხვეულით ღრუბლების
მიცრეცილი ქულები იყო მიმოფანტუ-
ლი, ხოლო, ჩარჩოზე მკვიდრად ჩასმუ-
ლი ლალისფერი ექიმბატი ისე ოსტატუ-
რად იყო მიყრილი-მოყრილი, რომ აშკა-
რად ქმნიდა ვარსკვლავებით მოჭედი-
ლი ცის შთაბეჭდილებას.

ჩარჩოს შუაში ჩადგმული საათის
მექანიზმის ცისფერი ციფერბლატი მო-
ოქვრილი ისრების ელვარებით იყო დამ-
შვენებული.

ციფერბლატის ზემოთ გამოჭრილი
იყო პატარა თარო, ორი პატარა კარი
ავტომატურად იხურებოდა და იღებო-
და. იღებოდა ყოველ ხუთმეტ წუთში
და ყოველ საათს.

კარების გაღებისას თაროში სინათლე
აინთებოდა და ელვარე ფერებში გამოჩ-

ნდებოდა შიგ ჩასმული, ცისკენ მიმარ-
თული შუშის პატარა რაკეტა. საათი
გამოსცემდა მფრინავი რაკეტის წივი-
ლის ხმას და კარებიც ავტომატურად
იხურებოდა, საათი მფრინავი რაკეტის
წივილს წყვეტილ-წყვეტილ იმდენჯერ
გამოსცემდა, რამდენ საათსაც დიდი ისა-
რი უჩვენებდა. ამ ხნის განმავლობაში
ცისკენ მიმართული შუშის რაკეტა თა-
როში ცეცხლივით ვარვარებდა.

— ეს საათი რომელსაც მისმა ავტო-
რებმა „ცის დედოფალი“ შეარქვეს
მიძღვნილია. მსოფლიოში პირველი
კოსმონავტი ქალისადმი. — ამბობდა სი-
ცოცხლით სავსე, აბრეშუმის ლურჯი
ყელსახვევიანი ქალიშვილი, რომელსაც
ხელთ წვრილი წაბლისფერი ჯოხი ეჭი-
რა და მნახველთა ყოველ შეკითხვას
ხალისიანად პასუხობდა.

როგორც კი საათი-რაკეტა გამოს-
ცემდა გაფრენილი რაკეტის წივილს,
იმვე წუთს საათის უკან პატარა ეკ-
რანი განათდებოდა და ვალენტინა ტე-
რეშკოვას მომღიმარი სახე გამოჩნდე-
ბოდა, შეწყდებოდა წივილი, გაქრებოდა
კოსმონავტი ქალის სახეც, თითქოს
კოსმოსური სივრცის სიღრმეში შეჭრი-
ლი თვალს მოეფარაო.

იღვნენ და შეცქეროდნენ ამ რალაც
საოცარ გამოჩენას. შეცქეროდნენ ყვე-
ლანი და გაოცება თუ კმაყოფილება,
აღტაცება თუ გაკვირვება სიხარული თუ
მოწონების წამოძახილი წარმოუდგენ-
ლად გვხვარებდა.

— ვინ გააკეთა ეს? — იკითხა ვი-
ლაცამ.

— ერთი ავტორი ჩვენი ქალაქის
მკვიდრის, ცნობილი მესაათის, ლევან
ცისკარიძის ვაჟია, ბაღუ ცისკარიძე,
ხოლო მეორე ზუსტბელსაწყობთა ქარ-
ხნის ინჟინერი მაცაცო ფაღუძე! — გას-
ცა პასუხი ლურჯყელსახვევიანმა ქალი-
შვილმა.

— ვიცნობ, კარგი ახალგაზრდები არიან! წუხელ იქორწინეს კიდევ!

ახლა კი მივხვდი, მელანოს სახლი რატომ იყო გაჩირალდნებული, რა ლბინი-ჭრიაშული იდგა მათთან, მაგრამ რა მეთქმოდა. შენ კი ყოველივე ამისი ცივი მოწმე იყავი და ახლაც ცივად შეიმოხმედე, ოღნავ გაიღიმე და მიტრიალდი.

ხალხი ჭრიაშულით ეხვეოდა ცის დედოფალს, ისმოდა ქება და დიდება საათი-რაკეტის გამომგონებელთა მიმართ.

მხოლოდ მე ვიყავი ფიქრებში გახვეული.

ცის დედოფლის უკან, სიღრმეში კვლავ ინთებოდა პატარა ეკრანი, კვლავ გამოჩნდებოდა ვალენტინა ტერეშკოვას მომღიმარე სახე, კვლავ ისმოდა გაფ-

რენილი რაკეტის ნაცნობი წყვეტილ-წყვეტილი ხმები.


შენ იღიმებოდი. ჩვენი მეგობრებიც იღიმებოდნენ.

ალტაცების ცეცხლით მგზნებარე ათასი სახე, ათასი თვალი მისჩერებოდა მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალი-სადმი მიძღვნილ გამოგონებას.

შევჩერებოდით ჩვენ, ჩვენი მეგობრებიც.

შევჩერებოდით სიყვარულით, გატაცებით, მალალი ოცნებითა და რწმენით, ასე მეგონა, იქიდან მაკაცოს თვალები წინანდებურად მიღიმოდნენ ნაზად, მაგრამ თავშეკავებით.

ვიღიმებოდი, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, ტკივილი მაინც ტკივილად რჩებოდა იმის გამო, რომ მაკაცო ჩემთვის უკვე მიუღწეველი გახდა.



კვირის ჩანაწერი

„ქ ო რ წ ი ღ ი“

გაზაფხული დადგა თუ არა, თუთის ხის კვირტები დასკდა. ზამთრისაგან გაშავებული ტოტები სულ მალე მწვანე რტობად იქცა. კვირტები თანდათან გაიშალა და აბრეშუმით ნაზი ფოთლები გამოაჩინა.

გაზაფხულის დამლევისათვის თუთის ხე უკვე მწვანე სამოსში გაეხვია. სუსტი ყლორტები ჰაერში ვილაყას დაეძებდა. ნიავის მიღერსებისას თოთო ფოთლები რაღაცაზე იწყებდნენ ჩურჩულს. მწვანე ფოთლებზე ვერცხლისფრად ბზინავდა წვიმის წყალი და როგორც კი ჭარი შეარხევდა, წვეთები მარცვალ-მარცვალ იზნეოდა დედამიწაზე.

დადგა ზაფხულის ცხელი დღეები. ხის თოთო ყლორტები ტოტებად იქცა, ნახევრად დაგრებილმა ფოთლებმა თვალი გაახილეს, მთლად გადაიშალნენ, ჭერ აპრილდნენ, შემდეგ კი ხაო გადაიკრეს. გავიდა ხანი... ფოთლები აცახცახდნენ, ტოტები დაიგრიხეს, ვაისმა თუთიყუშების ჭვივილი და მოვიდა შემოდგომა.

აზუზუნდნენ ფუტკრები, ფოთლებს ზედაპირი ოდნავ წებოვანი გაუხდა. ტოტებს შორის მწვანე ნაყოფმა გამოაჭყიტა. ფოთლებმა სიხარულისაგან ცეკვა დაიწყეს. ჰაერში ფუტკრის ზუზუნი, ქალიშვილების სიცილ-კისკისი. მწყემსების გადაძახილი, მწვანე თუთიყუშების კვილი ისმოდა.

შემოდგომის დამლევისათვის კი არც ერთი მარცვალი ნაყოფი აღარ დარჩენია. „მნათობი“, № 6.

ნილა. ფოთლებს ჭერ მოყვითალო ლაქები გაუჩხდა, შემდეგ ეს ლაქები თახლათან გადიდდა, მთელ ფოთლოს მოედო და შეცივებულებმა კანკალი დაიწყეს. მოვარდა ჭარი და აცახცახებული, ფერმკრთალი ფოთლები ძირს ჩამოყარა. უნაყოფო, ფოთლებშეძარცული ხე შიშველი დარჩა. მწვანე ტოტები ჭერ გაუყვითლდა, შემდეგ გაუშუქდა და ბოლოს მთლად გაშავდა, შემოდგომა გავიდა.

ზამთარმა კი თუთის ხის თვითეული ტოტი მზრუნველი ხელით თეთრ საბანში გაახვია.

ნავაზმა თუთის ხეს შეხედა, ამოიოხრა, ჩხურის ხელი წაავლო და ხესთან მიიყვანა. ღამის სიჩუმეში გარინდული მარტოხე თითქოს რაღაცას უგდებდა ყურს და ელოდა, თუ როდის გაიგონებდა ამ მყუდროებისაგან წარმოშობილ იდუმალ სიმღერას. ნავაზი და ჩხური ხესთან გაჩერდნენ. სუნთქვაშეკრულხი ისინიც თითქოს ამ სიმღერას ელოდებოდნენ. წყნარი საღამო იყო. ხე გზისპირას იდგა. ქვემოთ მდინარე მიედინებოდა. მდინარის გაღმა კი ჭუნგლები იწყებოდა.

ირგვლივ არაფერი არ არღვევდა საზეიმო მღუმარებას, რომელიც გარს ერტყა ნავაზსა და მის ახალგაზრდა ცოლს. არ იყო არც ხმა, არც ფერი, არც მოძრაობა. იყო მხოლოდ მთვარე და ღუმილი. თოვლის ფიფქი ბროლივით ელავდა მთვარის შუქზე, ჩხურისა

და ნავაზის სახეებიც სხვას არაფერს ვაგდა, თუ არა ყინულის ნატეხს, თოვლის ფიფქს, ან მღუმარების ნახ მელოდისას. ირგვლივ ყველაფერში მთვარის შუქი იღვრებოდა, უნაპირო, თოვლიან სივრცეთა მთვარის შუქი. ნავაზს მოეჩვენა, რომ მათ ირგვლივ მყოფი ყველა საგანი ჩხურის და მისი სიყვარულის ამ პირველ ღამეს, მთვარის შუქისაგან იყო გამოძერწილი. თვით ჩხურის კაბაზეც საოცარი თეთრი ყვავილები ელავდა, მის ღიმილშიც მთვარის შუქი იღვრებოდა, ხოლო მისი საყურეები ისე საოცრად კიაფობდნენ, რომ ჩხურის ისედაც ღამაში სახე კიდევ უფრო მშვენიერი მოჩანდა.

ნავაზმა უნებურად ამოიოხრა, ჩხურის წელზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. ნავაზი ძალიან დაიღალა, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა თავს: დღეს ჩხური მისი ცოლი გახდა. ჩხურის სოფელი ნავარგაონი ნავაზის სოფლიდან რვა კილომეტრზე იყო. დღეს ჩხურის და ნავაზს ქორწილი ჰქონდათ, მაგრამ ამ ქორწილზე სტუმრები არ ყოფილან. არ იყო არც მუსიკა, არც საქორწილო პროცესია და არც საქორწილო სიმღერები. არ ყოფილა იმიტომ, რომ ნავაზის მამა ხარაზი იყო, ძალზე ღარიბი. ჩხურის მამაც ამავე ხელობისა იყო და ნავაზის მამაზე კიდევ უფრო ღარიბი. ამას დაემატა ისიც, რომ წინა დღით დიდი თოვლი მოვიდა და ყველა გზა გადაიკეტა. მაგრამ თოვაც რომ არ ყოფილიყო, იყო სიღარიბე, რომელიც თოვლზე გაცილებით უფრო ცივია და ზამთარზე უფრო გამთოშავი. სწორედ ამიტომ არ იყვნენ ქორწილზე სტუმრები, არ იყო არც ღვინო და არც სიმღერა.

ნავაზი საცოლეს მოსაყვანად ისე წავიდა, თითქოს ჩვეულებრივ საოჯახო საქმეს აკვარებდა. დილით ადრე გავიდა სახლიდან და შუადღისას უკვე მეზობელ სოფელში იყო. მოსამართლემ გვარი დასწერათ და ნავაზს ქორწილი

სულ 17 რუპია დაუჯდა. ვერცხლის საყურეები ოქრომჭედელმა ანსიად მიწისა, ტუფლები საცოლეს მთავარს მიუცქერა. ყველა დანარჩენი კი იყიდა: ამრეშუმნარევი ქსოვილის კაბა, წითელი თავსაფარი, თმებზე გასაკეთებელი მინის სამკაული და ვერცხლის ბეჭედი. ამისათვის ნავაზმა წინასწარ 8 წყვილი ფეხსაცმელი შეკერა.

პირველი წყვილი გადასახადების ამკრეფს შეუკერა, რაშიც ერთი პესიც ვერ აიღო. მეორე წყვილში ნავაზმა მამასახლისისაგან ხუთ რუპიაზე ცოტა მეტი მიიღო. მესამე წყვილი რელიგიური თემის უფროსის ცოლს შეუკერა. ქმარი, რა თქმა უნდა, არაფერს არ გადაუხდიდა, მაგრამ ცოლმა რომ გაიგო, ნავაზი ცოლის შერთვას აპირებდა, შეეცოდა და სამ რუპიანახევარი მისცა. მეოთხე წყვილი თავის სოფელელ გლეხის მუჰამედისათვის შეკერა. მუჰამედს უნდოდა ისეთი ფეხსაცმელი ჰქონოდა, რომელსაც, სულ ცოტა, სამ წელიწადს მაინც ატარებდა ტალახსა და თოვლში და თანაც მათი რკინის ნალების ხმა შორს უნდა გასულიყო. გლეხს უნდოდა ფეხსაცმელი დიდი ზომისა და ისეთი მძიმე ყოფილიყო, რომ ჩხუბის დროს ადვილად შესძლებოდა სოფლის აღმრიცხველისათვის თავის გაქეპყვა. მუჰამედი კმაყოფილი დარჩა ნავაზის ნამუშევრით და შვიდ რუპიაზე მეტი მისცა. თანაც უთხრა:

— ეს ფეხსაცმელი, რა თქმა უნდა, ხუთ რუპიაზე მეტი არა ღირს, მაგრამ რადგან დასანიშნად ემზადები, იმიტომ გაძლევ ამდენს.

მეხუთე წყვილი ნავაზმა ზედამხედველ ჰაჯაგულიამ ჰუსეინს ორ რუპიად მიჰყიდა. მეექვსე წყვილი საეკვრო კასტის „ბჰატის“ წვერის, ბრაზმანის ცოლს შეუკერა, რომელმაც ჩაიკვა თუ არა ნავაზის შეკერილი ტუფლები, მა-

შინვე სახლიდან გაიპარა. ბრახმანმა ჩხუბი დაუწყო ნავაზს: შენ რომ ტუფლები არ შეგეკერა, ის მე არ გამეჭკეოდაო. უბედური ქალი თითქოს მართლა ამ ფეხსაცმელს ელოდა, რომ ქმარს გაჭკეოდა! ეს წყვილი ნავაზმა გულმოდგინედ შეკერა — ოქროსფერ ტყავზე ვერცხლის ძაფით ყვავილები ამოაქარგა. ამ ტუფლებში მან ცხრა რუპია მიიღო. მეშვიდე წყვილი ნავაზს შეუკეთა ჩაუდჭრი რახმატ ალიმ — მათი რაიონიდან ქაშმირის საკანონმდებლო კრების დელეგატმა. ნავაზმა მას თხელი ხბოს ტყავისაგან მსუბუქი და ლამაზი ფეხსაცმელი შეუკერა, მაგრამ ღარიბთა დეპუტატმა ნავაზს მხოლოდ ორნახევარი რუპია მისცა. თან უთხრა: დანარჩენს მოსაულის აღების შემდეგ მოგცემო.

მერვე წყვილი ნავაზმა თავის საცოლესათვის შეკერა. რა სიყვარულით კერავდა იგი ამ ტუფლებს! და აი, სამუშაო რომ დაამთავრა, მას უკვე შეეძლო ქორწილისათვის ყველა საჭირო ნივთი ეყიდა: აბრეშუმნარევი ქსოვილის კაბა, წითელი თავსაფარი და მინის მძივები.

ნავაზმა ხმადაბლა ჩაიციხა.

— რაზე იცინი? — შეეკითხა ჩხური.

ნავაზმა ხელი წაავლო ჩხურის კაბას და თქვა:

— ძალიან კარგი კაბაა.

შემდეგ ჩხურის თმები აიღო ხელში და შეარხია. მინის სამკაულები აწკრივალდა. მათი ხმა სასიამოვნოდ გაისმა. ნავაზმა გაიციხა და ერთხელ კიდევ შეარხია თმები.

— რაზე იცინი? — ისევ შეეკითხა ჩხური.

— ესეც ძალიან კარგია.

ჩხურიმ ამაყად შეხედა ნავაზს.

— ხომ არ გასულელდი?

ნავაზმა კვლავ გაიციხა. ამ ნივთებს ის სათამაშოებივით უყურებდა. ისინი მართლაც მისი გულის სანთქაწივით იყო, რომლებიც ოფლითა და სისხლით შეიძინა. მთელი თავისი ენერგია, მთელი თავისი ნებისყოფა ჩააქსოვა ნავაზმა ჩხურის კაბის ამ თეთრ ყვავილებს, ამ მინის სამკაულებს, ამ თავსაფარის სილამაზეს, მაშ რატომ არ უნდა ყოფილიყო იგი ბედნიერი? ასე საოცრად კარგი ღამეა, ასე მშვენიერია ჩხური და ირგვლივ ასეთი მყუდროება!

ერთი წლის წინათ, როცა ეს თუთის ხე ახლად იფოთლებოდა, ნავაზმა პირველად ნახა ჩხური. ახლა იგი უკვე მისი ცოლია. და მასთან ერთად დგას ამ თოვლით დახუნძლულ ხის ქვეშ. მაშ რატომ არ უნდა იყოს ბედნიერი? სიყვარულის ოაზისში მისი ცხოვრების სასწუკარი სიზმარი სინამდვილედ ექცა. ნავაზი არ იყო იმდენად გათვითცნობიერებული სიყვარულის საკითხებში, რომ განზრახ მოეჩვენებინა თავი შეყვარებულად, რომ თავისი ქეშმარიტი გრძნობები დაეფარა და სიყვარულობანას თამაში დაეწყო. მას არ შეეძლო ფილოსოფიის შხამით მოეწამლა სიყვარული. ნავაზი იყო უბრალო, გაუნათლებელი, შრომისმოყვარე ხარაზი და მან თავის საყვარელ ქალს მიუძღვნა მთელი თავისი ახალგაზრდული მგზნებარება, სიყვარულით გამოწვეული მთელი თავისი აღტაცება. ნავაზი არ ეკუთვნოდა იმ უბედურთა რიცხვს, რომლებსაც არასოდეს არ ჰყვარებიათ, რომლებსაც არასოდეს არ უგრძენიათ სიყვარულის სიტყბო და სიმწარე, რომლებსაც არ განუტედათ ის ხანმოკლე ღვთაებრივი წუთები, როცა აღამიანი პოულობს თავის დაკარგულ სამოთხეს, როცა იფურჩქნება ყვავილები, ილიმება ვარდები, ხოლო ბარტყები ცეკვას იწყებენ თავიანთ ბუდეებში. ეს წუთები ღვთაებრივი, მაგრამ ძალზე ხანმოკლეა, თუმცა ამ განცდის მომხიბლაობა აღა-

შინს შემდეგშიაც ამახსოვრდება, როცა გაივლის ახალგაზრდობა, ქრება მზის სხივი და დგება ღამე. დღეს კი პირველი ღამე იყო მათი ტრფილის. როგორი წყნარი, მღუმარე იყო ეს წუთები! ალბათ, ყოველთვის ასეთია სიყვარულის პირველი ღამე!

დღისით აღამიანები მწუხარებითა და უბედობით იტანჯებიან. მაგრამ როგორც კი დგება ღამე, მწუხარების კვალიც კი ქრება. ვერვინ ჩაწვდება ღამის ყველა იღუმალებას! ღამით იძინებს ყველაფერი და ფხიზლობს მხოლოდ სიყვარული. ათასწლობით, ათასობით ციური თალის ქვეშ აღამიანებს ღამე საჩუქრად სიყვარულს უძღვნის.

ჩხური ნავაზის ხელის შეხებამ შეაჯრთო უცებ. ქალი თითქოს ელოდა ამას, რომ მის ნორჩ სხეულს თვლემისაგან გამოფხიზლებოდა. ჩხური შეკრთა და ნავაზს ჩაეკრა. გული ანაზღად აუჩქროლდა, სუნთქვა შეეკრა და როცა ჩხურამ ბაგეებზე იგრძნო ნავაზის მსურვალე სუნთქვა, ისევ შეკრთა. ეს უწმინდესი ჰაბუტური ამბორი იყო. ნავაზს ფარულად გაეღიმა.

— რას იცინი? — იკითხა ჩხურამ.

— პურის ყანა გამახსენდა.

— კენკრა რომ ვჭამეთ?...

ის ყანა ჩხურის სოფელთან იყო. იმ დღეს ნავაზს ახალშექერილი ფეხსაცმელები მიჰქონდა ბატონ პოლიციის ინსპექტორთან. უცებ ბუჩქებში მწყურების გუნდი დაინახა. მიახლოვებისთანავე მწყურები პურის ყანაში ჩაფრინდნენ. პურის თავთავები მზის სხივებზე ოქროსფრად ბზინავდა. ნავაზს სიხარულისაგან გული აუჩქროლდა. ამის მიზეზი იქნებ გაზაფხული იყო, იქნებ ახალგაზრდული უზრუნველობა, და ან ვინ იცის, იქნება უბრალოდ ეს თბილი, მზიანი დღე ახარებდა.

ნავაზს ძალზე მოუნდა მწყურის დაკვრა. ფეხსაცმელები ეტლუიანად მოიღო, ჩუმად მივიდა ყანას შიგნით და მიწაზე და ნელა გახობდა. მის მიერ დარბეული პურის თავთავები თავის კანტურით თითქოს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს.

ნავაზი უხმოდ მიხობავდა. იქვე ახლოს კენკრის ბუჩქს ელურტულით კენკავდა მწყურები. ნავაზმა უცებ წამოიწია და ხელსახოცი ესროლა. იმავე წამს ბუჩქის მეორე მხრიდან ჰაერში ავარდა წითელი თავსაფარი და ზემოდან დაეფარა ნავაზის ხელსახოცს. ნავაზმა ბუჩქს ზემოდან გადახედა და ჩხური დაინახა. გოგონა უძრავად იჯდა და ხელში წითელი თავსაფრის ცალი ბოლო ეჭირა. შემკრთალნი ერთხანს უხმოდ მისჩერებოდნენ ერთიმეორეს. მერე ერთდროულად დასწვდნენ თავსაფრებს.

— ჩემია მწყური! — წამოიძახა ჩხურამ.

— არა, ჩემია!

— შენ ვინ ხარ? შენ ხომ ჩვენი სოფელი არ ხარ!

— მწყურს სოფელი არა აქვს. ეგენი აი, იმ მხრიდან მოდიან და, როგორც კი მოსავლის აღება თავდება, მაშინვე უკან მიფრინავენ.

— გაუშვი მწყურს ხელი! — უთხრა ჩხურამ.

— რატომ უნდა გაუშვა? — შეედავა ნავაზი.

ჩხურამ სახეში შეხედა ნავაზს და უცებ მოიხიბლა. ნავაზს შეეგვრემანი, სანდომიანი სახე ჰქონდა. ჩხური დაიბნა და თვალები დახარა.

— რა გქვია? — ჰკითხა ნავაზმა.

— ჩხური მქვია. აქაური ხარაზის შვილი ვარ.

— ოო, — წამოიძახა ნავაზმა, — გამოდის, რომ ნათესავეები ვყოფილვართ. მეც ხარაზი ვარ. ნავაზი მქვია. აი, იმ პატარა სოფელში ვცხოვრობ.

— მაშასადამე, შახ გის შეილი ყოფილხარ, — უთხრა ჩხურამ, — მაშინგი იცნობს მამაშენს.

ნავაზმა ნაბიჯი გადადგა. ხელი წაიღო თავსაფრისაკენ, რომლის ქვეშაც გატრუნული მწყერები იყვნენ. უცებ ჩხურის ხელიც იქვე აღმოჩნდა.

— კარგი, — უთხრა ნავაზმა ლმობიერად, — აიღე შენი თავსაფარი, მოგცემ მწყერებს.

ჩხურამ აიღო თავსაფარი. ნავაზმა თავის ხელსახოცს ქვეშ შეჰყო ხელი და სახე ჯერ უცებ მოელრუბლა, შემდეგ კი ისევ სიხარულით წამოიძახა:

— ერთი! — და ხელში ჩაბლუჯული მწყერი გამოიყვანა.

მწყერი უშწყოდ აფართხალდა, სურდა როგორმე გაქცეოდა ნავაზს.

— აჰა, გამომართვი, — უთხრა ნავაზმა.

ჩხურამ ტუჩები ნისკარტზე მიადო, მოეფერა, აკოცა, შემდეგ უკანვე დაუბრუნა ნავაზს და უთხრა: — შენი იყოს.

ნავაზმაც მწყერის ნისკარტი ტუჩებთან მიიტანა. ჩხურამ გაიცინა და თვალებზე ხელები აიფარა.

— მოდი, გავუშვათ! — უთხრა ნავაზმა.

— გავუშვათ, — დაეთანხმა ჩხური.

მწყერი ისარივით აიჭრა ჰაერში. ნავაზი და ჩხური გაღიმებული მიჩერებოდნენ ვაფრენილ მწყერს. ვინ იცის, იქნებ თავიანთი იმედების განავარდნებს ხედავდნენ მასში. მწყერმა უცებ დაკეცა ფრთები, ჰაერში ჩაყვინთა და სადღაც სივრცეში თვალს მიეფარა. ჩხურამ და ნავაზმა ერთმანეთს შეხედეს. ისინი ისევ ისე ისხდნენ, ბუჩქის აქეთ-იქიდან. უცებ მწიფე კენკრამ მიიპყრო მათი ყურადღება. ორივემ თითო მუტა ნაყოფი მოკრიფა და ერთმანეთს გაუწოდა.

და აი, ახლა, ერთი წლის შემდეგ, მათ თვალწინ დაუდგათ მაშინდელი შეხვედრის სურათი: სადღაც შორს,

მთვარის შორიხლოს, მწყერი დაფრინავს, თეთრ თოვლზე პურის ოქროსფერი თავთავები ლივლრევენ. მანანაქება შუადღეა და ისმის განათხულის სიმღერა, რომლის ჰანგსაც ნავაზისა და ჩხურის გულები გამოსცემენ. ნავაზს გაეღიმა და ეს ღიმილი ჩხურისაც გადაედო.

— რაზე იცინი? — ჰკითხა ნავაზმა.

— მამაშენმა რომ გცემა, ის გამახსენდა.

მართლაც ერთხელ ნავაზს მაგრად სცემა მამამისმა. ეს ასე მოხდა. ბაზრობის დღეებში ჩხურის ძალზე მოუნდა ჰქონოდა ყელსაბამი, ჩვეულებრივი, მრგვალი, სპილენძის ფირფიტების ყელსაბამი. ოქრომჭედელმა ხუთმეტი რუპია მოსთხოვა. ნავაზი დაუფიქრებლად დაპირდა ჩხურის, რომ უპველად აჩუქებდა ასეთ ყელსაბამს. მაგრამ როგორ უნდა ეშოვა საცოდავს? ყელსაბამი ხუთმეტი რუპია ღირდა, მას კი გროშიც არ გააჩნდა. ბოლოს, როცა ფულის შოვნის ყოველგვარი იმედი დაკარგა და ბაზრობამდე კი მხოლოდ ოთხი დღეა რჩებოდა, ნავაზმა სახლიდან ჩუმად წამოიღო ფესსაცემელი, რომელიც მამამისმა ერთ გლეხს შეუქერა, და გაყიდა. ფული ეზოში ბუჩქის ძირას ჩამალა. მამა სცემდა ნავაზს და ეკითხებოდა:

— თქვი, სად წაიღე?

მაგრამ ნავაზმა მაინც არ უთხრა. ბაზრობამდე ორი დღით ადრე კი მამამისის ახლადნაყიდი გამოუყვანელი ტყავიც წაიღო სახლიდან და ისიც გაყიდა. მაშინ მამამ კიდევ სცემა, შემდეგ შეარცხვინა და შეეხეწა კიდევ, მაგრამ ვერაფერი ვერ ათქმევინა. ნავაზმა გაუძლო ყველაფერს და მაინც შეინარჩუნა ასე ძვირფასი ხუთმეტი რუპია. იყიდა ბაზარში ყელსაბამი და მიართვა ჩხურის. ოჰ, რა ბედნიერი იყო ნავაზი იმ დღეს! სიცილი არ შეეძლო, რადგან ცემისაგან მთელი სახე დასიებული ჰქონდა, მაგრამ ბედნიერებისაგან მისი თვალები მაინც ბრწყინავდა, გული

იცინოდა და სიამაყე ზეიმობდა. ხოლო როცა ჩხურამ ყელსაბამი გაიკეთა, ნავაზს ისე აუციმციმდა თვალები, მისი მნახველი იფიქრებდა, სპილენძის ფიფიტების უბრალო ყელსაბამი კი არ აჩუქა თავის ჩხურის, სულ ცოტა, მარმარილოს ტაჯ-შაჰალი მაინც აუშენაო. მართალი უთქვამთ ბრძენ ადამიანებს: სიყვარული ბრმა არისო, რადგან შეყვარებულები ვერაფერ განსხვავებას ვერ ხედავენ იაფფასიან ყელსაბამსა და უმშვენიერეს მარმარილოს აკლდამას შორის.

ჩხურამ მადლიერების თვალთ შეხედა ნავაზს. ყელსაბამი ხელში შეათამაშა და ეშმაკური ღიმილით თქვა:

— რა ცუდია!..

ნავაზს გაელიმა, თავი გააქნია, შემოტრიალდა და თავის სახლისაკენ გაიხედა. იქ ახალა უკვე ეძინათ მის შობლებს. შუალამე გადასული იყო. ნავაზი და ჩხური ღრმა თოვლში მიდიოდნენ. ჩხური ხომ დედამიწის იმ მილიონობით ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ფეხი არასოდეს არ შეუღდამთ ტახტრევანზე, რომლებიც ბავშვობაში არასოდეს არ დაურწვევიათ აკვანში და არასოდეს ეტლში არ მჯდარან. ეს ქალები მიწაზე ფეხით დადიან მანამდე, ვიდრე არ გაივლის მათი ახალგაზრდობა, ვიდრე არ დაუდგებათ სიბერე და არ მოუახლოვდებათ სიკვდილი, და მაშინ ისინი დადლილები, ბორძიკ-ბორძიკით უხმოდ ჩადიან სამარეში. ამ მაშვრალთა მთელი ცხოვრება აუტანელ შრომაში გადის, თუმცა ისინი არიან სწორედ ზამთრისაგან გათოშილ სამყაროში გაზაფხულის პირველი მაცნეები. მაგრამ ვანა მართალია, რომ ამ მუღმივ შრომელთა ცხოვრების გზაზე ვერასოდეს ვერ შეხვდები ტახტრევანს და რომ ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე განწირულნი არიან უმწყო არსებობისათვის, არ იციან რა არის დასვენება და არ გააჩნიათ იმედები?!

პირველი სამი კოსი ჩხურამ ღრმა თოვლში ნავაზთან ერთად გაიარა.

მთვარიანი ღამე იყო. ბურუსისაგან თოვლს ქვესავით მავარი კლიბი გადაეკრა. ჩხურის გვერდით მიყვებოდნენ ვაზი. მისი ძლიერი ხელი მუღამ მზად იყო საყვარელი ადამიანის დასახმარებლად. ჩხური დაიღალა და უკან ჩამორჩა. ნავაზს გაელიმა, ხელში აიტაცა და მხარზე შეისვა. დარჩენილი გზა ნავაზმა ხელში აყვანილი ატარა ჩხური.

ნავაზმა კვლავ შეხედა თავის სახლს და თქვა:

— აი, მოვედით.

— ახლა მე თვითონ წამოვალ, — უთხრა ჩხურამ.

მაგრამ ნავაზს კვლავ ხელში აყვანილი მიყავდა იგი. მიწური ქოხი თოვლში ჩაფლულიყო. ქიშკარი ღია დახედათ. ნავაზი ეზოში შევიდა. ეზოში სიბნელე და სიჩუმე იდგა. წინ არავინ შეგეგებიათ. ნავაზის შობლებს ეგონათ, რომ მათი შეილი ხვალ დაბრუნდებოდა და ჩაძინებოდათ. ისინი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ნავაზი ასეთ თოვლში ამხელა გზას გამოივლიდა და შუალამისას სახლში დაბრუნდებოდა. ქოხიდან ხვრინვა მოისმოდა. ჩხური თავის ახალ სახლს უყურებდა. იგი არაფრით არ განსხვავდებოდა მისი საკუთარი სახლისაგან. მასაც ასეთივე ეზო და ერთოთახიანი ქოხი ჰქონდა. სოფლის მამასახლისის გარდა, ყველა გლეხის სახლი ასეთი იყო. ამ სახლებში ცხოვრობდნენ თვითონ და საქონელიც აქვე ჰყავდათ. ასე ცხოვრობდნენ გლეხები ასეულ წლებით.

ნავაზმა ფრთხილად დასვა ჩხური მიწაზე. ქოხიდან კვლავ მშვიდი ხვრინვა მოისმოდა. დიდხანს იდგნენ ასე მდუმარედ. შემდეგ ნავაზმა ჩურჩულით უთხრა:

— ნუ გავალევიძებთ.

ნავაზი დაიხარა, თავლაში შევიდა, ტყავის ნაჭერი აიღო და მიწაზე გაფინა. გვერდზე სახარაზო ხელსაწყო ეყარა. იქვე ახლოს ცხვარსა და ბატკანს ეძინა. ნავაზმა ტყავს ზემოდან ძველი შალის საბანი გადააფარა, ფეხსაცმელი გაიხადა, წამოწვა და ჩხურის უთხრა:

— მოდი, ჩხური.

ბოძე მიყრდნობილი ქალი უძრავად იდგა. ბოლოს დაიხარა, ფეხსაცმელი გაიხადა და საბანზე წამოწვა. მერე ხელი გადაყო და ბატკანს მოეფერა.

ცოტა ხნის შემდეგ ნავაზმა ჩხურის ქვითინი გაიგონა.

— რა მოგივიდა, ჩხური? — ჰკითხა შეშფოთებულმა ნავაზმა. ცოლს, ხელი მოჰხვია და ცრემლები შეუშშრალა.

— დედა გამახსენდა, — ქვითინით წარმოთქვა ჩხურიმ.

დილით ეზოში გამოსულმა ნავაზის დედამ თავლის ქვეშ ტყბილად მძინარი შვილი და რძალი დაინახა. ჩხურის ნავაზის მხარზე დაედო თავი, ლოყებზე ცრემლის ნაკვალევი ისევ ემჩნეოდა. ქვეშ ძველი ტყავი ეფინათ, თავზე

მთვარე დაჰნათოდით, მარჯვნივ სანბრაზო ხელსაწყო ეყარა, მარცხნივ ცხვარსა და ბატკანს ეძინა. გარეთ კი თოვდა. მთელი ეს სურათი უბიწოებითა და სიწმინდით სუნთქავდა. და თუ ქვეყანაზე არსებობს სილამაზე, სიმათლე და სათნოება, მაშინ ეს ყველაფერი ამ დღეს აქ იყო. გულაჩუყებულ დედას ცრემლები მოერიდა. სურდა ორივე გულში ჩაეკრა და როგორც ბავშვებს მოფერებოდა. ეზოს ბედნიერი თვალი მოავლო, მერე კი თითქოს ადამიანის ურცხვ გაჭირვებასა და ძნელბედობას ემუქრებო, ჩურჩულით წარმოთქვა:

— შეხედეთ, ყურადღებით შეხედეთ! აი, დედამიწის ორი უმშვენიერესი ყვავილი.

თარგმანი აკაკი კობახიძისა.



გ. პიჭაძე

რუსეთის შეზღვევნილობაში აზერბაიჯანის შესვლის ისტორიული მნიშვნელობა

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვან ეტაპად იქცა ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში.

1801 წელს ალექსანდრე პირველის მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. დაიწყო მთლიანად ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების პროცესი.

ცარიზმი თავის პოლიტიკას ყოველთვის გაბატონებული კლასების ინტერესების შესაბამისად ახორციელებდა. კავკასიაში მისი პოლიტიკა ნაკარნახევი იყო ახალი ტერიტორიული შემატების სურვილით, რაც გაზრდიდა რუსეთის სიმდიდრეს ბუნებრივი რესურსებით.

ცარიზმი ახალ ტერიტორიებს იერთებდა მისთვის ჩვეული, დამახასიათებელი სამხედრო-ფეოდალური მეთოდებით.

მეფის მთავრობის დიპლომატია მობერხებულად იყენებდა ამიერკავკასიის ხალხების როგორც რელიგიურ და კულტურულ ერთობას რუს ხალხთან, ისე მათ მისწრაფებას რუსეთისაკენ, რაც გამოწვეული იყო ირანელი და თურქი დამპყრობლების უღლისაგან თავის დახსნის დიდი სურვილით.

ფ. ენგელსი რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას აღნიშნავდა: „Стоило лишь России объявить о своем призвании защищать угнетенную православную церковь и поработенное славянство, как почва для завоеваний — под маской освобождения была уже здесь

подготовлена. Точно так же к югу от Кавказского хребта под турецким владычеством находились небольшие христианские государства и исповедующие христианство армяне, по отношению к которым царизм мог провозгласить себя «освободителем»!.

რუსეთის მთავრობას მოწინააღმდეგეებად ერთი მხრივ ირანი და თურქეთი ჰყავდა, რომლების უკან ინგლისი და საფრანგეთი იდგა, ხოლო მეორე მხრივ — ჩრდილოეთ კავკასიის და უმორჩილებელი მთიელები. ამის გამო ცარიზმი ამიერკავკასიაში ახალი ტერიტორიების შექმნას ახდენდა რუსეთის ქვეშევრდომობაში ადგილობრივი მფლობელების ნებაყოფლობით გადაყვანის გზით. პირველ ხანებში ცარიზმი მათთან პოლიტიკური თანამშრომლობის მოწვევებითობას ინარჩუნებდა და მათ შინაგანი ავტონომიის უფლებებსაც კი უნარჩუნებდა. თანდათანობით კი ავტონომიის ყველა ნიშნები ისპობოდა. რადგან ნაციონალური თვითგამორკვევის უფლება თავისთავად უცხო იყო მეფის თვითმპყრობელობისათვის. ის ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური ექსპლოატაციის რეჟიმს ამყარებდა. ვ. ი. ლენინი 1899 წელს ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ განსაზღვრავდა რა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ამიერკავკასიის მიმართ, წერდა: „რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრო-

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 22, стр. 17.

ბა“ გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო ეს ეკონომიური დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დასრულებულა“¹

ამის გამო, რომ მეფის რუსეთის კოლონიები სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით ერთგვაროვანი არ იყვნენ, ცარიზმის პოლიტიკა სხვადასხვა ნაციონალურ რაიონებში განსხვავებული იყო. მისი ფორმები და მეთოდები ადგილობრივი პირობებისა და საგარეო ვითარების შესაბამისად იცვლიდნენ სახეს.

აზერბაიჯანში ცარიზმი იძულებული იყო ანგარიში გაეწია მუსულმანური მოსახლეობის სიჭარბისათვის, იურიდიულად გაფორმებული ბატონყმური ურთიერთობის არ არსებობისათვის, ადგილობრივ ფეოდალურ-კლერიკალურ დიდკაცობაში გავლენიანი პროირანული ელემენტების არსებობისათვის.

მეფის მთავრობა არ აპირებდა გაუქმებინა აზერბაიჯანში გაბატონებული ფეოდალური ურთიერთობა, რომელიც პატრიარქალურობის ძლიერი ვადმონაშთებით ხასიათდებოდა. პირიქით, ცარიზმი ამ დრომოკმული ურთიერთობის კონსერვაციას ისახავდა მიზნად. 1846 წლის 6 დეკემბერს ნიკოლოზ I რესკრიპტით, მეფის მთავრობამ დააკანონა და იურიდიულად გააფორმა დრომოკმული ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა. ცარიზმი ამით ადგილობრივ ფეოდალებთან დაახლოებას ეძებდა და ამით გამოხატა თავისი კლასობრივ ერთობა აზერბაიჯანის ფეოდალებთან. ამის შემდეგ ბევრ-აღალარებმა არა თუ თავი დაანებეს ოცნებას სახანოების აღდგენაზე, არამედ რუსეთის ცარიზმის ერთგულ მსახურებად იქცნენ.

მართალია სახანოების გაუქმება ხელს უწყობდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობას და ამდენად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ცარიზმმა აქ „საკომენდანტო მმართველობა“ შემოიღო და ახლად შექმნილ

პროვინციებს სათავეში რუსი ოფიცერი-კომენდანტები დაუყენა, რომლებსაც განუსაზღვრელი უფლებებანი ჰქონდათ; ისინი ერთპიროვნულად მართავდნენ მოსახლეობას და თავისი შეხედულებით აწესებდნენ კანონებს. ყოველივე ეს გზას უხსნიდა ყოველგვარ ბოროტმოქმედებასა და ძალადობას. თვით ცარიზმის მოხელეებიც კი ვერ მალავდნენ, რომ „საკომენდანტო მმართველობა“ სამხედრო ოკუპაციის რეჟიმის და აზიური დესპოტიზმის შერწყმას წარმოადგენდა. სენატორები მეჩინიკოვი და კუტაისოვი, რომლებიც 30-იან წლებში მხარის რევიზიას ატარებდნენ, აღნიშნავენ, მუსულმანურ პროვინციებში არსებული მმართველობის შემპირწუნებელ ფორმებს. აქ ადამიანურობა გაქედილი იყო, მართლმსაჯულება დავიწყებული, კანონი—მხოლოდ „შევიწროების იარაღი, ხოლო ოქჩის უფროსები, კომენდანტები და პრისტავები ანგარებით იყვნენ შეპყრობილი.“

1840 წელს აზერბაიჯანში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, საკომენდანტო სისტემა გაუქმდა და შემოღებული იქნა საერთო საიმპერიო წესები.

სახანოების ლიკვიდაციის შედეგად რუსეთის მთავრობამ ხელთ იგდო ყველა ყოფილი სახელმწიფო მიწები და ხანების საგვარეულოს კუთვნილი პირადი სამფლობელოები. კონფისკაციას აძენდნენ იმ ფეოდალთა სამფლობელოებისასაც, რომლებიც ახალი რეჟიმის მიმართ უკმაყოფილებას ამჟღავნებდნენ. ამის შედეგად ცარიზმი აქ მსხვილი ფეოდალი მესაკუთრე გახდა და ყოველივე ეს განსაზღვრავდა აზერბაიჯანში ფეოდალური ურთიერთობის შენარჩუნებით მის დაინტერესებას.

მაგრამ ამიერკავკასიაში შექმნილი კონკრეტული პირობების გამო, აზერბაიჯანის შეერთება რუსეთთან, მიუხედავად ცარიზმის პოლიტიკის კოლონიური არსისა, ობიექტურად პროგრესული მოვლენა იყო. მან უდიდესი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანელი ხალხის მთელ შემდგომ ბედ-იღბალზე.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

აზერბაიჯანის პროგრესი შეიძლება განხორციელდებულყო მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში მისი შესვლით. რუსეთი ირანთან და თურქეთთან შედარებით მოწინავე ეკონომიური წყობის ქვეყანა იყო.

ფ. ენგელსი, რომელიც ამბობდა ცარიზმის საგარეო პოლიტიკის რეაქციულ არსს, ააშკარავებდა მის მტაცებულ ზრახვებს, კოლონიზატორულ და მჩაგვრელურ მეთოდებს, ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთის პროგრესულ როლს აღმოსავლეთის ხალხების ისტორიაში. «Россия действительно играет прогрессивную роль по отношению к востоку... Господство России играет цивилизаторскую роль для Черного и Каспийского морей и центральной Азии, для башкир и татар»¹.

რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლა, ჯერ ერთი, ქვეყანას იფარავდა საგარეო საშიშროებისაგან— გამანადგურებელი შემოსევებისა და დარბევებისაგან, ამასთანავე სპობდა ფეოდალურ დაქუცმაცებულობას და ხანთა შინა ომებს და მოსახლეობას პირად და ჭონებრივ უსაფრთხოებას უქმნიდა. მეორეც, მას საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონდა. რადგან ფუშავდა ირანისა და თურქეთის აგრესიულ მისწრაფებებს ამიერკავკასიის მიმართ.

დიდი აზერბაიჯანელი მოაზროვნე მირზა ფათალი ახუნდოვი 1877 წელს აზერბაიჯანელ განმანათლებელს ჰასანბეგ ზარდაბისადმი მიწერილ წერილში იძლეოდა რუსეთთან აზერბაიჯანის შეერთების შეფასებას. იგი წერდა: «მადლიერი იყავი თუნდაც იმისთვის რომ რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის წყალობით, ჩვენ მოვისვენეთ იმ მტაცებელი ურდოების გაუთავებელი შემოსევებისა და ძარცვისაგან, წინათ რომ ჰქონდა ადგილი, და ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე მოვიპოვეთ».

მ. ფ. ახუნდოვი ხაზს უსვამდა, რომ რუსეთის მფარველობაში მუსულმანებს „...სიცოცხლე, საკუთრება და პატიოს-

ნება სრულიად გარანტირებული იქნებოდა, მაშინ როდესაც მათი მოძმენი სპარსეფსა და თურქეთში საცოდვე მდგომარეობაში და უდიდეს სიღარიბეში არიან».

უცხოელთა შემოსევების საშიშროების, შინა დაქუცმაცებულობის მოსპობამ და ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებამ კეთილმყოფელი გავლენა იქონია საწარმოო ძალთა განვითარებაზე. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა აზერბაიჯანის მოსახლეობის რიცხვის ის ზრდა, რომელიც XIX საუკუნის პირველ მესამედში შეიმჩნევა. მარტო ყუბის პროვინციაში 1807 წლიდან 1832 წლამდე სოფლების რაოდენობა 245-დან 292-მდე გაიზარდა.

აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ა.ს. სუმბატ-ზადე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი, აღნიშნავს „იდევე უფრო გასაოცარი იყო ამ სოფლებში კომლთა რაოდენობის ზრდა... თუ 1807 წელს ყუბის პროვინციაში 7964 კომლა ითვლებოდა, ხოლო 1810 წლის დასაწყისში ე. ი. სპარსულ ორიენტაციის მქონე უკანასკნელ ყუბელ მფლობელთან ომის შემდეგ — კიდევ უფრო ცოტა; სახელდობრ 5088 კომლი, უკვე 1832 წელს ე.ი. რუსეთთან ამ პროვინციის შეერთების 22 წლის შემდეგ, მასში კომლთა რიცხვი 19954 გახდა, ე. ი. ორჯერ და მეტად დიდი 1807 წელთან შედარებით.

25 წლის განმავლობაში ორჯერ და მეტად გაიზარდა კომლთა რაოდენობა თვით ქალაქ ყუბაში: 1807 წელს 310 კომლი იყო, ხოლო მეოთხედი საუკუნის შემდეგ მათი რაოდენობა 650-მდე გაიზარდა».

მოსახლეობის ასეთი მკვეთრი მატება აიხსნება XVIII საუკუნის ბოლოს და რუსეთ-ირანის 1804—1813 და 1826—1828 წლების ომების დროინდელი ლტოლვილების დაბრუნებით. მაგალითად, 1813 წლის შემდეგ, 3 წლის განმავლობაში, ყარაბაღში თავის მშობლიურ ადგილებში 4000-მდე ოჯახი დაბრუნდა და, თუ 1816 წ. იქ 7,9 ათა-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 27, стр. 241.

სი ოჯახი ითვლებოდა, 1823 წ. უკვე 18,6 ათასი ვახდა, ე. ო. ორჯერ მეტი.

აღნიშნულ ხანაში მნიშვნელოვნად ვაიზარდა ქალაქი ბაქო. თუ 1807 წელს ქალაქში მხოლოდ 500 სახლი ითვლებოდა, 1832 წელს მათი რაოდენობა უკვე 1358 ვახდა. თანამედროვეების მოწმობით. ბაქოსკენ მიედინებოდა გადმოსახლებულთა ნაკადი „ყუბდინან, შირვანიდან, მულანიდან, რომლებსაც ბაქოს სავაჭრო ნავსადგური და ნავთობითა და მარილით მდიდარი აფშერონის ნახევარკუნძული იზიდავდა“. მშვიდობიანი ცხოვრების პირობებმა ჩქარა იჩინეს თავი ქვეყნის სამეურნეო განვითარებაშიც.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის ეკონომიური პროგრესი მარცვლელი კულტურების ნათესი ფართობების გადიდებით და მეურნეობის ამ დარგში საქონლიანობის ზრდით გამოიხატებოდა. ფულის, წონისა და ზომის ერთიანი სისტემის შემოღებამ და შინა საბაჟო საზღვრების მოსპობამ ხელი შეუწყო სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებას აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობაში.

უკვე რუსეთთან აზერბაიჯანის შეერთების თვით მსვლელობაშივე დაიწყო რუსი სპეციალისტების მიერ აზერბაიჯანის ბუნებრივი სიმდიდრეების მეცნიერული გამოკვლევა, რითაც საფუძველი ჩაეყარა მათ სისტემატიურ შესწავლასა და ექსპლოატაციის დაწყებას მომავალში. XIX ს. მეორე ნახევარში აზერბაიჯანის ეკონომიური ცხოვრება რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას დაუკავშირდა და მის გავლენაში მოექცა. ე. ლენინი აღნიშნავდა რუსეთისა და განაპირა მხარეების ეკონომიკის მჭიდრო კავშირს და წერდა: „მრეწველობის განვითარება ცენტრალურ რუსეთში და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება განაპირა მხარეებში ერთმანეთთან განუწყვეტლად დაკავშირებული არიან და ქმნიან ბაზარს ერთმეორისათვის...“

მხოლოდ შინაურ და საგარეო ბაზართან მჭიდრო კავშირის გამო შეიქმნა შესაძლებელი ამ ადგილებს ასევე ჩქარი ეკონომიური განვითარება“.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ აზერბაიჯანში მიმდინარეობდა ძველი, კარჩაკეტილი მეურნეობის მსხვრევა, ფეოდალური მეურნეობის ხრწნა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის პროცესი. აზერბაიჯანი თანდათან რუსეთის ეკონომიური განვითარების კალაპოტში დგებოდა. ერთგებოდა რუსეთის ბაზარში, რომელიც მას მსოფლიო საქონლებრუნვაში ითრევდა.

განვითარება დაიწყო მეზამბეობამ, მეაბრეშუმეობამ, გაჩნდნენ რიგი სამრეწველო საწარმოები — მსხვილი სპილენძისაღმწელი ქარხანა, თამბაქოს, აბრეშუმსახვევი, ბამბის გაშქმენდი და ღვინის საწარმოები, თევზის სარეწები. რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უმსხვილეს სამრეწველო და პროლეტარულ ცენტრად იქცა ბაქო, რომელმაც 1898 წელს ნავთობის მსოფლიო მოპოვების ნახევარზე მეტი მისცა.

მაგრამ საერთოდ რევოლუციამდელი აზერბაიჯანი ისევე, როგორც რუსეთის სხვა ნაციონალური რაიონებიც, იმპერიის ჩამორჩენილ აგრარულ განაპირა რაიონს წარმოადგენდა.

აზერბაიჯანის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანული კულტურის განვითარებისთვისაც.

მოწინავე რუსულ კულტურასთან, მის დემოკრატიულ და რევოლუციურ ტრადიციებთან კავშირურთიერთობამ ცხოველმყოფელი გავლენა იქონია აზერბაიჯანის ეროვნულ კულტურაზე.

მოწინავე რუსული კულტურისა და ლიტერატურის გაცნობამ აზერბაიჯანულ კულტურას განვითარების ახალი პერიონტები და შესაძლებლობები გაუხსნა. პროგრესული რუსეთი აზერბაიჯანისათვის სინათლისა და იმე-

დის წყარო იყო. აზერბაიჯანელი მოღვაწეების მთელმა პლევადამ, მიიღო რა განათლება რუსეთში, მკვიდრო ურთიერთობა შეინარჩუნა რუსული მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებთან¹. გულთბილად და აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ რუს ხალხზე, მის მოწინავე კულტურაზე და ენაზე აზერბაიჯანელი ხალხის საუკეთესო შეილები ა. ა. ბაკიხანოვი, მ. ფ. ახუნდოვი, კასუმბეკ ზაქირი, მირზა კახემბეკი, მირზა ჯაფარ თოფჩიბაშევი და სხვ.

გამოჩენილი პოეტი სეიდ აზიზ შირვანი გატაცებით მოუწოდებდა თავის ხალხს შეესწავლათ რუსული ენა.

ქვეყნის ეკონომიკაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში მომხდარი ძვრები ამტკიცებდნენ ეროვნულ შეგნებას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, იქმნებოდა საჭირო პირობები აზერბაიჯანელების ერად ჩამოყალიბებისათვის. ცნება „მიღეთი“ (ერი) პირველად ხმარებაში მირზა ფათალი ახუნდოვმა შემოიღო. ხოლო თვით მცნება „აზერბაიჯანელი ერი“ 80-იან წლებში პირველად იხმარა ვაზეთმა „ქეშქიულმა“. ბურჟუაზიული ერის განვითარებას კი თან ახლდა მის შიგნით კლასობრივი დიფერენციაციის ზრდა, ანტიგონიზმის გაძლიერება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

რუსეთის შემადგენლობაში შესვლას აზერბაიჯანელი ხალხის მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტრომაც ჰქონდა, რომ ისტორიული განვითარების შედეგად რუსეთი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრად გადაიქცა.

მეფის რუსეთი ხალხთა საპრობილეს წარმოადგენდა. ცარიზმი ფართოდ ატარებდა არარუსი ხალხების ჩაგვრის პოლიტიკას; იყენებდა რა პრინციპს „დაპყავი და იბატონე“, იგი ერთა შორის

მტრობას აჩაღებდა. ცარიზმის პოლიტიკა შავრამული ნაციონალიზმით იყო გატენილი. „ამ პოლიტიკის მანვილი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ნიშართულია რუსეთის იმ ხალხთა უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელნიც მისი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. (თხზ., ტ. 19, გვ. 87).

ნაციონალური ჩაგვრის გაძლიერება ხალხთა აღშფოთებას იწვევდა, ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აღადგენდა. ამ ბრძოლაში ისინი რუს ხალხთან ერთად გამოდიოდნენ.

თუ მეფის რუსეთი აღაშფოთებდა ხალხებს, პუშკინისა და დეკაბრისტების, ჩერნიშევსკისა და გორკის რუსეთი მათთვის მიზიდულობის ცენტრი, ქეშმარიტი მეგობრებისა და დიდი კულტურის ქვეყანა იყო. ბრძოლის ამ პროცესში ისახებოდა და ვითარდებოდა ხალხთა ქეშმარიტი მეგობრობა.

მოწინავე რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები ღრმა პატივს სცემდნენ სხვა ხალხებს. მთელი სიმტკიცითა და გამხედობით ააშკარავებდნენ მეფის მთავრობის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის ველიკოდერჟავულ არსს.

ა. ს. გრიბოედოვი, რომელიც ჰეცხავდა მეფის ხელისუფლების ძალადობას კავკასიაში, აღნიშნავდა: „შიშითა და გულუხვობით მოქმედება შეიძლება მარტო დრომდის“... „არაფერი ისე მკვიდროდ არ დააკავშირებს რუსებს მათ ახალ თანამოქალაქეებთან კავკასიის ქედის გადმოღმა, როგორც მათი საერთო ინტერესების დაცვა“.

დეკაბრისტი ნ. ი. ლორერი აღნიშნავდა: „ცეცხლი და მახვილი არ მოგვიტანს სარგებლობას, ან და ვინ მოგვცა ჩვენ უფლება ამ სახით შევიტანოთ განათლება ხალხში?“.

დეკაბრისტებთან ახლო მდგომი გენერალი ნ. ნ. რავესკი სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს სწერდა: „ჩვენი მოქმედება კავკასიაში მოგვაგონებს ესპანელების მიერ ამერიკის თავდაპირველი დაპყრობის დროს მომხდარ ყვე-

¹ В. Ю. Ахундов. 150 лет вхождения Азербайджана в состав России. Баку, 1964, стр. 15.

ლა უბედურებას... ღმერთმა ქნას, რომ კავკასიის დაპყრობამ რუსეთის ისტორიაში არ დასტოვოს სისხლიანი კვალი, მსგავსად იმ კვალისა, რომელიც, დატოვეს ისტორიაში ესპანელმა დამპყრობლებმა“.

დეკაბრისტები და მათთან ახლოს მდგომი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები თანაუგრძნობდნენ ცარიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხებს. მაგრამ რუსი თვადანაურული რევოლუციონერების შეხედულებები ნაციონალურ საკითხზე ასახვდნენ მათი კლასობრივი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ შეზღუდულობას. ისინი სთვლიდნენ, რომ რუსეთის შემადგენლობაში სხვა ტერიტორიების შეყვანა უნდა მომხდარიყო „კეთილმოწყობის“ პრინციპის მიხედვით, ე. ი. მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით.

რევოლუციური ინტელიგენციის შემდგომი თაობა ვასცილდა რევოლუციური თვადანაურობის იდეებს და მივიდა იმ აზრამდე, რომ აუცილებელი იყო რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების პროგრესული ძალების კავშირი რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან ერთად რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატიები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევდნენ ეროვნებათა ურთიერთ დამოკიდებულების პრობლემებს. რევოლუციური მოღვაწეები რუსი ხალხისა და რუსეთში შემავალი სხვა ხალხების ერთობლივ ბრძოლას განიხილავდნენ, როგორც მათი განთავისუფლების აუცილებელ პირობას. ეროვნული საკითხი დემოკრატიული გადატრიალების განუყოფელი ნაწილი ხდებოდა.

რევოლუციურ ბრძოლაში ყველა ხალხის გაერთიანების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა რუსე-

თის პროლეტარიატმა, რომელმაც მარქსიზმი ფართოდ გაავრცელა მთელ ქვეყანაში.

ლენინის მიერ შემუშავებულმა და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულმა ბოლშევიკების ეროვნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო რუსეთის პროლეტარიატისადმი რუსეთის ყველა ხალხის ფართო მასების სიმპატიები და მხარდაჭერა. ეს იყო ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ჩაგრული ეროვნებების მშრომელი მასების მხარდაჭერის გარეშე რუსეთის პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებდა რევოლუციაში. ხოლო რუსი პროლეტარიატის მხარდაჭერის გარეშე არარუსი ერები ვერ მოიპოვებდნენ ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებას.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე თეორიით, შეამკიდროვა რუსეთის ხალხები ერთ ბანაკად. პარტიამ ერთ რევოლუციურ ნაკადად შეაერთა საერთო დემოკრატიული მოძრაობა, გლეხურ-დემოკრატიული მოძრაობა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებასათვის, რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ იხსნა აზერბაიჯანელი ხალხი ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა სხვა ხალხი, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

დღეს აზერბაიჯანელი ხალხი, როგორც ეროვნულ დღესასწაულს, ზეიმობს რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავს, დიდ რუს ხალხთან მეგობრობის და ერთობის 150 წლისთავს.

ირაკლი მიქაბერიძე

ქიმიური მრეწველობა — პირველ პლანში

ქიმიური მრეწველობის, როგორც მრეწველობის ყველაზე მეტად პროგრესული დარგის, უპირატესი განვითარება შესაძლებლობას გვაძლევს დაეანჭროთ კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ქიმიური მრეწველობის განვითარებას აქცევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ამის უტყუარი დამამტკიცებელია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 1958 წ. მაისში და 1963 წ. დეკემბერში. მიძღვნილი ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისადმი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დეკემბრის პლენუმზე მრავალი, მდიდარი მასალი, როგორც ჩვენს ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის გამოცდილების საფუძველზე. გარჩეულია ქიმიური მრეწველობის განვითარების მთავარი ხაზები, განხილულია მის წინაშე მდგარი ამოცანები, კრიტიკულად შეფასებულია არსებული ნაკლოვანებანი და, დასასრულ, დასახულია უახლოესი პერსპექტივები ქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარებისა; ქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარების მეოხებით შესაძლებელია: ზღვება: ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების მძლავრი განვითარება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდების გზით; ბ) სახალხო მომხარების საქონლის წარმოების მკვეთრი ზრდა, გაუმჯობესება და გაიაფება; გ) მიწზე ინდუსტრიისა და მშენებლობაში ტექნოლოგიის სერიოზული გარდაქმნების განხორციელება და ამის საფუძველზე საწარმოო პროცესების დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და გაიაფება. მოკლედ შევებით ქიმიური მრეწველობის დასახლებულ უპირატესობებს:

ქიმიური მრეწველობის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში წარმოების ამაღლებისათვის. მინერალური სასუქები — აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, აგრეთვე, მცენარეთა დაცვის სხვადასხვა ქიმიური საშუალებები დიდად ამაღლებს მარცვლეულს, ხაშის, შაქრის კარხლის, ზაის, ყურძნის, თამბაქოსა და ბოსტნეულის მოსავლიანობას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა კი, თავის მხრივ, ხორცის, რძის და კარაქის წარმოების მკვეთრი ზრდის საწინააღმდეგარაა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში

ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა ჩატარდა საწარმოთა მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით, 1958 წ. მაისის პლენუმის შემდეგ. 1953 წელს საბჭოთა კავშირში სასუქების წარმოება შეადგენდა 7 მილ. ტონას, 1963 წელს იგი 20 მილ. ტონას აღწევს. მიუხედავად ასეთი მკვეთრი ზრდისა, ამ მხრივ ჩვენ სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ ის ციფრები, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე იყო მოხსენებული. 1962 წ. სსრ კავშირში ჰექტარ სახანვეზე მოდიოდა სტანდარტული სასუქი 62 კგ რაოდენობით, ხოლო მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე (სიშირდთან ერთად) შეადგენდა 10,9 ცენტნერს, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ამავე წელს ერთ ჰექტარ სახანვე ნიადაგში შეტანილი იყო 229 კგ ლოგრაში სასუქი და მიღებული იყო სამუდლოდ ჰექტარიდან 26,6 ცენტნერი მარცვლეულის მოსავალი.

როგორც ცნობილია, ერთი ტონა მინერალური სასუქის შეტანა ნიადაგში იძლევა მარცვლის 2-3 ტონით მატებას; უახლოეს პერიოდში დასახულია მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე გადიდდეს სულ ცოტა 5-7 ცენტნერით, რაც მოგვეცემს საშუალებას დამატებით მივიღოთ 5-7 მილიარდი ფუთი მარცვალი. ამის მისაღწევად კი საჭიროა ნიადაგში შევიტანოთ 70-80 მილ. ტონა მინერალური სასუქი. ეს ოდენობა მინერალური სასუქებისა არის სწორედ განსაზღვრული, როგორც პროგრამა 1970 წლისათვის. საჭიროა აქვე ვავიხსენოთ, რომ კაპიტალური დაბანდებანი, რაც მინერალური სასუქების მწარმოებელი ქარხნების აშენებას დასჭირდება, ანაზღაურებული იქნება ერთი წლის ვადაში მათი ამუშავების შემდეგ.

მინერალური სასუქები, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საარწყავი მიწათმოქმედების განვითარება დღეს ჩვენ გველინება, როგორც პარტიის, მთავრობის და მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო ამოცანა იმ დიდი პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ დაუსახა სოფლის მეურნეობას. მთავარი ის არის, რომ მინერალური სასუქების წარმოების დასახული პროგრამის განხორციელები-სათვის ჩვენს ქვეყანას გააჩნია, როგორც ფუნქციონირებს მინერალური შესაძლებლობანი.

ქიმიური მრეწველობის საშუალებით შესაძ-

ლებულია არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვის პრობლემის გადაჭრა, არამედ, სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის უზრუნველყოფის და მრავალფეროვანი ასორტიმენტით მოსახლეობის უზრუნველყოფა. „ხატონად რომ ეთქვას, — ამბობს ახ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — ქიმიას შეუძლია არა მარტო კვების, არამედ შემოსოს კიდევ ადამიანი, იგი ადამიანის ყოფაცხოვრებაში დამკვიდრებს მრავალ მოსახერხებელ, იაფ, პრაქტიკულ საკვანს“.

რამდენიმე სიტყვა ქიმიურ ბოქვოთა შესახებ. ქიმიურ ბოქვოებს ვაარჩევენ ორგეარს.

პირველი სახის ბოქვოებია ეთილური და აცეტატური. რომლებიც მიიღება ბუნებრივი მასალებიდან, უმთავრესად, ცელულოზისაგან.

მეორე სახის ბოქვოებს მიეკუთვნება სინთეზური ბოქვოები, რომელსაც იღებენ რთული ორგანული ნივთიერებისაგან (კაპრონი კაპროლქტამი, ლავსანი — პოლიეთერის ფისი).

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქიმიური ბოქვოების წარმოება 166 ათას ტონიდან 310 ათას ტონამდე, ე. ი. თითქმის ერთობრად გადიდდა. მოუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირში 1962 წ. ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული იყო 1,3 კგ, ქიმიური ბოქვო, იაპონიაში კი 6,4 კგ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 6,2 კგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 5,4 კგ, ინგლისში 5,3 კგ, იტალიაში 5,1 კგ. ქიმიური ბოქვოების ხედრითი წონა საფეიტრო ნედლეულის საერთო წარმოებაში

სსსკ 1950 წ. უდრიდა 2%, ხოლო 1962 წ. 12,5%, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი შეადგენდა 23,7%.

უახლოეს ხელწვლად — 1970 წ. დასახულა ქიმიური ბოქვოს წარმოება აყვანილ იქნას — 1,150 ათას ტონამდე, ე. ი. გადიდდეს თითქმის 4-ჯერ.

ქიმიური ნედლეულის ხვედრითი წონა გაიზარდება 38,5%-მდე. მთავარი ისაა, რომ ქიმიური ბოქვოებს აქვს მთელი რიგი მკეთრად გამოსახული უპირატესობანი; გარდა ამისა, სიმგერე, სიმკვრივე, ისინი გაცილებით უფრო იაფი ჯდება და მისაწვდომია მოსახლეობისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თვითღირებულება ერთი ტონა ნიტრონის ბოქვოსი, რომელიც მატყლის სრულფასოვანი შემცველია, შეადგენს არა უმეტეს 800 მან, ხოლო იგივე რაოდენობის ნატურალური მატყლისა — 3.090 მან., ლავსანისა კი — 970 მან.

ქსოვილების წარმოების მხარე უკვე 1970 წელს მთავალყოფილი ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე წარმოების დონეს, ხოლო ტრიკოტაჟის წარმოების მხარე მნიშვნელოვნად გაეაწრება.

თუ რამდენად ეფექტურია ქიმიური მასალების ფართოდ გამოყენება, ეს ჩანს იქიდან, რომ სავეგმო კომიტეტის განგაირშებთან ხელოვნურ

რი მასალებით ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებ წარმოებათა ისაშენებლად საქმერია 1970 წლამდე დაბანდეს 11 მილიარდი მანეთი. ეს მაშინ, როდესაც 1970 წელს გამოშვებული იქნება 1963 წელთან შედარებით 13 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების იაფი და მაღალხარისხოვანი ქსოვილები და ფეხსაცმელები, — ე. ი. კაპიტალური დაბანდენი ანაზღაურდება პროდუქციის მატების ხარჯზე.

სტეციალური განგაირშებებიდან ირკვევა, რომ 700 ათასი ტონა ბამბისა და 600 ათასი ტონა გარეცხილი მატყლის შენაცვლება ხელოვნური და სინთეზური ბოქვოებით მოგვცემს ეკონომიის მხოლოდ კაპიტალურ დაბანდებთან მოშკირნეობის ხარჯზე 4.215 მილიარდი მანეთის ოდენობით.

ქიმიურმა მრეწველობამ გადამწვევტი როლი უნდა შეასრულოს რეზინის და რეზინის ნაწარმის წარმოებაში, მანქანათმშენებლობაში და საერთოდ, მშენებლობაში, უმთავრესად, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების გამოყენებით.

1970 წელს გათვალისწინებულია გამოშვებულ იქნეს 3,5-4 მილიონი ტონა პლასტიკური მასები და სინთეზური ფისები, რაც ექვს-შვიდ ჯერ აღემატება ამჟამინდელი წარმოების მოცულობას. ამ მასალის ეფექტიანობის ნათესაყოფად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ფოლადის შენაცვლება პოლისტიროლით ამცირებს კაპიტალური დაბანდების ხვედრით წონას დაახლოებით 3,5-ჯერ. თითქმის მიმდინარე ხარჯების თანაბრად, ამავე პოლისტიროლით სპილენძის შენაცვლება კი შეამცირებს ხვედრით კაპიტალურ დაბანდებს 20-ჯერ და აშენებლექ მიმდინარე ხარჯებს.

პლასტიკური მასების დანერგვა იწვევს ეკონომიის არა მარტო იმ ხარჯებისა, რომელიც მათ მოპოვებასთან არის დაკავშირებული, არამედ, აგრეთვე; მათ დამუშავების პროცესშიც. პლასტიკისადე გაყოფილი დეტალების მზადება ჩამოსხმის საშუალებით სათანადო პრესფორმებში, მისთან ოპერაციითა რაბდენობა ლითონის ფორმებთან შედარებით 4-6 ჯერ მითირდება, ხოლო აღჭურვილობის რაოდენობა 10-25-ჯერ.

სულ პლასტიკურ მასათა წარმოების გასაღიღებლად გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი 7,3 მილიარდი მანეთის ოდენობით. მოვიყვანოთ ის განგაირშება, რომელიც არის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში. პლასტიკების გამოყენებით მრეწველობაში, მშენებლობაში მიღებული ეკონომიური ეფექტი 1964-1970 წ. წ. გამოიბატება

თვითღირებულების შემცირებით — 1,8 მილიარდი მან.; კაპ. დაბანდებათა შემცირებით სხვადასხვა ღარგებში — 2,0 მილიარდი მანეთი

სულ 3,8 მილიარდი მან.

მასხალად, ყველა კაბიტადღებანდება პლასტიკების მრეწველობაში 1964-1970 წლებში ორნამენტურ, სულ ბევრი სამ წელიწადში ანაზღაურდება. ასეთია პლასტიკებისა და ფილების წარმოების მაღალი ეკონომიური ეფექტიანობა.

რამდენიმე შენიშვნა გვინდა გაეკეთოს ქიმიზაციის ეკონომიური ეფექტიანობის შესახებ საქართველოს მეურნეობის სინამდვილეში. ქიმიური დაქუჩავება მეთოდება ფართოდ უხდა დაიბრგოს, უწინარეს, სოფლის მეურნეობაში — მინერალურ სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებთან წინააღმდეგ მებრძოლ საშუალებათა სახით (ქერბიცილები, სხვადასხვა შესამთვთიერებანი, ვოგირდი, შამბიამბი და სხვა).

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მინერალური სასუქების მნიშვნელობა ჩაის კულტურისათვის. ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციებში მინერალურ სასუქების შეტანა საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფს საშუალოდ 2.000 კგ მწკავე ფოთლის დამატებითი მოსავლის მიღებას. ჩაით დაფარული მთელი ფართობის მიმართ ეს უძრავი დასაბუთებთ 100 ათას ტონას, ანუ 70 მილ. მან. დამატებით შემოსავალს წელიწადში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. დამატებით მიღებულ ჩაის მწკავე ფოთლიდან ჩაის ფაბრიკაში დამზადდება 25 ათასი ტონა შავი პიხოს ჩაი, რომლის ღირებულება საცალო ფასებში უდრის 19,3 მლ. მან. აქედან წარმოებებს ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, საბელმწიფო ძირითადი მოკვებისა და ბრუნვის ვადასახადის სახით ღებულობს სოციალისტურ დაგროვებას 98,6 მილ. მან. რაოდენობით. თუ ამას გამოვკლებთ ხარჯებს, რაც გაწეულ იქნა მინერალური სასუქების შეტანაზე და გამოყენებაზე, მივიღებთ წმინდა შემოსავალს 95 მილ. მან. რაოდენობით. ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი ეკონომიური ეფექტიანობა აქვს მინერალური სასუქების წარმოების ვადიდებასა და მათ რაციონალურად გამოყენებას საქართველოში. ამიტომ მომდევნო წლებში ყველა ღონე უნდა ეთმობოდეს, რათა გავეადოთ საქართველოში სოციალისტური ინსტიტუტის წარმოება და შევქმნათ ბაზა სუბერფსოფის წარმოებისათვის.

დიდი მოპაველი აქვს ქიმიური მასალების გამოყენებას მანქანათმშენებლობაში. მანქანების ცალკე კვანძების, დეტალებისა და ნაწილების დამზადება პლასტიკური მასებიდან და სინთეზური ფიბრიდან მეტოთად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და 5-6-ჯერ მეტად ამცირებს დეტალებისა და კვანძების თეთლირებულებას. მათი დანერგვის შედეგად ვლბულობთ შავი და, განსაკუთრებით, ფერადი ლათონების უღიდეს მომპირნობას, საქმარისა ვიჯისე-

ნით, რომ ფოლადის, თუჯის ხსნელთან ვაკეთებელი დეტალებს ნაშადის შექნიცური დამუშავების შედეგად ჩარბნენქმეცტრებზე ბერბუშელის სახით 4,5 მიტმეცტრებზე უმეტეს ლითონი, რაც, რასაკვირველია, პლასტიკური მასებიდან დამზადების ბირბებში გამორიცხე-

ლია. საბჭოთა კავშირის მრავალ მანქანათმშენებელ საწარმოში ფართოდ იყიდეს ფეს პლასტიკური მასალებიდან ვამზადებული დეტალები და კვანძები.

მაქანათმშენებლობის ისეთ დარგებშიც კი, როგორცია ჩარბმშენებლობა, ინერგება ეს შესანიშნავი მასალები შავი და ფერადი ლათონების ნაცვალზე. მოსკოვის ცნობილი ჩარბმშენებელი ქარხანა „კრასნი პროლეტარი“, მსხვილ სერიულ სახარატო ჩარბის დამამზადებლად, რომელიც 850 დეტალიდან შედგება, უკვე ამჟამად 51 დეტალს პლასტიკური მასალიდან ამზადებს და ამით ყოველწლიურად ზოგავს 1100 ტონა ლითონს. ასე, მაგალითად, ძრავთბელი — შინდელამდე მოძრაობის ვადასაცევიდ ლილეა დამამზადებლად ღლემდე იყენებდენ თუჯს. მისი წონა იყო — 30 კგ. ხოლო წმინდა წონა შექანიცური დამუშავების შემდეგ — 17 კგ. 40 მსმ შეადგენდა ბერბუშელა, პლასტიკური მასიდან დამზადებული, იგი ამჟამად ჯდება — 5-ჯერ იაფი, ეიდერ ლათონიდან ვაკეთებელი. უფრო სწრაფად კეთდება და მეკოთრად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ამ მიმართულებით ჩვენს მანქანათმშენებელ ქარხნებს დიდი, ვერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობანი ვამჩნავთ. საჭიროა მიწისროგდეს ქარხნების მოპირავება სათანადო პლასტიკური მასალებით და სინთეზური ფიბრით, კარავის სახ. ჩარბმშენებელი ქარხანა ამ მხრივ ვერ ჩამორჩება „კრასნი პროლეტარის“ ქარხანას. იგი ამჟამად იყენებს პლასტიკური მასალიდან დამზადებულ მხოლოდ 13 დეტალს, რაც, რა თქმა უნდა, სკამარისი არ არის და არ შეეფერება არსებულ შესაძლებლობებს.

დიდი პერსპექტივები ესახება თბილისის სახეობ ჩარბების ქარხანას (დირექტორი ჭორბენაძე). პლასტიკური მასების გამოყენების საქმეში.

საბერბი ჩარბის ახალი მოდელის კონსტრუქცია ისეა დამუშავებული, რომ პლასტიკური მასალებიდან ვაკეთოს 160-ზე მეტი დეტალი, რომელთა წონა ჩარბის წონის 13%-ს აღემატება.

ბათუმის გემთმშენებელმა ქარხანამ ბირეველად საბჭოთა კავშირში ფართოდ გამოიყენი მინის პლასტიკური და სექმეში ბიონერის როლი შესარულა.

კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობაში, ქიმიური მასალების გამოყენებას უფრო მეტად ელექტროტექნიკურ საწარმოთა მშენებლობაში.

ყურადღება უნდა მიექცეს. ეს ის რეზერვია, რომელიც გამოიწვევს მანქანათა წონის შემცირებას, წარმოებაში შრომის ნაყოფიერების გაღვივებას და პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრ შემცირებას.

დიდი შესაძლებლობანი მოგვეპოვება, აგრეთვე, ქიმიური ბოჭკოების გამოყენების საქმეში. მსუბუქ მრეწველობაში იმეამდ ჩვენ შედარებით ფართოდ ვიყენებთ ხელოვნურ ბოჭკოებს (შტაპელის, ვისკონისა და აკეტატის ბოჭკოებს), ხოლო სინთეზურ ბოჭკოებს, ისეთებს, როგორცაა კარონი, ლავსანი, ნიტრონი და სხვა, წერტილობით მცირე რაოდენობით ვამუშავებთ. ამ მასალის ფართო გამოყენებისათვის ჩვენ უნდა შევიქმნათ სათანადო სიმძლავრეები, მით უმეტეს, რომ კარონის ბოჭკოს დიდი რაოდენობით დაამზადებს რუსთავეის კაბრონის ბოჭკოს ქარხანა. ქიმიური ბოჭკოთა გამოყენებას საფუძველზე მკვეთრად გადიდდება საქართველოში უახლოეს შეიღწეულში (1964-1970 წწ.) ტრეკტაჟის მრეწველობა, როგორც მსუბუქი მრეწველობის ყველაზე მჭიდროდ პროგრესული დარგი. როგორც ცნობილია, მრეწველობის ეს დარგი 10-ჯერ უფრო ეფექტურია საქსოვ-სართავ წარმოებასთან შედარებით. საგვემო კომისიის წინაშეა განაგრძობდა, განზრახვითაა 1963 წელსთან შედარებით 1970 წელს წინდებისა და ჩელქების წარმოების გადიდება სულ ცოტა 3,5-ჯერ, ხოლო თვითრეული ტრეკტაჟისა — 3-ჯერ. კარგი პერსპექტივები უსახება საქართველოში უქსოვად მასალათა წარმოებას განვითარებას; ამ დარგის წარმოთა განვითარებამ უახლოეს წლებში ფართო განვითარება უნდა პოვოს ჩვენს რესპუბლიკაში.

დიდი მომავალი აქვს პლასტიკურ მასალებსა და ფისებისგან დამზადებულ მასალებს გამოყენებას მშენებლობის დარგში. იმეამდ მშენებლობაში წარმავლობით ინერგება ისეთი ქიმიური მასალები, როგორცაა პლასტმასის მიღები, მინაპლასტიკები, პოლიპროპილენის ლინოლეუმი და სხვა. ამ მასალების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის, მისი ვადებისა და ღირებულების შემცირებისათვის. იმისათვის, რომ წარმოებაში პოლიმერული მასალები შემდგომში კიდევ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში პლასტიკური ფისების წარმოება მკვეთრად გაიზარდოს და, ამასთან, საქართველოში, კერძოდ, რუსთავეში, მოეწყოს ამონიაცის და კაბროლქტაჟის გამოყენების საფუძველზე ისეთი ფისების წარმოება, როგორცაა კაბრომილის ფისი, პოლიმერული ფისის, ამინოპლასტიკისა და რაბდომირტის ფხვნილი და სხვა.

მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში შეიქმნას სპეციალური ქარხანა,

რომელსაც შეეძლება პოლიმერული მასალებისგან დაამზადოს სხვადასხვა დეტალები და ამ დეტალებით ცენტრალიზირებულად მოეწყოს მარაგოს ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები.

როგორია საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობის განვითარების დონე და რა ღონისძიებებია დასახელო მისი შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის?

საქართველოს ქიმიური მრეწველობა გასული წლების განმავლობაში საქმიანოდ არ ვითარდებოდა. ასე, მაგალითად, რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში ქიმიური მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი 1958 წ. არ პროცენტს არ აღემატებოდა.

საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარებაში თვალსაზრისით როლს შეასრულებს საკუთრივ ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისი ნედლეული რესურსები, მეზობელი მომხმ რესპუბლიკების რესურსები და, ბოლოს, ჩვენი განვითარებული სამშენებლო ინდუსტრია.

უთანასწორო წლებში, განსაკუთრებით კი, სექტემბერ 1958 წ. მაისის პლენუმის შემდეგ, საქართველოში განაღდა მუშაობა დიდი ქიმიის ობიექტების ასაშენებლად, ხოლო მთელ რიგ საწარმოებში ინერგება ცალკეული დეტალებისა და ნაწარმის წარმოების ქიმიური მეთოდები.

საბჭოთა საქართველოს ქიმიური მრეწველობის სწრაფ წინსვლას განაპირობებს დიდი ქიმიის საწარმოს მშენებლობა ქ. რუსთავეში. როგორც ცნობილია, რუსთავეში ახლოვანი სასუქების ქარხნის ბაზაზე იქმნება მსხვილი საწარმო, რომელიც კაბროლქტაჟის გამოეშვებს. აქვე, რუსთავეში, კაბროლქტაჟისასავე დაამზადებენ სინთეზურ ბოჭკოს, რომლის ბაზაზე მოეწყობა ავტომობილის საღებავების კორდისა და აბრეშუმის წარმოება.

რუსთავეის კაბროლქტაჟის ქარხანა იქნება დიდი საწარმო, რომელიც მკვეთრად გააღვივებს ქიმიური მრეწველობის მთლიან პროდუქციას და ათასობით მუშასა და ინჟინერ-ტექნიკოსს დაასაქმებს მრეწველობის ამ პროგრესულ დარგში.

მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობა მარტოოდენ ზემოხსენებული დიდი საწარმოს შექმნით ვერ დაკმაყოფილდება. ჩვენს რესპუბლიკას აქვს საჭირო ნედლეული რესურსები და არაორგანული ქიმიის პროდუქტების წარმოების გადიდებაათვის.

რესპუბლიკის ნედლეულის რესურსებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა პოლიმერების და არაორგანული შენაერთების წარმოებისათვის, უნდა მივეთვინოს ზრუნვითი გაზი, რასაც საქართველად იღებს აზერბაიჯანიდან და სტაერობოლის მხარედანი ამ რესურსებს მიეკუთვნება. აგრეთვე, რუსთავეის მენტალურგული ქარხნის კოქსურს გაზი, რომელ-

საც ამჟამად იყენებენ სათბობად, რაც ბუნებრივია, არ არის რაციონალური.

ჭვირფას ქიმიურ ნედლეულს წარმოადგენს აგრეთვე, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ნახშირბადოვანი მდღობი გაზი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნავთობპროდუქტები და გაზი, პირბრტული კონცენტრატები, რომლებიც წარმოიქმნება მდღენელის საბადოს სპილენძის მადნის გაუხვების დროს. ჭვირფასი ქიმიური ნედლეულია, აგრეთვე, სხვადასხვა სახის მინერალური ნედლეული, — მარგანეცი, ბარიტი, ქვანახშირი და სხვა მთამადნეული.

საქართველოს ქიმიური მრეწველობის უკუღმე მნიშვნელოვანი, პირველი რიგის ობიექტია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომლის სიმძლავრე საჭიროა გადიდეს იმ ვარდობით, რომ შესძლოს დამატებით ათეულ ათასობით ტ. ამონიაკის გამოშვება. რომლის ერთი ნაწილი მოხმარდება კარბონილის (მარლოვანას) წარმოებას, რუსთავის ქარხნის ამუშავებამდე აზოტოვანი სასუქები რესპუბლიკაში შემოგვქონდა დონისაიდან (გორაკოვის ქარხნიდან), რის გამოც ყოველწლიურად მარტო ტრანსპორტისათვის ასიათასობით მანეთი იხარჯებოდა. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სიმძლავრის გადიდება შემდეგ, იგი გამოთვლებს ათასობით ტონა ამონიაკს წელიწადში, რაც საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავადილოთ ამ ქარხანაში მინერალური სასუქების წარმოება.

მარიალია საბჭოთა კავშირში ამჟამად დიდძალ მინერალურ სასუქს ვაწარმოებთ. მაგრამ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოთხოვნები ჯერ კიდევ სრულად როდი კმაყოფილდება. მინერალური სასუქების, კერძოდ კი, აზოტოვანი სასუქების ბალანსი დეფიციტურია. ჩვენს ქვეყანაში მთლიანად მინერალური და, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების წარმოების მკვეთრი გადიდება შემდეგ, საშუალება მოგვცემა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პროდუქტია სულ უფრო მეტი ოდენობით დავატოვოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და იგი გამოიყენოთ არა მარტო ტექნიკური და მრავალწლიანი კულტურების, არამედ მარცხდნული კულტურების ყანების გასაოყოფრებლად. მაგრამ რუსთავის ქარხნის დღევანდელი სიმძლავრე საკმარისი არ არის ამ ამოცანის გადამტარისათვის. ამასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ახლო წლებში რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოებას.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობაში მინერალური სასუქების გამოყენებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებასათვის. მრავალმხრივი ცდებით დადასტურებულია, რომ ჩვენს ქვეყანაში

არ არის ისეთი ნიადაგი, სადაც მინერალური სასუქის შეტანი არ იწვევებს ყველა სახის სოფლის მეურნეობრივი მცენარეების მოსავლიანობის გადიდებას. იშვიათად შემთხვევები, როცა ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანის შედეგით ნედლი ზამის მოსავალი ერთ ჰექტარზე იზრდება 12-15 ც, ხორბლისა — 15, და შაქლის ქარხლისა — 80-100 ცენტრეა. მინერალური სასუქები ხელს უწყობს არამარტო უხვმოსავლიანობას, არამედ ადიდებას სოფლისმეურნეობრივი კულტურების გამძლეობის გავლის, მავნებლების, ავადმყოფობათა და სხვათა მიმართ.

ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა მკვეთრად ადიდება სპეციალური სოფლისმეურნეობრივი კულტურების მოსავლიანობას. ასე, მაგალითად, გამოცდილება ცხადყოფს, რომ მინერალური სასუქების შეტანის შედეგით თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობა მთლიანად რესპუბლიკაში დიდდება 25 პროც. ხოლო მთელ რიგ ზაიონებში — 100 პროცენტით. ჩიხს პლანტაციებისა — საშუალოდ 30-35 პროც. ხოლო ზოგან 80-100 პროცენტით.

თუ შეხვედვლობაში მივიღებთ იმას, რომ ზემოაღნიშნულ მრავალწლიან კულტურებს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ფართობი უჭირავს, გასაგებაა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მინერალური და, განსაკუთრებით კი, აზოტოვანი სასუქების წარმოების გადიდებას. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სიმძლავრის დასაბუთი გადიდება ეკონომიკურად მიზანშეწონილია და დიდად ეფაქტურია იქნება.

ქიმიის და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით ეს მშენებლობა შეძლება 1,5-2 წლით დაიქარდეს და 20 პროც. იაფი დაქდეს, ეილერ ასეთივე ახალი ქარხნის აგება. ამასთან, ქარხნის სიმძლავრის გადიდებას დასაბუთი გვეჩვენებს განხორციელების შედეგით, ჩვენ შეგვიძლია ადგილობრივი წარმოების აზოტოვანი სასუქით მთლიანად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება.

ამონიაკის წარმოების დამატებითი სიმძლავრის შექმნა საშუალებას მოგვცემს, ჯერ-ერთი, გავადილოთ აზოტოვანი სასუქების გამოშვება ასეულ ათასობით ტონამდე წელიწადში სულფატ-ამონიუმზე გადაანგარიშებით; მეორე, მივაწოდოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას კონცენტრირებული აზოტოვანი სასუქი — კარბამიდი (მარლოვანა), რასაც ვაცილებით უკეთესი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აქვს და, მესამე, იგი საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ რუსთავში კაპროლიქტამის, კალიუმის პერმანგანატის, მინანტუმის ორჟანგისა და მთელი რიგი სხვა ქიმიური წარმოების

გაფართოება, რისთვისაც საჭიროა ამონიაც, როგორც გამოსავალი ნედლეული.

პლასტიკური მასების საწარმოებლად საქართველოს სსრ-ისთვის ყოველწლიურად საჭიროა დაახლოებით 30 000 ტ. კარბამიდი. 1970 წ. ნავარაუდევია გამოყენებულ იქნას დიდძალი კარბამიდი, რომლის წარმოება შემდგომში გადიდება პლასტიკური მასების წარმოების გაფართოების კვალობაზე. კარბამიდის დარჩენილი ნაწილი გამოყენებულ იქნება პირეტცივის საყვავილად.

განავრცელებული ვეიზენებს, რომ ეკონომიკურად ყველაზე უფრო მიზანშეწონილია რუსეთის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოება, ვიდრე ამ სასუქების შემოტანა შორეული ჩაიონებიდან. ამასთან რუსეთის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოება საშუალებას მოგვცემს აქ წარმოებული ამონიაკის ნაწილს გამოვიყენოთ დიდი ეფექტურობის ტექნიკური კულტურების, მრავალწლიანი ნარგავების პლასტიკებში შესატანად კარბამიდი ასევე შეგვიძლია მოვიხმაროთ მეცხოველეობაში.

1966-1970 წწ. გვემთა საჭიროა გათვალისწინებულ იქნას კაპიტალდაზღვებები იმისათვის, რომ რუსეთის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში 1966 წ. დაიწყოს ამონიუმის მქლავრი სააქტროს მშენებლობა, რათა ქარხნის სიმქლავრე მნიშვნელოვნად გადიდება.

ამონიუმის წარმოების გადიდებასთან ერთად, მართებულია დაისვას საციოხი კაპიტალქტამის სააქტროს და სინთეზური ბოქოს ქარხნის მეორე რიგის სიმქლავრის მშენებლობის შესახებ. რუსეთის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში სააზიოსოდ არის რეალური შესაძლებლობანი. ამასთან დაკავშირებით, 1966-1970 წწ. გვემთათ გათვალისწინებულ უნდა იქნას კაპიტალდაზღვებანი იმისათვის, რომ გავადიდოთ კაპიტალქტამის წარმოების სიმქლავრენი. კაპიტალქტამის ნაწილი უნდა გამოვიყენოთ სინთეზური ბოქოს მოცულობით ნართისა და იმიტირებული შალის ნართის საწარმოებლად, რაზედაც დიდი მთხოვნილებაა, როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში.

რუსეთის სინთეზური ბოქოს ქარხნის გაფართოება ეკონომიკურად სრულად გამართლებულია, ეყნადან ამ ღონისძიებას 30 აზოტონალბები სასარგებო დასჭირდება, ვიდრე ახალი ასეთივე ქარხნის აგება მოითხოვს. ასე, მგავლითად, რუსეთის სინთეზური ბოქოს ქარხნის ერთი ტონა სიმქლავრის მშენებლობის ზედრი დანახარები 4 200 მ. უდრის, ხოლო მისი გაფართოების პირბეზში ეს თანხა დაახლოებით, 3 000 მ. შეადგენს. ამასთან, სინთეზური ბოქოს ქარხნის გაფართოება უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების გადიდებას და მნიშვნელოვნად შეამკირებს მის თეითღირებულებას.

დღის წესრიგში ასევე მწიველ დგას საქართველოში მანგანუმის ქიმიის ქარხნების მშენების საციოხი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მეცნიერულ-კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ასეარა შეფერხების გამო, მანგანუმის ქიმიის ობიექტების მშენებლობა დღემდე არ დაწყებულია, თუმცა ეს ობიექტები შედწლიანი გვემთათ ჟერ კლდე 1962 წ. იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა კავშირი ამჟამად კალოუმის პერმანგანატის საკუთარ მოთხოვნილებას იმპორტის მეოხებით დარავს. ამრტად მეტად აქტუალურია დაგაქარათ საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და 1965 წ. შევედგეთ ამ მეტად მნიშვნელოვანი ქარხნის მშენებლობას.

ეღმენებების მრეწველობას, როგორც ცნობილია, სჭირდება დიდძალი მანგანუმის ორკანგი; ამავე დროს, საკუთესო ხარისხის პეროქსიდული მადნის მოპოვება დღითი დღე მცირდება იმის გამო, რომ ჭიათურის მარგანეცის აუზში ამ მადნის მარაგი მეტად მცირეა. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური მანგანუმის ორკანგის გამოშვებას ჭიათურის ღარიში მადნიდან, რასაც შავ მეტალურგიაში არ იყენებენ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის ცდებით დამტკიცებულია, რომ ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ჭიათურის საბადოს კარბონატული მადანი.

რუსეთის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, ზემოხსენებული პროდუქტების წარმოების გარდა, მოეწყობა მთელი რიგი სხვა ქიმიური პროდუქციის წარმოება.

საწარმოთა ეს გამო უახლოვს წლებში უნდა შეიქმნას რუსეთში, რისთვისაც საჭიროა დივანქარათ დაპროექტების სამუშაოები, რათა დროზე დაეწყეთ ამ ობიექტების მშენებლობა.

რუსეთის ქარხანი გამოწვევებს დიდძალ სინთეზურ ბოქოს, რაც ადგილზევე უნდა გადაეაშუოთ. ამისათვის საჭიროა ამთავითვე დავიქიროთ თადარიგი და გამოვიმუშავოთ ღონისძიებანი მსუბუქი მრეწველობის შესაბამისი საწარმოების შესაქმნელად ჩვენს რესპუბლიკაში. ღაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობას საწარმოებში გამოვიყენოთ კარონის აბრეშუმი, მოცულობითი და სხვა სახის ნართი აბრეშუმის ქსოვილების, საღარდე ტულის, წინდისა და ტრიკოტაჟის წარმოებისათვის, 1966-1970 წწ. აბრეშუმის ქსოვილის წარმოების გასადიდებად საჭიროა აშენდეს სპეციალიზებული აბრეშუმსამქოვი ფაბრიკა, რომელიც, სხვა სინთეზურ ბოქოებთან ერთად, გამოყენებს კარონის აბრეშუმს. ფაბრიკაში უნდა დამონტაჟდეს 1500-2000 საქსოვი დაზგა, რომ ყოველწლიურად გამოშვებულ იქნას 20 მლნ. მეტრი მალახარისხისა და იათე აბრეშუმის ქსოვილი. ამას გარდა, კაბ

რომის ბოტკოს ნაწილის გადამუშავება მოხდება ხაშურის ტექსტილ-გალანტერიის ფაბრიკაში, რომლის პროექტი ამჟამად დგება. ეს ფაბრიკა გამოეშვება საფარღე ტულისა და საგალანტერიო ლენტებს.

უკვე 1965 წ. თბილისში უნდა აშენდეს აყოფილი ტრიაკოტაჟის ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად გამოეშვება 17 მლნ ცალ ნაწარმს. ეს ფაბრიკა იმუშავებს ელასტიკური და სანთეხური ნართით. ამას გარდა, საქიროს გამოიყენებით ყველა შესაძლებლობა რესპუბლიკაში წინდების წარმოების გასაფართოებლად. ამ მიზნით 1966-1970 წ. წ. საქიროს გათვალისწინებულ იქნას წინდების საქსოვი ფაბრიკის აშენება, რომელიც 8-10 მლნ. შამაკაის წინდის გამოეშვება.

განსაკუთრებული გულდასმით უნდა შევისწავლოთ ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხნის წარმავალი აირების გამოყენების საკითხი. ჩვენი ქიმიკოსების გამოანგარიშებით, ამ ქარხნის რეკონსტრუქციისა და დაბურთული ელექტროლუდების დადგმის შედეგში, შეიძლება დღევანდელი წარმავალი აირები, რომლებიც წარმოიქმნება ნახშირბადიანი ფეროშენადნობისა და ნახშირქვეყნანგისა და წყალბადის ქანვის შემცველი სილიკომანგანუმის დნობის დროს ამგვარად, ნახშირქვეყნანგისა და წყალბადის ქანვის კატალიზური სინთეზის შედეგად შეიძლება მივიღოთ მეტანოლი, შემდგომში ფორმალდეჰიდები, ზოლო აქედან ვაწარმოოთ ფისი, წებო და ა. შ.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ნავთობისა და აირის სხვადასხვა ფრაქციის პიროლიტიკის პროცესის დანერგვის დიდი პერსპექტივებია. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას უახლოეს წლებში ნავთობის გადამუშავება 50-60 პროცენტით გადიდების პერსპექტივები აქვს. სათანადო გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ უახლოეს წლებში პიროლიტიკისათვის ბათუმის ქარხანაში გამოიყენება ათი ათასობით ტ. ნედლეული. ამიტომ ეკონომიკურად სრულად გამართლებულია შეიქმნას ქიმიური ქარხანა, რომელიც გამოიმუშავებს დიდი რაოდენობის პოლიეთილენსა და პოლიპროპილენს. ამ პროგრესულ მასალას ფართოდ გამოიყენებენ სახალხო მეურნეობაში.

შინველწილიანი პერსპექტივები ესაბება საქართველოში მერქნის ქიმიურ და ქიმიურ-მექანიკურ გადამამუშავებას: როგორც ცნობილია, მერქნის მექანიკურა გადამამუშავების დროს მერქნის დანაკარგები შეადგენს 55-65 პროცენტს. ასე, მაგალითად, თუ საქართველოში ყოველწლიურად სახეხი და საფანერო მერქნის დამზადებისათვის გადამამუშავება 350-400 ათასი კუბ. მეტრი მერქანი, ნარჩენები — ხახვების, ბურბუშელის, ნაწიბურების, ნაკვერდულების ჩამონაპურების და სხვათა სახით, შე-

ადგენენ სულ მცირე 200-250 ათას კუბ. მეტრს, ამ რაოდენობით მერქნის ქიმიურ გადამამუშავების შედეგად ეკონომიურად გამოიმუშავდება მიღებული იქნას სხვადასხვა სახის მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის მეტად ეფექტური პროდუქცია. უპირველეს ყოვლისა, მერქნის მექანიკური გადამამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების პიროლიტიკური წესით გადამამუშავებით შესაძლებელია მივიღოთ ცილოვანი საქების საფუარი მეცხოველეობისათვის. ინტერესს არ იქნება მოკლებული მოვისხენით, რომ ერთი კილოგრამი საფუარის მიწოდება პირუტყვის, ან ფრინველსათვის, სხვა საკვებთან ერთად, საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დამატებით 0,75 კგ. ღორის, ანდა 2,2 კილოგრამი ქათმის ხორცი, 6 ლიტრი რძე, ანდა 30 ცალი კვერცი. საქართველოში ამჟამად მოქმედებს საფუარის ორი ქარხანა, ერთია — ენგურის ქალაქელებლობის კომბინატთან, ხოლო მეორე — ახმეტის ხე-ტყის დამამუშავებელ კომბინატთან. მოქმედებს საკვებ საფუარის საწარმოთა საერთო სიმძლავრე 4,5 ათას ტონას არ აღემატება, მაშინ, როდესაც საკვებ საფუარის მოძიებულა მხოლოდ საქართველოში შეადგენს ყოველწლიურად, არა უმცირეს, 70-80 ათას ტონისა. აქედან ბუნებრივია, თუ რაოდენ დიდი აქტუალობა აქვს საკვებ საფუარის წარმოების შემდგომ გადიდებას.

დიდი შესაძლებლობაა ესაბება, აგრეთვე, ხე-ტყის გადამამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენებიდან მერქან ბურბუშელოვანი ფილების წარმოების ორგანიზაციის მიმართულებით. ხე-ტყის კომბინატთან მოქმედებს მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოება 25 ათას კუბ. მეტრი სიმძლავრით, იგი შეცვლის 50 ათას კუბ. მეტრ დახერხილ მასალას, ანუ 77 ათას კუბ. მეტრ დასამტრებ მერქანს, რომლის მისაღებად საქირო იქნება სულ მცირე 100 ათასი კუბ. მეტრის მერქნის დამზადება და გამოზიდვა.

დასასრულ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ხის ტარის დამზადების ნაცვალად, მუყაოს გამოყენების ეფექტიანობა. საქართველოში ყოველწლიურად იხარება ხის ტარის დასამზადებლად რამდენიმე ასეული ათასი კუბიკური მეტრი მერქანი, რომლის ჩამონახვად დიდძალი სახსრებია საქირო. ყოველ მილიონ ყუთზე იხარება 20 ათასი კუბიკური მეტრანი, ხოლო ექვივალენტური მოცულობის მუყაოს ყუთზე კი საქიროს 6 ათასი კუბ. მეტრი დახალხაის-ხოვანი მერქანი, ანუ ნარჩენები.

საქართველოს ქიმიური მრეწველობის ზემოთ ჩამოთვლილი დიდი ცენტრების გარდა, არის პერსპექტივა, ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გაეფართოოთ მოქმედი და ავაშენოთ ქიმიური მრეწველობის ახალი საწარმოები. თვალსაჩინო პერსპექტივებია, აგრეთვე, ქუთაისის ლიტომონის ქარხნის სიმძლავრის გადიდებას

მხრივ. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა ამჟამად ჩვენს ქვეყანაში წარმოებელი ლიტოპონის დიდ ნაწილს უშვებს. მოთხოვნილება ამ ძვირფას საღებავზე სწრაფად იზრდება; ამიტომ საჭიროა გაეზარდოს ქარხნის სიმძლავრე, რის საშუალებასაც ისლევს ადგილობრივი ნედლეულის ბაზა — შალაღის ხარისხის ბარიტი, რომლის საკმაო მარაგი მოიპოვება ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოში მნიშვნელოვნად უნდა განავითაროს როგორც პლასტიკური მასების წარმოება, ისე ამ მასების გადამუშავება სხვადასხვა სახის საქონლის მისაღებად — ელექტროტექნიკის, მანქანათმშენებლობის, მშენებლობისა და ყოფაცხოვრებითი საჭიროებისათვის.

პლასტიკური მასების ქარხნის გარდა, საჭიროა რუსეთის აზოტოვანი სასუქების ქარხანასთან კომბინირებით უახლოეს წლებში საქართველოში ავაშენოთ რაბდოპისიტური პლასტმასების ქარხანა. ამ მასალის წარმოებისათვის მიზანშეწონილი იქნება ავაგოთ მძლავრი ქარხანა ტყიბულის საბადოს ლინტოპიტური გაფისული ქვანახშირის ბაზაზე. დესტრუქტირებული რაბდოპისიტი უზრუნველყოფს საკმაო რაბდოპისიტური პრესფხენილის წარმოებას. დესტრუქტირებული რაბდოპისიტი ძვირფასი პრაოდუქტია, რომელიც კარგად შეეხამება ფენოლურ ფისებსა და ფხენილებს. რაბდოპისიტური მასების წარმოების ტექნოლოგია დაამუშავა საქართველოს სსრ მეცნიერებმათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტმა. ჩატარებულმა ცდებმა კარგი შედეგი მოგვცა. ამჟამად, ქუთაისის ლიტოპონის

ქარხანაში მონტაჟდება და წელს ამუშავდება დიდი საცდელი დანადგარი.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის მრეწველთა თობელად საქირთა ვაეადილოთ ბარიტის მრეწველური მოპოვება. ამისათვის უახლოეს წლებში უნდა ავაშენოთ ბარიტის ახალი შალაღის საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში.

საქართველოს სსრ მრეწველობის პლასტმასის ნაწარმით უზრუნველყოფისათვის, საჭიროა უახლოეს ხუთწლეულში შეექმნათ საქართველოში საწნები საწარმოები პლასტმასების ნაწარმოებისათვის, რომლებიც წარმატებით ცვლის სპილენძს, ბრინჯაოს, სპეციალურ ფოლადსა და სხვა.

საქართველოში საჭიროა, აგრეთვე, ავაშენოთ ფართო პროფილის პლასტმასების სპეციალური ქარხანა, რომელიც გამოუშვებს სახალხო მოხმარების საგნებსა და სხვა ნაწარმს; ასევე უნდა ავაშენოთ ქარხანა პლასტმასის საშენი მასალების საწარმოებლად, და ქარხანა, რომელიც გამოუშვებს პოლიოფელენურ ფერბს.

ჩვენმა სიმეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, საპროექტო ორგანიზაციებმა, მგვემავმა ორგანიზებმა უნდა გასწიონ თელსაჩინო მუშაობა იმისათვის, რომ შემდგომ დაზუსტონ ამ საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, გააძლიერონ და გააღრმავონ ამ საწარმოთა ეკონომიკური გაანგარიშება და უზრუნველყონ ტექნიკური პროექტების შედგენა ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისათვის.

გიორგი მუხომბეძე

იოსებ ბრიგაზნიძე

ი. გრიშაშვილი თავის პოეზიაში ხედავს ორ ძირითად ნაკადს. „პირველი ნაკადი — ინტიმურ-სატრფიალო ლირიკისა, — აღნიშნავს იგი, — იწყება 1905 წლიდან და თავდება 1920 წელს, ხოლო მეორე, საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოტივების ნაკადი, რომლის ჩანასახები ჩემს პირველ ტომშიაც გამოკრთის, იწყება 1921 წელს და გრძელდება დღემდე, როგორც გაძლიერებული, გაბატონებული და დამოუკიდებელი მდინარეა ჩემს შემოქმედებაში“.

ეს დაყოფა რასაკვირველია, გაგებულ არ უნდა იქნას მეჭანჭურად. პოეტის შემოქმედების პირველი პერიოდი, განსაკუთრებით კი ამ პერიოდის დასაწყისი, ინტიმურ-სატრფიალო მოტივებთან ერთად შეიცავდა აგრეთვე საკმაოდ თვალსაჩინოდ გამოვლენილ სოციალურსა და საზოგადოებრივ მოტივებს ისევე, როგორც მეორე პერიოდსაც მკვეთრად ახასიათებს სატრფიალო-ინტიმური ლირიკის მოტივები. მაგრამ თუ მაინც მართებულია პოეტის შემოქმედების ამ ორ ეტაპად გაყოფა, ეს იმიტომ, რომ გამოხატავს მისი შემოქმედების წამყვან ტენდენციებს პირველსა და მეორე პერიოდში.

ი. გრიშაშვილის ნაწარმოებთა პირველი ტომი, რომელიც 1914 წელს გამოიცა, ყველა წინათ გამოცემულ კრებულებზე უკეთ იძლევა წარმოდგენას მი-

სი შემოქმედების პირველი პერიოდის ძირითადსა და არსებითს მოტივებზე, მთავარ ტენდენციაზე.

მისი ამ პერიოდის შემოქმედების ძირითადი მოტივები თავს იყრის სიყვარულის დიდი და უსასრულო თემის გარშემო. პოეტი ცდილობს გაერკვეს ადამიანთა ინტიმური ურთიერთობის რთულ მოვლენებში, ერთგვარი ახსნა მისცეს სიყვარულსა და ტრფიალებას, როგორც ადამიანთა არსებობის აუცილებელ კანონზომიერ მოვლენას. ქალი, სიყვარული და მით მონიჭებული სიხარული თუ სევდა, ტანჯვა თუ უსასრულო აღტაცება — აი ამ პერიოდის მისი პოეზიის მთავარი საგანი და მოტივები.

მთელ რაგ ლექსებში ი. გრიშაშვილი სიყვარულს უმღერის როგორც ამქვეყნიური ყველაზე დიდი ბედნიერების, ადამიანის კეთილშობილებისა და თავდადების უშრეტ წყაროს. ხშირ შემთხვევაში პოეტს სიყვარული ესახება ადამიანური ყოფის მთავარ მამოძრავებელ ძალად. ასეთია მისი ლექსები: „რომანსი“, „მაჯამა“, „მაისის ჩურჩული“, „განთიადი“, „მიმღერე, ტურფავა!“, „ჩემს დანიშნულს“, „ოლოლოლო!“, „ხელთათმანის დიდი“ და სხვ. ამ ლექსებში სპეტაკი სიყვარულის ამაღლებული გრძნობა ერწყმის რეალურ ცხოვრებაში ადამიანთა მიერ სიყვარულით დამკვიდრებული ბედნიერების შეცნობას. პოეტს სიყვარული

ესაბედა, როგორც ადამიანის ჩამოყალიბების, სულიერ თუ მატერიალურ ცხოვრებაში მის მიერ გარკვეული ადგილის დაკავების აუცილებელ მიზეზობრივ მოვლენად. ლექსში „წმინდა ხარ, წმინდა!“ კარგად არის შეხამებული პოეტის ეს შეხედულებანი სიყვარულით მიღებულ უშუალო თუ წარმოდგენითს განწყობილებებთან. ქალის — სათაყვანებელი არსების — კონკრეტული სახე აქ აყვანილია განზოგადებითს კატეგორიაში, ხოლო სიყვარული წარმოსახულია, ძალად, რომელიც ადამიანს გარდაქმნის ზეთაგონებულ პოეტად, გარემომცველ სამყაროს აქცევს მისთვის წარმატად, მდიდარფეროვნად; ძალად, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ციურსა და მიწიერს.

ი. გრიშაშვილის ამ-ხასიათის ლექსებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მოზღვავებული შინაგანი გრძნობების გამძაფრებული გადმოცემა მდიდარი ეპითეტური სახეებისა და პარალელების გამოყენებით. ამავე დროს იგი ცდილობს დარჩეს ზომიერების ფარგლებში, თუმცა სიყვარულის დიადი გრძნობა მას ხშირად ჰკარბად ამოთქმევიანებს გულისნადებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნიშანდობლივია „ოლოო! ოლოო!“

ბოლო დროს, ი. გრიშაშვილმა ლექსთა ერთი წყება ასეთი ციკლური სათაურით გააერთიანა — „მხოლოდ სიყვარული“. აქ მან თავი მოუყარა შემოქმედების მეორე პერიოდში დაწერილ რამდენიმე სატრფიალო და პატრიოტულ ლექსს. სიყვარულის თემა ამ ერთი მოტივით გაერთიანებულ ლექსებში გაცილებით ფართო მოვლენებს შეიცავს. იგი უკვე აერთიანებს და ამოძრავებს ადამიანის ყველა კეთილ გრძნობას, დაკავშირებულს ფართოდ გაგებულ სიყვარულთან. სიყვარული აქ ცილდება ადამიანთა მხოლოდ ინტიმურ სამყაროს და მთელი ცხოვრების, ფართო სულიერი სამყაროს ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად წარმოსდგება. ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი უკვე გაცილებით მეტ ყლე-

რადობას ანიჭებს პოეტის მთელ ლექსს. 1946 წელს დაწერილ ლექსში „მხოლოდ სიყვარული“ რომლისათვისაც პოეტს წარუშლვარებია აკაკის სიტყვები: „მხოლოდ სიყვარულია კაცის ბედნიერება“, იგი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სიყვარულის გრძნობამ აქცია პოეტად. მაგრამ სიყვარულის მისი ცნება ახლა გაცილებით მდიდარია. იგი აღიღებს იმ დედის უსაზღვრო სიყვარულსაც, „შვილს რომ მოვლის ომიდან“ და იმ ადამიანის მაღალ გრძნობასაც, ვინც „სატრფოს, როგორც შეთქმული, გააყვება კუბოს კარამდი“; აღიღებს სამშობლოსადმი მარადიულ ტრფობასაც და შრომისადმი დიდ სიყვარულსაც.

მეორე პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე პოეტის შესანიშნავი ლექსები: „დადებერი? არა!“, „ჩემი აღმართი“, „აპრილი თბილისში“, „მანოლა“, „ქულისებში“, „მადრიგალები“, „ბორჯომის ჩანჩქერთან“, „მომღერალ ქალს“, „ძველი ბალადა“, რომლებშიაც პირადი ინდივიდუალური გრძნობები და განწყობილებანი ორგანულად ეხამება საზოგადოებრივ მოტივებსა და განწყობილებებს. თუმცა, ძველი კამერულ-ინდივიდუალისტური მოტივებიც კვლავ ჰპოვებდა გამოვლინებას ი. გრიშაშვილის ამ პერიოდის შემოქმედებაში („შენ გაირყენები“, „ლამაზმანებს“, „ჩემს ეშისაგარს“).

ი. გრიშაშვილმა განსაკუთრებით შემოქმედების პირველ პერიოდში ბევრი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა იდეალური სიყვარულის თემას („მაისის ჩურჩული“, „ხელთათმანის ღილი“, „ჩემს დანიშნულს“ და სხვ.). მაგრამ ეს მისი პოეზიის ერთი მხარეა. იგი ყოველთვის ამგვარად სწორხაზოვნად როდი წარმოგვიდგენს ცხოვრებისეულ მოვლენებს. მისთვის ცხოვრება გაცილებით რთულია და სიყვარულიც ყოველთვის როდია ურთიერთგაგებულ და პარამონიული. ცხოვრებაში პოეტს დაუძახავს ინტიმურ განწყობილებათა უფრო რთული გადახლართვა და ძირითადი ხაზიც

პოეტის პირველი პერიოდის ლირიკაში ამ მოტივს ექვემდებარება.

როგორ ესახება მას ამ გარემოებაში მოქცეული ადამიანი? პოეტისათვის იგი ძირითადად, მუდამ ახლის მაძიებელია, შეცნობილით და დანახულით დაუწყაყოფილებელი, მოუსვენარი. აკი საკუთარ თავზეც ამბობს პოეტი: „ჩემი სულის ცეღებობაც ჩახრიალას მსგავსია, ხან ტალღებად ტრიალებს, ხან ნაპერწკლით სავსეა“.

ძირითადად ასეთია მისი ლირიკული გმირი, რომელსაც მრავალ საწინააღმდეგო სიტუაციათა გადახლართვაში ვხვდებით და რომელიც ბევრ სხვადასხვა განწყობილებას მოუცავს. იმ პოეტურ განწყობილებათა სამყაროში, რომელშიაც მოქმედებს ლირიკული გმირი, ჩვენ დავინახავთ უიმედო სიყვარულსაც, როდესაც ერთის გრძნობა, გულისთქმა და მისწრაფება გაუგებარია მეორისათვის; დავინახავთ აგრეთვე პირველ გრძნობათა აფეთქების შესუსტებასა და გაფერმკრთალებას, როდესაც გაჭრა სიყვარულში პარაზონის პირველი ილუზორული გატაცებანი; დავინახავთ სატრფოს მაცდურობის მხილებასაც და ლაღით გაბოროტებული ადამიანის მიერ წარმოთქმულ წყევლა-შეჩვენებასაც.

ამ განწყობილების შემცველი ლექსები პოეტისა, ძირითადად, ორ ჯგუფად განიყოფება: პირველი ჯგუფის ლექსები, რომლებიც შედარებით ადრინდელი პერიოდისაა, აღბეჭდილია სატრფოს ძიების, მისი თავყვანისცემის, მისკენ შეუნელებელი სწრაფვის და ხეწნა-მუდარის მოტივით („რომანო“, „მიმღერე, ტურფაე!“, „თეთრი ვარდი“, „გიგო, მიყვარხარ“, „ლერწაში ხარ“, „ოცნების კოცნა“, „ზღაპარი ჰამაკში“, „რა კარგი ხარ, რა კარგი!“, „კვირაძალი“, „ყურთბალიში“ და ა. შ.) ამ ლექსებში ამტკველებულია შეყვარებული ადამიანის სული, რომლის ყველა სათუთი მიმორბევა თუ მძაფრი დუდილი სიყვარულის დიდების, სატრფოს მშვენიერების ერთს შეგრძნებადს ფოკუსშია თავმოყრილი.

მეორე ჯგუფის ლექსებში პოეტი გვევლინება მოლაღატის მამხილებლად, შემაჩვენებლად. ეს არის ლექსები „ჩემის ლაღით“ დაწყებული და ლექსით — „ჩემს ეშხისავარს“ შეკრული ჯაჭვი, რომელსაც მთავარ როლზეად ჩაწვნია ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ლექსები, როგორიცაა: „მიყვარდა“, „მტანჯველო ჩემო“, „მძულხარ-მიყვარხარ“, „მაცდური“, „აღარ მიყვარხარ“, „რად შეგიყვარე“, „ჩემს გველს“, „მოლაღატის“. „ლოცვა ქამისა წყევისასა“ და სხვ.

ამასთან, ი. გრიშაშვილის ზოგიერთ ლექსში, რომლებიც დაწერილია სიყვარულის თემაზე, ზოგჯერ იგრძნობა ადამიანთა ინტიმური სამყაროს, ფაქიზი გრძნობების გამარტივებაც და გავულვარებაც, ეროტიზმის აპოლოგიაც. აქედან გამომდინარეობს ქალწულის „ოქროს ფეხის“ წარმოსახვა „უცნაური სიკვდილის და სიცოცხლის“ სიმბოლოდ. აქედანვე შემოვიდა პოეტის შემოქმედებაში „შენ გაირყვნების“ მოტივი ცოტა უფრო მოგვიანებითაც. ეროტიზმის თავისებურ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ლექსები: „დარჩი, დარჩი!“, „უძილო დამე“, „ან კიდევ „ბაზრაშაჯანული“ მოტივები პოეტის ადრინდელ შემოქმედებაში; თუმცა ამ მოტივებით გატაცებას შემდგომ თვით დასცინა პოეტმა მის ვრცელ გამოკვლევაში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქმე“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვულგარული ეროტიზმი, გაშიშვლებული სექსუალიზმი არასოდეს არ ყოფილა ი. გრიშაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი, არ გადასულა პორნოგრაფიაში. პოეტი უმთავრესად ჯანსაღი სიყვარულის მომღერალია. აკი თვით ამბობს იგი — „გული ვარდის ნარს დავაგე, გული ნარით შევინარე და ვიცოცხლებ, ვიდრე ცოცხლობს სიტურფე და სინარნარეო“.

ი. გრიშაშვილის პირველი პერიოდის შემოქმედება რთულია. ცხადია, მისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ კამერულ-ინდივიდუალისტური მოტი-

ვები განსაკუთრებით პოეტური შემოქმედების დასაწყისში ვამჩნევთ მის ლექსებში გამოვლენილ სოციალურ მოტივებსაც. 1905 წლის რევოლუციის გავლენით არის დაწერილი მისი პირვანდელი ლექსები: „ტუსალის სიმღერა“, „ვიდრე მიღვას პირში სული“, „ბრძოლა“, „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“, „ამხანაგებს“, „ამონათქვამი“ და ბევრი სხვა. ამ ხასიათის ლექსებში პოეტი გვევლინება რევოლუციის იდეების, ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეების არა მხოლოდ მოტრფილედ, არამედ ამ იდეათა განხორციელებისათვის მებრძოლადაც. მის ბევრ ლექსს გამსჭვალავს მამაცი მებრძოლი ადამიანის ძიების პათოსი:

მე წინ ვისწრაფვი...
მსურს გაეყოფო გზა ელიანი
ეპოეო მამაცი,
გულის სწორი ადამიანი! —

ამბობს იგი 1907 წელს დაწერილ ერთერთ თავის პირველ ლექსში. მაგრამ ვერ გაიმარჯვა 1905 წლის რევოლუციამ, ვერ განხორციელდა იდეალი თავისუფლების მოპოვებისა და პოეტის სულში შეიპარა ექვი, რომელმაც ფრთები შეაკვეცა მის ახალგაზრდულ გატაცებასა და შემართებას. რამდენადაც პოეტისათვის უცარი იყო გატაცება რევოლუციური ბრძოლის მოტივით, იმდენადვე უცარი აღმოჩნდა იმდგაცრუებაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ამან კი მას უბიძგა სოციალური სევდისაკენ. ამ დროს იწყება მისი გადახრა სიყვარულისა და ყოფაცხოვრების პრობლემებისაკენ, რასაც უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. სევდის მოტივი პოეტმა მალე დაძლია. იგი იყო მხოლოდ დროებითი აფექტი სამშობლოს მომავლისადმი დაეჭვებით გამოწვეული და თუ პოეტი კითხულობდა —

ნეთუ გაზაფხულს
ვეღარ შევხვდები?
და მრავალ ტანჯულს,

ჩემს ტურფა მამულს,
იმედით შემეულს
ვერ ვეღარსები?! —



მას მაინც თითქმის არასოდეს არ გაქრობია იმედი და რწმენა. ეს რწმენა, მომავლის იმედი პოეტის შემოქმედებას ყოველთვის ანიჭებდა სიცოცხლის, სიყვარულის ძალას.

ისიც უნდა ითქვას, რომ ცხრაასიან წლებში ჩვენში გავრცელებულ დეკადენტურ ტენდენციებს ერთგვარი გავლენა ჰქონდათ ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზე, როგორც თემატური ისე იდეური თვალსაზრისით. ეს ტენდენციები ებრძოდნენ ჯანსაღს მის შემოქმედებაში და ცდილობდნენ მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას („ცრემლი-გოდება“, „ვედახი სიკვდილს“ და სხვ.). გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ პოეტმა გარკვეულ პერიოდში სცადა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური სოციალური საკითხებისათვის გვერდის ავლა და ერთგვარი „ნეიტრალური“ პოზიციის დაკავება, უბიძგებდა მას ჩამოშორებოდა რეალისტურ პოზიციებს. მაგრამ დეკადანსმა ვერ დაიმორჩილა მისი სული.

ამგვარად იკვლევდა გზას ი. გრიშაშვილის შემოქმედება რთულ ისტორიულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენათა შორის; ასეთი ზიგზაგოვანი გზით მიდიოდა პოეტი, რომ შემდგომში, სოციალისტურ სინამდვილეში, ხალხის ძალის ახალი ყოფის შთაგონებული მომღერლის სიმალლისათვის მიეღწია.

• • •

როგორც უკვე იყო ნათქვამი, შემოქმედების მეორე ეტაპზე ი. გრიშაშვილის პოეზიაში მთავარი ადგილი საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივმა მოტივებმა დაიკავეს. ამ პერიოდში მისი შემოქმედება გაცილებით მეტ მოვლენებს ეხმარება და პოეტური სამყაროც გაცილებით მრავალფეროვანი და მდიდარი ხდება; პოეტის ლირიკული გმირი.

დინახა. გრიშაშვილის შემოქმედებაში ცოცხალ სურათებად დარჩა ძველი თბილისის თავისი განუმეორებელი ცხოვრებით, მისი გულუხვი, ალაღმართალი თუ მამაცი ადამიანებით, ყარაჩოღელთა დარღმინდული ყოფით, უბრალო ხალხის ფართო გულითა და სიცოცხლისადმი მგზნებარე სიყვარულით.)

ზოგიერთ ადრინდელ ლექსში შეიმჩნევა პოეტის კმუნვა ძველი თბილისის ჩვევათა გაფერმკრთალების გამო („ამაშხანისკენ“ და სხვ.). მაგრამ ახალი თბილისის გაელენა ძლიერად ზემოქმედიდა და პოეტის ლირიკაში ძველს თანდათან ეკარგება „რომანტიკული“ წარმტაცობის ელფერი.

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, ვულში რომ გინახავდი...
გადაწყდა, უნდა შეეცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

ეს იყო უკვე გადასვლა ახალი თბილისის ყოფიერებაში, ახალი სინამდვილის აღიარება. ჩვენს დღეებში შექმნილი ლექსები: „ახალი თბილისი“, „ლენინის მოედანი“, „ქიროვის ბაღში“, „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“, „ჩემი თბილისი“ და სხვ. დაწერილია ნამდვილი შთაგონებითა და ჭეშმარიტი პოეტური გულწრფელობით. ახალი თბილისი პოეტს ესახება, როგორც მაღალი საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალული ადამიანების შემოქმედებითი შრომისა და ბედნიერების კერა, რომელიც არა მხოლოდ განაწყობს მათ თავდადებულ შრომისათვის, არამედ ანიჭებს კიდევ მათ სიცოცხლის ბედნიერებას და სიხარულს.

პოეტის ჩვენი დღეების შემოქმედება გამსჭვალულია ახალი ყოფის გმირთა ძიებით. ეს გმირი მას წარმოუდგება მთელი ხალხის სახით. ამ განზოგადებულ სახეში იგი ჭკრეტს ისტორიის მამოძრავებელ ძალას. ასე ფართოდ არის გააზრებული გმირის სახე ლექსში „სინათლე“, რომელიც ტიპური და ნიშანდობლივია ი. გრიშაშვილის უკანასკნელი პერიოდის შემოქმედებისათვის. „სინათლის“ შემეცნებითი ლეიტმოტივია

ახალი ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძლიერების შინაგანი კაჟიკნებეს-გახსნა, იმის ჩვენება თუ რა ძლიერია და უჩვეულოა ცხოვრებას დაუფლებული ადამიანის ძალა; როგორ წარმატებით იბრძვის იგი ბუნების ძალებთან, როცა განვითარების კანონზომიერებათა ცოდნა და მაღალი პროგრესული იდეა მის ცხოვრებაში განუყრელად შეერწყმის მოქმედებას. ამ ლექსში შემოქმედმა მონახა ის სიმალე, საიდანაც უკეთ შეეძლო დაენახა ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობა და აესახა იგი. ხალხი „სინათლეში“ დასახულია ძალად, რომელიც კმნის ცხოვრებას, აუმჯობესებს თავის ყოფას, აწყობს მას თავისი მოწინავე იდეალის შესაბამისად; იგი ნაჩვენებია როგორც ისტორიის შემქმნელი და შემოქმედი, ახალი ყოფის დამამკვიდრებელი ზღაპრული სიძლიერის ძალა. ეს დიდი პრობლემა ავტორის მიერ განათებულია ახალი ყოფის კონკრეტული ფაქტის შუქით. ახალი გიგანტის დაბადების ფაქტი პოეტის აზროვნებაში იწვევს ახალ წარმოდგენებს, ახალ ემოციებს. ამ ფაქტს შემოქმედი აკავშირებს ხალხთა კეთილდღეობისათვის ბრძოლის საერთო-საკაცობრიო პრობლემასთან; მასში იგი ხედავს ჩვენი ხალხების მეგობრობის სიმტკიცისა და უძლიერესი კავშირის მკაფიო გამოვლინებას. დიდი პოეტური ძალით არის აქ დანახული სამი სინამდვილე: ის, რაც იყო წარსულში; ის, რაც არის ამჟამად; ის, რაც იქნება მომავალში.

ახალი სოციალისტური სინამდვილისადმი მიძღვნილი სხვა ლექსებისათვისაც („ერთი დღე სოფელში“, „ნარინჯიანო“, „სამშობლოსადმი“, „ჯილო“, „ფეროქარხანას“, „ქართული ციტრუსები უკრაინაში“, „მოდის ქართული ავტომობილი“, „სამგორი“, და სხვ.) დამახასიათებელია უშუალო მონაწილეობა ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლაში. პოეტის ლირიკული გმირი არა მარტო განიცდის სინამდვილეს და შეიგრძნობს მას, არა მარტო აღტაცებულია

შეცნობილით, არამედ ამ სინამდვილის უშუალო შემოქმედია, აქტიური მონაწილეა მისი შექმნისა და მასში განმტკიცებისათვის ბრძოლისა. ამასთან, შრომის ადამიანი ი. გრიშაშვილის ლექსებში დანახულია მთელი მისი მდიდარი შინაგანი სამყაროთი. პოეტს აინტერესებს ადამიანის როგორც შრომითი თავდადება, ისე მისი საზოგადოებრივ-სოციალური ყოფა, მისი პირადი ცხოვრება. შრომის ადამიანში იგი უპირველესად ხედავს ადამიანს მისი ახალი საინტერესო სამყაროთი, რომელიც შეიცავს პირად თვისებებს, ინდივიდუალურ შინაგან ხასიათს, მისთვის დამახასიათებელ მისწრაფებებს. ნარინჯების მკრეფავი ქალი მისთვის არ არის მხოლოდ შრომაში ჩაბმული ადამიანი, რომელიც „მარდად მუშაობს“ და „მარდად ალაგებს თურინჯებს და ნარინჯებს“. ამასთან ერთად იგი არის არსება, რომელსაც აქვს პირადული მდიდარი სამყარო; რომელიც გამსჭვალულია სიყვარულის მაღალი გრძნობით და რომელიც თვით აღძრავს მისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. პოეტი ხედავს როგორც მის ძალას, ასევე სინატიფესა და მიშზიდველობას.

ხალხის ძალის ჩვენებას, მისი ისტორიული მისიის ამოხსნას თავისებური პოეტური ოსტატობით აღწევს ი. გრიშაშვილი სამშობლოს, პარტიისადმი მიძღვნილ ლექსებში, სამამულო ომისა და ხალხთა მეგობრობის თემებზე დაწერილ ნაწარმოებებში. მისი ამ ხასიათის ლექსების საერთო დამახასიათებელი თვისებაა ემოციურობა, რასაც შემოქმედი აღწევს დიად მოვლენათა კონკრეტულ სულიერ ასპექტში გადატვივებით, მკვეთრი გადასვლებით, მხოლოდ დამახასიათებელი ისტორიული ფაქტების გამოყენებით და მათთვის ისეთი შექმნილი, რომ მოვლენის სიღრმე დაგვანახავს.

მონუმენტურობამ, რაც დამახასიათებელი არ იყო ი. გრიშაშვილის პოეზიისათვის პირველ პერიოდში, ასე ძლიერად იჩინა თავი მეორე პერიოდში სწორედ პარტიისა და სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებში. სახის მონუმენტური

ძერწვა მას ეხმარება პარტიის, სამშობლოს სიდიადის პოეტურ წარმოდგენაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ დღესაც კი დღენის წარმოიდგენს ჩვენი ვებერთელა სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე წამოპართულ გრანდიოზულ ფიგურად, ან როდესაც ხალხების ძმობის სიმართლეს წარმოისახავს „პარტიის სიბრძნით ნაშენ ფუძედ“.

სამშობლოსადმი სიყვარული მუდამ მნიშვნელოვანწილად გამსჭვალავდა ი. გრიშაშვილის შემოქმედებას, მაგრამ არასოდეს არ ჰქონია მას ისეთი ცხოველყოფილი ძალა, როგორც დიდი სამამულო ომის დღეებში. ორმა ცნებამ—სამშობლოსა და გამარჯვების ცნებებმა პოეტის შემოქმედებაში ჰპოვა განუშორებელი შერწყმა. ამ ცნებებით გამოხატული იყო, ერთი მხრივ, უსახლგრო სიყვარული შშობლიური ქვეყნისადმი და, მეორე მხრივ, მოწოდება გმირობისა და სიმამაცისაკენ სამშობლოს გადასარჩენად. ამასთან, ამ ცნებათა პოეტური გაზრება შეიცავდა ურყევ რწმენას მომავალი გამარჯვებისადმი.

ი. გრიშაშვილის პოეზიამ სამამულო ომის დღეებშიც შეინარჩუნა მისი დამახასიათებელი სიფაქიზე. მის საბრძოლო ლირიკას კვლავ თან გაჰყვა მოვლენების დანახვის ის ორიგინალური კუთხე, რაც საერთოდ ნიშანდობლივი იყო მისი ადრინდელი ლექსებისათვის. ამ მხრივ ოსტატობის თვალსაზრისით საინტერესო ის არის, რომ დიდ მოვლენებს პოეტი ხატავს, ერთი შეხედვით, პატარა, მაგრამ განზოგადებული ლირიკული ფაქტების ფონზე. მავალითად, მოსკოვის მისადგომებთან საბჭოთა ჯარების გამარჯვების ამსახველ პატარა ლექსში „კვლავ მომუშადა იარა“ იგი სრულებით არ ახსენებს უშუალო ბრძოლებს და ამ ბრძოლებში მოპოვებულ გამარჯვებას. მისთვის მთავარია ამ გამარჯვების ამსახველი არა უშუალო ფაქტებისა თუ სიტუაციების ხილვა, აქ ჩვენ ვხედავთ ქარის ჩადგომას, დაბრუნებულ დაბარგულ საზიდრებს, აივანს შერჩენილ ბუდეებში ბედურების მობრუნებას და

ბევრ ასეთ სურათს, რომელსაც ასრულებს მკაფიო შტრიხი:

გლეხი მშვიდად ჩამოჯდა
თავის ახალ კარავანს.
სიხარული ვადიდდა,
ერემლა დაპატარავდა.

ომისდროინდელ ლექსებში ი. გრიშაშვილი განსაკუთრებული შთაგონებით აღიღებდა ხალხთა მეგობრობას, როგორც მტერზე გამარჯვების ერთერთ საწინდარს. ხალხთა მეგობრობის თემა მის შემოქმედებაში ძირითადი მოტივი იყო ომამდელ და ომის შემდეგაც, ისევე როგორც ხალხთა შორის მშვიდობა მისი პოეზიის ერთერთი მთავარი თემაა. პოეტს ახასიათებს დიდი ჰუმანიზმი. მშვიდობისათვის ბრძოლას პოეტმა არა ერთი და ორი კარგი ლექსი უძღვნა („მშვიდობისათვის“, „ჩვენი მეკვლე მშვიდობაა“, „ჩვენი მშვიდობა გვინდა“ და სხვ.).

მის თანამედროვე ცხოვრებას რომ აღიქვამს მხატვრულ სახეებში, ი. გრიშაშვილს, როგორც შემოქმედს, სხვა ორიგინალურ ხერხებთან ერთად, ახასიათებს კიდევ ერთი მეტად თვალსაჩინო თავისებურება. ეს არის წარსულის ისტორიულ ადამიანთა სახეების მოშველიება ძველისა და ახლის კონტრასტების უფრო გამოკვეთილი ხილვისათვის. საერთოდ, პოეტის შემოქმედებაში სახელოვანი წინაპართა როგორც სახეებს, ისე მოტივებსა და ტრადიციებსაც მეტად თვალსაჩინო ადგილი აქვთ დათმობილი. შოთას, ბარათაშვილის, აკაკის, ილიას, ვაჟას შემოქმედება მას ესახება ისეთ ფაქტორად, რომელიც ცხოვრებასთან ერთად, მუდამ შემოქმედებს თანამედროვე პოეტთა სულიერ სამყაროზე, ქართულ პოეტურ აზროვნებაზე. პოეტის შემოქმედებაში შეინიშნება ორი საყურადღებო მოვლენა: ერთი — კლასიკოსთა სახეების გაცოცხლება თანამედროვეობაში მათი გადმოყვანით, მათი ქმედითი ძალის ამეტყველებით, მათი სახეების ხილვით („შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“, „ილია საგურამოში“, „აქრემლებული თვალი“,

„ვაჟას მოსაგონრად“ და ა. შ.); მეორეც — ცნობილი კლასიკური მოტივების, სხლებურად გააზრება-გაცოცხლება, ამ მოტივების თუ სახეების ახლებური ამეტყველება და მასთან ერთგვარი დანათესაებაც კი. ცხადია, მისი პოეტური სამყარო უფრო თეიმურაზ პირველის, ბესიკის, საიათნოვას ტრადიციებს ეყრდნობა, მაგრამ ბევრი მხრივ იგი დეალებულია გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის ოსტატობით თუ პოეტური სახეებითაც.

ასეთად გვევლინება ი. გრიშაშვილი თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში. ახალი ქვეყნის დიადი შენობის აღმართვის პათოსია ის ძალა, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში ახლებური ქდერადობა მიანიჭა ი. გრიშაშვილის პოეზიას.

ამავე პერიოდში შექმნა მან ბევრი შესანიშნავი, პოპულარული საბავშვო ლექსიც. ისინი საყურადღებოა არა მხოლოდ თემატიკის სიმდიდრითა და მონარდი თაობის თავისებური შინაგანი სამყაროს საუკეთესო ცოდნით, რაც შერწყმულია პოეტურ ოსტატობასთან, არამედ, ამასთანავე დიდაქტიზმის ფართოდ გამოვლენილი ნიშნებით; მორალი, რომლის დანერგვასაც ემსახურება პოეტის საბავშვო ლექსები, სპეტაკია და მაღალი.

ი. გრიშაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ბევრი საყურადღებო გამოკვლევა ლიტერატურისმცოდნეობისა და ქართული კულტურის ისტორიის დარგში. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი „საიათნოვა“, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემა“, „ცხოვრება ალექსანდრე ქავჭავაძისა“, „ილია ქავჭავაძე და ქართული თეატრი“, „ალექსანდრე ყაზბეგი როგორც მსახიობი“ და ა. შ.

• • •

ი. გრიშაშვილი თვალსაჩინო ადგილს აკუთვნებს პოეზიას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ადრინდელ

ლექსებში შეინიშნებოდა მისი სურვილი გაეზარებინა პოეზიის ადგილი, პოეტის დანიშნულება ხალხის ცხოვრებაში („მგოსნის აღსარება“, „მუზა“, „პოეზიის მტრებს“ და სხვ.). მათში ჩვენ ვამჩნევთ იმ წინააღმდეგობებსა და ერთგვარ ქიდილს, რომელსაც ბუნებრივად უნდა მოეცვა რევოლუციის წლებში საბრძოლო პოეზიით გატაცებული, ხოლო რევოლუციის დამარცხების შემდეგ წმინდა ინტიმური ლირიკის სფეროში გადასული პოეტი. მაგრამ მისი შემოქმედების პირველ პერიოდში შექმნილი განყენებული პოეტური სამყარო მაინც თავისებურია. მისთვის უცხოა მისტიციზმი თუ ასკეტიზმი, პესიმიზმი თუ განურჩეველი დამოკიდებულება ყოფიერებისადმი. ამან დიდად განაპირობა პოეტის შემობრუნება იდეურად გამძაფრებული პოეზიისაკენ, რაც სოციალისტური სინამდვილის უშუალო გავლენით მოხდა.

ი. გრიშაშვილის დამოკიდებულება პოეზიის საგნისა და დანიშნულებისადმი განიცდიდა ევოლუციის განუწყვეტელ პროცესს და ეს შესამჩნევად ვლინდებოდა, უპირველეს ყოვლისა, მის შემოქმედებითს პრაქტიკაში. 1914 წელს დაწერილ ლექსში „პოეტი“ იგი ცნობს პოეზიის დიდ ძალას („მე პოეტი ვარ! მომისმინეთ: ჩანგის ერთი თმით შევკრავ, შევბოქავ ქვესკნელიდან ამომტყდარ ქარსა!“). მაგრამ პოეზიას იგი ჯერ მაინც შეუცნობელის კატეგორიას აყუთნებს. ცოტა უფრო გვიან პოეტს ლექსი ესახება მიმზიდველ მშვენიერებად, რომელიც საუკუნეებში დარჩება, ვით ქალის მშვენება, ხოლო 1917 წელს დაწერილ ლექსში — „ჩემი მუზა ომის დროს“ იგი პოეზიას ბრძოლის მიღმა სტოვებს. რა კონტრასტულად ეღერს ჩვენს დღეებში შექმნილი „საიათნოვას ჭიანჭურით“ და „თბილისის პოეტი“ აღნიშნულ ლექსთან შედარებით! აქ პოეტს უკვე ბრძოლის ფერხულში გამოჰყავს პოეზია და მას გამარჯვების ერთერთი უდიდესი ფაქტორის როლს აყუთნებს. ხაშვობლოსა და ხალხისადმი სამსახური

ჩვენს დროში ი. გრიშაშვილის პოეზიის მთავარი მამოძრავებელი ნერვია, და პოეტს სამართლიანად შეუძლებლად თქვას, რომ „ამდღერა ტკბილ შაირად ქართლის ყანები“. „ახალი ქვეყნის ასაშენებლად პატარა კენჭი მეც მივიტანეო“, ამბობს იგი ერთ თავის ლექსში და ამით ხატოვნად, გვანიშნებს პოეტის საპატიო ადგილს ბრძოლასა და ცხოვრებაში.

ი. გრიშაშვილის პოეზია თავისებურია, სხვათა შემოქმედებისაგან გამორჩეული. პოეტი თავისთავადია მთელს მის შემოქმედებითს გზაზე და თუ მას ოდესმე განუცდია რაიმე გავლენა ვინმესი, ეს გავლენა მუდამ შორს იყო უბრალო მიმბაძველობისაგან, იგი გადატანილი იყო ორიგინალურ პოეტურ სამყაროში.

ი. გრიშაშვილი რითმისა და რიტმის გამოჩენილი ოსტატია. მაგრამ ერთსაც და მეორესაც იგი მუდამ გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევდა არა მარტო მუსიკალობის, ჰარმონიულობის ფუნქციისათვის, არამედ გარკვეულ პოეტურ სიტუაციათა წარმოქმნისათვისაც. მისი აზრით, ლექსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც მხოლოდ „რითმის ძებნა. რითმა ერთი სიმია იმ საკრავისა, რომელსაც იღეა და სახე ეწოდება“. რითმა, იღეა და სახე მისთვის ერთ მთლიანობას შეადგენს.

ი. გრიშაშვილის პოეტურ-მუსიკალური სამყარო მეტად მდიდარია. იგი არ მისდევს რითმული წყობის რომელიმე ერთ სახეს. მის შემოქმედებაში ვხვდებით როგორც გარეგან ისე შინაგან რითმებს, თავრითმებს, შინაგან-გარეგან რითმათა შეხამებას, ვაჟურ, ქალურ, დაქტილურ თუ ზედაქტილურ რითმებს. ზუსტი რითმების გამოყენებისას, რომლის ბრწყინვალე ოსტატიც იგი არის, პოეტი თავისებურ ხერხს მიმართავს: იგი მეტად მოხდენილად იყენებს საბჯენ თანხმოვნებს, რითაც განსაკუთრებით მდიდარსა და მუსიკალურს ხდის რითმას. ამასთან მისთვის უცხო არ არის შედგენილი თუ არაზუსტი რითმული წყობაც. პოეტისათვის დამახასიათებ-

ლია აგრეთვე მდიდარი ალიტერაციული მეტყველება, ხაზგასმითი განმეორებანი და ეპენასტროფული წყობა ლექსისა. ი. გრიშაშვილმა მიმართა სონეტისა და ტრიოლეტის ფორმებსაც. მისი პოეზიის ნიშანდობლივი მხარე ისიც არის, რომ ბუნების სურათს მისი პოეტური ფანტაზია ხშირად წარმოქმნის საკუთარი მოქმედების ასახსნელად ან ოცნების საგნად. სურათოვან-შეგრძნებითი ხატვა ბუნების თუ საზოგადოებრივი ყოფიერების მოვლენებისა, საერთოდ, ის დამახასიათებელი ხერხია, რომელსაც ხშირად მიმართავს პოეტი. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ხვდება სიმბოლურ სახეებსაც, ფერთა და სურნელთა მკვეთრ წარმოსახვასაც, ხატოვან შემეცნებასაც

და ბუნების მოვლენათა პარმონიულ თუ დისპარმონიულ კანონზომიერ მონაცვლეობასაც.

ლექსში „დაებერდი? არა!“ პოეტმა კიდევ ერთი შთაგონებული საგალობელი უძღვნა თავის სამშობლოს, მისადმი სიყვარულს.

თუ ჩემი ლექსის ჭავარი
ერთს შაინც ემახსოვრება,
ვიტყვი: უქმად არ ვაგლიე
ჩემი პატარა ცხოვრებაო, —

ამბობს მოკრძალებით პოეტი და ამ სიტყვებით ერთგვარად გახსნილია კიდევ მისი, როგორც ხალხის საყვარელი პოეტის, საპატრიო ადგილი და როლი ჩვენს ცხოვრებაში.

გიორგი კალანდია

თბილისის განთიადები

თბილისს, თავისი განუმეორებელი სილამაზით, მიწშიდევლობით და ეროვნული კოლორიტით მრავალი შემოქმედის შთაუგონებია. ფუნჯისა თუ კალმის მრავალ ოსტატს, ქართველსა თუ უცხოელს, ადგილობრივ მკვიდრსა თუ გზად გამვლელს გულწრფელი აღტაცება გამოუხატავს და ქებათა-ქება უთქვამს, ჩვენი პატარა ქვეყნის ლამაზი სატახტოსადმი.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მე-20 საუკუნეზე, როდესაც ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში თბილისის თემატიკა თვალსაჩინო ადგილს იკავებს. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში თვალისმომკრელი ელვარებით ისახება ძველი თუ ახალი თბილისის კონტურები. გავიხსენოთ „მთაწმინდის მთვარეში“ მოცემული ლირიკული ნახატი: მთვარის შუქში გახვეული, „მსუბუქ სიზმარივით“ რომ მოჩანს თეთრად მოვლვარე მტკვარი და მტეხი. ვასილ ბარნოვისა და ნიკო ფიროსმანის, იოსებ გრიშაშვილისა და ლადო გუდიაშვილის, ეთიმ გურჯისა და სხვათა მხატვრულ ლიტერატურულ, თუ ფერწერულ ტილოებზე თავისი მრავალფეროვნებით წარმოსდგება თბილისის კოლორიტული სურათები.

გიორგი ლეონიძემ თავისი ორიგინალური ხმა შეუერთა საყვარელი დედაქალაქის დიდ მომღერალთა ამ მრავალხმიან ანსამბლს და, თავის მხრივ, ახალი ენები, ახალი რომანტიკა შეჰმატა მას-

ლეონიძისათვის თბილისი არ წარმოადგენს მარტოოდენ შექების, ანდა მარტოოდენ ხატვის ობიექტს. თბილისი მისი სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია. უთბილისოდ პოეტს თავის თავი არარაობად წარმოუდგენია:

აბა, ერთი, მე წამართვით
თბილისი და მისი ფერი,
მე დაკრები მხოლოდ ჭვარტლი,
ქია, მტვერი, არაფერი.

(„თბილისი“, ლირიკული პოემა)

ყურადღება მივაქციოთ სტრიქონს: „თბილისი და მისი ფერი“. ნიკო ფიროსმანაშვილი თბილისს ორი ძირითადი ფერის — თეთრისა და შავის — მრავალმხრივი ტონალობით წარმოგვისახავს. ლადო გუდიაშვილის ფერწერულ ტილოებზე თბილისი მრავალფეროვანი მდიდრული ორკესტრობით წარმოგვიდგება. გუდიაშვილი ხედავს და გვიჩვენებს რომ „ჩვენ, კაცთა... ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“.

გიორგი ლეონიძის პოეტურ ფანტაზიას თბილისი ხოხბისფერად დაუსახავს: „ჩემი სალამი ხოხბისფერ თბილისს!“ — ამბობს იგი. ხოხობი ბუნებისაგან მომადლებული ძვირფასი ფერებით დაჯილდოვებულ ფრინველად ითვლება. ხოხბისფერი მრავალფეროვანი ნაზავია, რომელშიაც ყველა დანარჩენ ფერებს აღისფერი სქარბობს, გიორგი ლეონიძე შეყვარებულია ამ ფერზე, რადგან მასში მზის სხივთა ზეიმს, სიციც-

ხლის სიხარულსა და თვით უკვდავებას ხელავს. მზე — სიცოცხლის წყარო — პოეტისათვის „მარჯნისფერად ბღღვრი-ალეზს“ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „მარიტა“ გიორგი ლეონიძემ ღრმა შთაგონებით უმღერა ამ ფერს, როდესაც ქებათა-ქება უთხრა ბროწეულის ყვავილს და თავისი ყრმობის ერთი ლამაზი და დაუვიწყარი მოგონება ამ ალისფერი ყვავილის ასოციაციით წარმოგვისახა: „მიყვარს ცეცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმფენარა აღნაკადი ოქრომდნარია, სუფესანთელივით რომ ბღღვრიალეს; მიყვარს მისი გულის ავსებულობა! თითქოს მზე საესებით შეუწყვიტაო“. მოტანილი ციტატის მიხედვით, მზე — სიცოცხლის წყარო — ალისფერთან ოქროსფერსაც ანათესავებს, რადგან ბროწეულის ყვავილი „მზიანეთის სხივმფენარა აღნაკადი ოქრომდნარია“. ალისფერთან ერთად, ლეონიძეს ხიბლავს და იტაცებს ოქროსფერი, რომელსაც აგრეთვე მზის თანაზიარად, სიცოცხლის სიმბოლოდ წარმოიდგენს. ლეონიძის პოეტურ შემოქმედებაში მზისეული ეს ორი ფერი მთავარია გარემოსამყაროს სხვა მრავალ ფერთა შორის.

გიორგი ლეონიძე სიცოცხლის მზიარულ, ლამაზ ფერთა მომღერალია და თუ მშობლიურ დედაქალაქს მან დამახასიათებელ ეპითეტად „ხოხბისფერი“ მოუნახა, ეს იმიტომ, რომ მისთვის თბილისის ამავდროს „აფრენილი ხოხბის ქალაქია“, ე. ი. ეპითეტ „ხოხბისფერი“, თბილისის შორეულ ისტორიულ წარსულზეც, მის დაბადება-აშენებაზე და მასთან დაკავშირებულ ხალხურ ლეგენდაზეც მიგვანიშნებს, ხოხბისფერი ელავს გიორგი ლეონიძის მიერ დახატულ თბილისის სურათებში. ვაკისხე-ნით ლექსები: „სიტყვა ძველ თბილისის“, „თბილისის განთიადი“, და ლირიკული პოემა „თბილისი“, სადაც მშობლიური დედაქალაქი წარმოგვიდგება თავისი მრავალფეროვნებით, გვირუკი რომანტიკული წარსულითა და ბედნიერი აწმყოთი.

საკმაოდ გრძელი ლირიკული ლექსი

10. „მნათობი“, № 6.

„თბილისის განთიადი“ ორიგინალური პოეტური ჩანაფიქრითა და კომპოზიცი-ით ძლიერ ჰგავს ლეონიძისავე სამსტროფიან ლექსს „მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას“. ორივე ლექსში წარმოსახულია საუკუნეთა მიღმა, ისტორიულ წარსულში ოცნებით გადასახლება, წარსულის ტრაგიკული სურათების უშუალო ხილვა და განცდა, შემდეგ კვლავ აწმყოსთან, დღევანდელ დღესთან დაბრუნება. ლექსი „თბილისის განთიადი“, რომელიც დაახლოებით სამი ათეული წლის წინათ (1935 წ.) არის დაწერილი, კოლორიტული სურათის წარმოსახვით იწყება:

აქ ყველა ბიჭი საზანდრობს,
ყველა ჰკეხს წინაპართა;
გულამოჭრილი საზამთრო
შემოგანათებს პარკითა.
ელავს აივნის ნოხები,
ტაბაკზედ ალიბუხარი
და ბურში ორთქლავს ხოხობი
აქ ჩაბარშული მღუღარით.

მთვარიან საღამოს პოეტი გამოდის ქუჩაში, რომ ლამაზ ქალს ყვავილი უყიდოს. მაგრამ „ზურგზე კლდემოკიდებული ხატეველთა ქალაქი“ და „დაჭრილ ხეგუსურის თავივით“ მთებს გადმოყვინთული მთვარე მას ყველაფერს გადააკვიწყებს და ოცნებით თბილისის შორეულ წარსულში გადაიყვანს:

ბაღით სურნელი მოვარდა,
სადაც რეპანი ეთესა,
მე ვავიგონე, მოპვარდა
ქვა ნარიყალას კედელსა.
მესმოდა ბავშვთა თვილი,
თეშური კალის ლეწავდა,
იტხებოდა ტაყილით
ქვალო ქვეული ლერწადა.

თვალწინ დგებიან სისხლიან მტერთა შემზარავი აჩრდილები. კენესის ცრემლით მორწყული და სისხლის ორთქლით შებოლილი ძველა თბილისი, მაგრამ ამ შემზარავ სურათთან ერთად, მოჩანს ჩაუქრობი ეროვნული ძალა გვირი წინაპრებისა, სიცოცხლის მძაფრი სიყვარული, მომავლის იმედი: შორს, ცხენთა პენებით დაჭკრიან ყაბახის მობურთა-

ლები, რომელთა სამზერლად ეშხიანი ქართველი ქალები გამოსულან. ისმის დაირა და „ხმა ხაბარდიან ტაშისა“, ისმის მეტივის სიმღერა მტკვარზე. ახლოვდება განთიადი და აქ გიორგი ლეონიძე ქმნის შესანიშნავ პოეტურ დეტალს — ბრწყინვალე მეტაფორას:

მამლების ტაში ითხოვდა
შესე — ქვეყნის სარაჯიშვილსა.

ქართულ ხალხურ პოეტურ გენიას მზის სადიდებლად ბევრი შესანიშნავი სიმღერა შეუქმნია. მზის სადიდებელი პიმნია სვანური „ლილე“. მოტანილი მეტაფორის აეტორისათვის სიმღერა თვითონ მზის სინონიმია, ხოლო სარაჯიშვილი — მშობლიური, ქართული სიმღერის სიმბოლო. აღნიშნული მეტაფორა ორჯანულ კავშირშია ლექსის იდეურ ჩანაფიქრთან.

მთვარიანი ღამე კიდევ უფრო გაბაცდა. ძველი მეტეხის თავზე ცისკარი გამობრწყინდა. მშობლიური ქალაქის შორეული წარსულის წარმოსახვითი ხილვით შთაგონებულს, თბილისის ღია ცისქვეშ დაათენდა პოეტს. დილის ბრწყინვალეზამ გამორაკვია იგი და შორეულ წარსულიდან კვლავ აწმყოს დაუბრუნა. მზის სინათლეზე განახლებული თბილისი მთელი თავისი მშვენიებით წარმოსდგა. წარსულის ნაშთებად აქა-იქ მხოლოდ ძველი არქიტექტურული ძეგლები აშართულან. ქაშუეთის კედელთან ვიღაც მეთარე ძველი სიყვარულის სიმღერას მღერის. პოეტი სხვას არას ვეუბნება ამ სიმღერის შესახებ, მაგრამ ლექსში მოულოდნელად გრიგოლ ორბელიანის სახელისა და „წინანდლის ვარდის“ შემოტანით, იგი მიგვანიშნებს, რომ მეთარე ქაშუეთის კედელთან, გრიგოლ ორბელიანის საფლავზე, დიდი ქართველი რომანტიკოსის მიერ ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსს მღერის.

მაგრამ ეშინა გრიგოლსა
და ვარდსაც წინანდალისა,
და იმ გულს აღარ ესმოდა,
ვინც ეს ხმა წინათ აღესა.

ძველ კრილობებმომუშებულ, განახლებულ, მშვიდობიან თბილისს თავისი

ახალი საზრუნავი აქვს, რაც ახალ-ახალ ვაჟკაცურ შემოქმედებითს შემართებას მოითხოვს და პოეტიც გვრჩვენებს მშვიდობიან შემოქმედებითი შრომის სურათებს:

თბილისს ელენა ქორიეთი,
გული კლდით ჰქონდა ვებული,
მოსქექდა ხალხის მორევი,
შრომისთვის გარიგებულა.
ჩემი ღამაში ქვეყანა
ამ დიდ ხმებს გადაეყვანა!
წარსულის ნამსხვრევ-ნაღწევი
თბილისს მთებზე ეყარა.
ძირს ლოკაციები სვეთაოდნენ
ლოდნებს, რომ აინდათ ჭრილობა, —
თბილისს გაქონდა მცხეთამდე
თავისი მხარგაშლილობა.

პოეტს, თანამედროვე, განახლებული თბილისის სილამაზითა და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით აღტაცებულს, არ სტოვებს ფიქრი მშობლიური ქალაქის წარსულზე. და როდესაც იგი „გორგასლის ვაჟს“, „ხოხობისფერ თბილისს, მტკვარს — საქართველოს წყალთა სადინელს“ ეთაყვანება, პოეტური ხილვის არეში იჭრებიან დიდი ვახტანგისა და დავითის ხატებანი, „მკერდზე ნახსლევნი და მკლავზე ნახანჯლონი“ კრწანისელები, სისხლიანი ჯალალ-ედდინი და შამ-აბასი, „რომის აფრა“ და „ტამერლანის ცხენი“, „ცარიელი აკვნები“, და „სავსე სამარე“ — წინაპართა საქმენი საგმირონი, რომელთა შესახებაც კვლავ დალადებულ თბილისზე გადმოშობილი ძველი ნარიყალას ნანგრევები აწმყოს კი, თითქოს, ყოველივე ეს დაეიწყებია. ზეცისკენ მსუბუქად აზიდულა

მათწმინდა ერის ღვაწლის ამწვეი —
გმირთა სავანე და საბრძანისი.
დაბლა კი
ხშირ ტყუყუთი დგას თბილის-ქალაქი
და მტკვარი უმღერს თავისუფლებას.
(სიტყვა ძველ თბილისს)

ლირიკული პოემა „თბილისი“ შეიძლება მძლავრი პოეტური ამოსუნთქვით თქმული (იგი შეიძლება თავისაგან შედგება) ერთი დიდი ქებათა-ქებაა, რომელიც გიორ-



ვი ლეონიძემ თბილისის ათას ხუთასი წლითავე მიუძღვნა. ამ პოემით ავტორი მკითხველის წინაშე კვლავ წარსდგა, როგორც დიდი მომღერალი მშობლიური დედაქალაქისა.

ვიცი, ბევრი მე დამნატრის: —
თბილისის მზეს ვეზიარე;
პერადობის მზე დამნათის,
ველადობის მზე ბრიალებს;
სიყვარულის მზე შეძახის,
მოსულა და მყვრიალებს...

მშობელი ქვეყნის სიყვარულით ეს გურამიშვილისებური ქრეოლა, რომელიც საერთოდ, დამახასიათებელია ლეონიძის პოეზიისათვის, ამ ლირიკულ პოემაში თავისი მრავალმხრივობით იჩენს თავს.

ლეონიძისეული მხატვრული წარმოსახვით, თბილისის „შუქურ-შუქი“, რომელსაც პოეტი ვერსაით გაქცევია, თავისი მარჯნისფერობითა და ოქროსფერობით, მზის „მეჭუფთარეა“:

— აი, ჩემი საცხოვრისი,
აქა ცხვება ჩემი პურა.

თბილისი გ. ლეონიძის შთაგონებაა; პოეტი თბილისის „ვარსკვლავთა ქახ-ქახს“ უსმენს, თბილისის ციდან იწერს ლექსებს, თბილისის ქუჩებში დაეძებს ვეფხვისხალიან შოთას აჩრდილს, გრძნობს, რომ ახალ თბილისს თავისი ბესიკი უნდა. ამიტომ „ატორტმანებს“ მას თბილისის ეშხის ახალი ქარიშხალი:

მიხარია, რომ საშობლო
თვალს უსწორებს, მძლედ უყურებს,
დიდ მიზნებს;
დიდ ბრძოლებს,
დიდ საქმეთა საუქუნეს!

თბილისის ახლო წარსულს ეძღვნება ორი ლირიკული შედევრი: „მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“ და „მამ, რა ვუყოთ, პოეტებო“. პირველი დაწერილია 1926, ხოლო მეორე — 1930 წელს. ორთავე მათვანში, ლეონიძისავე პოეტური მეტაფორით რომ ვთქვათ, „ნავარდს არტყამს ორბის ფრთებით“ მისი „სიტყვა სამყვირალო“:

მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა
ნუშის ნაფერთალი,
ცას ვარსკვლავი ანათებდა
ვით კამეჩის თვალი.

ლექსის ამ ოთხ დასაწყის სტრიქონში მხატვრული ასოციაციებით არის წარმოსახული აღრიანი გაზაფხულის სურნელოვანი საღამო თბილისში. ვარსკვლავიანი ცა. აყვავებული ნუშები მთაწმინდაზე. გაზაფხულის ქარი იტაცებს მათ სურნელებას და საკმეღევით აკმევს გულმკერდზე ქალაქს. პოეტური სიტყვის ხელოვანმა, ისე როგორც ფერწერული საღებავების დიდოსტატმა, ნუშის ნაფერთალის ჩვენებით, მთელს გაზაფხულზე, დედაქალაქის ბუნების ზეიმზე მიგვანიშნა, ხოლო თბილისის ვარსკვლავიანი ღამის შთამბეჭდავად წარმოსახვის მიზნით, ვარსკვლავის ციმციმს ახალი, ორიგინალური შედარება — კამეჩის თვალის ხამხამი მოუნახა. მაღალ-მხატვრული შედარებებით, რთული, მაგრამ ნათელი მეტაფორებით, ზუსტი პოეტური მინიშნებებითა და ასოციაციებით დახატულია წარუშლელი სურათი თბილისურ გაზაფხულის ღამისა. მაგრამ არა მარტო ბუნება, — ყოფითი რომანტიკა, სიცოცხლის სიხარულის ძალუმი სუნთქვა ავსებს ლექსს:

ღამე იყო გათვლი
მეუზოვის ქერქით
და საჩქმელთან კამათელი
კალმხური ზურგით
ბრიალებდა, ყალუზე იღვა,
ვით ყაზახის ცხენი...
სად ლებოდა ბეჭდიანი,
ვაჟ, მანანას ხელი?!

მანანა ორბელიანის „ბეჭდიანი ხელის“ მოულოდნელი გახსენება თვალწინ გვიყენებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის სილამაზითა და ნიჭით განთქმულ ქართველ ქალებს, ხოლო შორისდებული „ვაჟ“ გარდასული სილამაზის გახსენებით აღძრულ სულიერ ტკივილს განგვაცდევინებს. პოეტური შეკითხვა-შეძახილი — „სად ლებოდა ბეჭდიანი, ვაჟ, მანანას ხელი?!“ — მკითხველის შემეცნებაში ასეთ ასოციაციასაც იწ-

ვევს: კამათლებს, რომლებიც ახლა სარკმელთან ბზრიალებენ (ვის ხელში?) და ყაბახის ცხენივით „ყალყზე დგებიან“, ერთ დროს მანანა ორბელიანის „ბექდიან ხელშიაც“ უმღერნიათ.

განთიადისას ვარსკვლავები თანდათან ჭრებიან. ქარი, ღამით მიყუჩებული, სტამბულს მიმავალი „ქაჭავეთის ქაჭი“, კვლავ იღვიძებს და ნუშის ნაფერთალებს უშენს ქალაქს. შევარდენი ოქროს წყებას ისერის ცაში (მზის სხივის მეტაფორა!). თბილისი განმკურნებელ მზის შუქს ისუნთქავს, „ლექსებისა და ტარხუნის სურნელს“ ყნოსავს.

ამ ლექსში უდაოდ მიგნებულია ის „აღმასის სიტყვები“, რომლებზედაც აღრე, სიჭბუქის გარიერაზე შემოქმედებითი ძიების პერიოდში, გატაცებით ოცნებობდა პოეტი.

აღმასის სიტყვებითა და ნათელი პოეტური ხილვებით ხასიათდება ლექსი „მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო“... ათას ხუთასი წლის წინათ ღებოხადგმული ქალაქი, ათას ნგრევასა და განსაცდელს გადარჩენილი, ახლა ძველი და ახალი ეპოქების მიჯნაზე მდგარი, თავისი დაუბერებელი სილამაზითა და ჭაბუკური სუნთქვით ეგებება დღევანდელ დღეს:

მივგებთ,
ვინც დამწვარა,
როგორც საათნაეი!
განა გიციდის სიყვარული,
ადგება ჯა წავა!
მაგრამ ისევ ილაპაპებს
მტკვარის ლურჯი ვავა,
ქაშეთის ჩუქურთმები
ფასქუჩების თავად!

ფაქიზი პოეტური ინტუიციით მიგნებული სამკაულები ამშვენებს ამ ლექსს. დილის მზის სხივებით განათებული ძველი ნარიყალას ნანგრევი და ექვსი ისტორიული კარი, ღამაში კონტურები დედაქალაქისა, მიმზიდველი ყოფითი კოლორიტული პეიზაჟი ფიროსმანისა და ეთიმ გურჯისდროინდელი თბილისისა:

სწევთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ღუნჯი.

ავტორის რწმენით, განახლებული თბილისი კვლავ წინ წაიწიწეცვლის ფერს, მას სილამაზის სხალად წააქვია შემოსავს... და თუმცა „მტკვრის ლურჯი ვავა მუდამ ილაპაპებს“, ქაშეთის ჩუქურთმების მშვენებაც დარჩება, მაგრამ ბევრი რამ, რაც თავისი დროისათვის ღამაში და მიმზიდველი იყო, დაგიწყებას მიეცემა. ახალი დროის მომღერალმა პოეტმა, რომელიც თავისი ეპოქის შესაფერ სიტყვას ეტყვის განახლებულ თბილისს, მისი „ძველი ნააჩრდილარიც“ არ უნდა დაივიწყოს, ლექსის გარეშე არ დასტოვოს. ასეთი პოეტური შეგონებით თავდება ლექსი:

მაგრამ ლექსი ვადრჩება
იმ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოს
და ჰიანდრს მტირალს,
მეტივეს და თივის ურემს.
წყნეთურ მაწენის ქილას, —
მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისს დილას?

თბილისი მუდამ იყო და არის სრულიად საქართველოს გული, მისი სიამაყე. ასე დარჩება იგი მარად. არა მარტო საქართველოს ერთმა რომელიმე გუთხემ შეუწარჩუნა მას ისტორიულად თვითმყოფობა და თავისუფლება, მთელი ქართველი ხალხის ერთიანი ძალა და ნებისყოფა ჰხვდებოდა აუღებელ ცინე-სიმაგრედ მის დასანგრევად და ასაოხრებლად მომხდურ მტერს. ამ აზრს ატარებს პოეტი თბილისისადმი მიძღვნილ ლირიკულ პოემაში:

განა მარტო არაველნო,
თბილისს სისხლად იახელით?
ჩიონელნო, იორელნო,
ალანელნო, ლიხველნო,
კორიხელნო, ბერდუჯელნო,
ტეხერელნო, ენგურელნო,
მტკვრელნო,
მტართა მუშტის მყერელნო! —
თქვენ თბილისის უკვდავ ძარღვი
სისხლმდინარედ ჩაიარეთ...

ქართული ვაზის მაღლი ჩქეფს თბილისის ძარღვებში. ქართული ყანის ბარაქა დგას თბილისის მოქალაქეთა ოჯახებში. გავიხსენოთ კიდევ ერთი ლირიკული ნაბატი:

ვათენებისას მერძვევ მოვა,
 მას გაელემა პირველად კარი...
 გაიშრიალებს თთახში ყანა,
 ოქროს ექენებოთ წყრიალებს მტკვარი.
 („ვათენებისას მერძვევ მოვა“)

ახალი გაზაფხული დგას „აფრენილ ხოხბის ქალაქში“. შენდება, მშვენიდება, ფართოდება თბილისი. მას საქართველოს ძველ სატახტომდე, მცხეთამდე გააქვს „თავისი მხარგაშლილობა“, თავისუფალი ქართველი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ახალი მიღწევებისაკენ მიაქანებს ახალი დიდების თანაზიარ მშობლიურ ქალაქს.

გიორგი ლეონიძე თავისთავს ახალი თბილისის „მოაზიკესა და მეჭაშნიკეს“ უწოდებს. იგი სიამაყით აცხადებს, რომ დღევანდელი დღის სიმღერა მას განახლებული თბილისის ქარხნების მიღებზე

უსწავლია. დიდი გრძნობა და სიყვარულია ჩატეული სტრიქონებში

ჩემი ბავშვობის ფერფლს მთავრად
 შენს ქუჩათ ქვაფენილებზე!

პოეტმა იცის, რომ თბილისის ბედი იგივე საქართველოს ბედი, რომ თბილისის „უცვდავება ერისგან გადაელოცა“. ლეონიძე მშობლიური ხალხის ბედნიერი მომავლის რწმენით მიმართავს ათას ხუთასი წლის დედაქალაქს:

მით მტარვალმა ველარ გეთლოს,
 რავინდ ბადეს არა ქსოვდეს,
 დაროქილი საქართველო
 არ იქნება არასოდეს.

ასეთი მღელვარებით უმღერა პოეტმა თბილისის განთიადებს. თბილისი ელავს გიორგი ლეონიძის მთელს მრავალფეროვან პოეზიაში.

ათა ბარძია

ლეო ქიაჩელი და რუსეთის პირველი რევოლუცია

ლეო ქიაჩელის, როგორც მწერლის, ჩამოყალიბების წლები დაემთხვა 1905 წლის რევოლუციის წინა დროს, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების რევოლუციური აღმავლობის პერიოდს, როდესაც ქართველი მშრომელი ხალხი აღსდგა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშათა და გლეხთა მოძრაობამ გარკვეული პოლიტიკური ხასიათი მიიღო საქართველოში: 1902 წლის 9 მარტს ბათუმში მოწყობილმა პოლიტიკურმა დემონსტრაციამ ფართო გამოსმაურება ჰპოვა მთელს ამიერკავკასიაში.

ქუთაისში და მის გუბერნიაში რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა 500-ზე მეტი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ჩამოაყალიბა, ამასთანავე დაასრულა რამდენიმე არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა მგზნებარე რევოლუციური მოწოდებით აღსავსე პროკლამაციები.

1904 წელს ქუთაისში მოეწყო მოწაფეთა პირველი პოლიტიკური გაფიცვა და დემონსტრაცია, რომელიც დაკავშირებული იყო მთელი ქართველი მშრომელი ხალხის რევოლუციურ მოძრაობასთან.

ლ. ქიაჩელი ქუთაისის მოწაფეთა პირველი დემონსტრაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. იგი ამ დროს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში სწავლობდა. სწორედ ამ ხანებში გიმნაზიის მოსწავლეთა წრემ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდი გავლენა განიცადა, რის შედეგადაც ზოგიერთი გიმნაზიელი და მათ რიცხვში ლ. ქიაჩელი არალეგა-

ლურ პრაქტიკულ მუშაობაზე გადავიდა.

მომავალი მწერლის გარეგანული ნერებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იმ ხანად ქუთაისში ცხოვრობდა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრი, თბილისის საოსტატო ინსტიტუტიდან გარიცხული ალიოშა ჯაფარიძე. მან ჩამოაყალიბა ქუთაისელ ნოქართა ორგანიზაცია, რომლის პირველი კრება ლეო ქიაჩელის ბინაში გაიმართა, ქალაქის განაპირა უბანში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1904 წელს, ლეო ქიაჩელი უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვის უნივერსიტეტში გაემგზავრა. 1905 წლის რევოლუცია კარზე იყო მომდგარი. ლეო ქიაჩელი ხარკოვშიც შეგნებულად გაჰყვა რევოლუციური მოძრაობის ქარიშხალში ჩაბმულ რუს და უკრაინულ სტუდენტობას, მაგრამ უნივერსიტეტის დროებით დახურვის გამო იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო საქართველოში, რომელიც ამ დროს უკვე საყოველთაო აჯანყების ცეცხლში იყო გაბევეული.

ლეო ქიაჩელი რევოლუციურ მუშაობაში ჩაება საქართველოში, სადაც გლეხთა მოძრაობას ჯერ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ ბათუმის კომიტეტი. რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, ბათუმის კომიტეტმა სამეგრელოსათვის ფოთში გამოჰყო ცალკე ჯგუფი, რომელსაც ლეო ქიაჩელი ჩაუდგა სათავეში.

1906 წელს მეფის მთავრობამ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეო-

ბისათვის შეიპყრო ლ. ქიაჩელი და იგი ქუთაისის ციხეში მოათავსა. მომავალ მწერალს სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად კატორღა არ ასცდებოდა, რომ ქუთაისის კომიტეტს ციხეში გვირაბის გაყვანით არ მოეწყო მათი განთავისუფლება.

რამდენად აქტიური როლი შეასრულა ლ. ქიაჩელმა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, ამას ნათლად ადასტურებს საბრალმდებლო აქტი, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის ორგანოებმა შეადგინეს 1907 წლის აპრილში. ამ აქტში ნათქვამია:

„ლეონ მიხეილის ძე შენგელიას, 20 წლისას, ბრალი ედება იმაში, რომ იგი 1905 წლის ბოლოსა და 1906 წლის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში მონაწილეობას იღებდა დანაშაულებრივ გაერთიანებაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა ძალმომრეობით შეეცვალა რუსეთში ძირითადი კანონით დამყარებული მმართველობის წესი, გაერთიანებაში, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰქონდა მალემსროლი იარაღი და საომარი მასალა. ამასთან ამ გაერთიანების ამოცანების განსახორციელებლად შენგელია სოფლად გამოდიოდა მის მიერ მოწყობილ გლეხთა საჯარო კრებებზე, მოუწოდებდა მოსახლეობას აშკარა, შეიარაღებული აჯანყებისაკენ რუსეთში არსებული მმართველობის წესის დასაშლად და რესპუბლიკის დასამყარებლად. იგი მოითხოვდა მოსახლეობისაგან არ დამორჩილებოდა მთავრობის ხელისუფალთ, არ გადაეხადა საზაზინო ფული და გადასახადები, არ მიეცა მთავრობისათვის წვევამდლები, არ გადაეხადა სანადელო ბეგარა მემამულეებისათვის, დრამის ფული — სამღვდლოებისათვის. გარდა ამისა, ის, როგორც ხსენებული დანაშაულებრივი გაერთიანების მეთაური, სხვა ბრალდებულებთან ერთად ნიშნავდა განსაკუთრებულნი თანამდებობის პირებს: ასისტავებს, ათისტავებს და რაიონის უფროს ერისტავებს, მათ მიერ მაზრაში გაუქმებული თა-

ნამდებობის პირების ნაცვლად... აგრეთვე დნენ მოსახლეობაში ფულს რევოლუციური მიზნებისათვის... 1905 წ. დეკემბერში ზუგდიდის მაზრის მცხოვრებლებს დაურიგეს საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი იარაღი და საომარი მასალა, შემდეგ ამ იარაღის მფლობელი მებრძოლები „წითელი რაზმების“ რიგებში ჩაწერეს, ხოლო 1906 წლის 1 იანვარს ეს რაზმები შეიარაღდეს და გაგზავნეს სადგურ სამტრედიის მთავრობის წარების დასახვედრად იმ მიზნით, რათა ისინი ძალით შეეჩერებინათ და არ შეეშვათ ზუგდიდის მაზრაში. დაბოლოს, იგი პირადად ხელმძღვანელობდა ჯგუფს, რომელიც 1905 წლის 5 დეკემბერს ღამით თავს დაესხა საოლიციო დაცვის ზუგდიდის რეზერვს, ხელთ იგდო იარაღისა და საომარი მასალების საწყობები და განაიარაღა სტრატეგიები“...

მაგრამ თბილისის სასამართლო პალატამ, რომელსაც ლ. ქიაჩელის საქმე გადაეცა განსახილველად, ვერ შეძლო მოსალოდნელი მკაცრი განაჩენის განხორციელება, ვინაიდან ციხიდან გამოქვეული ლ. ქიაჩელი 1907 წელს მოსკოვს გაემგზავრა და იქ ხუთი წლის განმავლობაში არალეგალურ ცხოვრებას ეწეოდა.

თავისი პირველივე მოთხრობებით და ნოველებით ლეო ქიაჩელმა გამოამჟღავნა რეალისტ მწერლის ნიშანდობლივი თვისებები. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს, 1903 წელს, ქუთაისის გიმნაზიის ხელნაწერ ჟურნალ „მომავალში“ ლეო ქიაჩელმა გამოაქვეყნა მოთხრობა „სიზმარი“, რომელშიც ახალგაზრდა მწერალი ილევორიულად გადმოსცემდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობისა და მშრომელი ხალხის ზეიმის სურათს.

1912 წელს იმდროინდელი ცნობილი კრიტიკოსი გ. ბარელი (გრიგოლ რეხილაძე) მიმოიხილა და რა ქართულ მწერლობას, სტატიაში „სტატყვაკაზმული მწერლობა ჩვენში“, წერდა: „უპირველესად ყოვლისა მე მსურს მკითხ-

ველის ყურადღება მივაქციო ერთს ახალგაზრდა მწერალზე, რომელიც როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა საზოგადოებას. ლეო ქიაჩელზე მოგახსენებთ... ჩვენ განზრახ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება ამ ახალგაზრდა მწერალს. ჩვენი, როდესაც ასე ბლომად იწერება ლექსები და ნოველები, ხშირად ყოველგვარ ნიქსა და მხატვრულ გულწრფელობას მოკლებულნი, ბონ ლეო ქიაჩელს ნაწარმოებები გვხიბლავს თავისი მარტივი სილამაზით, მდიდარი მხატვრული სურათებითა და განცდათა გულწრფელობით...“

შვეიცარიაში ემიგრანტობაში მყოფი ლეო ქიაჩელი იმპერიალისტური ომის წლებში წერს რომანს, რომელიც 1916 წელს, ვაშეთ „სახალხო ფურცელში“, ფელეტონების სახით, „ტარიელ გოლუას“ სახელწოდებით, დაიბეჭდა. რამდენად ღირსშესანიშნავი იყო ქართული სინამდვილისათვის ქიაჩელის ეს ახალი ნაწარმოებები, ამას ნაწილობრივ გვიდასტურებს ანოტაცია, რომელიც აღნიშნულმა ვაშეთმა რომანს წარუძღვარა:

„... დარწმუნებული ვართ, ჩვენი საზოგადოება სიხარულით შეხვდება „ტარიელ გოლუას“, რომელიც მოგვაგონებს ალ. ყაზბეგის მოთხრობებს. თემა მეტად საინტერესოა, აწერილია მოძრაობის დრო სამეგრელოში, ჩვენი სოფლის გამოღვიძება, ვატყობა მაღალის მისწრაფებით. ქიაჩელის გმირები: ტარიელ გოლუა, მისი შვილი ლევანი, პატარა ვიო, მუნჯი, ბაჩუ, ბეჟანა და სხვები ხალხის ღვიძლი შვილები არიან, რომელთა ვაცხოველება განსაკუთრებით ძვირფასია დღეს. ჩვენი ერის სიძლიერე და იმედი — ჩვენი მდაბიო ხალხია, რომელიც ერთი აღადგენს დღეს დაბეჩავებულსა და დაცემულ ერს“.

რედაქციის ეს შენიშვნა საყურადღებოა მით, რომ გვაცნობს სავსებით ჯანსაღ თვალსაზრისს იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოებისას, რომელსაც ცხოვრების

ერთადერთ გარდამქმნელ ძალად მიანდა მატერიალური დოვლათის მწარმოებლები, მშრომელი მასები და მათგან მართებულად მოელოდა უდიდესი ისტორიული მისიის შესრულებას — დაბეჩავებული და დაცემული ერის აღდგენასა და აღორძინებას. საყურადღებოა, რომ ეს თვალსაზრისი გამოყენებულია ლეო ქიაჩელის ნაწარმოების ღირებულების საზომად, ნაწარმოებისა, რომლის ძირითადი პერსონაჟები, მართლაც, ხალხის ღვიძლი შვილები არიან და აქტიურად მონაწილეობენ გაღვიძებული სოფლის მაღალ მისწრაფებათა განხორციელების საქმეში. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს, როცა სიმბოლისტურმა მიმართულებამ ბრძოლა გამოუცხადა დიდ სოციალურ ტილოებს, ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ასახვას, ლეო ქიაჩელმა ქართულ ლიტერატურაში ახალი სიტყვა თქვა და ჩვენი მწერლობა ახალი მხატვრული სახეებით გაამდიდრა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი ქართული სინამდვილის სურათს, ლეო ქიაჩელი, როგორც რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე მდგომი მწერალი, ფართო ეპიკურ ტილოზე წარმოადგენს: რომანში „სისხლი“ იგი აგვიწერს იმ ისტორიულ მონაკვეთს, დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც რევოლუცია თანდათანობით შენელების გზას დაადგა.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია დამარცხდა, ბოლშევიკური ორგანიზაციები წესრიგით უკანდახვევის, ძალების მოკრების, არალეგალურ და ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების ხელახალ შეტევაზე გადასვლის ტაქტიკურ ხაზს აზორციელებდნენ, იარაღს არ ჰყრიდნენ და ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

აი ისტორიული ფონი, რომელზეც იშლება ლ. ქიაჩელის „სისხლი“.

რომანი იწყება ანდრო ქარივაძის და ვარდო ვარაძის რომანულ ურთიერთ-

ბაში მომხდარი კატასტროფის ჩვენებით. შემთხვევითი არ არის, რომ მწერალი ექსპონიციანი გვიჩვენებს ახალგაზრდა მებრძოლს ანდრო ქარივძეს, რომლის პირადი ბედნიერება შეიწირა ქუთაისის ციხის უფროსმა მელიტონ აბლანდიამ მისი საყვარელი არსების ცოლად შერთვით. გულმოკლული ანდრო ქარივძე უარს ეუბნება ამხანაგებს, რომლებიც პირდებიან მეტოქის გზიდან ჩამოშორებას. იგი ამას უარყოფს არა იმიტომ, რომ კლავინდებურად აღარ უყვარს ვარდო, არამედ იმიტომ, რომ პირად ბედნიერებას ვერ ანაცვალა საზოგადოებრივი საქმე, რაკი იცოდა, რომ ჩინოსანი კაცის შეურაცხყოფას შედეგად მოჰყვებოდა ორგანიზაციის დარბევა, ამხანაგების აწიოება.

ანდროს წამოძახილი: „იცოდე სყვლამ, რომ ჩვენი დრო კიდეც დადგება“ მიმართულია არა მისი პირადი მტრის აბლანდიას წინააღმდეგ, არამედ მთელი იმ რეაქციული ხროვის წინააღმდეგ, რომელსაც რევოლუციის დროებით დამარცხებამ უფლებები განუშტკაცავინ არის ანდრო ქარივძე?

იგი რევოლუციურ მუშაობაში ჩაბმული ყმაწვილკაცია. ანდრო სოფლის ამხანაგებს მგზნებარედ ელაპარაკება მომავალ რევოლუციურ მუშაობაზე და მიიღებს გადაწყვეტილებას ფოთში წავიდეს, რათა არჩილ დადიანიანის ხელმძღვანელობით ჩაებას პარტიულ მუშაობაში.

ფოთში ანდრო აღმოჩნდა მუშათა წრეში, სადაც ერთსა და იმავე დროს შეხედება არჩილს და ბოლშევიკ ნიკოს. აი აქ გვიჩვენებს ლ. ქიჩელი იმ უთანხმოებას, რომელიც ფორმალური გაერთიანების მიუხედავად, კვლავ გრძელდებოდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

1906 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე კვლავ გრძელდებოდა პარტიზანული ბრძოლები. ბოლშევიკები მანებს ამზადებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად; ხოლო მენშევიკები

ატარებდნენ რევოლუციის საწინააღმდეგო აგიტაციას, ცდილობდნენ რევოლუციურ ბრძოლას მოწყობებულნი მუშები და გლეხები ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოექციათ.

რომანში არამც თუ უთანხმოება, არამედ ხაზგასმულია მენშევიკებისა და ბოლშევიკების ანტიპარტიული ურთიერთობაც. როცა არჩილი თხოვს ვანოს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ბინაზე წაყოლას, იგი მიუგება:

„მე და ბოლშევიკებთან?.. რას მეუბნები, კაცო? მისვლა კი არა, დასანახავად ვეზარები. ისევ ის სჯობია, რომ შენ მარტო ინახულო“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებას მოყვა საშინელი რეპრესიები, ბოლშევიკური ორგანიზაციების განადგურება, მაგრამ ბოლშევიკების გავლენა მასებზე დღითიდღე იზრდებოდა, ვინაიდან მუშები და გლეხები სულ უფრო რწმუნდებოდნენ ბოლშევიკების ტაქტიკურა ხაზის სისწორეში. მწერალმა რომანში წარმოდგენილ გმირთა მოქმედებით თვალსაჩინოდ დაგვიანახა ბოლშევიკური ორგანიზაციების მხარეზე ახალი ძალების გადასვლის მკაფიო სურათი.

ანდრო ფოთში მიემგზავრება იმ გადაწყვეტილებით, რომ მას ხელმძღვანელობას გაუწევს მისი სიყრმის მეგობარი არჩილ დადიანი. მაგრამ რახდება? მეგობრობის გლევიძებული გრძნობაც კი დაამარცხა ანდროში ნიკოს ძლიერმა პიროვნებამ, მისი საქმის სიმართლემ. მწერალმა ანდრო გვიჩვენა, როგორც ახალგაზრდა, რომელსაც წამს ბოლშევიკების პარტიისა, მაგრამ მის წარმომადგენლებთან ურთიერთობა არ ჰქონია და არ იცნობს მათ. მას არჩილიც ბოლშევიკი ჰგონია, ყოველ შემთხვევაში იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც რეაქციის პერიოდში რაზმავდა მშრომელებს ახალი რევოლუციის მოსამზადებლად. მას შემდეგ კი, რაც ანდრო მოისმენს ნიკოსა და არჩილის დავას მატარებელზე თავდასხმის გამო, მას ეკვები აღეჭრება.

არჩილის ქუთაისში გამგზავრების შემდეგ ანდრო რჩება მუშათა წრეში, დაუახლოვდება სამსონს, დათიას, ერასტოს. მალე პირველი ორი ახლადშექმნილი მისი მეგობარი ნიკოს მხარეზე გადავა. ანდროს პიროვნებაში იწყება შინაგანი ბრძოლა. მას არჩილის დალატად მიიჩნია ნიკოს მიერ განზრახულ საქმეში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ «ფარულ პატივისცემას გრძნობდა», ეშინოდა ამხანაგებს მისთვისაც არ შეეთავაზებინათ ამ ნაბიჯის გადადგმა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ანდრო ბოლშევიკების ორგანიზაციის აქტიური მონაწილე ხდება მას შემდეგ, რაც ნიკოს ხელმძღვანელობით მატარებელზე მოქმდარი თავდასხმა მარცხით მთავრდება. არჩილის ადრინდელ ზეგავლენას, მის კატეგორიულ პროტესტს ამ თავდასხმის მოხდენის წინააღმდეგ ბუნებრივად შეეძლო ანდროსათვის ნიკოსადმი უნდობლობა აღედგა და მისი საქმის დამარცხება არჩილის ტაქტიკის მართებულობით აეხსნა. მაგრამ არა, ანდრო სწორედ ამ მარცხის შემდეგ სამუდამოდ ნიკოსთან რჩება.

თუმცა მწერალი გვეუბნება, რომ არჩილის შიში ანდროს ბედის გამო მხოლოდ პარტიული თუ ფრაქციული მოსაზრებით არ იყო გამოწვეული და უმთავრესად ანდროს ფიზიკური დაღუპვა ანაღვლებდა, მაგრამ აქ მთავარია, არა ის, თუ რა აღადრებდა არჩილს, არამედ მისი მტკიცე რწმენა, რომ ნიკოსთან დაახლოებას, ე. ი. ბოლშევიკებთან ახლო ურთიერთობას, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა ყმაწვილზე. ეს შიში სწორედ ბოლშევიკების მხარეზე მშრომელთა მასების გადასვლით გამოწვეული შიშია.

ანდროსათვის პირველი საბრძოლო გამოცდა იყო ქალაქის ტყეში ამხანაგებთან ერთად პოლიციის რაზმებთან შეტაკება, მაგრამ მტერთან მამაცური ბრძოლის დროს ანდროს გაცილებით მძიმე განსაცდელი შეხვდა მძანაფიკო სამსონის უნეტეშო მდგომარეობასთან

დაკავშირებით. ეს ის საშთონი იყო, რომელიც შეხვედრის დღესვე დაუმეგობრდა ჰაბუტს და ძმობის წიშლად თავისი საყვარელი რევოლუციური ახუკა.

ადამიანის სულიერი განცდების სიძარბოვით გადმოცემის ოსტატობა გამოიყენა მწერალმა მთელი ამ სცენის აღწერაში, რამაც განაზღვრა უაღრესად რთული ფსიქოლოგიური კოლიზიის დამაჯერებლად გადაწყვეტა.

საკუთარი ხელით მეგობრის მოკვლავითიორად გააძლიერებს ანდროს სიტუაციის რეაქციული ძალებისადმი და ამიერიდან სამსონის ნათელი სახელის ხსოვნით, მისი ნაჩუქარი რევოლუციით შურს იძიებს ხალხის ამწიოკებლებზე.

მელიტონ აბლანდიას ეანდარმული საქციელის შედეგად სიცოცხლეს ესაღმება ვარდო ვარაძე.

შემდეგ ანდრო მხარში ამოუდგება ნიკოს ფრიად საზიფათო ოპერაციას— ქუთაისის ციხიდან პოლიტიკურ პარტიმართა განთავისუფლების განზოციელებასში.

ცნობილია, რომ ქუთაისის ციხეში გვირაბის გაყვანის ორგანიზაცია და პოლიტპარტიმართა განთავისუფლების ინიციატივა ეკუთვნის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატის, ლეო ქიაჩელმა უზადო მხატვრული ფერებით დაგვიხატა საპარტიმროს ცხოვრების და პარტიმართა განთავისუფლების შესანიშნავი ეპიზოდი, რომელსაც რომანში დიდი სიცოცხლე შეაქვს.

ვარდო ვარაძის დაკრძალვის და ციხიდან პარტიმართა განთავისუფლების მხატვრულად ძლიერი ეპიზოდები შესანიშნავადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული.

ანდრო კვლავ ყურადღების ცენტრში დგას. მას ვხედავთ ჯერ საპარტიმროდან გამოპარულ ამხანაგებთან სამშვიდობოდ გასვლის სადარაჯოზე, შემდეგ რევოლუციონერთა შტაბში, სადაც თავი უნდა მოეყარა ცნობებს ციხიდან გამოქცეულთა მდგომარეობის შესახებ.

პარტიმრების გაქცევას შედეგად მო-

ჰყვა საშინელი რბევა, აწიოკება, არა მარტო ციხეში, არამედ ქალაქის მოსახლეობაშიც.

ამ საშინელ ანგარიშსწორებაში ჩვენს თვალწინ დგება გაბოროტებული მელიტონ აბლანდია, რომელიც დაუზოგავად ანადგურებს რევოლუციონერებს და მათ ხელშემწყობებს. როდესაც შტაბში შეკრებილი ამხანაგები შეიტყობენ აბლანდიას მიერ იუსტინეს და მეკარე პავლიკას მოკვლას, ფიცხლად გადაწყვეტენ აბლანდიაზე შურისძიებას. მაგრამ ანდრო არავის დაანებებს ამ სახიფათო ამოცანის შესრულებას. იგი დათოს და ალექსა მეეტლეს დახმარებით მოხერხებულად იძიებს შურს.

რევოლუციურ ვითარებაში, როცა წითელრაზმელები კვლავ განაგრძობდნენ პარტიზანულ ბრძოლებს, ეს ფაქტი უნდა განვიხილოთ არა როგორც ტერორისტული გამოსვლა, არამედ იმის გამოხატულება, რომ მშრომელ კლასებს, მათ ხელმძღვანელ ბოლშევიკურ პარტიას იარაღი არ დაუყრიათ და ემზადებოდნენ ახალი შეიარაღებული გამოსვლისათვის.

ნიკოს სახით ლ. ქიაჩელმა დაგვიხატა გაბედული მებრძოლი და ორგანიზატორი, რომელსაც ქიათურის მალაჩოებიდან დაპყვა სიძულელი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისადმი, შეუპოვრობა მიზნისაკენ სწრაფვის დროს.

ნიკო ბოლშევიკია და იგი მთელი თავისი მსჯელობითა და საქციელით თანმიმდევრულად განახორციელებს პარტიის ხაზს იმ ეტაპზე, რომელსაც მწერალი აკვიწებს. გადაწყვეტილება მატარებელზე თავდასხმის შესახებ, პარტიმართა განთავისუფლებისა და ჯარისათვის იარაღის წართმევის მიზნით, ეს ნიკოს პირადი კაპრიზი კი არ არის, არამედ ორგანიზაციის დავალება, რომლის შესრულებასაც იგი უპარტესი პასუხისმგებლობით ეკიდება და ამასვე მოითხოვს სხვებიანგან.

რომანში არჩილ დადიანიანის ლიკვიდატორული განწყობილებანი მთელი

სისრულით ვლინდება ნიკოსთან კამათის დროს. იმით, რომ სამსონა დათია და ანდრო ზურგს შეაქცევდნენ არჩილ დადიანიანს და ნიკოს ემხრობიან, ლ. ქიაჩელმა გვიჩვენა მასებში ბოლშევიკური გავლენის ზრდა, მათი ლტოლვა ბოლშევიკური პარტიისადმი, რომელიც ერთადერთი ახორციელებდა რევოლუციურ ტაქტიკას.

ნიკოს ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში უხეშობას სწამებენ, ჩვენი აზრით, ეს განცხადება მთლად საფუძვლიანი არ უნდა იყოს. თუ მხედველობაში აქვთ მიღებული ნიკოს სიცხარე ქალაქადის ტყეში ბრძოლის დროს, ვიტყვით, რომ მტერთან განრისხებული ადამიანის აფექტური მდგომარეობა არ შეიძლება მისი ბუნების დამახასიათებელ ნიშნად მივიღოთ, ხოლო რაც შეეხება არჩილთან კამათის დროს გამოქვადვებულ მღელვარებას, ამაში მკითხველი მხოლოდ ნიკოს პრინციპულობას და შეუპოვრობას ხედავს და არა უხეშობას. პირიქით, ნიკო ხშირად წარმოგვიდგება, როგორც ლმობიერი (მაგრამ არა პარტიულ საქმიანობაში), უსიტყვოდ გამგები, მოალერსე ადამიანი. რაღა თქმა უნდა, არჩილთან შედარებით იგი შეიძლება უხეშადაც მოგვიჩვენოს, ვინაიდან არჩილი ოთახის კედლებს გარეთ მოქმედებაში არსად გვინახავს, ნიკო კი გამუდმებით საქმიანობასა და ბრძოლაში ჰყავს მწერალს დახატული და მას უფრო მეტი მიზეზები ჰქონდა ზოგჯერ თავშეუკავებლობაც გამოეჩინა.

ლ. ქიაჩელის რომანის ყველა გმირი განსაზღვრულ ფუნქციას ატარებს. თუ ნიკო მუშა-ბოლშევიკია, რომელიც უღრეკი ნებისყოფით მიიწევს წინ ნათლად დასახული მიზნისაკენ, ანდრო გამოუცდელი ახალგაზრდა გლეხკაცია, რომელსაც ბოლშევიკური იდეების ცხოველყოფილობა ხიბლავს, გაბედულად ამოუდგება მხარში ნიკოს, ბოლომდე მის გზას მიჰყვება და წარმოგვიდგება, როგორც მომავალი რევოლუციის აქტიური მონაწილე. მიხელა,

სამსონი, დათია — ეს ხალხის წარმომადგენლებია, რომლებიც, დაწმუნდნენ რა ბოლშევიკური პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის სისწორეში, თავგანწირვით ებმებიან მის ორგანიზაციულ მუშაობაში.

გოგეას სახით მწერალმა დაგვიხატა შედარებით განსწავლული ბოლშევიკობარქსისტი, რომელსაც რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობამ სათანადო გამოცდილება შესძინა. იგი თავდაპირველად რევოლუციურ ნათლობას იღებს ქუთაისის სემინარიაში მომხდარ მოწაფეთა გაფიცვის დროს.

ლეო ქიაჩელს დიდი სიყვარულით აქვს დახატული გოგეას სახე. საკმაოდ შინაარსიანი რევოლუციური ბიოგრაფიის მქონე გოგეა ციხის კედლებშიც გამოირჩევა სხვა პატიმართა შორის. იგი ძალზე უფრთხილდება პარტიის ავტორიტეტს.

გოგეა ავტორია ქუთაისის ციხეში გარედან გვირახის შეყვანის და პატიმართა განთავისუფლების შესანიშნავი გეგმისა, რომელსაც ალტაეებში მოპყავს ბრძოლებსა და კონსპირაციულ საქმეებში დახელოვნებული ნიკოც. გოგეა მუდამ ოპტიმისტურად განწყობილია, ცდილობს სხვასაც ჩაუწერგოს რევოლუციის გამარჯვების რწმენა, სწორა ორიენტაცია მისცეს გაურკვეველ საკითხზე. ასევე ცდილობს გოგეა მცდარი გზიდან არჩილ დადიანიანის დახსნას. ამ ორი პიროვნების ინტერესების შეჯახებით მწერალმა ხაზი გაუსვა ბოლშევიკებისა და მენშევიკების განსხვავებულ თვალსაზრისს ნაციონალურ საკითხშიც.

გარდა ზემო ხსენებული პერსონაჟებისა, რომანში ყურადღებას იქცევენ შალვა რამაძე, ცაცა რამაძე. არჩილის დედა სალომე. ყველა ესენი არჩილ დადიანიანის მხატვრული სახის ბოლომდე გახსნას ემსახურებიან. სალომე თავის მოსამსახურე მაიკოთი — ის წრე და გარემოა, რომელმაც წარმოშვა და აღზარდა არჩილი, ხოლო შალვა და ცაცა რამაძეები იმ საზოგადოებრივი წრის

წარმომადგენლები არიან, რომელთაც არჩილი სისხლხორცეულად იყუდაკავშირებული.

სალომე ტიპიური ქალბატონია. მას არაფრად ეპიტანავება ძველი სოციალური ფორმაციის შეცვლა, ვინაიდან კარგად გრძნობს თავს მონარქიულ წესწყობილებაშიც, რომელიც მისი შთამომავლობის ინტერესებს იცავს, იგი არ თანაუგრძნობს შვილს, რომელიც ხელისუფლების საწინააღმდეგო ბანაკში ეგულება და ნიშნის მოგებით ხედება თავისი შვილის თანამზრახველთა განსაცდელს. ეს კარგად იგრძნობა ანდროსადმი მიმართულ მას სიტყვებში: „...გაიგეს? ანე გინდა... პატივსაც გცემენ მადლობა ღმერთს, ახლა მაინც გამარჯვებულია რუსის ხელმწიფე“.

კოლორიტული, რეალისტურად დახატული სახეა მაიკო, რომელიც „ხორციით და სულით სალომეს ისე შეებრებოდა, რომ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი დაკარგოდა. იგი თავისი ქალბატონის ფიქრებისა და წარმოდგენის უშუალო გამოძახილი განხდარიყო“. ლეო ქიაჩელი შესანიშნავად გვიხატავს ასეთი ბუნების ტიპებს: მაიკო და დაფინო („თავადის ქალი მია“) შეიძლება მივიჩნიოთ ლიტერატურულ ესკიზებად იმ სრულყოფილი სახისა, რომელსაც შემდეგ „პაქი აბბაში“ ვხვდავთ.

შალვა რამაძე პირწავარდნილი წარმომადგენელია ქართველი ნაციონალისტებისა. იგი მტკიცედ და განუხრელად იცავს ნაციონალისტურ პრინციპებს, დანტერესებულია მხოლოდ „საქართველოს“, „დიდი ერის ძლევაობის პრობლემათ“ და თანამოაზრეთა წრის გადიდების ოცნებით სულდგმულობს.

ცაცა რამაძე იმავე წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის შვილია, რომელსაც შალვაა, რევოლუციის აღმავლობის პერიოდში იგი პარტიას თანამზავრობდა, მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მასასადამე იმ დროს, როდესაც რომანიის მოქმედება

მიმდინარეობს, გვევლინება პარტიას ჩამოშორებულ, საკუთარ ნაქუქში ჩაკეტილ პიროვნებად. მისი სიყვარული არჩილ დადიშაინისადმი ისევე ბუნდოვანი და არათანმიმდევრულია, როგორც მისი პარტიული მუშაობა. ცაცა რამაძისა და არჩილ დადიშაინის რომანული ურთიერთობის ფონზე ლ. ქიაჩელმა გვიჩვენა ის ქაოხი, გაურკვეველობა, რომელიც ერთნაირად ფლობდა არჩილის აზროვნებასა და გრძობას.

არჩილ დადიშაინი ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში სავესებით სამართლიანად მიჩნეულია პერყვევ, უნებისყოფო, რევოლუციასთან შემთხვევით მისულ ადამიანად. თავდაპირველად რევოლუციის აზვირთებას იქნებ გულწრფელადაც გაეტაცნოს არჩილი, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ბრძოლის სიერთულემ იგი აქცია გაუბედავ, მორწმუნე მენშევიკად.

შესანიშნავად გვიჩვენა ლ. ქიაჩელმა არჩილის უნებისყოფობის, სხვისი ძალისადმი ბრმად მორჩილების, გარკვეული თვალსაზრისის უქონლობის შედეგად განცდილი ტანჯვა იმ ეპიზოდში, სადაც აღწერილია გოგიას და არჩილის საუბარი ეროვნულ საკითხზე. არჩილი რომ ვეღარ მიპყვება ფეხდაფეხ რევოლუციას, ამას მწერალი მოხდენილად გვიჩვენებს ციხიდან არჩილის გამოსვლის შემდეგ, როცა ის გოგიასთან ერთად ბორნისაკენ მიმავალ ქუჩაზე გავიდა. არჩილი ამბობს:

„— საკვირველია... მე არ მემინია და ჩემს ფეხებს რა მოუვიდა?

— არ მოდიან?

— მოდიან კი, მაგრამ რაღაც კარგად ვერ მოდიან... თქვენში რა ჰქვიან ისეთ კაცს, რომელსაც სიარულის დროს ფეხიფეხზე ეღებო... ნახირშიაც გაერევა ხოლმე ასეთი ძროხა ან ხარი... ზოგს ცხენსაც სჩვევია, ა? არ იცი ამის სახელი?..

— რა ჰქვიან? ჰმ... ცხენზე იტყვიან იათახს იკრავსო...

— იმ კაცს, ცხენივით, რომ იათახს იკრავს, იმას რა ჰქვიან მეტქვენილი

— ისეთ კაცს რა ჰქვიან მძიმე ვერ მოაგონა, მერე ჩაიციან და უპასუხა: ჩვენში ასეთი კაცი არც კი არსებობს ყველა სწორად დაღის...“

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ პასუხს არჩილს აძლევს ბოლშევიკი, გასაგები გახდება, რა აზრიც ჩააქსოვა მწერალმა ამ ქარავმაში. აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია ბოლშევიკური პარტიის მიზნისაკენ გაბედულად და განუხრევლად სწრაფვაზე.

არჩილი მაშინდელი ცხოვრების რეალურად არსებული ტიპია. როგორც საერთოდ წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფენებიდან გამოსული ადამიანებისათვის, მისთვისაც დამახასიათებელი იყო პერყევობა.

ლ. ქიაჩელს არჩილ დადიშაინი არ უჩვენებია იზოლირებულად, იგი მაშინდელი დროის მთავარ ძალებთან დაპირისპირებით ტიპიურ გარემოში წარმოგვიდგინა. თუ არ დავეყრდნობით მკდარ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ტიპიზაციის ობიექტი მხოლოდ დადებითი შეიძლება იყოს, მაშინ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ მწერლის მიზანი — მოეცა განზოგადებული ტიპი რევოლუციის მოღალატე მენშევიკისა.

„სისხლი“ მდიდარია იმდროინდელი ცხოვრების ტიპური მოვლენებით, წარმატებით მხატვრული დეტალებით, რეალისტურად დახატული სურათებით; შეიძლება ვადაპირით ითქვას, რომ მხატვრულობის, მთელი რიგი მძაფრი ფიქლოლოგიური სიტუაციების უაღრესი სიმართლით გადმოცემის თვალსაზრისით, ეს რომანი ახლაც ინტერესით იკითხება და მკაფიო წარმოდგენასაც გვაძლევს იმ დროზე, რომლის უკულმართობას თავისუფლების დროშით თავგანწირვით ებრძოდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

იჩაპლი კანჭოშვილი

ჰემინგუეის ნოველა

ჰემინგუეის ნოველა ისეა აგებული, რომ მწერალი ცდილობს გარეგნულად ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს თემის მიმართ. დაფაროს თავისი ტენდენცია. ეს ხორციელდება იმ დიდი მუშაობისა და „თვითდისციპლინის“ ხარჯზე, რომელსაც ჰემინგუეი „ფლობერის თვითდისციპლინას“ უწოდებს. მის ნაწარმოებთა პერსონაჟებით, ჰემინგუეი გაურბის თავის გრძნობებზე პირდაპირ ლაპარაკს და ერიდება ამა თუ იმ მოვლენაზე მსჯელობას. იგი თავს არიდებს ეთიკურ კომენტარებს, გარეგნულად მშრალ რეპორტიორულ სტილსა და ზოგჯერ მოუხეშო ცინიზმსაც კი მიმართავს. ოღონდ არ ვაამხილოს თავისი პოზიცია. — წმინდა ესთეტიკური გზით მიდის ეთიკური პლანისაკენ.

ჰემინგუეი ცდილობს არ გამოაჩინოს ნაწარმოებში თავისი თავი, თითქოსდა ეშინია, რომ ადამიანთა ურთიერთობაში ღირსებისა და სიკეთის დაუფარავ ჩვენებას სენტიმენტალობად ან სისუსტედ ჩამოართმევენ. ჰემინგუეის გმირები მძაფრი სულიერი ტკივილებით ცხოვრობენ, იტანჯებიან, მაგრამ არ ამყდვენებენ ამას, ზნეობრივი სტოიციზმს ინარჩუნებენ და რადგან ასე არ იქცევა რომბერტ კონი („მშვიდობით იარაღო“) რომელსაც თავის გრძნობათა გადმოღვრა უყვარს, ამიტომ იგი სიძულვილს იმსახურებს: „მძულს იგი იმის გამო, რომ იტანჯება“ ამბობს მასზე ბრეტი. ტანჯვისა და ტკივილის საბურველით შემოსვა ჰემინგუეის გმირთა ზნეობრივი კანონია.

მწერალური პოზიციის დაფარვა და ობიექტურობა თხრობის დეპერსონალ-

იზაციის სახით მელანდდება. „მწერალი, როგორც ბოზა ან გარეშე კაცი, ისე უცქერის მოვლენებს“. — წერს ჰემინგუეი. ამით ჰემინგუეის თხრობა, სტილი განსხვავდება რომანტიკული სულისკვეთების ნაწარმოებთა სტილისაგან და კლასიციზმის სტილს უფრო მოგვაგონებს.

ჰემინგუეი ცდილობს დაფაროს, რომ იგი დგას ობიექტსა და მკითხველს შორის. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა მთლიანი უარი დიალოგთა კომენტირებაზე, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ნოველაში „მკვლელები“. იგი უკომენტარიოდ ტოვებს „შინაგან მონოლოგებსაც“.

ამ თვალსაზრისით შევადაროთ ერთმანეთს შერჯულ ანდერსონის „მინდა ვიცოდე რატომ“ და ჰემინგუეის „მკვლელები“. ორივე მოთხრობის თემაა ბავშვის სულიერ ცხოვრებაში უმანკოებისა და გამოცდილების შეჯახების დრამა. ანდერსონის მოთხრობაში ცხენტა ასპარეზობის მოტრფიალე ბიჭი შეჯიბრის დღეს ცდილობს ცხენის მწვრთნელთან ახლოს იყოს: „იმ დღეს მე იგი საკუთარ მამაზე მეტად მიყვარდა“, ხოლო როცა მწვრთნელის ცხენი გაიმარჯვებს, ბიჭს შეიპყრობს მისი ნახვის ისეთი ძლიერი სურვილი, „როგორც პატარა ბიჭუნებს ეუფლებათ ხოლმე, როცა დამით აუცილებლად უნდათ ნახონ თავისი მამა“. ბიჭი მწვრთნელს დაეძებს და მას საროსკიპოში „უხეშ, უშნო“ ქალების წრეში ნახავს; ბიჭს ესმის როგორ ტრამპახობს მწვრთნელი. — ცხენის გამარჯვება ჩემი დამსახურებააო... „და უცებ მე შემძულდა ეს კა-

ცი... უცებ ყველაფერი შეიცვალა. პა-
ერი იზოდრომზე აღარ მეჩვენება ისე
გამჭვირვალე, და იქაური სუნი ისე აღ-
არ მომწონს... სულ ვფიქრობ და ვფიქ-
რობ მწვრთნელის საქციელზე და ფიქ-
რები ხელს მიშლის მიხაროდეს ცხენ-
თან ყოფნა, მსიამოვნებდეს იზოდრომის
სურნელი... ყველაფერში მიშლის
ხელს... ასევე ანალოგიურია ჰემინგუეის
„მკვლევლების“ თემა. ბიჭი ნიკ ადამსი
ხედავს როგორ შემოიჭრებიან განვსტე-
რები კაფეში და განაცხადებენ, რომ
აპირებენ კაფეს ერთი მუშტრის —ოლ-
ეს მოკვლას. ნიკი ოლეს ყოველივე ამ-
ას აცნობებს. „სულ ერთია, ვერაფერს
ვერ ვიზამ“, — ამბობს ოლე. „იქნებ
პოლიციას ვაცნობოთ?“ — კითხუ-
ლობს ნიკი. „არა, თქვა ოლე ანდერსო-
ნმა, ამას არაფერი ეშველება“. მოთხ-
რობის ბოლოს ნიკი ამბობს: „უნდა წა-
ვიღე ამ ქალაქიდან“. ორივე მოთხრო-
ბა გვიჩვენებს ბოროტების ეფექტს ბა-
ვშვის გონებაზე. მაგრამ თუ შ. ანდერ-
სონი აქვლავნებს თავის ტენდენციას, თუ
ლექსიკითა და ინტონაციით აგვიწერს
ბავშვის განცდებს, ჰემინგუეი ყოველი-
ვე ამაზე უარს ამბობს, ერთს სიტყვა-
საც არ ამბობს ბიჭის განცდებზე, მთლი-
ანად უარს ამბობს ამბის კომენტირე-
ბაზე. არ ახდენს იმის ექსპოზიციას, რა-
საც ქვეტექსტში მოაქცევს. ასე გოიას
ლიტოგრაფიების სიმკაცრეს აღწევს.

ჰემინგუეი თვითონ „გარეშე კაცი-
ვით“ უცქერის მოვლენებს; მას უნდა
მოგვაჩვენოს, რომ არ აინტერესებს სი-
ნამდვილე, გაურბის ყოფით რეალიზმს.
ჰემინგუეი ზოგჯერ ისე გადაალახვინებს
გმირს მანძილს პარიზიდან მადრიდამ-
დე, რომ გზაზე არაფერს დაგვანახებს.
ნოველებში ესპანეთსა თუ პარიზს, მიჩი-
განის ტყეებში გადაკარგულ სოფელსა
თუ კუმბელი მეთევზის სოფელის ყოფა-
ცხოვრებას ჰემინგუეი გვიხატავს არა ისე
როგორც ეს ნამდვილად არის, არამედ
ისე, როგორც ეს არსებობს ნოველის
გმირისათვის. მოთხრობა „მოხუცი და
ზღვას“ გამო ჰემინგუეი ამბობს, რომ
ზოგი მწერალი ასეთ შემთხვევაში დაწ-

ვრილებით აღწერდა მთელს სოფელს,
მოსახლეობას და ა. შ. მის მოთხრობაში
ეს არაა.

მოთხრობაში „მამები და შეილები“
ნიკს აგონდება თავისი ბავშვობა, და
მწერალი სოფლის გარემოს წარმოსა-
ხავს არა მთლიანობაში, არამედ იმდენ-
ნად, რამდენადაც იგი წარმოისახება ნი-
კის მოგონებებში. ესაა სოფელი და ბა-
ვშვობა არა თავისი ობიექტური სახით,
არამედ როგორც ეს არის ნოველის
გმირისათვის. ხოლო ეს შეგარძნებანი
სუბიექტურია. ნიკი ფიქრობს: „აბა რო-
გორ ვადმოსცე კაცმა, რომ ტრუდი პი-
რველი გოგონა იყო, მერე აღარასოდეს
ვანუტლია ასეთი რამ; ვერაფრით ვერ
ვადმოსცემ. როგორი იყო მზემოკიდე-
ბული ფეხები, პრილა მუცელი, პატარა
მკვრივი ძუძუები, ხელები მჭიდროდ
რომ მოგხევეოდა, სწრაფი ცქვიტი ენა,
კრილა თვალები, პირის ხალასი გემო,
და მერე რალაცა მტყვენეული, მწვავე,
საამო, საოცარი, ჯადოსნური, ვულში-
დაუტყველო მძაფრი, საესე, უკანასკ-
ნელი, გაუთავებელი, ამომწურავი, უსა-
სრულო...“.

ერთი მხრივ მწერლური ობიექტუ-
რობა და, მეორე მხრივ, ცხოვრების ში-
ნაარსის ჩვენება ნაწარმოების გმირის
ფსიქიკაში გარდატეხვით ლირიკულ გა-
ნზომილებაში. მწერალი ნაწარმოებში
გაშუალებულად ატარებს სინამდვილის
თავის ხედვას, თავის პოზიციას.

ჰემინგუეის ნოველების და, შესაძ-
ლოა, მთელი შემოქმედების განვითარ-
ება ესაა სინამდვილისადმი ნაწარმოე-
ბის გმირთა დამოკიდებულების ცვლი-
ლება; ამასთან შესაბამისად იცვლება
სინამდვილის ხედვის მასშტაბები და
საშუალებანი. ზოგჯერ ეს მასშტაბი ვი-
წროა, მაგრამ თითქმის ყოველთვის
სერიოზული და ღრმაა.

ნოველებში ნიკ ადამსის ბავშვობა-
ზე ვხედავთ „ბავშვურ“ იმპრესიონი-
სტურ სურათებს: რაც კი თვალში
მოხვდება, იგი ყველაფერს აკვირდება:
ხედავს როგორ ამშობიარებენ ქალს
კეისრის კვეთით, როგორ გამოიჭრის

ინდიელი კისერს სამართლებლით („ინდიელთა სოფელი“). როცა ნიკი შეძრწუნებულია ოლე ანდერსონის განწირული მდგომარეობით („მკვლელები“), ოფიციალტ ჯორჯისაგან რჩევას ღებულობს: „ნუ ფიქრობ ამაზე“. ეს „ნუ ფიქრობ“, „ნუ უქვერ“ ბავშვობისას ნიკმა არ იცის. ნელი-ნელ ეზიარება იგი დიდების სიბრძნეს, რომელთაც იციან რას უქვერონ და რას არა, რაზე იფიქრონ და რაზე არა. მოთხრობაში „ბიგ-თუ-პარტიდ-რივერ“ გარეგნულ ამბავთა და გმირის ყოველი მოქმედებისა და ქვისტის დეტალური აღწერა და სრული დუმილი იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს გმირი, იმის გამოვლინებაა, რომ გმირი თავს არიდებს მძიმე მოგონებებსა და ფიქრებს. ყმაწვილი ნიკი სიამოვნებით ერთობოდა სოლმე თევზის ჰერით, ნამდვილად იტანჯებოდა მარჯორისთან განშორებით („სამი დღის უამინდობა“). მაგრამ მოთხრობაში „როდესაც ვწვევარ“ ცხოვრებაში გამოცდილი და ფრონტზე დაპირილი კაცი უკვე ყველაფერს კი არ უქვერს, არამედ შერჩევით ფიქრობს და შერჩევით იტყობება, და რაზეც ფიქრობს (თევზაობა, ქალები) სმუალებაა მხოლოდ იმის დასავიწყებლად, რაზეც არ სურს იფიქროს (ომის მძიმე მოგონებები და სხვ.).

ჰემინგუეის ნოველები ერთმანეთთანა დაკავშირებული, ზოგი თემით, ზოგი ანალოგიური გმირებით. ნოველები ერთმანეთს პოლიფონიურადაც ავსებენ სიტუაციების, დიალოგების, განწყობილებების კონტრაპუნქტური კავშირით. მრავალი ნოველა „ფიესტას“ მთავარ გმირთა ბიოგრაფიის ჩამოყალიბებას გვიჩვენებს, და რადგან მოვლენები ლირიკულ განზომილებაშია წარმოსახული, გმირის ცხოვრების გვიანდელი განცდები ზოგჯერ თავის ელფერს აძლევენ ადრინდელ განცდებს („მაშები და შვილები“).

კრებულში „ჩვენს დროში“ ნოველებს ეპიგრაფებად წამძღვარებული აქვს ომისა და ხართან ბრძოლის აღწერები. მოთხრობას „ინდიელთა ბანაკი“

აქვს ეპიგრაფი, სადაც ნათქვამია, რომ ნიკი ფრონტის ხაზთან, სიკვდილთან ახლოს იმყოფება; ამიტომ მსაჯულთა ად გაისმის მოთხრობის ბოლოს პატარა ნიკის სიტყვები: „ამ დილაადრიან, ტბაზე ნიკი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ არასოდეს მოკვდებოდა“.

ჰემინგუეის ახასიათებს ცხოვრებისადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულება მისი ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო რთული მორალური საკითხები; ნარკვევში „საშობაო საჩუქარი“ (1954) ჰემინგუეი წერს: „ჩემთვის ცნობილ პრობლემებთაგან, რომელთაც კი მე ვიცნობ, რამდენადაც მე მამაკაცი ვარ, ყველაზე რთულია მამაკაცის ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, რომ ქალის ცხოვრებაც ძალიან რთულია, თუკი ხელმძღვანელობს რაიმე ეთიკური ნორმებით ამ ბოლო დროს, თუ გახეთებით ვიმსჯელებთ, ეს იშვიათი საქონელი გამხდარა; მაგრამ მე მჯერა, რომ ეს ნორმები კიდევ შერჩა მათში, ვისთვისაც სასპარეზოდ გამოსვლა და ალიმენტები ცხოვრებაში მთავარი არაა. მე ყოველთვის მიმანდა, რომ ისეთ ქალთან შედარებით, რომელიც ისეთივე მკაცრი კანონებით ცხოვრობს, როგორც მამაკაცი, უფრო იოლია მამაკაცის ცხოვრება...“ ჰემინგუეის დიდი ზნეობრივი საკითხები აწუხებს: როგორ იცხოვრო, რა ადამიანის ღირსება, როგორ შეინარჩუნო ვაკუაცობა შინაგან და გარეგან კონფლიქტთა წინაშე. იგი ეძებს ცხოვრებაში, ადამიანში ღირსებას, ისეთ საწყისებს, რომელთა საფუძველზე ადამიანის მეობა და ადამიანთა ურთიერთობა სასიამოვნო და კეთილშობილი იქნება.

ჰემინგუეი დიდ რწმენას უცხადებს ადამიანს, ამავე დროს სინამდვილეს ტრაგიკულ კოლიზიად მიიჩნევს. ჰემინგუეის ნოველების გმირები თითქოსდა ბოროტ გრძნეულებით მოჯადოებულ სამყაროში მოქმედებენ: ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულია სიკვდილი, უსიამო-

ვნო მოგონებები, ერთფეროვნება ან სულიერი სიმარტოვე. ასეთ პირობებში სულის ლაზათისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად ნოველების გმირები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ: მტკიცედ იცავენ გარკვეულ წესებსა და აღთქმებს, რომელთაც ხშირად თვითონ იგონებენ. „ბიგ-რევერში“ ნიკ ადამსი მდინარეს თავდავიწყების წყაროდ იყენებს და ამიტომ ცდილობს თავისი ყოველი მოძრაობა მნიშვნელოვანი იყოს. ისე მოქმედებს, თითქოსდა სარწმუნოებრივი რიტუალის წესებს ასრულებდეს: „...თუ თავის დროზე არ მიუსწრო, მაშინ მთელი დღე დასჭირდება კალიებით ბოთლის ავსებას... ფრთხილად მოქმედებდა...“ საერთოდ, ჰემინგუეის აინტერესებს ის პროცესი, როცა ადამიანი ასრულებს მისთვის მნიშვნელოვან წესებს: ასეთია ხართან მატადორის ბრძოლის წესები, ასეთია სანტიაგოს ხელობის წესები. მოთხრობაში „როდესაც ვწევარ“ დაპირილი ჯარისკაცი მდგომარეობას იმსუბუქებს რაღაც ხერხებით, თავისებური რიტუალით, რომელიც თავისუფალი არაა სექსუალური სიმბოლიკიდანაც: „იყო ღამეები, როცა ვეღარ ვფიქრობდი კალმახების ჭერაზე: ასეთ ღამეებში თვალგახელილი ვიწვექი და ვიშორებდი ლოცვებს... ვფიქრობდი ყოველ ჩემს ნაცნობ ქალზე და იმაზე, როგორი ცოლები იქნებოდნენ ისინი...“. მდინარე ბიგ რივერი, სადაც ნიკი კალმახებს იჭერს, თითქოსდა საზღვარია მშვიდ და წყნარ, ფუსფუსითა და ზნეობრივი სირთულის სამყაროებს შორის. ამ რთულ სამყაროში ადამიანური ღირსების, სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად ადამიანი უნდა ეძებდეს სხვადასხვა გზებს. ადამიანის ღირსების, მისი ძალისა და სიდიადის ძიების სულისკვეთებითაა გამსჭვალული ჰემინგუეის საუკეთესო ნაწერები.

ამ ძიების გზაზე ჰემინგუეი თავისი ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებს აგრძელებს. იგი წერს: „მთელი ამერიკული ლიტერატურა გამოვიდა მარკ ტვენის ერთი წიგნიდან, რომელსაც

„ჰეკლბერი ფინი“ ჰქვია. უკეთესი წიგნი ჩვენ არა გვაქვს...“ სხვათა შორის, თავის საყვარელ ლიტერატურულ გმირთა შორის ერთ ინტერვიუში ფოლკნერიც ჰეკლბერი ფინს ასახელებს და იქვე დასძენს: „ტომ სოიერი მაინცდამაინც არასოდეს მყვარებია“. 1956 წელს ფოლკნერმა განაცხადა: „შ. ანდერსონი არის მამა ჩემი თაობის ამერიკული მწერლობისა და ამერიკული წერის ტრადიციისა... დრაიზერი მისი უფროსი ძმაა, ხოლო მარკ ტვენი ორივეს მამა“.

ჰემინგუეის ნიკ ადამსი, მარკ ტვენის ჰეკლბერის მსგავსად, მაღალი სულიერი ღირსების ბავშვია, გულადი და ბუნებით ჯანსაღი. ორივე სტოვეებს სახლს: პეკი — სენტ პეტერსბურგს; ნიკი — მიჩიგანის სოფელს; სახლი ის ადგილია, სადაც პირველად ეზიარები სულიერ ტკივილებს; სახლი ესაა უმანკობისა და გამოცდილების შეხვედრის ადგილი და დრო; აქ ნიკი პირველად აღმოაჩენს ბოროტებას, სიკვდილს, ტკივილებს. „რა, ქალები ყოველთვის ასე იტანჯებიან, როცა ბავშვებს ბადებენ?“, „ძნელია სიკვდილი, მამა? — ებადება ნიკს კითხვები. მარკ ტვენის ტრადიციის კვლად, ჰემინგუეი გვიჩვენებს სამოთხის დაკარგვის ამერიკულ ეროვნულ მითს, გვიჩვენებს ადამიანური ღირსების ძიებას და თუ როგორ უნდა იცხოვრო, როგორ შეინარჩუნო „გრაცია სიმძიმის ქვეშ“ („grace under pressure“), ჰემინგუეის სიტყვებით რომ ვთქვათ.

თავის შემოქმედებაში ჰემინგუეიმ წინ წამოსწია სრულქმნილი ადამიანის იდეალი. მისი გმირები ეტრფიან ცხოვრებას, დროს ტარებას: მოგზაურობენ, ერთობიან სპორტით, ნადირობითა და თევზაობით, სვამენ, ემორჩილებიან სიყვარულის ძალას. ერთი შეხედვით ეს შორს არაა ჰედონიზმისაგან. მაგრამ აშკარაა, რომ მის შემოქმედებაში ასექტიზმის ანტითეზა მიზანი კი არაა, არამედ გზაა ადამიანური ღირსებისაკენ. ჰემინგუეი ეძებს ადამიანური ღირსების ნიმუშს. ამ ძიების გზაზე აღსანიშნავია

„ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ — ერთერთი ყველაზე უფრო წარმატები მის მოთხრობათაგან. ფრენსისისა და მისი ცოლის ანტაგონიზმი ადამიანის ღირსების და საერთოდ ზნეობის მრავალ მხარეს ააშკარავებს. ცოლს მთლიანად დაუმორჩილებია ფრენსისის მამაკაცური თავმოყვარეობა. ამ მდგომარეობაში მყოფი ქმარი იმასაც კი ითმენს, როცა ხედავს რომ ცოლი ღამით მონადირე უილსონიდან მოდის. მაგრამ ერთერთი ნადირობის დროს ფრენსისი სძლევს შიშს, რომელიც მას ცოლისა და ყველაფრის წინაშე ჰქონდა, და საოცარ გამბედაობას ამჟღავნებს. იქნეს იმ თვისებებს, რომლებითაც იგი ემსგავსება მონადირე უილსონს, იქნეს მამაკაცურ ვაჟაცოვას, იქნეს უილსონის თვისებებს. უილსონის პირველ ნიშანთაგანი კი ისაა, რომ დამოუკიდებელი, თავისი მეობის მქონე ადამიანია, თავისუფალი და ბრკოლებათა წინაშე ჭედის მოზრისა, შიშისა და ქალის ზეგავლენისაგან. ამდენად იგი არის „კაცი უქალოდ“. ეს თვისებები შეიძინა ფრენსისმა ნადირობისას, ვახდა „კაცი უქალოდ“, მაგრამ მისი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, დაახლოებით ნახევარი საათი გასტანა, ვიდრე ეს ბედნიერება მისმა ცოლმა ტყვიით ალკეთა.

ადამიანური ღირსების, ზნეობრივი საკითხების ტრაგიკულ ჭრილში კვლევია მოთხრობა „კილიმინჯაროს თოვლი“ — თავისი სტრუქტურით უფრო რთული, ვიდრე წინა მოთხრობები.

ესაა ჰეშმარიტი ტრაგედია. უპირველესად ესაა არა ფიზიკური, არამედ სულიერი სიკვდილის ამბავი. სულიერად მოთხრობის გმირი ჰარი უფრო ადრე მოკვდა, ვიდრე განვრცნამ იგი წუთისოფელს გამოასალმა: მისთვის „მიღება დამთავრდა“, „არ ჰქონდა სიმართლე, რომ ეთქვა. მან ცხოვრება განვლო, დაამთავრა, მაგრამ მაინც ცხოვრობდა...“. ჰარიმ ფუჭი და მცდარი გზით განვლო ცხოვრების დიდი გზა და ამ მარცხის სიმბოლოა ჰარის

შემოქმედებითი მარცხი და ზნეობრივი სიკვდილისი: „ჩემი აზრით, არასოდეს მყვარებხარ... სიყვარულზე ნეტყვი ვერუვაა“, — ეუბნება იგი ცოლს, ხოლო თავის შემოქმედებითს მარცხს ასე ახასიათებს: „მაგრამ თავს ინუგეშებდი, რომ დასწერდი ამ ადამიანებზე... რომ მიატოვებდი ამ ადამიანთა წრეს და აღწერდი ისე, როგორც ეს საქმის მცოდნეს შეჰფერის. მაგრამ ეს ვერასოდეს შეასრულე“. ამ მოთხრობაში ცოლ-ქმრის ურთიერთობა თავისებური ნაირსახეობაა ფრენსისისა და მისი ცოლის დამოკიდებულებებისა. ფრენსისი ცოლმა ტყვიით მოკლა, მაგრამ ჰარის სულიერ სიკვდილში, მისი ადამიანური ღირსების მანკიერებაში მის ცოლსაც ურევია ხელი: „ჩემი ნიჭის დამლუპველი“, — ფიქრობს თავის ცოლზე ჰარი.

სრულიად აშკარაა ამ მოთხრობაში ზოგიერთი სიმბოლური ფიგურა. მრავლისმეტყველია, რომ მოთხრობის გმირის სულიერი დრამა ჰემინგუემ დაუკავშირა მთას და, კერძოდ, იმ მთას, რომელსაც როგორც მოთხრობის ეპიგრაფი გვამცნობს, „ღმერთის სახლი“ ჰქვია. მოთხრობის ეს ეპიგრაფი და სიმბოლიკით აღსავსე ფინალი, როგორც აღნიშნავენ, ეხმაურება ფსალმუნის 120 მუხსს: „აღვიხილენ თუაღნი ჩემნი მთათა, ვინა მოხვიდე შეწევნად ჩემდა?“ ამ მოთხრობაში მთა არის ჰეშმარიტების სიმბოლო, რაღაც წმიდა და თავისებური კათარზისი, რომლისაყენაც ჰარი მიილტვოდა. სიკვდილის წინ მოთხრობის გმირმა დაინახა არა სიკვდილი ცელით და თავის ქალათი, არამედ „კილიმინჯაროს თოვლი“ — „ღმერთის სახლი“: „ვრცელი, როგორც მთელი ჭეყანა, დიდი, მაღალი, მზის შუქისაგან წარმოუდგენლად ქათქათა... მაშინ კი მიხვდა, რომ ეს ის ადგილია, საითყენაც იგი მიდიოდა“.

„კილიმინჯაროს თოვლის“ გმირის ღირსებას აკლდა ჭედოხრეობა და მსახურება რაღაც მიზნისადმი, — ის თვისებები, რომლებიც „უძლეველის“

მთავარი გმირის — ტორერო მანუელ გარსიას ღირსება იყო. ჰემინგუეის ამ ადრეული მოთხრობის პრობლემატიკა თავის მაღალ და დახვეწილ ხორც-შესხმას ჰყოლებს მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა“. მოთხრობა იმის მანიშნებელია, რომ ადამიანი თავის მეობას და ღირსებას ჰყოლებს იმ პროცესში, როცა თავითმეცენებას აწარმოებს და როცა შესაძლებლობა ეძლევა დაინახოს რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს. სანტიაგო მარადიული ბრძოლის ვანსახიერებაა, — იგი თავის მიზანსწრაფვაში ისევე თანამიმდევრულია, როგორც ლეოპარდი, რომელსაც კლიმატ-გაროს მაღალ მწვერვალზე აუღწევია.

„მოხუცი და ზღვის“ გმირი სინთეზია ადამიანის ღირსების, ზნეობრივი სტანდარტის ჰემინგუეისეული ძიებისა. რამდენადმე მართებულია პარალელი, რომელსაც ავლენენ მეღვივის „მობი დიკის“ გმირ აპავსა და სანტიაგოს შორის. ნაკლებ საგულისხმოა მოსაზრება, რომ თითქოს სანტიაგო „უძლეველის“ გმირის ბიბლიური ან რომანტიკული ნაირსახეობაა. ამ მოსაზრებიდან შესაძლოა უფრო გასაზიარებელია ის, რომ მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა“ გამოყენებულია ძველი აღთქმის საკრალური რიტუები — სამი, შვიდი და ორმოცი; სანტიაგო ბიჭთან ერთად ორმოც დღეს თევზაობდა, მეშვიდე დღეზე სძლევს ზვიგენს, სულ შვიდ თევზს ჰკლავს, სამ დღეს ებრძვის დიდ თევზს, — ქრისტეც სამ დღეს იყო ჯვარზე გაკრული. თვით სანტიაგოს ქედუხრებლობაშიც არის მარტივის ნიშნები, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ცხოვრებასთან მისი ბრძოლის მიზანი არაა ადამიანის მიღმა მდებარე. მისი მიზანია თვით ადამიანის ძალისა და ღირსების გამომწვევება. მისი შეუპოვრობა, ზღვაზე მის მოქმედებათა და ფიქრთა სვლა, მისი ტანჯვა — არის გზა, რომელიც ადამიანის ღირსებას წარმოაჩენს და ადამიანს სამყაროსთან პარმონიაში აყენებს. სანტიაგო ამტკიცებს თუ რისი გაძლება შეუძლია

ადამიანს. იგი ზნეობრივი სტოიციზმის ნიმუშია.

კოლორადოსა და მეღვივის ძველად ჰემინგუეი ზღვას იყენებს რეალობისა და ადამიანის ფარულ მიმართებათა გამოსააშკარავებლად. სანტიაგოსათვის ზღვა არის რაღაც ისეთი, რომელსაც როგორც სატრფოს ისე ესაუბრება და რომელიც შეიცავს სიკეთესაც და ბოროტებასაც.

სანტიაგო „ჩვეულებრივი მოხუცი“ არაა. მისი მთავარი ნიშანი ისაა, რომ ინარჩუნებს „გრაციას სიმძიმის ქვეშ“, ღირსეულად იქცევა, დიდ ამტანობას და კეთილშობილებას ამკლავებს „დიდ თევზთან“ ორთაბრძოლაში. ყოველთვის ჯვარგავთ რაღაცას, ასეთია ცხოვრება, და საქმეც ისაა, როგორ მოვიქცევით სინამდვილის ასეთი ბუნების წინაშე. ამ მოთხრობაში შეერთებულია ჰემინგუეის ორი დიდი თემა: სულიერი სიმშვიდე და ტანჯვა, ტორერო და ჯვარცმული: ტორერო დიდი ძალისა, გაძლებისა და ცოდნის განსახიერებაა; ხოლო ჯვარცმული — ტანჯვის, როგორც ცხოვრების აუცილებელი პირობის მიღების განსახიერებაა. დი-მაჯიო, რომელსაც სანტიაგო ხშირად იხსენებს, არის განსახიერება ისეთი ადამიანისა, რომელიც იღებს ტანჯვას და სიდიადეს აღწევს.

მაღალფარდოვნებისა და ფსევდო-რომანტიკულობის გარეშე, ჰემინგუეიმ თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურაში შესძლო ადამიანის ტანჯვისა და სულიერი ცხოვრების პროცესი ჰეროიკულ ასპექტში დაენახა. ეს ჰემინგუეის უდიდესი გამარჯვებაა.

ზღვაში სანტიაგო „ძალიან შორს“ გავიდა. ეს „ძალიან შორს“ არა მარტო სიერცობრივი, არამედ სიმბოლური განზომილებაა. ეს „ძალიან შორს“ არის ინდივიდუალიზმი, ის მდგომარეობა, როცა სანტიაგო „ყველას მოცილდა, ყველას ამ ქვეყანად“. „ძალიან შორს“ წასვლამ, ინდივიდუალიზმმა, საკუთარი თავის წინაშე სიამაყის გრძნობამ („შენ ის სიამაყის გამო მოკა-

ლი“) სანტიავოს დაანახა „რამოდენის შემძლეა ადამიანი და რისი გაძლება (endure) შეუძლია“, მისცა თვით-შემეცნების და შინაგანი სიბრძნის ხილვის საშუალება — „ხომ ვეუბნებოდი ბიჭუნას, ჩვეულებრივი მოხუცი არა ვარ-მეთქი“; მეორე მხრივ, ტრაგიკული ირონია — „ძალიან შორს“ წასვლა ცოდვაც არის: „ნეტავ რად წამოვედი ასე შორს. ამან ორივენი დაგვლუბა“. არც „ზევიგენების შემოსევაა შემთხვევითი“ — ეს სასჯელია ასე შორს წასვლისათვის. ამიტომ სანტიავოს ნაცხე „მარადიული დამარცხების დროშა“ ჰკიდია, „თუ გიყვარს, მაშინ არც ისე დიდი ცოდვაა, რომ მოკლა... გარდა ამისა, ასე თუ ისე ყველანი უკლავენ ვინმეს თუ რამეს... თევზი ჩემი სისხლ-ხორცია... მაგრამ მე უნდა მოკლა ის...“. სინამდვილის ეს ტრაგიკული ხედვა მაინც არაა ნეგატიური ბუნებისა, არამედ პოზიტიური მრწამსისაკენ მიიღებს. ეს ჰემინგუეის დიდად განასხვავებს ისეთი ტრაგიკული მსოფლშეგარძნების მწერლებსაგან, როგორც არიან კაფკა, თ. ჰაქსლი.

მართალია ჰემინგუეი ეჭვს და სკეფისის უცხადებს სინამდვილეს, რომელშიც ადამიანის ყოველი გაბრძოლება ფატალურად განწირულია. „მოხუცი და ზღვა“ არის ადამიანის ელემენტური სიტუაცია და განდიადება ცხოვრების პიკტურში და ტრაგიკული ოკეანის ფონზე. ხატოვანად რომ ვთქვათ, ჰემინგუეის აზრით, ნოეს კიდობანში ბიბლიური მტრედი ასეთ ამბავს მოიტანდა: ქვეყანაზე ყველაფერი ფატალურია, იქ ყოველივე დიადი და მაღალი ტრაგიკულია, მაგრამ თვით ადამიანი თავისი ღირსებით თავყენასცემია. ადამიანის ღირსების ამ რთულ რწმენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ჰემინგუეის ნოველებში ადამიანთა საზოგადოება ხშირად ზედაპირულობის, ადამიანისადმი მტრული ძალისა და ვერგაგების განსახიერებაა. როცა მოთხრობაში „უძლეველი“ მანუელი ხარს — სიკვდილს ეკიდება, მისი შემყურე

მაყურებლის — რეპორტიორის თვალში იგი არის „ყმაწვილკაცი, შავტუხა, წონა 42 კილოგრამი... მისი მანუელის ბრძოლით უკმაყოფილო ნაღსი მას ბოთლებს ესვრის. „გმადლობით, ამბობს მანუელი, — გმადლობით...“. სანტიავოს „დიდი თევზთან“ ორთაბრძოლის შემდეგ, მოთხრობის ბოლოს მოულოდნელად გამოჩნდება „ტურისტთა ჯგუფი“, რომლისთვისაც სანტიავოს დამარცხებისა და გამარჯვების საგანი — „დიდი თევზი“ არის მხოლოდ ზვიგენი, რომელსაც აქვს „ლაშავი, მოხდენილად მოღუნული კული“.

მაგრამ ჰემინგუეის საუკეთესო ნოველებში საზოგადოების მიმართ სკეფისის ჩრდილავს ყოველივეზე ადამიანის შინაგანი გამარჯვების ხედვა. თვით სიკვდილიც, მანუელისა და სანტიავოს მოწაშებრივი დამარცხება თავისი შინაგანი არსით ინდივიდის ღირსებისა და ძალის მანიფესტაციაა. ზვიგენებთან ბრძოლაში ამაოდ დამაშვრალი სანტიავო ამბობს: „დაგამარცხა ვინმემ, ბერკეაცო? — ვერაფერ... ადამიანის დამარცხება შეუძლებელია“. არის დამარცხება, რომელიც შინაგანი გამარჯვების შემცველია, ხოლო ტრიუმფი და გამარჯვება — ფრთამოკვეცილია. „გამარჯვებული არაფერს იგებს“ — ასე უწოდა თავის მოთხრობათა ერთ კრებულს ჰემინგუეიმ. მოთხრობაში „უძლეველი“ მანუელის დამარცხება — მისი მორალური ტრიუმფია, — სასიკვდილოდ დაჭრილი იგი არ ცნობს თავს დამარცხებულად: „დღეს უბრალოდ ბედმა მიმუხთლა“. ამ მხრივ სანტიავოსა და მანუელს შორის აშკარა მსგავსებაა.

თუმცა არა მასშტაბით, მაგრამ პრინციპით სანტიავო ჰგავს მიქელანჯელოს „გამარჯვებულს“, რომლის დედა-აზრია: „გამარჯვება აღარ ხიბლავს მას. მან გაიმარჯვა — იგი დამარცხებულია. გამარჯვება ფრთამოკვეცილია“ (რ. როლანი, „მიქელანჯელოს ცხოვრება“).

გარდა ჰემინგუეის ნოველებისა, ადამიანის ზნეობრივი ტრიუმფის საკითხი

საგულისხმოა შ. ანდერსონის, მ. უნა-
მუნოს ნოველებში და სხვ.

ჰემინგუეის მკვლევარნი ხშირად
იმარჯვენენ დიდი დასკვნებისათვის
ისეთ მნიშვნელოვან სიტყვებს, რო-
გორცია ჰარი მორგანის სიტყვები:
„მარტოხელა ადამიანს არაფერი არ
შეუძლია“ და სხვ. მაგრამ უნდა ვეძიო-
თ მწერლის დამოკიდებულება არა
მარტო ადამიანისადმი, არამედ სინამ-
დვილისადმიდაც. მით უმეტეს, რომ
ჰემინგუეის შემოქმედებაში ერთმანეთს
ებრძვის ორი მძლავრი ძალა — ჰუ-
მანისტური სკეფსისი სინამდვილის
მიმართ და ადამიანისადმი დიადი რწმენა.

სინამდვილის ხედვის ნეგატიურ მო-
მენტებს ანელებს ნოველების კომპოზი-
ციითა და დიალოგებით შექმნილი და-
ფარული თანაგრძნობა მარტოდ დარ-
ჩენილებისადმი. მოთხრობაში „იქ სა-
დაც სინათლე და სისუფთავეა“ ახალ-
გაზრდა ოფიციალტი დაექვემდებარეა
ცოლის მიმართ და იმ ზღვარზე იმყო-
ფება, რომლის იქით სრული სიმარტო-
ვე და სიცარიელეა. ხოლო მოხუცი
კლიენტი „არაფრის“ წერტილში იც-
ქირება, რომელიც ერთხელ უკვე დაი-
ნახა, როცა თავის მოკვლა მოინდომა.
იგი დოსტოევსკის მარმელადოვის კვა-
ლად ამბობს: „საჭიროა, რომ ყოველ
ადამიანს სადმე მიესვლებოდეს“.

სიმარტოვის, ურთიერთკავშირის
დარღვევის შეგრძნება ხშირია ჰემინ-
გუეის ნოველებში. მოთხრობაში „თეთ-
რი სპილოები“ არაფერია ნათქვამი
პერსონაჟთა განცდებზე, რაზეც პირ-
დაპირ ლაპარაკს ჰემინგუეი ყოველთვის
გაურბის, ამბავიც უმნიშვნელოა: კაცს
ქალი მადრიდში სააბორტოდ მიჰყავს,
ძალიან ცხელა, ელიან მატარებელს,
სვამენ ლუდს, საუბრობენ უმნიშვნე-
ლო რამეებზე. მაგრამ სწორედ ეს უმ-
ნიშვნელო დეტალები გვაუწყებენ, რომ
ქალსა და კაცს შორის კავშირი და
ჰარმონია დარღვეულია. გვიანდელი
სეზანის გაიშვიათებული საღებავებით
გამოხატული მთების ფონზე, რომლე-
ბიც თეთრ სპილოებს წაავას, სული-

ერად მარტო ადამიანის დაღატაკდა/ვა-
ისმის ქალის სიტყვები: „არა, მადრიდში, მად-
ლიან, ძალიან, ძალიან“ „გუნთქე“ „გუნთქე-
დე“. ასევე მოთხრობაში „კატა წვი-
მაში“ ქალი მარტოდ დარჩენილა. ამას
თვითონ მწერალი არ ამბობს, იგი ერ-
თი სიტყვითაც არ აგვიწერს ქალის
გრძნობებს, მაგრამ ამას გვაუწყებს
ნოველის კომპოზიციკა, დინამიკა და ინ-
ტონაციური მიმართულება.

საერთოდ მარტოობის თემა ერთერ-
თი ძირითადია თანამედროვე დასავლე-
თის ლიტერატურაში. „ყოველივე, რაც
მე შეგეძენი, მარტოობის დაღატაკია“,
— წერდა კაფკა თავის დღიურში.
„მარტოობა“ — ასე ჰქვია შ. ანდერსო-
ნის ერთ ნოველას. ელიოტის ლექსში
„ფუყე ადამიანები“ სულიერი სიმარ-
ტოვე და სიბერწე ისტერიას აღწევს.

ჰემინგუეის ნოველებში გმირი ხში-
რად ნაჩვენებია არა მარტო სოციალუ-
რი, არამედ ოჯახური გარემოს უჩვენებ-
ლად. სოციალური დეტალოზაცი-
ისაგან მახვილი გადატანილია ეთიკურ
საკითხთა სპეციალურ კვლევაზე. ნო-
ველების მოქმედება ხშირად უკაცურ
სივრცეებში, ოკეანეებსა და უღრან
ტყეებში მოქმედებს. ყოველივე ამის
გამო მის ნოველებში ნაკლებ კონკრე-
ტიზირებას ჰპოულობს სოციალური
გარემო და ეპოქის დამახასიათებელი
ნიშნები. ჰემინგუეი „დაკარგული თაო-
ბის“ სოციალური დეტალების გამოძხა-
ტველი კი არაა, არამედ უპირველეს
ყოვლისა ამ თაობის ფსიქიური და მო-
რალური პრობლემეტიკის წარმომსახ-
ველი და მკვლევარია. გმირი ნოველისა
„შინ“ — კრებსი „დაკარგული თაობის“
ნამდვილი პირმშოა. მაგრამ ყოველივე,
რაც მის ირგვლივ ხდება, ფიქსირებუ-
ლია იმდენად, რამდენადაც ეს მისთ-
ვის არსებობს. საგულისხმოა, რომ ჰე-
მინგუეის გმირნი ზოგჯერ ვერ ჰპოუ-
ლობენ გაგებას ამ სოციალურ სინამდ-
ვილზე ლაპარაკისას. მოთხრობაში
„მომეცით რეკვები, ექიმო“ გმირებს
არ ესმით ერთმანეთის და ერთი მათ-
განი აცხადებს: „ხშირად მე თვითონ

სიამოვნებით არ მესმის საკუთარი თავის. ზოგჯერ ქალსა და კაცს შორის ურთიერთგაგება სქესობრივ საფუძველზე უფრო ხდება, რაც რომანებში უფრო ჩანს: ფრედერიკი და ქეთრინი — „მშვიდობით, იარაღო“, რობერტი და მარია — „ვისთვის რეკავს ზარები“.

ჰემინგუეის ზნეობრივი პრობლემატიკა ხშირად დაკავშირებულია ომის თემასთან. ომი და მისი აჩრდილი თანსდევს ჰემინგუეის გმირებს. ომის სახეობა გამოკრთება ჰემინგუეის ისეთ მშვიდობიან ნოველაშიც კი, როგორიცაა „კატა წვიმაში“. „ერთერთი უმარტივესი და უმნიშვნელოვანესი რამე — ეს არის ნაძალადევი სიკვდილი... სიკვდილი ერთერთი იმ რამეთაგანია, რაზეც ღირს წერა“ („სიკვდილი ნაშუადღევს“). მისთვის ამ მხრივ დიდი ნიშნულია სტენდალი: „სტენდალმა ნახა ომი და ნაპოლეონმა მას ასწავლა წერა“, — ჰემინგუეის ამ სიტყვების წაკითხვისას გვაგონდება ლევ ტოლსტოის ნათქვამი: „უფრო მეტად, ვიდრე სხვამ, მე დამავალა სტენდალმა, მანამდე მასავით ვინ აღწერა ომი თავისი ნამდვილი სახით?“

ომი სტენდალს მხოლოდ ერთხელ აქვს აღწერილი, — ესაა „პარმის სავანეში“ ვატერლოოს ბრძოლის აღწერა, რომელშიც ყოველი ფაქტი ფაბრიციოს თვალთაა დანახული. ეს სუბიექტური განზომილების ხერხი უთუოდ საგულისხმო იყო ჰემინგუეისათვის.

ვიდრე რომანებს დაწერდა, ჰემინგუეის მხატვრული მეთოდი მის ნოველებში ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, მის მეთოდს როდი ასაზრდოებზ მარტო სტენდალის ან მარკ ტვენის და იმ მწერალთა ტრადიციები, რომელთა შესახებ იგი თანაგრძნობით ლაპარაკობს თავის ნარკვევებში „აფრიკის მწვანე ბორცვები“, „სიკვდილი ნაშუადღევს“ და სხვ. მეტად საგულისხმოა, და უფრო მეტად, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აღნიშნავენ, ფლობერის მხატვრული პრაქტიკისა და მისი ლუიზა კოლესთან მიმოწერის როლი ჰემინგუეის მხატვ-

რული პოზიციების ჩამოყალიბებაში. ჰემინგუეი ხომ პირდაპირ იცხადებს, რომ მწერალს სჭირდება კვლევითი ნიჭი და ფლობერის თვითღისციბლინა, საგულისხმოა ჰემინგუეის ასეთი სიტყვებიც: ფლობერს ბიუსტი დაუდგეს. „მას, ვისაც ჩვენ ეგზომ თავყანს ვცემდით, ვინც გვწამდა, გვიყვარდა, და გაკრიტიკებას ვერც კი გავიფიქრებდით, — ფლობერს, ახლა მყვრივი ჭვით გამოქანდაკებულს, როგორც ეს შეჰფერის კერას“. საგულისხმოა, რომ ფლობერის მხატვრული მეთოდის გავლენა სხვადასხვა სახით, თავს იჩენს მეოცე საუკუნის ისეთი დიდი მწერლების შემოქმედებაშიც, როგორიც არიან ჯოისი, ელიოტი და სხვ.

1924 წელს თვალსაჩინო ამერიკელი კრიტიკოსი უილსონი წერდა: „ჰემინგუეის ლექსებს არა აქვს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგრამ მისი პროზა უაღრესად საყურადღებოა. იგი უნდა მივიჩნიოთ ერთადერთ ამერიკელ მწერლად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შ. ანდერსონს) რომელმაც შეიგრძნო გ. სტაინის „სამი ცხოვრების“ მაღალი ღირსება, რომლის გავლენაც განიცადა. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ გ. სტაინი, შ. ანდერსონი და ჰემინგუეი თავის სკოლას ქმნიან... ესაა პროზის აშკარად ამერიკული ხაზი“. ჰემინგუეი კმაყოფილი იყო ამ რეცენზიით და უილსონს წერილით მადლობა გადაუხადა. სტაინიდან მომდინარეობს ჰემინგუეის პროზაში, განსაკუთრებით მის ადრეულ ნოველებში, რომელიმე ფრაზის შეგნებულად ხშირი გამეორება. სტაინის აზრით, „გამეორებათა საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია“.

ჰემინგუეის ესთეტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში საგულისხმოა მისი დამოკიდებულება თ. ს. ელიოტის მოღვაწეობისადმი. 1925 წელს ჰემინგუეი კერძო წერილში წერდა ელიოტზე: „იგი უაღრესად ნიჭიერია“. ელიოტი თავისი მხატვრული პრაქტიკითა და კრიტიკული შემოქმედებით დაუპირის-

პირდა რომანტიკულ ნაკადს, რაც თანამედროვე ლიტერატურაში ფსევდორომანტიზმის სახეს იღებდა. მან წინ წამოსწია დანტეს, ბოდლერისა და მენვიდმეტე საუენის ე. წ. მეტაფიზიკოს პოეტთა ტრადიცია. ჰემინგუეიმ გაიზიარა ეს ანტირომანტიკული დოქტრინა. ზოლო მეტაფიზიკოსი პოეტის ჯონ დონის სიტყვები, ეპიგრაფად და ლაიტ-მოტივად აქვს მის რომანს „ვისთვის რეკავს ზარები“.

ჰემინგუეის სტილი მოკლებულია რაიმე რომანტიკულობას, იმ გაგებით რომ მისი პროზის ენობრივი ქსოვილი და ინტონაციური ელერადობა მოკლებულია აფექტაციას, ხელოვნურობას, ეგზოტიკულს და დეკორულობას. ჰემინგუეის სტილი ესაა არა ხატოვანი, არამედ დინჯი, თავდაპირველი სიმშვენიერით აღბეჭდილი რეპორტიორული სტილი, ინგლისური ბიბლიის ენის ლაკონიზმით. ამ სტილის შემუშავებაში ჰემინგუეის ხელი შეუწყო გაზეთში მუშაობამაც. „კანზას სიტის სტარის“ (სადაც ჰემინგუეი 1917 წელს მუშაობდა) წესდების 21 მუხლი მოითხოვდა: „თავი აარიდე ყველანაირი, განსაკუთრებით ისეთი იშვიათი ზედსართავების ხმარებას, როგორცაა თვალწარმტაცი, ნარნარი, ვეება, და სხვ.“. ეს მოთხოვნა ჰემინგუეიმ შემკიდროებული, ქვეტექსტებით აღსავსე პროზისათვის გამოიყენა: „აისბერგის მოძრაობის სიდიადე ისაა, რომ მისი მხოლოდ ერთი მერვედია წყლის ზედაპირზე“.

ჰემინგუეის პროზისათვის უცხოა ყოველგვარი ფორმალისტური ხერხი. ჰემინგუეის წინადადებებში ზოგჯერ შეინიშნება ერთი აზრიდან მეორეზე, ერთი შეხედვით, ალოგიკური გადას-

ვლა,—მაგალითად: „სოფელში ჯერ კიდევ ბევრი იყო თოფები, მაგრამ უკვე გაზაფხული იყო“ („მშვიდობით, იარაღი“). და აი ჰემინგუეის მიმბაძველები აგებენ ასეთ წინადადებებს: „იყო ზამთარი და იგი კითხულობდა წიგნს“. ჰემინგუეის წინადადებაშიც გაზაფხული ერთის შეხედვით, თითქოს არაფერ შუაშია თოფებთან. მაგრამ ამ ალოგიკულს აქვს მხატვრული ფუნქცია—ირონიული ფუნქცია: გაზაფხულზე კვლავ სისხლი დაიღვრება.

ჰემინგუეის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ხერხი—შინაგანი მონოლოგებია. ამ მხრივ იგი საკმაოდაა დავალებული ჯოისის პროზისაგან. 1958 წელს ჰემინგუეიმ ინტერვიუში განაცხადა: „მას (ჯოისს) არ მოუხდენია ჩემზე პირდაპირი გავლენა. მაგრამ იმ ხანებში, როცა ჩვეულებრივი ყოველდღიური სიტყვები ჩაკეტილი იყო ჩვენთვის და ყოველი სიტყვისათვის უნდა გვებძოლა, მისი ნაწარმოების („ულისის“) გავლენა ისეთი იყო, რამაც ყოველივე შეცვალა, და რამაც შესაძლებლობა მოგვცა თავი დაგვეღწია შეზღუდულობისაგან“.

მრავალ ტრადიციათა და გავლენათა მიღებით, ჰემინგუეიმ მოახერხა შეექმნა უაღრესად ახალი და დამოუკიდებელი მხატვრული სტილი, რომელიც დიდ ეთიკურ საკითხებს წარმოსახავს. მისი მხატვრული სტილის გავლენა მრავალი მწერლის შემოქმედებას დაეტყო. მაგრამ ეს გავლენა არასოდეს არ იქნება ნაყოფიერი, თუ არ დავინახავთ ჰემინგუეის ნაწარმოებებში დიდ ზნეობრივ ტყვილეზს, დიდ სიყვარულს სიმართლისა და სინათლისადმი.



პლუზა ბარძინიშვილი

თამარ აბაქელია

„ნათელი ხელოვნებითა, ვითარცა
სიყვარულით“


მიქელანჯელო „სონეტები“.

ქალი, როგორც ხელოვანი, განსაკუთრებით მხატვარი იშვიათი მოვლენაა. აქ მხატვრობას ვგულისხმობთ, როგორც უმძიმეს ტვირთს და მხატვარს, როგორც საკუთარი ხმის მქონე პიროვნებას, თორემ ისე მრავალ არიან წოდებულნი.

• თამარ აბაქელია თავისებური სილამაზის ძვირფასი ქვაა ქართული მხატვრობის მოზაიკაში. მისი შემოქმედება — ეს არის პლასტიკის ერთი განხიანებული პოეზია. უნაზესი ემოციით სუნთქავს იგი, რადგან მხატვარი არის ქალი. გმირული, მამაცური სულით აღსავსე, რადგან მხატვარი არის ქართველი ქალი. •

მის ქმნილებათა მკვრეტელს ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს მოხვდი აურაცხელ განძეულითა და საუნჯით სავსე ქვაბში და აღარ იცი, რომელ ძვირფას ნივთს მიეტანო, იმდენად მიმზიდველია არილი, მის სხივმოსილ შემოქმედებიდან წარმომდგარი.

თავისებური, განუმეორებელი სილამაზით მოსილი შემოქმედება!



ყოველ ერს თავისი სულიერი კულტურის გამოსამზეურებლად, ისტორიის

ბედისწერის წყალობით, უპირატესობა მიუნიჭებია ხელოვნების რომელიმე დარგისათვის. ერის შემოქმედებითი გენია თავის თავს ამ არჩევანით შეიცნობს.

ხომ დიადია ქართული ხუროთმოძღვრება, ძველი ქართული მხატვრობა, მაგრამ ქართველი ხალხი პირველობას სიტყვას მიაკუთვნებს. სიტყვა მიუძღოდა ქართველ ერს უთვალავი წლების მანძილზე ჭეშმარიტების საძიებლად, ვითარცა აღმოსავლეთის მოგვებს მანათობელი ვარსკვლავი.

სიტყვას არ სჭირდება ტაძარი, რომ მის კედლებს თავი შეაფაროს, როგორც მხატვრობამ.

სიტყვას არ სჭირდება საყრდენი, როგორც ციხე კოშკებს და ტაძრებს.

სიტყვა უხილავია, შეუშუსვრელი, რადგან ადამიანის გულში აქვს თავშესაფარი. ამიტომ გადაეცლება იგი დროს, რადგან თან გვახლავს მიუცილებლად და ყოველივე, რაც ეწადა ერის ოცნებას, სიტყვაში გაითქვა.

• მხატვრობა ვერ უძლებს ეამთასიანებს და, როდესაც ამ დროს სიტყვა პქუხს, იგი გამქრალია, როგორც სანთელი გრივალში. ლექსს, თუ მისჭირდა, ცხენის გავაზეც დასწერ, ზეპირი

სიტყვა შემოინახავს, სიმღერა შემოინახავს...

...რა ქნას მხატვარმა, როდესაც ფუნჯის მაგივრად მახვილი უპყრია მარჯვენაში? როდესაც მისი ნაქანდაკები ჩუქურთმებით ციხის კედლები ამოუყორავთ! რამდენი სილამაზე დაღუპულა, რამდენი მშვენიერება გამქრალა უკვალოდ.

— — —

მხატვრობა თავისი არსებით იმდენად შინაგანი საწყისის ხელოვნებაა, რომ იგი ტრადიციის გარეშე არც კი წარმოიდგინება. თუ ჩვენ არ ვიცით, რა დამოკიდებულება გააჩნდათ ჩვენს წინაპრებს მშვენიერებისადმი და რა საშუალებით, რა ფორმით სწვდებოდნენ მას, მხოლოდ გარე სინამდვილე და პალიტრაში — თითის გაყრა უშველის მხატვარს!?

ტრადიციის განახლებაში არც ის უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მხატვარი ძველებურ ჩუქურთმას ან ფრესკოს მიბაძავს და ამით რაიმე ახალი მოიპოვება; მხატვრობის ტრადიციის ძებნა არის უპირველესად ჩვენთვის დამახასიათებელი პლასტიური აზროვნების ძიება. ყოველი მხატვარი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც თავის შემოქმედებაში გამოავლენს მხატვრული აზროვნების ეროვნულ ხასიათს.

ჩამორეცხილ ფრესკოზე შერჩენილი გაოცებული თვალები სხვისთვის არაფრის მთქმელი, გარდა იმისა, რომ იგი ფრაგმენტია ოდესღაც არსებული ფრესკოსი, ხელოვანისათვის მრავლის მოუწყებელია; ჭეშმარიტი ხელოვანისათვის იგი „ფრესკოს ღიმილია“.

ტრადიცია მაშინ ცოცხლდება, როდესაც საკუთარ სისხლს ასესხებ და ამით მიანიჭებ სიცოცხლეს მას.

— — —

* გაწყვეტილი იყო ჭაჭვი ქართული მხატვრობის განვითარებისა.

ავბედითი ისტორიის მეწყერებრივ დახერგილი გზა გადასწორდეს უფროსი თაობის მამაცმა უნაქანდაკარულმა მხატვრებმა. ამ გაწმენდილ გზაზე შემოდგა ფეხი თამარ აბაქელიამ.

ამ გაწმენდილ გზაზე გავლა ყველას ნებადართული აქვს, უმთავრესია გზად მიმავალი რას იმღერებს. თამარ აბაქელიამ იმღერა საკუთარი ხმით.

საკუთარი ხმა! უპირველესი, რაც ასე ძლიერად გვზიზღავს მის შემოქმედებაში, არის სტილი და არაჩვეულებრივი ესთეტიზმი. მისი სტილი შექმნილია იმ ღრმა საფუძველზე, რომელიც მას ეროვნულ განცდის შემოქმედებად ხდის. თამარ აბაქელიას მხატვრული ხედვა პოეტურია, ამაღლებული და სტილი ბუნებრივად ექვემდებარება მის შინაგან მოთხოვნილებას. ყოველგვარი ყოფითი, ჩვეულებრივი მის თვალში მალდება პოეტურ ზოგად სახემდის. როდესაც მისი ქალები ყურძნის ან ნარინჯების საკრეფად მიეშურებიან, ისინი გეგონებთ კოლხეთის მითიური მეფის ასულნი, ისე მეფურია მათი მიმოხვრა და ისე მიმტაცებელი თვალისაა მათი ხორციელი სილამაზე. რეალობის ამგვარად ამაღლებულად დანახვა მოითხოვს თავისებურ მხატვრულ ფორმას, ამას მოითხოვს ჰეროიკული სული; აქედან მისი მონუმენტური სტილი, მთლიანი ფორმა, დეტალების უგულვებლყოფა საერთო შთაბეჭდილების მისაღწევად. ჩვენ კი არ ვათვალისწინებთ მის ნამუშევრებს, არამედ უშუალოდ ემოციურად განვიცდით ისევე, როგორც მხატვარს განუცდია.

ასეთი შემოქმედების უნარი მისი ხელოვნების დამახასიათებელი თვისებაა, და იმდენად ორგანულია საერთო შთაბეჭდილება სურათიდან, რომ მცირე ხარვეზები ყოველთვის განზე რჩება. ყოველი მისი ნამუშევარი ესთეტიურად ღამთავრებულია!

* თამარ აბაქელია იმიტომაც საკუთარი სახის მქონე, თავისთავადი ხელოვანი, რომ მხატვრული მთლიანობით შეაერთა განცდა და ფორმა.

მარადქალური განცდა არსებობისა, ჯანსაღი, ძლიერი სასიცოცხლო ძალა მის ქალურ არსებაში უშუალოდ მღერის ამქვეყნიური სილამაზით შთაგონებული და ხშიანდება უჩვეულო სილამაზის მხატვრული ფორმით. იგი უპირველესად პლასტიკის, სახვითი ხელოვნების ენით მეტყველებს და ეროვნული განცდა სახიერდება მის მხატვრულ ფორმაში. თამარ აბაყელია არსად არ ღალატობს ხელოვნების რომელიმე დარგის სპეციფიკას. მას სწამს, რომ ხელოვნებას საკუთარი კანონები გააჩნია და არასოდეს არაფერი გამოითქმება იმ იდუმალი კანონების დარღვევით. ნაციონალური თემა, მოტივი ყველას შეუძლია შენიშნოს, ნაციონალური სილამაზის შეგრძნება და მისი გამოთქმა ზაზით, ფერით და სტილით, საერთოდ მხატვრის ენით, თამარ აბაყელიასთან ისე ბუნებრივად გამოიყურება, თითქოს ეს თვისება თან დაჰყვა დაბადებიდან, როგორც სუნთქვა ან სიცილი...

იშვიათია სტილის ასეთი მთლიანობა. მას წინდაწინ აღებული რაიმე შხა სტილი კი არ გააჩნია, როგორც ყალბსტილიზაციის მქონე მხატვრებს, რომლებიც, განურჩევლად თემისა, შინაარსისა და ნაწარმოების ხასიათისა, იქნება ის ლირიული, თუ ეპიური, მზად არიან ძალად ჩამოაცვან თავზე ადვილად მოპოებული სტილი და როგორმე მოარგონ ნაწარმოებს.

თამარ აბაყელიას სტილი ყოველთვის ნაწარმოების სულიდან წარმოიშობა.

თამარ აბაყელია იმ ბედნიერ მხატვრებს მიეკუთვნება, რომელნიც ბუნებრივად აღმოცენებულან მშობლიურ ნიადაგზე და მათ შემოქმედებას არასოდეს უგრძნია სხვა უნაყოფო ნიადაგისაგან შემოქმედებითი სიძაბუნე და სიმკვლევე. მდიდარი ქვეყანა, მდიდარ ტრადიციებით მისი შემოქმედების პირველი წყაროა.

ქართული ოქრომკვლელობა, უფაქიზესი მხატვრობა მინანქრისა, ქართული ნაქარგობა. სამკაულთა ძვირფასი

ნიმუშები... ყველაფერი, რაშიც შედგნდება წინაპართა გემოვნები, მწიფეულიდან ამოყრილი სატყვე და მასთან ჩამარბული ძნელად საწვდომი და სახილველი მშვენიერება... ყოველივეს შეპყურებს სილამაზის წყურვილით შეპყრობილი მხატვრის თვალი და როგორც ფუტკარი შეისრუტავს ნექტარს ველის ყვავილებიდან, ისე შეიგრძნობს თამარი სილამაზის უკვდავებას.

— — —

ყოველივე ამქვეყნად იმიტომაც შექმნილი, რომ აღამიანი იყოს ბედნიერი. იგი სიცოცხლის სილამაზის მხატვარია. სხვა სილამაზე მისთვის არ არსებობს.

ახალგაზრდა ცოლქმარი, აღამიანური სიხარულით სავსენი, შეპყურებენ პატარა ბავშვს. „ბედნიერი ოჯახი“ ეწოდება ამ ნამუშევარს. კომპოზიციური ცენტრი ამ სურათისა არის ამქვეყნიური ბედნიერების ცენტრი — შვილი (ასე სჯერა მხატვარს). მხატვარი მოგვითხრობს, თუ როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი ვაჟსა და ქალს. როგორ მიანიჭა დედაბუნებამ ბედნიერება და ეყოლათ ბავშვი; ზეიმობს მათთან ერთად ოქროსფერი ნაყოფით სავსე მიწა და ნაყოფსავსე ხეებიც, რომლებიც სიყვარულით გადმოხრილან მათკენ; მიწიდან ამოზრდილა ქალი ფესვმაგარ ხესავით, შვილი აუტაცნია პაერში და შეპყურებს ბუნების სასწაულს, საკუთარ სხეულიდან წარმოქმნილ ნაყოფს. ვის შეუძლია მთელი სისავსით ბუნების ძალთა განცდა, თუ არა ქალს? ამიტომ მეფობს სურათზე მთელი სიძლიერით უსაზღვრო ბედნიერების ანარეკლი: ბუნების ნაყოფიერებას, სიცოცხლის უწყვეტ დენას გვაუწყებს ეს ბედნიერება, რომელიც ხელოვანის გულიდან დაძრულა.

ეს მუღმივი თემა თამარ აბაყელიას ხელში მითად ქცეულა. იგი უნდა ამშვენებდეს უზარმაზარი ფრესკოს სახით ქორწინების დარბაზს.

განსაკუთრებით უყვარს თამარ აბა-

კელიას შემოდგომა, როდესაც ბუნებას შშვიდი ბედნიერება ეუფლება და გადახსნილი აქვს თავისი სავსე მკერდი ადამიანებისათვის.

აი პატარა ზომის შემოდგომის სურათი, რომელიც უზადო ოსტატობითაა შესრულებული: მთავარიანი ადგილი; ანთებულა ოქროსფრად ზეცა და მთები; მდინარეც თითქოს დაქცეული ოქროს ღვარია: სხვებისათვის შემოდგომა მწუხარება, თამარისთვის იგი მზისა და მიწის ზეიმის დროა. შრომა დღესასწაულადაა გადაქცეული.

შემოდგომისადმი, შრომისადმი მიძღვნილი გრაფიკული ნამუშევრები, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ლექსების ციკლი „სანგინი“ და „სეპია“.

შრომის ჰიმნია მისი ცნობილი პორელიეფი, რომლიდანაც მოგვესმის შრომის სადიდებელი სიმღერა მზისა და ქვის შეხმატებლებით. ვის შეეძლო ასეთი სითბო მიენიჭებინა ქვისათვის, თუ არა ხელოვანს, რომელიც ახლო იყო მშობლიურ მიწასთან?! ერთ მტევანსაც ვერ გააკეთებ ისე, თუ არ შეგიგრძენია ვენახის მწუხარება მიმავალ მზისადმი, თუ თვალი არ მოგიკრავს მტენებში ჩამდგარ ქარვისფრად ანთებულ სისხლისათვის, თუ არ გინახავს კონდარზე გაგორებული გაბზარული კური.

ნაყოფიერი, ბარაქიანი მიწის მოსავალი- ვენახი; რთველი; ქვევრი; ყურძნით სავსე კალათიანი ქალი. ჩამოუღვამს მხრებიდან გოდორი ჩაბალახიან მკლავმაგარ ვაჟაკს... ჩუმი გადალაპარაკება, უტკბილესი შეპირება... მერამდენეჭერ მოუსმენია ეს სიტყვები ყურძნიან ქალს?

ალბათ, მზე ჩადის ამ დროს და შორიდან მოისმის „ხელხვევის“ ხალისიანი ჰანგი.

„უსაზღვროდ მიყვარს სოფელი, თავისი სულითა და ხორციით, განსაღი ადამიანებით“.

ყველაზე უდიდეს დანაშაულად მხატვარს მიაჩნია სიცოცხლის ხელყოფა. დგას გაქვავებული დედა მოკლული ბავშვით ხელში, პირგამეხებული, შურისგებით აღესილი ქალი! ეს არის ხელოვანის ამხედრებული აზრი ომის წინააღმდეგ, ეს არის განცდა ყოველი დედისა! რა მამაცური გამირული სულითაა სავსე ეს ქანდაკება, რომლისთვისაც ხელოვანს უწოდებია „შურისძიება“.

გამირული სულის მხატვარი ქალია თამარი. აქ მას ზურგს უმაგრებს თავისი ქვეყნის წარსული, საკუთარი ბუნება და ქართული პოეზია, რომელთანაც წილნაყარი ხელოვანია იგი.

ვერასოდეს ვერ შეეხმიანები ეპოსის ჰანგს, თუ გამირული სულის თანაზიარი არა ხარ!

ეპოსი — ამალღებული სიმღერაა საგმირო საქმეთა მომთხრობი. თამარ აბაკელია მხატვრობის ენით ქებას უძღვნის სომხეთის გამირული სულის პირმშოს — დავით სასუნელს.

თამარის ვაჟკაცურმა მარჯვენამ მოგვაახლა და ისეთი სიცოცხლე მიანიჭა ეპოსის სამყაროდან გამოძახებულ ლანდს, რომ თვალნათლივ დავინახეთ სახე ხალხის ოცნებით შექმნილ გმირისა.

გასაოცარი მხატვრული გემოვნებით ამუშავებს იგი სომხეთის ზუროთმოძღვრების ძეგლებიდან აღებულ ორნამენტისა და რელიეფების მოტივებს. ყოველ სამკაულს სომხური ქვის სიმტიცე აქვს შერჩენილი, ამით ენიჭებათ არქაული იერი, რომელიც ფრიალ შემვენის ამ უძველეს ეპოსს. რა მხატვრუ-

ლად გააფორმებდა თამარი „ვილგამეშ“!

შესანიშნავი ილუსტრაციები უძღვნა თამარმა ვაჟას ეპიურ პოეზიას. თუ არსებობს ქვეყნად პოეტი, უშუალოდ მატარებელი ვაჟაკური, გმირული სულისა, როგორც ვაჟა-ფშაველა? ან ვინმეს თუ უმღერია ასეთი ხმოვანებით მაცობისა, გმირობისა და კაცობისათვის? თუ ვაჟას მამაცურ ბუნებას არ აქლდა სინაზე ქალისა, არც თამარ აბაკელიას კლებია გმირული სული და სიმამაცე. მის მიერ შესრულებული ილუსტრაციები აღასტურებენ ამას. მოვიგონოთ ქისტის ქალი აღაზა, როდესაც იგი უცხო სტუმარს ზვიადაურს მიეგებება. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მისი კდემამოსილება, გამოკედილი მთის ტრადიციით. ან მინდია, ოდნავ ვაჟასათვის რომ მიუმსგავსებია მხატვარს; მშვიდი, ბრძენი მინდია, ბუნების იდუმალებით, მისი შეუცნობლობით „მწერელთ ტყვედ“ ქცეული მისანი. მისხლომიან გვერდზე სასაუბროდ ხევსურნი, მაგრამ სხვაგან ქრის მინდიას გონება ამ დროს.

ყოველგვარი ეთნოგრაფიზმის გარეშე, მხატვარი უმთავრეს — ვაჟას გმირთა კაცობას გვიჩვენებს, გვიხატავს ისეთი უბრალოებით, ისეთი ეპიური კილოთი, თითქოს ვინმე მთიელი ქალი თავიდან გვიოთხრობდეს ვაჟას პოემებს.

— — —

არსებობენ წიგნები, რომელთაც არსკირდებთ ილუსტრაციები, მაგრამ ისეთნიც არსებობენ, რომლებიც ლამაზ დიაცებივით თავად იშვერენ ხელებს ილუსტრაციის სამკაულისაქენ. ილუსტრაციებში ხელმეორედ იხადებიან გმირები, ხელმეორედ მოიხვეჭენ სიცოცხლეს, არსებობის უფლებას, ნაწარმოების სულიდან შვა ისინი მხატვარმა. ამის შემდეგ თვალნათლივ დასანახი გახდნენ, უშუალოდ ეხებიან ჩვენს გრძნობად აღქმას. ამ უშუალო კავშირს ამყარებს მხატვარი და ნაწარმოების

სულს შთაგონებულს ხდის, რათქმაუნდა, მხატვარი თუ ავა ნაწარმოებებს სიმალემდის. ამის გარეშე ილუსტრაციები ლაქაა, წიგნის შემრყვენი.

„აქა მხატვარო დახატე“ უბრძანებია რუსთაველს.

თუ ჩვენ მხოლოდ პლასტიური ინტერესით, მხოლოდ მხატვრის თვალთ შევიხედავთ რუსთაველის პოემაში, ვიხილავთ, თუ რა შეუვალა, თვალშეუწვდენელი ციხე-სიმაგრეა ყველა მხატვრისათვის ეს პოემა, ვინც კი ოდესმე დააპირებს მის გადმოთარგმნას სახვითი ხელოვნების ენაზე.

ის, რაც თამარ აბაკელიას „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს ყველასაგან განასხვავებს და განსაკუთრებულ ღირსებას ანიჭებს მას, არის ნაციონალური სტილის გრძნობა.

როგორც ნიკორწმინდის, ჯერის ან სვეტიცხოვლის რელიეფები მიგვანიშნებენ შორეულ და უცნობ დროს, ყოველგვარი გაგებისა და დასაბუთების გარეშე ჩვენში იწვევენ ესთეტიკურ ტკობას. ასევე თამარ აბაკელიას სტილდასრულებული ილუსტრაციები გვაახლოებს ოქროს ხანის განცდასთან, გვაგრძნობინებს იმეამინდელ სურნელებას. ილუსტრაციების მთავარი წამყვანი ხმა არის სტილი. ამით ეხება მხატვარი ეპოქის სულს. პირველ შეხედვისთანავე სტილი გვაიძულებს გადავინაცულოთ სხვა დროში. ეს უდიდესი ძალაა მხატვრისა. ეს თამარ აბაკელიას მაღალ კულტურისა და მდიდარ ინტუიციის სიღრმეზე მეტყველებს. შეფარვით ბრწყინავს მის მტკიცე ვაჟაკურ ხაზმოსმარში ნაციონალური სტილის მკაცრი კეთილშობილება.

თინათინი ზის სამეფო ტახტზე და საუნჯეს არიგებს. ულამაზესი, სავსე დიაცი. მამაკური, ნაზი სახითა და ძლიერი სხეულით. ეს ისეთი ქალი დაუსვამს ტახტზე თამარ აბაკელიას, რომელიც ადვილად არ დასთმობს მამის მიერ ბოძებულს. თავზე სამეფო გვირგვინი ადგას, ყელს ქვემოთ გავლებული

ლენაქი მკვეთრად მოხაზავს მის ამაყ სახეს. ვნებათა საღაღის გონიერი მკურობელი, ამაღლებული ბუნების ქალი! თინათინის მშვენიერი თავი სილუეტად იკითხება ნათელ ცის ფონზე. ცა თალით რგვალად მოჭრილი შარავანდედებით შემოსდგომია და ამით კომპოზიციის ცენტრად ხდის მის გვირგვინოსან თავს. აფორიზმებით ნათქვამი ილუსტრაცია. მონუმენტურობა, შესრულების მკაცრი უბრალოება ანიჭებს ამ ილუსტრაციას რაინდულ კეთილშობილებას. ილუსტრაციის სტილი ესიტყვება პოემის ქართლის დიდებულ მღინარებას.

ფეოდალურ რაინდულ სამყაროსთან რომ მიგვაახლოვოს მხატვარმა, იგი ამოსათვის შესანიშნავად იყენებს ფერს. გამეფების მდიდრული სურათი მთლიანად ოქროსფერი ილუსტრაციაა.

ფერი თავისთავად ემოციის შემცველია და თვითვე ილუსტრაციაში თამარი რომელიმე ფერს ანიჭებს აქტიურ მოქმედების ძალას.

წყლის პირად ტარიელის ნახვა მთლიანად ვეფხისფერია. ვეფხის ფერია ტარიელის ვეფხთან შებმა, ხოლო ტარიელისაგან ნესტანის ნახვა ვერცხლისფერი ილუსტრაციაა. ფერში ნაზი, როგორც ვერცხლისა და დილის ვარდისფერ შუქის გათამაშება. სათათბიროდ შეყრილი ყმანნი მთლიანად რვალის ფერს გადაიკრავს და ბევთარივით ელავს მთელი ილუსტრაცია.

რალაც ზღაპრული განწყობა გეუფლებათ „მოტაცების“ ზურმუხტისფერ ილუსტრაციისაგან. სკულპტურულად გამოკვეთილი ძლიერი სხეულები მონათა, კომპოზიციის შინაგანი დინამიზმი, ექსპრესიული ლაქობრივი განაწილება და მთლიანად კომპოზიცია მუსიკალურ-პათეტიურია, თითქოს საყვირების ხმა გვამცნობს უბედობის დასაწყისს.

„ვეფხთან შებმა“ გვაგრძნობინებს გადაკარგულ ადგილს, სადაც მხოლოდ მხეცი ბუდობენ, ყოველივე ვეფხის ფერს გადაიკრავს, ცა კი მუქია და ბნე-

ლი. ბნელა გამოსახულის მიღმა და ეს ქმნის უცაცრიელობის განცდას.

ვნებიანი ემოციურობით დაქმუნებული ლობით გვიხატავს მხატვარმა „საყვარელის“ ძალას. ერთმანეთში აღრეულ ოქროსა და მთვარისფერ ფონზე მიფრინავს ნესტანი ანგელოსივით... პირველი შთაბეჭდილება ასეთია ამ ილუსტრაციიდან... მხატვრის ენაზე ასე სახიერდება განუზომელი სურვილი შეხვედრისა.

გაოცებული დაკვირვებს ტარიელი ნესტანს, თითქოს ვერ ირწმუნა, რომ იგია მისი მზე, იგი, ვის გამოც ველად გაიქრა.

უზომო სიხარულს მუხლი მოუკვეთია ნესტანისათვის, ღონემიხდილს ხელები გაუშვერია საწყალობლად... აქ მხატვარს ამ დიადი წამის ძალა, თვით განცდა სიყვარულისა აუღია მოდელდად ათროლებული ნესტანი უძლურქმნილა უძლველი ძალის წინაშე. გახევებულან და ერთარსებად ქცეულან ორივენი. კმუნვისა და სიხარულის ერთდროული ამოფრქვევით...

— — —

როგორც ოსტატი, თამარ აბაქელია თავისი უცნაური მიგნებებით განცალკევებული დგას ყველასაგან. ზოგიერთი მისი ნამუშევარი მოგვაგონებს ნახევრად ბნელში მოციმციმე მოზაიკას. ვინ იფიქრებდა, რომ გუაშის საღებავებს შეეძლოთ ასეთი ძვირფასი ელვარების გამოცემა!

შესრულების ტექნიკა სრულქმნილობის ნიმუშია.

მისი ქმნილების წარმოშობა არქეოლოგის შრომას გვაგონებს, როდესაც ფუნჯის ფრთხილი მოცაცუნებით შემოაცლის მიწას რალაცის მანიშნებელ გაურკვეველ ფორმას, ისე ფრთხილად შეეხება მსუბუქი ფუნჯით ფხვიერ მიწას და იელვებს უეცრად ქანგმოუკიდებელი სილამაზე თრიალეთური თასის ან ოქროს სამაჯურისა... ასევე ოსტატის

ხელს შავ ფონზე ნელნელა ამოჰყავს თავისი ოქროცურვილი ფიგურები.

როდესაც დავყურებთ მის ილუსტრაციებს, ასე გვეჩვენება თითოეული მათგანი ოქროს, ვერცხლის ან თითბრის ფირფიტაზე რელიეფურად ამოუჭედიათ, გამოუწვართიათ ცეცხლში უცხო წამლებით სხურებული და პატიოსანი ჭვებით მოუჭედიათ.

და მართლაც ქალმა-ოსტატმა თავის წინაპრების ბეშკენ და ბეჭა ოპიზარების დარად მოჭედა ვეფხის პოემა.

მაღალმხატვრულია ყოველი ესკიზი, რომელიც მას ოდესმე შეუსრულებია თეატრისა და კინოსათვის.

გლახური დედაბოძიანი დარბაზი, სიმყუდროვე გამეფებულია ნახევრადბნელში, მხოლოდ შეშის ტკაცუნი მოგვესმის. ეს კიდევ მეტ სიმყუდროვეს ქმნის; შუაცეცხლზე გამურული ქვაბი ჰკიდია, ცეცხლი ვიზვიზებს; შუაცეცხლის ირგვლივ ტაბლა და სამფეხი სკამები აწყვია; სიბი ჭვით ნაშენ კედელზე ძველებური ფარხმალი, რომელზედაც ლივლივებს ცეცხლის ანარეკლი.

ისეთი ინტიმური გარემოა შექმნილი, ისეთი განწყობილება გეუფლებათ... ფიჭრობთ: გაიღება კარები, შემოვა ვიღაც, ფეხებს დააბაკუნებს მიძიმედ, ტყავკაბიდან თოვლს ჩამოიბერტყავს...

როდესაც ასეთი ემოციის გამოწვევა შეუძლია დეკორაციის ესკიზს, ესკიზი კი აღარ არის მხოლოდ თეატრალური დადგმისათვის, არამედ დამოუკიდებელი, თავისთავად ღირებული ნაწარმოები. ეს თვისება ყოველ მის ნამუშევარს ახასიათებს.

ყოველივე მიღწეულია იმით, რომ მხატვარს ღრმა ინტიმური განცდა აკავშირებს გამოსახვის საგანთან. ჩვეულებებისამებრ, სპექტაკლის დადგმის შემდეგ, ბეჭედდარტყმული და ნებადართული ესკიზები აღარ ცოცხლობენ დამოუკიდებელი სიცოცხლით, ისინი უკანა პლანზე გადაიწვევენ ხოლმე და მივიწყებას მიეცევიან. მათ მხოლოდ უტრიტარული მნიშვნელობა გააჩნდათ,

მაგრამ თამარ აბაქელიას ესკიზები, იქნება ის დეკორაციის თუ კოსტუმებისათვის, ამის ნებას არ იძლევიან ყოველი ნამუშევარი მნიშვნელოვანია, როგორც მაღალი ხელოვნების ნიმუში.

ყოველი ესკიზი შესრულებულია გასაოცარი სიყვარულითა და პროფესიული ოსტატობით, დიდი შინაგანი კულტურით, ესთეტიური დახვეწილი გემოვნებითა და თეატრის სპეციფიკის ღრმა გაგებით.

აი, თუნდაც მომხიბვლელი კოლორიტული ფარდა „ზევისბერ გოჩასათვის“. თუმცა იგი ზომით მცირეა, მაგრამ დიდ ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს. რამდენი სიყვარული, რა სიფაქიზე, რა მაღალი გემოვნება მოჩანს ამ უბრალო ხალხური მოტივის დამუშავებაში. ლაბიდარულია დეკორაციის ესკიზებიც. ყოველ მოქმედებაში მუდმივ, უცვლელ ჩარჩოდ გამოყენებულია კარიბჭის მოტივი, რომლის ძირას რქებდაგრებილი ცხვრის ტრადიციული ქანდაკება დგას. ყოველ მოქმედებაში უცვლელად მყინვარწვერი მოჩანს. მარადისობის გულგრილ, თეთრი მოციქულის ფონზე აზვავდება ყაზბეგის გმირთა დაუოყებელი ვნებათა ღელვანი.

თამარ აბაქელიასათვის კოსტუმი ცალკე არ არსებობს; კოსტუმი არა როგორც მხოლოდ კოლორისტული მინიშნება, არამედ როგორც დამხმარე ელემენტი გმირის ხასიათის გამოსაკვეთად. ტიპაჟი და კოსტუმი ერთი მთლიანი განუყოფელი სახეა მხატვრისათვის.

კინოფილმ „დავით გურამიშვილისათვის“ შესრულებულ შესანიშნავ ესკიზებში ყურადღებას იპყრობს ერთი სათნო სახის მშვიდი გამოხედვა. ზის მეფე, ქართლის ბედით განაწამები, მეფე მწიგნობარი და კულტურის მესვეური, მოყვარული პოეზიისა და მისი მფარველი, ერთი სიტყვით, ჰუმანური ადამიანი. ეს არის დასრულებული სახე სევდამწარებული მეფე ვახტანგ VI-ისა. ყოველ გამოცემას დაამშვენებს ეს პორტრეტი.

გიორგი? შადიმანი? ზურაბ ერისთავი? ქეთევანი? ვახუშტი? ყველა დასრულებული სახეებია. ყველგან მოჩანს მდიდარი ინტუიციის მხატვარი.

ახლა იხილეთ ბერიკები, მხიარული ზღაპრული ბერიკები, განა მხატვრის სიმღიერეს არ მოწმობს იგი, რომ დგეხარ ტიპაჟის წინ და ვერ სცილდები, იმდენად მხატვრული სიმართლე ახასიათებს ყოველ ნამუშევარს.

მოგვითხრობენ, რომ მარჯანიშვილის მკაცრი, მიუდგომელი გემოვნება მოალობო თამარის ესკიზებზე და წამოაძახებინა თურმე „აი, ქეშმარიტი მხატვარი!“

„ბუნება ზშირად მთელი სისავსითა და სიუხვით დააჯილდოებს ხოლმე ადამიანს, მაშინ ერთ არსებაში თავს მოიყრის ნიჭი, სიფაქიზე და მშვენიერება“

— სწერდა ოდესღაც ჯორჯო ვაზარი. ბედნიერი დამთხვევაა ისიც, რომ ასეთი მარცვალი ნოყიერ ნიადაგზე დაეცემა.

„ჩემი ქვეყნის სილამაზემ, მისმა ხალისიანმა სამყარომ გააღვიძა ჩემში ხელოვანი“.

მუქლურჯი ზეცა, მზე, ხალისიანი კრელკრულა მთები, იშვიათი გარეგნობისა და სილამაზის ხალხი. მათი ამაყი გავლა და მხიარული სიმღერები, ერთი

სიტყვით, ქვეყანა უთვალავი ფერით, რომელიც შემდეგში გაცოცხლდება ხელოვანის არსებაში და მრავალფეროდ განსახიერდება.

მაგრამ ვიდრე მოიხვეჭდა ხელოვანის სახელს, თამარ აბაქელიამ განვლო შემოქმედებითი ბრძოლით აღსავსე გზა.

სიყმაწვილეში დათქმული: „მთლიანად ხელოვნებას შევალევ ჩემ ძალღონეს“, აღასრულა მამაკაცური ნებისყოფითა და ძალმოსილებით. „მე ვალში ვარ ჩემი ხალხის წინაშე, მისი გმირული წარსულის წინაშე, მისი აწმყოს წინაშე“ — სწერდა აწ ვალმოხდილი ხელოვანი.

— — —

ჩჩება მხოლოდ ის, რაც მიწიერ ცხოვრების ქაშს მხატვარს მიაჩნდა უმაღლესად; დარჩენილი ყოფილა „მუნთანა წასატანი“.

გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, ხელმეორედ მოგვევლინა თამარ აბაქელია და გამოგვიწოდა თავისი სურნელოვანი შემოქმედება. დამათრობელი და ძლიერი, რადგან გვაწვდის იმ ქვევრიდან, რომელიც მშობლიურ მიწაშია დაფლული.

ელვას ჰგავდა გზა ღრუბლებში ჩასახელი, სხივთა ზღვაში ოქროს დილა ბრიალებდა, ხეთა ლაშქარს მოედლოდა გახაფხული მზე, ცის დროშა, შუბის ტარზე ფრიალებდა!

მეც იმ დილას შევეგებე, როგორც იმელს, და სინათლე გულში თბილად ჩავიკონე. ხელი გაეკარ სხივთა სიმებს, მოციმციმებს, და მიწიდან მზის გულისწყვა გავიგონე!

აქ პოეტის ყალბით დახატულია მთელი სურათი; „ხელი გაეკარ სხივთა სიმებს მოციმციმებს და მიწიდან მზის გულისწყვა გავიგონე“. ძლიერი პოეტური თქმაა და იგი აღმართის გონებაში მრავალ მალღ ასოციაციებს მხადებს. ხანდახან პოეტი უნაზესი ფერებით აცოცხლებს ბუნებას:

ჩემი აღუჩა! თეთრი, ცქრიალა, ისევე მეწყვია ბაღში ამ დილით, ჩამოთშლია თმები წყრიალა, ძირს დაუვდია შავი მანდილი. მიველ და... ჩალაც მოთხრა მაკინა, ფიქრი, ოცნება აღარ შეცალა, მოშიაღერსა და მიშაძინა ძიღში მანდილი გამომცალა.

საერთოდ კი ალიო მირცხელავას პოეტური პალიტრის ფერები, სახეები გამჭვირვალეა და ნათელი. პოეტი სახეებს და მოვლენებს ხატავს მოთულოდნელი შედარებებით, ეპიტეტებით, ამით დიდ მხატვრულ დამაყრებლობას აღწევს ხშირად:

შორს, ძალიან შორს გეშს ებრძვის წყალი, ღამის ჩაახრჩოს ტალღებს ცემით, უცებ ავარდა დროშების ილი, უს აღბათ, მთვარეს წააწყდა გემი.

ზღვაში მთვარის ანარეკლის შედარება ნაღმთან ბრწყინვალე პოეტური მიგნებაა და იგი უაღრესად გრანდიოზულობით გადმოგვცემს სტიქიურ მოვლენას.

ლექსში „ზაფხული თბილისში“ წარმოსახვის ემოციურ მომენტს აძლიერებს პიპერბოლური მეტაფორა. მაგრამ აქაც, ისე როგორც საერთოდ, ა. მირცხელავას შემოქმედებაში, პიპერბოლა არ სცილდება მხატვრულ ზომიერებას, არ აღემატება ჩვენს წარმოდგენას საშუაროსა და ყოფიერებაზე და მკითხველშიც უჩვეულო გრძნობას არ იწვევს. ერთი სიტყვით, მეტაფორა, შედარება, ეპიტეტი ა. მირცხელავას პოეზიაში დამაყრებელია და პოეტს ესმარება ნაწარმოების ძირითადი იდეის რელიეფურად და პლასტიურად გამოხატვაში. ხოლო ამ ლექსის ძირითადი იდეა ასეა გამოთქმული:

12. „მნათობი“, № 6.

მა, ჩემი ლექსიც, მზეში გამთხარი, სახით, სიშვეიცხლით მერცხლის გვარია, ჩითმის ძებნაში მოვლო მთაწარეს მწვეილობას უმღერს და უხანძრულოდ

აქ ჩვენი ხალხის დიდი პოემანური მისწრაფება ნახ პოეტურ სტიქიონებშია აღბეჭდილი. ალიო მირცხელავამ ლექსთა წყობაში ახალი ინტონაცია შეიტანა. ეს სიახლე ჩანს არა მარტო ლექსის მეტრულ თავისებურებაში, არამედ მის შინაგან რიტმსა და პოლიფონიაში; მაგალითად: მისი რეამარცვლიანი ან ათმარცვლიანი ლექსები რიტმულად ჩვეულებრივ რეამარცვლიან ან ათმარცვლიანს როდი ჰგავს. ეს ლექსი უფრო რიტმულია და ენერგიული, რაც სიტყვათა ბუნებრივ წყობისა და მრავალმარცვლიანი რითმების შედეგია. ლექსის მუსიკალობას და ფოლადისებურ ელერადობას ხელს უწყობს აგრეთვე რითმებში მახვილის დაკვა. ყველაფერი ეს ჰქმნის განსაკუთრებულ პარმონიას. ამ შემთხვევაში პოეტი თავის ლექსებში პირდაპირ კი არ გამოთქვამს აზრს, არამედ ამღერებს. ასე ამღერებს ის ბუნებას, პეიზაჟს, საგანს. იი როგორ ეღერს მისი რეამარცვლიანი ლექსი:

მცევა, განა მციღლებიან, თრთიან, განა ხუნღებიან, აღრე აბიზინღებიან, უფრო აღრე ბრუნღებიან, — განა მწუხრის ბინღებია, ეს მტრეღების გუნღებია, მხრებზე დამაფრინღებიან, ტბიღად აღღუნღებიან.

(„ვერხვი“)

აქ ვერხვის შრიალის ფრენტური გადმოცემაა. ანდა ავიღოთ ათმარცვლიანი ლექსი. როგორი ენერგია და დინამიურობა იგრძნობა ამ სტიქიონებში:

მთას გაღაიღლი, ისევე მთებია, ტყის ფარჩეღლით შემოსიღლები, ისევე ფრიალო დაღმართებია, ირგვლივ ეღერაა სხივთა სიმების, ვეღზე გამიღლა მღღლოს ხავერდი, ამოქროღილი ოქროს სიღმებია, ტანად მღალი და რქანაყარი ხეღბი დგანან როგორც ირმები.

(„სამშობლო“)

რა მისაწყენი, არა პოეტური და არაემოციური იქნებოდა ეს სტიქიონები, პოეტის მიერ ასე დინამიურად და ამღერებულად რომ არ იყოს გააცოცხლებული:

მა, გრავანებენ კვლავ მანქანები, ყალყზე დგებიან. გრიგოღღებია.



ტემას რომ ხედებიან მძლავრ გაქანებით, — კომკავშირული ბრიგადებია.

აჲ, შართლა, აღამიანებთან ერთად მანქანების ტემპი და დინამიკაა ვადმოცემული. სწორედ ამით გამოირჩევა ალიო მირცხულავა, როგორც შესანიშნავი ოსტატი.

ალიო მირცხულავას რითმები მდიდარია და ლექსის ბუნებასთან ორგანულად შეხამებული. ლექსის მახვილის მიხედვით გარითმვა იწვევს სიტყვების ბუნებრივ გამოთქმას და აახლოვებს მას ხალხურ მეტყველებასთან.

ახლებურად და თვისებურად ელერს პოეტის ილიტერაცია და მკაჟაძე:

ნახეთ ჩვენი ვაჟაკებიც,
ქართლის ტურფა ასელები,
სავსებროდ და საბრძოლველად
შრომის ველზე გასულები.

და უმღერტო ქება-ქება
კრიმანტულის დასადარი:
ჩვენი ქვეყნის დასადარი
შვის ქვეყანა სხვა სად
(„გაზაფხულის მახარობლები“)

ალიო მირცხულავა თავის ერთ-ერთ ახალ ლექსში ამბობს:

ჩანგი საბრძოლოდ მკლავს ჩაეკონე,
გულის ძაფივით ძვერდა სტრიქონი.

ამ სტრიქონებით პოეტმა გამოხატა ის აზრი, რომ აღამიანის ერთადერთი და წამდელი ცხოვრება ხალხის სიყვარულსა და მის სწამს ხურში მდგომარეობს. იმ, იმ სულისკვეთებით არის აღბეჭდილი და ამჟღავნებული ალიო მირცხულავას მთელი პოეტური შემოქმედება.

ვლადიმერ ჯიჯიაძე

მოთხრობები წარსულსა და აწმყოზე

„მგზავრული კრილოსანის“ შემდეგ ლ. გოთუამ გამოსცა მოთხრობების წიგნი „ნისლი ნახატარის ტყეში“. ავტორისეულ წინათქმავზე უკეთ ვერ ვიტყვი: „ამ წიგნში, ერთი სათაურით, მე შევკრიბე სხვადასხვა დროსა და ვარეზობებაში დაწერილი მხოლოდ მოთხრობები და ნოველები. მათ სამშობლოს სიყვარული და მის სეგებელზე ფიქრი აერთიანებს“. რასაკვირველია, ამ პატარა წერილში შეუძლებელია ყველა მოთხრობის საფუძვლიანი განხილვა და ყოველმხრივი ანალიზი. მით უმეტეს ისეთი ხანდახან სადავო შემოქმედისა, როგორცაა ლ. გოთუა. პირველ რიგში ყურადღებას ვავამახვილებთ თანამედროვეობის თემავზე დაწერილ წარმომებზე.

ავტორმა, ალბათ, შემთხვევით არ დაარქვა მთლიანად წიგნს ვრცელი მოთხრობის სახელი „ნისლი ნახატარის ტყეში“. ეს მოთხრობა სწორედ დღევანდლობას ეხება, მაგრამ ბუნდოვან სილუეტებში მისწინან წარსულის აჩრდილები, ის აჩრდილები, რომლებიც ამავე კრებულში მოთავსებულ ისტორიულ მოთხრობებში არიან ხორცშესხველნი. ჩვენი აზრით, ამ მოთხრობის ლეიტმოტივი გამოთქმულია შემდეგ სიტყვებში: „ცხოვრებაში წგრევაზე მეტი შენება

არის, სიძულელიზე მეტი კი მაინც სიყვარულია, თორემ დიდხანია არაფერი შერჩებოდა კაცობრიობას“. ორიგინალურადაა გადაწყვეტილი მოთხრობის სიუჟეტი, თუ რა დიდ წინაღმდეგობებს წააწყდება ახალბედა მწერალი ცხოვრებასთან პირისპირ შეგახების დროს, რა დიდი განსხვავებაა ჩინაფიქრსა და სინამდვილეს შორის, ვეთილი ოცნება ხშირად უმოწყალოდ იმსხვრება, მაგრამ „ნახატარის თავზე ცისფერი ნისლი იმედისფერად გადმოიშალა“, ენაიდან „აღამიანს იმეღზე უკეთესი მეგობარი არც ჰყოლია, არც ჰყავს, არც ეყოლება...“ ავტორმა ბევრი პრობლემა დასვა და არც ერთი არ დაუტოვებია უპასუხოდ. აღამიანთა რთული ურთიერთდამოკიდებულება, — პერსონაჟების სიყვარული და სიძულელი, სიხარული და სევდა გადმოცემულია მძაფრი ფერებით და როგორც საერთოდ სწვევია ავტორს, ხშირად სიმბოლური სახეებით: მახათელის მანქანის კაზანისებური ხმა და ნახატარის ტყეში ოზობას ქსელის გამგლევი კაზანა... წყაროს აწყარა და არავის მღვრივ წყლის დაპირისპირება. თბის კოკა და ბროლის ტონა... ეტრდღლისა და ძერას მოკვლის ეპიზოდი... ეს ზუსტი სიმბოლური სახეები და არაჩალებ სიმბოლური დიალოგები ამ მოთხრობას მეტ ემოციურობასა და სიცოცხლეს მატებენ. ტექსტშიაც და დიალოგებშიაც უყვარს ავტორის ნართაული, გადატანითი მნიშვნელობის.

ღვეან გოთუა, „ნისლი ნახატარის ტყეში“, საბჭოთა საქართველო, 1963 წ.

სიტყვებისა თუ მთელი ფრაზების ხმარება („კაკლის პაპა“ „მაყვლიანი ქობი“ და სხვ.).

ვინ მოქმედობს ნახატარის მიღამებში?! არაფერს ვამბობთ თვით მოხატარებზე — ახალგაზრდა შეოცნებე მწერალზე, რომელიც თვითონვე ამბობს: „წვინიკი ცრემლის დაბადება შეეაშინე და ვეებერთელა მიზნები კი ვერა!“

ყველაზე რელიეფურად მოხუცი ბარათას სახეა გამოკვეთილი. კაცისა, რომელსაც ლეიქლი შეილივით უყვარს ნახატარის ტყე-სუბტატი ბუნებისაა ბარათა, ოდნავ ბუზღუნა და ენაეკლიანი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მას მწერლობაზედაც კი აქვს საკეთარი შეზღუდულობანი, საკეთარი ლიტერატურული კრედიო: „ეგვიც შენ, მწერალი! სწორედ ეს გულსაქსობა გაკლიათ!... გული ან დიდი დაბდი, ან დიდი სიხარულით უნდა იყოს აღსავსე, რომ სხვასაც სასიკეთოდ აუჩქროლოს გული და სული!“... „სთხზავ და შენი ამბისათვის ცხოვრების მისადაგება გწადს. ნამდვილად კი სწორედ უკუღმა ზდება — ყოველი ზვეთათვის ბედი და ამბავი ცხოვრების კალაპოტში ითხზება და ესადაგება თავიდანვე. შენს კალამს ერთი ფერი და კვალი გააჩნია, ცხოვრების თითო ამბავში კი ათასი ცისარტყელა და გველჭურელი თავს იყრის, ერთთად იკონება...“ ბარათას სახე მწერლის შიერ სიყვარულითა და სითბოთი ჩამოქრწილი. ბარათას ერთადერთი იმედია — მაყვლა; შთის ლალი ქალიშვილი, გულუბრყვილოდ ანიკი და კისკისა. უიღბლო სიყვარულით შეპყრობილი, შემდეგ ცხოვრების მწარე მორცხვი ანაზღად ჩაბრუნული, ბოლოს, რომ „არაგვხე... წყალზე წაივია და აღარ მოსულა მერე...“ ტუხა მახათელი, ეს ნამდვილი შველ-კაცია, სინდის-ნამუსისაგან გარეცხილი, რომელიც არავისა და არაფერს არ ერიდება თავისი ბოროტი ზრახვების მისაღწევად. მათი ხასიათები დამაყრებელია და ლოგიკური, ფსიქოლოგიურად გამართლებული და ცხოვრების წიაღიდან წამოსული.

...და აი, მრავალი წლის შემდეგ ცხოვრების ქარაში გამოტარებული, უკვე გაპლარაგებული მწერალი ისევ მოინახულებს ნახატარს. აქ ახლა ნამდვილად შემოეყრებიან მისი კმაყოფილის დროინდელი ოცნების ვიწროები ნუკრია და გავა. მაყვლა აღარ არის, შველ-კაცა შორეთშია გადაკარგული. მხოლოდ ბებერი ბარათა დაარაქობს კაკლს ნერგებს, რომლებიც „მაღუზე მაღე და იზრდებიან, დავაყვადებიან“...

ამ მოთხრობაში პეიზაჟებისა თუ ყოფილი სურათების აღწერისას ხშირია მოხდენილი, ხატოვანი შედარებები და პოეტური სახეები: საილო-სტრაციოდ რამდენიმე მაგალითი: „წენწონაშა-ვებული, ზოგიც გაქროლილი-ბუდიდან გადმოვარდნილ უბემბულო ბარტყვივით დაგორდა გზაზე“; „მერამ კლდემ და არაგვა ნემსის ყუნწში გაძერინეს გზა“; „ტალღები გახედებულ, თავქედმაქინდრულ ზაქებივით ოკრობოკროდ მოგვლაღდენ, მხოლოდ შეჭრილ ხერხეგლებს გვიწენდენ“; „სალამის ბურს ნისლმა ჩამოსწრო, შშიმე ღრუბელიც ხეობას შავ ქოლგასავით გადმოფარება, ელვამ წიხლი ჩაქრა, ღვართქავი ჩამოანარცხა“ და სხვ. ლ. გოთუამ შესანიშნავი პოეტური სურათი გადაგვიშალა თვალწინ: „გზა კი შხითა და შრომით იყო აღსავსე. შთის ძირბებში ტრაქტორები წნაღდენ, გადაბრუნებული მიწა-ბეღტი შავ ტალღად დგებოდა და წაებოდა. ერთგან კოლმეურენნი ჯარად შესეოდნენ არაგვის ჯებირს, ამაგრებდნენ. იქვე, გზის ჩასწვრივ კოლმეურნეობის დიდ ბოსელს აშენებდნენ, ქვიშასა და რიყის ქვას ეზიდებოდნენ. სოფლის ახლოს ტელეფონის ხაზი გაჰყავდათ, ბრტყელქამრიანი კაცი, ახალი ღროის მესვეტრისავით, ბოშზე შესულიყო და მთელ ქვეყანას მავთულში გამძვრალ სიტყვას აგონებდა. ბულაღოზერის მკერდშიშველა მძლოლი თავის მანქანის ვეება ყბით გზისპირა ბორცვს ღრდნიდა და ფოლადის საულავაშზე გადატარებით გზას აფართოვებდა...“

„ნისლი ნახატარის ტყეში“ ამტკიცებს, რომ ლ. გოთუა ისეთივე ძალით სწერს თანამედროვეობაზე, როგორც წარსულზე. მაგრამ საყვედური მაინც უნდა მოეხსენოთ ამ მოთხრობის ავტორს. ჯერ ერთი, ამ მოთხრობის ყველა პერსონაჟი: გლეხი, მწერალი, მძლოლი, სატყვის უფროსი, გამომძიებელი, გამჟღავნელი თითქმის ერთნაირი ენით ლაპარაკობს... ხომ არსებობს რაღაც პროფესიული ენობრივი ნიუანსები დიალოგებში?! მეორეც, ნამდვილად არ ეკადრებოდა ავტორს ასეთი ფრაზა: „თქვენ იცით, რომ ტექნიკური ჩამორჩენილობის გამოსწორებას, ქონებრივ ეთილდებობის ამაღლებას, რამოდენიმე შრომაბარაქიანი წელი ავჯარებს, მაგრამ გაბზარული, ან ახლადდანერგული ზენობის სათანადო დამკვიდრებას თაობების შეგნებული ბრძოლა სჭირდება?!“ შესანიშნავი აზრია, სამწუხაროდ, მეტად მშრალად და გაზეთურად გაღმოცემული...

წიგნის პირველი მოთხრობიდან პირდაპირ ვადავლივართ ბოლო მოთხრობაზე, უფრო სწორად ლიტერატურულ სცენარზე — „ფრესკის მეორე დაბადება“, ვინაიდან ისიც თანამედროვეობის საკრიზოროტო საკითხს ეხება. აქაც არ ლაღატობს ავტორი თავის ჩვეულებას, აქაც მორყეული წარსულის აჩრდილი ვადამოდგარა უინციისის სახით. აქაც ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, აქაც იმარჯვებს სიმართლე და ადამიანობა. მორალი ნათელია: ახლის შენებასთან ერთად თვალისჩინივით ვავუფრთხილდეთ წარსულის დიდებულ ძეგლებს.

მატერიალი ჯონდო ხომლედი, „მარშარტოს ჭალი“ ცისო, „ჯიქურ-გატანი“ ელიბო ბარბაქაძე... აი, სამეფლი, რომელთა ვარშეშოც ინასკვება ამ ნაწარმოების მოქმედება. ელიბო პირწაყვარდნილი კარიერისტიკა, ვინებაშეზღუდული საქმოსანი. მისთვის არავითარი წმინდა არ არსებობს, ოღონდ თავის მიზანს მიადწიოს. მას უყვარს ცისო, მაგრამ ეს სიყვარულიც თავისებურად, ანგარიშაინად ესმის. ბარბაქაძის თავნებობს წინ აღუდგებიან ჯონდო, თვით ცისო და საზღუდო-დარაჟი, რომლის სახეც მეტად კოლორიტულადაა დახატული და ყველანი, ყველანი, ვინც აშენებს ახალ ცხოვრებას, მაგრამ აფასებს წახულის ღირსშესანიშნობებს. „ფრესკის მეორე დაბადება“ პასუხობს ლიტერატურული სცენარის მოთხოვნებს. აქ არის მშაფრი სიუჟეტი, დინამიური მოქმედება, ხასიათთა შეჯახება და რაც ყველაზე უფრო აქლიათ ჩვენს ფილმებს, — სხარტი და ჩამტევი დიალოგები. არის რამდენიმე კინემატოგრაფიული თვლით დანახული დეტალი (საზღუდო კალთაში ჩაყრილი შინდი, დაბორკილი მამლის ბორილი ოთახში, ფრესკისა და ცისოს ვაგიეება, კალათიდან დაბნეული შინდი და სხვა). არის კომიკური სიტუაციებიც.

თანამედროვეობის თემასვე შეიძლება მიეკუთვნოს ვრცელი მოთხრობა — ზღაპარი „ცხოვრება იწყება წყალიდობით“. საერთოდ, ძნელია ამ ნაწარმოებზე ლაპარაკი. ძნელია, რადგანაც მოკლე ვერ იტყვი. იქ რთული საკითხები წამოჭრილი და აღეგორიულ ფორმებში ვადმოცემული. სადავოც შეიძლება იყოს ზოგი რამ... ერთი კი არის, რომ ეს ზღაპარი — მოთხრობაც დიდი სიკეთის საქმეს ემსახურება. აქ ვამოყვანილ ბუხა და წეროს, ხარირგმსა და დავს, არწივსა და მეღს, წაესა და კოდალას, ყველა ფრინველსა და ცხოველს თავისი ვარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული, თუ შეიძლება ითქვას, — ვაანხით ვარკვეული ხასიათი

და აღეგორიულად ვამოხატავენ საზოგადოებას. არაფერს ვამბობთ ბაყურსა და ნანაზე. ჩვენი სხროით, ისინი ამ შემთხვევაში მხაროდ დახმარებენ პერსონაჟები არიან ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს ცხოვრებაზე ავებულ მოთხრობა-ზღაპარში.

...ჩემს თაობას ახსოვს ომის დროს „მნათობში“ დაბეჭდილი „უინციისის ანგელოზი“ და „ქრწანისის სედა“, „უჯო ქარაყანი“ და „ხახითის ზარი“. ამ ნაწარმოებთა ვმარები, ზვენი ისტორიული პიროვნებები: ვახტანგ ვორგასალი და მეფე ერეკლე, მარიამ დედოფალი და ვაორგი სააკაძე შვერალმა დავევისბა ხორცშესხმულად, თითქოს თვალწინ დავეყენა, ზელშესახებე ვახადა ჩვენთვის. ივრძნობა დიდი ტაქტი მათი ხასიათის ვადმოცემისას. არანაკლები მხატვრული ოსტატობითაა ვამოკვეთილი ქართველ ვლებთა სახეები. ავტორის უდიდესი სიყვარული და პატრივისცემა ივრძნობა მათდამი. ვაპოლისელი და ბაქურ თაბორელი, შავლეგო ვერელი და ქოჭობერი, ლომთათა ბუნჯუური და იოვანე უტყვი, ვორგასალი და ბეკანი, ვამარჯაისძე და საბა მღვდელი, ეფრემ ბერი და შოშიტა მორჩილი... აი, ვის მხრებზე იდგა მაშინდელი საქართველო. აი, ვინ იყო მისი უმტკიცესი დედაბი, იი, ვინ ვადარჩინა საქართველო დაღუბვას. ამ ნაწარმოებებშიაც ნათლად ივრძნობა ბელეტრისტიკის პოეტური ზედვა: „უფრო შორს — აქლემისგერი ქედები, ჩარბილული ნოყიერი ხეობანი და ველები, თითქოს ლერასაბის ქულაქაზე დილილოებად ამოქარგული შორეული სოფლები“; „იძულებულნი ვახდენენ, ყველა ძალი ვალავნიდან ვადაყვართ. ვამარვლდა ლეში, ლეშის მემელნიც. ახლა თითქოს ყორნის ფრთებზე იდგა ციხე“; „ისეე იელვა, ციხის შორიასლო, ზეცის დაფაზე ვეება კამათელივით ვავორდა ქუხილი“; „ხანძის ზარს დაკლული ხარივით ვანზე ეკიდა ენა“...

„წიწამურის მიწაში“ ილიას თვალწინ თითქოს ყველა მისი ნაწარმოების ვმარება ჩაქროლებენ. თათქარიძე, ოთარაანთ ქვრივი, კაკო უჩალი, ვეთნისდედა... მშვენიერი თბილისიდან წიწამურამდე ვზის შემოვარენის აღწერა. მავალითად, „შორეულ ბაღებში და სოფლის პირებში ქარგაქრული აღვის ხეები ვაანხლებული პატარაღვივით ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ჩიქილებში და თმებში სწვდებოდნენ... და ვერც სწვდებოდნენ“.

„უფოთლო ხის ჩრდილი“ კი პატარა, მაგრამ ბევრისმეტყველი მოგონებაა აკაკის დაკრძალვისა მთაწმინდაზე, პატარა ბავშვის თვლით მამის დანახული და დღეს გონებით განწვერტილი. ბუნებრივია და დამაწერებელი ბავშვური განცდები: „ვეღარ გამიგია — ეს კაცის სიკვდილი თუ არის — რაღას ჰქვია კაცის გამარჯვება?“, „აკაკის წინ ერთადერთი, შავ-მწვანე, ორსიტყვიანი გვირგვინი მოუძლოდა: — „აკაკის — საჭაროველი“... — აკაკის გვარი საქართველო უფილა!“...

ლ. გოთუას ელაგებიან ენის საკითხებში და ეს ძირითადად შეეხება ახალი კომპოზიტების შექმნის ცდას. ის მართლაც უხედავ ხმარობს თავისსავე შექმნილ სიტყვებს და ცდილობს მათ დაეკვიდრებინას. აღსანიშნავია, რომ მწერალი თავის ადრეულ ნაწარმოებებში ძალიან იშვიათად ხმარობდა თავისებულ კომპოზიტებს, ეს „სენი“ ახლა უფრო მომძლავრდა. რა თქმა უნდა, ახალი კომპოზიტების შექმნა კარგი საქმეა, მაგრამ

ისინი არ უნდა ტოვებდნენ ზედმეტად ხელოვნურობისა და თვითმიზნურობის შიშს. უნდა იქნას ნააღმრევ შემთხვევაში ხალხი არ შიილებს და არც ლიტერატურულ ენაში დამკვიდრდება. ლ. გოთუას მოთხრობების წიგნში არის ისეთი კომპოზიტები, რომლებზეც ზვენი ახრით, ზელოვნურია ნაძალადევი და თვითმიზნური (მზავარაძისილი, მწარფარული, რთულშემოქმედური, პერადეღური, ფრენბორბალი, შვავამქვირიალე, აღამიანი-ხმა, ზუმბალში, აღამიანი-ქართველები, ეთილინაში, თვორდაბალი, კრელსიზმარა, ირანი-მოკიქული, აღმამრუდე, ბერ-ხარები და სხვ.). ვერ გავამართლებთ ავტორს, როცა იგი ხმარობს: ვერადფარული, ვერადწერილი, ვერამიწვეული, ვერადამთავრებელი (განა არ სჯობს დაუფარავი, დაუწერელი, მიუღწეველი, დაუმთავრებელი...).

ალ. სანაღირამე

პოეტის გული

პოეტის ახალი ლექსების ყოველი წიგნი დიდი ხნის უნახავ მეგობარს ჰგავს. მოგვეჩვენება, ფიქრობ მასზე, რა არის მის ცხოვრებაში ახალი. გაინტერესებს ყველაფერი ეს და ელოდება მისთან შეხვედრას. შეხვედები და ხედავ: დროებითი განშორების შემდეგ საყვარელი აღამიანის ცხოვრებაში რაღაც ცვლილება მომხდარა. ზოგჯერ გავახარებს ეს ცვლილებები, ხან კი დაგალონებს.

ამგვარია პოეტის ახალი ლექსების ყოველი კრებულის ბედი. გადაშლი, გულდასმით გადაიკითხე და ეძებ იმ კარგსა და აეს, რაც წინანდელ კრებულებთან შედარებით ახასიათებს პოეტის ახალ ლექსებს.

ამ განწყობილებით შევხვდი პოეტ ხეტა ბერულავას ახალი ლექსების კრებულს „ყოველ გაზაფხულს“. წიგნი იხსნება ლექსით, რომლის სათაური ავტორს მთელი კრებულისათვის დაუბრძვივია.

ყოველ გაზაფხულს იღვიძებს ზამთარში მიძინებული ბუნება. აგალობდებიან ჩიტები, ათრთოლდებიან „ნაცნობი მწვანე ფერები“, აფეთქდებიან იები და ვარდები, აჩქეფდებიან მღინარები. გარეგნულად თითქოს შარშანდელს ჰგავს წიგნიანდელი გაზაფხული.


მაგრამ პოეტისათვის ყოველი გაზაფხულის

ხეტა ბერულავა, „ყოველ გაზაფხულს“, ნაკადული, 1962.

შინაგანი ღელვა, სულიერი თრთოლვა სხვანაირია, ახალია, რადგან მისთვის „უცნობი ხმები“ ჩაესმის მას.

შარშანდელს არ ჰგავს ამ ბრილია აპრილის სუნთქვა, არ იმეორებს, რაც ოდესმე თვითონვე უთქვამს, ცვარი რა არის, სხვანაირად ელავს დიდილით, განმეორება ეჭვარება. როგორც სიყვდილი. არც ერთი ბგერა გავიწილი და შარშანდელის მანც სადა აქვს ამ ბედნიერს ძალა აშდენი! კვირტებისა და იმედების დგას ნიაღვარი, და ყველაფერი, და ყოველი არის სხვაგვარი.

ცხოვრებას აქვს ყოველდღიური ერთფეროვანი და მარადიული კანონები, მაგრამ მისი შინაგანი პათოსი აღამიანისაგან მუდამ მოითხოვს სხვა ფერს, სხვა ხმას, ახალსა და უფრო მშვენიერს. შვის ამოსვლა და ჩასვლა ყოველდღიურად მეორდება, მაგრამ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ყოველდღიურად ხდება ახალი და ახალი ძვრები აღამიანის სულში. ზღამიანი ყოველდღიურად ეძებს ახალ გზებს უკეთესი დღისაკენ. აღამიანის ეს დაუცხრტველი ღრთოლვა უკეთესობისაკენ არის ცხოვრების მთავარი ენერჯია წინასწარსწრაფვისათვის, მშვენიერების მწვერვალების დაპყრობისათვის.



ყოველ გაზაფხულს მე ჩიტებით ამიტომ
ვხვდები,
ყოველ გაზაფხულს შეძახიან უცნობი ხმები!

პოეზიაც ხომ ამ „უცნობი ხმების“ დაუცხრომელი ძიებაა.

ხეტა ბერულავა იმ თაობის წარმომადგენელია, რომლის მხრებზე ყმაწვილობაში გადააქტუხა სამამულო ომის მიქინვარე ქარიშხალმა. ომის პირველივე დღიდან ამ თაობის გულმა მრავალი მღელვარება განიცადა. კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „იმწინე გული!“ პოეტი მიმართავს გულს: „რემს ბოქობაში მეტისმეტი ტანჯვა გარგუნე, სიყმაწვილიდან გეომები და განადგურება“. ბოხოქარი ცხოვრების წინაშე შემხარბიტი მოქალაქე გულგრილი ვერ იქნება. ქვეყნისა და ხალხის აღფრთოვანება თუ მწუხარება ამ ქვეყნისა და ხალხის ჰუმანიტატი შეიღლის გულს აღავსებს. „რამდენჯერ დარდასაც შენი თავი გავათელინეო“. მიმართავს პოეტი გულს, მაგრამ

არა ყოფილა ჩემთვის ფიქრი — დიდი,
წერილმანი,
და ყოველგვარი თავსატეხი შენთვის
მოქმონდა,
ეს კიდევ რაა, ჯერ სადა ხარ! — კიდევ წინ
არა

ურიცხვი ბრძოლა, მღელვარება და
ბოხოქრობა.

„წმინდა, მაღალი ვალისადმი“ სამსახურის გრძნობა აძლევს მას რეალის სიმტიციესა და გამძლეობას.

ამ გულისცემით არის გამოთარა სარეცენზიო კრებულის ყველა ლექსი: სიმშობლოსადმი თავდადების და მაღალი ადამიანური იდელების მოტივებით არის აღზნებული კრებულის ლირიული გმირის გული.

არცერთი დროის და არცერთი ქვეყნის ლიტერატურას თავისი ასპარეზი ასე ფართო მასშტაბით არ დაუთმია უბრალო მშრომელი ადამიანისათვის ისე, როგორც სოციალისტური რეალიზმით აღჭურვილმა „საბჭოთა ლიტერატურამ“ დაუთმო. ამ უბრალო მშრომელმა ადამიანმა შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, მრავალჯერ ახსნა მამული უცხოელი დამპყრობლებისაგან და ახლა აღაღმა ფრთებმა კოსმოსშიც ასტრონავტებს იგა.

ხეტა ბერულავას ლექსების ლირიული გმირი ამ უბრალო მშრომელი ადამიანების წიაღიდან არის გამოხული:

ჩვენ გასაჭირი ენახეთ ურიცხვი,
ბევრი სიძნელე, ბევრი წამება,
ადამიანთა სიყვარულისთვის
თავი გასწირავს ჩვენმა მამებმა.

რთულია ცხოვრების გზა. მრავალი მოვლოდნელობა ელოდება ადამიანს ამ გზაზე. ზოგჯერ ის ბურუსში ვაეხვევა, გზა აებნევა, მაშინ სჭირდება მას სხვა ადამიანის ხელი, ჩაკვიდოს და გამოიყვანოს ამ ბურუსიდან.

კაცო ხანდახან ბურუსში მიდის,
როგორც იტყვიან, ხელის ფათურით,
სადა ხარ მაშინ, რომ ვასტრა ბინდი,
და წინ წარუძღვე, ვით სანათური!

კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის „თეთრი ლექსის“ ყოველი თავი ამ სტრიქონით იწყება: „ცხოვრობს ამ ქვეყნად ადამიანი.“... ეს ლექსი ერთგვარი ჰაშინია კეთილშობილ და ღვაწლმოსილ ადამიანთა შესახებ.


...ცხოვრობს ამ ქვეყნად ადამიანი.
როგორც იტყვიან, სიცოცხლით საცხე,
თავდადებული შეგობრისათვის,
შეგობრისათვის დაბადებული.

არცა ხმაური აღწევებულთა,
არცა დიდების შორი ძაბილი
მას არ აღუღვებს.
და იწეის მშვიდად, როგორც სანთელი...

პოეტის ცხოვრება ამგვარი ადამიანების ცხოვრებასთან არის გავრთხეულებული და როცა ზოგი მათგანი უღროოდ მიდის ამ ქვეყნიდან, მათ თან მიჰყვებათ მისი ცხოვრების რაღაც ნაწილიც. მაგრამ თვით მათი მღელვარე ცხოვრების უდიდესი ნაწილი კვლავ ამ ქვეყნად რჩება, რადგან მათი აქ „ყოფნაც, სუნთქვაც, სიცოცხლაც ისე გავირდება, ისე გეწყურია, როგორც პაერი, წყალი, ღიმილი, როგორც დიდება ამ წუთისოფლის“.

ადამიანის ზნეობრივი სისხტაკოსა და სიწმინდის, შეგობრობისა და ერთმანეთისადმი თავდადების, შტრობისა და არაკაცობის გმობის მოტივებია ხეტა ბერულავას ახალი ლექსების კრებულის სული და გული. ლექსები მამულზე თუ წინაპრებზე, მშობლიურ სოფელზე თუ კოსმონავტებზე, ვაჟაზე თუ რუს პოეტებზე, მეტამებზე თუ შეილზე, გამოთარია კეთილშობილი გრძნობებით.

ხეტა ბერულავას პოეტური „მე“ თავისებურია. პოეტი აქრჩარებულად გვიმედავენებს სასოვადობრივ კლერადობამდე აყვანილ ლირიულ



გრძნობებს და დინჯად შეეყვართ თავისი ხილ-
ვების სამყაროში. უცარა აფეთქება, დაუფიქ-
რებლად გრძნობას აყოლა არ შეუძლია პოეტს.
უწინარეს ყოვლისა გონების თვალს შეაღლებს
საგნს და ამ საგნის არსის ამოხსნისას თანდათან
მოუქარბდება ზოლზე შინაგანი ლირიკული სი-
თბო და წღღღარება. პოეტურ ჩანაფიქრს ზუს-
ტსა და ზომიერ კომპოზიციურ ჩარჩოში მოაქ-
ცევს და ამიტომაც ზედმეტი შინაგანი მღვლეა-
რება, უადგილო პოეტურა ფრაზა თუ მეტა-
ფორა მის ლექსებში არ იგრძნობა. მხოლოდ
ლექსისათვის აუცილებელ სათქმელს იტყვის და
ამ სათქმელისათვის ის არ ეტანება დამაბულ
სტრიქონს. შეიძლება ამის გამო ოდნავ პროზა-
ულად მოგვეჩვენოს სტრიქონის ამგვარი დასაწ-
ყისი: „თუმცა რას ვამბობ...“

თუმცა რას ვამბობ... მებაზან ჯადოსნურ
ენით
ეს ლაქვარდები, ეს ხეები, მთები, ჩქერები.

ამ სტრიქონის დასაწყისში თხრობითმა ინტონა-
ციამ ოდნავადაც ვერ შეაბუსტა პოეტურად სა-

თქმელი აზრი. ერთ ადგილს ახელი რითმაც
გაზედგება: „რისათვის — არაფრისათვის“.
პოეტს, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უნდა
ლო მოეხება უკეთესი რითმა. (საამისოდ მას სა-
კმაო უნარი აქვს), მაგრამ ჩვენ ამ თავისთავად
უფერულ რითმას განსაკუთრებულ ყურადღებას
არ ვაქცევთ, იმიტომ რომ, ის დამახასიათებე-
ლი არ არის საერთოდ კრებულისათვის.

ზეტა ბერულავა მისი ცხოვრების ყოველ გა-
ზაფხულზე მოუდენებელი ენერგიით ებრძვის
ქართულ პოეტურ სიტყვას. მისი ახალი ლექსე-
ბის ეს კრებული ერთხელ კიდევ გვახარებს
იმით, რომ ყოველი გაზაფხული მის პოეტურ
შემოქმედებაში მოიტანს ახალსა და ახალ „უც-
ნობ ზმებს“ და მომავალშიც იგი უფრო მეტი
ენითა და მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგ-
ნებით დაეუფლება ჩვენი ცხოვრების, თანამე-
დროვე ადამიანის სულის უცნობ ზმებსა და
უცნობ ფერებს.

ლადო სულაბერიძე

ახალი მონოგრაფია ძველი ქართული ენის სინ ტაქსის პირითა და საკითხებზე

ძველი ქართული ენის სინტაქსის მეტად
რთულსა და საინტერესო საკითხებს არაერთი
ქართველი და უცხოელი მეცნიერის ყურადღე-
ბა მიუბუყრია. გამოქვეყნდა ბევრი ლირსშესანიშ-
ნაეი ნაშრომი და გადაწყდა მთელი რიგი პრობ-
ლემური საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებით
ფასეულია ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ე. თო-
ფურაძისა და სხვათა გამოკვლევები. რომლებ-
შიც ძველი ქართული ენის ძეგლების ღრმა
მეცნიერული ანალიზის შედეგად გამოვლინე-
ბულია და ახსნილი ბევრი სინტაქსური თავისე-
ბურება.

ძველი ქართული ენის სინტაქსის ძირითად
საკითხებს მიეძღვნა ანტონ კიზირიას მონოგ-
რაფიული გამოკვლევა „მარტივი წინადადების
შედგენილობა ძველ ქართულში“ (რედ. ივ. გო-
გინეიშვილი). მასში გაანალიზებულია მარტივი
წინადადების სახეები და შედგენილობა ძველი
ქართული სამწერლო ენის ძეგლების (გამოქ-

ვეყნებულისა და გამოუქვეყნებლის) მიხედვით,
დამოწმებულია XIX საუკუნის ქართველი კლასი-
ციკლების თხზულებებიც. მოშველიებულია
ქართული დიალექტებისა სხვა ქართველური
და მთის კავკასიური ენების მონაცემებიც და
კრიტიკულადაა გამოყენებული საკითხის შესა-
ხებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

შესავალ ნაწილში მოცემულია ქართულ
გრამატიკულ ლიტერატურაში არსებული ცნო-
ბები შესიტყვებისა და წინადადების შედგენი-
ლობის შესახებ.

პირველ თავში განხილულია შესიტყვების
ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხე-
ბი სხვადასხვა საენათმეცნიერო მიმდინარეობის
წარმომადგენელთა შრომების მიხედვით.

მეორე თავი ეხება მარტივი წინადადების
აგებულებას. იქ განხილულია საენათმეცნიერო
ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები წინა-
დადების განსაზღვრისა და წერეთა კლასიფიკა-
ციის შესახებ. ავტორი იზიარებს არნ. ჩიქობა-
ვას აზრს, რომლის სისწორეც ეჭვს არ იწვევს.
მესამე თავში გარჩეულია მარტივი წინადად-
ების ტიპები მოდალობისა (თხრობითი, კითხვი-

ანტონ კიზირია, „მარტივი წინადადების შედ-
გენილობა ძველ ქართულში“, საქ. სს. მეცნიე-
რებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

თი, ბრძანებითი, ემოციური) და შედგენილობის (სრული, უსრული, გავრცობილი, გაუვრცობელი) მიხედვით.

მეთოთხე თავი აშუქებს ერთშემადგენლიან წინადადებებსა და დაკავშირებულ საკითხებს.

წიგნის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მეხუთე და მეექვსე თავები. პირველში განხილულია წინადადების მთავარი წევრები, ხოლო მეორეში — მეორეხარისხოვანი წევრები.

მეხუთე თავში ვრცელადაა დახასიათებული ქვედებარე, პირმოპირი (პირდაპირი და ირიბი) დამატება და შემასმენელი როგორც წინადადების მთავარი წევრები. განხილულია ქვედებარე ყოველშარავ; გაანალიზებულია ქვედებარე-შემასმენელის ურთიერთობა მრავლობით რიცხვში; ნაჩვენებია პირდაპირი და ირიბი დამატებათა სინტაქსური ძალა; გარჩეულია შემასმენლის სახეები და სხვა.

წინადადების ინდეფინიტური (უბრუნვისნიშნო) კონსტრუქციასთან დაკავშირებით ავტორი იზიარებს საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომ ამ უძველეს კონსტრუქციას თვისი ძალა ნაწილობრივ შეუნარჩუნებია ძველ ქართულშიც. იგი დასტურდება უმთავრესად საკეთარ არსებით სახელებთან, მაგრამ აქაც განიკლვის რუყვას.

ძველ ქართულში არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი შავალითი, სადაც წინადადების წევრი მოკტეულია ზმნის შემადგენლობაში („გან-ვიმ-მე-ადის ჰერპელი მიერ ტაძრით“). ავტორი სწორად შენიშნავს, რომ „აქ ნათლად ჩანს სიტყვათა წყობა უძველესი ქართულის იმ პერიოდისა, როდესაც ზმნისწინა დამოუკიდებელი სიტყვა იყო“.

უქანასკელი (მეექვსე) თავი, რომელიც მოცულობით ყველაზე დიდია, ეძღვნება წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს (პირმოუპართავ დამატებას, განსახლებებასა და გარემოებას). გარკვეულია პირმოუპართავი დამატების ბრუნვები და კავშირი შემასმენელთან, მასდართან, მიმღობასთან. ზედსართავ სახელთან და ხარისხის ფორმებთან, ვრცელადაა განხილული განსახლებება. გარჩეულია მისი ფუნქცია, ფორმა, ბრუნვა, სახლერდთან დამოკიდებულება, მსახლერელი უსახლერელის წყობა (პრეპოზიციული და პოსტპოპოციური), რიცხვითი შეთანხმების საკითხი, მრავალგანსახლებებიანი კომპლექსის სინტაქსური თავისებურებანი, ბრუნვის ნიშანთა კონცენტრაცია. აღნიშნულია, რომ „ატრიბუტული და მართული განსახლებებები თითო აფიქსი ირთავენ, მართულ-შეთანხმებულის კი ერთს, ორს ან მეტს“. კარგადაა გამოქვეყნებული აგრეთვე გარემოებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაჩვენებია გარემოებათა ფუნქციები, გამოხატვის საშუალებანი და სხვ.

პირმოუპართავი დამატების ყოველშარავი ანალიზის შემდეგ ავტორი დაასკვნის, რომ პირმოუპართავი დამატება, უთანდებლოდ იქნება

იგი თუ თანდებლიანად, მართულია ბრუნვებში და ახლავს შემასმენელს, გვაქვს მასდართავი, მიმღობასთანაც, ზედსართავ სიტყვითაც, და უფროობითი ხარისხის ფორმისთანაც (გვ. 215).

ენობილია, რომ ძველ ქართულში ადგილის გარემოებად გამოყენებული იყო უთანდებლო სახელებიც თანდებლიანთა პარალელურად. სარტყენილი წიგნის ავტორი სწორად შენიშნავს, რომ უთანდებლო ფორმები პირველად აქ წარმოიშობოდა, „სადაც ადგილის გარემოების გამოხატველი სიტყვა ლექსიურად ადგილს არ გამოხატავს“. მაგ: „იგი წინაშე მათსა დეა ხესა მას ქვეშე“ (გვ. 287).

ადგილის გარემოების გამოხატვის მრავალფეროვან საშუალებათა განხილვის შემდეგ ავტორი სვამს რეკ საკითხებს და ასკვნის, რომ „ისტორიულად ადგილის გარემოების ფორმები არ უნდა ყოფილიყო ასე მრავალფეროვანი“ (გვ. 296).

დროის გარემოების გამოხატავად ძველ ქართულში პარალელურად გვხვდება „დღით“ („დღით“) და „დღისა“. ამ ფორმების კონტრინაქციით, როგორც ამას კარგად შენიშნავს ავტორი, მივიღეთ „დღისით“. ეს უქანასკელი ძველ ძველებში არ დასტურდება (გვ. 306). გვაქვს „დღისითგან“, მაგრამ იგი სხვა წარმოებისაა.

გარემოების აღსანიშნავ მრავალრიცხოვან საშუალებათა განხილვასთან ერთად ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ „მალღო“ სიტყვაში („წინაშე კაცთა მალღო არს“) შემონახულია იგი სუფიქსი, რომელიც უძველეს ქართულში ბრუნვის ნიშანი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც — ავ (ფიცხლავ) და — ივ (მარცხნივ). — ო ვ-ს შეიცავს სიტყვაწარმოების ოვან სუფიქსი, რომელიც ქონებას გამოხატავს — ოსან სუფიქსის მსგავსად (უვავლოვანი, ჭეღოსანი). ო ვ-ან და ოსან სუფიქსების საერთო კომპონენტი — ან ზანერის — ონ (იზიარონ — კბილიანი) ვარიანტთანა დაკავშირებული ავტორის მიერ (გვ. 312-313) და სხვ.

ავტორის ძირითადი დებულებები და დასკვნები ექვს ან იშვებენ, უდებოდ სწორია და განსახატებელი. მაგრამ წიგნში ამასთან ერთად გვხვდება საეჭვო და სადავო ადგილებიც.

281-ე გვერდზე ავტორს დასახლებული აქვს ისეთი შავალითები, რომლებშიც ორ-ორი აფიქსი აქვთ უქანასკელ მსახლერელებს (შავალითად, ეს არს ძველი საფლავისა რაქელის-ი) თეორიულად მოსალოდნელი სამი ფორმანტის ნაცვლად (მოსალოდნელი იყო თეორიულად: ეს არს ძველი საფლავისა რაქელის-ის-ის-ი), მაგრამ უქანასკელი მსახლერელი ბრუნვაში მიაჩნ შეთანხმებულია სახლერდთან (ისიც იმ ბრუნვაშია, რომელშიც სახლერდულია), თუმცა ორმავე ბრუნვა (ნათესაობითისა) გამოხატულია ერთი აფიქსით. ამავე გვერდზე ქვე-

მით ავტორს ნათქვამი აქვს, რომ „ამ შემთხვევაში დარღვეულია ბრუნვაში შეთანხმება“. ჩვენ აზრით, ასეთ მაგალითებში ბრუნვაში შეთანხმება კი არაა დარღვეული, არამედ თავიდან აცილებულია ბრუნვის ნიშნის განმეორება და ორმაგი ბრუნვა გადმოცემულია ერთი ნიშნით.

ანალოგიური ვითარება გვაქვს 269-ე გვერდზე, სადაც ნათესაობით ბრუნვაში შეთანხმების დარღვევის ნიშნულ დასახელებულია ასეთი მაგალითი: „მოსრულ იყენეს ყოვლისაგან და ბნებისაგალიღაისა“. აქ თეორიულად მოსალოდნელი იყო: „მოსრულ იყენეს ყოვლისაგან და ბნებისაგალიღაისა“. მაგრამ ენამ ამ შემთხვევაში თავი აარიდა ერთნაირი ბრუნვის ნიშნის განმეორებას და ორმაგი ნათესაობით ბრუნვა გადმოსცა ერთი-ისა სუფიქსით. სახელს ბრუნვა ამით არ შეცვლილა და შეთანხმება არ დარღვეულა.

დასახელებულ მაგალითებში შეთანხმების დარღვევის შემთხვევები გვაქვს არა საზღვრულსა და უანასკნელ მსაზღვრელს შორის, არამედ საზღვრულსა და სხვა მსაზღვრელებს შორის, როცა მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვის ფორმითა წარმოდგენილი, ხოლო საზღვრული სხვა ბრუნვაშია (ავილთ მაგალითი დასახელებული წინადადებიდან: „ქეგლი სიფლა-ისა“).

ქართულში, როცა პირველი პირია ქვემდებარედ (სუბიექტად) და მეორე პირი დამატებად (ობიექტად), ან მეორე პირია ქვემდებარედ (სუბიექტად) და პირველი პირი დამატებად (ობიექტად), შემასმენელში (ზმნაში) გამოხატულია მხოლოდ დამატებას (ობიექტის) ნიშანი და უნიშნოდა ქვემდებარე (სუბიექტი) წარმოდგენილი („მე გ-იბრძანებ შენ“. „შენ-მ-იბრძანებ მე“). საეჭვო ჩანს ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ ასეთ შემთხვევაში არც უნდა ყოფილიყო ისტორიულად ქვემდებარის ნიშანი (ვ. 123). საეარაუდებელია, რომ უძველეს ქართულში იქნებოდა სუბიექტის (ქვემდებარის) ნიშანიც („მე* გ-იბრძანებ შენ, შენ* ც-იბრძანებ მე“).

წიგნი დაწერილია დახვეწილი ენით და იკითხება კარგად. მაგრამ წიგნში წინააღმდეგობასაც ვაწყდებით, მაგალითად:

1. 57-ე გვერდზე, სადაც წერია, რომ „მართვაში ურთიერთობის უძველესი ფორმა შემონახული. ხოლო შეთანხმება და მართვა ჩამოყალიბდა ზმნისა და სახელის გრამატიკული კატეგორიების საფუძველზე“. 58-ე გვერდზე კი ნათქვამია: „სახელთან ან ზმნასთან ურთიერთობისას თავს იჩენს შეთანხმება ან მართვა. შემდგომ კი სათადად კონტექსტში მართული სიტყვა იქცევა მართულად“. აქ, ერთი შეხედვით, თითქოს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია. სინამდვილეში ავტორი ამბობს, რომ მართული სიტყვა წარმოდგენილია გაქვევებული ფორმით. იგი გვერდნა სიტყვის ფუძის სახით დეტერმინანტი სუფიქსებისა და ბრუნვის ნიშნების გარეშეა. ხოლო გრამატიკული კატეგორიების ჩამოყალიბების შემდეგ შეიძლება ცალკეული იფიქსიანი სიტყვა (სხვა სიტყვასთან მართული ან შეთანხმებული), გარკვეულ შემთხვევაში გაქვევდეს და იქცეს მართულად. მაგალითად, „მარტუენ“ სიტყვისაგან მივიღებთ „მარტუნ-თ“ და „მარტუნ-ი“.

2. ცოტა ბუნდოანი ჩანს და მაგალითობს მიხედვით ძნელი გასაგებია 281-ე გვერდზე ავტორის ერთი დებულება (სინტაქსური ურთიერთობა დარღვეულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ორმაგად მართული სახელი სხვა ბრუნვაშია). ზევით დასახელებულია ისეთი მაგალითები, რომლებშიც საზღვრული და ორმაგად მართული მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია. ავტორი, როგორც ჩანს, „სხვა ბრუნვაში“ გულისხმობს „არასახელობით ბრუნვებს“. შეიძლება შეიძლება იგულისხმოს სულ სხვა (საზღვრულის ბრუნვისაგან განსხვავებული ბრუნვა მსაზღვრელისა).

აღნიშნული მცირე შენიშვნები სასურველი იქნება გაითვალისწინოს ავტორმა. ეს წიგნი წარმოადგენს სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას ძველი ქართლის სინტაქსის საკითხებზე.

ბრ. ივანიშვილი.

დავით ჭიოყვის რომანი—„უძლეველი ძალა“

საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის განხორციელების

შედეგად გაიფურჩქნა და აყვავდა ოსი ხალხის მწერლობა. ოსურმა მწერლობამ საპატიო ადგილი დაიკავა საბჭოთა მრავალეროვნ ლიტერატურაში.

დავით ჭიოყვი, „უძლეველი ძალა“, ოსურიდან თარგმნა ელენე ბაშარულა, საბჭოთა საქართველო, 1964.

ახლანდელ ქართულად გამოვიდა ოსი მწერლის დავით ჭიოყვის რომანი „უძლეველი ძალა“.

„უძლეველი ძალა“ ორი წიგნისაგან შედგე-

ბა. საბურჯენისი წიგნში აღწერილია სამხრეთ ოსეთის სოფელი 1910-1936 წლებში, ხალხის ბედ-სიკვდილი უბრალო მშრომელი ადამიანისა, რომელიც ქმნის ახალ ცხოვრებას, რომანის ცენტრში დგას სამოქალაქო ომში დაღუპული პარტიზანის შვილი, ბეჭითი ყმაწვილი სოსლან თოგოვეი. იგი სულით და გულით ეწყალება ცოდნას, აქტიურად ებმება სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დიდ საქმეში.

სოსლან თოგოვეი ნაწარმოებში პირველად შემოდის უღარდელი ყმაწვილის სახით, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული ცხოვრების სირთულე. სიცოცხლით აღსაყვამ ყმაწვილი მკითხველის თვალწინ იზრდება, ვაჟკაცდება და სოფელ სტირ-მასივში საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი ხდება. სოსლან თოგოვეი მისაბამი, დადებითი თვისებებით თავიდანვე იქცევა განსაკუთრებულ ყურადღებას, იმსახურებს მშრომელი ხალხის სიყვარულს.

ნაწარმოებში კარგადაა ასახული მთიანი ოსური ოსოფლის ცხოვრება. მწერალმა შექმნა საკოლმეურნეო მშენებლობისათვის თავდადებული ადამიანების შთამავანებელი სახეები. ესენი არიან: ჭიმა, ზაური, ბათორბეგი, მანისათი, ხაზნი, პეტრე ხარაძე და სხვები, რომლებიც ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაში დიდ ადამიანურ თვისებებს ავლენენ, შეუბოვრად იბრძვიან კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, რაზედაც მშრომელი გლეხობას კოლმეურნეობის ასაშენებლად.

პარტიის მოწოდებით სტირ-მასივის მშრომელი გლეხობა ერთიანდება სასოფლო სამეურნეო არტელში; მაგრამ ასე იოლად როდი წყდება ეს საკითხი. ერთ მხარეზე არიან სოფლის წურბელები — კულაკები და მათი აგენტები, მეორეზე — ახალი საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებლები — პარტია, კომკავშირი, გლეხობა. ამ პერიოდში სოსლან თოგოვეი სათავეში უდგება სოფლის კომკავშირის და კომუნისტების მხარდამხარ თაღისი წვლილი შეაქვს კოლმეურნეობის შექმნასა და განმტკიცებაში. სტირ-მასივში ჩამოყალიბდა კოლქატიური მეურნეობა „ახალი ცხოვრება“. სოფლის კომუნისტები და კომკავშირები სოსლან თოგოვეი, ჭიმა მულდაროვი, თომა ბოლთაიანი, ნინა ცაგოვეა და სხვები, აჩაღებენ ბოლშევიკურ შტეკით ბრძოლას მტრული ელემენტების წინააღმდეგ. კულაკების მიერ კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ პირველი თავმჯდომარის თომა ბოლთაიანის ვერაგულად მოკვლის შემდეგ ხალხის ერთსულიანი მოთხოვნით კოლმეურნეობას სათავეში უდგება სოსლან თოგოვეი. მისი ორგანიზატორული ნიჭით „ახალი ცხოვრება“ დგება აღმავლობის გზაზე.

რომანში აღწერილი მოვლენები და ფაქტები უშუალოდ ცხოვრებიდან არის აყვებულნი უმეტესლთა მონაწილე თვითონ ავტორის მიერ შექმნილი „უძლეველი ძალა“ მიმოიღველია როგორც ჩანაფიქრით, ისე მხატვრულად გადმოცემულ მასალით. იგი დაწერილია ნიკოლოზ ისტორიკის სტილში რომანის კეთილმყოფელი გავლენით.

სოსლანი სამუთათა ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენელია. დანარჩენი მოქმედი გმირები: თადიოზი, ბიბო, სურგი და სხვები სამშობლოს უსახლგრო პატივითები, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული მეზობლები არიან.

ნაწარმოებში დიდი ადგილი უკავია ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობას და ეს ბუნებრივია. რადგან ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

რომანში მწერალმა სამხრეთ ოსეთში სამუთათა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა გვიჩვენა ქართველი ხალხის მიერ გაჩაღებული საყოველთაო სახალხო ბრძოლის ფონზე. რომანის ერთ-ერთი გმირი, პარტიზანული მოძრაობის მონაწილე ილასი მულდაროვი ასე მიმართავს მიტინგზე შეკრებილ ოს მშრომელებს.

— ამხანაგებო! ახლა ისინი კი, ვინც ემხრობოდნენ მენშევიკებს დარწმუნდნენ, თუ რა უბედურება მოაქვთ მათ ხალხისათვის. ბოლო არ ელება მათ მხეცობას. აი, ამიტომ ყველა ვინც ატარებს ჭედს, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, ხელი უნდა მოკიდოს იარაღს. გამარჯვება ან სიკვდილი. სხვა გზა ჩვენთვის არ არის. საქართველოს მუშები ფეხზე აღსდგენენ, ჩვენც იმათ შეეერთდეთ!”

აქ სწორად არის გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. რომანი არ დღაატობს ისტორიულ სიმართლეს. ქართველი და ოსი ხალხები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ იარაღით ხელში მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ. 1918 წელს გორის მახრის გლეხების დახმარებით და ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ოსეთის მშრომელებმა ბრძოლით აიღეს ცხინვალი და იქ სამუთათა ხელისუფლება გამოაცხადეს.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლები, ქვეყანაში გაიშალა საკოლმეურნეო მოძრაობა. კოლმეურნეობები იქმნება ჩვენთანაც. საქართველოში და სამხრეთ ოსეთში. პირველი ოსური კოლმეურნეობა შეიქმნა მთის სოფელ სტირ-მასივში. სოფლის კომუნისტები და კომკავშირები; სოსლან თოგოვეი, კიმა მულდაროვი, თომა ბოლთაიანი, ნინა ცაგოვეა, ფარიზათი და სხვები სათავეში უდგებიან გლეხობას და აჩაღებენ ფართო ბოლშევიკურ ბრძოლას. სტირ-მასივლებს კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საშვილიშვილო საქმეში საქმიან დახმარებას უწყევენ ქართველ-

ბი ეფიშ მახარაძე. პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი და რაიონის მთავარი აგრონომი მირნო მინდიაშვილი.

სტირ-მასივულ შრომისმოყვარე გლეხებს სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში მხარში ამოუდგნენ გორის რაიონის მერეთის კოლმეურნეობის წევრები. მერეთელები მათ ეხმარებიან ხეხილის ნერგების, ბაღების გაშენებაში, სოფლის კულტურულად მოწყობაში.

მერეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კორტე ხარაძე, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი არჩილ ჯიბრაშვილი, სოფლის პარტიული და კომკავშირული აქტივი, შრომის მოწინავე ადამიანები სტირ-მასივულების ხშირი

სტუმრებია, უზარებენ მათ გამოცხროლებას. ყველაფერი ეს დიდი სიძაღლია და ცხოვრების ცოდნითა აღწერილი დ. ჯიბრევის რეზიუმეში.

როგორც ვხედავთ, დ. ჯიბრევის შემოქმედების წარმატების საწინდარი ისაა, რომ ყველაფერი, რაც მის ნაწარმოებებში ხდება, მოხდა სინამდვილეში, მწერლის თვალწინ და უშუალო მონაწილეობით, მაგრამ მწერლის აღღომ და ნიჭმა მას ფართო განზოგადება მისცა.

დავით ჯიბრევის რომანის გამოქვეყნება ქართულ ენაზე შესანიშნავი ფურცელია ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუცუროვანი შეგობრობის ისტორიაში.

ამთავლილ ცოტინაშვილი

ნაშრომი სოციალიზმის დიადი იდეების შესახებ

ერთ სატყუნზე მერტა განელო მეცნიერული სოციალიზმის იმ დიადი მოძღვრების შექმნიდან, რომელმაც ვაა გაუხსნა კაცობრიობას ნათელი მომავლისაყენ. მარქსიზმის წარმოშობა კეშმარტი გადარტალება იყო აზროვნებაში. ამ მოძღვრების სიღაღემ და სიშართლემ განაპირობა მისი გამარქება.

სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი“ ვ. ი. ლენინი 1913 წ. გაზ. „პრავდაში“ წერდა: „მას შემდეგ, რაც მარქსიზმი განდა, მსოფლიოს ისტორიის სამი დიდი ეპოქიდან თეთრულს მოქონდა მისთვის ახალი დადასტურება და ახალი ტრიუმფები. მარქსიზმს კიდეე უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა“ (იხზ., ტ. 18, გვ. 709). მოვლენებმა, რომლებიც ამ ისტორიული ნაშრომის შემდეგ განეთარდნენ, ნათელყვენ ვ. ი. ლენინის მეცნიერული პროგნოზის სიზუსტე. რუსეთის მუშათა კლასმა და უღარიბესმა გლეხობამ კომუნისტური პარტიის მეთაურობით 1817 წ. ოქტომბერში სოციალისტური რევოლუცია განახორციელეს. ამით, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, მეცნიერული სოციალიზმის თეორია პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა. ლენინდარულ კრესერ „აერორას“ ქვეშეტების ბათქმა მსოფლიოს ამერო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის დასაწყისი. სამი ათეული წელი არც კი იყო გავლლი ამ ისტორიული

ღლიდან, რომ დაიწყო ძველი სამყაროს სწრაფი ნგრევა. სოციალისტური რევოლუციები განხორციელდა ვერაპისა და აზიის რიგ ქვეყნებში, რასაც თან მოყვა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა. მძლავრი ლახარი ჩავდა იმპერალიზმის კოლონიერ სისტემას. სოციალიზმის სისტემის ქვეყნების, პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირის წარმატებებმა კიდეე უფრო ძლევამოსილი გახდა სოციალიზმის იდეები.

სოციალიზმის იდეების ტრიუმფზე, მის დიად მიზნიდეულ ძალაზე მოგვიხიბრობს გ. ფირცხალავას ნაშრომი — „სოციალიზმის იდეებს დიადი მიზნიდეული ძალა“. რომელიც გამოსცა საბელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქაროველოში“. ასეთი ნაშრომის გამოცემა უღაერო სასარგებლო და მისასალმებელია.

ნაშრომის პირველ თავში ნაჩვენებია, თე როგორ გადაიქცა სოციალიზმი ოცნებადან მეცნიერებად, რაც მარქსმა და ენგელსმა განახორციელეს. აქვე ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის როლი სოციალისტური რევოლუციის თეორიის ობორტუნისტებისაგან დაცვისა და მის შემდგომ განეთარებაში, რევოლუციის განხორციელება საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში.

მომდევეო თავში დამაქრებლად მდიდარი მასალის თანხლებით ნაჩვენებია ის გიგანტური ნახტომები, რაც განხორციულდა ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან უკანასკნელ დრომდე. აქვე ნაჩვე-

გ. ფირცხალავა, „სოციალიზმის იდეების დიადი მიზნიდეული ძალა“, საბჭოთა საქაროველო, 1963.

ნება ის უდიდესი გმირობა, რომელიც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გვიჩვენეს დიდი ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად და სოციალიზმის ასაშენებლად.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი წარმატებები კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია. სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობა. ამას აღასტურებს მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, სამეზაო დღის ზანჯრძღოვობის შემცირება, ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მოსახლეობის ზრდა, სიყვდილიანობის შემცირება და სიცოცხლის ზანჯრძღოვობის მატება, საბინაო მშენებლობის უდიდესი გაჯანება და მრავალი სხვა.

მარტო 1956-1960 წლებში აშენდა უფრო მეტი სახლი, ვიდრე წინა 15 წელიწადში. ახალი ბინები მიიღო დაახლოებით 50 მილიონმა კაცმა. „საბჭოთა კავშირში უკანასკნელ წლებში ყოველ ათას სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ორჯერ მეტო ბინა შენდება, ვიდრე ამერიკის შერჩობებზე შტატებსა და საფრანგეთში“ (გვ. 60). რომ სურათი უფრო ნათელი გახდეს, ავტორს მოჰყავს დოკუმენტები, რომლებიც მეტყველებენ მშრომელთა მიმე მდგომარეობაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში. კლასიკურად არის გადაჭრილი ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხი, ლევიდარებულა ერთა შორის უთანაბრობა, ვაიდურჩქნა და აყვავდა მანამდე ჩამორჩენილი ერების ეკონომიკა და კულტურა, სოციალიზმმა მათ ბედნიერი და საამერი ცხოვრება შეუქმნა. შეიქმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ურდვევი მეგობრობა, დაფუძნებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე.

ამვე თავში ავტორი გვიჩვენებს, რომ სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. პირველი სოციალისტური ქვეყნის — საბჭოთა კავშირის წარმატებები დიდი სტიმული გახდა სხვა ქვეყნებისათვის, რომლებმაც სოციალიზმის გზა იირჩიეს. იგი გამარჯვების რწმენას უნერგავს ძველი წუობლების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, აძლერებს სოციალიზმის იდეების მიმზიდველ ძალას.

მესამე თავში ავტორი მოვითხრობს სოციალიზმის დიდი მონაპოვრების შესახებ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც სოციალიზმის გზას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაადგნენ.

დასკვნაში ავტორი მიუთითებს, რომ ყველა სოციალ-ეკონომიური ფორმაციიდან მხოლოდ სოციალიზმმა შესძლო ეჩვენებინა ჩამოყალიბების, განვითარების ყველაზე სწრაფი ტემპე-

პი. ორასი წელიწადი დასკირდა ფეოდალიზმს, რომ დამტკიცებინა თავისი უბირატესობანი მონათმფლობელობასთან შედარებში და გზნა ტონებელიყო.

კაპიტალიზმს 150 წელიწადი დასკირდა, რომ მსოფლიო სისტემა გამზდარყო. სოციალიზმმა კი სამი ოთველი წლის განმავლობაში დამტკიცა თავისი დიდი უბირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით და გადაიქცა მსოფლიო სისტემად.

ამვე ხაზგასმულია, რომ სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება საბჭოთა კავშირში, სოციალისტური მშენებლობის გიგანტური წარმატებები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და კაცობრიობის განვითარების გადაუჭყვეტ ფაქტორად გადაქცევა სოციალიზმის იდეების დიდი, მიმზიდველი ძალის ბრწყინვალე დემონსტრაციაა (გვ. 159). ამასვე აღასტურებენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მძლერი განვითარება და ყველაზე გავლენიანი ძალედ გადაქცევა, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის აღშლა; საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ბრძნული, სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო აძლერებს სოციალიზმის იდეების მიმზიდველ ძალას.

გვინდა გავაცეთოთ რამდენიმე შენიშვნა.

ნაშრომში არ არის მოცემული ამ თემაზე არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. ეს, ზენი აზრით, საქარო იყო, რადგან სოციალიზმის გამარჯვებასა და წარმატებებზე საკმაოდ არსებობს ლიტერატურა. ასეთი მიმოხილვის შემდეგ უფრო ნათელი იქნებოდა ავტორის მიერ ამ საკითხის განქმებაში შეტანილი წვლილი.

როდესაც ავტორი ლაბარაკობს გიგანტურ ნახტომებზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში (ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია...), რატომღაც გვერდს უვლის საქართველოს. ჩვენი რესპუბლიკის წარმატებების შესახებ ცნობების მოტანა უფრო საინტერესოს გახდიდა წიგნს, ქართველი მკითხველისათვის, რომლისთვისაც ისაა განკუთვნილი.

ავტორი მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხს ეხება და წერს: „ორი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველია“ (გვ. 96-97). მგვრამ არ მოჰყავს ვ. ი. ლენინის ნაშრომის ან

სხვა დოკუმენტის ის ადგილი, რომელიც ამ აზრს ნათლად დაადსტურებდა.

ნაწროში კარგი ენით და პასუხისმგებლობით არას დაწერილი, თუმცა ზოგ ადვილს შეიმჩნევა განმეორებანი. თანამედროვეობის აქტუალურ თემაზე დაწერილ ამ ნაწროში საინტერესო მასალას იპოვნიან ავტობიოგრაფები, პროპაგანდისტები და ფართო მკითხველი. ამიტომ ნაწროში უდავოდ დადებით და კარგ შეფასებას იმსახურებს.

სასურველია სახელმწიფო გამოცემლობამ

მეტი გამოსცეს ასეთი პოპულარული ნაწროები სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნისტის თეორიის საკითხებზე. ამას მოითხოვს სკკპ პროგრამით დასახული ამოცანები ინტელუგენციის, აღზრდის, განათლების დარგში. ამასთანავე პოპულარულ ბროშურებში, საერთო საკავშირო მასშტაბის საკითხებთან ერთად მოცემული უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაც, მისი წვლილი კომუნისტის მშენებლობაში. გ. ფირცხალავას ნაწროში საკვებით უპასუხებს ამ მოთხოვნებს.

ბ. აფრიდონია

ახალგაზრდა მწერლის პირველი კრებული

თამაზ ნატროშვილის კრებული „გამოღვიძება“ შეიღ მითხრობას აერთიანებს: „ხელოლო იქნება ხეობაში“, „ლიდა“, „შატალი“, „გამოღვიძება“, „თოვლი“, „ყველაზე კარგი ბიჭი“, „ლევენდა სოლომონზე“. წიგნის ამოცანა — გადმოგვეცხადოს თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობის „ოცნებები, მიზნები და სწრაფვანი“ (როგორც ეს წიგნის ანოტაციაში ნათქვამი) ამ კრებულს ახალგაზრდა ავტორების ბევრ სხვა კრებულთან ახლოვებს.

წიგნში შეკრებილია მითხრობებში, აგრეთვე „ცისკარში“ დაბეჭდილია ამავე ავტორის დიდმა მითხრობამ „რამდენიმე დღე“, ამ ბოლო წლებში მკითხველს უკრძალვბა მიიქცია. ახლა ამ მითხრობათა გაერთიანებით ავტორის სახე უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება.

კრებულში წარმოდგენილი მითხრობების თემა დღევანდელი ქართველი ახალგაზრდობის ცხოვრება, უფრო ზუსტად — ქართველი მოსაქველ ახალგაზრდობის ცხოვრება, კიდევ უფრო ზუსტად — მათი ყოფა და არა ცხოვრება ზოგადად. ავტორის ლიტერატურული ნიჭიერება, რომელმაც მისი პირველი დებიუტისთანავე თავი ავრჩინებინა მკითხველს და ამ კრებულშიც ნათლად ჩანს, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ყოფის სცენათა. თელისაინო, პლასტიკურ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საინტერესო თხრობაში მდგომარეობს.

ტურბინი და გეოლოგია, მთასა და ხეობაში სიარული და კარვებში ღამისთევა, ქუჩაში შეხედრა და სახლში საუბარი, ბიჭებისა და გოგონების დროსტარება — აი ამ მითხრობების მოქმედების გარემო და ამავე დროს მათი თემა. სიზუსტით, მასალის კარგი ცოდნითა და მართალი შტრახებით ავტორი. ვეზატაეს სურათებს ჩვენი მოსაქველ ახალგაზრდობის

ცხოვრების ტიპური ეპიზოდებიდან. მოვლენათა მსვლელობის ბუნებრივი რიტმის, განწყობილებათა ცვლენადობის ბუნებრივი თანმიმდევრობის შენარჩუნებით იგი მოვეითხრობს ახალგაზრდობის ცხოვრების ტიპურ, არსებითად, უთავგადასავლო ამბებს. დიალოგი, რომელიც ავტორისათვის უპირველესი გამომხატველი საშუალებაა, საკვებით ბუნებრივია, ტემპიანი, მოუწყინარი, აღწერა — მუდამ თელისაინოა და სხატრი. მითხრობები ძალდაუტანებლად იკითხება.

კონფლიქტების ხატვას — მით უმეტეს, მსოფლმხედველობრივი და ფსიქოლოგიური ხასიათის კონფლიქტების ხატვას ავტორი არ მისდევს. მის მითხრობებში ზოგჯერ შეხედვებით ასეთი კონფლიქტის ჩინაზახს, ან, შესაძლოა, მხოლოდ ასეთი კონფლიქტის მოცემის ცდას. მაგ., მითხრობაში „გამოღვიძება“, თითქოს, გრძნობისა და ცხოვრების პროზის, ან გაბაყებული სიყვარულისა და სიყვარულის ვერაშეღობი, ღარბი ბუნების (გულიკო) დაპირისპირებას ვხვდებით. მითხრობაში „თოვლი“, თითქოს, განწყობილებით დატვირთული პეიზაჟის ფონზე ცოლქმირის ურთიერთობის ფაქტი ფსიქოლოგიური მექანიზმი უნდა იყოს გახსნილი. მაგრამ ამ კონფლიქტთა სიმამატრე და გამოკვეთილობა არ აღწევს ნამდვილი კონფლიქტის დონემდე. ეს, არსებითად, მხოლოდ განწყობილებათა ჩინაზატება და არა კონფლიქტები.

უსიუვეტობა, რომელიც წარმოდგენილ მითხრობათა დამახასიათებელი ნიშანია, უამკველია, ამ უკონფლიქტობიდან გამომდინარეობს. ამბავი, რაც მოქმედ პირთა ინტერესების დაპირისპირების შედეგია და ამავე დროს ასეთი დაპირისპირების წყაროც, აღნიშნულია

თამაზ ნატროშვილი. „გამოღვიძება“, ლიტერატურა და ხელოვნება. 1963.

სტილის მოთხრობისთვის ზედმეტია, აქ მისი არც საჭიროება არსებობს და არც წარმოშობის სტიმული. მოქმედების თვალსაზრისით მოთხრობის მსვლელობა თავიდან ბოლომდე ერთგვარია — გმირები ცხოვრობენ, საუბრობენ, მოქმედებენ (ეს ყოველდღიური მოქმედებაა), გუნებ-განწყობილების გარკვეულ ცვალებადობას განიცდიან. „ფორტე“ და „პიანო“, ტემპის მომატება-შესუსტება, გრძობის აღზევა ან დაცემა აქ გამოირჩევილია. ესაა ყოველდღიური ცხოვრება. ავტორის ინტერესის საგანია არა ამ ცხოვრების ღრმა, უიარაღო თვალისათვის დაფარული არსი, რაც მკვეთრ სიუჟეტად შეიძლება იქნეს დაწერილი, არამედ საგანთა და მოვლენათა, ასე ვთქვათ, „ფერი“, — ცხოვრების კილო, მისი ფაქტურა და იერი. უსიუჟეტო მოთხრობის დიდი მაგის — ჰემინგუეის სახელი ასეთ ნაწარმოებთა კითხვისას უთუოდ გაგვახსენდება. ოღონდ დასანანია, რომ მსგავსება აქ უფრო მეტად „სტილურია“.

ეს თვისება (უსიუჟეტობა, მკვეთრი კონფლიქტის უქონლობა) მუხრუჭია მკითხველის ინტერესის აღძვრის გზაზე. მოუხედავად ამისა, უინტერესობის სენი განსახილველი მოთხრობებისათვის სრულებით უცხაა. ამის მიზეზია, უთუოდ, მოთხრობების ლიტერატურული ღირსება ამ სიტყვის ეწრო აზრით (დილოგის სისხარტე, იუმორი, თხრობის დინამიკობა, ვარჯის „სილაშაზე“ და მისი ხატვის პლასტიკობა). მკითხველის თვალწინ ნათლად, როგორც ვერანზე, ჩაივლის ნამდვილი (არა ინტენსიური, მაგრამ მაინც ნამდვილი) ცხოვრების ნაწილები, შთაბეჭდილი პეიზაჟი და სიმშათიური ადამიანები, რომლებიც ამ გარემოში მოძრაობენ. ახალგაზრდა ავტორი ძალიან კარგი მთხრობელი ჩანს.

განსახილველ მოთხრობებში უდავოდ ჩანს ჩვენი თანამედროვე ინტელეგენტი ახალგაზრდის სახე (ვაყვას უფრო მეტად, ვიდრე ჯალის) — ჩანს მისი ცხოვრების სტილი და გარემო, საუბრის მანერა, ცოტაოდნად გრძობები და ცოტაოდნად მისი შეხედულებები ცხოვრების ზოგიერთ მხარეზე. პერსონაჟის სრულ გამოძიერებას, იმის შექმნას, რასაც ლიტერატურაში „ხასიათი“ ეწოდება, ავტორი მიზნად არ ისახავს. გურამის ორიოდ ინდივიდუალური შტრიხი (მოთხრობა „ყველაზე კარგი ბიჭი“) ამ მხარე წიგნში გამოხატულია. ზურაბი და ნუგზარი, ანზორი და ეშარი, და-

თა და გვი, — ყველა ეს პერსონაჟი არც-ბითად, ერთი ადამიანია, ზოგადად რომ ვთქვათ — თანამედროვე ახალგაზრდა ხეივანისგან გარკვეულწილად განსხვავებული. შეიძლება ითქვას, ავტორისთვის ლირიკული გმირია და არა ეპიკური გმირი, იგი ავტორისთვის საინტერესოა მხოლოდ, როგორც სუბიექტი იმ შთაბეჭდილებების, რომელსაც იგი დიდი სიზუსტითა და პლასტიკურობით ზატავს. სიმართლე, რომელიც ავტორის მოთხრობებს ახასიათებს, ესაა სიტუაციის სიმართლე და არა ხასიათისა, დრამატიზმი, რომელსაც ის ზოგჯერ ესწრაფვის, აგრეთვე სიტუაციის დრამატიზმი.

ავტორის წერის მანერა, როგორც ვთქვით, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თვალსაზრისობა, ლაკონიზმი, სიმკაცრე გამოხატველ საშუალებათა ხმარებაში მისი მკვეთრი დამახასიათებელი თვისებებია. ნიშნულად შეიძლება წაგნოს თითქმის ნებისმიერი ადგილი გადავშალოთ:

„მებუფებში განცვიფრებით ვადმომხედა თავისი ციხე-სიმაგრედან. „ვინ ეკონივარ ნეტა. — გავიფიქრე მე. — ვიყი თუ ვატიანებული მიფრალი“. „რაც უნდა, ის ვეგონო“, წაიხიბებებე ჩემთვის. მებუბელ მაგიდასთან მსხლამ ახალგაზრდებს მივუგდე ყური. ელაც ბესოზე საუბრობდნენ. ბესო შოფერი ყოფილა თურმე, ეშინია შეხვედრი მანქანისა და როცა გაუსწორდება, ცივი ოფლი ასხამს. უკვე ორჯერ მოუვიდა ავარია. ეპ ბესო!“ ან:

„სალამის აღარ თოვდა. ნუგზარი იქდა დუმელთან და კითხულობდა „სოვეტსკი სპორტს“, ლილი ბავშვს აძინებდა, რომელიც ჰირვეულობდა და ტირიდა.

— ნუგზარ, მეორე ოთახში ვადი, სინათლეს ჩაეპრობ და მოისვენებს, — თქვა ლილი.

— თქვენ ვადით, თუ კარგია, — მიუგო ნუგზარმა და გაზეთით ხელში საწოლს მიუახლოვდა, თავაულებლივ განაგრძობდა გაზეთის კითხვას, — გოგი, გოგლიცი! ბავშვმა მისცენ მოიხედა.

— ხედავ, უკვე იციან ზავისი სახელი, — ამბავდ თქვა ლილი.

— კალისტრატე! — დაიძახა ნუგზარმა.

ბავშვმა ისევ მოაბრუნა თავი ნაცნობ ხმაზე.

— ოხუნჯობ? — გაბრახდა ლილი, — წამო, მეორე ოთახში დაივიძინოთ, გოგლიცი, ნანა-ნანა-ნანააა, ნანინა-ნანა...

ნუგზარი უხალისოდ კითხულობდა „სოვეტსკი სპორტს“.

ამ საყმაოდ მალად დონეზე მკვეთრ ავტო-

რის სტილის გამომხატველობა არ ჩამოდის. მოთხრობებს ერთი, მიწვიდელი და ნათელი თანაბარი და შინაგანი რიტმი გასდევს. რამდენად ღირებულია ასეთი თანაბრობა ესტეტიური თვალსაზრისით, ამაზე შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს (ეს, ბოლოს და ბოლოს, სხვადასხვა გემოვნების საკითხია).

იმ შემთხვევაში, როცა ავტორი თავის „უსიუვეტო“ სტილს ლაღობს, როცა იგი მართლაც ამ ბიის თხრობას ჰყიდებს ხელს, მას თავისი ესოდენ საქები მკაცრი და ლაკონური მანერაც ზოგჯერ ავიწყდება. მაგ. მგელიკას და მოჩვენების დიალოგი მოთხრობაში „ხვალ დოლი იქნება ხეობაში“ სწორედ იმის საწინააღმდეგო ლიტერატურული პოზიციებიდან არის შესრულებული, რაც ავტორს საერთოდ ახასიათებს.

მოთხრობა „შატილი“ გამონაკლისია კრებულში მოთავსებულ მოთხრობათა საერთო ფონზე. ავტორი პირდაპირ გვესაუბრება — მკვერპეტყველურად, ნამდვილი გრძნობითა და დაფიქრებით გვესაუბრება მისთვის საინტერესო თემაზე და დღი ტაქტით, ფაქიზი გემოვნებით იყენებს ამ საუბრის პროცესში მუსიკალურ და უთუოდ, ძლიერად დახატულ რეალურ სურათებს. მეორედ, ეს მოთხრობა გამოირჩევა აზრისა და გრძნობის სიმწიფათ, თემის მასშტაბით, მოთხრობის საფუძვლად დადებული გრძნობისა თუ განწყობილების მოწმუნეტალური ხასიათით. სტილის მხრივ ამ მოთხრობას ახასიათებს განსაკუთრებული ლაკონურობა, სიტყვის ეკონომია და სიზუსტე, შედარებები, რომლებსაც ავტორი მიმართავს, მართალია და შთამბეჭდავი გრძნობა, რომელსაც მოთხრობა-ნარკვევი აღგვიძრავს, ძლიერი და მთლიანია. თუ კი განსახილველ კრებულს ავტორის შესაძლებლობათა თვალსაზრისით შევაფასებთ (პირველი კრებული კი, უთუოდ, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს), აქ წარმოდგენილ მოთხრობებში „შატილი“ საუკეთესოა.

კრებული მთლიანად, ერთერთი საუკეთესოა ამ ბოლო ხანებში გამოსულ ახალგაზრდა ავტორთა კრებულებს შორის და იგი თ. ნატროშვილის მალაღ ნიჭზე, მის კარგ მომავალზე პეტყველებს.

ნოზარ ნათაძე

ახალი წიგნები

გამომცემლობა „ლიბრატორა და ხელოვნება“.

- ალექსანდრე აბაშელი — ქალი სარკეში. (ფანტასტიკური რომანი) რედ. რ. მარგინი, გვ. 209, ფასი 43 კაპ.
- ვალერიან გაფრინდაშვილი — ლექსები. შემდგენელი და რედაქტორა შალვა დემეტრაძე. გვ. 156, ფასი 34 კაპ.
- სიმონ ჩიქოვანი — რჩეული წერილები. რედ. შ. ძიძგური. გვ. 540, ფასი 1 მან 14 კაპ.
- სერგო კლდიაშვილი — ფერფლი. (რომანი) რედ. რ. მარგინი. გვ. 210, ფასი 31 კაპ.
- ვახტანგ კოტეტიშვილი — ქანდაკების ისტორია. რედ. გ. ჯობლაძე. გვ. 145, ფასი 51 კაპ.
- ტარას შევჩენკო — კავკასი. (ოთხი პოემა) თარგმ. კონსტანტინე ლორთქიფანიძისა. რედ. თ. ბუაჩიძე. გვ. 63, ფასი 15 კაპ.
- ტარას შევჩენკოს პართიველი მწერლები — რედ. რ. მარგინი. გვ. 73, ფასი 14 კაპ.
- ემილ ზოლა — აბე მურეს შეკოდება. თარგ. ჭ. ხუნდიაძისა. რედ. ა. კუმბაძე. გვ. 409, ფასი 1 მან. 32 კაპ.
- გიორგი შატბერაშვილი — პეესები. რედ. ა. აღმაია. გვ. 215, ფასი 61 კაპ.
- ვაფეი — ლექსები, ბალადები. რედ. შ. ფოცხიშვილი. გვ. 61, ფასი 10 კაპ.
- ფრანგული მითბრობები — თარგ. ი. როდიონ ქავთარაძისა. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 614, ფასი 1 მან. 90 კაპ.
- ოტია ოსტელიანი — მე და სიყვარული. რედ. ლ. კალანდაძე. გვ. 285, ფასი 49 კაპ.
- არტურ ლანსტი — საქართველოს გული. შემდგენელი თ. ფირალიშვილი. რედ. თ. კომლაძე. გვ. 320, ფასი 1 მან. 3 კაპ.
- გიორგი შატბერაშვილი — ზაფხულის ღამის ქრონიკა. რედ. რ. მარგინი. გვ. 67, ფასი 13 კაპ.
- იაკობ ნიკოლაძე — ერთი წელი როდენთან. რედ. შ. ამირანაშვილი. გვ. 197, ფასი 92 კაპ.
- ალექსანდრე იმედაშვილი — მოგონებანი. რედ. ვ. ჭელიძე. გვ. 221, ფასი 1 მან. 31 კაპ.
- ნოდარ ჯანბერიძე — ხუროთმოძღვარი არჩილ ქურდიანი. რედ. ვ. ბერიძე. გვ. 96, ფასი 1 მან. 37 კაპ.
- პავლე ფრანგიშვილი — რაც ენაზე და განვიცადე. რედ. გ. ციციშვილი. გვ. 238, ფასი 1 მან. 26 კაპ.
- ვქატორ ვახტანგია — წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. რედ. ბ. ელენტი. გვ. 429, ფასი 1 მან. 35 კაპ.
- დავით ჩხეიძე — მაცო საფაროვი-აბაშიძე. რედ. ბ. აბულაძე. გვ. 186, ფასი 1 მან.
- მაინრობ ბიოლი — და არ უთქვამს არც ერთი სიტყვა... თარგ. ნოდარ ჩუხაძისა. რედ. ი. ლეჟავა. გვ. 354, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- ნინო შვანიტაძე — თეატრალური ეტრუდები. რედ. ა. აღმაია. გვ. 196, ფასი 93 კაპ.
- ტარიელ კვანჭილაშვილი — ბუალიზმისა და მალალა ასტატობისათვის. რედ. ს. შილიაი. გვ. 78, ფასი 17 კაპ.
- ს. ცაგარეიშვილი — თოქანების თეატრი. რედ. პ. ბახტურიძე. გვ. 150, ფასი 82 კაპ.
- ნანული ქვბუტია — შენთვის ჩამოველ ბარადა. რედ. შ. ფოცხიშვილი. გვ. 61, ფასი 8 კაპ.
- გიორგი ქიშკარიანი — ცისუფერი ტალღა. რედ. ა. ვოშიაშვილი. გვ. 80, ფასი 10 კაპ.

07/130

ՅՆԼՈ 80 ՅՅՅ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“